

19
2016
საქართველოს
კუმანიდის

1373.
2016 №19



საქართველოს კუმანიდის

Georgian Antiquities

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიული
საზოგადოების გამოცემა

იმპ მ ე ჭ ი
გ ი მ ა რ ი მ ა რ ი

სამართველოს სიმები

თ მ ა მ II

თაყაიშვილის რედაქტორის მიერ 1909.

თ ფილი 1909.

Издание Грузинского Общества Истории и Этнографии

ГРУЗИНСКИЯ ДРЕВНОСТИ

ТОМЪ II.

Подъ редакціею Е. ТАКАЙШВИЛИ

Edition de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

LES ANTIQUITÉS GÉORGIENNES

TO M E II

Sous la rédaction de M. E. Takaïchvili

T I F L I S 1909.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა ძაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

საქართველოს სიმამლენი

Georgian Antiquities

19

თბილისი
Tbilisi
2016





საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო

სახოგადოების გამოცემა

საქართველოს სიმელები

თომ II

კ. თავაიზვილის რედაქტორობით

თифლისი 1909.

Издание Грузинского общества Истории и Этнографии

ГРУЗИНСКИЯ ДРЕВНОСТИ

ТОМЪ II.

Подъ редакціею Е. ТАКАЙШВИЛИ

Edition de la Société géorgienne d'histoire et d'ethnographie

LES ANTIQUITÉS GÉORGIENNES

TOME II

Sous la rédaction de M. E. TAKAÏCHVILI

TIFLIS 1909.

გიორგი ჩუგინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და პეტრა ღაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

საქართველოს სიმაღლე

Georgian Antiquities

19

თბილისი
Tbilisi
2016

რედაქტორ-გამომცემლები
დიმიტრი თუმანიშვილი
იუზა ხუსკივაძე

სარედაქციო კოლეგია

მიურებული აილანდი (კალიფორნია, აშშ)
ენტონი ბრაიერი (ბირმინგემი, დიდი ბრიტანეთი)
ბეატ ბრენკი (ბაზელი, შვეიცარია)
გიორგი გაგოშიძე
ორპანეს დეკერსი (მიუნიჸინი, გერმანია)
გერნერ ზაიბტი (ვენა, ავსტრია)
სამსონ ლეჯაგა
თამილა მგალობლიოშვილი
თეიმურაზ საყვარელიძე
ენტონი ქათლერი (პენსილვანია, აშშ)
გიორგი ჭეიშვილი
ლეილა ხუსკივაძე
ქრისტეფორ ჰაისი (პენსილვანია, აშშ)

სარედაქციო ჯგუფი

მარინე კენია
ნატალია ჩიტიშვილი

Publishers

Iuza Khuskivadze
Dimitri Tumanishvili

Editorial board

Beat Brenk, Basel, Switzerland
Anthony Bryer, Birmingham, United Kingdom
Anthony Cutler, Pennsylvania, USA
Johannes Deckers, Munich, Germany
Murray Lee Eiland, California, USA
Giorgi Gagoshidze, Tbilisi, Georgia
Christopher Haas, Pennsylvania, USA
Leila Khuskivadze, Tbilisi, Georgia
Samson Lezhava, Tbilisi, Georgia
Tamila Mgaloblishvili, Tbilisi, Georgia
Teimuraz Sakvarelidze, Tbilisi, Georgia
Werner Seibt, Vienna, Austria
Giorgi Tcheishvili, Tbilisi, Georgia

Editorial Group

Natalia Chitishvili, Tbilisi, Georgia
Marine Kenia, Tbilisi, Georgia

ქურნალი „საქართველოს სიძელეები“ დაფუძნდა
გიორგი ლეჯაგას თანადგომით

ნომერი დაფინანსებულია გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ

This Journal has established with the
support of Giorgi Lezhava

This issue was financed by George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History
and Heritage Preservation

ქურნალის გარეკანზე: ატენის სიონი, VII საუბუნე. ვოტო ქუცხა ამირგვიბისა

On the Cover: Ateni Sioni, 7th c. Photo Kutsna Amirejibi

© გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის
ეროვნული კვლევითი ცენტრი

© George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation

<http://gch-centre.ge>

ISSN 1512-1324

ს ა რ ჩ ე ვ ი

კიტი მაჩაბელი	
ბერიჯვრის ქვაჯვარას სვეტი	9
თამარ დადიანი	
გველდესის კანკელის დაპარგული ფილის იკონოგრაფია.....	24
მარიამ დიდებულიძე	
შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლები ტაო-კლარჯეთში.....	32
თამარ ხუნდაძე	
ახლად აღმოჩენილი რელიეფი სოფელ ჯალაურთიდან.....	80
მაია ქებულაძე, დავით სულაბერიძე	
ჯრუჭის მონასტრის დაარსების თარიღისა და მფლობელთა საკითხისათვის	89
თინათინ ხოშტარია	
XI საუკუნის სათხის რელიეფი ჯავახეთიდან.....	99
ეპატერინე გედევანიშვილი	
ვნების ციკლი იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაში და მისი საღვთისმეტყველო კონტექსტი	112
ნინო ქოპაძე	
უბისის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერის მოხატულობა....	125
ბუბა კუდავა	
მამაწმინდის ეკლესიის საქტიტორო წარწერა (ახალი მასალა კლარჯეთის ეპიგრაფიკიდან).....	144
ეპატერინე კვაჭაგაძე	
წმ. გიორგის სასწაულთა სცენები შუა საუკუნეების ქვის რელიეფურ ქანდაკებაში	163
თამარ ხოსროშვილი	
წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი	174

**ელისო ჩუბინიძე, ირინე უგრეხელიძე, დავით სულაბერიძე
უბისის დაფარნის იკონოგრაფიისა და ისტორიის საკითხისათვის 185**

ნინო სარავა

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ოქრომქანდაკებელ
იოანე ჩიქვილაძის მიერ შექმნილი ხატები..... 202

გიორგი ჭანიშვილი

თბილისის პირველი საკულტო ნაგებობა
რკინაბეტონის გუმბათით – აშკანაზების სინაგოგა..... 215

მაია იზორია

ახალი მასალები ქართული მხატვრული თანამედროვე
კერამიკის ჩამოყალიბების ისტორიიდან..... 231

თამაზ სანიქიძე

ქართული ხელოვნებათმეცნიერების წარსულიდან..... 250

რომან ცუხიშვილი

სოფელ შროშის ქართული ხალხური კერამიკა..... 261

არქივიდან

ინგა ლორთქიფანიძე

„საიდუმლო სერობის“ სცენა უბისის კედლის მხატვრობაში, 269

დიმიტრი თუმანიშვილი

თეიმურაზ საყვარელიძის ხსოვნას..... 285

Content

Kiti Machabeli

Stone Cross Pillar from Berijvari	9
---	---

Tamar Dadiani

The Iconography of the Lost Plaque of the Gveldesi Chancel-barrier	24
--	----

Mariam Didebulidze

The Monuments of the Georgian Medieval Wall Painting in the North-East Turkey	32
--	----

Tamar Khundadze

Newly Discovered Relief from the Village Jalaurta	80
---	----

Maia Kebuladze, David Sulaberidze

On The Issue of Jruchi Monastery Date if Foundation and Owner	89
---	----

Tinatin Khoshtaria

11th c. Satkhe Relief from Javakheti.....	99
---	----

Ekaterine Gedvanishvili

Passion Cycle in the Murals of Ikvi Church of St. George and Its Theological Context.....	112
--	-----

Nino Kopadze

Mural Decoration of the South-East Annex of Ubisi Monastery Church	125
--	-----

Buba Kudava

Donor Inscription from Mamatsminda Church (New Material from Klarjeti Epigraphy)	144
---	-----

Ekaterine Kvachatadze

Composition of the Miracles of St. George in the Medieval Stone Reliefs	163
---	-----

Tamar Khosroshvili

Kiot of St. Nino's Cross	174
--------------------------------	-----

Eliso Chubinidze, Irine Ugrekhelidze, Davit Sulaberidze

Concerning Iconography and History of the Ubisi Aer.....	185
--	-----

Nino Sarava Icons by the Silversmith Ioane Chikviladze Kept at the Kutaisi Historical Museum.....	202
Giorgi Chanishvili First Religious Structure in Tbilisi with the Ferro-Concrete Dome – the Synagogue of Ashkenazim	215
Maia Izoria New Materials on the History of the Modern Georgian Ceramics	231
Tamaz Sanikidze From the Past of the Georgian Art History	250
Roman Tsukhishvili Georgian Folk Ceramics from the Village Shrosha.....	261
<i>From the Archive</i>	
Inga Lortkipanidze Last Supper in Ubisi Mural Decoration.....	269

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ბერიჯვრის ქვაჯვარას სვეტი*

1985 წელს საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს ექსპლიციამ სოფ. ქვემო კიტრეულას მიდამოებში (მდ. ლეხეურას ხეობა), ნაეკლესიარ ბერიჯვარში აღმოაჩინა ქვასვეტის ფრაგმენტი, რომელიც ეპლესის სარკმლის თავსართად იყო ჩადგმული (სვეტის ფრაგმენტი ახალგორის მუზეუმში ინახებოდა. სამწუხაროდ, დღეისათვის მისი ბედი ჩვენთვის უცნობია).¹ სვეტის ოთხივე წახნაგი რელიეფებით იყო შემკული.

რელიეფებით დაფარული ქვაჯვარას სვეტი მეორადი გამოყენებისათვის ბარბაროსულად არის დამტვრეული. მის ერთ-ერთ წახნაგში, სარკმლის ღიობის ფორმაზე მოსარგებად, ნახევარწრიული თაღია ამოკვეთილი. დანარჩენი წახნაგების რელიეფებიც უწყალოდ არის დაზიანებული. ამის მიუხედავად, რელიეფური დეკორის გადარჩენილი ნაწილების მიხედვით შესაძლებელია სვეტის რელიეფური დეკორის იკონოგრაფიული პროგრამის ნაწილობრივი აღდგენა და მისი მხატვრული ხასიათის განსაზღვრა.

ოთწახნაგა სვეტის ფრაგმენტზე ჩანს, რომ მის კუთხეებში აღრეული ქვაჯვარებისათვის დამახასიათებელი ნახევარსვეტები იყო გამოკვეთილი (შეად. დაგათის, ნათლისმცემლის, ნაღვარევის, ბრდამორის, განთიადის, კატაულას ქვასვეტები).² ამჟამად კუთხის სვეტი მხოლოდ ერთგან არის ფრაგმენტულად შემორჩენილი. ფიგურული კომპოზიციები ქვის სისქეში ისეა ამოკვეთილი, რომ ბრტყელი რელიეფის ზედაპირი ჩარჩოს დონეს უსწორდება. სცენები ერთმანეთისგან გლუვი ჰორიზონტალური ზოლებით გამოიყოფა. ზოგიერთი რელიეფი საგანგებო ჩარჩოშია ჩასული. რელიეფური კომპოზიციებიდან ქვასვეტზე სახარების მხოლოდ ორი სცენა შემორჩა: „ნათლისძება“ და „ჯვარცმა“

ქვასვეტის წახნაგებზე რელიეფური კომპოზიციები შემდეგნაირად არის განთავსებული: მთავარი (დას.) წახნაგის ზედა ნაწილში ძალზე დაზიანებული ჯვარცმის სცენაა, რომელზეც მხოლოდ ქრისტეს ფიგურა (კომპოზიციის ზედა ნაწილი – ქრისტეს თავი და მარჯვენა ხელი ჩამოტეხილია) და მისგან მარცხნივ ჯვარცმებული ავაზაკის გამოსახულება არის შემორჩენილი. მეორე ავაზაკის ფიგურა ამომტგრეულია, მისი მხოლოდ თავი და მხრის ნაწილია დარჩენილი. ჯვარცმის ქვემოთ – რელიეფი თითქმის მთლიანად არის ამოტეხილი და სა-

* ბერიჯვრის ქვასვეტის ფრაგმენტი ახალგორში აღიღილზე ვნახე 1980-იან წლებში. ამჯერად მისი გამოქვეყნების სურვილი განაპირობა იქ გარემოებამ, რომ ახალგორის მუზეუმში დაცული ამ საკულტო ძეგლის ბედი დღეს ჩვენთვის უცნობია, მას კი დიდი მნიშვნელობა აქვს აღრე შეასუქუნების პლასტიკური ხელოვნების ისტორიისათვის.

1 გ. გიორგაძე, აკ. ოოფურია, სტელა, შრანდარტი, ბალთა: ახალგაზრდა კომუნისტი, ობილისი, 19. 09. 1985. (ქვასვეტის ფრაგმენტის ზომებია: სიმაღლე 49სმ., წახნაგის სიგანე 19-20სმ.).

2 კ. მაჩაბელი, აღრეული შეა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბ., 2008, გვ. 14, 17, 24, 35-36, 37.

მფიგურიანი კომპოზიციიდან მხოლოდ მარჯვენა ორი ფიგურის წელზემით გამოსახულებებია დარჩენილი. მომიჯნავე (სამხრ.) წახნაგის ქვედა ნაწილზე ნათლისძების კომპოზიცია არის წარმოდგენილი, რომლის თავზეც მთავარანგელოზის ფიგურას ვხედავთ. ყველაზე მეტად დაზიანებულ მესამე (ჩრდ.) წახნაგზე, სავარაუდოდ, სამფიგურიანი კომპოზიცია იყო მოთავსებული. ამჟამად მხოლოდ ორი ფიგურა არის შემორჩენილი.

რელიეფებს ასომთავრული წარწერები ახლავს. ნათლისძების სცენის ფონზე, მარცხენა კიდევთან ვერტიკალურად ამოკვეთილია – „წმ. იოანე ნათლისმცემელი“. ნათლისძების ზემოთ ანგელოზის ფიგურასთან წარწერის ფრაგმენტებია დარჩენილი. ჯვარცმის კომპოზიციაში ფონზე გაშლილია წარწერა – „წმიდაო წეტარო ქრისტე იოვანე და ჩუენცა...“, ორფიგურიან სცენაში – „წმიდაი, ამენ“.³

ქვაჯვარათა ოთხწახნაგა სვეტებზე პატარა ქვის ხატებად განთავსებული წმინდა სახეები და ბიბლიური სცენები თეოლოგიურ-სიმბოლურ საფუძველს ემყარებოდა. რელიეფური ღეკორის პროგრამას ქვაჯვარათა ვოტივურ-სალოცავი უუნქცია განაპირობებდა. ქვაჯვარათა სვეტების რელიეფებს დიდაქტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. ეს იყო მორწმუნეთათვის მნიშვნელოვანი „ვიზუალური წყარო“, რომელიც მათ ქრისტიანობის არსს აზიარებდა. ქვასვეტების წახნაგების რელიეფებისათვის შეირჩევდა ძველი და ახალი აღთქმის ის თემები, რომლებსაც ადრეული ქრისტიანობის ეპოქის თხტატები გამოსახავდნენ რომაული კატაკომბების კედლებზე, მარმარილოს სარკოფაგებსა და სპილოს ძვლის ნაკეთობებზე. ამ სფურვებების მხატვრული ინტერპრეტაცია ბიბლიური მოვლენების სიმბოლურ მნიშვნელობას ითვალისწინებდა. ქვაჯვარათა რელიეფურ პროგრამებთან დაკავშირებით უნდა ვახსენო საინტერესო დაკვირვება ირლანდიურ ქვაჯვარათა რელიეფურ ღეკორზე. მეცნიერებმა მიაკვლიეს VIII საუკუნით დათარიღებულ ტექსტს – ქრისტიანული დვთისმსახურებისათვის ტრანსფორმირებულ იუდეური წარმოშობის ლოცვის უძველეს ფორმას (Ordo commendationis animae), რომელიც მრავალმნიშვნელოვან სიმბოლურ სახეებს შეიცავდა, რაც ზუსტად არის ასახული ირლანდიური ქვაჯვარების რელიეფური ღეკორის იკონოგრაფიულ პროგრამებში.⁴ ვიმედოვნებ, რომ საქართველოშიც აღმოჩნდება ლიტურგიული ტექსტები, რომლებიც უფლებას მოგვცემს ქრისტიანობის დიდი ცენტრებიდან მომდინარე მზა ნიმუშებთან ერთად, განვსაზღვროთ უძველესი ქართული ლიტურგიკული ტექსტების როლი ქვაჯვარათა იკონოგრაფიული პროგრამების შემუშავებაში.

ქვაჯვარებისადმი მიძღვნილ ჩემ პუბლიკაციებში არაერთხელ აღმინიშნავს ქართულ ქვაჯვარათა რელიეფური ხატების მნიშვნელობა ქრისტიანული იკონოგრაფიის განვითარებაში. ისინი ადრეული ქრისტიანობის სახისმეტყველებას საინტერესო და ხშირად ორიგინალური კომპოზიციებით ავსებენ. ქვასვეტებზე გამოსახული წმინდა სახეები და ბიბლიური თემები გვიჩვენებს საქართველოს

³ გ. ოთხმეზური, სტელა ნაეკლესიარ „პერიჯვარიდან“, საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, №6, 1986, თბ., გვ. 88-94.

⁴ Fr. Henri, Croix Sculptées Irlandaises, Dublin, 1964, გვ. 40.

ჩართულობას ქრისტიანული იქონოგრაფიის ჩამოყალიბების რთულ პროცესში შეა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე⁵

რელიეფური კომპოზიციების განხილვას სვეტის ქვედა ნაწილში გამოსახული „ნათლისდების“ სცენით დავიწყებ. ძეგლის ფრაგმენტულობა, მის ზედა სიბრტყეში სკულპტურული ჯვრის ჩასადგმელი ბუდის არარსებობა, არ გვაძლევს სვეტის პირვანდელი რეალური ზომის დადგენის შესაძლებლობას. თუ გავითვალისწინებთ ქვაჯვარებზე სახარების ოემების განაწილების ქრონოლოგიურ და იერარქიულ პრინციპებს, „ნათლისდების“ კომპოზიცია სვეტის შედარებით ქვედა ნაწილში იქნებოდა განთავსებული.

„ნათლისდება“ ქრისტეს ათორმეტ დღესასწაულთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია, იგი ოთხივე სახარებაშია ნახსენები (მათე, 3:13-17; მარკოზი, 1:9-11; ლუკა, 3:21-23; იოანე, 1:29-33). ეს მოვლენა დვთის გამოცხებასთან – თეოფანიასთან არის გაიგივებული.⁶ ნათლისდების გამოსახულებები უკვე რომის კატაკომბების ფრესკებში (კალიქსტეს, IIIს., პეტრესა და მარცელინის, III-IVს.) და ადრექტისტიანულ მარმარილოს სარკოფაგებზე გვხვდება (სარკოფაგი Sainte-Qwitteria d'Aire-ის ეკლესიაში, IVს.,⁷ იუნიუს ბასუსის სარკოფაგი, 359წ.⁸). ამ თემის იკონოგრაფიული ტიპი V საუკუნეში ჩამოყალიბდა (მთის ბროლის გემა მეტროპოლიტენ მუზეუმში, ნეუ ვორკი, VI., სპილოს ძვლის ფირფიტა სახარების სცენებით ბერლინის მუზეუმებში, VI.).⁹ ნათლისდების ოემის განვითარებული რედაქციები VI საუკუნიდან ჩნდება (პალესტინური ამპულები,¹⁰ ბრინჯაოს საცეცხლურები,¹¹ კონსტანტინეპოლიური ოქროს მედალიონები¹²).

ბერიჯვრის ქვაჯვარაზე „ნათლისდების“ სცენა (17x20ს.მ.) წახნაგის მთელ არეზე, მოხარჩოების გარეშე არის გაშლილი. ბრტყელი ფიგურები გლუვ ფონზე აპლიკაციის მსგავსად იკვეთება. რელიეფი ფიგურების გარშემო ფონის ამოკვეთით არის შექმნილი. კომპოზიცია ორი ფიგურისაგან შედგება: მარცხნივ – წმ. იოანე ნათლისმცემელი, მარჯვნივ – ქრისტეს ნახევარუიგურა ემბაზში. მის თავს ზემოთ მტრედის დიდი გამოსახულებაა. მხატვრული ენის პირობითობისა და სქემატურობის მიუხედავად, კომპოზიციური სქემა ზუსტად არის გათვლილი. ერთმანეთან მჭიდროდ მიჯრილი ფიგურები სიმეტრიის წარმოსახვით დერძს ემორჩილება. მოქანდაკემ კარგად გაიაზრა სხვადასხვა ზომის ფიგურებით შედგენილი კომპოზიციის სტრუქტურა (იოანეს ფიგურა ქრისტეს ფიგურაზე ორჯერ

5 იხ. დმტრისმობლის სულის ამაღლების უნიკალური სცენა ბრდამორის ქვასვეტზე (კ. მაჩაბელი, ქართული ქვაჯვარები, თბ., 1998, გვ. 238-240).

6 კოპტურ კალენდარში ეპიფანია მოხსენიება, როგორც Dies Baptismus ab Immersio Domini (L. Réau, Iconographie de l'art chrétien, t. II, Paris, 1957, გვ. 297).

7 L. Réau, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

8 Age of Spirituality, Late Antique and Early Christian Art, ed. K. Weitzmann, New York, 1978, N. 386, გვ. 427-429.

9 იქვე, ნ. 395, გვ. 437-438; N. 406-407, გვ. 446-447.

10 A. Grabar, Les ampoules de Terre Sainte, Paris, 1958.

11 Age of Spirituality, N. 563,564, გვ. 626-627.

12 M. C. Ross, Catalogue of the Byzantine and Early Medieval Antiquities in the Dumbarton Oaks Collection, vol. II, Washington D.C. 1965, სურ. 36;

დიდია) და სიმეტრიის მისაღწევად ქრისტეს თავს ზემოთ გამოსახული მტრედის დიდი ფიგურის ვერტიკალურად გამოსახვით წმ. იოანე ნათლისმცემლის დიდი ფიგურისთვის გამარტინასწორებელი ფორმები შექმნა. „ნათლისდების“ კომპოზიციაში ქრისტე გამოსახულია ემბაზში, რომელსაც რომბული ორნამეტის ზოლით მოჩარჩოებული საკმაოდ სქემატურად შესრულებული დიდი ამოკაწრული ჯვარი ამკობს.

წმ. იოანე ნათლისმცემლის ფიგურა მჭიდროდ არის ჩაჭედილი კომპოზიციის ჩარჩოში: იგი ნიადაგის ზოლზე დგას და თავით მის ზემოთ განთავსებული მთავარანგელოზის რელიეფის ჩარჩოს ებჯინება. წმ. იოანე ფრონტალურად არის გამოსახული, მისი დიდი თვალების მზერა პირდაპირ მაყურებლისკენ არის მიპყრობილი. პროფილში გამოსახული ფეხის ტერფები მას კომპოზიციის ცენტრისკენ აქვს მიმართული. წმ. იოანე მარჯვენა ხელით ქრისტეს თავს ეხება, უხერხეულად მოხრილი მარცხენა ხელით კი ქრისტეს ზეაწეული მარჯვენა ხელი უკავია.

რელიეფების მხატვრულ-სტილურ მახასიათებლებს ქვემოთ შევეხები, მანამდე კი უნდა განვიხილო „ნათლისდების“ სცენის იკონოგრაფიული თავისებურებები. „ნათლისდება“ ბერიჯვრის ქვაჯვარაზე სახარების იმ სიუჟეტებს განეკუთვნება, რომლებიც ხშირად გვხვდება ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე (ბრდაძორის, უსანეოის, განთიადის ქავასვეტები, უალეთის სანათლავი, წებელის კანკელი).

ბერიჯვრის ნათლისდების იკონოგრაფიული სქემის სწორი ინტერპრეტაციისათვის ქართულ რელიეფებზე ამ თემის სხვადასხვა ვერსიას მოვიშველიებ. ირკვევა, რომ ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში სახარების ამ თემის რამდენიმე რედაქცია არსებობდა: ნათლისდება მდ. იორდანეში, ნათლისდება ემბაზში, ნათლისდება ორი მოქმედი პირის მონაწილეობით, ნათლისდება ანგელოზის თანხლებით და სხვ. ოსტატები ამ სცენისთვის მხატვრულ-თეოლოგიური პროგრამის შესაფერის ვარიანტს ირჩევდნენ. ამავე დროს, მოქანდაკის ხელთ არსებულ ნიმუშსაც ჰქონდა მნიშვნელობა. ქართულ რელიეფებზე ნათლისდების სცენებს, განსხვავებების მიუხედავად, ერთი საერთო ნიშანი ახასიათებს – ყველა ისინი სახარების ამ სიუჟეტის უმოკლეს, „არაისტორიულ“ რედაქციას გვთავაზობენ.

ბერიჯვრის რელიეფზე ყრმა ქრისტე ემბაზში ინათლება. ლუკას სახარებაში ნათქვამია, რომ ნათლისდების დროს „...თავადსა იქსეს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდათესა წელსა...“ (ლუკ. 3,23). ადრექტისტიანული ხელოვნების ნაწარმოებებში ნათლისდების სცენაში ქრისტე ხშირად ჭაბუკად ან ყრმად გამოისახებოდა (სარკოფაგების რელიეფები, კატაკლმბების მოხატულობები). ფიქრობენ, რომ ადრექტისტიანულ ხანაში ნათლისდების სცენაში ყრმა ქრისტეს გამოსახვა შობაზე მითითებასაც წარმოადგენდა და ორ დიდ მოვლენას – შობას და ნათლისდებას აერთიანდებდა. ყრმა ქრისტეს გამოსახვას სხვა ახსნაც აქვს: ერთი მხრივ, ეს ნათლისდების აქტის სიმბოლური მნიშვნელობით იყო განპირობებული (ნათლისდება – ახალი სიცოცხლის მინიჭება, ქრისტეს დვთაებრივი ბუნების პირველი გამოცხადება). მეორე მხრივ, იგი ბავშვების ჩვილ ასაკში მონა-

თვლის ქრისტიანულ ტრადიციას უკავშირდებოდა. უნდა გავიხსენოთ, აგრძელებული რომ ქრისტიანულ რწმენასთან ზიარების მსურველი ლიტურგიაში pueri, infantes (ლათ. ჩვილები, ყრმები) იწოდებოდნენ.¹³ ნათლისლების ემბაზში გამოსახვა ლიტურგიის ზეგავლენითაც შეიძლება აიხსნას.

ქვაჯვარების სვეტებზე სახარების სცენების გამოსახვასთან დაკავშირებით არაერთხელ აღმინიშნავს ქართველი ოსტატებისთვის სირია-პალესტინური საეკლესიო ნივთების ნიმუშებად გამოყენების მნიშვნელობა.¹⁴ საქართველოში დღემდე არის შემონახული სირიული ხელოვნების ნიმუშები, მათ შორის ვერცხლის კათხა უშეულიდან სახარების სცენებით (VIIს.), სადაც ნათლისლების ორი რელიეფური კომპოზიცია არის წარმოდგენილი. ერთ-ერთ მათგანზე ქრისტე იორდანეში ინათლება, მეორეში – ემბაზში.¹⁵ ნათლისლება ემბაზში გამოსახულია საქართველოში დაცულ ბრინჯაოს საცეცხლურებზეც. თითქმის ყველა მათგანზე ნათლისლების მარტივი კომპოზიციური სქემა არის გამოყენებული – პირობითად მონიშნულ ემბაზში ქრისტეს მცირე ზომის ფიგურა მხრებამდე არის გამოსახული, მის მარცხნივ – წმ. იოანეა, მარჯვნივ – ანგელოზი. ყველა საცეცხლურზე ნათლისლების სცენის ცენტრში ქრისტეს ზემოთ გამოსახულია მტრედი – სული წმინდა.¹⁶ ბრინჯაოს საცეცხლურებზე, რომელთა რელიეფები განსაკუთრებული პირობითობით ხასიათდება, ნათლისლების სცენაში ემბაზი უმარტივეს ბლოკურ ფორმაზეა დაყვანილი.

ბერიჯვრის კომპოზიცია თავისი იკონოგრაფიით – ნათლისლება ემბაზში – ახლოა ანალოგიურ სცენასთან უსანეოის ქვაჯვარაზე (VIII-IXსს.). ორივეგან ამ სცენის უმოკლესი ვერსია არის წარმოდგენილი, ოღონდ უსანეოის რელიეფში ანგელოზის ფიგურა არის დამატებული.¹⁷

ბერიჯვრისა და უსანეოის ნათლისლების რელიეფებში გარკვეული იკონოგრაფიული თანხვედრაა: ყველა ფიგურა მკაცრად ფრონტალურია; ორივე შემთხვევაში, უძველესი ტრადიციის მიხედვით, მარცხნივ წმ. იოანე ნათლისმცემელია, მარჯვნივ – ქრისტე; ანალოგიურია ფიგურათა მასშტაბური შეფარდება (სანათლავში წელზემოთ გამოსახულ ქრისტეს პატარა ფიგურასთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია იოანეს ფიგურა); ორივე რელიეფზე ქრისტე უშარავან-

13 L. Réau, დასახ. ნაშრ. გვ. 297.

14 კ. მაჩაბელი, ქართული ქრისტიანული ხელოვნების სათავეებთან, თბილისი, 2014, გვ. 26-36;

15 Г. Н. Чубинашвили. Сирийская чаша в Ушгуле: Вестник Гос. Музея Грузии, XI-В, Тб., 1941, გვ. 1-19; სირულ კათხაზე სახარების შემდგენ სცენებია გამოსახული: „მობა”, „ნათლისლება იორდანეში“ და „ნათლისლება ემბაზში“, „იერუსალიმში შესვლა“. ნათლისლების ერთ სცენაში წელიამდე გამოსახული ქრისტე ნათელს ემბაზში იღებს. სცენას ანგელოზიც ესწრება. ქვის რელიეფზე სქემატურად გამოსახული ემბაზისაგან განსხვავებით, სირულ კათხაზე ემბაზის ფორმა იპყრობს ფერადდებას. ოსტატი შეეცადა ექვსწენაგა ემბაზის რეალური ფორმის ჩვენებას, რისთვისაც ამ პირობით გამოსახულებაში პერსპექტივის ელემენტიც გამოიყენა. გულდასმით არის დამუშავებული ემბაზის საფასადო წახნაგის ორნამენტული ელემენტები – გრეხილი სვეტების მსგავსი ვერტიკალური ნაწილები.

16 კ. მაჩაბელი, ბრინჯაოს საცეცხლურები საქართველოში: ხელოვნება, N6, 1991, თბ., გვ. 43-58; idem, სვანეთის საგანძურიდან, თბ., 1982, გვ. 74-89.

17 კ. მაჩაბელი, ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, ტაბ. 49.

დოდ არის გამოსახული, თავთან მკაფიოდ მოჩანს ჯვრის სამი მკლავი. ჯვრულ ნიმბზე ამგვარი მინიშნება ხშირად გვხვდება ადრექრისტიანულ რელიეფებზე. ქრონლოგიურად საკმაოდ დაშორებულ და მხატვრულად განსხვავებულ ამ კომპოზიციებში ფიგურათა ურთიერთმიმართება უკიდურესი პირობითობით გამოიჩევა, მაგრამ ოსტატები გარკვეული მინიშნებებს აკეთებენ (მაგ. წმ. იოანეს მხრებამდე ჩამოშვებული გრძელი თმის სქემატური აღნიშვნა და სხვ.).

ადსანიშნავია ბერიჯვრისა და უსანეოის რელიეფებზე წმ. იოანე ნათლისმცემის ჟესტების გადმოცემის თავისებურება. ბერიჯვრის ნათლისძებაში ფრონტალურად მდგომი წმ. იოანე მარჯვენა ხელით ქრისტეს თავს ეხება. ხელის კუთხოვანი ფორმა გრაფიკულად დამუშავებული სამოსის ფონზე დამატებით სიბრტყეს ქმნის. ასეთივე წმ. იოანეს მარჯვენა ხელის ჟესტი უსანეოის რელიეფზე. ყურადღებას იპყრობს მარცხენა ხელის „გაუგებრად“ გადმოცემული ფორმა, რომლითაც წმ. იოანეს ქრისტეს ხელი უკავია (ამ სცენისთვის სრულიად უჩვეულო დეტალი). წმ. იოანეს შეუფერებლად პატარა, მკერდთან მიტანილი მარცხენა ხელის მიმართულება იმეორებს ჟესტს, რომლითაც იგი მოსახსამის კალთას იკავებს ნათლისძების კანონიკურ კომპოზიციებში.

ნათლისძების უმოკლესი ვერსია, მხოლოდ წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ქრისტეს ფიგურებით, გამოსახულია ბრდაძორის ქვაჯვარას სვეტზეც (VIIს.),¹⁸ ოდონდ იქ ნათლისძება იორდანები ხდება. ამგვარადვე, მხოლოდ ორი ფიგურით არის გადმოცემული ეს დღესასწაული დმანისთან აღმოჩენილ ქვაჯვარაზე (VI-VIIIს.).¹⁹ ნათლისძების სხვა ქართული რელიეფისაგან განსხვავებით, დმანისის კომპოზიცია ყველაზე ლაკონიურია. აქ არ არის მინიშნება არც მდინარე იორდანეზე, არც ემბაზზე. სიუჟეტის ამოცნობა მხოლოდ გარკვეული იკონოგრაფიული ნიშნებით შეიძლება: მარჯვენა დიდი ფიგურა, მხრებზე დაფენილი გრძელი თმით, წვერით, გრძელი, კოჭებამდე სამოსლით, პოზითა და ჟესტით, რომლითაც იგი პატარა ფიგურის თავს ეხება, წმ. იოანე ნათლისმცემელია. მის მარჯვნივ ფრონტალურად მდგომი პატარა ფიგურა კი ქრისტეა.

როგორც ითქვა, ბერიჯვრის ნათლისძების სცენაში ქრისტეს თავს ზემოთ მტრედია გამოსახული. რელიეფური კომპოზიცია სახარებისეული თხრობის ზუსტი ილოუსტრაციაა: „და გარდამოხდა სული წმიდაი ხორციელითა ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა“ (ლუკ. 3,22). მტრედის პოზიცია ბერიჯვრის სცენაში განსაკუთრებულია. სხვა ქართული რელიეფისაგან განხვავებით, მტრედი კი არ ეშვება ზემოდან თავდაღმა, არამედ თავაწეული ორივე ფეხით დგას შარავანდის ჯვრის ზედა მკლავზე. ეს დეტალიც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ოსტატები ნიმუშების განმეორების დროს ზოგიერთი დეტალის თავისებურ ინტერესებიციას იძლეოდნენ. ქრისტეს და ნათლისმცემლის ბრტყელი ფიგურებისაგან განსხვავებით, მტრედის სხეული და ფრთები საკმაოდ მოცულობითად არის გადმოცემული. მტრედის მკერდი ჩაკაწრული რომბული ბადით არის დაფარული (ბუმბულის გრაფიკული იმიტაცია).

18 იქვე, ტაბ. 23.

19 კ. მაჩაბელი, ქვაჯვარა ადსაყდრებული დმრთისმშობლის გამოსახულებით: ადრექრისტიანული კომპლექსი დმანისიდან, თბ., 2012, გვ. 55-82.

ბერიჯვრის ქვაჯვარას მომიჯნავე წახნაგზე „ჯვარცმა“ არის გამოსახული. წმინდა ისტორიის ეს ყველაზე დრამატული, კულმინაციური სცენა ასევე უმოკლესი რედაქციით არის გადმოცემული. ცენტრში გამოსახული კოლობიუმით მოსილი ქრისტეს დიდი ფიგურა, დაგრძელებული სილუეტითა და ჰორიზონტალურად გაშლილი მკლავებით, ავაზაკთა ორი სიმეტრიული ფიგურით არის ფლანკირებული. ჯვარცმულ ქრისტესა და ავაზაკთა უკან ჯვრები არ ჩანს. ავაზაკებს ხელები ზურგს უკან აქვთ გაკრული. იმისათვის, რათა უკეთ გავერკვეთ ჯვარცმის ადრეული ქართული ვერსიის თავისებურებებში და განვსაზღვროთ მისი ადგილი ქრისტიანული იკონოგრაფიის საერთო ევოლუციაში, აუცილებელია განვიხილოთ ჯვარცმის სხვადასხვა იკონოგრაფიული ვერსია.

ჯვარცმის თემა ფიგურული სახით ხელოვნებაში V საუკუნიდან ჩნდება. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჯვარცმა სიმბოლური სახეებით გადმოიცემოდა (მისტიკური კრავი, ჯვარი, ქრისტეს ბოჟსტი ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე). მხოლოდ კონსტანტინეპოლიში 692 წელს ჩატარებულმა ე.წ. ტრულის საეკლესიო კრებამ (Quinisexto) ეკლესიებში ქრისტეს კრავის სახით გამოსახვა ოფიციალურად აკრძალა და მისი „კაცებრივი ბუნებით“ წარმოდგენა დაადგინა (კანონი 82).²⁰

ჯვარცმის გამოსახულებები ფართოდ გავრცელდა V-VII საუკუნეების ხელოვნებაში, თუმცა ჩვენამდე ისინი არც ისე მრავლად შემორჩა. ჯვარცმის ყველაზე ადრეული რელიეფური გამოსახულებებია ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ სპილოს ძვლის კოლოფზე (Vს.),²¹ წმ. საბინას ეკლესიის ხის კარზე (რომი, VIIს.)²² და სხვ. ჯვარცმის სამფიგურიანი მოკლე ვერსია ადრეულ ქრისტიანულ ძეგლებზე გვხვდება, ოდონდ იქ ჯვარცმულის გვერდებზე დმრთისმშობელი და წმ. იოანე არიან გამოსახული (სპილოს ძვლის კოლოფი ლონდონში, ფიესკო-მორგანის რელიკვარიუმი),²³ Santa Maria Antiqua, თეოდორუსის კაპელის მხატვრიბა²⁴). ბერიჯვრის ჯვარცმის სამფიგურიან კომპოზიციაში ჯვარცმული ქრისტეს გვერდებზე ავაზაკები არიან გამოსახული.

ჯვარცმის სცენაში ავაზაკთა ფიგურების შეყვანა აღმოსავლური, სირიულ-პალესტინური გავლენებით არის განპირობებული. ჯვარცმის კომპოზიციებში ავაზაკებია ჩართული ზოგბას სირიულ მონასტერში შექმნილ რაბულას სახარების მინიატიურაზე (586წ. Laurenziana. Firenze),²⁵ პილიგრიმულ მოხატულ კოლოფ-

20 ტრულის კრება. კანონი 82: „...რათა ფერწერის ხელოვნებამ ყველას თვალწინ წარმოაჩინოს სრულყოფილება, გბრძანებ ამიერიდან სოფლის ცოდვების ამღები კრავის, ჩვენი ქრისტე დმეტოს სახე ხატებზე გამოისახებოდეს კაცობრივი ბუნებით ძველი კრავის ნაცვლად და მისი ჭვრებით აღვიქვამდეთ სიტყვა დმეტოს სიმდაბლეს, ვინეხებდეთ მის ხორციელ მოდვაწეობას, ვნებასა და მაცხოვნებელ ჯვარცმას და ამ სახით მის მიერ სოფლის სიკვდილისგან გამოხსნას“. (დოგმატურ-ისტორიული საკითხები, შემდგენელი. გრ. ოუხაძე, თბ., 1994, გვ. 28; ლ. ა. უსენსკი, Богословие иконы, М., 1989, გვ. 61-69).

21 W. V. Folbach, Elfenbeinarbeiten der Spätantike und das frühen Mittelalter, Mainz, 1976, N. 115.

22 R. Delbrueck, Notes on the Wooden Doors of S. Sabina: Art Bulletin, 34 (1052), გვ. 139-145.

23 K. Wessel, Byzantine Enamels, Greenish, Con, 1967, N.5.

24 G. Schiller, Iconography of Christian Art, vol.II, London, 1972, გვ. 94, 100, ხას. 328.

25 K Weitzmann, Loca Sancta and representational arts of Palestina; DOP, 28 (1974), ხას. 21.

-რელიგიური მხედვები (დაახლ. 600წ. ვატიკანი, Museo Sacro),²⁶ მონცას ამპულებზე²⁷ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ენკაუსტიკურ ხატზე (VIIIს.).²⁸ როგორც ჩანს, ქართველ ოსტატებს ხელთ პქონდათ აღმოსავლურქრისტიანული ცენტრული დიდან ჩამოგანილი ნიმუშები და რელიეფური კომპოზიციების შექმნისას ისინი სიუკეტების დოგმატური მნიშვნელობით ხელმძღვანელობდნენ.

ავაზაკთა გამოსახულებებში ორი ტიპია გავრცელებული: ავაზაკები ჯვრის მკლავებზე მიჭედებული ხელებით (რაბულას სახარება, წმ. საბინას ხის ქარი) და უფრო იშვიათი – ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების უკან გადაჭდობილი, ზურგს უკან გაკრული ხელებით (მონცას ამპულები, წმ. ეკატერინეს მონასტრის ხატი). ქართულ რელიეფური ზერსია გვხვდება: ბერიჯვრის რელიეფზე ავაზაკებს ხელები ზურგს უკან აქვთ გაკრული, საცხენისის ქვასვეტის რელიეფზე (VIIს.) ავაზაკები ჯვრის ჰორიზონტალურ მკლავებზე მიჭედებული ხელებით არიან გამოსახულნი.²⁹ საგულისხმოა, რომ წებელდის კანკელის ერთ-ერთ ფილაზე (VII-VIIIსს.) ჯვარცმის სცენაში ჯვარცმული ავაზაკების სხვაგვარ პოზიციას ვხედავთ: მათ ხელები ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების უკან აქვთ გადაგრეხილი და მკერდის წინ შეკრული (სცენა ხუთფიგურიანია).³⁰ ამგვარადვე არიან გამოსახულნი ჯვარცმული ავაზაკები ჯვარცმის კომპოზიციაში საბერების მდვიმური ეკლესიის (N5) სამხრეთი კედლის ფრესკაზე (IX-Xსს.).³¹ ჯვარცმის ეს კომპოზიციები ადრეული შეა საუკუნეების ქართველ ოსტატთა მიერ იკონოგრაფიული სქემების გამოყენების ფართო დიაპაზონის მაჩვნებელია.

ბერიჯვრის ქვაჯვარაზე შემონახული ჯვარცმის რელიეფურ კომპოზიციას ფიგურათა ფრონტალურობა და იერატიულობა გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობის ხაზგასმას ემსახურება. ქართველი ოსტატი ამ თემის ერთგვარ აბსტრაგირებას ახდენს. ამგვარ მხატვრულ პოზიციას ვხედავთ ადრექრისტიანული ხელოვნების ქმნილებებში, სადაც ლაკონიურ პლასტიკურ მატყველებას, პერსონაჟთა რაოდენობის მაქსიმალურად შემცირებასა და სცენების სიმბოლური არსის ხაზგასმას ვხედვებით. ამ ნიშნებით ბერიჯვრის ჯვარცმის რელიეფური სცენა ამ საუკეტის უძველეს ნიმუშებს განეკუთვნება. მკაცრ სიმეტრიაზე დამყარებული კომპოზიციის მკაფიო სქემა, მინიმუმადე დაყვანილი ფიგურების სქემატური, სიბრტყობრივი ხასიათი, ყოფითი და თხრობითი დეტალების უარყოფა სცენას უმარტივეს ფორმულად აქცევს. ჯვარცმა წარმოდგენილია არა

26 O. M. Dalton, Early Christian Art, Oxford, 1925, გვ. 122-123, ნაბ. 129.

27 A. Grabar, დასახ. ნაშრ. N. 5, 6, 8, 9, 10, 11.

28 K. Вейцман, M. Хацидакис, K. Миятев, C. Радойчич, София-Белград, 1967, გაბ. 6.

29 ქ. მაჩაბელი, ადრეული შეა საუკუნეების ქართველი ქვაჯვარები, გაბ. 29.; K. Machabeli, Remarques sur l'iconographie de la Crucifixion sur les stèles géorgiennes du haut Moyen Age: Byzantion, t. LXX, Bruxelles, 2000, გვ. 91-104.

30 P. O. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 62-69, გაბ. 2; დ. აინალივი წებელდის ქანკელის ჯვარცმის სცენის აღნიშნულ დეტალებში ადრეული იკონოგრაფიის ნიშნებს ხედავს და მათ ქრისტიანობის აღმოსავლურ ცენტრებს უკავშირებს (Д. В. Айналов, Некоторые христианские памятники Кавказа: Археологические известия и заметки, т. III, вып. 7-8, М., 1895, გვ. 243).

31 T. Шевякова. Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тб., 1983, გაბ. 35.

როგორც ისტორიული სცენა, არამედ როგორც განზოგადებული, სიმბოლური გამოსახულება, რომელიც „ასახავს თეოლოგიურ ცნებებს, თაყვანისცემის, რწმენის სპეციფიკურ ფორმებს“.³² არ არის მინიშნება აღგილზე, ან ამბის დამსწრე პერსონაჟებზე (შეად. წმ. საბინას კარის ჯვარცმის რელიეფის ფონზე გულდასმით გადმოცემული აგურის გალავნის გრაფიკული ნახატი; პილიგრიმულ ფერწერულ რელიევარიუმზე ჯვარცმის სცენა გოლგოთის მთის სილუეტითა და სხვადასხვა პერსონაჟებით; რაბულას სახარებაში ჯვარცმის მრავალფიგურიანი, ორიარუსიანი მინიატურა – სირიული ნარატიული სტილის მკაფიო ნიმუში). ამ კომპოზიციის მკაფიო სტრუქტურა და მკაცრი სიმეტრია მორწმუნეთათვის სამყაროს წესრიგის ხილვად სახეს წარმოადგენდა.

ბერიჯვრის რელიეფის გარდა, როგორც აღინიშნა, ჯვარცმა საცხენისის ქვასვეტზეც არის გამოსახული (VII. II ნახევარი). ორივე კომპოზიცია ადრეული შუა საუკუნეების ხელოვნებისთვის ჩვეული სტრუქტურული მკაფიოებით და ლაკონიურობით გამოირჩევა. ბერიჯვრის ქვაჯვარა სტილური ნიშნებით შედარებით მოგვიანო ხანას მიეკუთვნება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს სცენა, უთუოდ, ერთნაირი ნიმუშიდან მომდინარეობს. საცხენისის ჯვარცმის სიმეტრიულად აგებული კომპოზიცია, ბერიჯვრის რელიეფის მსგავსად, უმარტივეს სქემაზეა დაყვანილი. საერთოა კომპოზიციური აგების პრინციპი – ცენტრში, ზუსტად სიმეტრიის დერძზე მდებარე ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა მთლიანად ავსებს კადრს და დომინირებს კომპოზიციაში. მკაცრ ვერტიკალს დამორჩილებული ჯვარცმულის ფიგურა თითქოს ჩარჩოშია ჩაჭედილი. აქაც ქრისტეს პორიზონტალურად გაშლილი მკლავების ქვეშ სიმეტრიულად ორი ჯვარცმული ავაზაკია გამოსახული, რომელთა ფიგურები ქრისტესთან შედარებით ორჯერ უფრო მცირე ზომისაა.

ჯვარცმის სცენაში მოქანდაკემ თავისებურად შეძლო სახარების თხრობის ხილულ პლასტიკურ ხატად ქცევა. სახარებათა ტექსტებთან ამ კომპოზიციის შეჯერება გვიჩვენებს, თუ როგორ აზროვნებდა ქართველი ოსტატი ჯვარცმის რელიეფური „ხატის“ შექმნისას. ჯვარცმის მრავალფიგურიანი სცენა მოქანდაკემ სამ პერსონაჟამდე დაიყვანა: ქრისტეს მკაფიოდ გამოკვეთილ ფიგურას აკომპანიმენტივით ეხმიანება მის „იმიერ და ამიერ“ მოთავსებული „ძვირის მოქმედთა“, „ავაზაკთა“ პატარა ფიგურები.

ქართულ რელიეფებზე ჯვარცმული ქრისტე ზომით მნიშვნელოვნად აღწმატება ავაზაკთა ფიგურებს. ქართველმა მოქანდაკეებმა ექსპრესიულ სახეობა შესაქმნელად ქარგად გამოიყენეს უძველესი აღმოსავლური ტრადიციიდან მოდინარე პერსონაჟთა ზომების იერარქიული გრადაცია. ამ ხერხით სცენებში განსაკუთრებული ეფექტი მიიღწევა, რაც აძლიერებს ემოციური ზემოქმედების ძალას. ამავე მხატვრულ ხერხს იყენებს ქართული და აღმოსავლურქრისტიანული ხელოვნება შემდგომშიც (იხ. ვერცხლის ჯვარი-რელიეფიკვარიუმი მარტვილი და სევადის ჯვარცმის გამოსახულებით, IXს.).³³

ბერიჯვრისა და საცხენისის ჯვარცმის კომპოზიციებს სხვა საერთო ნიშ-

32 A. Grabar, დასახ. ნაშრ. გვ. 55.

33 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გამ. 49-51.

ნებიც აქვს: ჯვარცმული ქრისტე ორივე რელიეფზე, პალესტინური ტრადიციის თანახმად, კოლობიუმით არის მოსილი. ბერიჯვრის რელიეფზე ქრისტეს გრძელსახელოებიანი კოლობიუმი მოსავს. რელიეფზე განირჩევა პარალელური ჩაჭრილი ხაზებით გადმოცემული ქსოვილის ნაკეცები, რომელთა დეკორატიული გრაფიკული ნახატი აძლიერებს სხეულის დემატერიალიზაციას და ავაზაკთა ბრტყელ, გლუვზედაპირიან სხეულებთან კონტრასტული შეპირისპირებით განსაკუთრებულ ვიზუალურ ეფექტს ქმნის.

კოლობიუმით მოსილი ჯვარცმული ქრისტეს უძველესი გამოსახულება არის რაბულას სირიული ხელნაწერის მინიატიურაზე. ამგვარად არის შემოსილი ქრისტე სირიულ-პალესტინური ხელოვნების ნაწარმოებებში. კოლობიუმი მოსავს ქრისტეს ჯვარცმის ფერწერულ ხაზზე წმ. ეკატერინეს მონასტერში სინის მთაზე (VIIIს.).³⁴ ეს ადრეული აღმოსავლურქრისტიანული ტრადიცია თავს იჩენს ქართული ხელოვნების ნაწარმოებებში (წებელის პანკელი, საბერების მღვიმური ეკლესიის კედლის მხატვრობა დავით გარეჯში). ბერიჯვრისა და საცხენისის ქასვეტების ჯვარცმის რელიეფზე ჯვარცმულების უკან არ ჩანს ჯვრის ფორმა. ქრისტეს თავს უკან გამოსახული ჯვარი ჯვრულ შარავანდზე მინიშნებას წარმოადგენს.

ჯვარცმის კომპოზიცია ბერიჯვრის ქვაჯვარაზე თემის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ჯვარცმის კომპოზიციის განსილვამ გვიჩვენა, თუ რომელ ვერსიას მიანიჭა უპირატესობა ქართველმა ოსტატმა. ამასთანავე გამოჩნდა, რომ ჯვარცმის სხვადასხვა ტიპებს შორის რთული ურთიერთობიმართვები არსებობს, რაც ართულებს იმ არქეტიპის დადგენას, რომელიც ხელთ ჰქონდა ქართველ მოქანდაკეს. ერთი რამ კი ცხადია – ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფში ქრისტიანული იქონოგრაფიის საერთო ეფოლდურია აისახა და გამოჩნდა ქართული ხელოვნების მჭიდრო ურთიერთობა მთელ ქრისტიანულ სამყაროსთან.

ბერიჯვრის ქასვეტის დანარჩენი რელიეფური კომპოზიციებიდან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი, რომელთაგან უნდა აღინიშნოს მთავარანგელოზის ფიგურა ნათლისძების სცენის ზემოთ, ჯვარცმის ქვემოთ სამფიგურიანი კომპოზიციიდან დარჩენილი ორი ფიგურის ფრაგმენტები და ორი დაზიანებული ფიგურა ქასვეტის ამოგეხილ წახნაგზე.

ქასვეტის დაზიანების შედეგად დარჩენილია მთავარანგელოზის თხელი, დაგრძელებული ფიგურა (სიმაღლე 21,5 სმ.), თავი მოტეხილია. სილუეტი მკაფიოდ იკვეთება პარალელური ჩაჭრილი ხაზებით დამუშავებული, სიმეტრიულად გაშლილი ფრთების ფონზე. ფრთების ზედაპირი ფიგურისკენ საგანგებოდ არის ჩაკვეთილი ანგელოზის სხეულის ფორმის საჩვენებლად. ნათლისძების სცენისაგან განსხვავებით, რომელიც ჩარჩოს გარეშე, წახნაგის მთელ სიბრტყეზე გაშლილი, ანგელოზის ვერტიკალურ ფიგურას ორი მხრიდან გეომეტრიულ-ფოთლოვანი ორნამენტის ფართო ზოლი აჩარჩოებს. გრძელი სამოსელი ანგელოზის ფიგურას მთლიანად ფარავს, მოჩანს მხოლოდ ერთმანეთთან მიჯრილი, პროფილში გამოსახული განზე გადგმული ტერფები. გულთან მიტანილ მარჯვენა ხელში ანგე-

34 K. A. Manafis, Treasures of the Monastery of Saint Katherine, Athens, 1990, ტაბ. 9.

ლოზს პატარა ჯვარი უკავია. რელიეფის ზედაპირის დაზიანების გამო ძნელდება დეტალების გარჩევა, მაგრამ ჩანს, რომ აქაც, ისევე, როგორც ნათლისდების სცენაში, ოსტატი სქემატურად გადმოსცემს ხელების ფორმას, სხეულის ნაკვებს.

ჯვარცმის ქვემოთ, სავარაუდოდ, სამფიგურიანი კომპოზიცია უნდა ყოფილიყო (იხ. სამფიგურიანი გამოსახულებები საცხენისის, ნაღვარევის, უსანეოთის, მამულას ქვაჯვარებზე).³⁵ მარცხენა ფიგურა წელზევით მოჩანს და კარგად განირჩევა გულთან მიგანილი სახარება. სხვა ქვაჯვარათა რელიეფური პროგრამების გათვალისწინებით, აქ უთუოდ მოციქულები უნდა ყოფილიყვნენ გამოსახულინ.

ქვასგეტის ყველაზე მეტად დაზიანებულ ჩრდილოეთ წახნაგზე ორი ფიგურის ნაწილებია შემორჩენილი. ამ კომპოზიციის შესახებ მსჯელობა რთულია, რადგან მისი მეტი ნაწილი განადგურებულია. სცენიდან შემორჩა სხვადასხვა ზომის ორი ფიგურა: მარცხენა, უფრო მაღალი ფიგურა ჩარჩოზე მდგარია გამოსახული. მისი თხელი, დაგრძელებული სილუეტი ანგელოზის ფიგურის ანალოგიურად არის გადმოცემული. მეორე, უფრო მომცრო ზომის პერსონაჟი შემაღლებულ სადგამზე დგას. რელიეფის ზედაპირის დაზიანების გამო შეუძლებელია იმ რელიეფური კომპოზიციის აღდგენა, მაგრამ ზოგიერთ აღრეულ ქართულ რელიეფთან შედარება საშუალებას გვაძლევს გარკვეულწილად განვსაზღვროთ მისი არსი. ერთი მათგანია VII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული წრომის ქვაჯვარას ფრაგმენტის რელიეფი გრიგოლ მამასახლისის შესაწირავი წარწერით, რომელთანაც ჩვენ რელიეფს, ფიგურების პოზიციების იდენტურობის გარდა, მხატვრულ-სტილური ნიშნებიც აკავშირებს: ბრტყელი რელიეფი, დამახასიათებელი პროპორციების მქონე, აპლიკაციის ებურად მკაფიოდ გამოკვეთილი ფიგურების ნატიფი სილუეტი, პარალელურ გრაფიკულ ხაზთა სისტემით ზედაპირის დეკორატიული დამუშავება.³⁶ ამ რელიეფებში გარკვეული კომპოზიციური მსგავსებაა. წრომის რელიეფზე ორი პერსონაჟი ბერიჯვრის ანალოგიურად არის გამოსახული. სამწუხაროდ, წრომის რელიეფს, ისევე, როგორც ბერიჯვრის აღნიშნულ კომპოზიციას, ზედა ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, რის გამოც შეუძლებელია ფიგურების თავების დამუშავებაზე მსჯელობა.

არ შევუდგები წრომის რელიეფის განხილვას, რადგანაც იგი დიდი ხანია, რაც მეცნიერთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და მისი წარწერისა და სიუჟეტების შესახებ არაერთი მოსახრება არსებობს (თ. ქორდანია, გ. ჩუბინაშვილი, ალ. ჯავახიშვილი, თ. ბარნაველი, ნ. ჩუბინაშვილი, ნ. შოშიაშვილი).³⁷ შევეხები წრომის რელიეფის მხოლოდ ორ პერსონაჟს, რომელთა პოზიცია ბერიჯვრის კომპოზიციის ფიგურათა ანალოგიურია. ესენია — ნიადაგის ზოლზე მდგომი მაღალი ფიგურა და მისგან მარცხენივ კუბურ სადგამზე გამოსახული უფრო მცირე ზომის პერსონაჟი. დღეს ძნელია ბერიჯვრის აღნიშნული კომპოზიციის იდენტიფიცირება, მაგრამ წრომის ფრაგმენტის მინარსის არსებული ანალიზი

35 კ. მაჩაბელი, აღრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, ილ. 30, 44, 47.

36 გ. ნ. ტუბაშვილი, ცომი, მ., 1969, ტაბ. 93-94.

37 წრომის სტელის მხატვრულ-ისტორიული ანალიზი და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვა მოცემულია ნ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში ხანდისის ქვაჯვარას შესახებ, ნ. გ. ტუბაშვილი, ხანდისი, თბ., 1972, ტაბ. 58, გვ. 80-85.

უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს წმინდა პერსონაჟებთან. არ არის გამორიცხული, რომ ბერიჯვრის კომპოზიციის ჩამოტეხილ ნაწილზე მომგებელთა ფიგურები ყოფილიყო გამოსახული (წრომის ანალოგიურად).

კომპოზიციის ამგვარი განსაზღვრის სისწორეს ადასტურებს ზედაზნის ფილა (VIIს.), რომლის რელიეფურ კომპოზიციაში სხვადასხვა დონის სადგამებზე მდგომი საეკლესიო მოღვაწეები და ვედრებით მუხლმოყრილი დამკვეთნი არიან გამოსახული. ³⁸ ზედაზნის ფილაზე მომგებლის ვედრება კომპოზიციის ზედა ნაწილში გამოსახულ ამაღლებულ ქრისტეს მიმართ არის აღვლენილი, მაგრამ სასულიერო პირთა განლაგების პრინციპი სავსებით შეესაბამება ბერიჯვრისა და წრომის რელიეფებზე ფიგურათა განთავსებას.

როგორც ვნახეთ, ბერიჯვრის რელიეფები VII საუკუნის ქართული პლასტიკური ხელოვნების დამახასიათებელი ნიშნებით არის აღმნიშვნილი. სტილის მახასიათებლებია ფიგურების ექსპრესიული დისპროპორციულობა, მათი სტერეოტიპულობა (თავების ოვალური ფორმა, თმის გამოსახვის მანერა, დამახასიათებელი ფორმის დიდი, ფართოდ გახელილი, პირდაპირ მომზირალი თვალები), მკაცრი სიმეტრია და ფრონტალურობა, პლასტიკური მოცულობის „ბრტყელ ფორმად“ გარდაქმნა. ქართული პლასტიკური ხელოვნების ადრეული ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილის აღნიშნული თავისებურებები, შესაძლოა, იმავდროულად ამ პერიოდის რეგიონალური (შიდა ქართლის) მხატვრული ცენტრის ან სახელოსნოს გამორჩეულ ნიშნებადაც მოვიჩნიოთ.

Kiti Machabeli

Stone Cross Pillar from Berijvari

The present article deals with a fragment of stone cross pillar found in 1985 near the village Berijvari, which belongs to the early Christian times. The fragment later was used as a window top and therefore is heavily damaged. The most part of the pillar with relief carving is lost. Today we have only two compositions – the Baptism and the Crucifixion, representation of the Angel and small fragments of other figures. The both compositions are supplied with inscriptions executed in ancient Georgian script “asomtavruli”, which are partially preserved.

The relief compositions of Berijvari stone cross follow the iconographic tradition of 6th-7th century Palestinian liturgical art – pilgrim ampulae, bronze censers and Byzantine ivory relief panels. At the same time, the treatment of forms and technical features of fragments under discussion demonstrate stylistic affinities to the 7th century Georgian stone reliefs (i.e. fragments of relief from Tzromi, fragments of relief panel from Zedazeni).

38 А. И. Вольская, Рельефная плита из Зедезенского монастыря: Ars Georgica, 8, Тб., 1979, გვ. 91-106, ფა. 47.



სურ. 1. ბერიჯვრის ქვაჯვარა.
დასავლეთი წახნაგი



სურ. 2. ბერიჯვრის ქვაჯვარა.
სამხეთი წახნაგი



სურ. 3. ბერიჯვრის ქვაჯვარა.
ჩრდილოეთი წახნაგი



სურ. 4. ნათლისლება.
ბერიჯვრის ქვაჯვარა




სურ. 5. ნათლისდება. უშგულის თახი



სურ. 6. ნათლისდება.
ბრინჯაოს საცეცხლური



სურ. 7. ნათლისდება. უსანეთის ქვაჯვარა



სურ. 8. ნათლისდება.
ბრდაძორის ქვაჯვარა



სურ. 9. ნათლისდება.
დმანისის ქვაჯვარა



სურ. 10. ჯვარცმა.
ბერიჯვრის ქვაჯვარა



სურ. 11. ჯვარცმა.
საცხენისის ქვაჯვარა



სურ. 12. წრომის სტელა

- გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
 ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

გველდესის კანკელის დაკარგული ფილის იკონოგრაფია*

გველდესის კანკელის რელიეფები IX საუკუნის დასაწყისის ქართული ქვის პლასტიკის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც როგორც იკონოგრაფიითა და დრმად მისტიკური, აბსტრაქტულ ნიშნებამდე დაყვანილი გამოსახულებებით გამოირჩევა.¹

წინა საუკუნის დამდევს კანკელის ქვები გველდესიდან (კასპის მუნიციპალიტეტი) ქართული ხელოვნების მუზეუმში გადაუტანიათ.² კანკელი არასრული სახითაა შემორჩენილი და ჩვენამდე მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი რელიეფიანი ფრაგმენტების სახით მოაღწია, რის გამოც მისი მთლიანი იკონოგრაფიული პროგრამის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ერთი, შინაარსობრივად ყველაზე მეტად დატვირთული და თავის თავში დასრულებული ფილის იკონოგრაფიული ანალიზით შემოვიყარგდებით. ჩვენდა სამწუხაროდ, ზუსტად ეს ქვა დაიკარგა XX საუკუნეში მუზეუმის სხვა შენობაში გადასვლის დროს³ და ამჟამად მხოლოდ რ. შემცრლინგის მიერ გამოქვეყნებული ფოტოთია ცნობილი.⁴

ფილაზე ფართო ორნამენტირებული არშიით გარშემოვლებული მრავალ-

* სტატია მოზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის („შეა საუკუნეების ქართული ქანდაკება“) ფარგლებში.

1 სამეცნიერო ლიტერატურაში კანკელს პირველად გ. ჩუბინაშვილი შექმნა და რელიეფები VIII-IX სს-ით დაათარიღა: გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ., 1936, გვ. 211, ტაბ. 165; ყველაზე კრიტიკულ გველდესი რ. შემცრლინგის ფუნდამენტურ ნაშრომშია განხილული, რომელშიც მკლევარი სრულებით ეთანხმება გ. ჩუბინაშვილის დათარიღებას და კანკელის იკონოგრაფიულ და სტილისტურ ანალიზს გვთავაზობს: Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, гв. 69-7; 6. ჩუბინაშვილი მოკლედ აღწერს ქველის რამდენიმე ფრაგმენტს „ხანდისი“-ს ანოტაციებში: Н. Г. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972, გვ. 113-114, ტაბ. 85-86, 87(2); კანკელი მოხსენიებულია 6. ალადაშვილის გარდამავალი კპოქის რელიეფებისადმი მიძღვნილ წერილში: 6. ალადაშვილი, VIII-IX საუკუნეების ქაზე კვეთილი რელიეფების აღგილი შეა საუკუნეების ქართული სკულპტურის განვითარებაში. საქართველოს სიძეველენი, 7-8, თბ., 2005, გვ. 52; გველდესის ტრაპეზუები გამოკვეთილი ორნამენტის სემანტიკა გარჩეულია ა. ოქროპირიძის ნაშრომში: ა. ოქროპირიძე, ვაზი – სიცოცხლის ხე (კრებული), თბ., 2010, გვ. 18; მას ეძღვნება სამხატვრო აკადემიის აურსდამთავრებულის, ე. პვიციანის სადიპლომო ნამუშევარი, რომელშიც რელიეფების იკონოგრაფიული და სტილისტური გარჩევის გარდა, კანკელის რეკონსტრუქციის მცდელობაც არის შემოთავაზებული: ე. კვიციანი, გველდესის კანკელის რელიეფები, (სადიპლომო ნაშრომი), თბ., 1997; გველდესის რამდენიმე მაღალხარისხის ფრაგმენტის შეა საუკუნეების ქართული საექლესით ხელოვნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ გამოცემულ ალბომში: შეა საუკუნეების ქართული საექლესით ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბ., 2012, გვ. 17, 34-35.

2 Р. О. Шмерлинг, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

3 იქვე, გვ. 71.

4 იქვე, ტაბ. 4(1).

ფიგურიანი ორიარუსიანი სცენაა გაშლილი (სურ.1). ქვედა რიგში, კომპოზიციის სიმეტრიის დერძხე „ჯვარცმის“ მოკლე რედაქციას ვხედავთ. კოლობიუმით შემოსილი, უშარავანდო⁵ მაცხოვარი ფართოდ გახელილი თვალებით არის გამოსახული და სხეულის ფორმით ზუსტად იმეორებს ჯვრის მოხაზულობას, მას ტანჯვის ნატამალიც არ ეტყობა, რაც დამახასიათებელია ადრეკრისტიანული ხელოვნებისათვის. ჯვრის ორსავ მხარეს ტერფებით ცენტრისკენ მიმართული ორი ხელაპყრობილი შარავანდმოსილი პერსონაჟია.⁶ მათ საქმაოდ მოკლე (ოდნავ მუხლებს ქვემოთ) სამოსი მოსავთ, მხოლოდ მარჯვნა ფიგურის კაბა „ლილების“ ვერტიკალური რიგითაა გართულებული (მსგავსი „ლილებიანი“ შესამოსელია ამავე კანკელის ერთ-ერთ სკეტჩებ ადსაყდრებული მაცხოვრის გამოსახულებით). კომპოზიციის კიდეებში – მარცხნივ ვხედავთ მაფორიუმიანი ყრმიანი ქალების ორ განიერ ფიგურას, რომელსაც ეპასუხება მარჯვნივ გამოკვეთილი შედარებით უფრო ვიწრო პროპორციების მქონე სამი გამოსახულება, რომელნიც ტერფებით არა მაცხოვრისკენ, არამედ საწინააღმდეგო მხარეს, რელიეფის ნაპირისკენა მობრუნებული.

ზედა იარუსის ცენტრალურ არეზე (რომელიც საგრძნობლადაა აცდენილი სიმეტრიის დერძს და მარჯვნივად გადაწეული) ერთმანეთისკენ მიმართული ორი ფარშევანგისა და ანგელოზების კომპოზიცია განთავსებული. მარცხნივ სამი ფრონტალური ფიგურაა, მარჯვნივ ერთი, რაც სცენის ასიმეტრიულობას კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. პერსონაჟთა ტერფები ცენტრისკენაა მობრუნებული და მხოლოდ სამფიგურიანი ჯგუფის განაპირა გამოსახულება ერთმანეთზე მიდგმული ქსელებით არის მოცემული და ვიზუალურად კეტავს კომპოზიციას.

ატექტონიკურობა, ასიმეტრიული წყობა სცენას დინამიკურობას ანიჭებს. გამოსახულებებით მჭიდროდ, „ხალიჩისებრად“ შევსებული სიბრტყე, შიდა არშიის ტალღოვანი ორნამენტი, იარუსების გამყოფი ოდნავ უსწორმასწორო ხაზი ზედაპირს ცოცხალ, მოძრავ ხასიათს სძენს, გარე ჩარჩოს მკაცრად გეომეტრიული, მართკუთხა მოხაზულობა კი თითქოს გარედან კრავს, აწესრიგებს მას. ცალკეული მოვლენების ამსახველი სიუჟეტები ერთ საერთო კომპოზიციაში ისეა გაერთიანებული, რომ მნახველი მას ერთი შეხედვით, დათვალიერების გარეშე აღიქვამს. ეს შთაბეჭდილება მიღწეულია, როგორც კომპოზიციური ხერხებით (სცენები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არ არის), ასევე იკონოგრაფიის სინთეზური ხასიათის საშუალებით, როდესაც სივრცეში ნაჩვენები პერსონაჟები მხოლოდ ტერფთა და ხელთა მიმართულებებით არიან დაკავშირებულნი (ყველა ფიგურა ფრონტალურია) და სახარებისეულ სცენათა თანმიმდევრობაზე მიანიშნებენ.

ქვედა იარუსის ჯვარცმული ქრისტეს გამომხატველი კომპოზიცია ცენტრალურია და არა მხოლოდ სიმეტრიული განლაგებით, არამედ ჯვრის გარშემო დატოვებული თავისუფალი სივრცის მეშვეობითაა ხაზგასმული. თხრობა, როგორც

5 უშარავანდოდ წარმოდგენილი ქრისტეს გამოსახულებები იშვიათია ქრისტიანულ ხელოვნებაში და V საუკუნეში რომის წმ. საბინას ეკლესიის ხის კარებზე გვხვდება: G. Schiller, Iconography of Christian Art, V. 2, New York, 1972, გან. 326.

6 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შარავანდი კანკელის უკლებლივ ყველა დანარჩენ ფიგურას ადგას, მათ შორის მაცხოვარსაც ერთ-ერთ ფრაგმენტზე გამეორებული ჯვარცმის სცენაში.

ჩანს, ქვედა ზონის მარცხენა ნაწილიდან იწყება, მარჯვნისკენ ვითარდება და ზედა რეგისტრის მარცხენა კიდეში სრულდება.

ამგვარად, გველდესის იკონოგრაფიული ჩანაფიქრის ამოკითხვა ჩვილებდ ქალთა ორფიგურიანი სცენიდან უნდა დავიწყოთ. ორივე გამოსახულება დმრთისმშობლის იკონოგრაფიითაა მოცემული. განსხვავდება მხოლოდ ყრმათა პოზები. პირველ შემთხვევაში დედა ეხუბება მის კალთაში მწოლიარე ჩვილს (მისი გამოსახულება ძველ ფოტოზე ცოტა გაურკვევლად იკითხება, თუმცა ჩანს, რომ ის ხელაპყრობილად არის მოცემული), მეორე რელიეფი მჯდომარე ყრმას ორანტას პოზაში წარმოგვიდგენს. მსგავსი იკონოგრაფიული სქემა (ოდონდ სხვა კონტექსტში ჩასმული) გვხვდება სანტა მარია ანტიკვას ეკლესიის გვერდითი ნავის ფრესკაზე (რომი; VIII ს.), რომელზედაც გვერდიგვერდ წარწერებით იდენტიფიცირებული სამი ჩვილები ქალის ფიგურაა გამოხატული – შუაში დმრთისმშობელი ყრმით და მის აქეთ-იქით წმ. ანა პატარა მარიამითა და ელისაბედი წმ. ოოანე ნათლისმცემლით ხელში.⁷ გველდესის ფილაზეც დმრთისმშობლისა და ელისაბედის გამოსახულებები უნდა ვივარაუდოთ. პირველი ფიგურა, ჩვენი აზრით, დმრთისმშობელს ასახავს. ის საკმაოდ ახლოს დგას „ხარების“ ორიგინალური რედაქციის გამომხატველ წინარეხის რელიეფურ ფრაგმენტთან (გარდამავალი ხანა; საქართველოს ეროვნული მუზეუმი) (სურ.2) – მსგავსია ჩვილთა დაჭერის მანერა, ყრმა იქსოს ხელების მდგომარეობა. ორივე ძეგლი ურთი პერიოდისაა და შორეულ გამომახილს კოპტურ სკულპტურაში პოვებს (მაგალითად, „ელეუსას“ ტიპის ეგვიპტური ქანდაკება ბალტიმორიდან, IX ს.; ვოლტერსის ხელოვნების გალერეა).⁸ ამ შემთხვევაში გველდესშიც ძირითადი დოგმატური მახვილი დედობრივ სიყვარულსა და მსხვერპლის იდეას ესმის. აზრობრივად ამ სცენას პირდაპირ „ჯვარცმასთან“ მივყავართ. მეორე გამოსახულებაში ჩვენ ელისაბედი და ხელაპყრობილი წმ. ოოანე ნათლისმცემელი უნდა ამოვიცნოთ.

გველდესის კანკელის პროგრამა არ გვთავაზობს კანონიკურ ისტორიულ თხოობას და ძირითადად განზოგადებულ და ლაკონიურ ფორმულებს შეიცავს. „ჯვარცმის“ წინ მარიამისა და ელისაბედის შეხვედრის ერთგვარი რედაქციის განთავსებით უფლის განკაცებისა და ხსნის თემებია გაძლიერებული. სცენა ქრისტეს მოსვლის, მისი მსხვერპლის წინასწარმეტყველებად აღიქმება. ის პირდაპირ მისდევს ლუკას სახარებისა (ლუკ. 14:1-45) და იკონის პროტოსახარების ტექსტებს (12,2)⁹. ამასთანავე, ოთხთავსა და წმინდა მაქების თხზულებებში წმ. ოოანე ნათლისმცემელი ქრისტეს მოსვლის განმზადებულ წინასწარმეტყველად არის გააზრებული (მათ. 11,10; მარკ. 1, 2-4; ლუკ. 7, 27).¹⁰ ოოანეს სახარებისა და წმ. თეოდორე სტუდიელთან

7 Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, т. I, С.-П., 1914, გვ. 307, სურ. 208.

8 J. Beckwith, Coptic Sculpture. 300-1300, London, 1963, გვ. 30, ტაბ. 133.

9 იაკობის აპოკრიფში ვკითხულოთ: „სიხარულით აივსო მარიამი, მიაშურა მან ელისაბედს, თავის ნათესავს და უხმო კარზე. ხმა გაიგონა ელისაბედმა, დააგდო ძოწეული, მიირბინა გართან, გამოადო და ასე აკურთხა მარიამი: „ვით მოვესწარი, დედა უფლისა მოვიდა ჩემთან? აპა, შეტოკედ ის, ვინც ჩემშია და გაუკურთხა შენ.“

10 მაგალითად, მარქოზის სახარებაში ვკითხულოთ: „...როგორც ესაია წინასწარმეტყველში სწერია: აპა, მე მოვავლებ შენი სახის წინაშე ჩემს ანგელოზს, რომელიც მომზადებს შენს გზას. ხმა მდაღადებლისა უდაბნოში. განუმზადეთ გზა უცალს, მოასწორეთ მისი ბილიკები“ (მარკ. 1, 2-4).

ის კაცობრიობას მისი ცოდვის ამდებ კრავზე მიუთითებს.¹¹ ამრიგად, სადჭოს-ეტყველო თვალსაზრისით, ზემოაღწერილი კომპოზიცია ლოგიკურად თავსდება „ჯვარცმის“ გვერდით და შინაარსობრივად ეპასუხება მას. იგი სრულიად უნიკალურია შეა საუკუნეების ქართულ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში და გველდესის გარდა არსად გვევულება, რაც გარდამავალი ხანის ხელოვნების თავისებურებებით, კანონიკის ფარგლებში მიმდინარე ძიებებით აიხსნება.

საქმაოდ იშვიათი იკონოგრაფიითაა მოცემული „ჯვარცმის“ კომპოზიციაც, თუმცა კოლობიუმით შემოსილი ჯვარცმული მაცხოვრის სახე ტრადიციულია VI-X საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნებისათვის. საქართველოში „ჯვარცმის“ უძველეს რედაქციებს ვხედავთ საცხენისის ქვასვეტზე (VI ს.),¹² ქვაჯვარაზე სოფ. კიტრიულიდან (ნაეკლესიარი „ბერიჯვარი“, ახალგორის მუზეუმი; VI-VII სს.),¹³ წებელდის კანკელზე (VII-VIII სს.),¹⁴ თელოვანის „ჯვარპატიოსნის“ ეკლესიის რელიეფზე (VIII ს.)¹⁵, ხახულის კვადრიფოლიუმზე (VIII ს.),¹⁶ კოლობიუმიანი ქრისტე წარმოდგენილია საბერების ფრესკაზე (X ს.).¹⁷ ყველა ზემოაღნიშნულ ძეგლზე, ხახულის კვადრიფოლიუმის გარდა, ჯვარზე გაპრული მაცხოვარი ყოველთვის ორ ავაზაკთან არის გამოსახული. ეს ახალადთქმისეული სიუჟეტი გვხვდება რაბულას სახარების მინიატიურაზე (586წ.),¹⁸ მონცას ამპულებზე (VI-VII სს.),¹⁹ ბიზანტიურ ჯვარზე (მონცა; VI ს.),²⁰ პალესტინური რელიგივარიუმის ხის თავსახურზე (VII-VIII სს.),²¹ ბიზანტიური რელიგივარიუმის მინანქრის თავსახურზე (ნიუ-იორკი; VII-VIII სს.),²² სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ენკაუსტიკურ ხატზე (VIII ს.),²³ სანტა მარია ანტიკვას ეკლესიის ფრესკაზე (VIII ს.),²⁴ ხლუდოვის დავითნის მინატურაზე (ისტორიული მუზეუმი, მოსკოვი; IX ს.)²⁵ და ა. შ. ზემოხსენებულ ძეგლთა ნაწილი ქრისტეს ან ორ ავაზკს შორის წარმოგვიდგენს ან ღმრთისმობლისა და წმ. ორანე ღვთისმეტყველის თანხლებით. აქედან გამომ-

11 იოანეს სახარებაში წერია: „...მეორე დღეს იხილა მან მისქენ მომავალი იესო და თქვა: „ააა, დავთის კრავი, რომელიც იღებს წერისოფლის ცოდვას“ (იოან. 1, 29); Творения преподобного отца нашего и исповедника Феодора Студита в русском переводе., т. 2, Спб., 1908, გვ. 123-129.

12 კ. მაჩაბელი, ადრეული შეა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბ., 2008, ტაბ. 34.

13 გ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35, ტაბ. XXX(1).

14 Ancient Georgian Art, თბ., 2008, გვ. 24.

15 თ. ხუნდაძე, თელოვანის „ჯვარპატიოსნის“ ეკლესიის რელიეფის შესახებ. საქართველოს სიმამკითხური, №4-5, თბ., 2003, სურ. 2.

16 ლ. ხუსტივაძე, შეა საუკუნეების ტიხოული მინანქარი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თბ., 1984, გვ. 21, ტაბ. 1.

17 Ancient Georgian Art, გვ. 36.

18 G. Schiller, დასახ. ნაშრ., ტაბ. 327.

19 იქვე, ტაბ. 324-325.

20 Н. В. Покровский, Евангелие в памятниках иконографии, М., 2001, სურ. 150.

21 G. Schiller, დასახ. ნაშრ., ტაბ. 329.

22 იქვე, ტაბ. 331.

23 იქვე, ტაბ. 330.

24 იქვე, ტაბ. 328.

25 იქვე, ტაბ. 335-336.

დინარე, დგება გველდესის კანკელზე წარმოდგენილი ორი შარავანდმოზიდული ორანგის იდენტიფიკაციის საკითხიც. ნაკლებად სავარაუდოა, ავაზაკები წმინდანთა იკონოგრაფიით ამოგვეთათ და ჩვენ აქ მხოლოდ ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ღვთისმეტყველის ფიგურებს თუ ამოვიკითხავთ. თუმცა საფიქრებელია მარცხნივ (სადაც ღმრთისმშობელი გამოისახება ხოლმე) ნაჩვენები ფიგურის მოკლე სამოსი, რომელიც ღიად ტოვებს ფეხების ღიდ ნაწილს. მაგრამ, როგორც ჩანს სამოსის სიგრძის ამგვარი ვარიეტება დამახასიათებელია გველდესის კანკელისათვის (სხვა ფრაგმენტებზე ღმრთისმშობელს ხან კოჭებამდე გრძელი, ხან კი შედარებით მოკლე შესამოხელი მოსავს).

კომპოზიციის მარჯვნივ გამოსახული ქალის სამი ფიგურა, რ. შმერლინგის ვარაუდით, მენელსაცხებლე დედებს წარმოგვიდგენს.²⁶ ჩვენ ქალებისთვის დამახასიათებელ თავსაბურავებს ვხედათ, (თუმცა ამ სცენაშიც ტანსაცმელი ბოლომდე არ ფარავს ფეხებს), ერთ-ერთ მათგანს კი პატარა კოლოფი უპყრია. კომპოზიცია „მენელსაცხებლე დედები უფლის საფლავთან“ ტრადიციულად „ჯვარცმის“ გვერდით გამოისახება და სიმბოლურად მაცხოვრის მკვდრეობით აღდგომის ხატად გაიაზრება.²⁷ ამის მაგალითები გვაქვს აღრეულ ქართულ ხელოვნებაშიც (წებელდის კანკელი (VII-VIII სს.). გველდესის შეკვეცილი, მოკლე რედაქციისაგან განსხვავებით, წებელდის ფილაზე ჩვენ ამ სცენების ბევრად უფრო გავრცობილ ვარიანტს ვხედავთ საფლავის, ანგელოზისა და მძინარე მცველების გამოსახულებებით. გვერდიგვერდ ეს სცენები მოცემულია ზემოხსენებულ რაბულას სახარებაში (VI ს.), მონცას და ბობიოს ამპულებზე (VI-VII სს.), პალესტინურ ხის თავსახურზე (VII-VIII სს.) და ა. შ.

როგორც ზემოთ ითქვა, მენელსაცხებლე დედების ტერფები არა ჯვრისკენ, არამედ საწინააღმდეგო მხარესაა მიმართული, რაც, ჩვენი აზრით, მოქმედების გაგრძელებაზე, მის სხვა რეგისტრში გადანაცვლებაზე მიუთითებს. ზედა იარუსში ვხედავთ ჰერალდიკურ კომპოზიციაში გაერთინებულ ორ ფარშევანგს ძვირფასი ქვებით ნისკარტებში და მათ ორსავ მხარეს გამოსახულ ანგელოზებს. ანგელოზთა ფიგურები საკმარის დიდია მათვის განკუთვნილი არესათვის და სიმაღლით ბევრად აღემატება სხვა პერსონაჟებს, ამიტომ ოსტატი დიაგონალურად ათავსებს მათ. ცენტრალური ჯგუფის ორსავ მხარეს მოციქულთა ფიგურებია განაწილებული. რელიეფის სიბრტყე მჭიდროდაა შევსებული გამოსახულებებით, შემთხვევით დარჩენილი თავისუფალი ადგილიც მარჯვნა ანგელოზის ფრთის ზემოთ წრების ორი რიგითაა შევსებული. აქ ჩვენ უფლის აღდგომის იდეის ამსახველი კომპოზიცია უნდა წარმოვიდგინოთ. ფარშევანგი, როგორც უკვდავებისა და უხრწელობის სიმბოლო²⁸ მაცხოვრის მკვდრეობით აღდგომის საიდუმლოებას უკავშირდება და გველდესის შემთხვევაში ქვედა რეგისტრში გაშლილი „ჯვარცმის“ გამოსახულებასთან ერთ კონტექსტში იკითხება (ჯვრის ორსავ მხარეს წარმოდგენილ ფარშევანგებს ვხედავთ ბოლნისის სინის

26 Р.О. Шмерлинг, დასახ. ნაშრ., გვ.74.

27 Н. В. Покровский, დასახ. ნაშრ., გვ. 483.

28 კ. მაჩაბელი, დმანისის ახლადაღმოჩენილი ქვაჯვარა. საქართველოს სიმკერძოს, 10, ობ., 2007, გვ. 23.

რელიეფზე (V ს.)²⁹, ბიზანტიურ სარკოფაგებზე³⁰ და ა. შ.), რადგან ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ქრისტეს ჯვარცმა სიკვდილზე გამარჯვებისა და მსხვერპლის გზით კაცობრიობის გამოხსნის, სულის უკვდავების მოპოვების ხატადაა გააზრებული. ქვედა კომპოზიციის ნაწილად ანგელოზების ფიგურებიც აღიქმება – ჯვრის მკლავებს ზემოთ მათი გამოხატვის ტრადიცია უკვე VIII საუკუნიდან იწყება, მაგალითად, ხახულის კვადრიფოლიუმი, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ენკაუსტიკურ ხატი და ა. შ. ოუმცა უმცველოა აღდგომის ხატში მოციქულთა ფიგურების გამოჩენა, რაც ჩვენი ვარაუდით, სახარების ტექსტებითა ნაკარნახვი. ისტორიულად იმის შემდეგ, რაც ანგელოზმა მაცხოვრის აღდგომა აუწყა წმინდა დედებს, უფალი იქსო ქრისტე თავის მოწაფებსაც მოუვლინა (მათ. 28,16-19; მარქ. 16,12-14; ლუკ. 24,36-39; იოან. 20,19-21). საყურადღებოა, რომ ფილაზე ერთი მოციქული ცალკე არის განთავსებული, მაშინ როდესაც დანარჩენები სამფიგურიან ჯგუფში არიან გაერთიანებული. ამდენად, აქ ჩვენ ჰეტრე მოციქული შეგვიძლია გამოვიცნოთ, რადგან ლუკასა (24:12) და იოანეს (21:6) სახარებებში აღნიშნულია, რომ ზუსტად წმ. ჰეტრე პირველი შევიდა მაცხოვრის ცარიელ სამარხში, სადაც დაწყობილი სახვევები ნახა. ჩვენი ვარაუდები წმინდა მამქბის შრომებითაც დასტურდება. წმ. კირილე იერუსალიმელთან ვკითხულობთ: „მაცხოვრის აღდგომის მრავალი მოწმე არსებობს... იქ მყოფი ღვთის ანგელოზები მოწმობენ მხოლოდ შობილის აღდგომის შესახებ; ჰეტრე, იოანე და თომა და უკელა დანარჩენი მოციქული, რომელთაც საფლავთან მიირჩინეს და უფლის სახვევები აღდგომის შემდეგ იქვე მდებარე იხილეს... იქსო აღდგომას მოწმობს ზღვაც... მოწმობს წინათ უარმყოფელი ჰეტრე, ახლა კი ცხოვრების დასამწყემსად დადგენილი.“³¹ ამდენად, შეგვიძლია ვოქვათ, რომ გველდესის ფილაზე მოციქულები, როგორც აღდგომის მოწმენი არიან წარმოდგენილი. იგივე ანგელოზებზეც ითქმის, რომლებიც ამავდროულად ჯვარცმის მონაწილენიც არიან.

ამრიგად, გველდესის კანკელის ფილა ისტორიული თხრობის მაგივრად „დაქარაგ-მეტულ“, მოკლე ფორმულამდე დაყვანილ ლაკონიურ გამოსახულებებს გვთავაზობს. ახალი აღთქმის ყურადღებით ამოკრეფილი სიუჟეტები აზრობრივად ეხამება ერთ-მანეთს და უფლის განკაცების, მსხვერპლისა და დიდების ერთიან ხატად იქცევა.

იკონოგრაფიული პროგრამის თვალსაზრისით გველდესის ფილა სირია-პალესტინურ ტრადიციებს მისდევს და პარალელებს აღმოსავლეთ საქრისტიანოს ხელოვნებაში პოვებს. პალესტინურ ძეგლებზე (ზემომოგრანილი ხის რელიკვარიუმის თავსახური, მონცას ამჟღვები), როგორც წესი ცენტრალური აღგილი „ჯვარცმის“ კომპოზიციას უკავია ხოლმე, საუფლო დღესასწაულთა სხვა სცენები კი მის გარშემო თავმოყრილი. სირიული კანკელების მსგავსია ცალკეულ კომპოზიციათა ორნამენტირებული არშიით შემოფარგვლის მხატვრული ხერხიც.³²

29 ჩ. ა. ალაძევილი, Монументальная скульптура Грузии, М., 1977, გამ. 6.

30 იქვე, იხილეთ ფარშვევანგების ბიზანტიურ გამოსახულებებთან დაკავშირებული ლიტერატურის ჩამონათვალი, გვ. 20, 244-245.

31 წმინდა კირილე იერუსალიმელი, მეთოთხმეტე კატეხიზისი ნათელდებადთადმი. კატეხიზმური და მისტაგოგიური პომილიები, ძველი ბერძნული იდან თარგმნა, წინასიტყვაობა და სქოლიოები დაურთო გიორგი ჯულაყიძემ, თბ., 2015, გვ. 215-216.

32 J. Nasrallah, Bas-reliefs chrétiens inconnus de Syrie. Syria. Revue d'Art Oriental et d'Archéologie, v. 38, Paris, 1961, გამ. III-IV.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ზემოხსენებული სიახლოვისა უქრაინული ხელოვნება თვისობრივად სრულიად განსხვავებულ სურათს გვიხატავს და გარდამავალი პეროიდის განმავლობაში, გამომხატველობის ახალი ფორმების ძიებისას ბიზანტიური იკონოგრაფიული პროგრამების აქტიურ გადამუშავებას მიმართავს. ქმნის ახალ არაორდინარულ სქემებს. ქართული ადრექტისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი მახასიათებელია იკონოგრაფიის სინოეზურობაც, როდესაც საერთო თხრობის ცალკეულ კომპოზიციათა და რეგისტრებად დაყოფა პირობით ხასიათს იძენს, იკონოგრაფიული ჩანაფიქრის ყოველი კომპონენტი კი უწყვეტლად ერწყმის ერთმანეთს და ერთ ზოგად თეოლოგიურ იდეას ექვემდებარება, განზოგადების უმაღლეს ხარისხს აღწევს.

Tamar Dadiani


The Iconography of the Lost Plaque of the Gveldesi Chancel-barrier

One of the two plaques adorned with reliefs of the lower panel of the early 9th c. Gveldesi (Inner Kartli, western Georgia) chancel-barrier was lost in mid-20th c. Its centre was occupied by the concise version of Crucifixion with Christ clad in colobium, closed eyes and without a halo (all these being the archaic traits well known by Georgian, as well as non-Georgian parallels), flanked by the Virgin and St. John the Theologian with their hands upraised; to the left two females figures holding childs are represented – one, based on analogies (8th-9th cc. relief from Tsinarekhi; 9th c. Coptic image), should be identified as the Virgin and the Child, another (paralleled by the 8th c. fresco of Santa Maria Antiqua) – as St. Elisabeth with St. John the Baptist in her hands; accordingly, here we have a peculiar version of the Visitation; three female figures to the right were identified by R. Schmerling as the Myrrhbearers – thus, this is the group implying Resurrection, their feet directed outwards should be indicative of moving towards the 2nd tier. Here, in the centre there are two peacocks – image of immortality, and two Angels – they are perceived in combination with the Crucifixion (namely, the Angels as hovering above the cross-arms), emphasizing the concept of Calvary, as a victory over the death and Salvation of the mankind; central image is flanked by the Apostles (the figure represented alone to the right, seems likely to be St. Peter).

Compositional principle of the Gveldesi plaque is rooted in the Palestinian (reliquaries, ampullae) and Syrian (chancel-barriers) art, although, here, instead of a narration, concise formula-like laconic images form a different programme, which through a conventional artistic “language” manifests the idea of Incarnation and Salvation, achieving the highest degree of generalisation.



სურ. 1. გველდესის კანკელის ფილა (რ. შმერლინგის მიხედვით)



სურ. 2. წინარეხის რელიეფური ფრაგმენტი (გარდამავალი ხანა)

მარიამ დიდებულიძე
 გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

შეა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლები ტაო-კლარჯეთში¹

შეა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ხელოვნება, მათ შორის მხატვრობაც, იზიარებს ზოგადად მართლმადიდებლური ხელოვნების განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, ფორმებს, სახვით სამუალებებს, იკონგრაფიას, თუმცა, ამავდროულად, მას სრულიად თავისთავადი მხატვრული „ენა“ და „ხმა“ აქვს, რაც კველაზე ნათლად და მყაფიოდ ხუროთმოძღვრებაში გამოვლინდა. მეორე მხრივ, საქართველოს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებებს განსაკუთრებული მხატვრული „დიალექტიც“ ახასიათებს, რომელიც ხელოვნების რეგიონალურ სკოლებზე საუბრის ნებას გვაძლევს. X-XI საუკუნეებში ქართულ მხატვრობაში გამოიკვეთა რამდენიმე ფერწერული სკოლა (დავით-გარეჯის, სვანეთის და სხვ),² რომელთა შორის ტაო-კლარჯულ ფერწერულ სკოლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

საქართველოს ისტორიულ მხარეთაგან მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი), რომელიც ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურულ ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა არგუნა ბედმა. წმ. გრიგოლ ხანძთელისა (759-861) და მისი მოწაფეების მოღვაწეობით დაწყებულმა აქამდე არნახული მასშტაბის სამონასტრო მშენებლობამ და სავანეების დაარსებამ ხელოვნების ყველა დარგის აყვავება გამოიწვია, მათ შორის მხატვრობისაც. სწორედ ამ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს რეგიონი ფაქტიურად ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი ხდება, რომლიდანაც ბაგრატიონთა საგვარეულოს თაოსნობით ქართული სახელმწიფოს გაერთიანების მძლავრი ტენდენცია მომდინარეობს. X-XI საუკუნეებში ეს მხარე კულტურული თვალსაზრისითაც წამყვანი გახდა და ბევრწილად განაპირობა საქართველოს სხვა რეგიონების ხელოვნების განვითარება.

ტაო-კლარჯეთის მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერძებს წარმოადგენდა, სადაც ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებასთან ერთად აქტიურად ვითარდებოდა მხატვრობაც.

1 ფოტოები ეკუთხნის ი. გიგიაშვილს, ბ. კუდავას, დ. ხოშტარის და ავტორს. სქემები შესრულებულია ავტორის მიერ 1996 წლის ექსპედიციის დროს, ა. ოქროპირიძის მონაწილეობით (იშხანი). წარმოდგენილი სტატია დაიწერა 1999 წელს სხვა სტატიებთან ერთად (ნ. ალადაშვილი, თ. საყვარელიძე, დ. ხოშტარია), როგორც ტაო-კლარჯეთის ხელოვნების შესახებ დაგეგმილი წიგნის ნაწილი, თუმცა გარემოებათა გამო წიგნის გამოცემა ვერ მოხერხდა. შემდეგ სტატია გადაცემულ იქნა ქურნალ „არტანუჯში“, თუმცა ასევე უშედგოდ. მას მერე გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ტაო-კლარჯეთის მხატვრობის თაობაზე (თ. ვირსალაძე, 2007; ზ. სხირტლაძე, 2009, და სხვ.), რომლებიც შეძლებისამებრ გათვალისწინებულია აქ წარმოდგენილ ნაშრომში.

2 А. Вольская, Живописные школы средневековой Грузии. II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1977.

ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლა, რომლის აყვავების ხანა საუკუნეებს მოიცავს, ზოგადად შეა საუკუნეების ქართული მხატვრობის განვითარების ერთიანი სურათის ფარგლებში მკაფიოდ გამოხატული თავისებური სახით გამოიჩინავა³.

ტაო-კლარჯეთის ხელოვნებას, კერძოდ კი მხატვრობას, მრავალმა მეცნიერმა მიუძღვნა გამოკვლეულები და ნაშრომები. სამწუხაროდ, ქართველ ხელოვნებათმცოდნეთათვის ეს რეგიონი დიდი ხნის მანძილზე (საბჭოთა პერიოდში) მიუწვდომელი იყო. ფაქტურად, ექვთიმე თაყაიშვილის 1917 წლის ექსპედიციის შემდეგ ქართველ მეცნიერებს მხოლოდ XX საუკუნის 90-იან წლებში მიეცათ საშუალება გასცნობოდნენ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ამ უმდიდრეს საგანძურეს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ 1990-იან წლებში ჩატარებული კვლევითი ექსპედიციების მთელი რიგი.

საქართველოს ამ უძველესი რეგიონის ტრაგიკული ისტორია მრავალი ძეგლის განადგურების მიზეზი გახდა და ამჟამად ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილიდა შემოგვრჩა იმ მოხატულობებისა, რომლებიც ერთ დროს ტაო-კლარჯეთის დიდებულ ეკლესიებს ამობდა. მათ შესახებ უფრო სრული წარმოდგენის შექმნისთვის ძველი აღწერებისა და ჩვენი უცხოელი კოლეგების მონაცემების გამოყენება გვიხდება.

ექვთიმე თაყაიშვილს განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონების ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში. მისი ექსპედიციის მასალები მით უფრო ძვირფასია, რომ აწ უკვე დაკარგული გამოსახულებებისა და ეპიგრაფიკის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას⁴.

უდიდესი წვლილი შეიტანა ტაო-კლარჯეთის მხატვრობის შესწავლაში ფრანგმა მეცნიერმა ნიკოლ ტიერიმ, რომელმაც საგანგებო გამოკვლეული მიუძღვნა ოშეის, ოთხთა ეკლესიის, იშხნის, დოლისყანის, ოპიზის, ნიაკომის ტაძრების მოხატულობებს⁵.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეა საუკუნეების ქართული მხატვრობის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლის, თინათინ ვიზსალაძის გამოკვლევები,

3 Т. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской монументальной живописи. II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977, გვ. 9-10; ე. პრივალოვა, ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის მოხატულობების შესახებ. „საქართველოს ეკლესიის, ქართული სახულიერო მწერლობისა და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები”, თბ., 1995, გვ. 315-316; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან. თბ., 2007; ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის ფრესკები. თბ., 2009.

4 Е.Такаишвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии. Тб., 1952; მისივე, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960.

5 Nicole et Michel Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale et leurs rapports avec la peinture byzantine d'Asie Mineure. Cahiers Archéologiques, XXIV, Paris, 1975, გვ. 73-113; N. Thierry, Peintures Georgiennes en Turquie. Bedi Kartlisa, (revue de kartvélologie), vol. XLII, Paris, 1984, გვ. 131-167; Nicole et Michele Thierry, La cathédrale de T'Beti. Cahiers Archéologiques, 47, 1999, გვ. 89-96; N. Thierry, Peinture Historiques d'Osk'i (T'ao), - Revue des Etudes Géorgiennes et Caucasiennes, № 2, 1986, გვ. 135-170; M. et N. Thierry, Notes d'un voyage en Géorgie Turquie. Bedi Kartlisa, 1960, გვ. 34-35, გვ. 10-28; N. et M. Therri, Notes d'un nouveau voyage en Géorgie Turquie. Bedi Kartlisa, Revue de Kartvélologie, vol. XXV, 1968, გვ. 51-69.

რომლებიც ზოგადად ტაო-კლარჯეთის, კერძოდ კი ოთხთა ეკლესიის მიღწეულის იშხანის მოხატულობებს ეძღვნება.⁶

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართველი მეცნიერის ეკატერინე პრივალოვას სტატიები და მოხსენებები⁷ და მისივე, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებული ვრცელი გამოკვლევა.

მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა ტაო-კლარჯურ ფერწერულ სკოლას ზაზა სხირტლაძემ თავის წიგნში ოთხთა ეკლესიის მხატვრობის შესახებ.⁸

გარდა ამისა, ამ მხატვრობის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანეს ნ. მარმა⁹, შ. ამირანაშვილმა¹⁰, ვ. ჯობაძემ¹¹, ნ. ალექსიძემ¹², ი. გივიაშვილმა¹³ და სხვა მეცნიერებმა.

წინამდებარე ნარკვევი არ წარმოადგენს ამ როტული და უნიკალური მხატვრული ფენომენის მეცნიერული გააზრების, დახასიათებისა თუ შეფასების ცდას. მისი მიზანია ამ მხარეში შემორჩენილი მონუმენტური მხატვრობის ძეგლების თაობაზე არსებული ინფორმაციის თავმოყრა, მიმოხილვა, მისი განვითარების ერთიანი სურათის წარმოდგენა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა. ეს ინფორმაცია ეფუძნება როგორც პირად დაკვირვებებს (1996, 2002, 2004 წლების ექსპედიციები), ასევე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს და იმ ძველ აღწერებს, რომლებიც აწ უკვე დაკარგული მხატვრობის ფრაგმენტებს ეხება. ამ მასალის ერთობლივად წარმოჩენა, აღბათ, ხელს შეუწყობს ტაო-კლარჯული მხატვრობის შემდგომი კვლევის წაქეზებას, შესაძლოა, მისი ახალი ასპექტების გამოვლენას, ახალი პრობლემების დანახვას და გადაწყვეტას.

ამჟამად მოხატულობათა მეტ-ნაკლებად დაზიანებული ფრაგმენტები შემორჩენილია ოთხთა ეკლესიის, დოლოსყანის, ხახულის, ოშკის, იშხნის, ნიაკომის, ტბეთის, ობიზის, ებძეკის, სოლომონ-კალას ციხის ეკლესიასა და სხვა ტაძრებში¹⁴. ამავე სკოლას მიაკუთვნებენ მანგლისისა და კუმურდოს ტაძართა

6 Т. Вирсаладзе, Основные этапы..., гл. 9-10; т. ვირსალაძე, წმინდა სიციოს გამოხატულება ოთხთა ეკლესიის მოხატულობაში. XXVI სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი გ. წუბინაშვილის 100 წლისადმი, თეზისები, თბ., 1981, გვ. 26; т. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან..., გვ. 10-102.

7 ე. პრივალოვა, ზოგი რამ, გვ. 314-336.

8 Z. Skhirtladze, The Mother of All the Churches. Remarks on the Iconographic Programm of the Apse Decoration of Dort Kilisse. Cahiers Archéologique, 43, 1995, გვ. 101-11; ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის ფრესკები. თბ., 2009.

9 Н. Mapp, Дневник поездки в Шавшети и Кларджети. С. Петербург, 1911.

10 Ш. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи. Тб., Т.1, 1957, გვ. 104-108.

11 W. Djibadze, Early Medieval Georgian monasteries in Historic Tao, Klardjeti and Šavšeti. Stuttgart, 1992.

12 6. ალექსიძე, დ. ხოშტარია, ახალი ცნობები ტაო-კლარჯეთის სიძველეთა შესახებ (1990 წლის ექსპედიცია). ლიტერატურა და ხელოვნება, № 1, 1991, გვ. 117-161; 6. ალექსიძე, ოთხთა ეკლესიის მოხატულობის თეოლოგიური საფუძვლები, ლიტერატურა და ხელოვნება, №4, 1991, გვ. 103-122.

13 ი. გივიაშვილი, ი. კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბილისი, 2004.

14 არსებობს ცნობები ახიზის ეკლესიის საკურთხევლის მოზაიკით შემკობის თაობაზე. ზ. სხირტლაძე, ახიზის ეკლესიისა და მისი მოზაიკების გამო. ლიტერატურა და ხელოვნება, №3, 1991, გვ. 154-160.

ფრესკებს. არც ჯერაც უცნობი ძეგლების გამოვლენაა გამორიცხული, რასაც იმაზე მოწმობს ბოლო წლებში ექსპედიციების დროს მოპოვებული ცნობები¹⁵.

ტაო-კლარჯეთის ტაძართა მოხატულობების უმეტესობამ ჩვენს დრომდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია¹⁶. მაგრამ მიუხედავად „ნაკლული“ სახისა, ეს ფერწერული ანსამბლები დღესაც ანცვიფრებს მნახველს დიდებულებით, მხატვრული სრულყოფილებით და მათი შემქმნელი ოსტატების უაღრესად მაღალი დონის შემოქმედებით.

ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლის ჩამოყალიბება-განვითარება ძირითადად X-XIII საუკუნეებს მოიცავს და რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლით არის წარმოდგენილი.

ჩვენს დრომდე შემორჩენილი ერთი უაღრესი ნაწარმოები მოხატულობაა. იგი ყველაზე საფუძვლიანად არის გამოკვლეული სამეცნიერო ლიტერატურაში¹⁷ და X საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება¹⁸.

მხატვრობა ამ დიდებული ბაზილიკის (აგებულია 961-65წ-ში; ნაწილობრივ

15 ბ. ქუდავა, „კაგვასიძეების ციხე (ახალი მასალა ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის, ფერწერისა და ეპიგრაფიკისთვის)“. უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა, საერთაშორისო კონფერენციის მოხსენათა ოეზისები, თბილისი, 2011, გვ. 48-50; კედლის მხატვრობის რამდენიმე აქამდე უცხობი ძეგლი (მაგ., ახალთას (კოწახურას) ეკლესიის ფრესკები) მიკვლეულია შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამხერეთ კავკასიის ისტორიული ძეგლები“ (2012-2014) ფარგლებში (გ. და ხ. ბაგრატიონები, პ. მარგვალაშვილი, გ. შერვაშიძე), ეს მასალა განთავსებულია ინტერნეტ გვერდზე: www.maps.nekeri.net.

16 როგორც ოვით ტაძრები, ასევე მათი შემატყობელი მოხატულობები ძალიან დაზიანებულია; გამოსახულებები საგრძნობლად ნაკლებია ოუნდაც 1917 წლის ექსპედიციის მონაცემებთან შედარებით; მოხატულობებს არ ჩატარებიათ კონსერვაცია გარდა თურქი სპეციალისტების მიერ 2015 წლს იშხანის ფრესკების სარესტავრაციო სამუშაოებისა; სხვადასხვა სახის დაზიანებებთან ერთად – ბათქაშის დაშლა და კედელს მოცილება, საღებავის აქრცვლა-გაფხიერება, ჩამოცვენა, გამომარილებები, რიბი და სხვა – ხშირია ფრთა დაფორმაციაც (ნეგატივივით გაშაგებულ-გამუქებული სახეები თუ ფიგურები). გარდა ამისა, მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ზოგი ფერწერული ანსამბლის დათარიღების თაობაზე, დასაზუსტებელია ცალკეულ გამოსახულებათა იდენტიფიციაცია, ჩასატარებელია სათანადო ტექნიკური კვლევა და სხვ. ყოველივე ეს ხანგრძლივ და სისტემურ კვლევით მუშაობას მოითხოვს ხარახოებისა და ხელოვნური განათების გამოყენებით.

17 E.Такаишвили, Археологическая экспедиция..., გვ. 85-86; Nicole et Michel Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale. 1975, გვ. 75-86; თ. ვირსალაძე, წმინდა სიციონის გამოსახულება. გვ. 26. W. Djabadze, Early Medieval Georgian monasteries..., გვ. 166-168; ხ. ალგექიძე, ოთხთა ეკლესიის მოხატულობის..., გვ. 103-122; ე. პრივალოვა, ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის მოხატულობების შესახებ... გვ. 316-322; Z. Skhirtladze, The Mother of All the Churches..., გვ. 101-116; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 17-47; ხ. სხირცლაძე, ოთხთა ეკლესიის ფრესკები, თბ., 2009; თ. მგალობლივშვილი, ოთხთა ეკლესია. სოლომონის ახალი ტაძარი, ახალი სიონი თუ თრივე ერთად? საქართველოს სიმგელენი, №14, 2010, გვ. 133-153; ხ. ანდლულაძე, თ. დვალი, ოთხთა ეკლესია, თბ., 2011, 839-842.

18 მოხატულობის დათარიღების თაობაზე განხსნავაკებული მოსაზრებები არსებობს: ე. თაყიაშვილი ათარიღებს მას IX ს-ით (დასახ. ნაშრ., გვ. 86); ტიერი – 961 წლის ახლოს (დასახ. ნაშრ. გვ. 86); ვ. ჯობაძე – X ს-ის 60-იანი წლებით (დასახ. ნაშრ., გვ. 168-170), ხ. სხირცლაძე ათარიღებს მას X ს-ის II ნახევრით (დასახ. ნაშრ. გვ. 101). ე. პრივალოვა ფერწერის შესრულების ორ ფაზას გამოიყოფს: პირველს – ტაძრის საკურთხევლის ამაღლებამდე, 961-965 წლებში, და მეორეს, კერძოდ კონქის მოხატვას – უშვალოდ ტაძრის ამაღლების შემდეგ, 978-1001წ. (დასახ. ნაშრ., გვ. 318); თ. ვირსალაძე ათარიღებს X ს-ის 80-ან წლებით (თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან. გვ. 22).

გადაკეთდა 978-1001 წწ-ში)¹⁹ მხოლოდ საკურთხეველს ამკობს, როგორც ცენტრული მიღებული იყო ამ პერიოდის ქართულ ხელოვნებაში, მაგრამ თავისი პროგრამის სირთულითა და მრავალნაწილიანობით იგი უკვე მოიცავს მომავალი მთლიანი მოხატულობის საფუძველს.

ოთხთა ეკლესიის გრანდიოზული საკურთხეველი მოხატულობის 5 რეგისტრით არის შემკული, რომლებიც ერთმანეთისგან ფართო ორნამენტული ზოლებით არის გამოყოფილი. ორნამენტული მოტივები გასდევს აფსიდის პილასტრებსაც.

აფსიდის კონქში, ცისფერ ფონზე, გამოსახულია თეოფანიური ხილვა – უფლის დიდება: ოვალური ფორმის (თეორი?) დიდებით მოსილი აღსაყდრებული მაცხოვარი²⁰, რომლის ორსავ მხარეს, კომპოზიციის ზედა ნაწილში გაირჩევა პატარა ზომის ფრთები, შესაძლოა სერობინი და ქერობინი, რომლებსაც უფრო მცირე ზომისად გამოსახავენ, ვიდრე მთავარანგელოზებსა ან ანგელოზებს²¹. სავარაუდოა, რომ ქრისტეს მანდორლა ზეციურ ძალთა დასებით იყო გარშემორტყმული მთელ სიმაღლეზე, როგორც ეს არის, მაგ., ტბეთის ტაძრის საკურთხევლის მოხატულობაში²². კონქის ქიმში მომწვანო ფერის წრეში ჩანს უფლის მაკურთხეველი მარჯვენა და მტრედის (სულიწმინდის) მკრთალი მონახაზი.

კონქის ქვემოთ, აფსიდის კედელზე, ასევე ცისფერ ფონზე, გამოსახულია 16 შევრდომილი ანგელოზის ნახევრად მუხლმოდრეკილი ფიგურა, რომლებიც თაყვანისცემით არიან მიმართული ამ ვიწრო რეგისტრის ცენტრში, ვარდისფერ მანდორლაში გამოსახული აღთქმული საყდარისკენ – ჰეტიმასიისკენ, რომელზეც ჯვარია დაბრძანებული. ჰეტიმასიის ორსავ მხარეს გამოსახული ანგელოზები მანდორლას ხელებით ეხებიან, თითქოს უჭირავთ²³. ეს რეგისტრი დანარჩენებზე უფრო დაბალია, შესაძლოა, იგი „ჩამოქრა“ კონქის ამაღლების შემდეგ. ეპრივალოვა მიიჩნევს, რომ კონქის მოხატვა ხუროთმოძღვრების გადაკეთების – ამაღლების შემდეგ მოხდა (978-1001 წწ-ს შორის)²⁴, თუმცა ამ ორი ნაწილის შესრულების თარიღი დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან – მეორე იმავე ეპოქაში გაკეთდა. მკვლევარი მიუთითებს ნაკერებზე ბათქაშის ფენებს შორის და ბათქაშის განსხვავებულ შემადგენლობაზე (ალებასტრი). ამას ისიც აფიქრებინებს, რომ კონქსა და ამ რეგისტრს შორის ორნამენტული ზოლი არ არის და ქართული წარწერაც ნაკლულია²⁵.

19 W. Djobadze, *Early Medieval Georgian monasteries*, გვ. 192-194.

20 ხ. სხირგლაძე აქ კვარცხლბეგზე ფეხზე მდგომ მაცხოვრის ფიგურას არჩევს (ხ. სხირგლაძე, ოთხთა ეკლესიის ფრესკები, გვ. 49), თუმცა ამ მხარის და მთლიანად საქართველოს კედლის მხატვრობის ძველი ტრადიციების გათვალისწინებით (წრომის მოზაიკის გამოკლებით) უფრო სარწმუნო აქ აღსაყდრებული მაცხოვარი ყოფილიყო გამოსახული.

21 ი. მაგ. გარეჯში წმ. დოდოს მონასტრის (დოდორქის) გუმბათური ტაძრის აფსიდის მოხატულობა (Т. Шевякова, Монументальная живопись раннего средневековья Грузии, Тб., 1983, გამ. 50.)

22 Nicole et Michele Thierry, *La cathédrale de T'Beti*, იდ. 25-27.

23 აქ შეიძლება გავიხსენოთ აქის წმ. გიორგის ეკლესიის უფრო გვიანი, XIII ს-ის II ნახევრის მოხატულობა, სადაც „სულთმოფენობის“ კომპოზიციის ზედა რეგისტრში ჰეტიმასიის მომცველი მანდორლა ორ ანგელოზს უჭირავს. დж. Иосебидзе, Роспись Ачи, Тб., 1989, გამ. 44.

24 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 318.

25 ამ აზრს ხ. ალადაშვილიც ეთანხმება. ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 318.

ანგელოზების რიგის ქვეშ მოთავსებული რეგისტრი გაცილებით უფრო მაღალია. მის ცენტრში ორანტად გამოსახულია კვარცხლბეგზე მდგომი ღმრთისმშობელი²⁶. მის ორსავ მხარეს კი მისკენ მიტრიალებული ანგელოზები გაშლილი გრაგნილებით. მარჯვენა ანგელოზის გვერდით გამოსახულია წმ. იოანე ნათლისმცემელი ზევით (კონქისკენ) აწევლი ხელით, გაშლილი გრაგნილით მეორე ხელში. მათ ორსავ მხარეს კი მოციქულების დიდებული ფრონტალური ფიგურებია, გრაგნილებითა და წიგნებით წარმოდგენილი. მოციქულთა გამოსახვა ჰერიმასიის ქვეშ, რომელზეც სული წმინდის სიმბოლო – მტრედია დაბრძანებული (?), და მათ შორის ორანტის პოზაში კვარცხლბეგზე მდგომი ღმრთისმშობლის ფიგურა, ერთგვარიდ „სულთოფენობის“, ანუ მსოფლიო ეკლესიის დაფუძნების ასოციაციას ბადებს.²⁷

თუმცა ამჟამად გამოსახულებათა ეს რიგი საკმაოდ გამქრქალებულია, მაინც შეინიშნება, რომ ღმრთისმშობლისა და მოციქულთა ფიგურები გამოირჩევა რეპრეზენტაციულობით, დაგრძელებული პროპორციებით, პატარა თავებით, სამოსის ნაკეცთა დინჯი დინებით; ფიგურების ფორმათა ერთგვარი ბლოკურობა ხშირ, სწორხაზოვან და ამავდროულად მოქნილ ნახატთანაა შეხამებული.

შემდეგი რეგისტრი საკურთხევლის ერთადერთი უზარმაზარი სარკმლის თითქმის მთელ სიმაღლეს მოიცავს. აქ ეკლესიის მამები და წინასწარმეტყველნი არიან გამოსახული, რომელთა ფიგურები ოდნავ უფრო „მოძრავია“, ვიდრე ზედა რეგისტრში, თუმცა მათაც იგივე დიდებულება და მონუმენტურობა ახასიათებთ.²⁸

განსაკუთრებით შთამბეჭდავია დიდი ზომის სარკმლის მოხატულობა. სარკმელი ფართოდ იშლება საკურთხევლის სივრცეში და მისი წირთხლები და აფსიდის კედლები ლამის ერთ სიბრტყედ აღიქმება. სარკმლის თაღოვან ნაწილში გამოსახულია მაღალი გვირგვინით (რომელსაც ნაგებობის – ტაძრის? – ფორმა აქვს) შემკული ქალის ნახევარფიგურა ეკლესიის (ბაზილიკის) მოდელით ხელში, რომელიც თვით თოხთა ეკლესიის თითქმის ზუსტ ასახვას წარმოადგენს²⁹, მედალიონის ორსავ მხარეს სიუხვის რქებია გამოსახული³⁰. თანმხელები ასომთავრული წარწერა ამ ფიგურას განსაზღვრავს როგორც „სიონს“. ამ ფიგურის იდენტიფიკაცია, ინტერპრეტაცია და მოხატულობის

26 ზ. სხირტლაძე მარიამის ფიგურის უკან არჩევს დრაპირებულ კრეტსაბმელს (მაღალზურგიანი საყდარი ან კიდობანი?), ზ. სხირტლაძე, 2009, გვ. 55, სურ. 52.

27 თუმცა მარიამის გამოსახვა ამ სცენაში ადრექირისტიანული ეპოქის შემდგომ (მაგ., როსანის კოდექსის VI ს-ის მინიატურა, A. Grabar, L'Age D'Or de Justinien. Gallimard, 1966, ილლ. 233) მართლმადიდებლურ სამყაროში თითქმის არ გვხვდება, როგორც ჩანს, აქ საკმაოდ ძველი, შესაძლოა, წმინდა მიწასთან დაკავშირებული ტრადიციის გავლენა აისახა.

28 აქ ძალაუნებურად გვახსენდება ბეთანიის ტაძრის საკურთხევლის მოხატულობის წინასწარმეტყველთა ასევე „აღელვებული და ამოძრავებული“ რიგი, რომელიც ე. პრივალოვას აზრით, უფრო ადრეული, შესაძლოა, XI ს-ის დასაწყისის მოხატულობას იმეორებს. E. Привалова, Новые данные о Бетании. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983, გვ. 4-5.

29 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 320; N. Thierry, დასახ. ნაშრ., გვ. 78; V. Djibadze, დასახ. ნაშრ., გვ. 167; Z. Skhirtladze, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

30 კ. ჯობაძე, შენიშვნები თოხთა ეკლესიაში სიონის აღეგორიული გამოსახულების სიუხვის რქების შესახებ. ლიტერატურა და ხელოვნება, №1, 1999, გვ. 69-78.

მთლიან პროგრამაში მისი მნიშვნელობა რამდენიმე ნაშრომშია განხილული.³¹ ზ. სხირტლაძე მის შარავანდზე ჯვრის მკლავებსაც ამჩნევს³², რაც, ცხადია, კიდევ უფრო აძლიერებს წმ. სოფიოს თემას. ყველა შემთხვევაში, იგი ეკლესიის და მასში აღვლენილი ლიტურგიული საიდუმლოს – ევქარისტიის – მინიშნებაა, თანაც საკმაოდ იშვიათი და ორიგინალური სახით.

ამავე სარკმლის წირთხლებში, ცისფერ ფონზე, გამოსახულია ორი ფიგურა: მარცხნივ – წმ. მელქისედეკი³³, ფრონტალურად მდგომი, სამდვდელმთავრო სამოსში, ცისფერ მოსახლეში, სავარაუდოდ გამრის კრეტსაბმელის ფონზე, საკურთხეველის წინაშე, რომელზეც, შესაძლოა, ხონჩა იყო გამოსახული პურითა და ღვინით; შესაძლოა, მას ეს ხონჩა ხელში ეჭირა – ახლა ძნელად გაირჩევა; მარჯვნივ – წმ. წინასწარმეტყველი მოსე დია ოქრისფერ მოსახლეშია და თეთრ (?) ტუნიკაში, დაბურვილი ხელებით, მოწითალო ცეცხლის ენებით „აგიზგიზებული“ სინას მთის ფონზე, შრეებიანი „ზეციდან“ გადმოსული უფლის ხელიდან ათი მცნების მიღებისას მისგან სახეშეტრიალებული³⁴. ეს ფიგურები ფაქტიურად წინასწარმეტყველთა რიგის გაგრძელებაა, რომლის ცენტრში, სარკმლის ორსავ მხარეს, წმ. დავითი და წმ. სოლომონი – ბაგრატიონთა „წინაპრები“ – არიან გამოსახული. ეს სრულიად გასაგებია, რადგან მონასტრის მშენებლობაც და მისი მოხატვაც დავით დიდი კურაპალატის სახელთან არის დაკავშირებული³⁵.

ამ რეგისტრის კიდეებში, წინასწარმეტყველთა ოთხ-ოთხი ფიგურის გვერდით, რომლებსაც გაშლილი გრაგნილები უპყრიათ ხელში, ეკლესიის მამათა ასევე ოთხ-ოთხი ფიგურად. მათი „გაერთიანება“ ერთ რეგისტრში ძველი და ახალი აღთქმის ერთიანობას და ურდვევ კავშირს მიუთითებს³⁶.

სულ ქვედა, ნაწილობრივ სარკმლით გაყოფილ რეგისტრში გამოსახულია საუფლო დღესასწაულთა 9 სცენა („ხარება“, „მარიამისა და ელისაბედის

31 სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფიგურის წარწერის წაკითხვისა და იდენტიფიკაციის თაობაზე რამდენიმე მოსაზრება გამოითვა: ე. თავაიშვილს მიაჩნდა, რომ ეს არის ქტიტორის გამოსახულება (დასახ. ნაშრ., გვ. 85), ამ აზრს იზიარებს შ. ამირანაშვილი (დასახ. ნაშრ., გვ. 104); ბ. ტიერი თვლის, რომ ეს არის დედოფალი ნანა (დასახ. ნაშრ., გვ. 78), თუმცა მერე თავადაც გამოთქვა ეჭირი ამგვარი ინტერეტეციის თაობაზე; ნ. ალექსიძე კითხულობს „სოფიოს“ (დასახ. ნაშრ., გვ. 105). ვ. ჯობაძემ (დასახ. ნაშრ., გვ. 167), ვ. პრივალოვამ (დასახ. ნაშრ., გვ. 320) და ზ. სხირტლაძემ (დასახ. ნაშრ., გვ. 103) წარწერაში ამოიკითხეს „სიონი“, რაც, როგორც ჩანს, ყველაზე სწორი წაკითხვაა. თ. ვირსალაძე თავიდან წარწერას კითხულობდა, როგორც „სოფიოს“ (თ. ვირსალაძე, წმინდა სოფიოს..., გვ. 26), შემდგომ „სიონი“ ამოიკითხა; თუმცა თვით ფიგურა წმ. სოფიოს გამოსახულებად მიაჩნია (თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 25). ამ აზრს იზიარებს თ. მგალობლიშვილი (თ. მგალობლიშვილი, დასახ. ნაშრ., 2010).

32 ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის..., 2009, გვ. 65.

33 თ. ვირსალაძე ამ ფიგურას განსაზღვრავს, როგორც არონს, მოსეს ძმას და პირველ მდგრადმთაგარს (თ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25). ამ აზრს თ. მგალობლიშვილიც ეთანხმება (თ. მგალობლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102, 114), თუმცა აზრობრივად, აფსიდის მოხატვლიბის ლიტურგიული შინაარსის გათვალისწინებით, მელქისედეკის გამოსახვა თითქოს უფრო ლოგიკური უნდა იყოს (ცხალმუნი 109, 4).

34 ვ. ჯობაძე თვლის, რომ აქ შეუწევდი მაყვლოვანი არის გამოსახული (დასახ. ნაშრ., გვ. 167).

35 Z. Skhirtladze, The Mother of All..., გვ. 110-111. ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის..., გვ. 179-214.

36 Z. Skhirtladze, The Mother of All the Churches..., გვ. 109.

შეხვედრა“, „უფლის შობა“, „მირქმა“, „ნათლისდება“, „ფერისცვალება“, „ჯვარცმა“, იმ მათ შორის „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“, „მენელსაცხებლე დედანი ქრისტეს საფლავთან“ და ერთგვარად მასში „ჩადგმული“ სცენა „მაცხოვრის გამოცხადება დედათა წინაშე“).³⁷ საუფლო დღესასწაულთა რეგისტრი დანარჩენებზე დაბალი უნდა ყოფილიყო (ამჟამად მისი ქვედა ნაწილი სრულიად წაშლილია, „შობა“ და „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა“ ფაქტიურად აღარ არსებობს). თანაც იგი დარბაზიდან, ალბათ, კანკელით იფარებოდა. ამ რიგში არის ნიშნები შარავანდებზე ოქროს გამოყენებისა. ფონი აქაც ცისფერია (ყოველ შემთხვევაში, ზედა ნაწილში). თვალში საცემია უხვი არქიტექტურული ფონები საკმაოდ მსხვილი და „არასტანდარტული“, „კლასიკური“ მოტივებით, მარცხენა ნაწილის სცენებში ზეცის მრავალშრიანი (ფირუზზისფერის ჩათვლით) სეგმენტის მრავალგზის გამეორება, რაც თეოფანიური თემის გაძლიერებას ემსახურება. 6. ტიერიმ სცენები დააჯგუფა აზრობრივად – განკაცება, გამოცხადება, აღდგომა, ხსნა.³⁸

მოციქულთა რიგისა და წინასწარმეტყველთა რიგის გამყოფი ფართო მცენარეული ორნამენტი გადადის სარკმლის წირთხლებში და შემოფარგლავს მის თაღში გამოსახულ მედალიონში ჩაწერილი ქალის – წმ. სიონის ნახევარფიგურას, რითაც სარკმლის კომპოზიცია მჭიდროდ უკავშირდება წინასწარმეტყველთა რეგისტრს. ორნამენტს „სიუხვის რქის“ ფორმა აქვს და მართლაც საოცარი სიუხვით გამოირჩევა, როგორც ფერადოვნულად (მეღერი ზურმუხებისფერის ჩათვლით), ასევე მცენარეული მოტივების (ყვავილები, ფოთლები) მრავალფეროვნებით. ამ დახვეწილი, უხვი მოტივების ხვეულებში ჩახატულია პატარა, მოკლე ტუნიკებში ჩატელი ფიგურები, მოძრავ, ცოცხალ პოზებში. ეს ორნამენტული ზოლი თავისი მოტივების ხასიათითა და განსაკუთრებით „პუტის“ მსგავსი ფიგურების ჩართვით, ასოციაციას იწვევს ელინისტური ხანის მხატვრობასთან³⁹. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი „პუტის“ მსგავსი მოტივებიანი მცენარეული ორნამენტი ამ პერიოდის აღმოსავლეთქრისტიანულ კედლის მხატვრობაში ჩვენთვის უცნობია და, ალბათ,

37 ზ. სხირტლაძე ამ რიგში მეტ სცენას ხედავს, მათ შორის „ლაზარეს აღდგინებას“ „ჯვარცმასა“ და „აღდგომას“ შორის (ზ. სხირტლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 79).

38 N. Thierry, დასახ. ნაშრ., გვ. 84; იგი იზიარებს ა. გრაბარის აზრს, რომ საკურთხეველში სცენების გამოსახვა პალესტინური ტრადიციიდან მოდის. A. Grabar, Martyrium, Paris, 1946, გ. II, გვ. 168-171.

39 სიუხვის რქის თხთა ეკლესიის მსგავსი მოტივი ხახულის ტაძრის საკურთხევლის მოხატულობაშიც არის გამოყენებული და იშენის გუმბათშიც. 6. ტიერი IX ს-ის ახლო აღმოსავლეთის ძეგლებში ექვს პარალელებს, მაგ., სამარაში, (N. Thierry, დასახ. ნაშრ., გვ. 83-86), ანდა კაპადოკიაში, კოზილ-ჩუკულის ანასა და იოანეს ტაძრის კამარის VI-VII ს-თა მოხატულობაში N. Therry, Haut moyen-age en Cappadoce. Paris, 1994, გ. II, სურ. 63, ტაბ. 102a).

დავით გარეჯის მრავალმთის ერთ-ერთ სამონასტრო კომპლექსში, საბერებში, №7 ეკლესიაში არის მდიდრული მოტივი სიუხვის რქისა, რომელიც ჩრდილოეთი მკლავის თაღს მიუყვება, თუმცა ვიგურატიული ნაწილი მხატვრობისა („ჯვარცმა“) სულ სხვა სტილისაა – უფრო პირობითი, აძლახტიკური, ხაზოვანი (T. Шевякова, Монументальная живопись..., ტაბ. 40). აქვე, საბერების № 5 ეკლესიის ეგვეტერის აფსიდის მოხატულობაში ღმრთისმშობლის დიდების კომპოზიციის ქვემოდან შემომფარგლავი მცენარეული ორნამენტის ყვავილებში აღამიანის საკმაოდ სქემატურად მოცემული თვეები არის ჩახატული, რაც თხთა ეკლესიის მსგავსი მოტივის უკიდურეს გამარტივებას წარმოადგენს.

საგანგებო კვლევის საგანი უნდა გახდეს. ე. პრივალოვა აღნიშნავს ორნამენტის პლასტიკურობისა და ფორმათა სიუხვის კონტრასტს ფიგურათა ნახატის მკაცრ ხაზოვანებას, გრაფიკულობასა და „ბლოკისებურებასთან“⁴⁰.

მოხატულობაში აქა-იქ შემორჩენილია ასომთავრულით შესრულებული ქართული წარწერები⁴¹ (მაგ., კონქის ქვედა რეგისტრში, თაყვანისმცემელ ანგელოზთა თავზე და სხვ.). ტაძრის ცენტრალური ნავის გვერდით კედლებზე და პილასტრებზე გაირჩევა მოხატულობის რამდენიმე მკრთალი ფრაგმენტი, რომლებსაც ზ. სხირტლაძე ბაგრატიონთა გვარის ქტიტორების გამოსახულებად მიიჩნევს⁴², რაც მიუთითებს, რომ შესაძლოა, მოგვიანებით (ალბათ, XI საუკუნის დასაწყისში ნაგებობის რეკონსტრუქციის მერე) ტაძრის ეს ნაწილიც მოიხატა, თუმცა დაბეჯითებით ახლა უკვე ვერაფერს ვიტყვით.

ოთხთა ეკლესიის საკურთხევლის მოხატულობა დიდებულების, ზეიმურობის, მონუმენტურობის, სიდიადისა და სიმშვიდის განცდას ტოვებს. მიუხედავად ფერწერული ფენების ძლიერი დაზიანებისა და გამოსახულებათა დიდი ნაწილის „აჩრდილებივით“, აბრისის დონეზე შემონახვისა, მაინც თვალში საცემია მხატვრობის დახვეწილი კოლორიტი, რომელშიც თეთრი, ცისფერი, ლავვარდისფერი, მწვანე (დიდ ტონის და ზურმუხტისფერიც), ოქროსფერი ფერები ჭარბობს. ადსანიშნავია, რომ ფიგურათა რიგები ორფერ ფონზეა გამოსახული, თანაც „მიწისა“ და „ცის“ სიმაღლეები ყველა რეგისტრში განსხვავებულია, რაც ფერადოვანი ლაქების განლაგების ძალიან გამომსახველ რიტმს ქმნის და რეგისტრებში გამოსახულ ფიგურებს თითქოს სხვადასხვა „ხედვის კუთხით“ გვიჩვენებს.

ფიგურათა უმრავლესობა სტატიკურ, წარდგენით პოზებშია, და თვით საუფლო დღესასწაულთა სცენებშიც სიმეტრიული, წონასწორობაზე დამყარებული კომპოზიციური აგება ჭარბობს. შესრულების მანერის მხრივ ქვედა რეგისტრი ცოტა განსხვავებულია, რაც შესაძლოა თემატიკითაც და განსხვავებული ხელითაც იყოს განპირობებული. ზედა რეგისტრების უფრო სწორხაზოვან და გრაფიკულ ნახატთან შედარებით, აქ ხაზთა მეტი პლასტიკურობა, დენადობა შეინიშნება, მეტი დინამიკა. ფერადოვნულადაც ის უფრო „აქტიურია“, ვინაიდან მეტია მუქი ლურჯისა და ფირუზისფერი ლაქები.

ოთხთა ეკლესიის მოხატულობაში ფიგურები შემაღლებული პროპორციებისაა, პატარა თავებით, წარდგენითი, დიდებული მოძრაობითა და პოზებით, მთლიანი, დაუნაწევრებული კონტურებით შემოფარგლულნი; მომეტებულად სწორი, გრძელი ხაზების ხშირ კონებს ვხედავთ, თუმცა სულ ქვედა რეგისტრში ნახატი უფრო „პლასტიკურ-მრგვლოვანია“. ორნამენტული მოტივების „ელინისტური“ სიუხვე და სიცხოველე საქმაოდ გამომსახველ კონტრასტს ქმნის ფიგურათა სისადავესა და ერთგვარ გრაფიკულობასთან.

40 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 322.

41 ტაო-კლარჯეთის ეკლესიების ლაპიდარული და ფრესკული წარწერების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ე. თავაძეშვილის, ვ. ჯობაძის, დ. ხოშტარიას, ზ. სხირტლაძის ზემოთ-დასახელებულ ნაშრომებში.

42 ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის..., გვ. 28-29, 84-86.

ოთხთა ეკლესიის აფხიდის მოხატულობის მსგავსი პროგრამა თბილის მართლიანობის მართლიანობის აღმოსავლეთქრისტიანულ სამყაროში; არც გრანდიოზულობით, არც მხატვრობის თეოლოგიური შინაარსის სირთულით, არც თემათა მრავალრიცხოვნებით. გამორჩეულია სარკმლის კომპოზიციაც. ყოველივე უნიკალურობისა და განსაკუთრებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს და მოწმობს, რომ საქართველოს ამ რეგიონში მართლაც თვითმყოფადი, მაღალი დონის მხატვრული შემოქმედება ვითარდებოდა.

მოხატულობის მთავარი თემა არის ეკლესია, მისი თეოლოგიური პროგრამის „გასადები“ კი სარკმლის თაღში გამოსახული წმ. სოფიოს-სიონის – დედა ეკლესიის – ზეციური იერუსალიმის გამოსახულება⁴³, რომელიც ყოველმხრივ არის აქცენტირებული (ოქროს შარავანდის ჩათვლით). ამას ხელს უწყობს სარკმლის წირთხლების „გაშლა“ ისე, რომ ისინი თითქმის ერწყმის აფხიდის კედლებს, ამიტომ სიონის ფიგურა ძალიან კარგად ჩანს. თანაც იგი ფაქტიურად საკურთხევლის გეომეტრიულ ცენტრშია. სარკმლის წირთხლებში გამოსახული წინასწარმეტყველები წმ. მოსე და წმ. მელქისედეკიც სწორედ ეკლესიის ცნებას უკავშირდება: მღვდლობა, კანონი, ევქარისტიის საიდუმლო. ეკლესიის თემა არის განვითარებული მოხატულობის ზედა რეგისტრებში, სადაც ზეციურ და მიწიერ ეკლესიათა ერთობა არის გამოსახული, „სულთმოვენობაზე“ მინიშნებაც სწორედ ეკლესიის თემას აძლიერებს, ხოლო ქვედა რეგისტრის სცენებში – განკაცებისა და მსხვერპლის დოგმები საჩინოვდება, როგორც ხსნის საწინარი, რომელიც ქრისტეს ეკლესიის წიაღში ხორციელდება. პროგრამის წაკითხვა ქვემოდან ზემოთ ხდებოდა, ქრისტეს მიწიერი ცხოვრებიდან – განკაცება და მსხვერპლი – ეკლესიის მეშვეობით (ეკლესიის მამების, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა რიგები) - მარადიულ სასუფევლამდე – უფლის დიდებამდე.

ეს შინაარსი მართლაც რომ კარგად ესადაგება მოხატულობის ადგილს – რეალური ტაძრის საკურთხეველს. ე. პრივალოვა თვლის, რომ შესაძლოა, ტაძარი სწორედ სიონის სახელს ატარებდა⁴⁴.

თ. ვირსალაძე კი, რომელსაც სოფიო-სიონის საზრისების ურთიერთშემსჭვალვის თაობაზე აქვს დამაჯერებელი და საინტერესო ინტერპრეტაცია, თვლის, რომ ტაძარი წმ. სოფიოს სახელობისა იქნებოდა⁴⁵.

ოთხთა ეკლესიის მოხატულობის პროგრამა, ისევე როგორც ამ ტაძრის ხუროთმოძღვრება, პარხალის წმ. ოოანე ნათლისმცემლის სახელობის ბაზილიკის ხუროთმოძღვრებისა და მოხატულობის უახლოეს პარალელს წარმოადგენდა, ან, ყოველ შემთხვევაში, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა მის შემსრულებელ ოსტატებზე. პარხალის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების შედეგად მოედი ინტერიერი ზეთის საღებავით დაიფარა, რის გამოც მოხატულობა, სამწუხაროდ, ფაქტიურად

43 სიონის იღონოგრაფიისა და ოთხთა ეკლესიის მოხატულობის პროგრამაში მისი ადგილის შესახებ იხ. Z. Skhirtladze, The Mother of All the Churches., გვ. 104-109; ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის.... 2007; ვ. ჯობაძე, შენიშვნები ოთხთა ეკლესიაში სიონის..., გვ. 69-78; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., 29-36; თ. მგალობლიშვილი, დასახ. ნაშრ., 2010.

44 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 321.

45 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., 29-43; თ. მგალობლიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

აღარ არსებობს და ამ მსგავსების თაობაზე მხოლოდ ძველი აღწერებითა და ფოტოებით შეიძლება ვიმსჯელოთ⁴⁶.

პარხალის საკურთხევლის მოხატულობა ასევე 5 რეგისტრად იყო განაწილებული (შევრდომილი ანგელოზების რიგის გამოკლებით), რომლებიც ფართო ორნამენტული ზოლებით იყო გამოყოფილი; ქვედა ორი ალბათ ეთმობოდა საუფლო დღესასწაულებს (ან, შესაძლოა, ერთში წმ. ოთანე ნათლისმცემლის, ტაძრის პატრონი წმინდანის ცხოვრების სცენები ყოფილიყო გამოსახული⁴⁷). ე. თაყაიშვილს მოჰყავს რამდენიმე ფრესკული წარწერის ტექსტი, ერთ-ერთი – წინამდგრის ნიშის აწ უკვე გამქრალი მოხატულობის თანმხლები: „ქრისტე ღმერთო შეიწყალე პარხლისა წინამდგვარი აბრაკამ, ამინ“. საკურთხეველში, სარკმლის ქვეშ, მარჯვნივ იყო დიდი ასომთავრული წარწერა, რომლისგანაც ე. თაყაიშვილის დროს მხოლოდ ეს ნაწილი დარჩენილა: „ქ შეწევნთა ღმრთისათვა მე გლახაკმა იოგანს მამან განვას(რულე).... წმინდანო ღმრთისანო სიყვარულისათვის ღმრთისა მომიკენ(ეთ)....“.⁴⁸

პარხლის მონასტერში გადაიწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი⁴⁹, რომელთა მინაწერებიდან განისაზღვრება თვით ეკლესიის აგების თარიღი – 973 წ. მოხატულობაც, ეტყობა, მაშინვე შესრულდა. როგორც ჩანს, პარხლის მოხატულობაც იმ დიდებულებისა და მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორსაც ოთხთა ეკლესიის საკურთხევლის ფერწერა⁵⁰.

ხახულის ღმრთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ტაძრის (960-970 წწ.) ინტერიერი სუფთა თლილი ქვის კვადრებით არის შემოსილი, რაც მოწმობს, რომ ის თავიდან არ იყო გათვალისწინებული მთლიანი მოხატულობისათვის, რომელიც, როგორც ჩანს, XI საუკუნის დასაწყისში შესრულდა⁵¹.

საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მოიხატა ტაძრის საკურთხეველი და გუმბათი, და უკვე შემდგომ მკლავები. ტაძრის მექეთად გადაკეთების შემდეგ კედლების დიდი ნაწილი როგორც ითქვა ზეთის საღებავით დაიფარა (ეს 1917 წ-ის ექსპედიციის მერე მოხდა), რამაც საგრძნობლად დააზიანა მხატვრობა, რომელიც ახლა ფრაგმენტულად არის შემონახული.

საკურთხეველში მუქ ლურჯ ფონზე გამოსახულია მაცხოვის დიდების

46 Г. Казбеги, Три месяца в Туриецкой Грузии, Записки Кавказского Отделения Русского Географического Общества, Тиф., 1874, с. 121; Е. Такаишвили, Археологическая экспедиция 1917 года, გვ. 96-99, ტაბ. 144; აქვე მოცემულია აწ უკვე განადგურებული ფრესკული წარწერების ტექსტები და ჩანახატებიც; თ. ვირსალაძე, 2007, გვ. 27-28.

47 ე. პრივალოვა, ტაო-კლარჯეთის მოხატულობები, ხელნაწერი, გვ. 28-35.

48 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპედიცია..., 1960, გვ. 94.

49 ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890.

50 არ არის გამორიცხული, რომ თუ შესაძლებელი გახდება ფერწერის გაწმენდა ზეთის საღებავის ფენისგან, მოხატულობის რაღაც ფრაგმენტები ჯერ კიდევ გამომჟღავნდეს.

51 Е.Такаишвили, Археологическая ..., გვ. 74, ტაბ. 97-99; III. Амиранашвили, История..., გვ. 107; ე. პრივალოვა, ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის, გვ. 326-328; მოხატულობის თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თ. ვირსალაძე იშხანზე აღრეულად მიიჩნევს, XI ს-ის I ნახევარით ათარიღებს (2007, გვ. 59, 77-79); ამ აზრს იზიარებს ე. პრივალოვაც (დასახ. ნაშრ., გვ. 326); შ. ამირანაშვილი X ს-ის II ნახევარით ათარიღებს (დასახ. ნაშრ., გვ. 107). ტიგრი კი XI ს-ის დასაწყისით (N. Thierry, Peinture du X siecle en Géorgie..., გვ. 90).

კომპოზიცია, აღსაყდრებული მაცხოვარი ექვსფრთხედთა და ანგელოზებისა შორის (ამჟამად ძლივსდა გაირჩევა), ხოლო აფსიდის კედლებზე ცენტრში ღმრთისმშობელია ორ მთავარანგელოზს შორის. მათ ორსავ მხარეს ექვს-ექვსი მოციქულის ფიგურაა გამოსახული. ისინი საკმაოდ დაზიანებულია, უკეთ ჩანს მოციქულთა მარცხენა ჯგუფი, რომელთაგან ზოგის წარწერაც არის შემორჩენილი⁵². დეკორატიულ ნახევარწრიულ ნიშებში, რომელიც აფსიდის კედლის ქვედა ნაწილს ამკობს, ეტყობა, ეკლესიის მამების ფიგურები იყო, ხოლო ნიშების „კონქებში“ კი სიუხვის რქის მდიდრული ორნამენტის უწვეტი ზოლი არის გაშლილი, რომელიც ნიშიდან ნიშაში გადაედინება და დინამიკურად აერთიანებს მთელს აფსიდას.

საკურთხეველში გამოსახული ფიგურები დაგრძელებული პროპორციებისა, თხელი, მოხდენილი, თავისუფლად მდგომი. მათი ხელები და ფეხები დახვეწილი და ნატიფი ფორმისაა. ფორმის დამუშავების ფერწერული მანერა ახლა არ გაირჩევა. ფიგურათა პოზები თავისუფალია, ერთმანეთისკენ მიბრუნება და ხელების უესტიკულაციაც ქმნის კავშირს მათ შორის. სამოსის ნახატი რბილია, ფაქიზი, დენადი, თუმცა მთლიანობაში მაინც გრაფიკული და ნაკლებ პლასტიკური. ფერადოვნებაში თეთრი, მუქი ლურჯი, მოყავისფრო-მოწითალო ფერები ჭარბობს, თუმცა, ისევე, როგორც ტაო-კლარჯეთის სხვა ძეგლებში, მრავლად არის ფერის დეფორმაციის შემთხვევები, განსაკუთრებით გუმბათში.

ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას გუმბათის მოხატულობა ახდენს, სადაც ლურჯ ფონზე, უზარმაზარი თეთრი ჯვარია, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული⁵³, თეთრ (ორფენოვან) დიდების ფონზე, რომლის ზედაპირი რეგულარულად განლაგებული ვარსკვლავებით არის მოფენილი. ოღონდ იშხანის გუმბათისაგან განსხვავებით (იხ. ქვემოთ), აქ გამოსახულია არა ჯვრის ამაღლება ანგელოზების მიერ, არამედ ჯვრის დიდების სხვა ვერსია – „ჯვარი ძლევისა“⁵⁴. ამ თემას პალესტინურ ტრადიციას განაკუთვნებენ⁵⁵. იგი ქართული კედლის მხატვრობის მდგრად წესად იქცა, ჯერ კიდევ ადრეერისტიანული ხანის ტაძრების გუმბათებში ქვით ამოყვანილ ჯვრებს თუ გავიხსენებთ და შემდგომ, განვითარებულ შუა საუკუნეებში, გუმბათის მოხატულობებს⁵⁶. ა. ოქროპირიძის აზრით, ქართული ტაძრების გუმბათებში ქვისა თუ ფერწერული ჯვრების

52 E. Takashvili, Archeologicheskaya ekspeditsiya 1917-go goda, გვ. 74.

53 ჯვრის მკლევების გადაკვეთაზე, დიაგონალურად, გავლებულია მოკლე, ბურთულებით დაბოლოგებული ოთხი ხაზი. ქრისტეს გნებების, ჰეტიმასისა და ადდგომის გამოსახულებებში ამგვარი თავებიანი დიაგონალები ენების იარაღებს, კერძოდ, ოთხ სამსჭვალს განასახიერებს. იქნება აქაც, ხახულში, ქართული საეკლესიო გადმოცემის შესაბამისად, მინიშნებაა ქრისტეს სამსჭვალის საქართველოში დაუნჯებაზე? (იხ. ოშკის ტაძრის სამხრეთი მკლავის მოხატულობის პროგრამა).

54 ე. თაყაიშვილი აქ იშხნის მსგავს კომპოზიციას ხედავს „ჯვრის ამაღლებით“ და ოთხი აპოკალიპტური ეტლით. ეტყობა, მან წმ. ელიას ამაღლების გამოსახულება გააიგივა იშხნის გუმბათის მეტლებთან. E. Takashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 74; ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ძველი აღწერების მონაცემებსაც სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

55 ო. მგალობლიუმილი, კლარჯული მრავალთავი, თბ., 1991, გვ. 180-182; ე. პრიგალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 321; N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 94.

56 E. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980, გვ. 15-17.

გამოსახვა არა მხოლოდ პალესტინური ტრადიციით იყო განპირობებული, არამედ საკუთრივ ქართული საისტორიო გადმოცემითაც მცხოვის თავზე გაბრწყინებული „ჯვარი ძლევისათვის“ შესახებ⁵⁷.

გუმბათის მოხატულობაში ჭარბობს ლურჯი (ლაჟვარდი), მწვანე, თეთრი, ნაცრისფერი, სინგურისფერი, მოწითალო-ყავისფერი ფერები, თუმცა მოხატულობის ეს ნაწილი ძლიერ სახეცვლილია პიგმენტების დეფორმაციისა და საღებავის (განსაკუთრებით კონტურის ნახატის) ამოცვენის გამო – გამოსახულებათა დიდი ნაწილი ახლა ნებატივით აღიქმება.

გუმბათის აღმოსავლეთ ნაწილში, გამოსახულია „წმ. ელიას ამაღლება“. წმ. წინასწარმეტყველი ელია დგას ცეცხლოვან ეტლზე, რომელსაც ოთხი ფრთოსანი რაში აამაღლებს. წმ. ელიას „მიუძღვება“ მის ზემოთ გამოსახული მთავარანგელოზი წმ. რაფაილი. ეტლი ფაქტიურად არც არის გამოსახული – მხოლოდ ორი ცეცხლოვანი ბორბალია, რომლებსაც გადაშლილი ყვავილის ფორმა აქვს. წმ. ელია თავის ხალენს გადასცემს წმ. ელისეს და მისკენ (უკან) არის მიბრუნებული. წმ. ელისეს მუხლმოდრეკილი ფიგურა დაზიანებულია, თითქმის სულ ჩამოშლილი. გუმბათის ნახევარსფეროში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში იყო მთვარისა და მზის გამოსახულებები, ამჟამად მხოლოდ მზე არის შემორჩენილი კლაკნილსხივებიანი დისკოს სახით.

უნდა ითქვას, რომ გუმბათის კომპოზიციაში სხვა მსგავსი გამოსახულების ნიმუში არც ქართულ და არც აღმოსავლეთქრისტიანულ თუ ბიზანტიურ ნაწარმოებებში არ გვხვდება. თუმცა, თავისთავად, ამ კომპოზიციის გამოსახვა გუმბათში შინაარსობრივად არ არის გასაკვირი, რადგან „წმ. ელიას ამაღლება“ ქრისტეს ამაღლების წინასახედ განიხილება, მაგ., წმ. იოანე ოქროპირის პომილიებში⁵⁸. თანაც საკურთხეველში ქრისტეს დიდების ქვეშ ანგელოზებისა და მოციქულების თანხლებით დმრთისმშობლის გამოსახვა „უფლის დიდების“ თემას „ამაღლების“ თემით ამდიდრებს, რასაც შეესაბამება კიდეც „წმ. ელიას ამაღლების“ გამოსახვა გუმბათში. ქართულ კედლის მხატვრობაში „წმ. ელიას ამაღლების“ საკმაოდ ბევრი გამოსახულება შემოგვრჩა⁵⁹. აქ შეიძლება პვლავ გავიხსენოთ ქართული საეკლესიო ტრადიცია, რომლის თანახმადაც, წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში ინახება⁶⁰, რაც ამ თემას ერთგვარად საქართველოს ეკლესიის ისტორიას უკავშირებს, მსგავსად „ჯვრის დიდების“ გამოსახვისა ქართული ტაძრების გუმბათებში.

ხახულის ტაძრის გუმბათის მოხატულობაში „წმ. ელიას ამაღლების“ გამოსახულება მკვეთრი ხაზოვანებით გამოირჩევა: მკაფიო გამოთვარებები,

57 ა. ოქროპირიძე, მცხოვის ჯვრის ტაძრის შინაარსისათვის. რწმენა და ცოდნა, №1 (11), 2003, გვ. 34-37.

58 Th. Chatzidakis-Bacharais, Les peintures murales de Hosios Loukas. Athènes, 1982, გვ. 62.

59 მაგ., ტიმოთესუბნის დმრთისმშობლის ტაძარში, XIII ს-ის I მეოთხედი, გარეჯის უდაბნოს მონასტრის დიდი ტაძრის ჩრდილოეთ უკვდერში, XI ს-ის დასაწყისი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, XVII ს. და სხვ.

60 ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ. 348.

თითქოს ქვაზე ან ლითონზე ამოკვეთილი ნახატი, კონტრასტული ჩაჩრდილებების – უფელივე ეს საგრძნობლად განსხვავდება საკურთხევლის მხატვრობის უფრო რბილი, უფრო მოხდენილი, დენადი, ფაქიზი ფერწერისგან. შესაძლოა, რომ აქ ორი განსხვავებული ოსტატის ხელია ან ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გუმბათის სიმაღლე იყო გათვალისწინებული.

გუმბათის უელის სარტყელებში ფრაგმენტულად შემორჩენილია ორნამენტული მოტივები და მედალიონში ჩახატული ჯვრები.

ხახულის მოხატულობა თავისი მხატვრული გადაწყვეტით წინ უსწრებს იშხნის მხატვრობას – იგი უფრო ხაზოვანია, გრაფიკული, სიბრტყოვანი, სწორი, მკაფიო ხაზების სიჭარბით გამორჩეული, ფერწერული მოდელირება უფრო მარტივია, კომპოზიცია უფრო ლაკონიური და სადა.

როგორც აღვნიშეთ, სავარაუდოდ თავდაპირველად მხოლოდ ტაძრის საკურთხეველი და გუმბათი იყო მოხატული, შემდეგ კი, გარკვეულ დროს, ტაძრის მთელი სივრცე მოიხატა, თუმცა ახლა მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია დარჩენილი. ძველი ფოტოებისა⁶¹ და ლ. გუდიაშვილის ასლის⁶² მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამხრეთ მკლავში იყო „ბზობა“, ე. თაყაიშვილი ახსენებს „მირქმასაც“. თუ 1917 წლის ექსპედიციის მასალებით ვიხელდმდვანელებთ, აქ საუფლო დღესასწაულთა სრული ციკლი იყო გაშლილი. მოხატულობის ეს ნაწილი განსხვავდება გუმბათისა და საკურთხევლის მოხატულობისგან ფერადოვნეულადაც (უფრო ჩამქრალი და ყრუ ფერებია), ნახატის ხასიათით (რომელიც უფრო „დუნეა“ და გრაფიკული) და მთლიანობაშიც უფრო დაბალი მხატვრული დონისა ჩანს, შესაძლოა უფრო მოგვიანებით შესრულებული. მოხატული ყოფილა, როგორც ჩანს, წინამდგრის ნიშაც, სადაც ე. თაყაიშვილის დროს მხოლოდ წარწერა შემორჩენილა: „მათე, მოძღვარი ხახულისა, უფალო შეიწყალე“.⁶³

ხახულის ტაძრის გუმბათის მოხატულობა იმდენად მონუმენტური და დიდებულია, რომ დღევანდელი გაცრეცილ-ჩამოშლილი სახითაც უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს და იშხანის ტაძრის გუმბათის უმშვენიერესი მოხატულობის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს.

მშენებელი ტაძრში შემონახულია შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის უბრწყინვალესი ნიმუში⁶⁴. დღევანდელი ფრაგმენტული სახითაც კი იგი უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ამავე დროს, იგი გამორჩეულია უნიკალური იკონოგრაფიული პროგრამით, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სპეციფიკურად ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლის ტაძრიცია.

61 E. Такаишвили, Археологическая экспедиция 1917 года...., გვ. 74, ტაბ. 97-99.

62 დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში.

63 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპედიცია..., გვ. 65.

64 E. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 35-40; ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 326-330; N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle, გვ. 86-105; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან... გვ. 48-100; ი. გივიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 133-135; ნ. ანდლულაძე, თ. დვალი, ფ. დევდარიანი, ვ. სილო-გავა, იშხანი. თბ., 2011, გვ. 35-59.

ტაძარში შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები სხვადასხვა დროს პრივატული შესრულებული, ძირითადად XI ს-ის დასაწყისში, გარკვეული ნაწილები კი უფრო გვიანაც (XII ს-ში) მოიხატა ან განახლდა⁶⁵.

საკურთხევლის აფსიდში მოხატულობა ამჟამად ძალზე ფრაგმენტულია. მუქ ლურჯ ფონზე, გამოსახული იყო უფლის დიდება – ესქატოლოგიური თეოფანია: აღსაყდრებული მაცხოვარი ანგელოზთა შორის, ექვსფრთხედების და ცეცხლოვანი ბორბლების თანხლებით (ახლა ამ კომპოზიციის მხოლოდ ქვედა ნაწილები შემორჩა). შუა რეგისტრში მოციქულთა ფიგურების ფრაგმენტებია, ქვედა რეგისტრში კი – ეკლესიის მამათა რიგი. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მამებს გაშლილი წიგნები უჭირავთ, რაც საკმაოდ იშვიათი გადაწყვეტაა. საკურთხევლის სარკმელში ჩანს მკრთალი ნაშთი მედალიონის მოხაზულობისა და მასში ასევე მკრთალი კვალი შარავანდისა.⁶⁶ ე. თაყაიშვილის ცნობით, თითქოს აფსიდშივე უნდა ყოფილიყო ცალკეული საუქეტები, მაგ., „ოომას შიერ გვერდის განხილვა“⁶⁷.

ე. თაყაიშვილის ცნობით, ფრესკები ყოფილა სამკვეთლოშიც, კერძოდ, მაგიდასთან მსხდომი ანგელოზებისა და ტაძრის გამოსახულება (ძველი აღთქმის სამება? ⁶⁸ ან იქნებ აღთქმული საყდარი?) ე. თაყაიშვილს წარწერაც მოყავს: „მოიხურით ბეჭი მართალი და შეიწყნარეთ მშობელი დამბადებელისა ცათად და ქვეყანისავ“. სავარაუდოდ სადიაკვნეშიც შეინიშნებოდა ანგელოზთა ფიგურები, შესაძლოა „მიძინების“ სცენიდან. ქართულ გამოცემაში თაყაიშვილს წარწერაც მოყავს, რომელიც სასუმელისთვის ლოცვის (მათე, 26:42) კომპოზიციას მიუთითებს: „მამაო, უკუეთე ჯერ არს გარე წარმჯად სასუმელი ესე“⁶⁹. სამკვეთლოში შემორჩენილი წარწერის ფრაგმენტი „კაფარ ნაუმი“⁷⁰ აქ სავარაუდოს ხდის ქრისტეს სასწაულების ციკლის არსებობას.

ე. თაყაიშვილისვე ცნობით, საკურთხეველში (ბერის კამარაზე) ყოფილა მედალიონებში გამოსახული თრი ქალის ნახევარფიგურა, რომელთა ნაწილობრივ

65 ტაძრის მოხატულობას (ძირითადად გუმბათისას) მკვდევარი სხვადასხვანაირად ათარიდება: თ. ვირსალაძე – XI ს-ის დასაწყისით (1032 წლის აღდგენის შემდეგ), (Т. Вирсаладзе, Основные этапы...., გვ. 9; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის... გვ. 74); ტიერი – 950-დან 1032-მდე, სხვა ნაწილებს – 966 ახლოს (N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale... გვ. 100); თაყაიშვილი გუმბათის მხატვრობას IX ს-ით, დანარჩენს X ს-ის II ნახ-ით (Е. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 39), ხოლო დასავლეთი მედავისას – XII ს-ის I ნახევარით; ვ. ჯობაძე – 1032 წლის მერე (W. Djobadze, Early Medieval Georgian monasteries ... გვ. 197), შ. ამირანაშვილი – X ს-ის II ნახ., ხოლო გუმბათის მოხატულობას IX ს-ის I ნახევარით (Ш. Амирранашвили, История грузинской.... გვ. 104, 107). კ. პრივალითა – გუმბათის მოხატულობას 1032 წლის აღდგენითი სამუშაოების შემდეგ შესრულებულად მიიჩნევს, ზოგიერთ ნაწილს კი – XII საუკუნისად, თუმცა სათურდ თვლის კვლევის ამ ეტაპზე ზუსტ დათარიდებას. ე. პრივალითა, დასახ. ნაშრ., გვ. 326-327.

66 მაცდუნებელია აქ, ოთხთა ეკლესიის მხატვრობის დაშვება, თუმცა იშხანში ეს გამოსახულება სამხრეთ-აღმოსავლეთ სარკმელში ისედაც არის.

67 Е.Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

68 Е.Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

69 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპედიცია..., გვ. 24.

70 Е. Такаишвили, Археологическая экспедиция... გვ. 24.

შემორჩენილი წარწერების მიხედვით იგი მათ საქართველოსა და სომხეთში მომავალი ბიბლიოთის – ნანასა და აშხავნარის (აშხენ) ფიგურებად განსაზღვრავს, თუმცა ეს ბოლო იდენტიფიკაცია მხოლოდ ვარაუდია. მისივე ცნობით, აშხენის გამოსახულებას სომხური წარწერის ნაშთები შემორჩენოდა, რომელიც, ფაქტობრივად ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი სომხური წარწერაა ტაო-ქლარჯეთის მოხატულობებში⁷¹. ამჟამად ეს გამოსახულებები აღარ გაირჩევა.

ყურადღებას იპყრობს ე. თაყაიშვილის აღწერაში მოვანილი ცნობა, რომ ქართული წარწერით ადნიშნული ქალის ფიგურას ხელში ჭიგნი უჭირავს. შესაძლოა, ეს წმ. ნინოზე მიუთითებდეს, რადგან წმ. ნინოს ამგვარი იკონოგრაფია დადასტურებულია XIII საუკუნის დამდეგის ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოხატულობაში, თანაც წარწერით დამოწმებულია⁷². არ არის გამორიცხული, რომ იშხნის წარწერაც წმ. ნინოს გულისხმობებს – იგი ნაკლული სახით იყო შემორჩენილი და მასშიც, ყინცვისის მსგავსად, არის სიტყვები „ნინო“ და „განმანათლებელი“. წარწერა გადმოწერილი და აღდგენილია თაყაიშვილის მიერ: „[ნანა მეუღლე მირიანისა, მცხეთის დედოფა] ლინე ნო[ი]სმრ გ ანთლბუ ლი“⁷³. მიუხედავად იმისა, რომ წარწერის ნაკლული ხასიათი დარწმუნებით ამის მტკიცების საშუალებას არ გვაძლევს, მაინც გვგონია, რომ საკურთხეველში წიგნის მაყრობელი ქალის ფიგურა უფრო წმ. ნინოს უნდა განასახოვნებდეს, ვიდრე დედოფალ ნანას.

მხატვრულად ყველაზე შთამბეჭდავი და იკონოგრაფიული შემადგენლობის მხრივ უნიკალური გუმბათის მოხატულობა არის. გუმბათში გამოსახულია ქართული მხატვრობისთვის ტრადიციული თემა – „ჯვრის ამაღლება“. ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული ტოლმკლავა თეთრი ჯვარი გამოსახულია ვარსკვლავებით მოჭედილ ლურჯ ფონზე. ჯვრის შემომფარგლავ, რამდენიმე მრიან ცისარტყელიან „დიდებას“ ოთხი ანგელოზი აამაღლებს. ანგელოზები გუმბათქვეშა აფრების დერძებზე, მუქი ლაქვარდის ფონზეა წარმოდგენილი. ანგელოზთა სამოსი ნაზი, ნათელი ფერებით არის შესრულებული: თეთრი, ბაცი მწვანე, ცისფერი, ლურჯი, ვარდისფერი. მათი მოძრაობა ერთი შეხედვით ერთნაირია, მაგრამ ამავე დროს, ბევრი დეტალით განსხვავებული და გაცოცხლებული.

ფიგურების დენადი და რბილი ფორმები, მოძრაობის ელეგანტურობა და სიდინჯე, დრაპირების უფაქიზები დამუშავება, ამ ხაზებით შექმნილი პლასტიკა, ფერთა დახვეწილი შეხამება განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს მათ. ანგელოზთა ნატიფი სახეები და სხეულები ამჟამად გამუქებულია, მაგრამ მშეგნივრად ჩანს ფორმათა და ხაზთა დახვეწილობა და სინატიფე. მათი „კლასიკური, ელინისტური“ ფორმები კონსტანტინოპოლში ამ პერიოდში გამეფებული „მაკედონური რენესანსის“ ერთგვარ გამოძახილად აღიქმება⁷⁴. თუმცა იშხნის ფიგურების უწოდება განსხვავდება მაკედონური რენესანსის ნაწარმოებთა ერთგვარი „სიმბიმისგან“.

71 E. Такаишвили, Археологическая экспедиция... გვ. 37-38.

72 მ. დიდებულიძე, ახალი მონაცემები ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XIII ს-ის მოხატულობის შესახებ. საქართველოს სიმველენი, №1, 2002, გვ. 85-87.

73 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპლიცია....., გვ. 37.

74 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie... გვ. 113; ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის... გვ. 25.

ანგელოზთა ფართოდ გაშლილი ფრთები და სხეულების პორიზონტალური ტრიუმფალური განვითარება თითქოს იმეორებს „დიდების“ წრიულ მოხაზულობას. მათი სხეულები, ფრენის შესაბამისად, პორიზონტალურადაა გაზნექილი და სამოსის აფრიალებული ნაკეცებიც, რომელთა ნახატი პლასტიკურად გამოკვეთს სხეულის ფორმებს, ფრენის მიმართულებას მიანიშნებს. იშხნის გუმბათის ანგელოზები შეუსაუკუნეების ქართული მხატვრობის გამორჩეული ნაწარმოებია. გუმბათის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში გამოსახულია მზისა და მთვარის პერსონიფიციები, რომელთაგან უკეთ შემოჩენილია მთვარის გამოსახულება ხარზე მჯდომი ქალის ფიგურის სახით⁷⁵.

უშუალოდ ამ თემის გაგრძელება და ნაწილია გუმბათის სფეროს პერიმეტრის გაყოლებაზე, მუქ ლაქვარდის ფონზე წარმოდგენილი იშვიათი იკონოგრაფიული თემა – „წინასწარმეტყველ ზაქარიას ხილვა“: ფრთოსანი ცხენებით შებმული ოთხი ეტლი, რომლებსაც მოკლე ტუნიკებში ჩატმული წვეროსანი მეტლები მიერეკებიან. ერთ მათგანს ხელი აქვს აწეული ცისკენ – ჯვრისკენ. ეტლში შებმული ოთხ-ოთხი ფრთოსანი ცხენი ჭენებით მიემართება წინ. ოთხივე ფიგურის თავზე არის ასომთავრული წარწერები, რომლებიც ზაქარიას ხილვის ტექსტიდან (2; 4) არის აღებული, მინიშნებულია ცხენების ფერი და ეტლის მოძრაობის მიმართულება --- სამყაროს ოთხივე მხარეს. ე. თაყაიშვილს მოჰყავს ეს წარწერები (აღდგენილი სახით): „და ეტლთა მათ პირველთა ებნებ ცხენი შავნი. ხოლო დასავლეთით ცხენი სპერაკნი. და ეტლთა მათ სამხრისათა ებნებ ცხენი ხედნი. და აღმოსავლეთით ფესანგნი“⁷⁶.

ეტლების მოძრაობის მიმართულება ანგელოზების ფრენის საპირისპიროა, რაც სამყაროს მარადიული წრებრუნვის მიმანიშნებელია. ეტლები გამოსახულია ტალღოვანი კონტურით შემოხაზული ბორცვების (კლდეების) ფონზე, კვლავ ზაქარიას ხილვის ტექსტის შესაბამისად (ზაქარია, 6, 1-6). ეტლები გუმბათის ყელის თაღებს ზემოთ არიან გამოსახული და „რკინის მთების“ ეს ტალღოვანი ნახატი რეალური თაღების რკალებს ებმიანება. 6. ტიერი თვლის, რომ „ძლევის ჯვრის“ გამოსახულებასთან ზაქარიას ხილვის დაკავშირება კვლავ იერუსალიმურ ტრადიციას ასახავს.⁷⁷ თაღნარს ზემოთ სამკუთხა არებზე „სიუხვის რქის“ მდიდრული ორნამენტებია. „ჯვრის გამოცხადება“ ზაქარიას ხილვასა და ასტრალურ სიმბოლოებთან ერთიანობაში მეორედ მოსვლის შინაარსს გამოკვეთს გუმბათის მოხაზულობაში.

გარდა ამისა, გამოსახულება ებმიანება მათეს სახარების ტექსტს (24; 27-31) მეორედ მოსვლის ნიშნების თაობაზე, თითქოს მისი სრული ილუსტრაციაა: „27. რადგან როგორც ელვა გამოჩნდება აღმოსავლეთიდან და ანათებს დასავლამდე,

75 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., ილლ. 23ა; ე. თაყაიშვილი ამ ფიგურას შეცდომით განსაზღვრავს, როგორც აპოკალიფსურ „ბაბილონის შეძალები“, დასახ. ნაშრ., გვ. 36; მოვარის და მზის პერსონიფიციების გამოსახვა არ არის იშვიათი რამ ქართულ მხატვრობაში, მაგ., დავით-გარეჯის დოდორქის მონასტრის გუმბათიანი ტაძრის საკურთხეველში, „უფლის დიდების“ კომპოზიციაში (Xს); აგრეთვე გარეჯისვე საბერევების კომპლექსის №7 ეკლესიის „ჯვარცმის“ კომპოზიციაში. T. შევაკოვა, Монументальная живопись....., ტაბ. 38-39, 49. და სხვ.

76 ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია... გვ. 20-21.

77 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale... გვ. 98.

ასე იქნება მოსვლაც ძისა კაცისა. 29. და მაშინვე იმ გაჭირვების შემდეგ, მაშინ გარსკვლავები დაბნელდება, და მთვარე არ გამოსცემს თავის ნათელს, და ვარსკვლავები ჩამოცვივდება ზეციდან, და ცათა ძალები შეიძვრება. 30. და მაშინ გამოჩნდება ნიშანი ძისა კაცისა ცაზე, და მაშინ მოჰყვება გოდებას ყოველი ტომი ქვეყნისა და იხილავენ ძეს კაცისას, მომავალს ცის ღრუბლებზე მრავალი ძალითა და დიდებით. 31. და წარგზავნის თავის ანგელოზებს დიდებითი საყვირით, და შეკრებენ მის რჩეულებს ოთხ ქართაგან, ცათა კიდიდან მათ კიდემდე.“ ასევე ესადაგება წმ. მარკოზის სახარების ტექსტს (13; 24-27), სადაც ოთხ ქარზეა საუბარი.

მკვლევარები ამ უჩვეულო კომპოზიციის სათავეებს ანტიკური გუმბათების მოხატულობებში ეძებენ (მაგ., პალატინის ერთი დარბაზის ჭერის მოხატულობა)⁷⁸, თუმცა უფრო სავარაუდოა, აქ ქართული საეკლესიო ისტორია იქნას გათვალისწინებული.

საკურთხევლის და გუმბათის კომპოზიციები ერთობლივად უფლის დიდებას და მეორედ მოსვლისას თეოფანიას გამოსახავენ.

თექვსმეტწახნაგა გუმბათის ყელში, მისი შემაკობელი თაღნარის ქვეშ გამოსახულია მედალიონებში ჩაწერილი 16 მთავარანგელოზის ნახევარფიგურები კვერთხებით ხელში, მათ ქვემოთ კი, სარკმელ-გამოშვებით, მთელი ტანით გამოსახული წინასწარმეტყველები გაშლილი გრაგნილებით.⁷⁹ გრაგნილებზე ქართული წარწერებია, მხოლოდ ერთზე არის ბერძნული⁸⁰; სარკმლების თაღოვან ნაწილებში წმინდა მეომართა ნახევარფიგურებია: წმ. პროკოპი, წმ. ორონცი, წმ. დემეტრე, წმ. ფონა, წმ. კონონ, წმ. სერგი, წმ. მენა⁸¹. საგულისხმოა, რომ წმინდა მეომრებს არა აქვთ შარავანდები. მათი სახეები უფრო „მსუე“ ფერწერული მანერითაა შესრულებული, ვიდრე ჯვრის ამაღლების ანგელოზებისა – მოყავისფრო-მომწვანო სარჩულზე მკვეთრი, ფერწერული გამონათებები. ეტყობა, სხვა ოსტატის ხელია. როგორც ჩანს, მხატვრობის ეს ნაწილი გუმბათის 1032 წლის აღდგენით სამუშაოებამდე გაკეთდა.

გუმბათისა და საკურთხევლის მოხატულობის კოლორიტი აგებულია ცის-ფერი, ლურჯი, მწვანე, ვარდისფერი, თეთრი, ზურმუხტისფერი, მოწითალო ფავისფერი, ოქრის ტონებით.

ტაძრის მკლავების მოხატულობა განსხვავდება გუმბათისა და საკურთხევლის მოხატულობისგან, შესაძლოა ცოტა უფრო გვიან არის შესრულებული, ალბათ 1032 წლის მერე.

ჩრდილოეთი მკლავის კედლებზე გამოსახული იყო „ხარება“, „შობა“, „

78 K. Lehman, The Dome of Heaven, The Art Bulletin, march, 1945, vol. XXVII, N 1, გვ. 21, სურ. 62; ი. გიგია-შეილი, თვლის რომ ეტლების გამოსახულებები ზოდიაქოს ნიშნებთან არის კავშირში და იშხნის გუმბათის პროგრამაში განცხადებულია სამყაროს კოსმიური ბუნება, ხოლო ქრისტიანობა გაიაზრება, როგორც ამ სამყაროს გვირგვინი (ი. გიგია-შეილი, დასახ. ნაშრ., გვ. 133-135).

79 ამჟამად წინასწარმეტყველთა თავები წრიული სარკმლების დიადებს ემთხვევა; როგორც ჩანს, ეს სარკმლები მოხატვის წინ ამოქოდეს, მაგრამ შემდგომში ბათქაში ჩამოიშალა და წინასწარმეტყველთა თავებიც თან წარიტანა.

80 E. Takashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 36; მიხივე, 1927 წლის ექსპედიცია.... გვ. 18-19.

81 E. Takashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 35.

„მირქმა“, „ფერისცვალება“, წმ. ბარბარესა და წმ. მარინეს გამოსახულებანი⁸², „ეგვიპტედ ლიტოლვა“⁸³. სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე ყოფილა ნაშთები სცენებისა: „მენელსაცხებლე დედანი უფლის საფლავთან“, „ჯვარცმა“, „ჯვრიდან გარდამოხსნა“, „მიძინება“. სამხრეთ მკლავში კონცენტრინესა და ელენეს გამოსახულება⁸⁴.

ჩრდილო-აღმოსავლეთი სარკმლის თაღში ჩანს მედალიონში ჩაწერილი გვირგვინოსანი ქალი ბაზილიკური ტაძრის მოდელით, რომლის ძირითადი სქემა მოგვაგონებს ოთხთა ეკლესიის აღმოსავლეთი სარკმლის გამოსახულებას. 6. ტიერი მას დედოფალ ნანად (ნათლობით ნინო) მიიჩნევს.⁸⁵ თუმცა, ალბათ, ესეც „სიონის“ გამოსახულება უნდა იყოს, ვინაიდან ზოგი თემა თუ სახე საკმაოდ მდგრად ტრადიციას წარმოადგენს ტაო-კლარჯულ ფერწერულ სკოლაში.

სამხრეთ მკლავში, პასტოფორიუმის შესასვლელის თავზე, გამოსახულია საკმაოდ იშვიათი სცენა „მოციქულებისათვის მაცხოვრის აღდგომის შეტყობინება“⁸⁶. ეს გამოსახულება თავისი მხატვრული გადაწყვეტითა და ფორმებით კიდევ უფრო განსხვავდება დანარჩენი მხატვრობისაგან და თითქოს უფრო XII საუკუნის დასაწყისის მხატვრობას უახლოვდება, თანაც ბევრად უფრო უხეში, ხაზობრივი და აპლასტიკური ჩანს, ვიდრე გუმბათის მოხატულობა. განსხვავება არა მხოლოდ დროშია, არამედ ხარისხშიც.

ტაძრის დასავლეთ მკლავში, რომელიც მეჩეთად იყო გადაკეთებული⁸⁷, შემორჩენილია რამდენიმე ფიგურის ფრაგმენტი: მთავარანგელოზის, ახალგაზრდა მარტვილის, უცხობი წმინდანის, წმ. გიორგისა და წმ. თევდორესი, ცალკეული ორნამენტული მოტივები. ფერადოვნებით და ნახატის ხასიათით (რამდენადაც შესაძლებელია ახლა ამაზე მსჯელობა) ისინი განსხვავდება გუმბათის მოხატულობისაგან და შესაძლოა, 1032 წლის აღდგენის შემდეგ შეიქმნა. ამ მკლავში ბიბლიური სიუჟეტებიც იყო, ე. თაყაიშვილს მოჰყავს წარწერის ნაშთი: „...და აბრკმის წე“⁸⁸ უფრო სარწმუნო გვესხება „აბრაამის წიაღი“, „განკითხვის დღის“ შემადგენელი ნაწილი – რასაც თ. ვირსალაძეც ადასტურებს⁸⁹.

ე. თაყაიშვილის ცნობით, დასავლეთ მკლავში წარმოდგენილი იყო ტაოელ ბაგრატიონთა პორტრეტები: ადარნასე კურაპალატი, ქე ბაგრატ მაგისტროსისა, ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე, ბაგრატ ერისთავი, ქე ადარნასე კურაპალატისა. შესაძლოა დავით კურაპალატიც იყო გამოსახული. ეს პორტრეტები,

82 Е. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.

83 ეს სცენა რატომდაც არ შეუმნევია მკვლევარების უმეტესობას, როგორც ჩანს, მხოლოდ ე. პრივალოვაშ და მე შევნიშვნეთ, თუმცა საკმაოდ გამორჩეულ ადგილზეა. სამწუხაროდ, ბოლო ხასვლისას თითქმის ვერ გავარჩიე.

84 Е. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

85 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 101.

86 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 101.

87 ამჟამად თურქი სპეციალისტების მიერ ჩატარებული რესტავრაციის შედეგად გამყოფი კედელი მოიხსნა და დასავლეთი მკლავის სივრცე გაერთიანდა მირითად სივრცესთან.

88 Е. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

89 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან..., გვ. 52.

როგორც ჩანს, მკლავის დასავლეთ და სამხრეთ კედლებზე იყო გამოსახულების და ე. თაყაიშვილის დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი წარწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 966 წლის ახლოს უნდა შექმნილიყო. ე. თაყაიშვილს მოყავს წარწერების ტექსტი: „ადარნასე კურაპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისაა”, „ბაგრატ (მაგისტ) როსი, ქართველთა მეფე“. „ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატისაა“.⁹⁰ თ. ვირსალაძე თვლის, რომ X საუკუნეში მოხატულობა აქ არ იქნებოდა; წარწერების ხასიათი, ფერი და მრავალსიტყვაობა მათ განსხვავებულ ფუნქციას მიუთითებს და ისტორიული მატიანის ტიპის წარწერებს მიაკუთხნებს, ხოლო ისტორიულ პირთა პორტრეტების წარწერების ხასიათი სულ სხვაგვარია⁹¹.

ჩრდილოეთი მკლავის ქვედა რეგისტრებში უფრო გვიანი, ალბათ XII საუკუნის მხატვრობა ყოფილა, რომელიც ნაწილობრივ ფარავდა ძველს და განსხვავებული კოლორიტითა და სტილური ნიშნებით ხასიათდებოდა. 1917 წელს ჯერ კიდევ შემორჩენილი ფიგურები წარწერებით განისაზღვრება, როგორც წმ. ნიკოლოზი, წმ. იაკობი, წმ. ანდრეა და წმ. ლუკა. ამ ნაწილში შემორჩენილ ვრცელ წარწერაში ნახსენები ყოფილა დავით აღმაშენებელი, მისი ძე დემეტრე და ასული თამარი⁹². ამჟამად ამ მხატვრობის კვალიც კი არ ჩანს.

თ. ვირსალაძე თვლის რომ მოხატულობის დამკვეთი იგივე ანტონი იშხნელი მთავარეპისკოპოსია, რომელიც XI საუკუნის დამდეგს შეუდგა ტაძრის ახლადადგენას (დასავლეთი მკლავის ჩრდ. კედლის პილიასტრზე არსებული წარწერის მიხედვით) იმავე 1032 წელს⁹³.

როგორც ჩანს, იშხნის ტაძრის მრავალრიცხოვან სამშენებლო-აღდგენით ეტაპებს თან სდევდა ფერწერული დეკორის შექსება-განახლებაც (X ს-ის მიწურული; XI ს-ის დასაწყისი; XII ს-ის I ნახევარი). მოხატულობის ერთიანი პროგრამის წარმოდგენა-აღდგენა ამჟამად ცოტა ძნელია და საგანგებო კვლევას საჭიროებს, თუმცა კი სრულიად აშკარაა, რომ იშხნის ტაძრის ფერწერული ანსამბლი თავისი დროის უბრწყინვალეს ნაწარმოებს წარმოადგენდა როგორც თეოლოგიური შინაარსის, ასევე მხატვრული სტილის თვალსაზრისით.

იშხნის მცირე დარბაზულმა ეკლესიამაც შემოინახა მოხატულობის ფრაგმენტები საკურთხეველში: კონქში უფლის დიდება (სავარაუდოდ ვედრების სახით), ქერობინ-სერობინით, ცეცხლოვანი ბორბლებით, მახარებელთა სიმბოლოებით; კონქის ქვეშ კი ზიარება ორი სახით. მხატვრობა საკმაოდ კარგი ხარისხისაა, თუმცა დიდი ტაძრის გუმბათის მოხატულობას ვერ შეედრება, უფრო მკლავების მოხატულობას მოგვაგონებს და შესაძლოა, XI საუკუნის მიწურულის თუ XII საუკუნისა იყოს.

963-973 წლებში აგებული რამპის წმ. იოანე ნათლისმცემლის დიდებული ტაძრის კედლის მხატვრობის მერთალი ნაშთები ძალზე მიახლოებით შთაბეჭდილებას იძლევა მის თავდაპირველ სახეზე⁹⁴.

90 E. Takashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 36-37; მიხიგვ. 1917 წლის ექსპედიცია..., გვ. 21-22.

91 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან..., გვ. 73.

92 E. Takashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 39-41

93 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან..., გვ. 74.

94 E. Takashvili, დასახ. ნაშრ., გვ. 54-55, 64-65, ტაბ. 67-70; N. Thierry, Peinture historiques d'Osk'i (T'ao),

შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტაძრის მოხატვის რამდენიმე ეტაპი არის სავარაუდო: X საუკუნე (963-973), XI საუკუნე (1036), XII-XIII საუკუნეთა მიჯნა.⁹⁵

ეს გრანდიოზული ტაძარი, რომელიც ტრიკონქის ტიპს განეკუთვნება, თავდაპირველად არ იყო გათვალისწინებული სრული მოხატვისათვის, რასაც მოწმობს ინტერიერში კედლების თლილი ქვით შესრულებული წყობა და აგრეთვე ის ფაქტი, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ აფსიდებში ჩანს პირდაპირ ქვის წყობაზე შესრულებული ანიკონური დეკორის ფრაგმენტები: ქვის კვადრების იმიტაცია, წითელი და ყვითელი რადიალური ხაზები⁹⁶.

კველაზე ადრეული მხატვრობა, როგორც ჩანს, შემონახულია სამხრეთ პასტოფორიუმში. კონქში გამოსახულია ქრისტეს დიდება: აღსაყდრებული ქრისტე მანძორლაში, მთავარანგელოზები და ცეცხლოვან ბორბლებზე შემდგარი სერაფიმი; აფსიდის კედლებზე ჩანს შარავანდთა რიგი, გამოყოფილი ცენტრალური, ეტყობა დმრთისმშობლის, ფიგურით. ყოველივე ძალიან ახლოს არის და მრავალი დეტალითა თუ საერთო კომპოზიციით ემსგავსება დავითგარეჯის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ცნობილი ძეგლების, საბერეების № 8 ეკლესიისა და დოდორქის გუმბათითანი ტაძრის მოხატულობას⁹⁷. კონქის მიმდებარე კამარის ნაწილზე ჩანს „ხარების“ ფრაგმენტი და მის ქვემოთ, კედლებზე, საუფლო დღესასწაულის რომელიდაც სცენა მაცხოვრის ფიგურის მცირე ფრაგმენტით. ტაძრის ამ ნაწილის მოხატულობა აღმართ მისი აგების თანადროულია, 963-73 წლებში შესრულებული⁹⁸.

დროით შემდეგი უნდა იყოს ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობა, რომელიც ჯოჯიკ პატრიკის მოღვაწეობას უკავშირდება და 1036 წლით თარიღდება, რასაც მოწმობს აფსიდშივე, რეგისტრებს შორის გაკეთებული ქარული წარწერა: „...ნ..განვაჭუნენ და შევამკე ტაძარი წმიდისა წინამორბედისა და სფათა სულკურთხეულისა ჯოჯიკ პატრიკისათა, აკურთხენ დმერთმან და ადიდენ! ქრონიკონსა : სხვ, [1036] ბერძენთა....”⁹⁹.

საკურთხევლის აფსიდის კონქში გამოსახული იყო „მაცხოვრის დიდება“ (აღსაყდრებული მაცხოვარი ანგელოზებს შორის), რომლის ფიგურის მხოლოდ ქვედა ნაწილი გაირჩევა ამჟამად, კერძოდ კი სამოსის ქობა და კვარცხლბეკზე დადგმული ტერფი). ქვედა რეგისტრში გამოსახულია კვარცხლბეკზე მდგომი

- Revue des Etudes géorgiennes et caucasiennes, № 2, 1986, გვ. 135-170; ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 323-326; III. Амиранашвили, История грузинской монументальной..., გვ. 107-108, ტაბ. 91-94. ვ. ჯობაძე, თბეკის ტაძარი (თრი წერილი თბეკის ტაძარზე), თბ., 1991.
- 95 6. ტიერი საკურთხეველში შემორჩენილი წარწერის მიხედვით თვლის, რომ მთელი მოხატულობა შესრულდა 1036 წელს (დასახ. ნაშრ., გვ. 135); ასევე მიიჩნევს ე. თაყაიშვილი (დასახ. ნაშრ. გვ. 65); ე. პრივალოვა გამოჰყოფს XI-ის, 1036 წლისა და ცოტა მოგვანებით შესრულებულ ნაწილებს (ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 323-325); თ. ვირსალაძეც 1036 წლით ათარიღებს ძირითად ნაწილს (თ. ვირსალაძე, ქარული მხატვრობის..., 56-57).
- 96 W. Djaobadze, Early Medieval Georgian... გვ. 95; ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 323.
- 97 Т. Шевякова, Монументальная живопись..., ტაბ. 41, 48-50.
- 98 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 323.
- 99 Е. Такаишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 66; მისივე, 1917 წლის ექსპედიცია..., გვ. 56-57.

ღმრთისმშობელი ორანტა, მაგრამ არა ზუსტად ცენტრში, არამედ მდგრადარის მარჯვნივ, მის გვერდით კი, ასევე ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ, წმ. იოანე ნათლისმცემელი (ამჟამად ძალიან ცუდად ჩანს. ე. თაყაიშვილი ამ ფიგურას მოციქულად მიიჩნევს). მათ ორსავ მხარეს გამოსახულია მოციქულების ფიგურები. ღმრთისმშობლისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ამგვარი გამოსახვა უშეალოდ „უფლის დიდების“ ქვეშ გარკვეულად „ვედრების“ და, შესაბამისად, „მეორედ მოსვლის“ თემით ამდიდრებს საკურთხევლის თეოფანიურ პროგრამას.

ქვედა რეგისტრში ეკლესიის მამათა ფრონტალური ფიგურების რიგი იყო: სარქმლის მარცხნივ – წმ. იაკობი, მმა უფლისა, სარქმლის მარჯვნივ – წმ. იოანე ოქროპირი, რომლის ფიგურა ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. შეა სარქმლის წირთხლებზე – წმ. ეკატერინე და წმ. პირველმოწამე სტეფანე. მარჯვენა სარქმლის წირთხლზე – წმ. პეტრე ალექსანდრიელი¹⁰⁰. საკურთხევლის მოხატულობაში ფიგურები გამოირჩევა კლასიკური ფორმებით, ელეგანტურობით, შემაღლებული პროპორციებით, დიდებულებით (ფერები: წითელი, ცისფერი, ოქრისფერი).¹⁰¹

განსაკუთრებით საინტერესოა სამხრეთი აფსიდის მოხატულობა, რომელიც ვიწრო ზოლად არის დარჩენილი ქვედა სარქმლების დონეზე. კარის თავზე, სარქმლებს შორის, ცისფერ ფონზე, არის „ვედრების“ ტიპის სამფიგურიანი კომპოზიცია, რომლის ცენტრში გამოსახულია წმ. იოანე ნათლისმცემლის საკმაოდ „გაცრეცილი“ ფიგურა. ოქრისფერ ქიტონითა და თითქმის შავი ხალენით შემოსილ ფიგურას მარცხენა ხელში გაშლილი გრაგნილი უჭირავს იოანეს სახარების ტექსტით (იოანე, 1; 29)¹⁰², მარჯვენა კი ზეაპურობილი აქს.¹⁰³ მის მარჯვნივ გამოსახულია ვედრებით მისკენ მიმართული ერისკაცი მდიდრულ სამოსში, რომელსაც მკვლევარი ერისთავთ-ერისთავ ჯოჯიკის გამოსახულებად მიიჩნევენ¹⁰⁴. წმ. იოანესგან მარცხნივ გამოსახულია თეთრ სამდვდელმთავრო სამოსში გამოწყობილი, ასევე ცენტრისკენ ვედრებად მიმართული ფიგურა. მიმდებარე სარქმლების წირთხლებში გაირჩევა წმინდანთა ფიგურების ნაშთები (წმ. თევკლა და წმ. მარინე).

ამ კომპოზიციის მარცხნივ (სამხრეთი აფსიდის აღმოსავლეთ მხარეს) დარჩენილია „ჯვარცმის“ დიდი კომპოზიციის მარჯვენა ნაწილი (წმ. იოანე მახარებლის მგლოვიარე ფიგურა ლოფაზე მიღებული ხელითა და სევდიანი სახით, რომაელი ცენტურიონი, ალბათ ლონგინოზი, შუბზე ღრუბელწამოცმული ფიგურა, მგლოვიარე ანგელოზის ნახევარფიგურა, რამდენიმე იუდეველის ფიგურა ნაგებობის ფონზე); აქ სახეთა სარჩული მუქი, თბილი მოწითალო-ოქრისფერია მკვეთრი გამონათებებით, კნერგიული ნახატით, რომელიც რამდენამდე სვანეთში მხატვარ თევდორეს მოხატულობებს მოგვაგონებს. აქ წითელი ფერი უფრო

100 E. თაკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

101 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 324.

102 N. Therry, Peintures historiques, ტაბ. 6.

103 სხვა მკვლევარებისაგან განსხვავებით, ვ. ჯობაძე ამ ფიგურას, მაცხოვრის გამოსახულებად მიიჩნევს (W. Djabadze, Early monasteries....., გვ. 139, შენიშვნა 485). მაგრამ მისი სამოსი და გრაგნილის წარწერა აღასტურებს, რომ იგი ნამდვილად წმ. იოანე წინამორბედი უნდა იყოს.

104 N. Thierry, Peinture historiques...., გვ. 143-146.

ინტენსიურად არის ნახმარი, საერთოდ თბილი ფერები ჭარბობს. წმ. იოანეს შახეფაშვილის უფრო რბილად არის დახატული და ფერებიც უფრო ნათელია. მოხატულობის ეს ნაწილი პირველი ნახვისთანავე იწვევს ასოციაციას ზემო სვანეთის, კერძოდ კი თევდორეს მხატვრობებთან.

„ჯვარცმის“ სცენის სიმეტრიულად, აფსიდის დასავლეთ ნაწილში დარჩენილია მოხატულობის ფრაგმენტი ადამიანთა ორი დიდი ჯგუფის გამოსახულებით არქიტექტურული ნაგებობების ფონზე, რომელთაგან მარჯვენა ასომთავრული წარწერით განისაზღვრება, როგორც ბანას ტაძარი¹⁰⁵. ამგვარი გამოსახულება უდაგოდ რადაც მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის ამსახველია და მეცნიერთა შორის არსებობს რამდენიმე მოსაზრება მისი შინაარსის თაობაზე. ერთ-ერთი მოსაზრებით, აქ გამოსახულია ბაგრატ IV-ის მეფედ კურთხევა და მისი ჯვრისწერა ბიზანტიელი იმპერატორის რომან არგიორისის ძმისწულზე, ელენეზე, რომელიც ბანას ტაძარში მოხდა (1032)¹⁰⁶. ელენეს მზითვებში გამოატანეს უფლის სამსჭვალი, რამაც შესაძლოა, განაპირობა „ჯვარცმის“ გამოსახვა ამ სცენის სიმეტრიულად აფსიდის მეორე მხარეს.

ამ სცენაში მონაწილეობა ფიგურები (სავარაუდოდ ტაოს დიდებულნი) მხოლოდ თავებისა და მხრების დონეზეა შემორჩენილი, ისინი მიმართული არიან დასავლეთით, ეტყობა, ამ მხარეს იყო კომპოზიციის მთავარი ბირთვი. თვით ბანას ტაძარი საკმაოდ დეტალურად არის გამოსახული – აღნიშნულია მისი წრიულობა, თაღედები, კარიბჭეები და ა.შ., თუმცა სამწუხაროდ, გამოსახულება საკმაოდ ნაკლულია.

აქ არც სცენაში მონაწილეობა სამოსა განირჩევა, რაც სცენის შინაარსის დაზუსტებას დაეხმარებოდა. საერთ შინაარსის, თანადროული ისტორიული ფაქტის გამოსახვა მოხატულობაში, თანაც საკმაოდ გამორჩეულ აღგილას, „ჯვარცმის“ vis-à-vis, საინტერესო და იშვიათი ფაქტია. აქ შეიძლება გავიხსენოთ დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობაში, ზემო სვანეთში.¹⁰⁷

სამხრეთი აფსიდის მოხატულობა, თუ მის თარიღს ისტორიული სცენის სავარაუდო თარიღით განვხაზღვრავთ, ფაქტიურად საკურთხევლის მხატვრობის თანადროულია, მაგრამ ფერადოვნულადაც და ნახატის ხასიათითაც განსხვავდება, ეტყობა, სხვა ოსტატის შესრულებულია. ჩრდილოეთ მკლავში, სარკმლებს შორის „დმრთისმშობლის მიძინების“ სცენის ნაკლული ფრაგმენტები არის შემორჩენილი. შესრულების მანერით ეს მხატვრობა სამხრეთი აფსიდის „ჯვარცმას“ უახლოვდება.

105 N. Thierry, Peinture historiques...., გვ. 137, 146-148, ილლ. 4; W. Djabadze, Early Monasteries..., გვ. 83-84. ე. თავაიშვილი ამ ნაგებობებს მიიჩნევს იერუსალიმის გამოსახულებად „ბზობის“ კომპოზიციიდან, E. Takanishvili, დასახ. ნაშრ., გვ. 55). ზ. სხირტლაძემ მეორე შენობასთან გაარჩია რამდენიმე ასო, რაც აფიქრებინებს, რომ აქ თოთხა ეკლესია იყო გამოსახული. ზ. სხირტლაძე, ეკლესია მონასტერთა გამოსახულებები შესაბუთების ქართულ სახვით ხელოვნებაში, ოშკო. ხელოვნება, 1992, № 1-2, გვ. 15.

106 ქართლის ცხოვრება, I, ობ., 1955, გვ. 1031; N. Thierry, Peinture Historiques d’Osk..., გვ. 144.

107 Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, *Ars Georgica*, გ. 4, ობ., 1955, ილლ. გვ. 176-177, 185-186.

ოშკის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ წანგრევის გაჭრილ ნიშაში დარჩენილია წმ. ოთანე ნათლისმცემლის ფრონტალური ფიგურის ყავისფერი სადებავით შესრულებული წინასწარული ნახატი.

ოშკის სამხრეთი გალერეის აფსიდის კონქში ასევე შემორჩენილია მოხატულობა, კერძოდ, აღსაყდრებული ხვილედი დმრთისმშობელი ოდიგიტრია ანგელოზების თანხლებით. ამ მოხატულობის თარიღი დანარჩენი ფრაგმენტებისგან განსხვავებული უნდა იყოს, შესაძლოა, XII საუკუნის მეორე ნახევარი.

ოშკის ტაძრის ფერწერული დეკორის განხილვისას ძალაუნებურად წამოიჭრება საკითხი გარე ფასადების სქულპტურული დეკორის და ინტერიერის შემამკობელი ფერწერის პროგრამების ურთიერთმიმართების შესახებ. ეს საკითხი, ისევე როგორც მრავალი სხვა, საგანგებო კვლევას ითხოვს, თუმცა მოხატულობის ფრაგმენტულობა დიდად აძნელებს მის გადაწყვეტას.

ღოლისხანის X საუკუნის მიწურულის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მოხატულობა საკმაოდ საგალალო მდგომარეობაშია.¹⁰⁸

ადრე ტაძარში ჯამე იყო მოწყობილი და მისი სივრცე ხის კონსტრუქციებით იყო დანაწევრებული, რაც საკმაოდ ართულებდა მოხატულობის დათვალიერებას. ამჟამად იქვე მახლობლად აშენდა ჯამეს ახალი შენობა და დოლისყანის ეკლესის სივრცე განთავისუფლდა ხის ანტრესოლებისგან.

მოხატულობა შემორჩენილია გუმბათში, საკურთხეველში და ნართექსის კარის ტიმპანზე. რამდენადაც ახლანდებდი მდგომარეობით შეიძლება ვიმსჯელოთ, მოხატულობათა ეს ჯგუფები თანადროული არ არის, ან, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ განსხვავებული ხელით არის შესრულებული¹⁰⁹.

აფსიდის კონქში გამოსახული იყო ადსაყდრებული მაცხოვარი, მის ქვემოთ, აფსიდის კედელზე – მოციქულები; ქვედა რეგისტრში – ეკლესის მამების ფრონტალური ფიგურებია, წიგნებით ხელში (ახლა 6 ფიგურა ჩანს). ამ რიგის კიდეებში გამოსახულია მაღალი შანდლები, რაც თევდორეს სვანურ მოხატულობებს გვახსენებს. შემორჩენილია ცალკეული წარწერებიც, მაგ., წმ. გრიგოლ სასწაულმოქმედი; წმ. ილარიონი. მოციქულთა ერთიანი, დაუნაწევრებელი ძლიერი კონტურით შემოფარგლული ფრონტალური ფიგურები მონუმენტურია, წარდგენითი. 6. ტიერი მათ ატენის მოხატულობას ადარებს. პირველი შთაბეჭდილება მართლაც ამგვარია. თუმცა ატენთან შედარებით ამ ფიგურებს უფრო დამჯდარი პროპორციები აქვთ, უფრო ხისტი და სქემატურია ნაკეცების ნახატი, უფრო გრაფიკული გამონათებები სახეებსა და სამოსზე.

გუმბათში გამოსახულია (ფაქტიურად „იყო“) „მაცხოვრის ამაღლება“, ხოლო გუმბათის კედელში, რომელიც რელიეფური თაღნარით არის დანაწევრებული, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ფიგურები – ორ-ორი თითო თაღს ქვეშ.

„მაცხოვრის ამაღლების“ კომპოზიციაში ლურჯი მოსახვამით და წითელი

108 N. Thierry, Peintures Georgiennes en Turquie... გვ. 135-141; W. Djabadze, Early monasteries..... გვ. 59.

109 6. ტიერი გუმბათის სფეროსა და საკურთხევლის მოხატულობას XI-ის დასასრულით და XII ს-ის დასაწყისით ათარიღებს, გუმბათის კედის ფერწერას, რომელიც მხატვრულად უფრო დაბალი დონისაა, XII-XIII ს-ით; ნართექსის ტიმპანის მხატვრობას კი XIII ს-ის პირველი ან მეორე მეორებით. N. Thierry, Peintures Georgiennes en Turquie..., გვ. 135-141. ვ. ჯობაძე კი წარწერების პალეოგრაფიაზე დაყრდნობით – XIII ს-ით (W. Djabadze, დასახ. ნაშრ., გვ. 59).

ქიტონით შემოსილი ქრისტეს ფიგურა საკმაოდ დაზიანებულია. ანგელოზები, რომელთა სამოსი მოცისფრო-ნაცრისფერ და მოვარდისფრო ფერებით არის შესრულებული, დინამიკურ პოზებში არიან გამოსახულნი, ფართოდ გაშლილი ხელებით უჭირავთ მანდორლა. მოხატულობის ეს ნაწილი გამოირჩევა პლასტიკურად გამოკვეთილი ნახატით, დაგრძელებული ნატიფი სახეებით, დახვეწილი ხაზოვანებით, ერთგვარი კლასიკურობით. ამავე სტილისა იყო, როგორც ჩანს, მოციქულთა ზევით, მაცხოვრისკენ სახეშექცეული ფიგურები, რომელთა რამდენიმე მცირედი ფრაგმენტი (მაგ., წმ. პეტრეს ფიგურა) ჯერაც გაირჩევა ანგელოზების ფიგურათა ქვემოთ.

გუმბათის ყელში გამოსახული წინასწარმეტყველთა ფიგურების შესრულება სხვა ოსტატის განსხვავებულ ხელწერას ავლენს. ისინი ცოტა მოუხეშავია, მოძრაობა უფრო „კუთხოვანი“, ფორმის დამუშავება მკვეთრად ხაზოვანი „ამაღლების“ ანგელოზების უფრო მოხდენილ და ნატიფ ფიგურებთან შედარებით.

გუმბათის ყელში გამოსახულ წინასწარმეტყველთა ფიგურებს შორის წარწერებით გაირჩევა წმ. წინასწარმეტყველების მელქისედეკის, აბრამის, იოელის გამოსახულებანი. წინასწარმეტყველებს გაშლილი გრაგნილები უპყრიათ ხელთ (გაირჩევა ქართული ასომთავრული წარწერა იოველის გრაგნილზე) და ზევით, მაცხოვრისკენ მიუთითებენ.

გუმბათის ყელში, თაღებზე და თაღებსზედა სამკუთხა არეებზე უხვი ორნამენტაციაა, მათ შორის კუფური დამწერლობის მსგავსი ორნამენტიც; ამ რიგში ჭარბობს თეთრი და ლია მწვანე ფერები.

ნართექსში, როგორც ჩანს, „განკიოხვის დღის“ დიდი კომპოზიცია იყო გაშლილი, რომლის ერთი ნაწილი - აბრამის წიაღი - შემორჩენილია კარის ტიმპანზე. აბრამის გვერდით, ტიმპანის ცენტრში აღბათ იყო ღმრთისმშობელი ანგელოზებს შორის (შემორჩენილია სამოსის ფრაგმენტი). მოხატულობის ეს ნაწილი ფაქტიურად მხოლოდ მოსამზადებელი, წინასწარი ნახატის სახით არის დარჩენილი.

ამჟამინდელი მდგომარეობით ძნელი სათქმელია, როგორი იყო საერთოდ მოხატულობის პროგრამა და რამდენად ავსებდა იგი თავიდან ინტერიერს. ერთი რამ ნათელია: საკურთხევლის პროგრამა ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლის ტრადიციისამებრ, უფლის დიდების თეოფანიურ გამოსახულებას ეთმობა. თუმცა გუმბათში ჯვრის გამოცხადების ნაცვლად „მაცხოვრის ამაღლებაა“, რაც უფრო ბიზანტიური მხატვრობისათვის არის დამახასიათებელი.

ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის გუმბათში, როგორც ძველი აღწერებით შეიძლება ვიმსჯელოთ, დოლისყანის მსგავსად, გამოსახული იყო „მაცხოვრის ამაღლება“; გუმბათის ყელში, დეკორატიულ თაღებს ქვეშ – წინასწარმეტყველთა მონუმენტური ფიგურები გაშლილი გრაგნილებითა და ზეცისკენ აპყრობილი ხელებით. სამხრეთ მკლავში საერო პირთა გამოსახულებანი ყოფილა, რომელთაგან ერთს, წარწერის მიხედვით, ნ. მარი აშოტ კურაპალატის პორტრეტად მიიჩნევს. ამავე მკლავის აღმოსავლეთ კედელზე ანგელოზებისა და წმინდანების გამოსახულებებიც ყოფილა. ამ მოხატულობის დათარიღება ძნელდება მისი ფრაგმენტულობისა და დაზიანების გამო. ნ. ტიერი ათარიღებს

X-XI საუკუნეებით ან XII- XIII საუკუნეთა მიჯნით – ისტორიულ მონაცემებში დადასტურებული სააღმშენებლო პერიოდების შესაბამისად¹¹⁰.

ტაო-კლარჯეთის მოხატულობათა უმეტესობა X-XI საუკუნეებით თარიღდება. **ვაჩემორის (ნიამოზ)** წმ. სტეფანეს „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპის ტაძარში და მიმდებარე პატარა კაპელაში კი უფრო გვიანი, XII-XIII საუკუნეების მოხატულობათა ფრაგმენტებია შემონახული.¹¹¹

თვით ტაძარში მხოლოდ რამდენიმე წმინდანის ფიგურათა მცირედი და გამქრექალებული ფრაგმენტი შემორჩა, რომელთა მიხედვით ძნელია მოხატულობაზე მსჯელობა. ფერადოვნება საკმაოდ შეზღუდულია – თეთრი, წითელი, ყავისფერი ფერები. ძველი აღწერებით, გუმბათის ყელში გრაფიკულიან წინასწარმეტყველთა ფიგურები იყო გამოსახული, საკურთხეველში – ჯერ კიდევ გაირჩეოდა მიქაელ მთავარანგელოზის ფიგურა და ეკლესიის მამების ფიგურები. მკვლევარები ამ მოხატულობას საგარაუდოდ X საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ.¹¹²

სხვა სახისა და სხვა დროის მხატვრობაა შემორჩენილი სამხრეთ-აღმოსავლეთ კაპელაში. აქ, როგორც ჩანს, გაშლილი იყო საუფლო დღესასწაულთა ციკლი, რომლის რამდენიმე სცენა ჯერაც გაირჩევა (მაგ., „ხარება“, „შობა“, „ნათლისღება“).

დასავლეთი კარის გარშემო არის წმ. მეომართა რამდენიმე ფიგურა: წმ. ევსტათე, წმ. პროკოპი, წმ. დემეტრე (კარის სამხრეთით), ხოლო კარის ჩრდილოეთით წმ. დედათა ფიგურები: წმ. ეკატერინე, წმ. ბარბარე, წმ. მარინე; გამოსახულებათა განმარტებითი ქართული წარწერებიც არის შემორჩენილი. მოხატულობის კოლორიტი თეთრი, ფირუზისფერი, ყვითელი, წითელი, მწვანე ფერებით იქმნება.

წმინდანთა რიგის თავზე მედალიონების საკმაოდ მაღალი რეგისტრია. ცენტრალურ მედალიონში გამოსახულია დმრთისმშობელი ყრმით; სხვათაგანია წმ. ეფრემ ასური, წმ. სიმეონ მესვეტე და წმ. საბა, რომელთა ვინაობა წარწერით დადგინდა. სამხრეთ კედელზე არის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ფიგურები წარწერებითურთ; საკურთხეველში შემორჩენილია წმ. კირილე ალექსანდრიელის ფიგურა.

დიდი ეკლესიის მოხატულობისგან განსხვავებით, სადაც ფიგურები საკმაოდ მძიმე და სტატიკურია და რომელშიც სწორი ხაზები ჭარბობს, კაპელის მხატვრობა უფრო დახვეწილია, ფიგურები უფრო თხელია, დაგრძელებული პროპორციებით, უფრო მსუბუქი; ფერადოვნულ გადაწყვეტაში ჭარბობს ცისფერი და ფირუზისფერი.

ამ მოხატულობას 6. ტიერი ათარიღებს XIII საუკუნის დასასრულით ან XIV საუკუნის დასაწყისით, რაც მართლაცდა შეესაბამება ამ დროის ქართული

110 N. Thierry, Peintures Georgiennes en Turquie..., გვ. 134; W. Djabadze, დასახ. ნაშრ., გვ. 11-12; H. Mapp, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, წიგნი: Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтийского, Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, VII, СПб., 1911, გვ. 160.

111 N. Thierry, Peintures Georgiennes en Turquie..., გვ. 141-147.

112 N. Thierry, Peintures Georgiennes en Turquie..., გვ. 131-167.

კედლის მხატვრობის სტილს, უფრო სწორად კი XIII საუკუნის მეორე ნახევრზე შესრულებული ამ თარიღს ადასტურებს ისიც, რომ დ. ვინფილდმა იპოვა აქ წარწერა, რომელიც დემეტრე II-ის ქალიშვილს მოიხსენიებს.¹¹³

შემორჩენილი არის წარწერები თვით ეკლესიის ფასადებზეც, რომლებიც მიუთითებს, რომ ამ პერიოდში მონასტერში დიდი განახლება-აღმშენებლობა მიმდინარეობდა. ახლა კი მხატვრობა თითქმის „ლია ცის ქვეშ“ არის დარჩენილი და სრული განადგურების საფრთხე ემუქრება.

X საუკუნეში აგებული თბეთის ჯვარგუმბათიანი ტაძარი შავშეთში მდებარეობს. ამჟამად მისი ოდესალაც ბრწყინვალე მოხატულობის მხოლოდ აჩრდილია დარჩენილი, ფაქტობრივად, აღარაფერი, განსაკუთრებით 1961 წლის აფეთქების შემდეგ და მის თაობაზე ძირითადად ძველი ფოტოებითა და აღწერებით შეიძლება მსჯელობა¹¹⁴. ტაძრის მოხატულობის თარიღის თაობაზე განსხვავებული აზრი არსებობს, სავარაუდოდ, XI საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული¹¹⁵.

საკურთხევლის კონქში გამოსახული იყო აღსაყდრებული მაცხოვარი მოწითალო ფერის ოვალურ მანდორლაში, ზეციური დასებით გარშემორტყმული. კონქის კომპოზიცია ძალიან დიდია და საგრძნობლად ჩამოდის კონქის ქუსლს ქვემოთ. მისი ფონის ფერი ცოტა უჩვეულოა ტაო-კლარჯეთის მოხატულობებისთვის – ფირუზისფერ-ზურმუხტისფერი. ქრისტეს ვარდისფერი ტუნიკა და ფირუზისფერი მოსახამი მოსავს.

საყდრის ორივე მხარეს გამოსახული იყო ტეტრამორფები (არწივის, ხარის, ლომის და ანგელოზის თავებით), ოვალებით დაფარული ფრთებით, ცეცხლოვან ბორბლებზე მდგომნი. მათ ზემოთ სერობინი-ქერუბინია, მათ ზემოთ ორ-ორი მთავარანგელოზი და უფრო ზემოთ – სამ-სამი ანგელოზი. ანგელოზები ერთმანეთის თავზე არიან გამოსახულნი. ყველაზე „წინ“ არის მთავარანგელოზი ლორონიან საიმპერატორო სამოსში, სფეროთი და ლაბარუმით. მის შემდეგ, „ზემოთ“, არის კვლავ ლორონიანი ანგელოზი გაშლილი გრაგნილით, რომელზეც წერია „წმინდა არს, წმინდა არს...“, მის ზემოთ უკვე ჩვეულებრივ პიტონსა და პიმაგიონში გამოწყობილი ანგელოზებია.

როგორც ვნახეთ, ტაო-კლარჯეთის ტაძართა საკურთხევლების უმეტესობაში „მაცხოვრის დიდების“ გამოსახულება ძალიან ნაკლული სახით არის შემორჩენილი. ტბეთის მხატვრობა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის

113 D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey. Journal of the Warburg and Courtauld Institutes, Vol. XXXI, London, 1968, გვ. 33-72.

114 A. M. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года. Материалы по археологии Кавказа, вып. 35, М., 1893, გვ. 71, გამ. XII-XIII; III. Амиранашвили, История грузинской монументальной.... გვ. 108; W. Djebadze, Early Medieval Georgian monasteries..... გვ. 224; Nicole et Michele Thierry, La cathédrale de T'Beti. Cahiers Archéologiques, 47, 1999, გვ. 89-96; Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 119-121; Т. Вирсаладзе, Основные этапы..., გვ. 9-10.

115 თ. ვირსალაძის აზრით, საკურთხევლის მოხატულობა XI ს-ს განეკუთვნება, ხოლო დასავლეთი ნაწილისა კი – XIII ს. თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 57; შ. ამირანაშვილი მას X ს-ით ათარიღებს და ამ თარიღს იზიარებს ვ. ჯობაძეც; ნ. ტიგრი XII-XIII სს-თა მიჯნით, ნ. მარი – არა უადრეს XIII ს-ისა; ხოლო ე. პრიგალოვა ტაძრის XI ს-ის რეკონსტრუქციის შემდგომი დროით.

(სამწუხაროდ მხოლოდ ფოტოებითა და აღწერებით), რა შემადგენდობს სიმარტინას (შეიძლება ყოფილიყო ეს კომპოზიცია (გავიხსენოთ ოთხთა ეკლესიის კონქის ქიმში ანგელოზების ფრთების ნაშთები).

კონქსქვედა რეგისტრში გამოსახულია მოციქულთა რიგი (ოთხ-ოთხი ორივე მხარეს), რომლის ცენტრში, სარკმლის ორსავ მხარეს, წარმოდგენილი არიან ღმრთისმშობელი და წმ. ოთხი ნათლისმცემლი, გაშლილი გრაგნილებით ხელში, ვედრების ჟესტით მიბრუნებული სარკმლისკნ, უფრო სწორად, მათ ზემოთ გამოსახული მაცხოვრისკენ. ეს „ვედრების“ თავისებური ვარიანტი ოშეის საკურთხევლის გამოსახულების შემდგომი განვითარებაა. სულ ქვედა რეგისტრში ეკლესიის მამების 10 ფრონტალური ფიგურაა გამოსახული. ტბეთის ტაძრის საკურთხევლის თეოლოგიურ პროგრამაში გაერთიანებულია რამდენიმე იდეა: დიდება-თეოფანია, ამაღლება, მეორედ მოსვლა.

თავისი გრანდიოზულობითა და დიდებულებით კონქის კომპოზიციის მაცხოვრის ფიგურა ტაძრის თითქმის მთელს სივრცეს მოიცავს და ერთგვარად, მოგვაგონებს სვანეთში მხატვარ თევდორეს მიერ XII საუკუნის დასაწყისში მოხატული ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის „ვედრების“ კომპოზიციის მაცხოვრის ფიგურის მიერ შექმნილ მხატვრულ ეფექტს¹¹⁶. სხვათა შორის, კონქის ფირუზისფერიც თევდორესგვე მოხატული იფრარის ეკლესიის კონქის ფონის ფერია. ძველი აღწერებით, დასავლეთ მკლავში გამოსახული იყო წმ. გიორგის ცხოვრების სცენები („გაშოლტვა“, „ურმის თვალზე მარტვილობა“, „ქონების დარიგება“).¹¹⁷

მოხატულობაში შეინიშნება რამდენიმე განსხვავებული ხელი – მაგ., კონქის ზედა ნაწილებში გამოსახული ანგელოზები სხვა ხელით არის შესრულებული, ვიდრე იმავე კომპოზიციის მთავარანგელოზები. მოხატულობის კოლორიტში ჭარბობს კაშაშა მწვანე, თეთრი, ყვითელი, ოქროსფერი ოქრა, ცისფერი, მოწითალო-ყავისფერი და სხვ. სამაგიეროდ თითქმის სულ არ არის ლურჯი-ლაჟვარდი, ესოდენ უხვად გამოყენებული იშხანსა და ოშეში. ასევე, განსხვავებით ტაო-კლარჯეთის სხვა მოხატულობებისგან, აქ მეტია საკმაოდ დაწვრილმანებული ფორმები, წვრილ-წვრილი, ლოკოკინებივით დახვეული ხაზები, ასეთივე დაწვრილმანებული ორნამენტაცია.

როგორც ავღნიშნეთ, ტბეთის ტაძარი შავშეთში მდებარეობს, მაგრამ მისი მხატვრობა მაინც ექცევა ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლის გავრცელების და გავლენის არეალში. ამავე არეალში ხვდება ბევრი ნიშნით კუმურდოსა და მანგლისის ტაძრების მოხატულობები ჯავახეთსა და ქვემო ქართლში – როგორც იკონოგრაფიული თემებით, ასევე მხატვრული გადაწყვეტით ისინი ბევრ საერთოს ავლენენ ტაო-კლარჯეთის მხატვრობის ძეგლებთან. ორივე XI საუკუნის დასაწყისით, 10-20-იანი წლებით თარიღდება.¹¹⁸

116 Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника... გვ. 212, შენიშვნა 1; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванети, Тб., 1966, გვ. 53, 60, ტაბ. 38-39.

117 Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию..., გვ. 119-121.

118 Т. Вирсаладзе, Основные этапы...., გვ. 9-10; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 51, 57, 79-83.

პუმანის X საუკუნის მრავალაფსიდიან ტაძარში მოხატულობა საცურავისა და თხევდლის აფსიდში და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფსიდშია შემონახული¹¹⁹.

საკურთხეველში, როგორც ჩანს, მაცხოვრის დიდება იყო, თუმცა ახლა თითქმის არაფერი ჩანს. მის ქვემოთ, ცისფერი (ლაჟვარდი) მცენარეული ორნამენტის ზოლით გამოყოფილი, მოციქულთა დიდებული ფიგურები ფრონტალურად მდგომი, ერთიანი, მძლავრი კონტურით შემოფარგლული, ნაკეცების ხშირი, პლასტიკური ნახატით. თავისი მასშტაბურობით, მონუმენტურობით, ფერადოვნებით და სხვა ნიშნებითაც ეს მხატვრობა ნამდვილად ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლის ნაწარმოებია.

ჩრდილო-აღმოსავლეთ აფსიდში დარჩენილია ვნებათა ციკლის ნაშთები („დატირება“, „მენელსაცხებლე დედანი უფლის საფლავთან“), რომლებიც მხოლოდ მონარიჯისფერო-ყავისფერი პირველადი ნახატის დონეზეა შემორჩენილი. ამ ნაწილის მოხატულობაში განსხვავებული ხელი ჩანს, შეიძლება დროც, ვინაიდან ნახატი უფრო დანაწევრებულ-მოძრავია, კომპოზიცია დატვირთული, სახეთა გამომეტყველება უფრო დრამატული. ერთი შეხედვით, ისინი ოშეკის სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების მოხატულობას გვაგონებს, თუმცა დროით ცორა უფრო გვიანი უნდა იყოს. კუმურდოს ტაძარს ადარ აქვს გუმბათი, მაგრამ სავარაუდოა, რომ გუმბათში აქაც ჯვრის დიდების რომელიმე ვერსია იქნებოდა, ისევე როგორც მანგლისში.

მანგლისის ტაძრის მოხატულობაც შეიძრო კავშირშია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის კედლის მხატვრობის ტრადიციებთან. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ გუმბათის მოხატულობა. გუმბათის სფეროში გამოსახულია „ჯვრის ამაღლება“; გუმბათის ყელის სარკმლებს შორის „ვედრება“ და წინასწარმეტყველთა ფიგურები¹²⁰. ჯვრი გამოსახულია წითელი (სამი ტონის) მანდორლის ფონზე. ანგელოზების გაშლილი ფრთები იკვეთება მანდორლის გარშემო. იშხნის მოხატულობისგან განსხვავებით, მათი სხეულების და ფრთების განლაგება მანდორლის გარშემო, ვარსკვლავებით შემკულ ლურჯ ფონზე, სხვაგვარია, უფრო „კუთხით“ მიმართული ჯვრისკენ, მაგრამ კომპოზიციის ძირითადი მოტივი მაინც იგივეა. აქ ფორმები უფრო ლაკონიურია, ხაზოვანი და სიბრტყოვანი, სამოსის ნაკეცების ხაზთა რაოდენობა ნაკლები, რბილი და გამჭვირვალე ფორმათა მოდელირება ნაზი გამოთვალებებითაა მიღებული. ამ მოხატულობას იშხნათან და ხახულთან აახლოებს ასტრალური სიმბოლიკაცია: ნახევარსფეროში გამოსახულია მზის სიმბოლო (წარწერით: „მზე“) ლომზე მჯდომი ჭაბუკი სიუხვის რქით ხელში.

„ვედრებისა“ და წინასწარმეტყველთა რიგი გუმბათის ყელის სარკმლებს შორის უფრო პლასტიკური და ფერწერულია, ვიდრე „ამაღლების“ ანგელოზები და, ეტყობა, სხვა ოსტატის შესრულებულია. ფიგურები დინჯია, მონუმენტური,

119 Т. Вирсаладзе, Основные этапы...., гл. 9-10; т. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., гл. 57.

120 მანგლისში პირველად ვხვდებით გუმბათის ყელში „ვედრების“ გამოსახვას. შემდგომში იგი ცენტრალური რეგიონების გუმბათიანი ტაძრების მოხატულობათა ლამის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდება, ოდონდ არა წინასწარმეტყველთა, არამედ ანგელოზთა დასების რიგში. Е. Привалова, Рисунки Тимотесубани, гл. 17; т. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., гл. 88.

მათი სახეები ძალიან გამომსახველი – დიდრონი თვალებით, წითელი და მარტინი გარდისფერი შარავანდებით. აქ უდავოა ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლის გავლენა¹²¹.

გარკვეულად უკავშირდება ამ რეგიონს სამცხის ხელოვნებაც, თუმცა საფარის, ზარზმის, ჭულეს ტაძართა მოხატულობები უფრო გვიანი, XIII საუკუნის მიწურულის – XIV საუკუნის და უფრო გვიანი ხანისაა და მხატვრული თვალსაზრისით ტაო-კლარჯული ფერწერული სკოლისადმი მათი მიკუთხნება ან მასთან დაკავშირდება მნელია. ვარძიის გამოქვაბული ეკლესიის XII საუკუნის მოხატულობაც საქართველოს ცენტრალური რეგიონების სამეფისკარო მხატვრობას უფრო უკავშირდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩასატარებელია უფრო საფუძლიანი გამოკვლევა ამ მხარეთა მოხატულობებს შორის არსებული კავშირის, ურთიერთგავლენისა თუ განსხვავებულობის გამოსავლენად.

* * *

ტაო-კლარჯეთის ფერწერულ სკოლაზე საუბრისას არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ხელნაწერთა დასურათების ხელოვნება. საქართველოს ამ რეგიონის სულიერი ცხოვრების მაღალ დონეს აქაური მონასტრების ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობაც მოწმობს.¹²² სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკრიპტორიუმებში გადაიწერა, ითარგმნა თუ შეიქმნა შეა საუკუნეების ქართული სახულიერო მწიგნობრობის უმნიშვნელოვანები ნაწარმოებები, მათ შორის, დასურათებული ხელნაწერებიც.

შეა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების საუკეთესო ნიმუშთა დიდი ნაწილი სწორედ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკრიპტორიუმებშია შექმნილი. საქმარისია დავასახელოთ, თუნდაც, აღიშის ოთხთავი, ჯრუჭის I ოთხთავი, მესტიის ოთხთავი, ბერთის ოთხთავი და სხვა.¹²³ ეს ხელნაწერები გამოირჩევა როგორც მინიატურების შესრულების, ასევე ტექსტის კალიგრაფიის მაღალი დონით.

უდავოა, რომ ტაო-კლარჯულ მონასტრებში სკრიპტორიუმებთან ერთად ხატწერის სახელოსნოებიც არსებობდა, რასაც მოწმობს მაგ., სახელგანთქმული ანჩის მაცხოვრის ხატი¹²⁴. ქართული ჭედური და მინანქრული ხელოვნების მრავალი ნიმუშის წარმომავლობა სწორედ ამ რეგიონს უკავშირდება, მაგ., ხახულის ხატი¹²⁵; მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე შემორჩენილი ქართული

121 Т. Вирсаладзе, Основные этапы...., გვ. 9-10; თ. გირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 51, 79-83.

122 ლ. მენაბდე, დველი ქართული მწერლობის კერქი, ტ. I, თბ., 1962.

123 Р. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий, Тб., 1979; Ш. Амиранашвили, Грузинская миниатюра, М., 1966; Г. Алибегашвили, Этапы развития средневековой грузинской миниатюрной живописи, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983; ქ. მაჭავარიანი, ქათული ხელნაწერები, თბ., 1970; ტაო-კლარჯეთი. ხელნაწერი მემკვიდრეობა, გამოცემელი ბ. კუდავა, თბილისი-ბათუმი, 2012; ქართული ხელნაწერი წიგნი, V-XIX საუკუნეები, ნ. ჩხილაძის რედაქციით, თბ., 2012.

124 შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი. თბ., 1956.

125 რ. ყენია, ხახულის დვოისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა. თბ., 1972; ლ. ხუსკივაძე, ხახულის ქარქდი ხატი, თბ., 2007.

ფერწერული ხატებიდან ერთის შესახებაც არ გაგვაჩნია დადასტურებული ცნობები მისი ტაო-კლარჯული წარმომავლობის შესახებ.

* * *

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, X საუკუნიდან მოყოლებული, ჩამოყალიბდა და განვითარდა სრულიად თვითმყოფადი მხატვრული სახის მქონე ფერწერული სკოლა¹²⁶, რომელმაც, ისევე, როგორც ამ რეგიონის ხუროთმოძღვრებამ, დიდწილად განსაზღვრა შეა საუკუნეების ქართული ხელოვნების შემდგომი განვითარება.

ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლა გამორჩეულია არა მხოლოდ მოხატულობათა თეოლოგიური პროგრამების თავისებურებით, არამედ მათი მხატვრული გადაწყვეტის განსაკუთრებული მაღალი დონით. გრანდიოზულობა, დიდებულება და დახვეწილობა, რაც ესოდენი ძალით გამოვლინდა საქართველოს ამ მხარის ხუროთმოძღვრებაში, ასევე კედლის მხატვრობის გამორჩეული ნიშანია. დღევანდელი შელახულ-ფრაგმენტირებული სახითაც კი, ტაო-კლარჯეთის მოხატულობანი სწორედ ამგვარ განცდას ბადებს. ამ მართლაც რომ მონუმენტურ მოხატულობებს დახვეწილი, მდიდარი ფერადოვნება ახასიათებს, რომელშიც ჭარბობს შუქმნათი ფერები: ლურჯი (ლაჟვარდი), ზურმუხტისფერი ან ფირუზისფერი მწვანე, ოქროსფერი, წითელი, თეთრი. ასევე დამახასიათებელი ნიშანია ფიგურათა დაგრძელებული პროპორციები, პოზების წარდგენითობა, დიდებულება, სიდინჯე; ფორმათა სინატიფე, სამოსლის ნაკეცების ნახატის ხაზების გრაფიკული დახვეწილობა – დენადობა, სიზუსტე, მოლიანობა, მოქნილობა; პლასტიკურობასთან შეხამებული გრაფიკული „სისხარე“ და სიბასრე“.

კომპოზიციათა აგებაშიც, ფერადოვანი ლაქების და აქცენტების განლაგებაშიც, ფიგურათა მოძრაობაშიც და განსაკუთრებით კი ხაზთა დინებაში გამოვლენილი მყაფიო რიტმი განსაზღვრავს ამ ფერწერული ანსამბლების მხატვრულ გამომსახველობას.

ტაო-კლარჯეთის მოხატულობებს, რაგინდ განსხვავებულ დროს ან განსხვავებულ ოსტატთა მიერ შესრულებულს, მაინც ძალიან ბევრი საერთო ნიშანი აქვს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თეოლოგიური პროგრამების იშვიათი „მდგრადობა“ და „ერთგულება“ იპყრობს ყურადღებას. საკურთხევლისა და გუმბათის მოხატულობაში უმეტესად მსგავსი ლაიტმორტივები ჩნდება: მაცხოვრის თეოფანიური დიდება – ზეციურ ძალთა გარემოცვაში გამოსახული აღსაყდრებული, დიდებით მოსილი უფალი ძალთა; ქვედა რეგისტრებში – მოციქულთა და ეკლესიის მამების ფიგურათა რიგები, ღმრთისმშობლის აუცილებელი ფიგურით ან ანგელოზებს შორის („ამაღლების“ მინიშნება, ხახული) ან წმ. ოთანე ნათლისმცემლის ფიგურით მის გვერდით („ვედრების“ მინიშნება, ოშკი).

¹²⁶ ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 330-331; Nicole et Michel Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 105-113; T. ვირალაძე, 1977: 9-10; ე. პრივალოვა, ზოგი რამ ტაო-კლარჯეთის მოხატულობების შესახებ..., გვ. 315-316; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან..., გვ. 10-48; ზ. სხირტლაძე, ოთხთა ეკლესიის..., გვ. 215-256.

გუმბათების პროგრამაში, როგორც ჩანს, ჯვრის გამოცხადების თემაზე წამყვანი, თითქმის აუცილებელი (გამონაკლისი დოლისყანისა და ოპიზის ტაბართა გუმბათების მოხატულობებია, სადაც „მაცხოვრის ამაღლების“ თემაა გაშლილი). გარდა ამისა, საგანგებო ნიშნად გვევლინება გუმბათის მოხატულობაში ბიძლიური და პოკალიფტური მოტივების ჩართვა (წმ. წინასწარმეტყველ ზაქარიას ხილვა, წმ. ელიას ამაღლება), ასტრალური პერსონიფიკაციების გამოსახვა (ხახული, ოშკი, მანგლისი), რომლებიც, როგორც წესი, მეორედ მოსვლის უწყების აღმნიშვნელია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ოთხთა ეკლესიის საკურთხევლის, იშხნისა და ხახულის გუმბათების იკონოგრაფიული პროგრამა სრულიად უნიკალურია და ჩვენთვის ცნობილ მასალაში ანალოგია არ მოეძებნება.

ქართული ეკლესიების გუმბათებში ესოდენი ერთგულებით ჯვრის დიდების (ძლევის ჯვარისა ან ჯვრის ამაღლების) გამოსახვას სრულიად სამართლიანად იერუსალიმული ტრადიციის სიძლიერით ხსნიან ხოლმე¹²⁷; თუმცა თვით ქართული რეალობა, ქრისტიანობის საქართველოში დაფუძნება-გავრცელების ისტორია არის ამის კიდევ ერთი (შესაძლოა, მთავარი) ბიძგი, კერძოდ, „მოქცევაი ქართლისაში“ მოთხრობილი ძლევის ჯვარის გამოჩინება ცის კაბადონზე მცხეთის თავზე¹²⁸. „პატრიოტული“ სულისკვეთება აისახა თანადროული ისტორიის (ბაგრატ IV-ის ქორწილი ოშკში) თუ საეკლესიო ტრადიციის („ელიას ამაღლება“ ხახულში), თუ საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს გამოსახვაში (იშხანი), რომ აღარაფერი ვთქვათ ერთ დროს ეტყობა უხვად გამოსახულ ქტიტორულ პორტრეტებზე¹²⁹.

გასაკვირი არ არის, რომ სახელმწიფო ერთიანობისკენ, ბიზანტიისგან პოლიტიკური და ეკლესიურ-ადმინისტრაციული დამოუკიდებლობისკენ მსწრაფ ქართველობას – მეფებს, დიდებულებსა და საეკლესიო მოღვაწეებს, სწორედ თავისი ქვეყნის, თავისი ეკლესიის ისტორიაში დადასტურებული სასწაულებისა თუ დიადი მოვლენების ასახვა თუ მინიშნება სურდათ.

იშვიათ იკონოგრაფიულ სახეს წარმოადგენს „წმ. სიონის“ პერსონიფიკაცია ოთხთა ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თაღში და მასთან წმ. წინასწარმეტყველ მოხევა და წმ. მელქისედეკის ფიგურების დაკავშირება, თანაც ერთიანი „სოუჟეტის“ სახით. სავარაუდოა, რომ სიონისვე პერსონიფიკაციას წარმოადგენს იშხნის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ სარკმელში გამოსახული გვირგვინოსანი ქალი ეკლესიის მოდელით ხელში.

კიდევ ერთ განსაკუთრებულ ნიშნად უნდა დასახელდეს ორნამენტული მოტივების ხასიათი და მათი ადგილი მოხატულობის საერთო ანსამბლში.

127 ე. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 327; თ. მგალობლიშვილი, კლარჯული მრავალთავი, გვ. 180-182; N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 98.

128 ა. ოქროპირიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 34-37.

129 საგულისხმოა, რომ ეს თემატიკა ასევე აქტუალურია ტაძრების საფასადო რელიეფებზე. იხ. E. Такаишвили, Археологическая экспедиция...; W. Djibadze, Early Medieval Georgian monasteries 1992; Н.А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии (фигурные рельефы V-XI веков), М., 1977; D. Winfield, Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey. Journal of the Warburg and Courtauld Institutes, Vol. XXXI, London, 1968, და სხვა.

განსაკუთრებული ძალით ელინისტური ტრადიციები სწორედ ამ ელემენტებში გამოვლინდა: სიუხვის რქის მრავალრიცხოვანი ვარიაციები, საქართველოში არნახული მრავალფეროვნებითა და მოტივების სიმრავლით, თანაც დიდ სიბრტყეებზე მოცემული, ძნელად თუ რამეს შედარდება. ტაო-კლარჯულ ფერწერაში არის შეხამება თითქოს შეუხამებელი მოვლენებისა – მოცულობითობა და ხაზობრიობა; ერთი მხრივ, ორნამენტაციის სიუხვე, ცხოველხატულობა, ფერწერულობა, „ძარღვიანობა“ და, მეორე მხრივ, ფიგურათა ნახატის სიმკაცრე, სწორხაზოვნება, სისადავე, ლაკონიურობა.

თითქმის უკლებლივ ყველა მოხატულობაში ქართული წარწერებია (განმარტებითი, წმინდა წერილიდან გრაგნილებზე გადმოტანილი, საქტიტორო და სხვ.), თანაც, ეტყობა, რომ ტექსტების უმრავლესობა ქართულენოვანი თხზულებებიდანაა ამოწერილი.¹³⁰

ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობაზე საუბრისას ხშირად ამახვილებენ ყურადღებას მის განსაკუთრებულ სიახლოვეს ბიზანტიათან. ეს სრულიად ბუნებრივია და თითქოს ლოგიკურიც – საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, ეს კუთხე ყველაზე მეტად იყო ახლოს ბიზანტიათან როგორც გეოგრაფიულად, ასევე პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით (გარკვეულ პერიოდებში ის ხომ ბიზანტიის შემადგენლობაშიც შედიოდა). მაგრამ თუ კარგად დაგაკვირდებით, ვნახავთ, რომ ტაო-კლარჯეთის ხელოვნების, მათ შორის მხატვრობის გამორჩეულობა მისი საკუთარი, იმანენტური თვისებაა, და თუ მაინც რამესთან ვეძებთ სიახლოვეს, ისევ საქართველოს სხვა კუთხეების ხელოვნებასთან ვპოვებთ, თუმცა მას მაინც ძალიან თვისებური, ძალიან ინდივიდუალური სახე აქვს. მეორე მხრივ, როცა ადარებენ ან სულაც მიაკუთვნებენ ამ ნაწარმოებებს მაგ., სომხურ მხატვრობას, მაშინ, რა თქმა უნდა, ბიზანტიური ფერწერა, მისი კლასიკური ფორმებით, უფრო „მახლობელი“ მოგვეჩვნება.

ტაო-კლარჯულ კედლის მხატვრობაში, განსაკუთრებით იშხნის გუმბათის მოხატულობაში, მართლაც იგრძნობა ელინისტური ხელოვნების ტრადიციების გამოძახილი. ნ. ტიერი თვლის, რომ ანტიკური (ბერძნულ-რომაული) მხატვრული მოდელების და მითოლოგიური თემების სიმრავლე კონსტანტინოპოლის და იქ გამეფებული „მაკედონური რენესანსის“ ზეგავლენაა.¹³¹ მაგრამ, ჯერ ერთი, ამ მოხატულობათა „ანტიკურობა“ და მითოლოგიასთან კაგშირი ცოტა არ იყოს გადაჭარბებულია, მეორეც, „ელინისტური“ მხატვრული ნიშნები ქართულად „გახაზობრიებული“ და ქართულ მხატვრულ „ენაზე გადმოთარგმნილი“.

თანაც, ცნობილია, რომ ე. წ. „მაკედონური რენესანსის“ ანტიკურებინისტური ხელოვნებით შთაგონებული მხატვრული ფორმები ძირითადად მცირე ხელოვნებებში გამოვლინდა (წიგნის დასურათება და სპილოს ძვლის

¹³⁰ ტაო-კლარჯულ ეკლესია-მონასტრებში შემორჩენილი ფრესკული წარწერების დიდი ნაწილი მოყვანილია ე. თავაიშვილის 1917 წ-ის ექსპედიციის ანგარიშში, ვ. ჯობაძის გამოკვლევებში. აგრეთვე სხვა, ზემოდასახელებულ ნაშრომებში.

¹³¹ N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 105-108; ზ. სხირტლაძე, ოთხთა კლესიის..., გვ. 253.

რელიეფები) და ასახვა არ ჰქოვა მონუმენტურ მხატვრობაში¹³². ამ პერიოდის ბიზანტიური მონუმენტური მხატვრობის ძეგლებიც თითქმის არ შემოჩა. თანაც ტაო-კლარჯული მხატვრობის ნიმუშებში ნაკლებადაა გამოვლენილი ის „სიმკვრივე“ და სხეულებრივობა, რაც მაკედონური რენესანსის ნაწარმოებებში ჩანს. აქ კლასიკურობის ცოტა სხვა გაგება და განცდაა. იმავე იშხნის გუმბათის ანგელოზების ფიგურათა ხაზთა პლასტიკურობა სრულიად არ ქმნის სკულპტურულობის განცდას – პირიქით, ეს ფიგურები საოცრად დემატერიალიზებულია.¹³³

ტაო-კლარჯული მხატვრობის თავისებურებათა ასახსნელად ზოგჯერ ცდილობები მცირეაზიული, ბიზანტიური, სომხური ნიმუშების პირდაპირი გავლენების მოძიებას,¹³⁴ მაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ ცალკეული ელემენტების მსგავსებაზე თუ შეიძლება ლაპარაკი, კონცეპტუალურად კი ამ ფერწერული ანსამბლების რამესთან შედარება მნელად თუ შეიძლება. გაუმართლებელია ამ ნაწარმოებების დაკავშირება, მაგ., სომხურ ხელოვნებასთან, ან მითუმეტეს მათი მისდამი მიკუთვნება¹³⁵. ცალკეული მსგავსებები, მაგ., ახთამარის მოხატულობასთან,¹³⁶ ანდა სომხურ ხელნაწერთა დასურათებასთან, უფრო საერთო ნიმუშების გამოყენების შედეგია და, თუ მაინცდამაინც, აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნების განვითარების საერთო ტენდენციების ამსახველი.¹³⁷

ასევე არამართებულად გვეჩვენება მათი შედარება კაპადოკიური მხატვრობის ისეთ ძეგლებთან, როგორიცაა, მაგ., გოული-დერეს, ელმალი კილისეს და კარანლიკ კილისეს მოხატულობანი¹³⁸. აქ სრულიად განსხვავებულ მხატვრულ გემოვნებასთან, ფორმათგანცდასთან გვაქვს საქმე.¹³⁹

მართლაც, განსაკუთრებული მიღრეკილება გაწონასწორებული კომპოზიციური აგებისკენ, მშვიდი ფერადოვნული შეხამებებისა და რიტმისკენ, დახვეწილი ხაზვანება და სხვა, წმინდა მხატვრული მახასიათებლები ამ ნაწარმოებებს უდავოდ ქართული კულტურის წიაღში აქცევს. თუმცა ნ. ტიერი თვითონაც აღიარებს, რომ ბიზანტიური მცირე აზიის ხელოვნების უშუალო ზეგავლენაზეც კი არ შეიძლება საუბარი, არამედ მხოლოდ პარალელურ განვითარებაზე.¹⁴⁰

132 C. Mango, Byzantium. The Empire of the New Rome, London, 1998, გვ. 272.

133 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 46, 94-96.

134 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie..., გვ. 8, 112; N. Thierry, Peinture historiques d’Osk’i... გვ. 138.

135 Православная Энциклопедия, т. 3, М., 2001, გვ. 306-317.

136 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale..., გვ. 81, შენიშვნა 24, გვ. 85

137 Г. Алибегашвили, Византия, Христианский Восток и формирование художественной традиции в миниатюрной живописи Грузии и Армении. II Международный симпозиум по армянскому искусству, т. IV, Ереван, 1978, გვ. 155-156.

138 მათი დათარიღება აქამდე კამათის საგანია, და როგორც ჩანს, ისინი უფრო გვიანი, XII ს-ის მიწურულისა უნდა იყოს. M. Restle, Byzantine Wall Painting in Asia Minor, Shannon, 1969, გაბ. 172, 181, 189, 207, 232 და სხვ.

139 თ. ვირსალაძე, ქართული..., გვ. 45-46, 97; ზ. სხიორტლაძე, ოთხთა ეკლესიის..., გვ. 255.

140 N. Thierry, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

მართლაც, როულია ტაო-კლარჯული მხატვრობის შთაგონების წყაროების მიგნება. არ არსებობს რაიმე ცნობა აქ ბიზანტიული ოსტატების მოწვევის შესახებ (როგორც გვაქვს, მაგ., წალენჯიხის შემთხვევაში) და არც თვით მოხატულობები ავლენენ გამოხატულ ბიზანტიურ (კონსტანტინოპოლიურ) „ხელწერას“.

უკელაზე მეტ „სიახლოებებს“ ტაო-კლარჯულ ფერწერასთან, განსაკუთრებით ოთხთა ეკლესიის მოხატულობასთან, ტოკალის ახალი ეკლესიის კაპადოკიური მხატვრობა ავლენს¹⁴¹, თუმცა მისი ერთგვარი „კლასიცისტური“ სიმშრალე მაინც განსხვავდება ქართული ნაწარმოებების ძარღვიან სიცხოვდისგან¹⁴².

სხვათა შორის, გარეჭეული თვალსაზრისით, აქ თითქოს უფრო საგრძნობია კავშირი წმინდა მიწასთან, ვიდრე საკუთრივ ბიზანტიისთან, განსაკუთრებით იკონოგრაფიის ან თუნდაც ორნამენტული მოტივების თვალსაზრისით¹⁴³.

მეორე მხრივ, სრულიად ბუნებრივია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ კუთხის ხელოვნება მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა იქვე ახლოს მდებარე სომხეთის, ბიზანტიის, კაპადოკიის ხელოვნებასთან და ადვილად იღებდა და სარგებლობდა ცალკეული ელემენტებითა და მოტივებით. თანაც მხატვრული გავლენა უთუოდ ორმხრივი იქნებოდა. ის, რასაც ჩვენ ეროვნულ ნიშნებს ვუწოდებთ ხელოვნებაში, სიტყვიერი დახასიათებისათვის მოუხელოებელ მხატვრულ გემოვნებაში ვლინდება, რომელიც მხატვრისათვისაც მხოლოდ არაცხობიერის დონეზე არსებობს¹⁴⁴.

გაცილებით მეტი საერთო აქვს ტაო-კლარჯეთის ფერწერულ ანსამბლებს საქართველოს სხვა რეგიონების მხატვრობასთან და ხელოვნების სხვა დარგებთანაც.¹⁴⁵ თუმცა ეს გრანდიოზული მასშტაბი, ეს გაქანება, ეს წარმოუდგენელი დიდებულება აქაც კი მნელად მოიქმებება. X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისის სხვა ქართული რეგიონების მხატვრობაში ვერ ვნახავთ ისეთ პლასტიკურობას, ხაზთა სიუხვეს და სინატიფეს, კოლორიტის სიმდიდრეს, რაც, მაგ., იშხანშია. და მაინც, როგორ ჰგავს ოშკის სამხრეთი აფსიდის მოხატულობა სვანეთში მეფის მხატვარ თევდორეს შემოქმედებას, ანდა იმავე ოშკის პასტოფორიუმის უფლის დიდების კომპოზიცია გარეჯის საბერების კომპლექსის ერთ-ერთი ეკლესიის მოხატულობას; ანდა ტბეთის საკურთხევლის პროგრამა სვანეთისავე საკურთხევლის პროგრამებს; დოლისყანის მოციქულთა რიგი – ატენისას...

იგივე „ელინისტური“ მოტივები, რომლებიც საფუძველს აძლევს მკვლევარებს ტაო-კლარჯეთის ხელოვნებაზე ბიზანტიური მხატვრობის განსაკუთრებით

141 N. et M. Thierry, Peintures du X^e siècle en Géorgie méridionale... გვ. 105-107.

142 Wharton Epstein A, Tokali Kilisse, Tenth century Metropolitan Art in Byzantine Cappadocia, Washington, 1986; C. Olivet-Lévy, La Cappadoce Médiévale. Images et Spiritualité, Zodiaque, 2001. ill. 25-39; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 46; ზ. სიირტლაძე, ოთხთა ეკლესიის..., გვ. 222-225, 251.

143 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 41.

144 დ. თუმანიშვილი, ეროვნულობის შესახებ ხელოვნებაში. „წერილები, ნარკვევები“, თბ., 2001, გვ. 288-293; გ. დიდებულიძე, ეროვნული ფორმის საკითხი ქრისტიანულ ხელოვნებაში, საქართველოს სიძეველეზე, №7-8, 2005, გვ. 211-238.

145 თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 45-47.

ძლიერ გავლენაზე ისაუბრონ, საქართველოს სხვა რეგიონების ფერწერული სკოლების ნაწარმოებებშიც გვხვდება. მაგ., მთვარის და მზის პერსონიფიკაციები გამოსახულია დავით-გარეჯის დოდორქის მონასტრის გუმბათიანი ტაძრის საკურთხეველში, „უფლის დიდების“ კომპოზიციაში (Xს.), აგრეთვე გარეჯისვე საბერეების კომპლექსის №7 ეკლესიის „ჯვარცმის“ კომპოზიციაში¹⁴⁶; ატენის სიონის XI საუკუნის მეორე ნახევრის მოხატულობაში გუმბათქვეშა ტრომპებში გამოსახულია საქმარდ „მაელინიზებელი“ პერსონიფიკაციები სამოთხის მდინარეებისა¹⁴⁷.

საგულისხმოა, რომ ტაო-კლარჯული მხატვრობის განვითარებაში აისახა იგივე ძირითადი ტენდენცია, რაც ქართული ლითონმქანდაკებლობის განვითარებაში გამოვლენილი¹⁴⁸: X საუკუნეში ბლოკისებური ფორმები და აპლასტიკური, სწორხაზოვანი ნახატი (მაგ., იშხნის ჯვარი, საღოლაშენის ფირფიტები) შემდგომ, XI საუკუნის დასაწყისისთვის იცვლება მეტი პლასტიკურობით, მოქნილი, დენადი ხაზებით, რბილი მოდელირებით, სიმსუბუქითა და სინატიფით (ზარზმის ღმრთისმშობლის ხატი, მარტვილის ჯვარი, კაცხის ჯვარი და სხვ.), რაც, მოწმობს, ერთი მხრივ, ამ მოხატულობების მჭიდრო გენეტიკურ კავშირს საქართველოს სხვა რეგიონების ხელოვნებასთან და მისი განვითარების ძირითად თავისებურებებთან, მეორე მხრივ, თავისთავად, ქართული ხელოვნების ერთიანობასა და ჰომოგენურობას ადასტურებს¹⁴⁹. თუმცა, ტაო-კლარჯეთის ხელოვნება მაინც განსაკუთრებული, თავისთავადი „დიალექტით“ გამოირჩევა.

ქართული კულტურის ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო (იმედია, ახლაც არის) მისი „გახსნილობა“ სხვა კულტურების მიმართ, ერთგვარი თავისუფლება, „უკომპლექსობა“. თავისი მდებარეობით – გზა-ჯვარედინი ყველა თვალსაზრისით (გეოგრაფიული, პოლიტიკური, კონფესიური, ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული) – იგი ვერც აიცდენდა ამ ნიშანს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ეთნიკური ხასიათის თვისებადაც იქცა. საგულისხმოა, რომ საქართველოში სხვა ქვეყნების კულტურასთან ურთიერთობა და მათი ურთიერთზეგავლენა მაშინაც აქტიური იყო, როცა ამა თუ იმ კულტურის მატარებელ სახელმწიფოსგან (თუ ერისგან) დაუფარავად მტრული და აგრესიული განწყობა მოდიოდა. (ვთქვათ, ბიზანტიის IX-X სს-ში; ან სპარსეთი XVI-XVII სს-ში; ანდა რუსეთი XIX ს-ში). ეს, პოლიტიკურ კონფრონტაციას შეხამებული და ერთგვარად მისი „უგულებელყოფელი“ კულტურული „მეგობრობა“ და თანამშრომლობა თავის მაცოცხლებელ კვალს ამჩნევდა ჩვენს ხელოვნებას; მისი შედეგები სხვადასხვა დროს სხვადასხვა ძალით, მაგრამ ყოველთვის ნაყოფიერად გადამუშავდებოდა და ღრმად გათავისდებოდა, საკუთარ მხატვრულ ენაზე „ითარგმნებოდა“.

ტაო-კლარჯეთის ფერწერული სკოლის ბრწყინვალე ნაწარმოებები

146 Т. Шевякова, Монументальная живопись....., ტაბ. 38-39, 49.

147 თ. ვირსალაძე, ატენის მოხატულობა, თბ., 1984, გვ. 7, ტაბ. 13-16.

148 ე. პრივალოვა, დახახ. ნაშრ., 1995, 331; თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის..., გვ. 47.

149 Т. Вирсаладзе, Фресковая роспись..., გვ. 225.

ჯერ კიდევ ბევრ კითხვას სვამს მკვლევართა წინაშე. ჩვენი ერის სულიერი კულტურის ეს შესანიშნავი ნიმუშები სათანადო კონსერვაცია-რესტავრაციას და მოვლა-პატრონობას ითხოვს. ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა ჩასატარებელი როგორც სახელოვნებათმცოდნეო, ასევე ტექნიკური კვლევის თვალსაზრისით. ბევრი ახალი ძეგლი თუ ძეგლის ფრაგმენტი შეიძლება აღმოჩნდეს და მოულოდნელად გამომზეურდეს; აუცილებელია მთელი ამ მასალის მაღალ აკადემიურ დონეზე გამოცემა სხვადასხვა ენაზე, შესაბამისი გრაფიკული და ფოტომასალის თანხლებით, რათა ამ ნაწარმოებებმა დამსახურებული ადგილი დაიკავონ მსოფლიო კულტურის ისტორიაში და, ამავდროულად, წარმოჩნდეს მათი განუყოფელი ერთობა შეა საუკუნეების ქართული მხატვრობის მდიდარ მემკვიდრეობასთან.

მხატვრული მოვლენა ყოველთვის უფრო მდიდარი და მრავალმხრივი რამ არის, ვიდრე მეცნიერული კლასიფიკაცების ვიწრო ჩარჩოებული მის შესახებ შექმნილი წარმოდგენა. სწორედ ასეთად გვსურს დავინახოთ ეს სწორუპოვარი ნაწარმოებები – ტაო-კლარჯეთის დიდებული ეკლესია-მონასტრები და მათი შემამკობელი კედლის მხატვრობა – მრავალი კულტურული ტრადიციის გადაკვეთის წერტილში აღმოცენებული, წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების დრმა სულიერებით განათლებულ გარემოში შექმნილი, ბაგრატიონთა გვარის მიერ წამოწყებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი აღმავლობის მუხტით გამსჭვალული და სრულიად განუმეორებელნი თავისი დიდებული ბრწყინვალებითა და მხატვრული სრულყოფილებით.

Mariam Didebulidze

The Monuments of the Georgian Medieval Wall Painting in the North-East Turkey


Tao-Klardjeti, historical region of Georgia, at present in the north-east Turkey used to be one of the most prominent political and cultural centers of the medieval Georgia, especially in the 9th-13th cc. In the 10th-13th cc. a specific painterly school developed in Tao-Klardjeti, that although sharing main features of the medieval Christian painting in general and the Georgian painting in particular, reveal noteworthy peculiarities which may be explained by more close relations and cultural links with Byzantium and Near East.

The cultural impact of this region on other parts of Georgia is by all means very important, no less than the political. At this stage of our knowledge the murals are preserved in the following churches: Otkhta Ecclesia (Dort-kilisa), Khakhuli, Oshki, Ishkhani, Parkhal (?), Tbeti, Doliskana, Opiza, Niakomi, Esbeki, Solomon-Kala etc. Though there still is a big chance that some new fragments may be discovered in other places as well.

The paintings mostly belong to the 10th-12th cc. These murals reveal the same air of grandeur, monumentality, splendor and refinement that characterizes the architecture of these region. They have original iconographic programs with some constant themes that repeat from monument to monument (e.g. the Glory of the Cross in the dome), and some artistic features, that are mutual for all of them as well. At the same time a trend of stylistic development from more static and abstract forms to more dynamic, plastic and refined may be easily traced.

The murals are especially important as they provide rich material for the overall picture of the history of the East Christian painting in the period which lacks sufficient number of the Byzantine monuments. Besides, they display the integrity and interrelation of the rich cultures flourishing in the Near East.

They reveal close links and semblance with the monuments in the other regions of Georgia. The stylistic development of the Tao-Klarjeti painting goes in parallel with the trends visible in the development of the Georgian sculpture as well.



სურ. 1. ოთხთა ეპლესია. საქურთხევლის მოხატულობ. სქემა




სურ. 2. ოთხთა ეკლესია. საკურთხევლის მოხატულობა



სურ. 3. ოთხთა ეკლესია. საკურთხევლის მოხატულობა. წინასწარმეტყველთა რიგი, ფრაგმენტი




სურ. 4. ოთხთა ეკლესია. საკურთხევლის
მოხატულობა, წინასწარმეტყველთა რიგი,
ფრაგმენტი



სურ. 5. ოთხთა ეკლესია. საკურთხევლის
სარგმლის მოხატულობა. სქემა




სურ. 6. ოთხთა ეკლესია.
საკურთხევლის სარგმლის მოხატულობა. წმ. სიონი




სურ. 7. ოთხთა ეკლესია. საკურთხევლის მოხატულობის ქვედა რეგისტრი. სქემა.



სურ. 8. ოთხთა ეკლესია. საკურთხევლის მოხატულობა.
ორნამენტის ფრაგმენტი



სურ. 9. სახულის ტაძრის გუმბათი (ფოტო – ბ. კუდავა)



სურ. 10. ხახულის ტაძარი. გუმბათის
მოხატულობა. სქემა



სურ. 11. ხახულის ტაძარი. გუმბათის
მოხატულობა. სქემა. წმ. ელიას ამაღლება



სურ. 12. ხახულის ტაძარი. საკურთხევლის მოხატულობა. ფრაგმენტი
(ფოტო – ბ. კუდავა)



სურ. 13. იშხანი. გუმბათის მოხატულობა. სქემა



სურ. 14. იშხანი. გუმბათის მოხატულობა
(ფოტო – დ. ხოშგარია)



სურ. 15. იშხანი. გუმბათის მოხატულობა. ჯვრის ამაღლება



სურ. 16. იშხანი. გუმბათის მოხატულობა. ჯვრის ამაღლება, ფრაგმენტი




სურ. 17. იშხანი. გუმბათის მოხატულობა. ზაქარიას ხილვა, ფრაგმენტი



სურ. 18. იშხანი. მცირე ეგლესიის
საკურთხევლის მოხატულობა.
ზიარება. ფრაგმენტი
(ფოტო – ი. გივიაშვილი)




სურ. 19. იშხანი. ქრისტეს ადგგომის
ხარება მოციქულთათვის



სურ. 20. ოშეი.
სამხრეთ აღმოსავლეთი
პასტოფორიუმის
მოხატულობის სქემა.



სურ. 21. ოშეი. სამხერეთი აღმოსავლეთი
პასტოფორიუმის მოხატულობა. უფლის
დიდება, ფრაგმენტი



სურ. 22. ოშეი.
სამხერეთი მეცნიერების
მოხატულობა. ბაგრატ
IV-ის ქორწილი ბანაში
(?). ფრაგმენტი



სურ. 23. ოშეი. სამხერეთი
მეცნიერების მოხატულობა, ჯვარცმა.
ფრაგმენტი



სურ. 24. დოლისფანა. საკურთხევლის მოხატულობა. წმ. ეკლესიის შამა. ფრაგმენტი (ფოტო – ი. გიგიაშვილი)



სურ. 25. ნიაკომი. წმ. სტეფანეს ეკლესიის კაპელა. დასავლეთი კედლის მოხატულობა. წმინდა მეომრები. ფრაგმენტი (ფოტო – დ. ხოშგარია)



სურ. 26. ტბეთი. საკურთხევლის მოხატულობა. უფლის დიდება. ფოტო ა. პავლინოვის.



სურ. 27. მანგლისი. გუმბათის მოხატულობა. ჯვრის ამაღლება. ფრაგმენტი (ტ. შეგიაკოვას ასლი)

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ახლად აღმოჩენილი რელიეფი სოფელ ჯალაურთიდან*

ზემო იმერეთის სოფელ ჯალაურთას (საჩხერის მუნიციპალიტეტი) საშუალო სკოლის ხელოვნების კაბინეტში ინახება სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში გამოუქვენებელი, უცნობი ფიგურულგამოსახულებიანი რელიეფური ფილა¹ (სურ. 1). ეს რელიეფი 1991 წლის მიწისძვრის შედეგად ნახევრად დანგრეული, გვიანი შუა საუკუნეების ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამხრეთ ფასადთან მიწაზე ჩამოვარდნილი უნახავს ჯალაურთას საშუალო სკოლის მაშინდელ დირექტორს, ისტორიკოს ავთანდილ ასანიძეს და უკეთ დაცვის მიზნით ის სკოლის შენობაში გადაუტანია. მონაცრისფრო ქვიშაქვის ფილაზე (47X29X22 სმ.) ფრონტალურად მდგომი, შარავანდმოსილი, წვეროსანი მამაკაცის გამოსახულებაა გამოკვეთილი. მას ტანთ კოჭებამდე დაცემული, გრძელი სამდგდლო შესამოსელი მოსავს, მარცხენა ხელში გაშლილი წიგნი უპყრია, მარჯვენა კი მკერდთან აქვს მიტანილი (ქვის ზედაპირის დაზიანების გამო, მისი ჟესტი ცუდად იკითხება). ფიგურის ორსავ მხარეს, მხრების გასწვრივ დაქარაგმებული ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი – ერთ მხარეს კარგად ჩანს მხოლოდ ერთი გრაფემა – „წ“, თუმცა, მის ჩასწვრივ, ქვემოთ მოკლეფებიანი, განეუსურებული „ი“-ს მსგავსი მოხაზულობა შეინიშნება. გამოსახულების მეორე მხარეს კი – ორი გრაფემა – „ნ“ და „კ“ იკითხება, რომელთა თავზეც ქარაგმის ნიშანია დასმული. ამ წარწერების მიხედვით შეიძლება აქ „წ(მიღა)ი ნ(ი) კ(ოლოზი)“ ამოვიკითხოთ, რაც გვაფიქრებინებს, რომ რელიეფზე წარმოდგენილი ფიგურა წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედს უნდა განასახოვნებდეს. წარწერასთან ერთად, ამას ადასტურებს რიგი იკონოგრაფიული დეტალები – უპირველესად, რთული საეპისკოპოსო, სამდვდელმთავრო შესამოსელი, რომლის შემადგენელი ნაწილები – შიდა კვართი, ოლარი, ფელონი და ზემოდან მხრებზე მოხვეული ომოფორი², ქვის ზედაპირის დაზიანებისა და რელიეფის შესრულების პირობითობის მიუხედავად, კარგად აღიქმება. ასეთი სამოსითაა წარმოდგენილი წმ. ნიკოლოზი შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ჩვენთვის ცნობილ თითქმის ყველა ნიმუშზე. მაცხოვრის გამოსახულების მსგავსად, ცალ ხელში

* სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება“- ფარგლებში. წერილი მოხსენებად იქნა წაკითხული 2015 წლის დეკემბერში გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში ქართული ხელოვნებათმცოდნეობის 100 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.

1 მადლობას ვუხდი ანა კლდიაშვილს და ნინო ცარციძეს ამ რელიეფის არსებობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციისთვის.

2 6. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს), თბ., 1964, გვ. 94-99.

სახარებითა და მაკურთხეველი, ან უბრალოდ, მკერდთან მიტანილი მარჯვენიში მარჯვენიში წარმოდგენაც წმინდა ნიკოლოზის იკონოგრაფიისთვისაა ნიშანდობლივი³.

ჯალაურთას გამოსახულების სახის ტიპიც წმინდა ნიკოლოზის იკონოგრაფიულ ტიპს შეესაბამება – კეთილი, თითქოს მომღიმარი გამომეტყველებით, რასაც ქმნის თვალებისა და წარბების თავისებური გადაწყვეტა. განსაკუთრებით სახასიათოა ჯალაურთას ფიგურის ვარცხნილობა – შუბლზე მცირედ ჩამოყრილი თმით.

მირონ-ლუკიის (მცირე აზია) მთავარეპისკოპოსის, (ნიკეის 325 წ. I საეკლესიო კრების მონაწილის) წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის (257-342 წწ.), როგორც ერთ-ერთი მთავარი მეოხისა და მსწრაფლშემწის კულტი ადრეული ხანიდანვე გავრცელებული იყო მთელ საქრისტიანოში⁴. მისი იკონოგრაფიაც ადრეული შუა საუკუნეებიდან ჩამოყალიბდა. წმ. ნიკოლოზის გამოსახულებები წარმოდგენილია რომის სანტა მარია-ანტიკვას VIII საუკუნის ფრესკებზე⁵, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის VII-VIII საუკუნეების კოპტური ან სირიულ-აალესტინური წარმოშობის ენკაუსტიკურ ხატზე, სადაც წმ. ნიკოლოზი მთავარმოციქულთა – წმ. პეტრესა და წმ. პავლეს და ოთხე თქროპირთან ერთად არის გამოსახული⁶. ამავე მონასტრიდან არის წმ. ნიკოლოზის გამოსახულებიანი X-XI საუკუნეების კიდევ რამდენიმე ხატი⁸, წმ. ნიკოლოზის გამოსახულება სხვა ეკლესიის მამათა გვერდით გვხვდება კონსტანტინეპოლის აია სოფიას სამხრეთ ტიმპანზე (IX ს.)⁹ და მრავალი სხვა.

როგორც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მკვლევარები აღნიშნავენ, წმინდა ნიკოლოზის კულტი და მის სახელზე აგებული ეკლესიები საქართველოში ადრეულ ხანაში ფარცელებული არ ყოფილა¹⁰.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იერუსალიმური ლექციონარის (VII ს.)¹¹ ქართულ ვერსიაში, რომელიც VIII საუკუნეში უნდა ყოფილიყო თარგმნილი¹², დეკემბრის

3 ამგვარი შესამოსლითა და იკონოგრაფიული ნიშნებით წმ. ნიკოლოზის გამოსახვის ერთ-ერთი ადრეული ნიმუშია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის VII-VIII სს-ის ხატი – M. Bacci, San Nicola Spledori d' arte d' Oriente e d' Occidente, Skira editore, Milano, 2006, გვ. 186, ილ. 1.5.

4 სადვთასმეტყველო ლიტერატურაში ცნობილია ორი წმინდა ნიკოლოზი – მირონ-ლუკიის ეპისკოპოსი (IV ს.) და სიონის ეპისკოპოსი (VI ს.). X ს.-ში ეს ორი პიროვნება ერთი წმინდანის სახეში გაერთიანდა, შეიქმნა მისი ცხოვრების ახალი ტექსტები და ერთი წმ. ნიკოლოზის კულტი ჩამოყალიბდა – N. Ševčenco, The Life of Saint Nicholas in Byzantine Art, Torino, 1983, გვ. 161-162, 172-173; И. Лордкипаниძე, Рисунки в Цаленджиха, Тб., 1992, გვ. 95.

5 N. Ševčenco, The Life of Saint Nicholas ...; Mihele Bacci, San Nicola Spledori ...; S. Burnett, The cult of St. Nicholas in Medieval Italy, V. 1, University of Warwick, 2009.

6 G. Pollio, Il culto e l' iconografia di san Nicola a Roma, ილ. 1; M. Bacci, San Nicola Spledori

7 Mihele Bacci, San Nicola Spledori ..., გვ. 186, ილ., 1.5.

8 M. Bacci, Il corpo e L' imagine di Nicola, San Nicola Spledori, გვ. 15-30, ილ. II, 1, 5, 6.

9 N. Ševčenco, The Life of Saint Nicholas in Byzantine Art, გვ. 19-20.

10 И. Лордкипаниძე, Рисунки в Цаленджиха, გვ. 106-107; მ. დიდებულიძე, სადვთასმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხებისათვის უინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში. საქართველოს სიმებები, № 6, თბ. 2004, გვ. 135.

11 К. С. Кекелидзе, Иерусалимский канонар VII века (грузинская версия), Тиф., 1912.

12 იქვე, გვ. 26.

თვის საკითხავებში, წმ. ნიკოლოზის ხენების დღეც არის აღნიშნული¹³. ხოლო წმ. ნიკოლოზის ცხოვრების უაღრესი ქართული თარგმანი იერუსალიმის წმ. საბა განწმენდილის ლავრის VIII-IX საუკუნეთა მიჯნის ქართველ მოღვაწეს – სეიოს ეკუთვნის, შემდგომი ხანის, X-XI საუკუნეების თარგმანები კი, წმმ. ეფვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ნაშრომების სახით შემოგვრჩა.¹⁴ ისიც საგულისხმოა, რომ XI საუკუნის დასაწყისში (1010-1014 წწ.) წმ. ნიკოლოზის სახელზე საქართველოში შენდება ნიკორწმინდის მოზრდილი, გუმბათური ტაძარი¹⁵, რომლის თანადროულ, მრავალრიცხოვან წარწერებშიც, ბაგრტ მეფის (ბაგრატ III), გიორგი უფლისწულის, თუ სხვა ისტორიულ პირთა უფლის წინაშე მეოხებასა და შეწყალებას „მღვდელომოდვარს“ („მღვდელომთავარს“) წმ. ნიკოლოზის შესთხოვენ¹⁶, რაც იმაზე მეტყველებს, რომ იმ ხანად წმ. ნიკოლოზის კულტი საქართველოში უკვე საკმაოდ პოპულარული უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება წმინდა ნიკოლოზის გამოსახულებებს, საქართველოში ისინი ძირითადად განვითარებული და გვიანა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაშია გავრცელებული. ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში წმ. ნიკოლოზის ყველაზე ადრეული გამოსახულება ატენის სიონის XI საუკუნის მეორე ნახევრის საკურთხევლის ფრესკაზე¹⁷ გვხვდება. წმ. ნიკოლოზი წარმოდგენილია ყინცვისის წმ. ნიკოლოზის სახელობის (XIII ს.)¹⁸, დავით გარეჯის „უდაბნოს“ ასევე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის (XII-XIII სს.)¹⁹, რკონის (XIII ს.), წალენჯიხის (XIV ს.)²⁰, ტაბაკინის (XVI ს.)²¹, მაღალანთ ეკლესიის კანკელისა და სხვა ტაბართა მოხატულობებში. წმ. ნიკოლოზს, უმეტესწილად საკურთხევლის აფსიდში, წმინდა მამათა რიგში გამოისახავენ, თუმცა გვხვდება მისი ცხოვრების ამსახველი ციკლებიც (უდაბნო, ყინცვისი, წალენჯიხა,

13 იქვე, გვ. 145.

14 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგენელი ე. გაბიძაშვილი, მ. მამაცაშვილი, ა. დამბაშიგ, თბ., 2007, გვ. 688-689.

15 Н. П. Северов. Г. Н. Чубинашвили, Памятники грузинской архитектуры, I, Кумурдо и Никорцминда, Москва, 1947, გვ. 17-23; Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда как пример разных этапов развития бароккоального стиля в грузинском искусстве, Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970, გვ. 236, 261.

16 გ. ბოჭორიძე, რეჭალებებების ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994, (პირველი გამოცემა – რაჭის ისტორიული ძეგლები, ხმ, V, 1930) გვ. 95-101; ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი – II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIIIსს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ., 1980, გვ. 55, 101, 103.

17 თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984, ტაბ. 52-53.

18 გ. დიდებულიძე, ახალი მონაცემები ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XIII საუკუნის მოხატულობის შესახებ. საქართველოს სიმგელენი, №1, 2002, გვ. 85-100; საღვთისმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხისათვის ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაბრის მოხატულობაში. საქართველოს სიმგელენი, № 6, თბ., 2004, გვ. 116-140; წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ციკლი ყინცვისის მოხატულობაში. ქართული ხელოგნების ნარკვენები – IV, თბ., 2005, გვ. 31-34.

19 გ. ბულია, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოხატულობის ოფოლოგიური პროგრამის შესახებ. გ. ალიბეგაშვილისადმი მიძღვნილი სენის მასალები, თბ., 1999, გვ. 15-17; გ. ბულია, ა. ვოლსკაია, დ. თუმანიშვილი, დავითგარეჯის მონასტრები – დაგრა, უდაბნო, თბ., 2008, გვ. 16-17.

20 И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, Тб., 1992.

21 И. Мамаишвили, Роспись Табакини, Тб., 1991.

რკონი, მაღალაპიტი ეკლესია, ახალი შუამთა²²). წმ. ნიკოლოზის გამოსახულება ასევე გვხვდება XI საუკუნის მცირე სვინაქსარის მინიატიურასა და ამავე სანის შემოქმედის ვერცხლის ფირფიტაზე²³, უბისის XIV საუკუნის ფერწერულ კარედ ხატზე²⁴, ალავერდის XVI საუკუნის ჭედურ ხატზე²⁵ და სხვ.

რაც შეეხება ქართულ რელიეფურ პლასტიკას, აქ, წმ. ნიკოლოზის გამოსახულებები მცირე რაოდენობით შემოგვრჩა. მისი ფიგურა გამოკვეთილია ანანურის XVII საუკუნის (1689 წ.) ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთი ფასადის ფრონტონში ჩამულ ფილაზზე²⁶ (სურ. 2), რომელიც იდენტიფიცირებულია ნუსხური წარწერით და თბილისის სურბ ნიშანის XVIII საუკუნის (1703 წ.) ეკლესიის გუმბათის დასავლეთ წახნაგზე თანმხლები მხედრული განმარტებითი წარწერით²⁷ (სურ. 3). უფრო ადრეული ნიმუში გვაქვს ჯრუჭის ეკლესიის კანკელის ფილის (74X80 სმ) ფრაგმენზე²⁸ (სურ. 4), სადაც წმ. ნიკოლოზი წმ. ბასილი დიდის გამოსახულებასთან ერთადაა წარმოდგენილი. ეს ფილა, რომელიც ჯრუჭის (საჩხერის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის ტაძრის საკურთხეველში, ტრაპეზის სამხრეთ პირზე იყო ჩამული²⁹, 1991 წლის მიწისძვრის შედეგად ეკლესიის დანგრევისას საგრძნობლად დაზიანდა. მიწისძვრამდე გამოსახულებები და მათი განმარტებითი წარწერები – წ(მიდა)ი ბ(ა)ს(ი)ლი, წ(მიდა)ი ნ(ი)ქ(ო)ლოზ – თითქმის სრული სახით იყო შემორჩენილი³⁰. ამ ფილას რენე შმერლინგი ფართო ორნამენტირებული ჩარჩოს, პროფილების და სხვა სტილური მახასიათებლების მიხედვით XI საუკუნის კანკელების წრეს მიაკუთვნებს³¹. ამავე სანით ათარიღებს რელიეფური გამოსახულებების თანმხლებ, კიდურწაისრული ასომთავრული გრაფემებით შესრულებულ განმარტებით წარწერებს ვალერი სილოგავაც³². წმ. ნიკოლოზის კიდევ ერთი გამოსახულება წარმოდგენილია ჩუკულის (სვანეთი) წმ. გიორგის მთავარანგელოზის ეკლესიის XI საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ხის კარის³³ რელიეფურ გამოსახულებებს შორის (სურ. 5), რაც ამ

22 И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, გვ. 82-108.

23 თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980, იღ. 27.

24 იქვე, იღ. 45.

25 იქვე, იღ. 54.

26 ე. კვაჭაშვილებ, წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი ანანურის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე. საქართველოს სიმგელენი, № 10, თბ. 2007, გვ. 135-147, სურ. 4.

27 იქვე, გვ. 141, სურ. 5.

28 გ. წერეთლის ცნობით ეს ფილა ჯრუჭის ეხევების ეკლესიიდან იყო გადატანილი, Г. Церетели, MAK, VII, 1898, გვ. 109.

29 ექვთიმე თაყაიშვილი, ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები, გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხიორბლაძემ ნათია გელდიაშვილის მონაწილეობით, თბ., 2010, გვ. 10, 34.

30 გ. ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ., 1995, გვ. 223.

31 Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 164-166, გაბ. 59.

32 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი – II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ. I (IX-XIIIსს), გვ. 129-130, სურ. 120, 120ა.

33 Н.Чубинашвили, Деревянные резные двери из сел. Оциндале, Джакундери и Чукули, ქართული ხელოვნება № 3, თბ., 1950, გვ. 119-140, გაბ. 46.

ფიგურის თანმხლები ნუსხანარევი ასომთავრული განმარტებითი წარწერითად³⁴ დადასტურებული. ასევე, საინტერესოა, ნიკორწმინდის ტაძრის გუმბათის ყელის ქვედა სარტყელზე, სწორკუთხა ორნამენტულ მოჩარჩოებებში ჩასმული თითქმის იდენტური წვეროსან მამაკაცთა შარავანდმოსილი, ჯვრებიანი ომოფორებით დამშვენებული სამდვდლო შესამოსელით წარმოდგენილი ფიგურები (სურ. 6).

ყოველ მათგანს მარცხენა ხელში სახარება უჭირავს, მარჯვენა კი, მკერდთან აქვს მიღებული (იყო რვა გამოსახულება, აქედან ორი ჩამომტკრეულია). განმარტებითი წარწერების არარსებობის მიუხედავად, სამოსისა და სხვა ნიშნების მიხედვით, ისინი ეკლესიის მამათა გამოსახულებებს უნდა წარმოგვიდგენდნენ, რომელთა შორისაც, როგორც ერთ-ერთი წმ. მამა და რაც მთავარია, როგორც ნიკორწმინდის ტაძრის აატონი, უდაოდ, იქნებოდა წმ. ნიკოლოზის ხატიც.

არსებული მასალიდან ირკვევა, რომ წმ. ნიკოლოზის გამოსახულებანი საქართველოში XI საუკუნის დასაწყისამდე არ შემორჩენილა. რაც შეეხება ჯალაურთის რელიეფს, მისი შესრულების დრო რელიეფის სტილური მახასიათებლების მეშვეობით უნდა განისაზღვროს.

ჯალაურთას რელიეფის მხატვრულ-სტილური შესრულების საერთო პირობითი ხასიათი – ფიგურის ერთიანი, დაუნაწევრებელი, ბლოკური სხეული, მისი პროპორცია – ტანთან შედარებით საგრძნობლად გადიდებული თავი; ქვაზე კვეთის ხერხები – ფონიდან საკმაოდ ამოზიდული (2,5 სმ.-ის სიმაღლეზე), მოჩარჩოების დონეზე მოცემული გამოსახულების შებრტყელებული ზედაპირი, ფორმათა ერთმანეთზე დაშრევა, რაც გამოიხატება სახის, თმის, შარავანდის, სამოსის დეტალების სხვადასხვა სიბრტყობრივ პლანში განლაგებაში; ცერად ჩაკვეთა, რაც თავს იჩენს სამოსის დრაპირების გადმოცემაში, გრაფიკული ჩაჭრა, რითაც თმა-წვერის ზედაპირიდან დაფარული, ყოველივე ეს, X საუკუნის ქართული ქვის პლასტიკის ნიმუშებთან იჩენს მსგავსებას (მაგ., ფეტობნის, ცაიშის, ურავლის აგარის, სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი კანკელის ფრაგმენტისა³⁵ – სურ. 6 – და სხვა რელიეფები). ამ უკანასკნელს ჯალაურთას ფიგურა ფეხის ტერფების ფასში განლაგებითაც ემსგავსება. გარდამავალი ხანის რელიეფებში ფრონტალურად წარმოდგენილი ფიგურების ტერფები ყოველთვის პროფილშია გამოსახული. ტერფების ფასში, რაკურსით გადმოცემა უფრო მეტად X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის რელიეფებისთვისაა სახასიათო, მაგ. საფარის მონასტრის წმინდა საბას ეკლესიის კანკელის (X ს.-ის ბოლო, X-XI სს.-ის მიჯნა)³⁶ დანიელ წინასწარმეტყველის ფიგურა (სურ. 7), ან, იმავე ჯრუჭის კანკელის ფილის გამოსახულებები (სურ. 4) და მრავალი სხვა. ისიც ადსანიშნავია, რომ XI საუკუნის რელიეფების ფიგურები ჯალაურთასთან შედარებით უფრო დაგრძელებული პროპორციებით, პატარა თავებით, დიფერენცირებული ფორმებით, მეტი მოძრაობით ხასიათდება.

34 იქვე, გვ. 129.

35 Г. Алибегашвили, Рельефная плита из окрестностей Сухуми, Сообщения АН. Грузинской ССР. Т.XII, № 8, Тб., 1951, გვ. 511-515.

36 თ. ხუნდაძე, საფარის მონასტრის წმინდა საბას ტაძრის კანკელი. საქართველოს სიმგელენი №17, თბ., 2014, გვ. 181-192.

X საუკუნეს უკავშირდება აგრეთვე ჯალაურთის რელიეფის წარწერების პალეოგრაფიული ნიშნებიც – კიდურწერტილოვნება³⁷, რომელიც გამოხატულია გრაფემებზეც და ქარაგმაზეც.

საინტერესოა ჯალაურთის რელიეფის თავდაპირველი მდებარეობისა და ფუნქციის საკითხიც. ზომის სიმცირისა (მთელი ქვის ზომაა 29X47 სმ., ფიგურისა კი – 33X11 სმ.) და გამოსახულების სამოსის, თმა-წვერის დეტალური დამუშავების მიხედვით, ჯალაურთის ფილა მცირე არქიტექტურულ ფორმას უფრო შეესაბამება, ვიდრე მონუმენტურს, საფასადეს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მოჩარჩოება – სადა, მსხვილი ლილვის შიდა ჩარჩოს გარედან ბრტყელი, დამრეცი, ასევე სადა მოჩარჩოება საზღვრავს. მას მხოლოდ მარცხენა მხარეს შემორჩენილი ორნამენტული ფრაგმენტი დაუყვება, რომელიც სავარაუდოდ მთელი ფილის გარე მოჩარჩოების ნაწილს შეადგენდა. ამგვარად გადაწყვეტილი ფილები X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის პირველი ნახევრის კანკელებს ახასიათებს, მაგ., საფარის წმ. საბას ტაძრის, ჯრუჭისა და სხვ. თუმცა, ჯალაურთის გარე ჩარჩოს ფრაგმენტზეც ჩანს, რომ ჩუქურთმა უფრო მარტივი სახისაა, ვიდრე საფარისა და ჯრუჭის. XI საუკუნის კანკელთა ფილების შიდა მოჩარჩოებაც ყოველთვის ჩუქურთმითად დაფარულია³⁸. ჯალაურთისა კი, სოხუმის X საუკუნის ფილის (სურ. 6) მსგავსად სადაა. ასე, რომ ჯალაურთის ფიგურის მომსაზღვრელი ლილვის სისადავეც მისი შესრულების ადრეულობის ერთ-ერთ დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჯალაურთის რელიეფი X საუკუნის მეორე ნახევრით, ან ბოლო ხანებით შეიძლება დათარიღდეს. ვფიქრობ, რომ, ეს ფილა თავდაპირველად სოფელ ჯალაურთის ძველ, სავარაუდო X საუკუნის ეკლესიას ეკუთვნოდა, რომელიც შემდგომ, გვიან განახლებულ ტაძარში ხელმეორედ იქნა გამოყენებული, რასაც ამ რელიეფური ფრაგმენტის გვერდების სწორად ჩამოჭრაც ადასტურებს.

ერთადერთი, რაც ეჭქვეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ ჯალაურთის რელიეფი კანკელის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, არის მისი სისქე, რომელიც 22 სმ.-ს უდრის, მაშინ, როდესაც წებელდის და გველდესის ფილების სისქე 8 სმ., სოხუმის – 6 სმ., ზედაზნის – 12 სმ. ასეა, თუ ისე, წმ. ნიკოლოზის, როგორც მღველმთავრისა და ეკლესიის სიმბოლოს, ერთ-ერთი მთავარი მეობის, მართლმადიდებლობის მცველის³⁹ წარმოდგენა საკურთხევლის ზღურბლზე – კანკელზე, ვფიქრობ, სრულიად მისადებია. ამის მაგალითი ხომ, ამავე რეგიონის ჯრუჭის კანკელის ფილაზე გვხვდება (სურ. 4). როგორია, იმის მტკიცებაც, თუ რა გამოსახულებები იქნებოდა წარმოდგენილი ჯალაურთას ეკლესის კანკელზე (?) წმ. ნიკოლოზთან ერთად. არ არის გამორიცხული, რომ (სხვა ფიგურებთან –ისეო ქრისტე, ღმრთისმშობელი?) აქაც, ჯრუჭის რელიეფის მსგავსად, წმინდა ბასილი დიდი ყოფილიყო გამოსახული (?).

ამრიგად, ჯალაურთის რელიეფის სახით, შეა საუკუნეების ქართულ

³⁷ ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი – I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 29, 33.

³⁸ Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 116-177.

³⁹ მ. დიდებულიძე, საღვთისმეტყველო პოლემიკის.... გვ. 134.

რელიეფურ ქანდაკებას კიდევ ერთი საინტერესო ნიმუში შეემატა. ჯალაურის მუზეუმი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის არის ქართულ ხელოვნებაში დღემდე ცნობილ წმინდა ნიკოლოზის გამოსახულებებს შორის ყველაზე ადრეული ნიმუში, რაც ზემოხსენებული ლიტურგიკული და სასულიერო ლიტერატურული ძეგლების ადრეულ ქართულ თარგმანებთან ერთად, X საუკუნეში, საქართველოში ამ წმინდანის კულტის არსებობას ადასტურებს.

Tamar Khundadze

Newly Discovered Relief from the Village Jalaurta

A stone plaque with the image of a Saint (it had fallen down from the masonry of the Late Medieval church of the Virgin, damaged during the earthquake in 1991) is kept at the Cabinet of Art in Jalaurta secondary school (Imereti, western Georgia, Sachkhere municipality). Greyish sandstone plaque (47 x 29 x 22 cm.) bears a fragmented image of the bearded Saint clad in clerical vestments – iconography and the accompanying inscription identifies him as St. Nicholas. Images of this famous Church Father (known as early as the 7th-8th cc.) appear in Georgia at a relatively late date – although his commemoration day was established the latest in the 8th c. and his Vita was being translated from the 8th-9th cc. onwards – his earliest known representation is that of the second half of the 11th c., from Ateni Sion church; further on he is seen both in the mural decorations (Church of St. Nicholas in David gareji “desert”, 12th-13th cc.; Kintsvisi church of St. Nicholas, early 13th c.; Rkoni, 13th c.; Tselenjikha, 14th c.; Akhali Shuamta, 16th c.; Magalaant Eklesia, 17th c., etc.) and painted and repoussé icons.

In the reliefs, earliest known image of St. Nicholas is also dated to the 11th c. (Jruchi chancel-barrier plaque, Chukuli wooden icon), emerging sporadically later on (Ananuri, 1689; Tbilisi Surb Nshan Armenian church, 18th c.).

Jalaurta relief, due to the character of its modelling and proportions (a somewhat big head), finds affinity with the reliefs of the turn of the 10th-11th cc. (e.g., a relief from Sapara monastery – Daniel in the Lions’ Den), which is also confirmed by the palaeography of its inscription. Accordingly, it proves to be the earliest among the images of St. Nicholas known so far in Georgia. It seems likely to have been a chancel-barrier relief – this is evidenced by the dimensions of the plaque and framing of the image, although its thickness is quite unusual (22 cm., instead of the usual 6-12 cm.).



სურ. 1. ჯალაურთა. რელიეფი
წმ. ნიკოლოზი



სურ. 2. ანანური. წმ. ნიკოლოზი



სურ. 3. თბილისი. სურბ ნიშნის ეკლესია.
წმ. ნიკოლოზის რელიეფი



სურ. 4. ჭრუჭი.
კანკელის ფრაგმენტი
წმ. ნიკოლოზისა და
წმ. ბასილის
გამოსახულებით



სურ. 5. ჩუქული. ხის ქარი.
წმ. ნიკოლოზი



სურ. 6. ნიკორწმინდა. გუმბათის ყელი.
წმ. მამები



სურ. 7. სოხუმის მიდამოები.
განკელის ნაწილი



სურ. 8. საფარა. წმ. საბას ეკლესიის
განკელის ფრაგმენტი

ქუთაისის 6. ბერძნიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ჯრუჭის მონასტრის დაარსების თარიღისა და მფლობელთა საკითხისათვის¹

ჯრუჭის მონასტრის დაარსების თარიღის განსაზღვრა, ძირითადად, ეპიგრაფიკულ მასალებსა და ძეგლის არქიტექტურულ დეტალებზე დაყრდნობით ხერხდება. XIX საუკუნეში ჯერ ფედერიკ დოუბუა დე მონპერომ და შემდეგ მარი ბროსექ სათავე დაუდეს სულიერებისა და კულტურის ამ მნიშვნელოვანი კერის შესწავლას. მათი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ლაპიდარული წარწერები, მაგრამ დასკვნები სწორად ვერ გამოიტანეს და თავიანთ ნაშრომებში მიუთითეს, რომ ჯრუჭის წმინდა გიორგის ეკლესია არც ისე ძველია². პ. გნილოსაროვი კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე აღნიშნავს, რომ ჯრუჭის მონასტერი აგებულია იმერეთის სამეფოს აუგავების ეპოქაში³. იმავეს წერს თ. ხუსკივაძეც⁴. გ. ბოჭორიძე⁵, გ. ჩიდვინაძე⁶, ტ. მაჭარაშვილი⁷ ჯრუჭის მონასტერს X საუკუნით ათარიღებენ; მ. იზორია⁸, ო. ნიქაბაძე⁹ და მ. ცუხიშვილი¹⁰ – X-XI სს-ით; ვ. სილოგაგა¹¹, გ. ბერიძე¹², ზ. სხირტლაძე¹³ და თ. ბერაძე¹⁴ – XI საუკუნით. ამ

1 წერილი მომზადდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიმდინარე პროექტის – „ჯრუჭის მონასტრის ისტორიის ფუნდამენტური კვლევა და მისი საგანძურის სამეცნიერო კატალოგიზაცია“ – ფარგლებში, სხივ შოთა რესთაველის ეროვნული მუზეუმის მომზადებული გრანტის (FR/286/1-10/14) მეშვეობით.

- 2 F. Dubois de Montpereux, Voyage autor du Caucase, chez les Tscherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, T. III, 1839, gv. 176; M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie exécuté en 1847-1848 sous les auspices du prince Vorontzof, lieutenant du Caucase, membre de l' Académie impériale des sciences, 1851, გვ. 82.
- 3 П. Гнилосаров, Очерки из жизни Митрополита Давида. Кавказский календарь на 1854 г., Тиф., 1853, გვ. 498.
- 4 Փ. Խսկիված, Կվիրիլյան ուշելիք. Սборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XIII, Тиф., 1892, გვ. 36.
- 5 გ. ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ლევან რატიანმა, თბ., 1995, გვ. 224.
- 6 გ. ჩიდვინაძე, ჯრუჭის მონასტრის ისტორიისათვის. ისტორიულ-შემეცნებითი ქურნალი „ისტორიანი“, №2, 2012, გვ. 57-61.
- 7 ტ. მაჭარაშვილი, ჯრუჭის მონასტერი, თბ., 2008, გვ. 3.
- 8 მ. იზორია, ჯრუჭის მონასტრის მთავარი ტაძრის დაგეგმარების საკითხისათვის. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომების კრებული, XXV, თბ., 2015, გვ. 231.
- 9 ო. ნიქაბაძე, ჯრუჭის მიხედვა სტირდება. გაზეთი „კომუნისტი“, №229, 4 თქმობებერი, 1981, გვ. 4.
- 10 მ. ცუხიშვილი, ჯრუჭის მონასტერი. სამეცნიერო საზოგადოებრივი ჟურნალი „სამი საუნჯე“ №1, 2012, გვ. 96.
- 11 გ. სილოგაგა, ქართული ლიპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნარკვ. I (IX-XIII საუკუნეები), თბ., 1980, გვ. 129, 179, 180-182. გ. სილოგაგა ჯრუჭის მონასტრის დაარსების საკითხს არ განიხილავს, მაგრამ ამ ტაძრის ეპიგრაფიკულ მასალებს შორის ყველაზე აღრინდებს XI საუკუნით.
- 12 გ. ბერიძე, XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994, გვ. 208.
- 13 ზ. სხირტლაძე, ჯრუჭის მონასტრის სიძველეები, ჟურნალი „ფუძე“, №3, 2005, გვ. 7.
- 14 ო. ბერაძე, ჯრუჭის მონასტერი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, 1987, გვ. 587.

მოსაზრებების თანახმად, ტაძრის დაფუძნების ქვედა ზღვრად მიჩნეულია X¹⁵ საუკუნე.

არსებობს პუბლიკაციები, რომელთა მიხედვითაც, ძეგლი კიდევ უფრო ადრე - IX საუკუნეში აიგო. სამწუხაროდ, ავტორები წყაროებს არ უთითებენ; ი. გუნია აღნიშნავს: „ჯრუჭის წმინდა გიორგის ეკლესია IX-X საუკუნეების მიჯნაზე დაბარსდა“¹⁶, ბეჟან, ნოდარ და შოთა სიგივაძეებს მიაჩნიათ, რომ ეს მოხდა IX-XI საუკუნეებში¹⁷, ი. ცარციძე კი ძეგლს ყველაზე დიდი ინტერვალით - IX-XII საუკუნეებით ათარიღებს¹⁸. გავიდა ხანი ამ სტატიების დაწერიდან და IX საუკუნე ჯრუჭის ტაძართან მიმართებით კვლავ ამოტივტივდა. ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ეკლესის ეზოში ნაპოვნი იქნა ფილა ასომთავრული წარწერით¹⁹. მ. იზორია წერს: „ამ ქვაზე შერჩენილი კირის კვალი მოწმობს, რომ ის კედელში პირშექცევით იდგა და მიწისძვრის რყევებს უნდა მოეწყვიტა ადგილიდან. ფილაზე იკითხება; „წ(მინდა)ო გ(იორგი)ი ა(დიდენ) არსენ მამადმთავარი.“ ზ. ალექსიძის წინასწარული დასკვნით, ფილაზე ამოკაწრული ასოთა მოხაზულობა არაუგვიანეს IX ს-ს უნდა ეკუთვნოდეს (ამჟამად წარწერას პალეოგრაფიულად იკვლევს თ. ჯოჯუა)²⁰.

ვ. ბერიძე უთითებს, რომ „ტაძარზე შეინიშნება არაერთი შეცემებისა და გადაკეთების კვალი, რის შედეგადაც იგი საკმაოდ რთული სხეულის მქონე ძეგლად ჩამოყალიბდა“²¹. უფრო ადრე, ამავე აზრისა იყო ექ. თაყაიშვილიც²². მ. იზორიას კვლევებით, „ჯრუჭის წმინდა გიორგის ეკლესია X-XI საუკუნეებში იყო სამნავიანი ბაზილიკა (ამ მოსაზრების დამადასტურებელი ძლიერი კვალი აღმოსავლეთი მხრიდან შეინიშნება, რომლის სიმეტრიულად დანაწევრებულ ფასადს ნაკლებად შეხებია გადაკეთებები) და XVI საუკუნეში მოხდა მისი რეკონსტრუქცია ... გუმბათიან ეკლესიად“²³. ყოველივეს გათვალისწინებით, ჯრუჭის მონასტერი შუა საუკუნეების ძეგლია. მისი დაბარსების თარიღად შეიძლება ვიგარაუდოთ IX-X საუკუნეები. XI-XIII საუკუნეებში დროდადრო მოხდებოდა ტაძრის შემდგომი განსრულება (ზოგ შემთხვევაში განახლება), ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ამ პერიოდის ნაკვალევის არსებობა ეპიგრაფიკული მასალის, რელიეფური სკულპტურისა და ხუროთმოძღვრული დეტალების სახით. ადსანიშნავია, რომ არქეოლოგიური თვალსაზრისით ჯრუჭის მონასტრის ტერიტორია შეუსწავლელია. შესაბამისად დაუდგენელია ხუროთმოძღვრული

15 ი. გუნია, საქართველოს მონასტრები, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 2005, გვ. 153.

16 ბ. სივსივაძე, ნ. სივსივაძე, შ. სივსივაძე, კიდევ ერთხელ ჯრუჭის მონასტრის შესახებ, გაზეობისაქართველოს რესპუბლიკა, 29 მაისი, 1991, გვ. 3.

17 ივ. ცარციძე, ჯრუჭის მონასტრის წარსულიდან, გაზეთი „ოქტომბრის გზით“ საჩერვ, 27 აგვისტო, 1959, გვ. 3.

18 გ. ჩილვინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; მ. იზორია, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

19 მ. იზორია, იქვე.

20 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 208.

21 ე. თაყაიშვილი, ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები, გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხიორტლაძემ ნათა გელდიაშვილის მონაწილეობით, თბ., 2010, გვ. 25.

22 მ. იზორია, დასახ. ნაშრ., გვ. 233.

ქეგლის სტატიგრაფია და სამშენებლო ეტაპები. გამორიცხული არ ჩარჩო, მართვის რომ გათხრებით გამოვლენილ სხვადასხვა ფენაში დადასტურებულიყო უფრო ადრინდელი ხანის არქიტექტურის ნაშთები, რადგანაც ხშირად საქართველოში ტაძარი იგებოდა ისეთ ადგილზე, სადაც ისტორიულად სამლოცველო იყო ხოლმე დაფუძნებული. მაგალითად, ეს ნათლად გამოიკვეთა ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე ჩაგრარებული არქეოლოგიური გათხრებისას²³.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ჯრუჭის დამარსებლების შესახებაც. დღებუას აზრით, კლესია წერეთლებს კუთვნოდათ²⁴. მარი ბროსეს, ეპიგრაფიკულ წყაროზე დაყრდნობით, მიაჩნია, რომ ის აშენეს ფალავანდიშვილებმა, რომელთა გვარი აბაშიძეებისაგან მომდინარეობს. ამ ოჯახმა სოლომონ მეორესთან უთანხმოების მიზეზით თავი შეაფარა ქართლს. საფალავანდოს ქონება მეფებ წერეთლებს გადასცა²⁵. მარი ბროსეს დარად მსჯელობს დ. ბაქრაძეც²⁶. ნ. დიასამიძე ჯრუჭის აგებას წერეთლების მოღვაწეობას უკავშირებს²⁷. პ. გნილოსაროვი დავით მიტროპოლიტისადმი მიძღვნილ ნარკვეში (ეს პუბლიკაცია მოგვიანებით თარგმნა და უკრალ „მწყემსში“ რამდენიმე ნაწილად გამოაქვეყნა დეკანოზმა დ. ლამბაშიძე²⁸) უთოთებს, რომ ჯრუჭის მონასტერი სოლომონ პირველმა უბოძა სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლებს²⁹. ჯრუჭის მონასტრის და მისი მიმდებარე ტერიტორიების კუთვნილების შესახებ დ. ბაქრაძის მოსაზრებას იზიარებს ექვთიმე თაყაიშვილი: „ეს საჩხერის ტერიტორია წინეთ ეკუთვნოდა ფალავანდიშვილებს, მაგრამ სოლომონ II-მ XVIII ს-ის მეორე ნახევარში მათ ჩამოართვა ეს მამული და მისცა ახლად აღმოცენებულს გვარს წერეთლებს. ფალავანდიშვილებიდან მომდინარეობს აბაშიძეები, როგორც სხანს ჯრუჭის წარწერიდან.“ მკვლევარი იმასაც ვარაუდობდა, რომ ტაძრის საქტიორო წარწერაში მოხსენებული ჯავახ ერისთავთ-ერისთავი შესაძლოა ფალავანდიშვილების გვარიდან იყოსო³⁰. ჯრუჭის საგანძურის დიდი მოამაგე – გ. ბოჭორიძე თავისი ექსპედიციის აღწერებში იმოწმებს პ. გნილოსაროვის პუბლიკაციას, მაგრამ ცვლის მონასტრის აღდგენის თარიღს და, საგვებით სამართლიანად, არ აკავშირებს ამ მოვლენას კონკრეტულად სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის სახელთან: „მონასტრის აღდგენა-განახლება უნდა მომხდარიყო მას აქთ, როცა მონასტერი რაჭის საერისთაოს გაუქმების, ე. ი. 1769 წლის, შემდეგ გადაეცა წერეთლებს, რომელთაც იგი საგვარეულო აკლდამად გახადეს³¹. ს. კაკაბაძის აზრით, „ფალავანდიშვილებმა თავიანთი საგვარეულო სამარხი ჯრუჭის მონასტერი სამონასტრო გლეხებითა და მამულებით XVI

23 ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთ., 2015, გვ. 252-254.

24 F. Dubois de Montpereux, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

25 M. Brosset, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

26 Дм. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, к. I, Тб. 1875, გვ. 62.

27 ნ. დიასამიძე, ხემო იმერეთსა და რაჭაში მოგზაურობა, გაზ. „ივერია“, 1891, 10 თქმებული.

28 დ. ლამბაშიძე, მიტროპოლიტი დავითი. უკრნალი „მწყემსი“, 1892 წ. №1, №2, №5, №6, №7; 1896, №4, №5.

29 П. Гнилосаров, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

30 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 21, 30.

31 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

საუკუნის პირველ ნახევარში მიჰყიდეს წერეთლებს მოდინახე ციხესთან და ჰელიოპოლის სოფელთან ერთად³².

როგორც ვ. სილოგავა უთითებს, წარწერები ჯვრის აღმართვის, ქვის შეწირვისა და დვოისგან შეწყალების თხოვნით, არის მიწისმფლობელობის ამა თუ იმ სახის დამადასტურებელი იურდიული აქტი. აღმმართველი წარწერიანი ქვის დაღმით (მით უმეტეს, თუ ის ჯვარი იყო), ან კედელში ჩასმით ადასტურებდა ხოლმე თავის უფლებას იმ მიწაზე, რომელზედაც აშენებული იყო ტაძარი. ამის მაგალითად, მკვლევარი ჯრუჭის წარწერებსაც იმოწმებს³³. ჯრუჭის ეპიგრაფიკული მასალა სხვადასხვა მკვლევარის მიერ ზოგჯერ ერთნაირად არ არის ამოკითხული, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, რომ ვ. სილოგავას მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ჯრუჭის მონასტრის მფლობელებად შუა საუკუნეების სხვადასხვა მონაკვეთში ვიგარაუდოთ წარწერებში მოხსენიებული კახა ერისთავი (გ. ბოჭორიძის აზრით, ეს კახა ერისთვაი უნდა ფიგურირებდეს პატარა ონის X საუკუნის წარწერაშიც³⁴), ქველი ერისთავი, მიქაელ მამასახლისი (მიქაელთან დაკავშირებით, ექვთიმე თაყაიშვილი ქარაგმის გახსნისას „მამასახლისზე” მეტად უპირატესობას „მოძღვარს” ანიჭებს. ამ შემთხვევაში საერო მფლობელად მას ვერ გავიაზრებთ.), ჯავახ ერისთავთ ერისთავი, არსენ მამამთავარი (გ. ჩიდვინაძე მას X საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართლის კათალიკოს არსენ II-სთან აკავშირებს³⁵. თუ დადასტურდა გ. ჩიდვინაძის მოსაზრება, მაშინ აქაც ირიცხება ჯრუჭის კუთვნილება არსენთან (როგორც დიდ ფეოდალთან მიმართებით) და აბაშას ძე გიორგი ფალავანდიშვილი.

ო. სოსელია წერეთლითა სათავადოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში აქვეყნებს ზეპირგადმოცემას ამ გვარის იმერეთში გადმოსვლის შესახებ. ლეგენდის მიხედვით, წერეთლითა წინაპარი ლეკი წვიგშავიძე ყოფილა, რომელსაც ძველ საუკუნეში დადგესტანი დაუტოვებია და ჯრუჭში დამკვიდრებულა. აქ მას სასახლე აუგია და მომიჯნავე მებატონეთა ყმა-მამული ძალმომრეობით მიუთვისებია. მას ორი ვაჟი ჰყოლია, რომლებსაც ქრისტიანობა მიუღიათ და სწორედ მათგან მომდინარეობენ თურმე წერეთლები³⁶. ლეგენდა, რა თქმა უნდა, ისტორიულ სინამდვილეს იმპროვიზებულად ხატავს (ლ. ასათიანის აზრით, წერეთლები მკვიდრობდნენ ზემო ქართლის სოფელ წერეთში და იქიდან გადმოვიდნენ იმერეთში³⁷; მ. ჯანაშვილი მიიჩნევს, რომ წერეთლები ოდესაც, აგრეთვე, სახლობდნენ საინგილოში, კერძოდ, ბელქანში³⁸), მაგრამ სიმართლის

32 ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი „კვეუთასახისტანი”, თბ., 1966, გვ. 264.

33 ვ. სილოგავა-ქართული სამართლის ქვემდები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. საქ. სსრ. მეცნ. აკად. მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა დახელოვნების ისტორიის სერია, №4, 1972, გვ. 145-147.

34 გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 223-224.

35 გ. ჩიდვინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

36 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1981, გვ. 79.

37 ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1960, გვ. 13.

38 მ. ჯანაშვილი, საინგილო, ტფ., 1910, გვ. 31.

რადაც მარცვალი მასში მაინც დევს. ო. სოსელიას მიერ დამოწმებულ სოლომაზენიშვილის „მიგლის მონასტერი და მისი მიმდებარე ტერიტორია წერეთლებს იმერეთის მეფის „ძველთა მამა-პაპათაგან“ ჰქონდათ ნაწყალობები და ოდიოგანვე ამ გვარის „მამა-პაპათა სამკვიდრო“ იყო. გასათავალისწინებელია, რომ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთიანობა საბოლოო XV საუკუნის მეორე ნახევარში დაიშალა. წერეთლები იმერეთის მეფის „სამკვიდრო“ წყალობას ყველაზე ადრე, სავარაუდოდ, ამ პერიოდში მიიღებდნენ.

ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალების მიხედვით შედგენილ „პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ დამოწმებული საბუთების თანახმად, 1660 წელს დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა და მეფე ბაგრატმა პაატა წერეთელს უბოძეს ყმა-მამული საფალავნდიშვილოში. დაუმტკიცეს, აგრეთვე, ადრე ნაწყალობები საჩხერის ნახევარი, ხოდაბუნის წყალობა. 1673 წელს ამ პაატას „ნაქონი ყმა-მამული: აზნაურიშვილი, გლეხი, სასახლე, სასაფლაო და ეკლესია“ ბაგრატ მეფე უბოძა მის მმას – ქაიხოსრო წერეთელს.⁴³ აქ ნახსენებ ეკლესიაში ჯრუჭის წმინდა გიორგის ეკლესია იგულისხმება, თუ - არა, ამის დადგენა არ ხერხდება, მაგრამ ამ და კიდევ სხვა დოკუმენტებითაც⁴⁴ ცხადი ხდება, რომ ფალავნდიშვილთა ქონება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით წერეთელთა ხელში გადადის. სამწუხაროდ, უცნობია, თუ რომელ საუკუნეში დაიწყო ეს პროცესი. 6. სარავას აზრით, ჯრუჭის სამნავიანი ბაზილიკური ეკლესიის რეკონსტრუქცია გუმბათიან ტაძრად, შესაძლოა, უკავშირდებოდეს გიორგი ფალავნდიშვილის სახელს⁴⁵, რომლის საქტიტორო-სამშენებლო წარწერა (XV-XVIIს)⁴⁶ იუწყება: „ქ. ძესა აბაშისა ფალავნიდიშვილსა გიორგის შეუნდნეს ღმერთმა და ამა წმიდამა გიორგიმ და მათ სულკუროსეულთა პაპათა და ჩამამავალთა შენთა მაშენებელთა ამინ“⁴⁷.

39 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ისტორიულ საბუთოა კოლექცია (შემდგომში აღნიშნავთ ასე: ქიმ), №359.

40 ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ზურაბ წერეთლის არქივი S 5369.

41 ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd 1563 (შემდგომში მუვთითებო მხოლოდ ფონდის ლათინურ აბრევიატურას და საბუთის ნომერს), ქიმ 438¹³ (ასლი).

42 ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 85.

43 გ. ოთხმეტური, გ. მჭედლიძე, გ. სურგულაძე, გ. ქლენტი, ა. ბაქრაძე, თ. ენუქიძე და დ. კლდიაშვილი, პირთა ანოტირებული ლექსიკი, ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. IV, შემდგენლები: გ. სურგულაძე და დ. კლდიაშვილი, თბ., 2007, გვ. 284; Hd 9466, Hd 9388.

44 Hd 2179; Sd 514; Hd6018; Hd2001; Hd2198; Hd2178; Hd2527; Sd509.

45 6. სარავა, ჯრუჭის მონასტერის აგების ისტორია და მფობელები. 2015, გვ. 5. ნაშრომი ხელნაწერის უფლებით დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში.

46 დიდი მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი თხოვნით წარწერა ფოტოპირის მიხედვით დათარიდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გ. გაგოშიძემ.

47 წარწერა თავის დროზე განთავსებული ყოფილა ტაძრის დასავლეთ ფასადზე, კარის მარჯვნივ, წმინდა გიორგის გამოსახულების ქვემოთ (გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 225). ტექსტი მცირეოდენ სხვაობებით ამოვითხულია მარი ბროსეს (დასახ. ნაშრ., გვ. 82), ე. თაყაიშვილისა (დასახ. ნაშრ., გვ. 30) და გ. ბოჭორიძის მიერ (დასახ. ნაშრ., იქვე).

ამ ეპიგრაფიკული წყაროს მიხედვით, უდავოა, რომ XV-XVI საუკუნეებში მონასტრების განვითარების უძაბნოს ქრისტიანული და მაშენებლები ფალავნიდიშვილები არიან. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვაღგენო, წარწერაში მოხსენიებული აბაშას ძე გიორგი ფალავნიდიშვილი და მისი „ჩამამავლები“ რა პერიოდის განმავლობაში ფლობდნენ „სულპურთხეულ პაპათა“ ნაშენებ ჯრუჭის მონასტერს და არც ის ვიცით, „მაშენებლობის“ რომელიმე ეტაპი კონკრეტულად გუმბათის დადგმას თუ გულისხმობდა. იქნებ, სწორედ ამ ქტირობის სოცოცხლეში დაეპატრონებ ეპლესიას წერეთლები და განახორციელებ ბაზილიკის რეკონსტრუქცია?! გადაჭრით ვერაფერს დავასკვნით. ო. სოსელია ასაბუთებს, რომ „თემურ-ლეგის ლაშქრობებით ზემო ქართლსა თუ საინგილოში შევიწროებული წერეთლები იმერეთში XIV საუკუნეში არიან დამკვიდრებული და მათი წარმომადგენლები ისტორიის სარბიელზე XV საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდებიან“⁴⁸.

დღემდე მოღწული ისტორიული მასალების, მკვლევართა დასკვნებისა და ჩვენი მოსაზრებების შეჯერების შედეგად, წერეთლეთა მიერ ჯრუჭის მონასტრის მფლობელობის სავარაუდო ქვედა ზღვრად შესაძლოა ვიგულისხმოთ XV-XVI საუკუნეები, ხოლო ზედა ზღვრად – XVII საუკუნის შეორე ნახევარი.

სოლომონ პირველის სიგელის თანახმად, XVIII საუკუნეში რაჭის ერისთავსა და წერეთლებს შორის ჩამოვარდნილი შუღლის დროს ამ უკანასკნელთ იმერეთის მეფეთა ნაწყალობები ტეროტორია და იქ მდებარე მონასტერი „სიმაგრედ მოერთოთ“, რომელიც მოწინაადმდეგებს აუდია და დაუსაკუთრებია; „ეკლესია ოხრად დაშორმილიყო“⁴⁹. მიტორპოლიტ სკომონ აბაშიძის ეპიტაფიაში ეს უდაბნო მოხსენიებულია, როგორც „მრავლის წლის დარღვეული“⁵⁰. ვახუშტი ბატონიშვილი მდინარე ჯრუჭულას ხეობის მიმოხილვისას მონასტერზე არაფერს წერს და მოკლედ უთითებს: „ხევსა და კეცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას. ძველად ყოფილა ამას ზედა შენობანი, და აწ ოხერ არს“⁵¹. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ვახუშტის გეოფრაფიულ აღწერაზე მუშაობა 1742 წელს დაუწყია და 1745 წელს დაუსრულებია, მაგრამ მისი შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამი წლის განმავლობაში მოესწრო მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უქველია, მას თავისი თხზულებისათვის მასალები და საბუთები დიდის ხნიდგან მოყოლებული უნდა ეგროვებინა“⁵². აქედან გამომდინარე, ალბათ, XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან მაიც, ჯრუჭის მონასტრის ეკლესია, მოქმედი არ ყოფილა. მ. ცუხიშვილი წერს: „ჯრუჭის სამონასტრო ანსამბლი ვახუშტის დროსაც ამაყად იდგა. უბრალოდ, ან უგზოვების, ან უდროობის გამო იგი ვერ მოხვდა ბატონიშვილის მიერ აღწერილ ობიექტთა ნუსხაში“⁵³. სხვიტორში აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორმა – ც. ლაშემა ქუთაისის სახელმწიფო

48 ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 81-82.

49 ქიბ 359.

50 ო. წერეთლი, ჯრუჭის მონასტერი. ქურნალი „მწყემსი“. № 28, 1886, გვ. 4.

51 ვახუშტი, აღწერა სამეცნიერო საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), ო. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 156.

52 ვ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 325.

53 მ. ცუხიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

ისტორიული მუზეუმის თანამშრომლებთან მსჯელობისას გამოთქვა მოსაზრებები, იმომ გახუშტი ბატონიშვილი, შესაძლოა, გულისხმობდა ამავე რეგიონში მდებარე ჭაბუქმთის დანგრეულ ისტორიულ ძეგლებს. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ახლა მჩელია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სოლომონ პირველიცა და ვახუშტიც ერთსა და იმავე მეტაფორას ხმარობენ. ბატონიშვილი უთითებს: „შენობანი აწ ოხერ არს“, მეფე წერს: „ოხრად დაშოომილიყო“. ჩვენი ვარაუდით, ორიგე შემთხვევაში იგულისხმება არა დანგრეული, არამედ ბრძოლებისაგან თავის უწმინდეს დანიშნულებას მოკლებული, გავერანებული სამონასტრო ანსამბლი (გ. წერეთლის ცნობით, ტაძარს კანკელი არ გააჩნდა და ის დავით მიტრობოლიტმა ჩამოიტანა ეხვევის დვითისმშობლის ეკლესიის ნანგრევებიდან⁵⁴). სოლომონ პირველმა, ისმინა რა „წმინდანი კრებულის“ ვედრება, „ისევ სამონასტროდ“ გახადა „ეკლესია წმინდისა გიორგისა, რომელ არ ჰრუჭი მიწა-წყლითა, ტყე-ხევნარით“. ამ ფაქტთან დაკავშირებით ო. სოსელია აღნიშნავს: „მეფემ მონასტერი და მისი მიდამოები ჩამოართვა ერისთავს და ჰრუჭისვე მონასტრის წმინდა გიორგის შესწირა. ეს იყო წერეთლთა მხარდაჭერა...“ ერისთავი იძულებული გახდა, ვითომ ნებით, ჰრუჭის მიდამოებიდან გასულიყო⁵⁵. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილმა მეფის აღდგინების სიგელმა ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ფურცლის კიდე ჩამოხეულია იმ ადგილზე, სადაც, სავარაუდოდ, თარიღი იქნებოდა მითითებული. პ. გნილოსაროვის ზემოთ ნახენები პუბლიკაციის მიხედვით, რაჭის ერისთავს ქმა-მამული ჩამოართვეს და ჰრუჭის მონასტერი წერეთლებს მიაკუთვნეს 1789 წელს, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ამ დროისათვის სოლომონ პირველი ხუთი წლის გარდაცვლილი იყო. ალბათ, ავტორი გულისხმობდა 1769 წელს, როცა მეფე მაისის თვეში კათალიკოსობიდან გადააყენა როსტომ ერისთავის ძმა – ბესარიონი, ხოლო სექტემბერში თვითონ როსტომი შთამომავლობასთან ერთდ საბოლოოდ შერისხა, ერისთავების სამფლობელოს ნაწილი სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, ნაწილი კი ერთგულ წერეთლებს უბოძა. სოლომონ მეორეც თავის სიგელში⁵⁶ ამ მოვლენას უკავშირებს ჰრუჭის მონასტრის წერეთლებისათვის დაბრუნებას, მაგრამ, უდავოა, რომ ეს ასე არ ყოფილა. წერეთლებმა აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით ქმა-მამული რაჭაში, მეფის ნებით, 1769 წელს მართლაც მიიღეს, მაგრამ, როგორც სოლომონ პირველის სიგელზე დაყრდნობით ო. სოსელია ასკვნის, ჰრუჭში სამონასტრო ცხოვრება აღდგა 1769 წლამდე, ვიდრე როსტომ ერისთავს და მის შვილებს თვალებს დაუშანთავდნენ და რაჭის საერისთაოს გააუქმებდნენ⁵⁷.

დღემდე არავის გაუმახვილებია ყურადღება სიგელში მოხსენიებულ კათალიკოსზე. საბუთის დასათარიღებლად ჩვენ მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ ის ფაქტი, რომ მეფე დასაწყისშვე უთითებს: „ვისმინეთ ნავედრი კრებულთა წმინდათანი შუაგლობითა ყოვლად სანატრელისა რაჭის ერისთავის ძისა ბიძისა

54 Г. Церетели, Археологическая экскурсия по квирильскому ущелью. Материалы по археологии Кавказа, вып. VII, Под редакцией графини Уваровой, М., 1898, гл. 109.

55 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973, გვ. 85.

56 Sd1563, ქმ 438¹³ (ასლი).

57 ო. სოსელია, იქვე, გვ. 85.

ჩვენისა კათალიკოზის ბესარიონისათა და ...ისევ სამონასტროდ გავხადეთ ეკლესიანული წმიდისა გიორგისა, რომელ არს ჯრუჭი”. ე.ი. როსტომ ერისთავის ძმა – კათალიკოზი ბესრიონი (დედამისი მარიამ ბაგრიოშვილი იყო, ბაგრატ IV-ის ასული.⁵⁸ ამიტომ უწოდებს სოლომონ პირველი მას ბიძას) ჯერ კიდევ იმერეთშია. მაშასადამე, ჯრუჭის მონასტრის აღდგენის სიგელი არა თუ 1769 წელს, არამედ 1768 წელსაც არ არის დაწერილი, რადგანაც „1768 წელს სოლომონ პირველის წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად ძმის მიერ ახალციხეში მოციქულად წარგზავნილი კათალიკოზი ფაშამ ციხის ბუხარში დაამწყვდია. ის კი იქცდან გაიქცა, თავი დადიანს შეაფარა და ოდიშის „პატრიარქი” გახდა (ბესარიონი იმერთსა და რაჭაში აღარც დაბრუნებულა. 1773 წელს გარდაიცვალა სამეგრელოში). ამ დროს სამეგრელოში იმაღლებოდა თვითონ როსტომ ერისთავიც, რადგანაც მეფემ ჩხართან ბრძოლის მოგების შემდეგ არაერთხელ მოაწყო თავდასხმა რაჭის საერისთაოზე⁵⁹. სიგელში შავით თეთრზე წერია, რომ მეფეს სასულიერო პირთა ვედრება ჯრუჭის მონასტრის აღდგენაზე სწორედ კათალიკოსმა ბესარიონმა მოახსენა. სოლომონ პირველი აცხადებს, რომ საქმე წერეთლისა და ერისთავის შეთანხმებით გადაწყდაო. საბუთი დამოწმებულიცაა როსტომ ერისთავისა და ქაიხოსრო წერეთლის ბეჭდებით. რა თქმა უნდა, ამ ფორმისა და შინაარსის დოკუმენტი არ დაიწერებოდა მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად იოსებ ბაგრატიონი (მეფის ძმა) აგურთხეს და ცოტა მოგვიანებით სოლომონ პირველმა „დასდვა წერილი წყვითა და შეზენებით მსოფლიო პატრიარქთაგან, რათა დასასრულადე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამომავლობანი” რაჭის ერისთავთა „არდარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრეოდ რაჭისა“⁶⁰.

ჩვენი აზრით, სიგელი შეადგინეს მაშინ, როცა მეფე და ურჩი ერისთავი ფორმალურად შერიგებული იყვნენ. „შერიგება”კი 50-იან და 60-იან წლებში არაერთხელ მოხდა: 1753 (შეწყალება მეფის წინააღმდეგ თავადური აჯანყების მერე, როცა სოლომონ პირველის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ როსტომ ერისთავი და აბაშიძეები: მეფის ბაბუა, დედა და ბიძები), 1757 (შერიგება ხრესილის ომის შემდეგ, როცა ოსმალეთის ჯარს შემოუძღვნენ რაჭის ერისთავი და არგვეთის დიდი თავადი, ბაბუა – ლევან აბაშიძე), 1761, 1763 (შეწყალება ორჯერ ტყვეთა სყიდვის აკრძალვით უკმაყოფილო თურქეთის ლაშქრობების მერე, როცა მეტრის მეგზური და თანამებრძოლი როსტომ ერისთავი იყო) და 1769 (ზავი სამი თვით ადრე, ვიდრე თვალებს დათხრიდნენ და უფლებებს აყრიდნენ რაჭის ერისთავს) წლებში⁶¹. ჩვენ მიერ მიკვლელულ მასალებს შორის

58 ი. სოსელია, იქვე, გვ. 114-115.

59 ა. ცაგარელი, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I. Под редакции А. Цагарели, Спб., 1891, გვ. 17, 31-32; ი. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ..., 1973, გვ. 100-101.

60 ე. თაყაიშვილი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული დოკუმენტთა კრებული „საქართველოს სიძეგლეზე“, რედაქტორი ექვთიმე თაყაიშვილი, გამოცემის მომზადებაში მონაწილეობდნენ: მ. ჯანაშვილი, ა. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ა. ქუთათელაძე, 1910, გვ. 570.

61 ე. თაყაიშვილი, იქვე, გვ. 569-570; ი. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ..., 1973, გვ. 95-97, 99, 102.

შველაზე ადრინდელი შეწირულობა თარიღდება 1763 წლით, როცა ქუთამშენიშვილისა მიეროპლიტმა მაქსიმემ „გამოსაზრდელად ჯრუჭის მონასტრის მმათა განუწესა და შესწირა, რათა სამდღველმთავროთ სამწყსოში ჯრუჭის წელს მდინარეს გადმა ზეით სვერის შემავალიანათ სამეფოს და საწერეთლოში მანდექთამდის დრამათ მობოჭილის პურისაგან მესამედი იმ მონასტრეს მიეცემოდეს მობოჭილის დროს⁶².“ მაშასადამე, არა უადრეს 1753 წლისა და არა უგვიანეს 1763 წლისა ჯრუჭის მონასტერი განახლდა. ზუსტად ამ სიტყვას ხმარობს მეფე თავის სიგელში და „განახლებაში“ იგულისხმება არა მარტო სასულიერო ცხოვრების კვლავ დაწყება ჯრუჭის უდაბნოში, არამედ ეკლესიის ხელახლა გადაცემა ძველი მფლობელისათვის, ანუ წერეთელთა სათავადოსათვის, რომლის სათავეშიც იმ დროს მეფის უერთგულესი სარდალი ქაიხოსრო V იდგა (ის 1769 წელს მოკლა კაცია II დადიანმა). 1809 წლით დათარიღებულ სიგელში სოლომონ მეორე აღნიშნავს, რომ ჯრუჭის უდაბნო „სასაფლაოდ მიეცა ბიძასა ჩემსა მეფესა მას წერეთლისათვის“⁶³. ე. ი. ამ მონასტერმა, სოლომონ პირველის ნებით, წერეთელთა საგვარეულო ნეკროპოლის ფუნქცია შეითავსა.

ს. კაკაბაძე წერს, რომ სოლომონ მეორის მიერ 1805 წელს შედგენილი სიგელის⁶⁴ თანახმად, „ჯრუჭის მონასტერი დამტკიცებული ყოფილი ზურაბ წერეთელზე და მის სახლზე⁶⁵“. ჩვენ გავეცანით ამ დოკუმენტს. იქ აღნიშნულია, რომ სოლომონ მეორემ სიგელით სახლოუბუცეს ზურაბ წერეთელს,⁶⁶ მის მმისწულს – სარდალ ქაიხოსროს⁶⁷ და მათი „სახლის შვილთა და შთამომავალთ“ ხელახლა უბოძა წინამორბედ მეფეთა მიერ ნაწყალობები ყმა-მამული და მონასტრები: ჯრუჭი და მდვიმევი.

ყოველივეს გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯრუჭის მონასტრის აგების ზუსტი თარიღი დაუდგენელია. ლაპიდარული წარწერების მიხედვით, იგი, საგარაუდოდ, IX-X საუკუნეებში აშენდა და მისი მფლობელები შეასუქუნების სხვადსხვა პერიოდში ერისთავები და ფალავანდიშვილები იყვნენ. არა უადრეს XV და არა უგვიანეს XVII საუკუნიდან მონასტერი წერეთელთა სათავადოს ეკუთვნოდა. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ჯრუჭის უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე დიდხანს იბრძოდნენ რაჭის ერისთავი და წერეთელები. „სიმაგრედ ეს ეკლესია მოერთოთ“. ძლიერ დაზარალებული მონასტერი რაჭის ერისთავმა მიისაკუთრა. სოლომონ პირველმა არა უადრეს 1753 წლისა და არა უგვიანეს 1763 წლისა ჯრუჭის უდაბნო „ისევ სამონასტროდ“ გახადა და კვლავ ძველ მფლობელს – წერეთელთა სათავადოს დაუბრუნა.

62 საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ისტორიული საბუთების ახლების კოლექცია, ფონდი 1451, საქმე 16, ფ. 187.

63 ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, 1928, გვ. 42; Hd1329.

64 Sd 1563, ქმ 438¹³ (ახლი).

65 ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, I, თბ., 1928, გვ. 42.

66 ზურაბ წერეთელი იმერეთის სახლოუბუცესი იყო 1778-1786 და 1789-1810 წლებში; იგი წერეთელთა სათავადოს მეოთაურობდა თავისი უფროსი მმის – პაპუნას გარდაცვალების (1790წ.) შემდეგ.

67 ზურაბის უფროსი მმის, „ზემო ქვეყნის“ მხედარომთავრის (რუხის ომის სახელოვანი სპასალარის), 1769-1785 და 1789-1790 წლებში წერეთელთა სათავადოს უფროსის – პაპუნას შვილი.

Maia Kebuladze, David Sulaberidze

On The Issue of Jruchi Monastery Date of Foundation and Owner

The paper has been prepared within the ongoing project of the Kutaisi State Historical Museum – „Fundamental Historical Study of Jruchi Monastery and Scientific Cataloguing of its Treasury” (FR/286/1-10/14) – granted by Shota Rustaveli National Science Foundation.

There are numerous works in Georgia historiography devoted to the history of churches and monasteries, but the Jruchi Saint George’s Monastery has never been an object of comprehensive research. By discovering, studying and analyzing the heretofore unknown materials and systematizing the issues that are already studied, we can now make the conclusions on the date of Jruchi Monastery foundation and its owners as follows:

The exact date of the construction of Jruchi Monastery has not been specified. According to lapidary inscriptions it was supposedly built in IX-X centuries and its owners were the representatives of Eristavi and Palavandishvili in different periods of medieval centuries. Not earlier than the XV century and not later than the XVII century, the Tsereteli Family became an owner of Jruchi Monastery. In the first half of the XVIII century, the Racha’s Eristavis (dukes) and Tsereteli Family have been fighting for a long time for the territory adjacent to Jruchi Desert. According to the charter of the king Solomon I, the church has been transformed into the fortress. The badly damaged Monastery has remained under the ownership of the Racha’s Eristavis (dukes). Not earlier than 1753 and not later than 1763, the king Solomon I has made the territory of Jruchi Desert intended for Monastery again, and transferred it into ownership of the Tsereteli Family.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

XI საუკუნის სათხის რელიეფი ჯავახეთიდან

სოფელი სათხე ჯავახეთის ახალქალაქიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ოციოდე კილომეტრის დაშორებით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

ეკლესია მცირე ზომის დარბაზულ ნაგებობათა ტიპს მიეკუთვნება და ბაგრატ IV-ის დროს, XI საუკუნეში არის აგებული, ფარსმან ერისთავთ-ერისთავის მიერ. ეკლესია ნაგებია დია ნაცრისფერი საკმაოდ კარგად თლილი, მოზრდილი ქვის კვადრებისგან. მისი ექსტერიერი არ გამოირჩევა დეკორატიული გაფორმების სიმდიდრით, თუმცა ყურადღებას სამხრეთი შესასვლელის არქიტრავზე, დიდი ზომის ქვის ბლოკზე გამოსახული რელიეფის უხვი და მრავალფეროვანი ორნამენტები და ფიგურული გამოსახულება იქცევს. რელიეფი წარმოადგენს მთლიანად სამხრეთი ფასადის ერთადერთ მხატვრულ და, რასაკვირველია, შინაარსობრივ აქცენტს, რომლითაც ხაზი ესმევა ეკლესიის მთავარი შესასვლელის მნიშვნელობას. სამხრეთი კედლის მხრიდან ტაძარს მოგვიანებით მიაშენეს სომხური გუმბათოვანი ეკლესია და ეს იმუამად ერთადერთი შესასვლელი ახალი ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე, ინტერიერში აღმოჩნდა.

ქართულ არქიტექტურაში, დაწყებული ადრინდელი ხანიდან შუა საუკუნეების მთელ მანძილზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიაში შესასვლელის გაფორმებას, რომელის გადაწყვეტა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. სათხის ტაძრის შესასვლელი მარტივადაა გადაწყვეტილი – ამგვარი პორტალები ადრეული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. სათხის თანადროული პერიოდის ძეგლებში პორტალები ბევრად უფრო განვითარებულია (მაგალითად, იშხნის დარბაზული ეკლესიის პორტალი, 1006 წ., ეხვევის ეკლესია, XI ს., პატარა ონის, ნიკორწმინდის პორტალები).

სამხრეთ ფასადზე ორნამენტებით და ვაზის მცენარეული გამოსახულებით შემკული უზარმაზარი დმრთისმშობლის რელიეფი სამხრეთ პარადულ შესასვლელს აქცენტს უსვამს და გამოჰყოფს. ორნამენტებითა და ფიგურებით დამშვენებული ეს მოზრდილი რელიეფი, დარჩენილი ფასადის ცარიელ შეუმკობელ კედლის ფონზე, მკვეთრად, კონტრასტულად აღიქმება. შესასვლელის ამგვარი გაფორმება ჯავახეთის ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი. აქ ხშირად კეთდება დიდი ზომის ზღუდარები, უხვად შემკული ორნამენტებით.

რელიეფის ზომებია 300×130 სმ. დმრთისმშობელი და ყრმა, არქიტრავის პორიზონტალური დერძის შუაშია მოთავსებული (სურ. 1, 2), ფიგურების ორივე მხარეს ვაზის სახით ხე სიცოცხლისაა გამოსახული. მთელ ამ კომპოზიციას გარშემო უმშვენიერესი ორნამენტული განიერი ჩარჩო ერტყმის.

დმრთისმშობლის ფიგურა ოდნავ წელსქვემოდაა გადაჭრილი და სამი მეოთხედით მობრუნებული. აქ წარმოდგენილია ე. წ. ოდიგიტრიის ტიპის დმრთისმშო-

ბელი¹ მარცხენა ხელით მას ყრმა-ქრისტე უჭირავს, თუმცა სათხის რელიგიზმი კურმა ბელიდ უფრო დიდია, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გვხვდება ოდიგიტრიის კომპოზიციაში, რის გამოც ღმრთისმშობლის ყრმაზე შემოვლებული ხელი არაბუნებრივადაა დაგრძელებული. მარჯვენა, მკერდის წინ მოთავსებული ხელი მას ყრმისკენ აქვს მიმართული, თავი ჩვილისკენ აქვს ოდნავ გადახრილი. ქრისტეს სეული მაყურებლისკენ სამი მეოთხედით არის შემობრუნებული, ხოლო სახე ფასშია გადმოცემული.

სამწუხაროდ, რელიეფის გარკვეული ნაწილი დაზიანებულია და ძნელად გაირჩევა. მარიამის და ყრმის განზოგადოებული სილუეტი ფონის სიბრტყეზე მკაფიოდ აღიქმება. მარიამის ოვალური ფორმის სახე თითქმის ფასშია გამოსახული. სახის ზედაპირი მთლიანად დაზიანებულია და ნაკვთები არ შერჩენილა. თავზე მას დიდი ზომის შარავანდი ადგას, ტანს ფართონაოჭებიანი მაფორიუმი მოსავს, რომელიც მას მთელ სეულს უფარავს; მარჯვენა ხელი ბავშვზე აქვს შემოხვეული (ხელის მტევანი არ ჩანს). სამოსზე ნაოჭები ვერტიკალური, რიტმული ფართო ხაზებით არის გადმოცემული. მეორე ხელი, რომელიც დედა ლვოისას მკერდთან აქვს მიტანილი, საკმაოდ კარგად იკითხება, თუმცა ხელის მტევანი აქაც დაზიანებულია და რელიეფი მაჯასთან უეცრად ტყდება. ფართო გრძელი სამოსი ბოლომდე, ანუ ორნამენტულ ჩარჩომდე არის ჩამოშვებული. ღმრთისმშობლის მარცხენა მხარი და მკერდი ოდნავ გაბრტყელებულია, განსხვავებით მარჯვენა მკლავისა და მხრისაგან, რადგან იგი ამომტვრეულია. ყრმა საკმაოდ დიდი ზომისაა, მაყურებელი ხელი იდაყვში მოღუნული ზევით, ღმრთისმშობლის მხრისკენ აქვს გაწვდილი; მეორე თითქმის მუხლზე უდევს, თუმცა ეს ძნელად ირჩევა; თავიც მაყურებლისკენ აქვს მობრუნებული. მისი სახის მოგრძო ოვალზე ნაკვთები არ ჩანს, რადგანაც ზედაპირი ძლიერ არის დაზიანებული, თავზე მასაც ნახევარწრიული შარავანდი ადგას. მას კოჭებამდე გრძელი, ვიწოდება ხელობიანი კაბა აცვია.

ამ ცენტრალური გამოსახულების ორივე მხარეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორნამენტულად დამუშავებული ვაზის ხეებია ნაჩვენები, რომელთაც ფოთლები

1 როგორც ცნობილია, არსებობს ღმრთისმშობლის გამოსახულების რამოდენიმე იქონოგრაფიული ტიპი. ოდიგიტრია ერთ-ერთი მათგანია. ნ. პ. კონდაკოვი თავის წიგნში „ღმრთისმშობლის იკონოგრაფია“ (Н. П. Кондаков. Иконография Богоматери, Т. II, Г. VI, Пет., 1915, № 250) გამოყოფს ოდიგიტრიის ორ ძირითად ვარიანტს - პირებლია, როდესაც ჩვილი მცირე ასაკისაა და დედას მარცხენა ხელზე ჟყავს ნახევრად მიწვნილი, ხოლო მარჯვენა ხელს კი აშველებს. მეორე - როდესაც ყრმა უფრო მოზრდილი ასაკისაა და იგი დედას უხის მარცხენა მუხლზე, დმრთისმშობელს მარჯვენა ხელი ყრმისხვის აქვს შემოხვეული, ხოლო მაკვდრებელი ხელი მეერდთან აქვს მიტანილი. მაცხოვარი მარჯვენა წინ გაწვეული ხელით აკურთხებს და მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს. მისი სეული მაყურებლისკენ სამი მეოთხედითაა მობრუნებული. ეს უკანასკნელი იკონოგრაფიული ტიპი გამომუშავდა ჯერ კიდევ ადრეგრისტრიანულ ეპოქაში. პირებელი გარიანტი გამოვლინდა ალბათ უფრო ადრე, რადგან იგი ასახავს ჩვილს, მაშინ, როდესაც მეორე იქმნებოდა ხატწერის იმ გარემოში, სადაც ხატწერის პირობები კარნახობდნენ მაცხოვრის მოზრდილ ასაკს 5 დან 7 წლამდე. სირიაში და ეგვიპტეში გავრცელებული იყო ცნობები დამოუკიდებელი ჩვილის არაჩვეულებრივი ზრდის შესახებ და რადგანაც ამ ქვეყანაში შეიქმნა ჟველაზე ადრეული ნიმუშები ღმრთისმშობლის ხატისა, ამავე ქვეყანას ეკუთვნის ღმრთისმშობლის უძველესი იკონოგრაფიაც. სათხის ტაძრის კარის არქიტრავზე გამოსახული მარიამი ყრმით ოდიგიტრიის კომპოზიციის მეორე ვარიანტს წარმოადგნს, რომელიც ხშირად გვხვდება გვვიპტესა და სირიაში.

და ყურძნის უზარმაზარი მტევნები ასხია. ვაზს ორნამენტულ-დეკორატიული სახის სახე აქვს, რითაც ძლიერ ამშვენებს მთლიანობაში რელიეფს. ვაზების გამოსახულებანი, რომლითაც სიმეტრიულადაა ფლანკირებული ცენტრალური ფიგურული რელიეფი, ზუსტად როდი მეორდება, არამედ ერთმანეთისგან დეტალებით განსხვავდება. ღმრთისმშობლის მარჯვენა მხარეს ვაზს შეკვებული აქვს სარი, რომელსაც ყურძნის მტევნებით დახუნდლული ვაზი დატეხილი რელიეფური ზოლით შემოუყვება. ვაზი ქვედა ნაწილში განსაკუთრებით იკლაკნება და სპირალურ ხვეულებს ქმნის. ვაზის შუა ნაწილში სამი მტევნანი ასხია, მტევნებს შორის ორნამენტულად გადმოცემული ნახევარმთვარის ფორმის დიდი ზომის ფოთლებია გამოყვანილი. სხვადასხვა ზომის მტევნები გირჩისებრი ფორმისაა და მარცვლებიც გირჩის ფარფლების რიტმს იმეორებს. ყურძნის მტევნებს ოსტატი მაღალი რელიეფით გადმოგვცემს, მათ შორის ადგილი კი გრძელი ფოთლებით მჭიდროდ არის შევსებული. ეს ნახევარწრიული წაგრძელებული ფოთლები ძალაშე მოქნილია, მოხაზულობით ტალღისებრი.

მარცხენა მხარეს გამოსახული ვაზი განსხვავდება ამწამს აღწერილისგან. აქ ვაზი ცენტრალურ ღერძს-სარს ნაკლებად მიუყვება. ჩანს მხოლოდ ვაზის ქვედა ნაწილიდან წამოსული დიაგონალურად მიმართული ერთი ტოტი, რომელიც ზევით ღმრთისმშობლის მარჯვენისკენ არის მიმართული, ხოლო ვაზის მეორე ღერძ, დაახლოებით იმ ადგილიდან, სადაც პირველი იწყებოდა, სწორხაზოვნად ჩარჩოს მხარეს. ყურძნის მტევნები, რომლებსაც გირჩისებრი, მხოლოდ ამჯერად უფრო მომრგვალებული ფორმა აქვთ, ვაზის ერთ მხარეს ღმრთისმშობლის მხართან არიან თავმოყრილი, ხოლო მათ ქვეშ გამოსახულია საკმაოდ დიდი შვიდნაწილიანი მრგვალი ვარდული. ვაზის ორივე ხეს განტოტვილი ფესვები აქვს და ისინი პირდაპირ ქვედა ორნამენტულ ჩარჩოდან არის თითქოს ამოზრდილი.²

მთლიანობაში ეს სტილიზებული, დაკლაკნილი მცენარეული ორნამენტი, დეკორატიულობას ანიჭებს რელიეფს.

მთლიან კომპოზიციას გარშემო უვლის სწორკუთხოვანი მოხაზულობის საკმაოდ განიერი ჩუქურთმიანი ჩარჩო, რომელიც მთლიანობაში რელიეფის უმეტეს ნაწილს შეადგენს. ჩარჩოს ორნამენტი სამი სხვადასხვა ტიპისაა; სამწუხაროდ, ორნამენტი საკმაოდ დაზიანებულია და ზოგიერთის ზუსტად გარჩევა შეუძლებელიც არის. ყველაზე კარგ მდგომარეობაში ჩარჩოს ქვედა ჰორიზონტალური ზოლია. ჩარჩოს ზედა ჰორიზონტალური ზოლის ჩუქურთმა დაახლოებით შეიძლება გაირკვეს, მაგრამ ვერტიკალური ზოლები მოლები მხარეს უფრო ძნელად ირგვება.

კომპოზიცია გაწონასწორებული და სიმეტრიულია. მთავარ აქცენტს რელიეფის ცენტრში ოდნავ წელსქვემოთ გამოსახული ღმრთიმშობლისა და ყრმის ფიგურები წარმოადგენეს, მიუხედევად იმისა, რომ მათ გამოსახულებას შედარ-

² ვაზი საქართველოში ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქართველი ვაზს უძველესი დროიდან გამოსახავს ფრესკაზე, რელიეფზე, ხატებზე, მონიაზურებში. გარდა დეკორატიული მნიშვნელობისა, ვაზის გამოსახულებას, ჩვენშიც და სხვაგანაც, სიმბოლური მნიშვნელობაც ენიჭება. იგი წმინდა ხედ – ცხოვრების ხედ თვლება. ხშირად ვენახი ღმრთსმშობლელს გამოსატავს, მტევნანი კი იქსო ქრისტეს: „ვენახი რქაშვენიერი ანნამასაგან აღმოცენდა და ტევანი სიტყბოებისა აღყვავილნა“ (წმ. ოთანე დამასკელი)

ებით მცირე ადგილი უკავია, დაახლოებით მთელი ფართობის მეოთხედის შინაგანი მიზანის მიზანის მსარეს გამოსახული ვაზები ერთმანეთს აწონასწორებს, შემდეგ ასევე სიმერტიულობით გამოირჩევა მათ შორის არსებული სწორკუთხის სიბრტყეები, ხოლო მთელ კომპოზიციას კრავს და აერთიანებს საკმაოდ განიერი ჩარჩო. ფიგურები თავისუფლად თავსდებიან სიგანეში, იმ დროს, როდესაც სიმაღლეში მათი თავები ებჯინება ორნამენტულ ჩარჩოს და ამის გამო კომპოზიცია თითქოს რამდენადმე გაჭედილია, რასაც ერთგვარი დაძაბულობა შემოაქვს სიმეტრიულ და გაწონასწორებულ კომპოზიციაში. ფიგურთა მოძრაობა ხისტია, მაგალითად, ქრისტეს მაღლა აწეული ხელი გაშეშებულია, ხისტია ასევე მარიამის მარჯვენა, ყრმისკენ გაწვდილი ხელის ნახატიც.

რელიეფის სიმაღლე 2-3 სმ.-ს არ აღემატება, მისი ზედაპირი არაა ბრტყელი, არამედ აქ ერთ სიბრტყიდან მეორეზე გარკვეულ საფეხურებრივ გადასვლასთან გვაქვს საქმე. ყველაზე მაღალი რელიეფით ღმრთისმშობელი და ყრმა არიან გამოსახული. ამით ოსტატი კომპოზიციაში მთავარ პერსონაჟებს გამოჰყოფს. ყველაზე მეტადაა მომრგვალებული მარიამის მარჯვენა მკლავი, რომელიც ოდნავ ტალღისებური ფორმით იძერწება სამოსის ქვეშ და ოდნავი დაქანებით გადაღის მკლავზე. ამავე სიმაღლის რელიეფითაა მოცემული ყრმის ფიგურაც, განსაკუთრებით მისი მარცხენა ხელი ოდნავ სიღრმეში. მეორე ფენაზე მარიამი და ქრისტეს ოვალური ფორმის სახეები და მარიამის ჩამოშვებული მარჯვენა მკლავის მაფორიუმის ნაკეცებია. მესამე ფენას კი ქმნის შარავანდები, რომლებიც რამდენადმე უფრო დაბალია, ვიდრე ფიგურათა სახეები. ამავე დონეზეა გადმოცემული სხეულის დანარჩენი ნაწილები, კერძოდ, ღმრთისმშობლის გულმკრდი, წელი, (ამჟამად გამომტვრეული) და მარცხენა ჩამოშვებული ხელი. აგრეთვე ქრისტეს ფენის მტევნები. მეოთხე და ყველაზე დაბალი სიბრტყე – ფონია.

ამ ოთხი სიბრტყის საფეხურებრივ ერთმანეთში გადასვლა ხდება არა კუთხოვანი არამედ რბილი, ოდნავ დაქანებული, მშვიდი ტალღისებური მოძრაობით. კერძოდ: ღმრთისმშობლის მარჯვენა მკლავი, ზედაპირის მსუბუქი მოდელირების საშუალებით თანდათანობით ღრმავდება და გადაღის მკერდისკენ. ასევეა გადმოცემული მაცხოვრის მარცხენა მკლავი, რომელიც იდაყვთან რბილადაა ჩატრილი. ქრისტეს მარჯვენა მსარი და მკერდი თითქმის ერთ დონეზე რჩება. მუხლებიც ოდნავ ამოიძერწება და რბილად გადაღის ფენის ტერფისკენ. ფიგურათა სილუეტი მრგვალად ერწყმის ფონს. ცალკეული ფორმების ამგვარი გადმოცემით და მათი ერთმანეთში რბილი გადასვლით რელიეფი გარკვეულ პლასტიკურობას, მოცულობითობას იძენს.

თვით სამოსის ნაოჭები გრაფიკულად, ზედაპირზე ამოჭრილი ხაზებითაა აღნიშნული. ზოგან ეს ნაოჭები ძალზე ხშირია, გვერდი-გვერდ განლაგებული, ზოგან კი შორი-შორს. ზოგ ადგილას ისინი განივრადაა ამოკვეთილი, ზოგან კი უფრო ვიწროდ. ნაოჭების სისტემა, ანუ შემჭიდროება ან გაიშვიათება იმითაა გამოწვეული, რომ მსატვარს სურს შექმნას სიღრმის გარკვეული მინიშნების შთაბეჭილება.

მთლიანობაში კომპოზიციის ამგვარი გადწყვეტა, წარდგენითი, მაღიდებული ასახვა ღმრთისმშობლისა ყრით, ასევე მსხმოიარე ვაზის მეოხებით სამოთხის

მსგავსი გარემოს შექმნა, მდიდრული ჩუქურთმებით შემკული ჩარჩო, ამ პეტრების სადღესაწაულო განწყობას ანიჭებს.

ჩვენს მიერ განხილულ რელიეფს გარევეული ადგილი უჭირავს საქართველოს, კერძოდ ჯავახეთის სკულპტურის განვითარებაში. ამ რელიეფში აღსანიშნავია ოსტატის მიერ პლასტიკური გამომსახველობის ხერხების ნაწილობრივი დაძლევა, წინა პერიოდის ჯავახეთის რელიეფებთან შედარებით, რაც მიღწეულია სხეულის მოცულობითი გამოსახულებით, ფიგურათა სილუეტის გამდიდრებით, ნახატის გარევეული სიხისტის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად რეალურ, ბუნებრივ ფორმასთან მიახლოებით. ამას ოსტატობის საკმაოდ მაღალი დონეც უწყობს ხელს.

სათხის რელიეფში ყრმა პროპორციულად ძალზე დიდი ზომისაა. X საუკუნის ძეგლებისთვის საქართველოში ყრმის გამოსახულების ამგვარი უტრირება უცხო არ არის. შემდგომში ეს თითქმის რომ არქაულობის ნიშანი უფრო იშვიათია. ყრმის ფიგურის ზომების ამგვარი გაზრდით განსაკუთრებით ესმევა ხაზი მის იდეურ მნიშვნელობას. სათხის გამოსახულების ამგვარი იკონგრაფია, მისი ერთგვარი არქაულობის მაჩვენებელია, რაც რელიეფის პლასტიკურ დამუშავებაში და შესრულების ხასიათშიც ვლინდება.

სათხის რელიეფში გამოსახული სადა, მცენარეულ-გეომეტრიული ორნამენტების ტიპები ჩვენ სხვადასხვა ძეგლზე მრავლად გვხვდება. ჩარჩოს ზედა პორიზონტალური ზოლის გულისმაგვარი ტალღისებრი დერო ჩვენ გვხვდება X საუკუნის ვალეს ეკლესიაში,³ ქვედა პორიზონტალური ზოლის ორღარიანი ლენტოვანი წნულის მსგავსი ნახატი X საუკუნის კუმურდოს ორნამენტში⁴, ხოლო ვერტიკალური ზოლის ორნამენტი, კერძოდ, ერთმანეთზე გადაბმული წრეები, ფოთლით თვითეულ მონაკვეთში, ფოკის XI საუკუნის ეკლესიაში.

ვაზის მცენარეული ორნამენტი ჩვენ მრავლად გვხვდება სხვადასხვა ძეგლსა და სხვადასხვა პერიოდში. მაგალითად, XI საუკუნის სვეტიცხოვლის ფასადზე გამოსახული მაღალი ვაზის ხები, რომელთაც ყურძენი ასხია. უფრო აღრე, VII საუკუნის მარტვილის ტაძარზე, აღმოსავლეთი ფასადის შვერილ აფსიდზე, დეკორატიულ ფრიზში ვაზია ჩართული, რომელსაც მთელ სარტყელს ამკობს. სათხის რელიეფზე გაღმოცემული ვაზი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს ვენახს – სიცოცხლის ხეს, საზოგადოდ მრავლად გვხვდება საქართველოს ყველა კუთხეში, იქნება ეს რელიეფი, თუ ჩუქურთმა, სადაც ყურძნის მტევნისა, თუ ფოთლის ორნამენტული გამოსახულება ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

X საუკუნის ორნამენტი ჯავახეთში იმით ხასიათდება, რომ იგი „ჩაჭრილი“ არის კედლის სიბრტყეში, ორნამენტის ზედაპირი კი კედლის სიბრტყეს უსწორდებოდა. XI საუკუნეში კი ორნამენტის ფონი თვით კედლის სიბრტყეა. ქვის ჩუქურთმა მის ზედაპირზე რელიეფის სახით გამოიყოფა⁵, დამუშავების სწორედ ამგვარ ტექნიკას ვხვდებით სათხის ძეგლში, თუმცა რელიეფის სიმაღლე აქ XI საუკუნისათვის საკმაოდ დაბალია.

3 რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954, გვ. 40.

4 იქვე. გვ. 35.

5 ც. გაბაშვილი, პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბ., 1955, გვ. 12.

X საუგუნიდან მოყოლებული, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, სტულპ-ტურის ყველა დარგში აღინიშნება ძიებები ადამიანის ფიგურის პლასტიკურ ფორმაში გადმოცემის მიმართულებებით, საწყის ეტაპზე სკულპტურულობა ფიგურის ერთიანი, მოცულობითი, დაუნაწევრებელი ბლოკის გამოყოფით მიღწევა. რის შედეგადაც გადალახულია წინა ხანისთვის დამახასიათებელი რელიეფის სიბრტყობრიობა. შემდგომში პლასტიკური გამომსახველობა იხვეწება და სულ უფრო და უფრო დიფერენცირებული ხდება. ფიგურის ერთიანი მასიდან მოცულობითად გამოიყოფა სხეულის ცალკეული ფორმები, რასაც სამოსის ნაკეცების მიმართულებაც უსვამს ხაზს. პლასტიკურადაა მოდელირებული სახის ნაკვთები. პლასტიკურ გამომსახველობას უკავშირდება ისეთი მომენტები, როგორიცაა ადამიანის ფიგურის პროპორციული აგება, მის მობრუნებაში წარმოდგენისას სხეულის ნაწილების სწორი ურთიერთშეფარდება, მათი განლაგება სიდრმეში მიმართულ პლანებად. ამგვარი განვითარების გზაზე პლასტიკურობით გამოირჩევა XI საუკუნის პირველი ნახევარის ნაწარმოებები. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც მთლიანი კომპოზიციის, ისე ცალკეული გამოსახულების დეკორატიულ გადაწყვეტას.

განვითარების პროცესი როდებად მიმდინარებდა: პროგრესულ მიმდინარეობის გვერდით დიდხანს, XI საუკუნეშიც კი თანაარსებობს სკულპტურის ნაწარმოებები, რომლებშიც გრძელდება წინაპლასტიკური ხანის სკულპტურისთვის დამახასიათებელი გამოსახულების სიბრტყობრიობრივი, პირობითი გადაწყვეტა, ამის შედეგია, რომ ზოგჯერ ერთ არქიტექტურულ ძეგლზე, ერთმანეთის გვერდით განსხვავებული ხასიათის რელიეფებია მოცემული.

სხვადასხვა ხასიათის რელიეფების შეთავსება გვაქვს, მაგალითად, ჯავახეთში მდებარე კუმურდოს 964 წლის აგებულ ტაძარში⁶, თუმცა ეს არ არღვევს არქიტექტურის ამ მაღალმხატვრული ძეგლის მთლიანობას.

უფრო ძლიერადად გამოვლენილი სიბრტყობრიობა ხოსპიოს რელიეფში⁷ (X საუკ. შუა ხანა) – კომპოზიცია აპლიკაციის მსგავსად ედება ფონს და გამოსახვებს დანიელს ლომების ხაროში. სწორკუთხა ქვის ბლოკზე აღბეჭდილია ორი ლომის ფიგურა, რომელთა შორის მინიატიურულ ზომებში გამოსახულია დანიელი. რელიეფი იმდენად დაბალია, რომ გამოსახულება ძლივს ჩანს.

ხოსპიოს გამოსახულებისგან განსხვავებით, ბურნაშეთის ეკლესიის რელიეფზე, რომელიც X საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული⁸, იგრძნობა პლასტიკურობის გარკვეული ნიშნები, თუმცა ძალიან სუსტად გამოვლენილი⁹. ეს რელიეფი, ისევე როგორც ხოსპიოსი, სარქმლის თავზეა გამოკვეთილი. აქაც

6 გ. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов развития барокального стиля в грузинском искусстве. Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970, გვ. 236-261.

7 თ. ხუნდაძე, ძველი ადოქტორის საუკუნებები X-XI ს.ს. ქართულ სკულპტურაში (დანიელი ლომების ხაროში, თონა და ვეშაპი). ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, თებისები, თბ., 1989, გვ. 4.

8 იქვე, გვ. 5.

9 გვაჭატაძე, ჯავახეთის ოთხი რელიეფი კომპოზიციით „დანიელი ლომების ხაროში“ (აზავრეთი, ბურნაშეთი, ხოსპიო, ბაგრა), სადიპლომო ნაშრომი, 1996.

იგივე სცენაა წარმოდგენილი – „დანიელი ლომების ხაროში”, რომლებიც შემადგროვნებით სარგებლობდა ჯავახეთში.

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ჯავახეთის რელიეფების განხილვის შედეგად ჩვენ შეგვიძლია გარკვეული დასკვნის გაკეთება. X საუკუნის ამ ნაწარმოებებში გამოსახულების პლასტიკურობის ძიება, დამახასიათებელი განვითარების ამ სტადიისთვის, ნაკლებადაა ასახული. ამდენად კი ჯავახეთის ძეგლებს ამ მხრივ ერთნაირი არქაულობა ახასიათებთ.

სათხის რელიეფი XI საუკუნეში, ესე იგი სკულპტურის განვითარების მოძველების ეტაპზე შექმნილი, რამაც განაპირობა მასში გამოსახულების პლასტიკურობის და მოცულობითობის გარკვეული გამოვლენა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით იგი ჩამორჩება საქართველოს სხვა რაიონებში შექმნილ ისეთ ძეგლებს, რომლებშიც აისახა სკულპტურის განვითარების მოწინავე ტენდენციები.

განვიხილოთ XI საუკუნის სათხის ძეგლი X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხის რელიეფების ფონზე, რომლებსაც ქართული რელიეფის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ამ შედარების შედეგად ჩვენ გაგვიადვილდება სათხის რელიეფს მივაკუთხოთ სათანადო ადგილი ქართული რელიეფის განვითარების ისტორიაში.

სკულპტურული დეკორის პროგრესული ხასიათით უურადღებას იპყრობს ოშეკის¹⁰ ტაძარი, აგებული X საუკუპუნის მეორე ნახევარში, ტაოში (ესე იგი ოშეკის სკულპტურა უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე სათხის რელიეფი). ტაძრის სამხრეთი ფასადის შუა ნაწილზე ფრონტალურად მდგომი, მაღალი რელიეფით შესრულებული ანგელოზები, თითქმის მრგვალ სკულპტურას უახლოვდებიან. ისინი ზურგით თითქოს ოდნავ ეხებიან კედლის სიბრტყეს, მათი ფიგურები მოდელირებულია, სამოსის ხშირი ნაოჭები რელიეფურად არის გადმოცემული. მარჯვნივ მდგარი ანგელოზის მხერებზე მომჯდარი ქსოვილი უხვი დრაპირებით ეშვება მკერდზე და მეორე მხარზე ფიბულით მაგრდება. უფრო უხვი დრაპირებით და ნაკეცებით ხასიათდება კაბის ქვედა ბოლო, რომლის ქობას ნაკეცებისა და ნაოჭების ხაზი ტალღისებურად მოჰყვება. ფიგურების ცალკეული ფორმები მოცულობითად არის გადმოცემული. ტაძრის სკულპტურა ფიგურის თავისუფალი დაყენებით, ჰარმონიული პროპორციებით, ფორმების გაბედული მოდელირებით და საერთო მაღალი დონით, პლასტიკით ბევრად წინ უსწრებს სათხის რელიეფს.

ძლიერი პლასტიკით უურადღებას იპყრობს ბაგრატის ტაძრის სამხრეთ ფასადზე მოთავსებული სკულპტურული თავები (XI ს.)¹¹. ისინი იმდენად რელიეფური არიან, რომ თითქმის მრგვალ ქანდაკებას უახლოვდებიან. თავები თითქმის კეფით არიან ოდნავ მიკრული ტაძარის ფასადზე და ლამისაა მზად არიან მოსწყდნენ ფასადს და დამოუკიდებელ ქანდაკებებად იქცნენ.

დაახლოებით ამავე ხანაში კი იქმნებოდა სკულპტურის ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც სრულიად არ აისახა ეპოქის წამყვანი ტენდენციები. ამის მკა-

10 Н. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии (Фасадные рельефы V-XI веков), М., 1977, გვ. 113.

11 იქვე, გვ. 134.

ფიო მაგალითია სოფელ ბზის (მანგლისის მახლობლად) ეკლესიის ერთ-უმრავესობის რელიეფი¹² (X-XI სს-ის მიჯნა) სწორკუთხა ფორმის რელიეფი სარკმლის ზე-დანს წარმოადგენს. მასზე ამოკვეთილია თავსართი ჰორიზონტალური გადანაკეცებით, რომლის თავზეც მოთავსებულია ჯვარი, ხოლო მის მკლავებზე ყურძნის მტევნები პირია. ჯვრის ერთ მხარეს გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით, ხოლო მეორე მხარეს წმინდანი ჯვრით ხელში. დაბალი ფიგურული რელიეფის ბრტყელი ზედაპირი დაშტრიხულია რიგმული, დიაგონალური თანაბრად დაშორებული ხაზებით: აქ არ გადმოიცემა ფიგურის ცალკეული ფორმები, არც მხრები, არც კიდურები. სახის ნაკვეთი პირობითად არის გრაფიკულად გადმოცემული. პირველი შეხედვით ყურადღებას იპყრობს ძალზე მარტივ ფორმებში, განზოგადოებულად გადმოცემული ჩვილები ღმრთისმშობლის და წმინდანის გამოსახულებები. მარიამის ფიგურა ძალზე განიერია, სილუეტი მხრებთან მომრგვალებულია და ბოლომდე სწორად ჩადის, ხელები სხეულის ერთიანი ფორმიდან არ გამოიყოფა, მოჩანს მხოლოდ კაბიდან გამოყოფილი ხელის მტევნები, რომლებითაც დედადგოთისა ჩვილს გულზე იხუტებს.

ბზის რელიეფის ოსტატი არ გასცდენია ფიგურის სიბრტყობრივ-გრაფიკული ხერხებით გადმოცემას, ფიგურის მოხაზულობა და მისი ფორმები უადრესად გამარტივებულია, აქ საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი ფორმის პლასტიკურობაზე.

სათხის ფიგურული რელიეფი პლასტიკურობის გადაწყვეტის მხრივ ჩამორჩება XI საუკუნის წამყვან ძეგლებს, უფრო მეტიც, რელიეფური სკულპტურის ზოგიერთ უფრო ადრინდელი ხანის ნაწარმოებებსაც (ოშკის ტაძრის სკულპტურა), რადგან ეს პერიოდი, X-XI საუკუნეები, ქართული პლასტიკის აღმავლობის მწვერვალს წარმოადგენს, მაგრამ ბზის რელიეფის მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ XI საუკუნეშიც იქმნება ისეთი არქიტექტურული რელიეფებიც, რომლებიც პლასტიკის თვალსაზრისით ბევრად ჩამოუვარდება სათხის სკულპტურულ კომპოზიციას. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ამგვარ ფაქტებს აქვს ადგილი ქართული რელიეფის ისტორიაში.

შედარებისთვის შეგნერდებით ფასადური სკულპტურის ზოგიერთ ნიმუშზე ღმრთისმშობლის გამოსახულებით. აი მაგ., ჯავახეთის მეზობლად, სამცხეში მდებარე ვალეს ეკლესიის (X ს. II ნახევრი) ღმრთისმშობლის ფიგურა გამოსახულია აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე. მარიამი როგორც ჩანს, ფეხზე მდგომარე მოელი სიმაღლით იყო წარმოდგენილი (ახლა გამოსახულების ქვედა ნაწილი მომტვრულია); მარცხენა ხელში მას ყრმა უჭირავს ცენტრალური გამოსახულება ფლანკირებულია გაბრიელის და ქრისტორი ქალის ფიგურებით.

ვალეს სკულპტურულ დეკორში თვალს გვხვდება განსხვავებული ხასიათის რელიეფების შეთავსება, რაც საეთოდ ძიების ხანისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. აღმოსავლეთი ფასადის დასახელებული კომპოზიცია რელიეფების იმ ჯგუფს ექვთვნის, სადაც პლასტიკურობის გრძნობა ნაკლებადაა გამოვლენილი.

ვალეს რელიეფი სათხისგან განსხვავებით დაბალია, ოდნავ სცდება რელიეფის ფონს. მიუხედავად ამისა, რელიეფში მოდელირების ნიშნები შეიმჩნევა,

12 Р. Шмерлинг, Архитектурные памятники района древних селений Адзики и Бза, „მაცნე“, 2, 1969, გვ. 105-130, გვ. 15-17.

რადგან ზედაპირი არ არის სრულიად ბრტყელი – მარიამის მხარი ამონმერ-წერილი წება, შემდეგ იგი მკლავთან ჩაღრმავებულია, და იდაფვთან ისევ ამონბურცება. ასევეა მოდელირებული ანგელოზის ფრთები. ფორმები ერთმანეთში რბილად გადაედინება. სახეზე ლოკები რბილადაა ამოზნექილი, მათზე გამოიყოფა ნუშის ფორმის დიდი თვალები, თხელი ცხვირი და ტუხები. ამგვარადვე არის დამუშავებული ქალისა და ანგელოზის სახეები, მაგრამ რელიეფში მინიჭებული ფორმები გარკვეულ ადგილებში სრულიად ბრტყელ ზედაპირში გადადის.

მთლიანობაში სათხის რელიეფში განვითარებული პლასტიკურობის მიუხედავად, ისევე, როგორც ვალეში, X საუკუნის სწორხაზოვანი ნახაზის მხატვრული მიღომების გამოძახილი შეინიშნება – საზოგადოდ ხომ XI საუკუნის რელიეფში როგორც კონტური, ისე შინაგანი ნახატი უფრო რთული, დიფერენცირებული და პლასტიკურია.

გალეს განხილულ რელიეფთან შედარებით მეტი პლასტიკურობით გამოირჩევა ზეგანის¹³ (ანუ ზაქის) ეკლესიის სამხერეთი შესასვლელის არქიტრავზე გამოსახული რელიეფი, რომელიც X საუკუნეს ეკუთვნის. მასზე გამოსახულია ოდიგიტრიის ტიპის მჯდომარე ღმრთისმშობელი ყრმითურთ. რელიეფის კომპოზიციაში ჩართულია ქარისხის, ანგელოზისა და უცნობი მამაკაცის ფიგურები.

რელიეფი საკმაოდ მაღალია, განსხვავებით ვალეს დმრთისმშობლის კომპოზიციისგან. ფიგურები ფონიდან მყაფიოდ გამოიყოფიან, ხაზგასმულია მათი მოცულობითობა, შეიმჩნევა გარკვეული მოცულობების ერთმანეთზე დაშრევა, რის მეშვეობითაც იქმნება სიღრმის შთაბეჭდილება.

ზეგანის გამოსახულებასთან შედარებით სათხის რელიეფის შემსრულებელი ოსტატი განსხაუთრებით ამახვილებს ყურადღებას მთლიანი კომპოზიციის დეკორატიულობაზე, რაშიც გარკვეულად იჩენს თავს XI საუკუნის სკულპტურისთვის დამახასიათებელი ტენდენცია. სკულპტურული გამოსახულების ძიებასთან ერთად, მოქანდაკები ყურადღებას ამახვილებდნენ რელიეფის დეკორატიულ გადაწყვეტაზე. სათხის რელიეფი პლასტიკის თვალსაზრისით არ ჩამოუვარდება ზეგანის რელიეფს; ისინი ორივე მოცულობითი ფორმებით არის გადმოცემული.

დეკორატიულობის ამოცანა გარკვეულად იდგა ბენისის¹⁴ რელიეფის ოსტატის წინაშე (XII.) სადაც წარმოდგენილია ოდიგიტრიის ტიპის მჯდომარე ღმრთისმშობელი ყრმითურთ, რომელსაც ქტიტორი ეკლესიას უძღვნის. მთლიანად კოპოზიცია გაწონასწორებულია. ცენტრში გამოსახულ ორ ტაძარს აქეთიქიდან ღმრთისმშობლის და ქტიტორის ფიგურები აწონასწორებენ.

რელიეფის სიმაღლე დაბალია. მის ზედაპირზე გამოსახული წვრილი, დაკლაკნილი ხაზები თითქმის მუდმივ ტრიალში და მოძრაობაშია. ეს გარკვეულ დეკორატიულობასა და პლასტიკურობას ანიჭებს რელიეფს. აქ თავს იჩენს ფიგურათა ექსპრესიულობის ქართული სკულპტურის განვითარების წინა ეტაპითვის დამახასიათებელი ხაზგასმაც, რაც გამოიხატა ქტიტორის უტრირებული, გადიდებული ხელებით, რომლებითაც მას ეკლესის მოდელი უჭირავს.

13 Е. Такаишвили, МАК, XII, М., 1909, გვ. 64-68.

14 ო. დგალი, ხოფელ ბენისის წ. გიორგის ეკლესია. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1986, 4, გვ. 119-135.

ამრიგად, ბენისის და სათხის რელიეფებში გარკვეულად გვაქვს რელიეფზე დეკორატიულობის ამოცანა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, XI საუკუნის ფასადური სკულპტურის განვითარების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია.

აღნიშნული ამოცანა ამ თრ რელიეფში განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. სათხის კომპოზიციის დეკორატიულობას პირველ რიგში განსაზღვრავს მისი მოჩარჩოება, ფართო ორნამენტული ზოლი, აგრეთვე ვაზის მოტივის ხაზგასმული დეკორატიული გადაწყვეტა.

მაგალითოსთვის შეიძლება მოვიყვანოთ იშხნის ახლად აღმოჩენილი რელიეფის (ტიმპანი), რომელიც XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. სავარაუდოდ, ტიმპანი კომპლექსის მთავარ კარიბჭეში ყოფილიყო წარმოდგენილი, (თუმცა ვიდრე კარიბჭის ნაშთები არ გამოჩნდება, რამე დასკვნის გამოტანა ძალზე ნაადრევია)¹⁵. ტიმპანის ქვის ზედაპირი სრულად არის დამუშავებული. გარშემო დატოვებულია ვიწრო ზოლი, დანარჩენი არე კი შემოსაზღრულია დამუშავებული კანტით, რომელიც ალაგ-ალაგ ან მარყუჟს აკეთებს, ან კომპოზიციის გასაფორმებელ იგივე ტიპის კანტებს ეწვნის. ცენტრში გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით, მარჯვნივ – ქმიტორი ხელში მოდელით. კომპოზიციის ფონზე, მარცხენა მხარეს წნული კანტებით მოსაზღრული ორი მედალიონია, რომლებშიც ლომი და კურდღელია გამოქანდაკებული. ღმრთისმშობელიც და ყრმაც მთელი ტანით არიან წარმოდგენილი, მაცხოვარი ღმრთისმშობელს კალთაში უზის, მარცხენა მხარეს. იქსო მარჯვენა ხელი დედის კისერზე აქვს შემოხვეული, მარჯვენაში კი გრაგნილი უჭირავს. ქმიტორი წვეროსანია, ხუჭუჭი და გაშლილი თმები აქვს. რელიეფის თავზე, თითქმის ცენტრში მაკურთხებელი მარჯვენაა¹⁶. იშხნის რელიეფში წინა პლანზე გამოდის ორნამენტული მოტივები, ფიგურათა ზედაპირი დეკორატიული ხასიათისაა. სწორედ ეს ნიშანთვისებებია დამახასიათებელი სათხის ღმრთისმშობლის რელიეფისთვისაც.

X-XI საუკუნეების მიჯნის მოწინავე ძეგლები როგორიცაა ოშკი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა, მკაფიოდაა გამოვლენილი სკულპტურის მიღწევები პლასტიკური გამომსახველობის და დეკორატიულობის ამოცანების გადაწყვეტაში. მათთან შედარებით სათხის რელიეფი ერთგვარი არქაულობით ხასიათდება, მასში ნაკლებად მჟღავნდება ფიგურის პლასტიკურობა, ნახატი ნაკლებად გამოირჩევა დიფერენცირებულობით და ელასტიკურობით. პროპორციულობის ისეთი დარღვევა ფიგურებს შორის, როგორც სათხეშია (კერძოდ, ყრმის ფიგურის უტრირებულად გადიდება) ისევ და ისევ არქაულობაზე მეტყველებს.

არქაული ნიშნები არ წარმოადგენს კერძო შემთხვევას, არამედ დამახასიათებელია ჯავახეთის სხვა ძეგლებისთვისაც. ამის მკაფიო მაგალითია X საუკუნის ბურნაშეთის, ხოსპიოს, ბავრას, კუმურდოს ფიგურული რელიეფები, სადაც შენარჩუნებულია სიბრტყობრიობა, ფიგურათა პროპორციული აგება დარღვეულია, ხოლო მათი მოძრაობა ხისტი.

XI საუკუნის დასაწყისის ზედა თმოგვის ეკლესიის სამხრეთი ტიმპანის

¹⁵ პ. კუდავა, გ. საითოძე, ახლად აღმოჩენილი საქტიტორო რელიეფი იშხნიდან, საქართველოს სიმველენი, 18, 2015, გვ. 192-193.

¹⁶ იქვე, გვ. 185-186.

რელიეფიც არქაული ნიშნებით ხასიათდება. ტიმპანი ნახევარწრიულად, შემდგრადებული წნული სარტყელითაა შემოსაზღული, რომელსაც საკმაოდ ფართო მრავალფეროვანი მოტივით გამდიდრებული ჩუქურთმა მიუკვება. კოპოზიციის შუა ნაწილში ჯვარზე ჯვარცმული ქრისტეა წარმოდგენილი, მის მარცნივ უზარმაზრი ფრინველია, მტრედის მსგავსი და ასევე ორი ვარდული, ქრისტეს მარჯვნივ წარწერა, ჯვარი და ფასკუნჯია.

ქრისტეს სხეული სქემატურია, მის ხელებს გამოსახავს ორი რელიეფური მარტივი ხაზი, რომელიც ჯვრის მკლავებს სწორხაზოვნად მიუკვება და ბოლოვდება გაშლილი გაშეშებული ხელის თითებით. ტანი, ფეხის კიდურები ჩამოსწორებულია. ფრინველთა სილუეტიც საკმაოდ განზოგადებულია.

სათხის რელიეფი თმოგვის რელიეფთან შედარებით ბევრად უფრო პალსტიკურია. XI საუკუნის ეს რელიეფი მკაფიო მაგალითია თუ, როგორ თანაარსებობდა ორი განსხვავებული მხატვრული მიღღომა. თუმცა მათი ორნამენტული დეკორის სიმდიდრე XI საუკუნის დეკორატიულ ტენდენციებზე მეტყველებს.

სათხის რელიეფის და X საუკუნის ზემოთ მოყვანილ ნაწარმოებების შედარებისას ნათლად ჩანს, რომ XI საუკუნის ეს ძეგლი მოცულობითი ფორმების გადმოცემით ბევრად უსწრებს მათ. ჯავახეთის სკულპტურაშიც აღინიშნება გარკვეული განვითარება იმავე მიმართულებით, რომელსაც ზოგადად X-XI საუკუნეების ქართული სკულპტურის უვოლდუცია გვიჩვენებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ჯავახეთის რელიეფს ეტაპური მნიშვნელობის ძეგლებთან შედარებით ერთგვარი არქაულობა ახასიათებს.

თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოს სხვა რეგიონებშიც X-XI საუკუნეებშიც იქმნება ისეთი რელიეფები, რომლებიც არქაულობით ხასიათდება. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ქართული სკულპტურის განვითარების გზაზე ამ პერიოდშიც კი, როდესაც ქართულმა პლასტიკამ თავის აღმავლობის მწვერვალს მიაღწია, ძირითად უვოლდუციის განმსაზღვრელ მიმართულებასთან ერთად არსებობს სხვა მიმართულებებიც, რომლებშიაც გრძელდება წინაპლასტიკური ეტაპისათვის დამახასიათებელი რელიეფის სიბრტყობრივ-პირობითი გადაწყვეტა. ამგვარი მიღღომა ძირითადად ვლინდება ე. წ. „ხალხური“ ოსტატების შემოქმედებაში (ამის მკაფიო მაგალითია ბზის რელიეფი).

სათხის რელიეფზე არქაულობასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი ნიშნებით იგი XI საუკუნეს უკავშირდება. თავისი მდიდრული ორნამენტული მოკაზმულობით (დეკორატიულად გადაწყვეტილი ვაზის მოტივი, ფიგურული რელიეფის ფართო ორნამენტული ზოლებით მოჩარჩოება), რაც კომპოზიციას ანიჭებს დეკორატიულობას, რელიეფი ასახავს XI საუკუნის, ამ აქტიური და შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე ეპოქის სკულპტურაში გამოვლენილ ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას.

სათხის რელიეფის შესწავლა აფართოებს წარმოდგენას XI საუკუნის არქიტექტურულ სკულპტურაზე, მისი პლასტიკურ-დეკორატიული ტენდენციების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

Tinatin Khoshtaria

11th c. Satkhe Relief from Javakheti

South entrance architrave of the old church (19th c. Armenian church is built to it) of the village Satkhe (Javakheti, southern Georgia, Ninotsminda municipality) bears a stone carved half-figure image of the Virgin and the Child, flanked by the “Trees of Life” and set in ornamental framing (300 x 130 cm.). In terms of its iconography, this is the Virgin Hodegetria type, rather the so called Egyptian-Syrian subtype with relatively grown-up (not baby) Child.

Compared with the 10th c. reliefs Satkhe Virgin shows certain plastic differentiation, characteristic of the 11th c. Georgian sculpture; the same epoch is evidenced by the increased decorativeness, revealed in the treatment of the plants (they, certainly, have symbolic meaning as well) and of the frame. At the same time, traits of the expressive deformation (increased figure of the Child), certain flatness differs it not only from the “progressive” works of the first quarter of the 11th c., but also from some 10th c. reliefs (e.g., reliefs of Oshki and of the so called “Bagrati Cathedral” in Kutaisi) – thus, certain archaising character is discernible here, specific of not only this image, but of the 10th-11th cc. samples from Javakheti in general.



სურ. 1. სათხის რელიეფი, ღმრთისმშობელი ყრმით, სამხრეთი შესასვლელი, XI ს.



სურ. 2. სათხის რელიეფი, ღმრთისმშობელი ყრმით, სამხრეთი შესასვლელი, XI ს.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ვნების ციკლი იკვის წმ. გიორგის ეპლესის მოხატულობაში და მისი საღვთისმეტყველო კონტექსტი

იკვის წმ. გიორგის ეპლესია შიდა ქართლში, თემმის ხეობის სიღრმეში მდებარეობს. მომცრო ზომის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა უჩვეულოდ მაღალი გუმბათითა და ზეაზიდული პროპორციებით შორიდანვე იპყრობს მნახველის უურადდებას¹ (სურ. I). იკვის მოხატულობაში, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით, ორი ქრონოლოგიური ფენა განირჩევა: ტაძრის ძირითადი ნაწილი – გუმბათი, საცურთხეველი და ცენტრალურ სივრცეში წარმოდგენილი სცენები, XII საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული; „დღე განკითხვის“ გამოსახულება კი, მოგვიანებით, XIII საუკუნეში დაუხატავთ.²

იკვის გუმბათის იკონოგრაფიული პროგრამა ქართული კედლის მხატვრობისთვისაც უჩვეულოა; უზვეულო აქ, გუმბათის სივრცეში წარმოდგენილი საღვთო სცენათა სიმრავლეა. მოხატულობა ორ რეგისტრს ითვლის. სფეროში ძლიერ დაზიანებული მაცხოვრის „ამაღლება“ წარმოდგენილი – სარკმლებს შორის „ამაღლების“ სცენისთვის დამახასიათებლად, ღვთისმშობლისა და მოციქულთა ფიგურებია განაწილებული. გუმბათის ყელის ქვედა მოხაკვეთზე კი, შემდეგი სცენები ჩნდება: აღმოსავლეთ კედელზე „ვერისცვალება“, რომელსაც საათის ისრის მიმართულებით „ჯვარცმა“, „დატირება“ და „გარდამოხსნა“ მიუვება (ნახ. I).³ ამ მხრივ, იკვის გუმბათი უნიკალურადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რაციდა ჩვენ ჩვენივე შუა საუკუნეების ხელოვნებაში სულ რამდენიმე

1 იკვის ხუროთმოძღვრებისთვის იხ: P. O. Шмерлинг, Купольный храм в Икви. Ars Georgica, 7A, თბ., 1971, გვ. 163-191.

2 იკვის მოხატულობაში ორ ფენას განასხვავებენ თ. ვირსალაძე, ე. პრივალოვა, ნ. ალადაშვილი. თუმც, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ მკლავის მოხატულობა საქმაოდ არაპომებენ ურია. ქვედა რეგისტრი (იერუსალემად შესვლის კომპოზიცია და სამოთხის ხატება) მხატვრული დონით სხვაობს მოხატულობის ზედა რეგისტრებისაგან. ნ. ალადაშვილი ამ მოხაკვეთს სტილისტურად თამარის ეპოქის მოხატულობასთან აკავშირებს და მისი შესრულების თარიღად XII-XIII საუკუნეებით მიჯნას ასახელებს. ამ დროით განსაზღვრავს ამ მოხატულობას ე. პრივალოვაც. ნიშანდობლივია, რომ მოხატულობის ზედა რეგისტრები ამ მოხატულობისთვის დამახასიათებელ პლასტიკურობასა და მონუმენტურობასაა მოკლებული და უფრო დაწვრილმანებულ, მოუხეშავ ნახატს წარმოგვიდგენს. სრულებით განსხვავებულია გუმბათქვემა თაღის შემცულობაც („ზიარებისა“ და „ცის წაგრაგვის“ სცენა). აქ არსებულ ცენათა განშრევებას მომავალი კვლევა გვიჩვენებს. ქვემოთ განიხილება ის მთლიანობა, რაც მხატვრობის გასრულების შერე ჩამოყალიბდა.

3 „დატირება“ ძლიერად დაზიანებული, შესაძლებელია აქ „საფლავად დადებაც“ გვეგულისხმა, თუმც ხშირად „დატირების“ სცენა „საფლავად დადების“ კომპოზიციასაც ითაგხებს. ამ სცენათა იკონოგრაფიისთვის იხ: E. Сименова, Страстной цикл росписей Спасо-Преображенского собора Мирожского Монастыря в Пскове. Иконография и Содержание. M., 2011. ბიბლიოგრაფიისთვის იხ: შენიშვნა 17. აქ წარმოდგენილი სქემები დ. რაზმაძეს ექვთგნის, რისთვისაც მას დიდ მაღლობას გუხდი.

ნიმუშის დასახელება შეგვიძლია, სადაც გუმბათის სივრცეში „ამაღლების“ „გედრების“ გარდა სხვა საღვთო სცენები იყოს წარმოდგენილი.⁴ ასეთი იკონოგრაფიულად დატვირთული გუმბათური პროგრამა, არც ბიზანტიური ხელოვნებისთვისაა დამახასითებელი.

ამგვარი არჩევანი მხოლოდ იკვის გუმბათის მაღალი პროპორციებით როდი შეიძლება აიხსნას.⁵ 6. ალადაშვილი ამ გადაწყვეტას ბიზანტიური „კლასიკური“ ძეგლების მოხატულობის გავლენას უკავშირებს და გუმბათის ძირში – ტრომპებში ასახული საღვთო სცენათა გამოძახილად მიიჩნევს (მაგ., დაფნი, ნეა მონი).⁶ ეს კავშირი, მართლაც შესაძლებელია, მხოლოდ იკვის შემთხვევაში, კურადღებას ამ დეკორატიული სისტემისთვის მაინც არატრადიციული სცენათა არჩევანი იპყრობს. თუ ბიზანტიურ ტაძრებში ათორმეტი დღესასწაულის საკვანძო ეპიზოდები ჩნდება, იკვის მომხატველი „ფერისცვალებასთან“ ერთად, „ჯვარცმასთან“ დაკავშირებული სამი ეპიზოდის გამოსახვით, ფაქტობრივად, ვნების დასრულებულ ციკლს წარმოგვიდგენს.⁷

სახვით ხელოვნებაში მაცხოვრის ვნების სცენათა გაშლას უკვე ხატმებრძოლების ეპოქის შემდგომ შეიძლება გავადევნოთ თვალი.⁸ თუმცა, გამორჩეულ აქტუალობას ის, როგორც ცნობილია, მაინც XII საუკუნის დასაწყისის ხელოვნებაში იძენს,⁹ რაც სამეცნიერო ლიტერატურაში, უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიაში მიმდინარე ქრისტოლოგიურ კამათსა და მასთან დაკავშირებულ მაცხოვრის ევქარისტიული მსხვერპლის საკითხს უკავშირდება.¹⁰ ამ მოვლენათა

4 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ: T. Вирсаладзе, Грузинские купольные схемы зрелого средневековья, Избранные труды, Тб., 2007. ამ შერივ, გასახელებელია კორნცის ეკლესიის მოხატულობა, სადაც „ჯვრის ამაღლების“ სცენათან ერთად ძველი აღთქმის კომპოზიციებიც ჩნდება. იხ: N. Thiery, Apropos de L'Eglise de Kiranc'. Rapport Preliminaires. Bedi Kartlisa, Vol. XLI, Paris, 1983.

6. ტიერის დაკავირვებით, კირანცში რვა ან ცხრა ძველი აღთქმის ეპიზოდია ასახული, გვ. 4. იკვის გუმბათის შემცულობის შეისწერებულობას ისიც ზრდის, რომ ჩვენამდე შემორჩენილი XII საუკუნის გუმბათური მოხატულობათა ნიმუშები ძალიან მწირია.

5 XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის უჩვეულოდ მაღალი გუმბათი იკვის მომხატველის, მართლაც, სცენათა თავისუფლად განთავსების საშუალებას აძლევდა. მითუმეტებს, რომ სარქმლები გუმბათის ზედა ზონაშია გაჭრილი, რის გამოც ქვედა მონაკვეთზე ერთიანი ყრუცილინდრული კედლის საკმაოდ დიდი მონაკვეთი რჩებოდა (იხ: თ. ვირსალაძის დღიურები).

6. ალადაშვილი, იკვის წმ. გიორგის ფერწერული დეკორის პროგრამა და სისტემა, არქივი, გვ. 5.

7 „ჯვარცმის“ შემდგომი ეპიზოდების ერთად წარმოდგენა უკვე წმ. გრიგოლ ნაზიანელის პომილიების ამსახველ ხელორწერში გვხვდება (IX საუკუნე). მოუმეტეურ მხატვრობაში კი ის XI საუკუნიდან იყიდებს ფეხს და გამორჩეულად პოპულარული ხდება XII საუკუნის ხელოვნებაში. საქართველოშიც ის ამ დროიდან გვხვდება, როგორც ხატწერაში, ისე კედლის მხატვრობაში. ნიშანდობლივია, რომ ნეა მონის მოხატულობაში „ჯვარცმა“ და „გარდამოხსნა“ სწორედ გუმბათის ძირშია წარმოდგენილი, რასაც დუღა მოურიკი უზვეულოდ მიიჩნევს და ნარტექსის სივრცეში გაშლილი გნების პროგრამასთან კავშირით განმარტავს. იხ: D. Mouriki, The Mosaics of Nea Moni on Chios. Athens, 1985, გვ. 30.

8 G. Schiller, Iconography of Christian Art, New York, 1972, Volume 2; H. Maguire, Sorrow in middle Byzantine Art, DOP, 31, 1977, p.161-162.

9 Е. Сименова, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

10 J. Meyendorff, Christ in Eastern Christian Thought, St.Vladimir's Seminary Press, 1975, გვ. 193-208. G. Babic, Les discussion Christologiques et decor des Eglises Byzantines au XII siecle, Fruhmittelalterliche Studien, 2, 1968; E. Gerstel, Beholding the Sacred Mysteries, Programs of the Byzantine Sanctuary, Washington, 1998; 6.

ეპიცენტრად კონსტანტინოპოლიში მოწვეული 1156-1167 წლების კრებაა დასახ-
ელებული.

ბუნებრივია, ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებაც თავისებურად ეხმი-
ანება ბიზანტიაში მიმდინარე საღვთისმეტყველო პოლემიკას. აქაც, ბიზანტი-
ური ძეგლების დარად, ძლიერდება ლიტურგიკული ოქმისადმი ინტერესი (მაგ.,
საკურთხევლის მოხატულობათა თავისებურებანი), ჩნდება „წმინდა დოგმატუ-
რი“ ხასიათის გამოსახულებანი... მაგრამ ამასთან ერთად, ქართულ შუა საუკუ-
ნეების ხელოვნებაში აშკარად კიდევ ერთი „მაგისტრალური ხაზი“ იკვეთება.
ჩვენ მეზობელი სომხეთის მონფიზიტური სწავლების აქტუალობას ვგულისხ-
მობთ.

კავკასიის ერთ-ერთი უძველესი და ავტორიტეტული ეკლესიის იდეოლოგი-
ური არჩევანი უკვე VI საუკუნიდანვე იკვეთება¹¹. ამიერიდან სომხეთის ეკლესია,
ქალკედონური ეკლესიისპერ შემობრუნების ეპიზოდური შემთხვევების მიუხედა-
ვად, თანამდებობის მონფიზიტური სწავლების წიადა.¹²

ამ მხრივ, საქართველოში განსაკუთრებული ვითარებაა. კავკასიაში ქრის-
ტიანობის შემოსვლისთანავე დაიწყო და საუკუნეების მანძილზე აღარც განელე-
ბულა ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის. მეზობელი
სომხეთის მრწამსი საქართველოსთვის, ფაქტობრივად, პოლიტიკურ - სახელმ-
წიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია. XII – XIII საუკუნეებში კი, როდესაც
ჩვენი ქვეყნის ფარგლებში სომხეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი შემოდის,
დაპირისპირება კიდევ უფრო მწვადება. თუ ბიზანტიისთვის მონფიზიტობა,
ერთ-ერთ, თუნდაც, მნიშვნელოვან მწვალებლობად ჩნდება, საქართველოსთვის
ის უმთავრესს საფიქრალს წარმოადგენს; მასთან ბრძოლა ეროვნულ მნიშვნ-
ელობას იძენს. აქ, ალბათ, ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი, კარგადაა, ცნო-
ბილი, რომ საუკუნეთა მანძილზე რელიგიური მაძიებლობა საქართველოს ეკლე-
სიისათვის ნაკლებადაა დამახასითებელი.¹³ თამამად ისიც კი შეიძლება ითქვას,
რომ საქართველოს ეკლესია ბიზანტიის იმპერიაში გაჩადებული მწვალებლო-
ბებისადმი ინტერესს საყოველთაო მართლმადიდებლური ეკლესიისადმი კუთ-
ვნილების კონტექსტში იჩენს. მისთვის საუკუნეთა მანძილზე მთავარ საფრთხეს
მონფიზიტური სწავლება წარმოადგენს, რაც ყველაზე მკაფიოდ მაინც, ქარ-
თულ სასულიერო, მეტადრე კი პოლემიკურ ლიტერატურაში ისახება. კარგადაა

სიმონიშვილი, ქინცვისის ღმრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა, ხელოვნების ისტორიის
კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 1994.

11 ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატის „განყოფისათვის ქართლისა
და სომხითისა“ დათარიღებისათვის. ქრისტიანული კავკასია, თბ., 2010, გვ. 176.

12 იქვე: გვ. 148. 630 წლიდან კიდრე VIII საუკუნის დასაწყისამდე სომხეთის ეკლესიის ოციციალური
კურსი ძირითადად ქალკედონიტურია, ამ საკითხთან დაკავშირებით იხ: ზ. ალექსიძე, არსენ
საფარელის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატის..., გვ. 176.

13 ჩვენში ვერც არიანული სწავლებისა, თუ პავლიკიანობის, ან თუნდაც, ბიზანტიურ იმპერიაში
ესოდებ მასშტაბური ხატტიბრძოლების ერების გავლენას ვხედავთ. იხ: დ. თუმანიშვილი,
პასუხისათვის კითხვისა: „რანი ვიყავით“. წერილები, ნარკვევები, თბ., 2001, გვ. 299. ამ
საკითხთან დაკავშირებით იხ: ასევე: გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, გიორგი მცირე,
ქართული მწერლობა, 2, თბ., 1987, გვ. 104-105.

ცნობილი, რომ ძველ ქართულ პოლემიკურ ლიტერატურაში სწორედ სომხური იოანეს
მონოღიზიტობის წინააღმდეგ მიმართული თხზულებები ჭარბობს.¹⁴

XI – XII საუკუნეები მონოფიზიტობის ისტორიაში ერთგვარი გარდატეხის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. ამ დროიდან იკვეთება ორი უმთავრესი მონოფიზიტური ეკლესიას - სომხურისა და სირიულ-იაკობიტურის თანხმობა დოგმატურ საკითხებში.¹⁵ მოგვიანებით კი თანამშრომლობა ამ ორ ეკლესიას შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება.¹⁶ ამდენად, ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში ეს ორი ძლიერი მონოფიზიტური ეკლესია მძლავრ ანტიმართლ-მადიდებლურ ბანაკს წარმოქმნის.¹⁷ XI საუკუნეში მართლმადიდებელ სამყაროს მონოფიზიტთა წინააღმდეგ გააქტიურებას, როგორც ჩანს, ისიც უწყობს ხელს, რომ სწორედ ამ დროიდან მონოფიზიტური ზიარების საწესო პრაქტიკას – უფარი პურით (ბალარჯით) ზიარებას, ოფიციალურად უპავ კათოლიკური სა-მყაროც აწესებს.¹⁸ და ამიერიდან სომხები დოგმატურ საკითხებში არსებული სხვაობის მიუხედავად, თავიანთ მოკავშირედ რომის ეკლესიასაც მოიხმობენ. ¹⁹

14 პ. რაფავა, სომხური მონიციზიტობის წინაძლდებ პოლემიკა ქველ ქართულ მწერლობაში, კრებულში კავკასია, აღმოსავალეთსა და დასავლეთს შორის, თბ., 2012, გვ. 366. ამ თვალსაზრისით, განსაზუროებით ნიშნებულია ალბათ, წმ. ევფორიე მთაწმიდელის „მცირე რჯულისკანონი“ თუ მისიგ „წინამძღვარი“. ეს უკანასკნელი სწორედ ქართველი ერის დოგმატურ განათლებს ეძღვნება და წმ. მამის მიერ „მართლი სარწმუნოების“ სახელმძღვანელოდ იყო ჩატიქრებული. ნიშნებულია, რომ ამ თხზულებაში უმთავრესი მახვილი სწორედ მონიციზიტობაზეა, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ „წინამძღვარი“ ძირითადდ, სწორედ მონოფიზიტური მრწამსის კრიტიკას ისახვს მიზნად. ეს აქტუალობა ჩნდება მცირე „რჯულისკანონშიც“ და ასეთივე ძალით იკვეთება გელათური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებლის – არსენ იყალთოველის „დოგმატიკონშიც“, როგორც მის შინაარსობრივ, ისე კომპაზიციურ შემადგენლობაში – „დოგმატიკონის“ პირველ წიგნად არსენ იყალთოველს, ხომ წმ.ანასტასი სინელის ანტიმონოფიზიტური თხზულება, „წინამძღვარი“ აქს დართული. განსაზურებით აქტუალური ეს დაპირისპირება წმ. დავით აღმაშენებლის კაოქაში ხედება (ანისის 1123 წლის კრება, თუ რუს-ურბნისის საკლესით კრება). ის არც თამარის კპოქაში განვითარებულია. ამ საკითხთან დაკავშირებით ის: მ.დიდებულიძე, ყინველისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ფერწერული ანსამბლის მხატვრული სახე (ხელოვნებათმცოდნეობის დოკტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოჩნდილი დისტანცია) თბ., 2006, გვ. 30-32.

16 ბ. ალექსიძე, არსენ საფარელი, გვ. 178.

17 ədʒə, əzə, 179.

18 უცომო პური მხელოდ XI საუკუნეში ვრცელდება დასავლეთი ევროპაში, ამ საქითხთან დაგავშირებით ის: ზ. ალექსიძე, არსენ ვაჩენიძეს „დოგმატიკონში“ შესული ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი და მისი გამოძახილი ძველ სომხურ მწერლობაში, ქრისტიანული აკადემია, გვ. 82.

19 ამ პრაქტიკის წინააღმდეგ არაერთი XI საუკუნის პოლეგმიკური თხზულება იღაშექრებს. როგორც წახა, ამ თხზულებებში, სომხებთან ერთად უკავ ლათინებიც იხსენიან (მაგ., ნიკორა

ამ კოალიციას ბიზანტიური სამყარო აქტიურად ეპასუხება. ამ ეპოქაში მომავალი საკუთრივი სამყარო არის „ერთბუნებიანთა“ სწავლების წინაღმდეგ კვლავ ისეთი შემაჯამებელი ნაშრომი ჩნდება, როგორიცაა სვიმეონ ახალი დვოთისმეტყველის მოწაფის – ნიკიტა სტითატის ანტიმონიფიზიტური სიტყვა (XI საუკუნე), პოლემიკური თხზულება, რომელიც დაწვრილებით იხილავს მონოფიზიტური სარწმუნოების დოგმატურ საკითხებსა თუ მის საწესო-ლიტურგიკულ პრაქტიკას.²⁰ კარგადაა ცნობილი, რომ XI-XII საუკუნეები ბიზანტიაში საღვთისმეტყველო პაექტობის ინტენსივობითაა გამორჩეული. ამ მხრივ, ალექსი და მანუელ კომნენოსთა ეპოქა ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ ხანად შეიძლება დასახელდეს.²¹ ნიშანდობლივია, რომ სინოდიკონი მრავალ ანათემათა გვერდით, პირველ რიგში, მაცხოვრის განკაცების დოგმატთან დაკავშირებული „კაცობრივი ბუნების დვთაებრივთან შეერთების“ სწავლებას ასახელებს.²² ამდენად, მონოფიზიტებთან პაექტობა ამ ეპოქაშიც საკმაოდ აქტუალურია. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერთა მიერ მონოფიზიტობის როლი ამ დროის საღვთისმეტყველო კამათში, რამდენადმე დამცრობილია. საინტერესოდ ჩნდება ამ მხრივ, მანუელ კომნენოსის დროს სომეხთა კათალიკოსი ნერსეს მიერ დაწერილი დოგმატური შრომა, რომელიც საგანგებოდ ამ დაძაბულობის განმუხტვის მიზნით იწერება და მართლმადიდებლობისა და სომხეთის მრწამსის შერიგებას ცდილობს.²³

ამდენად, საქართველოსთვის გამორჩეულად აქტუალური მონოფიზიტობა მხოლოდ „ადგილობრივ“ ინტერესთა დაცვას როდი გულისხმობს. ამ ერების „საყოველთაო“ მასშტაბები თავისებურად ქართულ ენაზე არსებულ პოლემიკურ ლიტერატურაშიც ვლინდება, სადაც მონოფიზიტური სწავლება ეკლესიის ისტორიაში წარმართველი ერეტიკული სწავლებათა ფონზე იშლება და ერთ-ერთ უმთავრეს მწვალებლობადაც ჩნდება.

ბუნებრივია, რომ ეს ისტორიული რეალობა შეა საუკუნეების სახვით ხე-

-
- სტითატი, ნიკოლოზ მეფონის ეპისკოპოსი და სხვა). იხ: И.Троицкий, Изложения, გვ. 179-181. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მოგვიანებით, XIII საუკუნეში დაწერილი მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთავთას“, სადაც სომეხი პოლემისტი ზიარების საწესო პრაქტიკის აღწერისას რომაელთა ზიარების წესს ეხება და აღნიშნავს, რომ უსაფუარო პურით ზიარება რომაელებს წმ. პეტრემ, სომხებს კი გრიგოლ განმანათლებელმა უანდერძა. იხ. მხითარ გოში, ქართველთავთის, სომხურიდან თარგმნა და გამკვლევები დაურთო ნათია ჩანგლიძემ, თბ., 2012, გვ. 81.
- 20 ქ. რაფაელ, ნიკიტა სტითატის ანტიმონიფიზიტური სიტყვები, თბ., 2013. ამ შრომის უმთავრესი მიზანი, მონოფიზიტური სარწმუნოების სწავლების განქიქებაა. დვოთისმეტყველი ამ სწავლებას აქმდე არსებულ ერესთა მიმართებაში განიხილავს (გალენტინის, ნესტორის, პავლე სამოსატელის, არიოზის, აპოლინარის სწავლებანი და სხვ) და ამ კონტექსტში მონოფიზიტობის არსეს მრავალთავა ჰიდრას გიოგიერით განსაზღვრავს. თხზულენაში არაერთი დოგმატური ხასიათის წარმომქნის საწესო პრაქტიკა განხილული. საგანგებოდაა განხილული ზიარებისა და ხარების, შობისა და ნათლისღების დღესასწაულთა აღნიშვნის ტრადიცია. წარმომქნილია ამ საწესო პრაქტიკის მართლმადიდებლური დოგმატური განმარტება. ნიკიტა სტითატი გვერდს ვერც პეტრარქიის საკითხს უკლის – ქრისტეს სხეულის, როგორც ხუთი საყდრის მთლიანობის პრობლემას, რომელიც ბიზანტიას იუსტინიანე დიდის ეპოქიდან აწუხებს.

21 Ф.Успенский, Очерки по истории византийской образованности, Ст.Петербург, 1889, გვ. 200.

22 იქვე, გვ. 220

23 იხ: И.Троицкий, Изложения веры..., გვ. 201.

ლოვნებაზეც მოახდენდა გავლენას. ამ კავშირს პირველად თ. ვირსალაშვილი მიაქცია ყურადღება – გელათის მათავარ ტაძარში წარმოდგენილ მსოფლიო საეკლესიო კრებათა გამოსახულებას მეცნიერი სწორედ წმ. დავით ადმაშენებლის პერიოდში გამწვავებულ დიოციზიტ-მონოფიზიტთა კამათის კონტექსტში იხილავს. მას აქვთ, ქართული მონუმენტური მხატვრობის იკონოგრაფიული პროგრამის ამ კუთხით წარმოჩენა სულ უფრო ტრადიციული ხდება.²⁴

ვფიქრობთ, იკვის ეკლესიის გუმბათის მოხატულობაც, უპირველეს ყოვლისა, ამ კონტექსტს უნდა გულისხმობდეს. მითუმეტეს, რომ მის იკონოგრაფიულ პროგრამაში აშკარა მიზანდასახულობა იკვეთება – მხატვარი არა „გნების“ ნარატიულ სცენებს ირჩევს, არამედ მაცხოვრის მიცვალების, როგორც წმ. ეპიფანე კვიპრიელი იტყოდა, „მაცხოვრის ხორცის დაძინების“ კონპოზიციებს მიმართავს. ეს კონტექსტი „ჯვარცმაში“, ამ ეპოქისთვის დამახასითებლად, შესვენებული, თვალებდასუჭული მაცხოვარის გამოსახულებითაცაა ხაზგასმული. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ ვნებასთან ერთად სწორედ მაცხოვრის „ფერისცვალების“ კომპოზიციაცაა წარმოდგენილი. „ფერისცვალება“, როგორც ვნების წინასახე უკვე სახარების ტექსტშივე ჩხდება. (...და აპა ესერა ორნი კაცნი მის თანა თანაზრახვიდეს, რომელი იყნეს მოსე და ელია. რომელი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალემს..“ ლუკა 9, 30-31). ამ საზრისის გამო ის ზოგჯერ ვნების ციკლის შემადგენელ კომპოზიციადაცაა წარმოდგენილი (მაგ., წმ. გიორგის ეკლესია რასეში 1175, კურბინოვოს წმ. გიორგის მოხატულობა, მიროვის ფერისცვალების მხატვრობა და სხვა).²⁵ იკვის მოხატულობაში კი ეს კავშირი ფიზიკურადაცაა ხაზგასმული – „ჯვარცმის“ ანგელოზი მარჯვენა ხელით უშუალოდ „ფერისცვალებისკენ“ მიგვითოთებს (სქემა 1).

საკურთხევლის ასწერივ, აღმოსავლეთ კედელზე წარმოდგენილი და ამგვარად საგანგებოდ აქცენტირებული „ფერისცვალების“ სცენა, უწინარესად მაინც, მისი თეოფანიური შინაარსითაა მოხმობილი.²⁶ „ფერისცვალების“ დღესწაული, როგორც დგთის განცხადების საიდუმლო, იკვის მოხატულობაში მაცხოვრის მიცვალების სცენებთან ერთობით, ქრისტოლოგიური დოგმატის, დიოციზიტური სწავლების ერთგვარ მანიფესტად იქცევა: განკაცებული უფალი – სრული დმერთი და სრული კაცი. თეოფანიური კონტექსტის წამყვანი მნიშვნელობა აქ თავისებურად ქართული სახვითი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი წითელი - ცეცხლოვანი მანდორლის მეშვეობითაცაა ხაზგასმული.²⁷

24 Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма, Избранные труды, Тб., 2007; ამ კუთხით განხილული ქართული ძეგლები იხ: მ. დიდებულიძე, წმ. სილიბისეგროს გამოსახულება ყინვების წმ. ნიკოლოზის ტაძრის საკურთხევლის მოხატულობაში. ქართული ხელოვნების ნარკვევები, III, თბ., 2004; მ. ყენია, სიტყვისა და გამოსახულების მიმართების საკითხი ქართულ მოხატულობაში, საქართველოს სიმებელი, 4-5, 2003; კ. გელეგანიშვილი, კვლავ ერთი ადგილობრივი იკონოგრაფიული თემისათვის, საქართველოს სიმებელი, 6, 2004.

25 Е. Сименова, Страстной цикл росписей Спасо-Преображенского собора, გვ. 5.

26 G. Schiller, Iconography of Christian Art, New Yourk, 1971, Volum. I, გვ. 145-152.

27 „ფერისცვალების“ დღესასწაულში წარმოდგენილი ტრადიციული თეორისა, ოქროსფერისა თუ უფრო იშვიათად, ცისფერი მანდორლის ნაცვლად ცეცხლოვანი ფერის გამოყენება და დავთავებრივი ნათების მნიშვნელობასთან ერთად, ესქატოლოგიურ კონტექსტსაც უნდა გულისხმობდეს.

იკვის თანადროულ ბეთანიის მოხატულობაშიც ჯვარცმის შემდგომი ეპთზოდებული დები საგანგებოდაა გამოყოფილი. მხატვარი „გარდამოხსნასა“ და „დატირებას“ საკურთხევლის მიმდებარე კედელზე – ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთით განათავსებს და ამგვარად, ადგილმდებარეობით ამ სცენებს რამდენადმე გამოჰყოფს. თუმც, ამის მიუხედავად, აღნიშნული სცენები მრავალსიტყვა თხრობაში მაინც იკარგება და ვრცელი, ერთიანი ნარატიული თხრობის ნაწილად აღიქმება. სრულებით განსხვავებული შთაბეჭდილება გვაქვს იკვში - გუმბათის ყელში, საკრალურობით გამორჩეულ სივრცეში, განკერძოებით, თთქოსდა არქიტექტურულ „მოხარჩოებაში“, ლავგარდანშემოვლებულ სივრცეში მოქცეული, ვნების სცენები მთელი მოხატულობის გვირგვინად აღიქმება.

ეკლესიის მამათა სწავლებაში მაცხოვრის განკაცების უმთავრეს მოწმობად იმთავითვე ქრისტეს ჯვარცმა და ვნება ცხადდება.²⁸ ამდენად, ჯვარცმული მაცხოვრის გამოსახულება თავისი იკონოგრაფიული ვარიაციით ქრისტიანული საწმუნოების უმთავრეს პოლემიკურ საკითხებს აღძრავს და ასურათებს კიდევ. ნიშანდობლივია, რომ სინას მთის ხატზე ასახული ჯვარზე აღსრულებული, თვალებდახუჭული მაცხოვრის გამოსახულება ლიტერატურაში სწორედ წმ. ანასტასი სინელის ანტიმონფიზიტერი სწავლების ანარეკლადაა მიჩნეული.²⁹ „ტრიუმფალური“ ხასიათის ჯვარცმის (ცოცხალი-თვალებგახელილი მაცხოვარი) ნაცვლად ვნების იარადად წარმოჩენილი ჯვრის გამოსახულებაში, მონოფიზიტთა წინააღმდეგ უფლის ადამიანური ბუნების მოწმობად მოხმობილ ტან-ჯვა-წამებისა და სიკვდილის უმუალო გავლენას ხედავენ.³⁰ ჯვარცმა, როგორც განკაცების უტყური მოწმობა, ხატმებრძოლების პერიოდშიც ქრისტეს ორი შეურევნელი ბუნების დასტურად ჩნდება (ნიკიფორე პატრიარქი).³¹

იკვში, ფაქტობრივად, ამ თემის სამგზის გამეორებას ვხედავთ – „ჯვარცმა-ში“, „გარდამოხსნასა“ და „დატირებაში“; სამივე სცენა, ხომ მაცხოვრის ფიზიკურ სიკვდილს გამოხატავს. დიოფიზიტ-მონოფიზიტთა საუკუნოვანი დავის უმთავრესი საკითხიც, ხომ სწორედ მაცხოვრის ბუნებათა მიმართება იყო. მონოფიზიტთა სწავლებით, კაცობრივი ბუნება ღვთაებრივითაა შთანთქმული, და უფლის ადამიანური ბუნება იმდენად კარგავს თავის მნიშვნელობას, რომ ხომენი, მაცხოვრის გნებაშიც კი უფლის კაცობრივი ბუნების მონაწილეობას უარყოფენ, რაც ლიტერატურიულად ფორმდება კიდევ ე. წ. „ხაჩეცარის“ ლოცვაში.³² მართლმადიდებელი ეკლესია „ხაჩეცარში“ სამების ჯვარცმულად გამოცხადებას ხედავდა. „ერთბუნებიანთათვის“ კი, ეს ფორმულირება ქრისტეს არა კაცობრივი ბუნების ვნებას გამოხატავდა, არამედ ღვთაებრივისა, რაშიც ისევ და ისევ

28 K. Corrigan, Text and Image on an Icon of the Crucifixion at Mount Sinai, The Sacred Image East and West, Ed. By R. Ousterhout and L. Brubaker, Chicago, 1995, გვ. 45.

29 H. Belting, C. Belting, Das Kreuzbild im ‘Hodegos’ des Anastasios Sinaites, Tortulae. Studien zu altchristlichen und byzantinischen Monumenten, ed. W.N. Schumacher, Rome, 1966, გვ. 5.

30 იქვე, გვ. 6.

31 H. Maguire, The Depiction of Sorrow in Byzantine Art, DOP, №31, 1977, გვ. 161.

32 იგულისხმება სამწინდაობის ლოცვაში ჩართული ფრაზა „რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვა“. ქართველები სომხებს ხაჩეცარებადაც კი მოიხსენიებენ.

კაცობრივი ბუნების დამცრობა იგულისხმებოდა.³³

ამ კონტექსტს ეპასუხება იკვის ჯვრის წარწერაც – ბერძნული ტექსტი გვაუწყებს: „იესუ ქრისტე მეუფე დიდებისაღ“ (სურ. 2) ეს წმ. პავლეს სიტყვებია, რომელიც ჯვარცმის არაერთი ბიზანტიური წრის ძეგლზე გვხვდება. ნიშანდობლივი ისაა, რომ ეს სიტყვები პოლემიკურ ლიტერატურაში, არაერთგზის სწორედ რომ, ანტიმონოფიზიტურ კონტექსტში ჩნდება. ქრისტოლოგიური დოგმატის განმარტებისას წმ. ეფთომე მთაწმინდელი ამბობს: „...ამისათვის წერილ არს ვითარებდ: უფალი დიდებისად ჯვარს აცუეს, – ვითარმედ ბუნებასა დმრთებისა მისისასა არარა სადა ვნებია“ და იქვე ეს სიტყვები – დიოფიზიტური დოგმატის - „ჭეშმარიტი დმერთისა და ჭეშმარიტი კაცის“ მოწმობად მოაქვს.³⁴ საგანგებოდ ჩერდება ამ პასაჟზე ნიკიტა სტითატიც და მას სწორედ სომქეთა საწინააღმდეგოდ „სადვოო ბუნების უვნებელობის“ საილუსტრაციოდ მოიხმობს.³⁵ ამგვარდ, ასე საგანგებოდ აქცენტირებული ვნების სცენები სომქეთათვის „ყოველი უბედურების სათავედ“ დანახული ქალკედონის კრების დოგმატური ილუსტრირების მნიშვნელობას შეიძენდა. მითუმეტეს გუმბათის სფეროში ამ თემის დამაგვირგვინებელი „უფლის ამაღლების“ სცენის კონტექსტში, რომელიც გუმბათის მთელს პროგრამას „აღდგომა – მეორედ მოსვლის“ ტრიუმფალური შინაარსით განასრულებს.

ნიშანდობლივია, რომ სცენათა განთავსებაში მოვლენათა თანამიმდევრობაა დარღვეული და „ჯვარცმის“ შემდგომ მხატვარი „დატირებას“ წარმოგვიდგენს (ნახ. 1), „ჯვარცმის“ მოპირდაპირედ კი, ჩრდილოეთ კედელზე „ჯვარცმას“ იკონოგრაფიულად მიმსგავსებულ „გარდამოხსნის“ სცენას განთავსებს. გუმბათქვეშა სივრცეში მდგარი მლოცველისთვის იდენტური სტრუქტურის, კომპოზიციური დომინანტის – ჯვრის მქონე სცენები, თითქოსდა ეწყვილება ერთმანეთს და ამგვარად წრეზე განთავსებულ სცენათა შორის გამორჩეული მახვილის მნიშვნელობასაც იძენს.³⁶ აქ აშკარად სიმბოლური ორიენტირები იკვეთება – ჯვარზე აღსრულებული მაცხოვრის „ორმაგი“ გამოსახულება და „დატირება“ – „ვერისცვალების“ სიმბოლური შეპირისპირება. ამ კონტექსტში „ფერისცვალების“ დღესასწაული, ვფიქრობთ, კიდევ სხვა საზრისითაც იკითხება – გამოცხადების დღესასწაული, რომელიც თავისი სიმბოლური მნიშვნელობით მაცხოვრის აღდგომასაც მოასწავებს და კაცობრივი ბუნების განდმრთობასა და აღდგინებას გულისხმობს. ამ სცენათა „შეწყვილება“, როგორც ჩანს, ისევ და ისევ ქრისტოლოგიური დოგმატის ქვაკუთხედს ეპასუხება – უფლის განკაცების სოტერიოლოგიურ ასპექტს, რომელიც დიოფიზიტურ-მონოფიზიტურ დაპირისპირებაში აღბათ,

33 მხითარ გოში, ქართველთათვის, გვ. 28. მხითარ გოში პირდაპირ ამბობს კიდეც „როგორც ქალწულისაგან დმერთის შობა დგთაგერივი იყო, ეგრევეა სიკვდილი, რამეთუ დმერთი იყო ხორცი, ...რადგან კაცის სიკვდილით მზე არ ბნელდება და არ აღდგებიან მიცვალებულები... რამეთუ ამას ყოველივეს ჯვარცმული დმერთი განაცხადება“.

34 ეფთომე მთაწმინდელი, „წინამმდვარი“ გვ. 198.

35 მ. რაფაელ, ნიკიტა სტითატი, გვ. 75.

36 ასეთივე დომინანტად ჩნდება ჯვარი ბეთანიის მოხატულობაში. ის რამდენჯელმე მეორდება გვერდიგვერდ განთავსებულ სცენებში, რაც, როგორც ჩანს, ვნების ამ კომპოზიციებში ჯვრის ტრიუმფალური კონტექსტის გამახვილებას ისახავს მიზნად.

ყველაზე მწვავედ აღიქმებოდა კიდეც. საფლავად დადებული მაცხოვრისა და მაცხოვრის ცისცვალების“ vis a vis გამოსახვა ხომ, უპირველესად, „პირველი ადამის“ „ახალი, გაბრტყინებული ადამით“ შენაცვლების საზრისს გულისხმობს და განგებულების ისტორიას, მართლაც რომ ისტორიულ განხომილებაში წარმოგვიდგენს (რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკვდილი და კაცისა მიერ ადდგომად მკვდართა. პავლე, კორინთელთა მიმართ 1. ოვე 15. 22). ეს ასპექტი მთუმეტეს რელიეფურად გამოჩნდებოდა სომხეთის ეკლესიასთან კამათში, რომელიც არსებითად განკაცებული მაცხოვრის კაცობრივ ბუნებაში ცოდვადდაცემამდელი ადამის ბუნებას ხედავდა და ამით სევერიანულ-იაკობიტურ ეკლესიასთან შედარებით, კიდევ უფრო რადიკალურად უარყოფდა ქალკედონურ სწავლებას. სცენათა თავისებური განლაგება იკვში, ალბათ, ვნების კვირის მსახურებასაც ითვალისწინებს. ვნების კვირის ღვთისმსახურება, ხომ დიდი შაბათით მთავრდება, რომელიც სწორედ „გარდამოსსნის“ წინ ადესრულება და მაცხოვრის საფლავად დადებასა და დატირებას გულისხმობს. აქ მოხმობილი საკითხავები კი უმთავრესად მაცხოვრის კაცობრივი ვნების გზით განგებულების აღსრულებას ეძღვნება და კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს უფლის ვნების მესიანისტურ შინაგანებას.³⁷

აშკარაა, იკვის შემკულობის ეს იდეური მიმართულება მოგვიანო, XIII საუკუნის მომხატველსაც რომ აძლევს გზებს. დასავლეთი მკლავის „დღე განკითხვის“ სცენაში მხატვარი, სრულიად მოულოდნელად მაცხოვრის ვნების პირველ სცენას – „იერუსალემად შესვლის“ კომპოზიციას ჩართავს (სქემა 2).

„ბზობის“ კომპოზიცია აქ დასავლეთი მკლავის პირველ რეგისტრში ჩნდება, სადაც ჯოჯოხეთისა და სამოთხის მომცველი კომპოზიციებია ასახული. „დღე განკითხვის“ პროგრამაში ასე უჩვეულოდ, ერთი შეხედვით, თითქოსდა უკონტექსტოდ ჩართული და მასშტაბითაც საგანგებოდ გამოყოფილი „ბზობის“ სცენა გუმბათის მოხატულობის ერთგვარ რეპრიზად აღიქმება.

როგორც ჩანს, აქ განმსაზღვრელი ისევ და ისევ ვნების სცენის სოტერიოლოგიური კინტექსტი უნდა ვიგულისხმოთ. ვნების ციკლის საწყისი სცენა – „ბზობა“, ჰიმნოგრაფიულ და ლიტურგიკულ ტექსტებში გამოცხადების საზრისთან ერთად, აღდგომის წინასახედაცაა დანახული. მისი სწორედ, რომ ჯოჯოხეთის მომცველ სცენათა გვერდით გამოსახვა კი აშკარად „ბზობის“ დღესასწაულის სწორედ ამ საზრისს წამოწევს წინ, რაც განსაკუთრებით სამხრეთიდან შესული მლოცველისთვის ხდება თვალნათლივი, ³⁸ რაკიდა „ბზობაში“ გამოხა-

37 სახარებაშივე აღწერილ ამ მოვლენათა სახეით ხელოვნებაში გაშლის შთამაგონებელი ლიტერატურული წერი, როგორც ჩანს, მაინც ლიტურგიკული საკითხავებია. ალბათ, უპირველეს ყოვლისა, წმ. ეპიფანე კვიპრელის მიერ უკვე IV საუკუნეში დაწერილი დიდი შაბათის საკითხავია („ქრისტე ჯვარცმის, გარდამოსსნის, დაფვლისა და კაცობრივი სულით ჯოჯოხეთში ჩასვლის შესახებ“), თუ საგანგებოდ შეთხული ვნების კვირისთვის განკუთხნილი ღმრთისმშობლის დატირების საკითხავები (წმ. რომანოზ ტბილადმგალობელი, წმ. ოთახე დამასკელის აღდგომის განონი, გიორგი ნიკოლების ქადაგებაზი თუ სვიმეონ მეტაფრასტის დატირება და სხვა).

38 ნიშანდობლივია, რომ მხატვარი იშვიათ იქონოგრაფიულ რედაქციას ირჩევს - უფალი მზერით უკან, მოციქულებისკენაა მიბრუნებული. ამ არჩევანით თითქოსდა იკონოგრაფიულადც ესმევა ხაზი ამ სცენისა და მის უკან წარმოდგენილი ჯოჯოხეთის კომპოზიციათა შეპირისპირებას, და კიდევ უფრო მძაფრდება გვერდითა კედელზე წარმოდგენილი ანტიქრისტეს გამოსახულებასა და იერუსალიმს მიმავალი მაცხოვრის შინაარსობრივი „ანტიოქზა“. უკან მიბრუნებული

ტული მაცხოვრის ტრიუმფალური მსველობის თემა (*Adventus*)³⁹ ხედვის აჭარაში მართლიანობის მიღწეული არის მეორდება, ახლა უკვე წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველ ციკლში – „ლასიის სასწაულსა“ თუ „ყრმის გამოხსნის“ სცენაში. (სურ. 3) და „იერუსალემს შესვლის“ სცენაც, მასში ნაგულისხმევი ტრიუმფალური მსვლელობის კონტექსტით, შინაარსოვრივად „ჯოჯოხეთის რდევების“ მნიშვნელობას იტვირთავს. ჯოჯოხეთის სკნელთა ქვემოთ წარმოდგენილი ის „ხელშესახებს“ ხდის ვნება – ადდგომისა და ხსნის საზრისს და იკვის სივრცესაც, თითქოსდა ზეციური იერუსალემის სივრცედ წარმოგვიდგენს („ვნებითა მით ცხოველსმყველითა ქმნა დიდი იგი და საკვირველი საქმე: დახსნა სიკვდილი და წარმოტყვევნა ჯოჯოხეთი“, წმ. ეფთომე მთაწმინდელი, „წინამძღვარი“).

იკვის იკონოგრაფიული პროგრამის კულმინაციად საკურთხევლში წარმოდგენილი „მანდილიონი“ აღიქმება (სურ. 4). შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში „ხელოუქმნელი ხატის“ ტრაპეზის თავზე წარმოდგენა, როგორც ცნობილია, „ადგილობრივ“ იკონოგრაფიულ ტრადიციადაა მიჩნეული.⁴⁰ რაშიც მეცნიერნი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში „ხელოუქმნელი ხატის“ გამორჩეული კულტის ასახვას ხედავენ.⁴¹ აშკარად, რომ ამასთან ერთად, ამ ტრადიციის განმსაზღვრელი, ზემოთ აღწერილი საღვთისმეტყველო კამათიც უნდა ყოფილიყო. საკურთხევლის ცენტრში წარმოდგენილი ქალკედონური მრწამსის მოწმობად ნაგულვები მაცხოვრის „ისტორიული პორტრეტი“, ხომ უშეალოდ ეხმიანება ამ ისტორიულ რეალობას. თუნდაც, იკვიც შემთხვევა რომ დავიმოწმოთ – ლიტურგიკული სივრცის ცენტრში წარმოდგენილი „პირი დმრთისა“, თავის თავში მთელი მოხატულობის დოგმატურ მახვილს მოიცავს - იკონოგრაფიული პროგრამის დაიტმოტივად გაშლილი ქრისტოლოგიური თემა აქ თითქოსდა ხატად ქცეული უფლის განკაცების გამოსახულებაში იკრიბება და ისიც, თავისი იკონოგრაფიულ-სიმბოლური საზრისით, საუკუნოვანი საღვთისმეტყველო კამათის დოგმატურ, თუ ეკლესიოლოგიურ ჰეშმარტებას მოწმობს.

მაცხოვარი ამ კომპოზიციისათვის დამახასიათებელი სცენის პორიზონტალურად გაშლის ტენდენციას აფერხებს და გარკვეული „პაუზის“ შთაბეჭდილებასაც წარმოქმნის, მაგრამ ეს შეგრძნება სრულად განაკარდება იერუსალემის მკვიდროთა გამოსახულებით, რომელთა ფიგურები მხატვარს პილასტრზეც კი „გადაუტარებია“. იხ: ეგვეგნიშვილი, იკვის წმ. გიორგის ეკლესიის „განკითხვის დღის“ იკონოგრაფიული თავისებურებაზი, საქართველოს სიძღველენი, 15, 2010; ი. მამასახლისი, განკითხვის დღის თემა ქართულ სახვით ხელოვნებაში (იკვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის მაგალითზე), თბ., 2000, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის სადიპლომო ნაშრომი), გვ. 24-53.

39 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ: Th. Mathews, *The Clash of the Gods: A Reinterpretation of Early Christian Art*, Princeton, 1999; G. Schiller, დასახ., ნაშრ., გვ. 19.

40 ქ. მიქელაძე, ხელოუქმნელი ხატის გამოსახულება XII-XIII საუკუნეების ქართულ კედლის მოხატულობაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 3, თბ., 1991. ხელოუქმნელი ხატის კულტობრივი დაკავშირებით იხ: ზ. სხირტლაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თბ. 2008; ე. გედეგნიშვილი, კელავ ერთი ადგილობრივი იკონოგრაფიული ტრადიციის შესახებ, საქართველოს სიძღველენი, 6, 2004.

41 ქ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ ასევე: ზ. ალექსიძე, მანდილიონი და კერამიონი ძეველ ქართულ მწერლობაში. Academia, I, 2001.

Ekaterine Gedvanishvili

Passion Cycle in the Murals of Ikvi Church of St. George and Its Theological Context

Mural decoration of the 11th c. „croix libre” Ikvi church of St. George comprises at least (12th and 13th cc.) and even more chronological layers. Despite this, ultimately an ensemble was created, which, apart from high artistic merits, is also quite remarkable for its general programme. Especially unusual are the dome murals, where the hemisphere bears Ascension of the Saviour, and in the drum, in-between the windows, to the East depicted is Transfiguration, followed, from the right to the left, by Crucifixion, Lamentation and Deposition, which is characteristic neither of Georgian, nor of Byzantine art. Representation of these scenes on this particular place might be influence by the Byzantine practice of placing scenes in the squinches of the churches (N. Aladashvili); however, most significant in this case is the selection of the subject scenes proper.


Passion cycle, ascertained after the Iconoclast period, acquires special acuteness from early 12th c., in the connection of the Christological disputes in Byzantium, reaching their acme in the 1156-1167 Ecumenical Council in Constantinople. This is followed by the increased interest towards the liturgical themes, which is also reflected in Georgian art. But in Georgia, it is also accompanied by the permanent opposition to the Monophysitism widespread in neighbouring Armenia; its acuteness had increased due to the fact that Armenia was included within the political boundaries of the Georgian kingdom. It should be taken into consideration that in the 11th-12th cc. Armenian and Syrian-Jacobite Churches had reached an agreement, which had considerably strengthened this trend, besides, the Roman Catholic Church had recognised Communion with the unleavened bread. Position of the Georgian Church is evidenced by the translation of the anti-monophysite treatises and in the visual art – this should be the main idea of depiction Ecumenical Councils in the mural decoration (12th c.) of the Gelati narthex; the same is true of Ikvi scenes, which present not a narrative cycle of the Lord’s Passions, but (three times repeated) episodes of His death, along with Transfiguration, which is considered a beginning of the Passions and placed directly above the chancel. This is a direct confirmation of the fully Human Nature of the Saviour, rejected by the Monophysites, as well as certain details (the Saviour with His eyes closed, according to St. Anastasius Sinaïta; naming Christ as “Lord of Glory” in the inscription, the attribute known from the anti-monophysite treatises). In the 13th c. this anti-monophysite trend was continued by the inclusion of the Entry into Jerusalem into the Last Judgement. Here as well, similar to the drum murals (Transfiguration and Lamentation form visual pairs) Soteriological aspect is emphasized; while the culmination of the Ikvi iconographic programme is Mandylion in the chancel, the first and foremost testimony of the Incarnation for the Orthodox Christians.




სურ. 1. იგვი. საერთო ხედი
სამხრეთ-დასავლეთიდან



სურ. 2. იგვი. ჯვარცმის ქომპოზი-
ცია, ფრაგმენტი




სურ. 3. იგვი. ინტერიერი. ხედი
ჩრდილო-დასავლეთით



სურ. 4. იქვი. ხედი საგურთხეველზე



სქემა 1. გუმბათის ყელი.



სქემა 2. დასავლეთი მკლავი.

ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამსახურო აკადემია

უბისის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვატის მოხატულობა

ჩვენი განხილვის საგანი უბისის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვატერის ფრაგმენტულად შემორჩენილი მოხატულობაა. სამეცნიერო ლიტერატურაში მისი შესრულების თარიღი განსაზღვრულია XVI საუკუნით, თუმცა მხატვრობა საგანგებოდ არ ყოფილა შესწავლილი და მასზე არსებული ზოგადი ცნობებიც მხოლოდ მთავარი ტაძრისადმი მიძღვნილ კვლევებში გვხვდება¹. ერთი შეხედვით, ვერწერული დეკორისგან განძარცული ამ მინაშენის თაობაზე, არც არის რამ სათქმელი, და მაინც, არსებული მხატვრობის დეტალებიც კი, ეპოქის მახასიათებელ ნიშან-თვისებებთან ერთად, არაერთ თავისებურებას შეიცავს, რომლის განხილვაც შედარებით ფართოდ წარმოგვიჩნენს აალეოლოგოსთა ეპოქის მხატვრულ მიღწევებს.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვატერის მომცრო, ოდნავ წაგრძელებული ფორმის ინტერიერი² აღმოსავლეთით სწორკუთხა კედლით სრულდება (სურ. 1). საკურთხეველი დანარჩენი სივრცისგან მხოლოდ იაზაკის უმნიშვნელოდ აწეული დონით განირჩება. მისი სწორედ რომ ამგარი ფორმა³ თუ მისი საგანგებოდ გამოუცალკევებლობა მღლიცველს თავიდანვე იმ საკრალური სივრცის ნაწილად მოიაზრებს, რომელიც სხვაგან საგანგებოდ დაფარულია (რა თქმა უნდა, ეს „უცნაური“ დეტალი მისი ფუნქცია-დანიშნულებიდან გამომდინარეობს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). აღმოსავლეთ კედელს ფართოდ გაჭრილი სარკმელი ამობს, საიდანაც გაშლილი კუთხით შემოჭრილი სხივები თანაბრად ეფინება ინტერიერის მთლიან სივრცეს. ეგვატერის ჩრდილოეთი კედლის ზედაპირი სამი განსხვავებული სიგანის თაღითაა დანაწევრებული, ისინი მინაშენის ერთგვარ დეკორატიულ-შემამკობელ ელემენტებს წარმოადგენენ. სამხრეთით კი კედელი

1 შ. ამირანაშვილი, უბისი. მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის, ტვ., 1930;
 ნ. ბურგულაძე, უბისის მონასტრის ხატები და კედლის მხატვრობა, თბ., 2006.

2 ტაძრის აღმოსავლეთ მონაკვეთის ეგვატერებს რ. შემერლინგი თავის გამოკვლევაში მთავარი ტაძრის თანადროულად მიიჩნევს. ორივე მათგანი წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისა არიან. ჩრდილოეთ ეგვატერი თავისი შესასვლელით უშუალოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული, ხოლო სამხრეთ ეგვატერში დამოუკიდებელი კარით შეიძლება მოხვედრა. ტაძარში, სამკვეთლოს არარსებობიდან გამომდინარე, უშუალოდ, ნაგებობასთან დაკავშირებული ჩრდილოეთ გამგერი ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული, მის არსებობას თავიდანვე ფუნქციური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, ხოლო სამხრეთ ეგვატერი „ნაკარანახვი იქ თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვნად მაინც შენობის მასების მხედველობითი წონასწორობის მოთხოვნილებით“; რ. შემერლინგი, უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. I, №2, 1955.

3 სწორკუთხა საკურთხევლიანი დარბაზული თუ ბაზილიკური ტაძრები მრავლად გვხვდება საქართველოში, მაგრამ მათი უმეტესობის კონქი ნახევარგუმბათურია, რაც სწორკუთხა საფუძვლიდან ტრიმპების შეშვეობით ნახევარსფერულ ფორმაში გადასვლის საშუალებით მიიღწევა. ასეთი საკურთხეველი თავისი სფერული ფორმით ძირითადი კორპუსისგან შევეთრად დიფერენცირებულია და სრულად იტევს იმ იერარქიულად დანაწევრების იდეას, რომელიც ტაძარს აქვს მინიჭებული.

ბრტყელი და დაუნაწევრებელია. თუმცა სამხრეთი კედლის „თავისებურებას“ შემოიტანა მის დასავლეთით (შესასვლელთან) განთავსებული სწორკუთხა სამარხი წარმოადგენს (სურ. 2), რაც ამ სივრცის კიდევ ერთ ფუნქციაზე მეტყველებს – როგორც ჩანს, ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვიპტის, სამლოცველოსთან ერთად, საძვალესაც წარმოადგენდა⁴.

საქართველოში საძვალის მოწყობა იმდენად ფეხმოკიდებული და განვითარებული არ ყოფილა, როგორც ამას ბიზანტიაში ვხედავთ. ჩვენში ის დამოუკიდებელ სადგომადაც კი არ ჩამოყალიბდა, განსასვენებელი ყოველთვის ტაძრის მინაშენს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ამ არქიტექტურული სივრცის შემკობაც დადგენილი პროგრამის მიხედვით არ ხდებოდა. პირიქით, ჩვენში საძვალეთა მოხატულობა ყოველთვის ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მატარებელია. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს უბისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვიპტის-საძვალის მოხატულობაც.

ეგვიპტში დღეს არათანაბარ რიყის ქვათა წყობა სჭარბობს მხატვრობის ფრაგმენტებს. საკურთხეველში, ღმრთისმშობლის არასრული ფიგურის გარდა, არაფერია შემორჩენილი (ნახ. 1-2; სურ. 3). თუმცა, აღმოსავლეთ კედელზე, მხატვრობის ამ უმნიშვნელოვანების გამოსახულებასთან ერთად, აღსანიშნავია მოხატულობის ერთი პატარა „ნაგლეჯი“, რომელიც კედლის მარჯვენა კიდეზია განთავსებული. ნალესობის ამ ფრაგმენტზე დაცულია რეგისტრის წითელი ხაზი (პორიზონტალური და ვერტიკალური – ორი კედლის შემაერთებელ კუთხეს ჩამოყოლებული). სწორედ ეს დეტალი მიგვანიშნებს, კედლის რომელ მონაკვეთზე სრულდებოდა რეგისტრის ზედა არე და სად იწყებოდა შემდეგი.

მსგავს ფრაგმენტების ინახავს სამხრეთი კედელიც, რომელზეც მხატვრობა სრულად არის დაკარგული. ეს, თითქოსდა არაფრის მთქმელი, მოხატულობის დეტალები აქაც საშუალებას იძლევა, ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ კედლის თავდაპირველი მხატვრული სტრუქტურა (კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთი და შუა მონაკვეთის). დანარჩენი ფერწერული არეები კი მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ და შუა ნაწილში, ასევე, ეგვიპტის კამარის თავზედაა შემორჩენილი.

ეგვიპტის მამკობი ფერწერული დეკორის ამ მოკლე ექსკურსითაც ჩანს, რომ მოხატულობის ერთიან სისტემასა თუ პროგრამაზე დღეს ძნელია საუბარი. პირვანდელი სახის ნაწილობრივი აღდგენა-რეკონსტრუქცია შემორჩენილი ფრაგმენტების იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზის საშუალებით თუ ხდება შესაძლებელი.

აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთი, ზემო არეს მჭიდროდ ებჯინება თავდახრილი, ოდნავი სამი მეოთხედით წარმოდგენილი დედაღმრთისას ფიგურა ისე, რომ მისი შარავანდის ნაწილი კედლის ნახვარწირიულ მოხაზულობას

⁴ ტაძრის დასავლეთი ნაწილის მინაშენის ფუნქცია სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია, აქ XVI-XIX საუკუნეებში აპაშიძეთა საგვარეულო სამარხი ყოფილა განთავსებული; 6. ბურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165-166.

⁵ ქ. მიქელაძე, XIII-XIV საუკუნეების საძვალეთა მოხატულობის ზოგიერთი თავისებურება. ძეგლის მეცნიერი, 3, თბ., 1999.

იმეორებს (სურ. 4). იგი მუქლურჯ ფონზეა გამოსახული. მარცხნივ, შარავანდონი, იურიული ფინანსების თანამდევი, ზედმიწევნით გამოყვანილი ნუსხური გაირჩევა (წმ. დედა). ღმრთისმშობელს ძოტისფერი მაფორიუმი მოსავს. სახის მოგრძო ოვალი, მკაცრად მოკუმული პატარა ბაგეები, დიდი მეტყველი თვალები, დაგრძელებული, ერთგვარად მძიმე ნიკაპი ღმრთისმშობლის განსაკუთრებულ ტიპს ქმნის. ყველი და სახე ერთი ტონალობის მოწითალო ოქროსფრით რბილადაა დაწერილი. მკვეთრი მოყავისფრო-წითელი კონტური სახის ნაკვთებს, ოვალისა და კისრის მოხაზულობას მიუყვება, მის გვერდითვე ჩნდება გარდამავალი მომწვანო-მონაცრისფრო ჩრდილები, თუმცა ისინი ცალკეული ფერწერული, პასტოზური მონასმებით კი არ გამოისახება (ისე, როგორც მთავარ ტაძარში სახეთა დამუშავებისას⁶), არამედ მსუბუქად დადებული ფერები ნელ-ნელა, სახის საერთო ტონალობაში გადაედინება და ერთიან პლასტიკურ სახეს ქმნის. ეს ყოველივე ფერთა თანდათანი შერწყმის მეშვეობით არის მიღწეული. ოვალური კონტურით მონიშნულ თვალის უპეებოან, მკრთალად, დიაგონალურად დადებული რამდენიმე თეთრი შტრიხი ასევე კარგავს ეპოქისეულ მახასიათებელ თვისობრიობას – სხივისებრი „გამონათებანი“ აქ არამკაფიო, მახვილისებრ ელემენტებად გარდაისახა. თვალის ზედა რკალის მოხაზულობას კიდევ ორი წვრილი, თეთრისა და წითლის, მონასმი გასდევს, წარბის სქელ მონასმადე უფრო ჩამუქებული არე კი თვალის ბუდეს ერთგვარ სიღრმეს ანიჭებს. ნაკვთა ამგვარი დიფერენცირებით ოსტატი ფაქტზად ძერწავს მეტყველი სახის თითოეულ დეტალს. ღმრთისმშობლის თავსაბურავს სამი წითელი წვრილი ხაზისგან შემდგარი კონტური შემოწერს, ეს კონცენტრული, დაკუთხული ზოლი ერთგვარად კრავს და საზღვრავს კიდევ დედალმრთისას სახიდან გამომკრთალ სულიერებას (სურ. 4).

საკურთხევლის მხოლოდ ეს გამოსახულება ნათელს ხდის აქ არსებული პირვანდელი კომპოზიციის რაობას. როგორც ჩანს, ეგვერის საკურთხევლის, ისევე, როგორც მთავარი ტაძრის, საკონქო კომპოზიციას ვედრება წარმოადგენდა.

აღნიშნული კომპოზიცია სარკმლის თაღს ზემოთ რომ სრულდებოდა, ამას – ზემოთ ჩვენს მიერ ნახევნები – ფრიზის შემორჩენილი ხაზი გვკარნახობს. არსებული არე კი ოსტატს საშუალებას მისცემდა, ფიგურები ნახევარი ტანით გამოესახა, რაც, სავარაუდოდ, ამ პატარა სივრცეში მლოცველის წინაშე ხატ-ხახებად ამეტყველდებოდა, ეს კი ისეთივე კომპოზიციური და აზრობრივი დომინანტი იქნებოდა, როგორც – მთავარი ტაძრის საკონქო კომპოზიცია (სავარაუდოდ, სარკმელთა მომიჯნავე არეები აღნიშნული კომპოზიციის შემცველ გამოსახულებებს – ექვსფრთხედებს ან მთავარანგელოზებს ექნებოდათ დათმობილი).

როგორც ცნობილია, საკურთხევლის ქვედა რეგისტრი ეკლესიის მამათა რიგს ეთმობა. წმინდანთა ფიგურები, ეგვერის მცირე არქიტექტურული ფორმების თავისებურებებიდან გამომდინარე, უშუალოდ აღმოსავლეთ კედელზე

⁶ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ ტაძარში რამდენიმე ოსტატი მუშაობს და მათი ხელწერაც განსხვავებულია. იხ. ე. ედიშერაშვილი, ნ. ციცაშვილი, უბისის ეკლესიის მომხატველი ოსტატების შესახებ. საქართველოს სიმველენი, 11, 2007.

არ არის წარმოდგენილი, თუმცა ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ თანამდებობის, საკურთხევლისკენ მიმართული, გაშლილი გრაგნილებით, საპროცესით სვლისას გამოსახული ორი წმ. მამის ფიგურა საკურთხევლის შემადგენელ ნაწილად გაიაზრება.⁷ ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო გვიმძაფრებს დღეს ჟავა დაკარგული, თუმცა სქემაზე⁸ დატანილი, სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი მხარის ფრაგმენტები, ორი თავისა და შარავანდის კონტური, რომლებიც, უთუოდ, ასევე, წმიდა მამათა გამოსახულებები იქნებოდა.

წითელ ფონზე შავი, სქელი კონტურით შესრულებული წმ. მამათა „თეთრი ფიგურები“ მოსამზადებელი ნახატის დონეზე შემორჩენილს ჰგავს, თუმცა მათი დასრულებული, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალური ნიშნები იმასაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ისინი თავდაპირველად ოსტატმა სწორედ ასეთებად ჩაიფიქრა (სურ. 5). ფიგურების სილუეტს მხატვარი შავი სქელი შტრიხებისა და შიგნიდან მკრთალად დაყოლებული, ასევე მსხვილი წითელი კონტურით ხატავს. ფიგურებს მოსავთ წმ. მამათა საეპისკოპოსო სამოსი; მათი ანაფორის ნაწილი კუბოკრულია, მხერებზე მოდებული ომოცორი კი – წინ გრძლად დაშვებული. მამათა დეფორმირებული ხელების გამოსახვაში მკვეთრად აისახა პალეოლითური ეპოქისთვის დამახასიათებელი სტილისტიკა. წმინდანთა გამოსახულებებს ვინაობის აღმნიშვნელი წარწერები არ ახლავს, თუმცა ისინი მთავარი ტაძრის საკურთხევლის მამათა რიგის ანალოგიური თანმიმდევრობით (პირველი ორი) რომ არიან წარმოდგენილნი, ამას მათდამი მსგავსებაც და თავად აღნიშნულ ფიგურებში ასახული იკონოგრაფიული თავისებურებანიც გვიდასტურებს, შესაბამისად კი აქ წმ. ბასილი დიდი და წმ. გრიგორ დმრთისმეტყველი უნდა იყვნენ წარმოდგენილი⁹.

ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ თაღს ზემოთ მოხატულობის შემდგომი რეგისტრი ვითარდება. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეგვეტის კედლებს სცენათა

-
- 7 ტაძრის კედლებზე საკურთხევლის კომპოზიციათა შემცველი ფიგურების გამოსახვის მაგალითები უფრო ადრეული ხანის მოხატულობებშიც მოგვეპოვება, მაგ., იურარში შეფის მხატვარი თვევდორე „ვედრების“ კომპოზიციის შემადგენელ მთავარანგელოზებს კამარაზე გამოსახავს.
- 8 სქემის ავტორები: ზურაბ არევაძე, თემურ აფციაური, წიგნიდან 6. ბურჭულაძე, დასახ. ნაშრ.
- 9 ჩრდილო-აღმოსავლეთით წარმოდგენილი პირველივე ფიგურის სახის ნაწილი დაკარგულია, თუმცა შემორჩენილითაც შესაძლებელი ხდება წმიდანის ვინაობის დადგენა. თხელი აღნაგობის, გრძელი, წაწვეტებული წევრითა და თმის ვარცხნილობით იგი წმ. ბასილი დიდის გამოსახულების შეესაბამება. ფიგურის სახასიათო ნიშნები ასეთია: ყველა ხაზი – სახის მოყვანილობის, წევრ-ულვაშის, ცხვირისა თუ ნიკაპის მკვეთრად დაგრძელებული უნდა გამოისახებოდეს. ეს ვერტიკალები წმიდანის ფიგურას კიდევ უფრო თხელსა და ნატიფს წარმოაჩენს. მართალია, ჩვენს ეგვეტერში გამოსახული წმ. ბასილი დიდის სახის ნაკვთებზე არ შეგვიძლია დატეს ვისაუბროთ, თუმცა ფიგურაში ცხადად ხაზგასმულია მისი სილუეტის მკვეთრი დაგრძელება, რაც, როგორც ზემოთ ითქა, სწორედ რომ წმიდა ბასილ დიდის იკონგრაფიისთვისაა დამახასიათებელი. მომდევნო წმ. მამის ფიგურა დაუზიანებლად არის შემორჩენილი. ნიშნები, რომლებიც ფიგურას ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს, შემდეგნაირია: წმინდანი მაღალი შუბლითა და მოკლე თმით, ასევე მოკლე ოთკუთხედად დაფენილი წევრით (ძირში ცალკეული ხელების მინიშნებით) გამოისახება. მას მოკლე, ხაზგასმულად სწორი ცხვირი აქვს. მოკუმული ბაგები, დაშვებული ულვაშები, ერთ წერტილში მიმართული შეერა, ფიგურას მეაცრ გამომეტყველებას ანიჭებს. ეს წმიდანი გრიგორ დმრთისმეტყველთან იდენტურიცირდება.

თანმიმდევრობა პორიზონტალურ ფრიზებად კი არ გასდევს (როგორც მიზანითი მუნიციპალიტეტი, სპირალურად, ქვედა რეგისტრებისკენ), არამედ კამარას თაღისებურად გადაევლება და, ბუნებრივია, მათი წაკითხვაც, ვერტიკალზე – ქვემოთ – არის შესაძლებელი. მხატვრობის ამგვარი სტრუქტურირება, მისი მთლიანობის ასეთი კომპოზიციური გააზრება, პილიასტრებითა და თაღედით დანაწევრებული მთავარი ტაძრის არქიტექტურულ სტრუქტურას მოგვაგონებს.

კამარას გადაევლებული აღნიშნული რეგისტრი მთლიანად წმ. გიორგის ამსახველ სცენებს ეთმობოდა. დღეს ამ რეგისტრიდან მხოლოდ ჩრდილოეთი მონაკვეთის ორი, ერთმანეთის თავზე წარმოდგენილი სცენადაა შემორჩენილი (სურ. 6). მინიატურული ზომის სფუქები, ისევე, როგორც საკურთხევლის ფერწერული ფრაგმენტი, ინტენსიურ ლურჯ ფონზეა აღბეჭდილი. სცენები რეგისტრის გამყოფი წითელი ხაზებით შემოისაზღვრება. რეგისტრის ფარგლებში, კამარის შუა არეში, ორნამენტული ფრიზია გამოსახული¹⁰ (სურ. 7), რომელიც ერთგვარ გარდამავალ პაუზად გაიაზრებოდა სამხრეთი კედლისკენ, სადაც წმინდანის ცხოვრების ამსახველი სცენების გამოსახვა გრძელდებოდა, დღეს მათი არსებობის კვალიც მნელად გასარჩევია¹¹.

ეგვერში წმ. გიორგის ცხოვრების ნარატივის ასახვა მისი სასწაულის სცენის გამოსახვით იწყება, თაღს ზემოთ მოსაზღვრული არიდან, სადაც ბრძის განკურნების სასწაულია გამოსახული (სურ. 8). წმ. გიორგის მიერ ბრძის განკურნება იმ უიშვიათეს სცენას განეკუთვნება, რომელიც მხოლოდ ქართულ სახვით ხელოვნებაში კი არა, დიდმოწამისადმი მიძღვნილ ტექსტებშიც არ იძებნება¹². ეგვერში ასახულმა ამ სცენამ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოადწია. თითქმის მთლიანად არის დაკარგული რეგისტრის ქვედა მარჯვენა ნაწილი, თუმცა შემორჩენილი მაინც სრულად წარმოგვიდგენს ხსენებული კომპოზიციის აგების სტრუქტურას. აქ სამი პერსონაჟი ფიგურირებს – მარცხნივ მდგომი წმ. გიორგია (სურ. 9), შემდეგ – ბრძის ფიგურა (სურ. 10), ხოლო მესამე, რომლის ხელიც ბრძის მხარზეა გამოსახული, მთლიანად დაკარგულია.

შინაარსობრივად აღნიშნული სფუქები უფლის სასწაულთან, ბრძის განკურნებასთან, პპადებს პირდაპირ ასოციაციას¹³. წმ. გიორგი, თავისი სასწაულებით თუ წამების სცენებით, ქრისტეს ვნებებს ემოწმება¹⁴, ამდენად,

10 ეს არის ორი ურთიერთგადამკვეთი ლენტისგან შემდგარი საქმოდ განიერი ორნამენტი, ლენტი ორფერია, წითელი და მწვანე. თითოეული ფერი სამი ტონალობის გრადაციით არის წარმოდგენილი: წითელი, ღია წითელი და ვარდისფერი; მწვანე, ღია მწვანე და მომწვანო ვარდისფერი.

11 სქემაზე დატანილი ნახატის მიხედვით, აქ წმ. გიორგის გაშოლტვის სცენა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

12 ე. გაბიძაშვილი, წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, თბ., 1991.

13 მესამე ფიგურა, რომელიც მთლიანად დაკარგულია (ხელის მტევნის გარდა), წარმოადგენდა მეორე ბრძის ფიგურას, ასე რომ, წმიდანი სწორედაც ორ ბრძას განკურნავს, მსგავსად მათვეს სახარებაში მოთხოვნილი უფლის სასწაულისა. მათ. 9. 27-29.

14 როგორც სცენათა კომპოზიციური აგებულებით – „წმ გიორგის ხევტა“ უფლის ჯვარცმასთან ასოცირდება (გ. ჩუბინაშვილი), ასევე – იდეური საზრისითაც.

მართებულად მიგვაჩნია, ეს სასწაულიც უფლის მიერ ჩადენილი განკურნების სასწაულის შექმნების განვიხილოთ.

ბრძის განკურნების სასწაული სამი მახარებლის – მათეს, მარკოზისა და იოანეს – სახარებებშია ჩაწერილი. ისტორიები სამივეგან განსხვავებულად ვითარდება. მხოლოდ მათე აღწერს ორი ბრძის განკურნებას, რომელთაც უფალი ხელის შეხებით აღუხელს თვალთ (მათ. მე-9 თვ. გ. 27-29); მარკოზისა (მე-8 თვ. გ. 22-26) და იოანეს (მე-9 თვ. გ. 1-7) სახარებებში ერთ ბრძაზეა მოთხოვილი. იოანე უფრო ვრცლად დაბადებიდანვე ბრძადშობილზე მოგვითხოვობს, რომელსაც უფალი მიწაზე დანერწყვებული, მოზელილი ტალახით მიანიჭებს თვალის ჩინს. საინტერესოა, რომ იოანეს სახარებაშივე ერთი თავით უსწრებს უფლის შემდეგი სიტყვები: „მე ვარ ნათელი სოფლისაი. რომელი შემომიდევს მე, არა ვიდოდეს იგი ბნელსა შინა“ (იო. მე-8 თვ. გ. 12). ეს ფრაზა მეტაფორულად უკავშირდება შემდეგ თავში მოთხოვილ, ბრძის განკურნების სასწაულს. წმ. იოანე ოქროპირთან კი ამ სიტყვების ქებასა და შემდეგნაირ განმარტებას ვკითხულიბთ: „დიდი არს სიტყვაი ესე და ჰეშმარიტად დიდი არს, ... არცა თქუა, თუ: „მე ვარ მისი“, არცა თუ; „ღმერთი ვარო“, არამედ ესე ოდენ თქუა, ვითარმედ: „ნათელი ვარ სოფლისაი“ ... „ბნელად ამას ადგილსა საცდურსა მას ურწმუნოებისასა უწესს.“¹⁵ იოანეს სახარების იმავე თავში მაცხოვარი განკურნებულთან სულიერ სიბრძავეზე საუბრობს: „შჯად სოფლისა ამას მოსული ვარ, რათა რომელნი არა ჰედვიდეს, ხედვიდენ და, რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ“ (იოანე, მე-9 თვ. გ. 39). – „აქა ორთა ხედვათა იტყვის და ორთა სიბრძეთა: სულიერს და ხორციელსა“.¹⁶ უფლის მიერ ბრძის განკურნების სასწაული, ერთგვარად, მისივე სიტყვების განხორციელებად, ხორცშესხმად (რომელნი არა ჰედვიდეს, ხედვიდენ...) შეიძლება გავიაზროთ, ხოლო წმ. გიორგი, როგორც მეომარი უფლისა, რომელიც ასევე უფლის ნათლის მაუწყებელია, და მის მიერ აღსრულებული ეს სასწაულიც, გარდა კონკრეტული ადამიანისთვის თვალის ახელისა, ასევე ბნელში გამობრწყინებული ნათლის (ქრისტიანობის) მეტაფორად გვესახება.

შემდეგი სცენა, კამარის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე, მეფე დიოკლეტიანეს წინაშე წარმდგარი წმინდანის ეპიზოდია (სურ. 11). კომპოზიცია სამფიგურიანია. მარცხნივ ხელებშემართული წმ. გიორგი წარმოგვიდგება, შუაში – გახტებ მჯდომი ფიგურა, ასომთავრულით – „მეფე დიოკლეტიანე“, ხოლო მესამე, ფეხზე მდგომი, ოდნავი სამი მეოთხედით მეფის უკან გამოისახება. წმ. გიორგის მხრებამდე დაზიანებული ფიგურის სახე ოქროსფრადაა დაფერილი, თვალის უპეებოან დამუშავების – ნახევარწრიულად დადებული ბაცი მწვანის – დეტალი იკითხება. წმინდანს მოსავს გრძელი ლურჯი კაბა, წითელი მოსასხამი, ფეხზე წითელი წალები „აცვია“. იგივე ფერთა ტონალობა გამოიყენება წარმართი მეფის „პორტრეტირებისას“. მისი სამოსის შესრულებისას კი, მსგავსად მთავარი ტაძრის სცენისა, ფერები გადაიხაცვლებს – თუ წმ. გიორგის კაბა ლურჯია, მეფისა – წითელი, ხოლო მოსასხამი – ლურჯი და ა. შ.

ერთმანეთის თავზე განლაგებული ეს ორი რეგისტრი ურთიერთმიმართებაშია

15 წმ. იოანე ოქროპირი. განმარტება იოანეს სახარებისა ნაწ. II, თბ., 1993, გვ. 28.

16 იქვე, გვ. 94.

და საერთო კომპოზიციურ რიტმსაც ქმნის, რაც ფიგურათა და არქიტექტურულ განლაგების ურთიერთშეთანხმებითი პრინციპით მიიღწევა – ზედა რეგისტრში გამოსახულ წმ. გიორგის ქვევით არქიტექტურული ნაგებობა შეესაბამება; ქვევით წარმოდგენილ წმინდანს კი – ზედა ცარიელი არა; დიოკლეტიანეს ფიგურას – წმ. გიორგისა და განკურნებულს შორის არსებული სივრცე, სადაც ვრცელი, სცენის აღმნიშვნელი ორსტრიქნიანი წარწერაა¹⁷ (სურ. 12) და ა.შ.

მხატვრობის ფრაგმენტები შეა თაღმაც შემოინახა, მართალია, ბევრად უფრო დაზიანებული სახით, ვიდრე აღმოსავლეთ თაღშია, თუმცა არსებულითაც ირკვევა, რომ ეს არე წმ. დედათა გამოსახულებებს ეთმობოდა (ერთ-ერთი წმ. დედის გამოსახულებისგან შარავანდისა და თავსაბურავის ნაწილია შემორჩენილი, ხოლო მეორე ფიგურისგან – მხელოდ შარავანდის რაღი) (სურ. 13, 14); თაღს ზემოთ განვითარებული მონაკვეთი, ეგვტერის შეა ნაწილი, აქ რეგისტრებად და სცენებად კი აღარაა დანაწერებული, არამედ მოხატულობის კედელსა და კამარაზე გადასულ ერთ მთლიან, უწყვეტ ზოლად წარმოგვიდგება. ეს რეგისტრი წმ. გიორგის რეგისტრის მსგავსი სიმეტრიულობითაც არ გამოირჩევა; აღმოსავლეთ თაღსა და შეა თაღს შორის ოსტატი ფერწერულ „პილიასტრს“ ქმნის. მისი შემდგომი ზედა, ერთიანი რეგისტრი უშუალოდ შეანა თაღს ზემოთ კი არ ვითარდება, არამედ სწორედ ამ „პილიასტრის“ აღმოსავლეთი კუთხიდან იწყება და, ამდენად, იქმნება ტრაპეციის მსგავსი, ასიმეტრიული მონაკვეთი, რომელზეც თეთრ ფონზე რიტმულად გაძნეული რვაქიმიანი წითელი (დვინისფერი) ვარსკვლავებია გამოსახული (სურ. 15, 16). ერთიანად შეფენილი მუქი წითელი ვარსკვლავები ასე გამოიყერება: შეაში, კონცენტრულად, წერტილის მსგავსად ჩაწვეტებულ საღებავს გარშემო ცარიელი სივრცე, ფონი ანუ თეთრი შემოწერს, ამ დისტანციის შემდეგ კი წრიულად რვა სხივი გამოედინება.

როგორც აღვნიშნეთ, წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი სცენები და ღმრთისმშობლის ფიგურა მუქ ინტენსიურ ლურჯ ფონზე წარმოგვიდგება. მათი ფერადოვნება, ცის სეგმენტთან შედარებით, მუქიცაა და – კონტრასტულიც. ეს მხატვრული ხერხი კიდევ უფრო აძლიერებს სივრცის დანაწერების, ზემოთ უკვე აღნიშნულ, შეგრძნებას.

ეგვტერის ერთიანი, დაუნაწერებელი „ცის კამარა“, მხატვრული ეფექტის გარდა, განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვის მატარებელიცაა, გარკვეულწილად კი – ეგვტერის ფუნქციის გამაჟღერებელიც.

ქრისტიანულ ხელოვნებაში ცის სეგმენტის გამოსახვა ადრექტინისტიანული ხანიდან იდებს სათავეს¹⁸. ჩვენში ის არაერთგზისაა ცნობილი. მაგალითად, ვარძიის მხატვრობის სცენებში, ინტენსიურ ლურჯ ფონზე წარმოდგენილ ვარსკვლავთა მნიშვნელობა „კოსმიური ღამის მისტიკად“¹⁹ ქლერდება. ამავე ტაძარში,

17 იკითხება „წმ გი ბრძოლის დიხილი“; ამ სცენის განსაზღვრებას იძლევა ასევე შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ.

18 რავენის გალა პლატიდეას მავზოლეუმში ნახვარსფერული გუმბათი მთლიანად დაფარულია ლურჯი ფონითა და მასზე დაგანილი რვაქიმიანი ოქროსფერი ვარსკვლავებით, აქ ჯგრის ამაღლების მოტივია წარმოდგენილი (V ს-ის II ნახ.).

19 ა. ოქროპრიძე „ფერისცვალება“ - ხელნაწერი.

ფერისცვალების სცენაში, ვარსკვლავთა რვაქიმიანობა ინტერპრეტირებულია, როგორც მინიშნება „მერვე დღეზე ანუ მკვდრეთით ადგომასა და მარადიულ ჟამზე”²⁰. ჩვენ ეგვტერში გამოსახული ცის ანალოგიურ სახეს ვხედავთ ხობის ტაძრის განკითხვის კომპოზიციის ცის შეგრაგვნის სცენაში, აქ ცის სეგმენტი გრაგნილზეა მოცემული, რომელიც ანგელოზს უჭირავს. თითქმის ყველგან ვარსკვლავიანი ცა გარევული სიუჟეტის თანამდევია, ჩვენი ეგვტერის ცის რეგისტრი კი არცერთ ნარატივთან არ არის დაკაგშირებული. ცა აქ დამოკიდებელი, თავისთავადი, ღრმა თეოლოგიური სემანტიკით უღერდება. ეს მინიმალისტური, თუმცა, ამავდროულად, ძალზე გაბედული (მას შეიძლება პოეტურიც კი ვუწოდოთ) რეგისტრი – თავისი ზომით (რომელსაც ეგვტერში, ალბათ, ყველაზე დიდი მონაკვეთი ეჭირა) და თავისი მნიშვნელოვნებით – ეგვტერის მოხატულობის პროგრამის მთავარ აქცენტად გვესახება. ამ ვრცელ რეგისტრი მხოლოდ სამი სამეტყველო ნიშანია გამოყენებული (ორი ფერი – თეორი და წითელი – და ვარსკვლავთა მკაცრად განსაზღვრული რვა ქიმი); სამივე მათგანი შუა საუკუნეების სახითმეტყველებაში ღრმა თეოლოგიური მნიშვნელოვნებითაა გამსჭვალული; როგორც წესი, ამ ეპოქაში სამოთხის თემას თეორი ფონზე გამოსახავდნენ²¹, თეორი ფერი „სამოთხის სინათლის ნიშანდაც“ მოიხსენიება²²; წითლის საღმრთისმეტყველო არსის რაობის გასაგებად კი სრულად ასმათ ოქროპირიძის სამეცნიერო სტატიას დავეყრდნობით, რომელშიც ავტორი ვრცლად, ღრმა კვლევის საფუძველზე, მოგვითხრობს, თუ როგორ იქცა ბიბლიური ცეცხლი ქრისტიანულ სახითმეტყველებაში წითელ ფერად. ცეცხლი²³ – ძევლი ადოქტისეული დმრთის ხატი²⁴ – ახალ ადოქტაში თავად განკაცებულ მაცხოვრად გარდაიქმნება („ღმერთის ძევლი ადოქტისეული ჰიპოსტასი ცეცხლია, ამ მხრივ ახალი ადოქტის არსებითი ნიშანი უფლის განკაცებაა“), განკითხვის შამს კი უფლის სახე კვლავ პირვანდელი ანუ ცეცხლოვანია. აქედან გამომდინარე, წითელი თავის თავში მატარებელია როგორც განკაცებული უფლის ხატის, ასევე – უფლის, როგორც მსაჯულის, ცეცხლის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ციფრი რვის სიმბოლური მნიშვნელობა თეოლოგიური განმარტებით მინიშნებაა მერვე დღეზე, ანუ მარადიულ, სასუფევლის ჟამზე. უკვე თქმულიდან გამოიკვეთა, რომ თეორი – სამოთხის თემის აღმნიშვნელია; წითელი – ცეცხლის; ხოლო რვა – მარადიულობით განმსჭვალული სიმბოლიკაა. ამ ყველაფრის მერე კი რეგისტრის იკონოლოგიური საზრისი შეიძლება ამგვარად წავიკითხოთ: ოსტატმა აქ ცეცხლში (არა როგორც

20 იქვე.

- 21 ი. ლორთქიფანიძე. ნაბახტევის მხატვრობა. თბ., 1973, გვ. 35; „ფხიზელი თვალი“ აქ თეორი ფონზე წარმოდგენილი.
- 22 ა. ოქროპირიძე. წითელი ფერის სიმბოლური გააზრების ერთი ასპექტი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში. მაცნე, 1989, N3.
- 23 „ბიბლიური მსოფლანცდა ყოველთვის საგნით, ნივთით ან კონკრეტული მოვდენით ოპერირებს“. ა. ოქროპირიძე, წითელი ფერის სიმბოლური...
- 24 „ძევლ ადოქტაში დმერთის ჩამოსვლის ქვედა ზღვარი ცეცხლია – უფრო სახიერი ის გერიქნება ადამიანისთვის“; იქვე.

განსაცდელში, არამედ – თავად ქრისტეში) განვლილ მართალთა მარატიული სასუფევლი გამოსახა, განკითხვის სცენათა ყოველგვარი ჩვენების გარეშე. საფიქრებელია, რომ ამ შინაარსის რეგისტრის შექმნით ოსტატი ეგვიპტის, როგორც განსასვენებლის, ფუნქციას ეხმიანება.

მართალია, ეგვტერის არასრული მხატვრობა მის იკონოგრაფიულ პროგრამაზე სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, მაგრამ, არსებულ გამოსახულებათა საფუძველზე, მაიც გვექმნება გარკვეული შთაბეჭდილება, თუ რაგვარ მხატვრულ თუ შინაარსობრივ მახვილებს სვამდა მხატვარი. საკურთხევლის ვედრების კომპოზიციას, ეგვტერის მთლიან მოხატულობაში, განკითხვისა და სხინის თემა შემოაქვს. წმ. გიორგის სცენები მოწამეს უფალს მიმსგავსებულად წარმოაჩენს. ერთი მხრივ, ჩვენს წინაშე ცოცხლდება წმინდანის მოწამეობრივი ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები, მეორე მხრივ კი, თავად უფალია მათში გამოვლენილი. მოწამის უფლისადმი მსგავსება განსაპუთრებით ბრძის თვალის ახელის სცენაშია ხაზგასმული. როგორც სცენის იკონოლოგიურმა ანალიზმა დაგვანახა, გარდა სახწაულებრივი განკურნებისა, ამ კომპოზიციაში ხაზი ესმება „წარმართოთათვის ნათლის გამოცხადებას.“ ხოლო ერთიან კამარაზე გადასული შუა რეგისტრი, სასუფევლის, მარადიული უამის განმცხადებელია.

ამგვარად, ჩვენს წინაშე იკვეთება ეგვტერის თეოლოგიური პროგრამის ძირითადი კონტური: უფლის წინაშე, ედემის ბადში შეცდომილი ადამისთვის, მეოხი დედაღმრთისა და ნათლისმცემელია წარმდგარი (ვედრების კომპოზიცია); განკაცებული მაცხოვრის გზას „ადევნებული“ მოწამე²⁵ კი თავის თავში უფალ იესო ქრისტეს განადიდებს; მისი მოწამეობრივად აღსრულებული სიცოცხლე²⁶ მხოლოდ საიმისო მაგალითია, რომ მოწმუნეთა სასოება – ქრისტიანული ცხოვრების გზით მიღწეული ხსნისა და გადარჩენის საზღაური – სასუფევლი, სულის მარადიულ სამყოფელს წარმოადგენდეს.

როგორც დავინახეთ, ეგვტერის ფრაგმენტულად შემორჩენილ მოხატულობაშიც კი ამოიკითხება ის თეოლოგიური ჩანაფიქრი, რომელიც მოხატულობას მკაფიო ინდივიდუალობას ანიჭებს. მხატვრობის ამ შინაარსთან ერთად, ასევე, უაღრესად საინტერესოა, თუ როგორი სახვითი ხერხებით და რა სტილური მახასიათებლებით ქმნიდა მომხატველი საძვალე-სამლოცველოს შემკულობას. გარკვეულწილად, ჩვენ ამ საკითხს ზემოთ უკვე შევეხეთ, თუმცა მხოლოდ – აღწერა-ანალიზის კუთხით.

ეგვტერის მოხატულობა, „ინდივიდუალურობასთან“ ერთად, თავის თავში ატარებს მთავარი ტაძრის მოხატულობის საზრისობრივ თუ სტრუქტურულ ნიშან-თვისებებს. როგორც ჩანს, ოსტატი ათწლეულების შემდეგაც მთავარი ტაძრის „გავლენებს“ აფარებს თავს. ფერწერულ დეკორში კვლავ წმ. გიორგის ცხოვრების

25 „რამეთუ გამობრწყინდა იგი მადლითა უფლისათა, რათა უჩინო პყოს ბნელი იგი უდოოებისა და განაქარვოს საცდური კერპ-მსახურებისა და საღრმოთა მით სიბრძნითა სრულითა ზეცისათა განანათლოს საფსება ქვექნისა ქადაგებითა თვისითა...“. საბინინი, საქართველოს სამოთხე – სრული აღწერა ღუაწლოთა და ვნებათა საქართველოის წმიდათა. პეტერბურგი, 1882.

26 მართალია, დღეს ეგვტერში ადარ არის წმ. გიორგის თავის კვეთა შემორჩენილი, მაგრამ სიუჟეტთა თანმიმდევრობიდან გამომდინარე, საგარაუდოა, რომ წმინდანისადმი მიძღვნილი ციკლი მის აღსასრულსაც შეიცავდა.

ციკლის ასახვა, მთავარი ტაძრის დარად, რა თქმა უნდა, ეკლესიის „პატრინებ-ვინაობითაა“ განპირობებული, მაგრამ, კიდევ ერთხელ უნდა დაზუსტდეს, რომ, ეგვეტერის ოსტატის მიერ სივრცის „ფერწერულ დანაწევრებას“ მთავარი ტაძრის არქიტექტურული დეტალებით დიფერენცირებული სივრცის ელფერი დასდევს. აქ კი ნამდვილად ჩანს მომხატველის სურვილი, ერთგვარი ინტერპრეტირებული სახით წარმოაჩინოს მთავარი ტაძრის მომუსხველი სივრცითი ეფექტი (რომლის, ერთგვარი, განმსაზღვრელი ხალიჩისებურად გადავლებული ფერწერული დეკორიცაა) – დანაწევრებულობა და, იმავდროულად, მისი მთლიანობა-ერთიანობის შეგრძნება.

გარდა ამისა, საკურთხევლის მოხატვისას, ოსტატი, როგორც ჩანს, ნიმუშად იყენებს სწორედ უბისის ტაძრისთვის XIV საუკუნეში ბაბლაკ ლაშხიშვილის მიერ შეწირულ ხატებს. ამის დასტურია ის, რომ საკურთხევლის კომპოზიცია, იკონოგრაფიული თუ სტილისტური ნიშნებით, პირდაპირ პარალელებს პოულობს აღნიშნულ ხატებთან.

უბისის ვედრების ხატთა რიგი, ასევე, წელამდე გამოსახულ ფიგურებს შეიცავს და მათგან ღმრთისმშობლის გამოსახულება ჩვენს მიერ აღწერილი დედაღმრთისას ფიგურის მსგავსია (სურ. 17).

ხატზე წარმოდგენილი ღმრთისმშობელი ოქროს ფონზეა გამოსახული (ისევე, როგორც დანარჩენი ფიგურები). ჩვეულებისამებრ, მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული, ხელებგაწვდილი ფიგურა მთლიანად მოიცავს მოცემულ არეს, გარშემო დარჩენილი ფონიც კი მის უკეთ აღქმას უწყობს ხელს. აქ ჩვენ ვხედავთ ღმრთისმშობლის წაგრძელებულ, თხელ სილუეტს – მოგრძო სახის ოვალით, გრძელი კისრისა და დავარდნილი მხრების გამოსახვით რომ წარმოგვიდგენს ოსტატი. ხატზე აღბეჭდილი სახისა და კისრის მოხაზულობასაც თხელი კონტური შემოწერს. წარბები სქლად გადარჩალული ყავისფრითაა შესრულებული, ხოლო პატარა მოკუმული ბაგეები (იდენტური ეგვეტერის ღმრთისმშობლის ბაგეებისა) – მკვეთრი წითლით. სახის ერთიან ოქროს ფონზე, მარცხენა თვალთან უპის მისანიშნებლად, სქელი თეთრი მონასმი იდება, მარჯვენა თვალთან კი – მოკლე წვრილი შტრიხი. დაწვებს ძალზე მკრთალი წითელი გადაპკრავს. ღმრთისმშობელს ძოწისფერი, წითელარშიაშემოყოლებული სამოსი მოსავს. ხატმწერი ფაქტი დამუშავებით ქმნის წმინდა ქალწულის კიდევ ერთ უნიკალურ სახეს – გაწონასწორებულს, მშვიდსა და, ამავე დროს, მწუხარეს.

მსგავსება ხატზე გამოსახულსა და ეგვეტერის საკურთხევლის ღმრთისმშობელებს შორის, პირველ რიგში, ორივე ფიგურის წელამდე გადმოცემაში მჟღავნდება. ასევე, ფიგურათა განთავსების პრინციპით, სილუეტის მოხაზულობის აბრისით, მოძრაობისა და ნახატის საერთო ხასიათით, ეს ფიგურები იდენტურია. აღსანიშნავია ორივე ფიგურის მსგავსი ძოწისფერი წითელარშიაშემოყოლებული სამოსი, ხატის მსგავსად, ეკვდერის შემთვევაში, მოსახატ არეში ფიგურის „გაჭედვა“ (იგულისხმება შარავანდის მიბჯენა საკურთხევლის კედლის მოხაზულობაზე). დამუშავების მხრივ კი ამ ორ გამოსახულებას შორის მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ხატისთვის დამახასიათებელ წერის მრავალშრიან მანერას ვხვდებით: უბისის

ხატის მსგავსად, ეგვტერის ღმრთისმშობლის სახის ნაკვთები თანდათანობით სხვადასხვა ფერის დაშრევებით „იძერწება”, თუმცა, არსებობს განსხვავებაც: ეგვტერის ოსტატის პალიტრა შედარებით უფრო მრავალფეროვანია, ხატზე კი ნაკლები ფერია გამოყენებული. ამგვარად, მრავალშრიანი წერის მანერა, რომელიც წინა ეპოქებში მხოლოდ ხატებისთვის იყო დამახასიათებელი, პალეოლითურისთა ხანაში კედლის მხატვრობაში შემოიჭრა.

ჩვენთვის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს, ასევე, ხატზერის პრინციპით შესრულებული ალავერდის კონქის კომპოზიციის ფიგურები, მათ შორის – ღმრთისმშობლის გამოსახულებაც, რომელიც შესრულების მანერითა თუ სხვა ნიშნებით ახლოს დგას ეგვტერის ღმრთისმშობელთან.

ალავერდის კონქში ფიგურათა სახეების (აქ წარმოდგენილია კვიპროსის ტიპის ღმრთისმშობელი, ყრმა იქსო და ანგელოზი) დამუშავება შემდეგნაირია: სახის ტონი „მუქი ოქრისია; სახის ოვალი, ნაკვთები გაუხეშებულია, ჩრდილები მომწვანო ყავისფერია, თეთრი მონასმები ძალზე გათხელდა და სიცოცხლე დაჰკარგა, ეს აღარად დაძაბული, მოუსვენარი მონასმები... ყველა ხაზი წვრილი და მშვიდია... ფერები თითქოს შერეულია ერთანერთში”²⁷. წერის მეტად რბილი მანერით შესრულებულ სახეებზე ფერები ერთმანეთში ნელ-ნელა, შელდგობის პრინციპით, გადადის, ზუსტად ისევე, როგორც ამას უბისის ეკვდერის ღმრთისმშობლის შემთხვევაში ვხედავთ. ეს დახასიათება უფლებას გვაძლევს, ალავერდის საკონქო კომპოზიცია და ეგვტერის ღმრთისმშობელის გამოსახულება ერთ ქრონოლოგიურ საზღვრებში მოვაქციოთ. ალავერდის ეს მხატვრობა კი, ისტორიული ცნობების საფუძველზე, XV საუკუნის დასასრულით არის დათარიღებული და მას, სტილის ევოლუციის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარების ხაზში.

მოსაზრებას, რომ ჩვენი ეგვტერის მოხატულობა XVI საუკუნეზე აღრეა შესრულებული, კიდევ უფრო ამყარებს ეგვტერის მოხატულობის შედარება ანანაურის XV საუკუნით დათარიღებულ მხატვრობასთან. ეგვტერში შემორჩენილი სიუჟეტთა მინიატურული ზომები. ის ასიმეტრიულობა, ასე თვალშისაცემად რომ გამოიხატა შუა თაღს ზემოთ განვითარებული რეგისტრით, ანანაურის მხატვრობის სისტემას მოგვაგონებს.

ამრიგად, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, უბისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვტერის მოხატულობა XV საუკუნით (საუკუნის ბოლოთი) განისაზღვროს. საქართველოში ამ პერიოდში შესრულებული კედლის მხატვრობა ძალზე ცოტაა შემორჩენილი (ნაბახტევი, ანანაური, ალავერდის საკურთხევლის კომპოზიცია), ამდენად მათ გვერდით ეგვტერის მოხატულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.


27 ი. ლოროქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973, გვ. 68.

Nino Kopadze


Mural Decoration of the South-East Annex of Ubisi Monastery Church

In Ubisi monastery church (Imereti, western Georgia), apart from the remarkable 14th c. frescos in the main space, mural decoration is also preserved in a minor south-east annex (presumably, a burial chapel). Murals are severely fragmented: east, rectangular wall (the annex has neither apse, nor the conch) bears a half-figure Deesis (preserved is the image of the Virgin), presumably, with the Angels; lower tier seems likely to be occupied by the sequence of half-figures. Holy Bishops, arranged in sequences, were depicted on the longitudinal walls – images of St. Basil the Great and of St. Gregory the Theologian are preserved on the north wall. Preserved scenes of the life cycle of St. George (Healing of the Blind, which, according to St. John Chrysostom, indicates recovering of the bodily and spiritual sight and St. George Brought to Diocletian's Judgement) were arranged not in horizontal tiers, but unfolded “arch-like” over opposite walls. Middle arch bore images of Female Saints. Next to them, a trapezoid shaped Heaven with red and white eight-leaved stars was depicted; shape and colouring of the stars are indicative of the eternity (eight is the number of eternity, white is the colour of Light and red is the colour of the Divine Fire), which contributes to the eschatological meaning of this image. Thus, despite damage, it is obvious that the general concept of murals comprised the ideas of Intercession and of the true Christian life exemplified by St. George.


In terms of artistic treatment, the annex murals follow the example of the mural decoration in the main space, both in the selection of images and general disposition of scenes. The Virgin from Deesis shows affinity with icon of the Virgin (14th c.) donated to Ubisi by Bablak Lashkhishvili; similarity is discernible in the attitude and facial type of the image, as well as in the modelling specific for icon painting. On the other hand, also icon-like is the image of the Virgin in the 15th c. apse murals of Alaverdi cathedral. This, as well as certain similarity with the 15th c. Ananauri murals in Vardzia, makes it possible to propose that Ubisi annex murals were made in late 15th c.




ნახ. 1. უბისა. სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვეტერი. ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი. სქემა




ნახ. 2. უბისა. სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვეტერი. სამხრეთ-დასავლეთი კედელი. სქემა



სურ. 1. უბისა. ეგვიპტი. საკურთხეველი




სურ. 2. უბისა. ეგვიპტი.
სამხრეთ-დასავლეთით არსებული სამარხი



სურ. 3. უბისა. ეგვიპტი. საკურთხეველი



სურ. 4. უბისა. საკურთხეველი. დმრთისმშობელი.
ფრაგმენტი




სურ. 5. უბისა. ჩრდილოეთი კედლის აღმო-
სავლეთი თაღი. წმ. მამათა ფიგურები



სურ. 6. უბისა. ჩრდილო-აღმოსავლეთ თაღს ზემოთ განვითარებული
რეგისტრი. წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი ციკლი



სურ. 7. უბისა. ქამარის შუა არე.
ორნამენტული ფრიზი



სურ. 8. უბისა. ჩრდილო-აღმოსაფ-
ლეთი კედელი. წმ. გიორგის სას-
წაულის სცენა (ბრმის განკურნება)




სურ. 9. უბისა. წმ. გიორგი.
დეტალი ბრმის განკურნების
სცენიდან



სურ. 10. უბისა. ბრძოლის განკურნების
სცენა. ფრაგმენტი (ნ. გუპრაშვილის
ფოტო)



სურ. 11. უბისა. ჩრდილო-აღმოსავლეთი
კამარა. წმ. გიორგი
დიოგლეტიანეს წინაშე



სურ. 12. უბისა. ბრძოლის განკურნების
სცენის აღმნიშვნელი წარწერა



სურ. 13. უბისა. ჩრდილოეთი კედელი.
წმ. დედები



სურ. 14. უბისა. ჩრდილოეთი კედელი.
წმ. დედა, დეტალი



სურ. 15. უბისა. მოხატულობის შუა თაღს
ზემოთ განვითარებული რეგისტრი



სურ. 16. უბისა. მოხატულობის შუა თაღს
ზემოთ განვითარებული რეგისტრი



სურ. 17. უბისა.
ღმრთისმშობელი. ფერწერული ხატი

ქართველოლოგიური სახლი

მამაწმინდის ეკლესიის საქტიტორო წარწერა (ახალი მასალა კლარჯეთის ეპიგრაფიკიდან)

მამაწმინდის ეკლესია, გამორჩეული როგორც ტაო-კლარჯეთის მოგვიანო პერიოდის გუმბათოვანი არქიტექტურის იშვიათ ნიმუშთაგანი, მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ნიგალის ხეობაში, თანამედროვე ადმინისტრირებით – ართვინის მხარეში (იღმი), ბორჩხის რაიონის (იღჩხე) სოფელ იბრიქლიში. ქართველებით დასახლებული სოფლის ძველი სახელწოდებაა ებრიკა.¹ ადგილობრივები უბანს ტაძრის სახელწოდებით – „მარმაწმინდა“ მოიხსენიებენ.²

ტაძარი მთლიანად მოხატული ყოფილა. დღეისათვის მხატვრობა ძალზე დაზიანებულია, თუმცა სცენები და გამოსახულებები ჯერ კიდევ ბევრან განირჩევა.³ მათ ქართულ და ბერძნულ ენებზე არაერთი განმარტებითი წარწერა ამკობს.

ეს პატარა და კოპტია ეკლესია, ერთი მხრივ იმის გამო, რომ მოშორებითაა კლარჯეთის ცნობილი სავანებიდან, მეორე მხრივ კი ალბათ იმიტომ, რომ გვიანი (XV-XVI სს.) პერიოდისაა, შედარებით ნაკლებად ექვევა ხოლმე მკვლევართა ყურადღების არეალში. 2005 წელს ამ ნაკლებად შესწავლილი ძეგლით ხელოვნებათმცოდნე ნატო გენგიური დაინტერესდა და წიგნში ცალკე პარაგრაფიც დაუთმო.⁴ აღმოჩნდა, რომ მამაწმინდის ინტერიერში ისტორიული შინაარსის წარწერაც ყოფილა. იგი, ერთ-ერთი ფრაგმენტის ფერად ფოტოსთან⁵ ერთად, პირველად სწორედ ამ ნაშრომში გამოქვეყნდა (წარწერის ფრაგმენტები ფოტოების მიხედვით წაიკითხა გიორგი გაგოშიძემ).⁶

1 თურქულად „იბრიქ“ არის სურა, შესაბამისად, İbrikli „სურიანს“, „სურებიან ადგილს“ ნიშნავს. შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ სოფელი ჭურჭლის დამზადებით იყო განთქმული და სახელიც აქედან მიიღო, თუმცა ტაო-კლარჯეთის ხელოვნერად შექმნილი თანამედროვე ტოპონიმის კვალობაზე, აქაც უნდა ვიზუალო, რომ ახალი სახელი უბრალოდ ძველი, ისტორიული ქარიერის ხელოვნერი გადააზრების შედეგია.

2 მარმაწმინდა-მამაწმინდის ურთიერთმიმართების შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ.

დღეისათვის „მარმაწმინდა“ სოფლის უბანს, ზოგადად ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას ეწოდება, უშუალოდ ტაძარს კი უბრალოდ „ქილისევდ“ (თურქ. ეკლესია) მოიხსენიებენ, თუმცა თანამედროვეებს ახსოვთ, რომ უწინ ძველი თაობის წარმომადგენლები ტაძარს „ეკლესიას“ ეძახდნენ (ინფორმაციი – აღი ქემალ ათამანი, 47 წლის, 19 ნოემბერი, 2012 წ.).

3 სამწუხაროდ, ეკლესიის მხატვრობა დღემდე შეუსწავლელია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უსხლოეს მომავალში თურქი ხელოვნებათმცოდნე ფაპრიე ბაირამი ამზადებს სპეციალურ ნაშრომს ამ მხატვრობის შესახებ.

4 ნ. გენგიური, კუპელპალე, თბ., 2005, გვ. 64-69.

5 გადაღებულია ხელოვნებათმცოდნე ირინე გივაშვილის მიერ 2004 წლის 15 აგვისტოს.

6 ნ. გენგიური, გვ. 65-67. როგორც ქვემოთ დავინახავთ, წარწერის პუბლიკაცია არასრულია და შეცდომებსაც შეიცავს, რაც იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტის ამომკითხველს მხოლოდ ძალზე დაზიანებული ეპიგრაფიკული ძეგლის მხოლოდ ფოტოები ჰქონდა, სრულიად ბუნებრივია.

აღნიშნული წარწერა პირველად 2011 წლის 23 ნოემბერს ვნახე და გადატირდა ერთი წლის შემდეგ, 2012 წლის 19 ნოემბერს, მამაწმინდას უკვე სპეციალურად, წარწერის ადგილზე შესწავლისა და პალეოგრაფიული პირის გადმოღების მიზნით ვესტუმრე.⁸

სამწუხაროდ, რომ ერთ დროს ვრცელი წარწერის დიდი ნაწილი უკვე განადგურებულია. მეორე მხრივ, საბედნიეროდ, მოხერხდა იმ დროსთვის შემორჩენილი ნაწილის პალეოგრაფიული პირის გადმოღება და არსებული ფრაგმენტების თითქმის სრულად გაშიგვრა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ძალზე ნაკლულია, გაირკვა, რომ წარწერა ძეგლის ისტორიისთვის ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.⁹

მდებარეობა

ეკლესიის გუმბათი 4 შვერილს ეყრდნობა. ჩვენი წარწერა მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ შვერილისა და სამხრეთი კედლის მიერ შექმნილ კუთხეში. ტექსტი ნაწერი იყო ნაწილებად და თითოეული ნაწილი წითელი სქელი კანტით ცალ-ცალკე იყო მოჩარჩოებული. როი ნაწილი მდებარეობს აღმოსავლეთით (ანუ შვერილის დასავლეთ კედლებზე), სამი კი მის გაყოლებაზე – ტაძრის სამხრეთ კედელზე იყო ნაწერი.

თავდაპირველად ისე ჩანს, თითქოს ეს ფრაგმენტები ცალ-ცალკე წარწერებია, თუმცა ტექსტის შემორჩენილი ნაწილის გაშიგვრის შემდეგ გამოჩნდა, რომ ეს ერთიანი პროგრამის მქონე ტექსტია, დიდი მოცულობისა და მოხსენიებულ პირთა განსხვავებული როლების გამო შესაბამის სეგმენტებად დანაწევრებული.

დღეისათვის მეტნაკლებად განირჩევა 4 ნაწილი. ბოლო ორ ნაწილს შორის ცარიელი ადგილია – დაახლოებით იმხელავე, რა ზომისაც ეს ნაწილებია. უჩვეულო იქნებოდა, წარწერის სეგმენტებს შორის მხოლოდ აქ გაეკეთებინათ წყვეტა და წითელი ზოლებით მოჩარჩოებული არე ასე ცარიელი დაეტოვებინათ. მართლაც, თუკი კარგად დავაკვირდებით, „ცარიელ ადგილზე“ აქა-იქ წითელი სადებავისა და ხელოვნური დაზიანების კვალს აღმოვაჩენთ. თუმცა ეს დაზიანება არ ჰგავს ჩვენი წარწერის სხვა, თანამედროვე დაზიანებებს¹⁰ – წარწერა

7 ექსპედიციის წევრები: გიორგი არევაძე, ლიზი ვაჩანაძე, ლევან თაქთაქიშვილი, ბუბა პუდავა, მირიან მახარაძე, რამაზ ობოლაძე.

8 ექსპედიციის წევრები: ბაქურ გელაშვილი, ტარიელ გვალია, ბუბა კუდავა. ბალზე დაზიანებული წარწერის კელევასა და ასლის გადმოღებას საქმაო დრო – დაახლოებით 7 სთ დასტირდა. მსურს მადლობა გადაგუხადო მეგობრებსა და კოლეგებს გაწეული დახმარებისთვის.

9 დიდ მადლობას ვუხდი ხელოვნებათმცოდნებს – ნატო გენგიურს, ირნე გივიაშვილსა და ნინო ბაგრატიონს მათ ხელთ არსებული ფოტოებისა და ზეპირი ინფორმაციის მოწოდებისათვის. მონაცემების დადარებით გაირკვა, რომ წარწერის მნიშვნელოვანი ნაწილები მამაწმინდაში ირნე გივიაშვილისა და ნინო ბაგრატიონის ექსპედიციასა და ჩემს ექსპედიციას შორის შეაღედში განადგურებულა, რაც ერთი ასად ზრდის კოლეგების მიერ გადაღებული ფოტოების მნიშვნელობას ისტორიისთვის. როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, რომ არა მათი მონაცემები, XXI საუკუნემდე მოღწეული მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამუდამოდ დაიკარგებოდა.

10 დღევანდველი დაზიანებები გაცილებით უხეშად არის ხოლმე მიყენებული. შედეგად, ასეთ ადგილებში ჩამოცვენილია შედესილობა, ამოტებილია ცალკეული მონაკვეთები. როგორც წესი, თანამედროვე ვანდალები შერჩევით არ ანადგურებენ ტექსტის რომელიმე მონაკვეთს, მით უფრო – ფაქტად.

საგანგებოდ, ასო-ასო არის ამოშლილი, ისე, რომ ამით შეღესილობა ნაკლებად დაზარალებულიყო. ჩანს, წარწერა ძველ დროშივე, მისი გაკეთებიდან არცოუ შორ პერიოდში მოშალეს – მაშინ, როცა ტექსტის წაკითხვა ადგილობრივებს ჯერ კიდევ შეეძლოთ და წარწერის შინაარსი მათთვის კვლავ აქტუალური იყო.

გამოდის, წარწერა თავდაპირველი 5-ნაწილიანი იყო. ამაზე დამატებით მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბოლო ნაწილის შემდეგ, მარჯვნივ, გვხვდება სწორი ხაზებით გაფორმებული „ფარდა“. შესაბამისად, მის მარცხენა მოჩარჩოებასაც ცარიელს კი არ დატოვებდნენ, არამედ ასეთივე „ფარდას“ გამოსახავდნენ, თუკი მას წარწერისთვის არ გამოიყენებდნენ.

აღწერილობა

ასომთავრული. 32 სტრიქონი (ნაწილების მიხედვით – 8, 11, 4, 4 და 5 სტრიქონი).¹¹ დღეისათვის უსწორმასწორო და მრავალჯერ გადათხრილი მიწის იატაკიდან წარწერა დაახლ. 30 სმ-ით არის დაცილებული. რთული სათქმელია, რამდენი უნდა აშორებდეს მას თავდაპირველი იატაკის დონიდან (სავარაუდოდ, დაახლ. 1 მ). ლოგიკურად, ტექსტის გარკვეული ნაწილები საშუალოდ ადამიანის სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო. წარწერის მაქსიმალური სიმაღლე დღეს 105 სმ-ია (I ნაწილის ზემოთა შემორჩენილი აღგილის). წარწერის არსებული ნაწილების ზომები პალეოგრაფიული პირის გადმოდების მომენტისათვის: 84 x 87 სმ (ყველა ნაწილი ერთად), 22 x 31 სმ (I ნაწილი)¹², 55 x 47 სმ (II ნაწილი), 28 x 23 სმ (III ნაწილი). დღეისათვის განადგურებული IV და V ნაწილების ზუსტი ზომები არა გვაქს, თუმცა ფოტოების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ისინი დაახლოებით ერთი და იგივე სიგანისა იყო (III ნაწილზე ოდნავ ვიწრო). IV ნაწილის სიმაღლე III-ის შესაბამისი უნდა ყოფილიყო, V ნაწილი კი უფრო ჩამოგრძელებული ჩანს.

გრაფეტების ზომები: 0,8 სმ (ა, დ-ში ჩაწერილი, II ნაწილი) – 5,5 სმ (გ, II ნაწილი; გ, III ნაწილი; გ, ნ, V ნაწილი). ფოტოდან ჩანს, რომ მაქსიმალური, დაახლ. 7-8 სმ სიმაღლისა იქნებოდა V წარწერის აწ განადგურებული საწყისი გრაფეტა – გ.

ნაწერია ბათქაშზე წითელი საღებავით. ფონი: მწვანე, ჭაობისფერი (I ნაწილი); ჩალისფერი (II-V). ქარაგმის ნიშანი (გვხვდება სულ რამდენიმე ადგილას): განივი, სწორი, ბოლოებწახრილი ხაზი ან რკალი, ხან მუცლით ქვემოთ, ხან კი პირიქით (ჩანს, ტექსტი ძირითადად დაუქარაგმებლად იყო ნაწერი – ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაა წარწერა ასე ვრცელი). განკვეთილობის ნიშნები: სამწერტილი (ძირითადად) და ორწერტილი. ოსტატს V ნაწილის ბოლოს განსხვავებული ნიშანი აქვს დასმული – ორწერტილი და ტირე, რითაც აღბათ ხაზგასმულია, რომ აქ საერთო ტექსტის დასასრულია.

ნაწერია ერთი ხელით. ნაწილები შესრულებული უნდა იყოს ერთი და იგივე დროს.

¹¹ ვინაიდან დასაწყისი დაზიანებულია, უცნობია თუ რამდენი სტრიქონი იყო თავდაპირველი და I ნაწილში.

¹² რთულია თქმა, სადამდე გრძელდებოდა მარცხენივ ტექსტი, თუმცა I ნაწილის ტექსტის ბოლო სიტყვების განლაგებიდან ის კი ჩანს, რომ I ნაწილი II-ზე ვიწრო იყო. ცალ-ცალკე წარწერების შემთხვევაში მოცემულია უშუალოდ ტექსტის ზომები, ჩარჩოების გარეშე.

დაცულობა

წარწერა ძალიან არის დაზიანებული. I ნაწილში დარჩენილია მარჯვენა მხარე, ქვემოთ – უფრო მეტად. დაკარგულია II ნაწილის მარცხენა და შუაბული ადგილები. III ნაწილი თითქმის სრულადაა შემორჩენილი, თუმცა ალაგ-ალაგ გრაფემები ძალზე დაზიანებულია. როგორც ითქვა, წარწერას ჰქონია IV და V ნაწილებიც, რომელებიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს (შემორჩენილია მხოლოდ V ნაწილის ქვედა კიდე).¹³ ირინე გივიაშვილისა და ნინო ბაგრატიონის მიერ გადაღებული ფოტოებიდან ჩანს, რომ V ნაწილი (აგრეთვე II ნაწილის ზედა მარცხენა მონაკვეთი) გაუნადგურებიათ 2004-2007 წლებს შორის.¹⁴

დაზიანებისა და განადგურების მიზეზებს შორის არის ობიექტური ფაქტორები (ზემოდან წყლის ჩამოდინება, ზოგადად სინებები),¹⁵ თუმცა, ჩანს, წარწერა ადგილ-ადგილ საგანგებოდაც არის დაზიანებული. მაგალითად, ეჭვებარეშეა, რომ V ნაწილი სკეციალურადაა ჩამოთლილი.¹⁶

დათარიღება

წარწერა მოხატულობის თანადროულია. სამწუხაროდ, განადგურების პირას მდგარი მოხატულობა დღემდე არ გამხდარა სკეციალური შესწავლის საგანი, თუმცა სავარაუდებელია, რომ ტაბარი აგებისთანავე მოიხატა (ამაზე უნდა მეტყველებდეს წარწერის საქტიტორო შინაარსიც). შესაბამისად, ჩვენი ვრცელი წარწერა XVI-XVII საუკუნეებისა უნდა იყოს.¹⁷ ამგვარ დათარიღებას მხარს უჭერს მკვეთრად გამოხატული, ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ნიშნებიც.

ხელოვნებათმცოდნე ზაზა სხირტლაძის დაკვირვებით, მამაწმინდის ე. ვ. „ხალხური ნაკადის“ მხატვრობა XVI საუკუნისა უნდა იყოს.¹⁸ თუ გავითვალისწინებთ

13 ფოტო და წაკითხვა („და მისა მეუღლესა ბაბიძესა .. არ ..“) იხ.: ნ. გენგოური, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

14 ფოტოები გადაღებულია 2004 წლის 15 აგვისტოს (ი. გივიაშვილი) და 2007 წლის 11 აგვისტოს (ი. გივიაშვილი, ნ. ბაგრატიონი). 2007 წლის ფოტოებზე დარჩენილია V ნაწილის მხოლოდ ქვემო მონაკვეთი – ბოლო სტრიქონი და ბოლოსწინა სტრიქონის გრაფემების დაღლოვებები. ეს გადარჩენილი ნაწილი, სინესტისა და დასვრილი ზედაპირის გამო, ძნელი შესამჩნევია, რის გამოც 2011-2012 წლებში ადგილზე ვერ შევნიშნე. მოვგიანებით, გრაფემები გავარჩიე ი. გივიაშვილის ფოტოზე. ვინაიდან ასოები ამ უკანასკნელზეც არ ჩანს მკაფიოდ და სრულად, მათი გადაღება ადგილობრივ ქართველს – სონერ ონებლიქს ვთხოვე. მან 2016 წლის აგვისტო-სექტემბერში გადაიღო და გამომიგზავნა წარწერის V ნაწილის შემორჩენილი ფრაგმენტის კარგი ფოტოები, რისთვისაც დიდ მაღლობას ვუხდი. ფოტოებმა საშუალება მოგცა დაგვესრულებინა ამ ნაწილის გრაფიკული ვერსიის შექმნა.

15 იმ კედლებს, რომლებზეც წარწერაა შესრულებული, გარედან მიწა ებჯინება. დიდწილად მიწაში ჩავლულ ტაბარში სამხრეთ ფერდობიდან წალი ჩავდინება და დროდადრო ინტერიერში განხილვის მიზანით გადამიტებულია მიერ ამოთხრილ რომელში გროვდება.

16 ამგვარ ქმედებებს ხშირად ოქროსმაძიებლები ხსადიან, რომელთაც ურქვევად სჯერათ, რომ ყოველი ნიშნული დეტალი (წექტურთმა, წარწერა...) განისაზღვრება მინიშნებაა. ადგილზე ჩანს, რომ წარწერის ამ ნაწილის ჩამოთლის შემდეგ კედლის გამოჩინებაც დაუწყიათ.

17 ამ პერიოდით განსაზღვრავენ მეცნიერების ტაძრის აგებას: XV ს-ის ბოლო ან XVI ს-ის დასაწყისი (ნ. გენგოური, დასახ. ნაშრ., გვ. 69); XVI ს. (А. Павлинов, Экспедиция на Кавказ 1888 года, Материалы по археологии Кавказа, Вып. III, М., 1893, გვ. 58-59; დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005, გვ. 223).

18 აღნიშნული მოხაზრება მან ზეპირად გამიზიარა.

რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ეს ქრონოლოგიური ჩარჩო მოწყობით გადასცემის შემცირდება. XVI საუკუნის შუა წლებიდან სამცხე-საათაბაგოს ოსმალები იპყრობენ. მართალია, საეკლესიო კერძების ნაწილი ამის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, მაგრამ გამორიცხულია, ამ პერიოდში ტაძრის აგება ან მისი მოხატვა ვივარაუდოთ. შესაბამისად, ჩვენი წარწერა შეგვიძლია XVI საუკუნის პირველი ნახევრით დაგათარიფოთ.

ტექსტი¹⁹

I ნაწილი: ²⁰

- | | |
|------------|---------------------|
| 1) | რთ |
| 2) | თა |
| 3) | რლარ |
| 4) | ნ |
| 5) | [გაუმა] რ ჯოს |
| 6) | რდ |
| 7) | სიმთ[ე]ლით: შეიწ- |
| 8) [ყალენ] | დ(მერთმა)ნ: და ძეთა |

- 19 ჩემ მიერ გადმოდებული პალეოგრაფიული პირის საფუძველზე გრაფიკული მონახაზი კომპიუტერულად დამტებავა ვიოლა ტელუშმა. 2012 წლისთვის უკვე განვითარებული ან დაზიანებული ადგილები (II ნაწილის ზედა მარცხნა გრაფემები, III ნაწილის რამდენიმე ასო, V ნაწილის მთავარი ტექსტი) შეიცხო ი. გივიაშვილის 2004 წლის ფოტოების მიხედვით. III ნაწილის ცალკეული ადგილების დაზუსტებას და V ნაწილის ბოლო მონაკვეთის გამოხაზვაში დახმარება გაგვიწია ს. ოზელიძის 2016 წლის ფოტოებმა.
- 20 ამ ნაწილის ტექსტი არ არის მოყვანილი პირველ პუბლიკაციაში (6. გენგიური, დასახ. ნაშრ., გვ. 65, 67).
- 21 ვინაიდან სტრიქონში შემორჩენილი პირველი გრაფემის მარცხნა ნაწილი აღარ ჩანს, დასაშვებია „ზარ“ წაკითხვაც.
- 22 გადარჩენილი პატარა ხაზი ჯ-ს წინ შესაძლოა სწორედ რ-ს მარჯვნივ დაშვებული კუდის ნაწილი ყოფილიყო. ასეც რომ არ იყოს, ვფიქრობ, სიტყვის აღდგენა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.
- 23 დ-ს წინ 3-4 გრაფემის ქვედა ნაწილები ჩანს, მაგრამ, სამუშაროდ, მხოლოდ ამ შვერილი ხაზების მიხედვით ტექსტის აღდგენა შეუძლებელია.
- 24 ამ ადგილიდან ირკვევა, რომ წარწერა იმდენით გრძელდებოდა მარცხნივ, რამდენიც ამ 5 გრაფემის დაწერას დაჭირდებოდა. გამოდის, რომ შემდგომი ნაწილისგან განსხვავდით და სხვა ნაწილების მსგავსად, I ნაწილიც ვიწრო იყო.
- 25 ყველა სხვა ნაწილისგან განსხვავდით, I ნაწილი შინაარსობრივად არასრულია და ტექსტი II ნაწილშიც გრძელდება.

II ნაწილი: ²⁶

- 1) [შ(ეუნდვ)ნეს ღ(მერთმან):]²⁷ [სახელითა მამისა და] ლპისა: იქსვ
- 2) [ქრისტესითა] [დ]რა: დამბადვ-
- 3) [ბეჭდისა] :: და ყოვლაწმინ-²⁸
- 4) [დისა დმრთისმშობელისა] [და წმინ]დისა მარინ-
- 5) [ასითა]²⁹ [აღვა][შენე]³⁰ ლთ: უდაბნო³¹
- 6) ლურესა:³² მა-
- 7) წებისა{თ}ვის: და გამ-
- 8) [არჯვებისათვის] წარწელმისა: და
- 9) წერწერ წერე წს[ა] წერილსა: გულმანა შ(ეიწყალე)ნ
- 10) და ძეთა: წ(ეუნდვ)ნეს ღ(მერთმან): ამინ და კო-
- 11) რიალესონ:

III ნაწილი: ³³

- 1) და ამისა მოუ-
- 2) რაგსა: პალტა-

26 წაკითხვა პირველი პუბლიკაციის მიხედვით: „1) ... ძისა 2) ... დამბადვ 3) ... და ყოვლაწმინ(ის) 4) ... დისა მარია 5) ... უდაბნო 6) ... ნოესა: მა 7) .. ბისავის: და გამ 8) .. დულმისა: და 9) .. გულმანაწო(ნ) 10) . შ(ეუნდვენ)ნეს ღ(მერთმან): ამინ და“; ამ ტექსტის სხვა ნაწილი ცალკე ფრაგმენტებით მიჩნეული: „1) ... 2) მეცხედრ(ე) 3) და ძეთა შ(ეუნდვ)ნ 4) რისალეს .. ??“ (ნ. გენგიური, დასახ. ნაშრ., გვ. 65, 67. აქც და ქვემოთაც წაითხება გ. გაგოშიძისა).

27 ეს ადგილი ადდგენილია ქვედა ტექსტის ანალოგით, სადაც იგივე ძენი უნდა ისხენიებოდნენ.

28 საგულისხმოა, რომ ამ სიტყვაში გეხვდება მოგვიანო პერიოდისთვის დამახასიათებელი „წმინდა“ და არა ძელი და ტრადიციული „წმიდა“. შედრ. უბნისა და ტაძრის სახელი ადგილობრივთა მიხედვით: „მარმაწმინდა“.

29 ძველ წყაროებში გეხვდება „მარინა“ ფორმა და შესაბამისად, ტექსტიც ასე გვაქს აღდგენილი, შედრ.: დმანისის წმ. მარინეს სახელობის ქლესის 1702 წლის წარწერა: „ ... საყდარი ესე წ(მიდო)ს მარინასია ... “ (წარწერის ფოტო იხ.: ქართული დამწერლობა და ტიპოგრაფია. ისტორია, თანამედროვეობა, თბ., 2016).

30 ვარ.: „განვასრულეთ“. ნებისმიერი ასეთი ადდგენა, რა თქმა უნდა, საოურა, თუმცა სიტყვა „უდაბნო“ და ტექსტის საერთო საქტიტორო სასიათო მსგავს რეკონსტრუქციებს დასაშვებს ხდის.

31 ამ და მომდევნო სტრიქონში, განადგურებულ მარცხენა ნაწილში, ჩანს 2-3 გრაფემის კვალი. სამწერების ფრაგმენტები არ იძლევა ასოების ამოკითხვის საშუალებას. თუმცა ისეა დაშორებული ტექსტის, რომ ამოცნობის შემთხვევაშიც ვერ გაგვიწევდა დიდ დახმარებას.

32 ნ-ს წინ სავარაუდოდ ჟ-ს კუდი უნდა ჩანდეს.

33 წაკითხვა პირველი პუბლიკაციის მიხედვით: „1) და მისა მოუ 2) რაგსა საბა 3) ... ძე 4) შ(ეუნდვ)ნეს“ (ნ. გენგიური, დასახ. ნაშრ., გვ. 67).

3) ს_კ_ა_ ს_რ_ა_ გ_ა_ რ_ა_ [o] გ_ა_ გ_-³⁴

4) სა: შ(ე)ნდგ)ნეს [ღ(მერთმა)ნ:]

IV ნაწილი:³⁶

- 1) [ღა]
- 2)
- 3)
- 4)

V ნაწილი:³⁷

- 1) ღა ამისა
- 2) მე_ს_ე_ლ_ე_ს_ა
- 3) [გ_ო]_ბაბიძე_ს_ა³⁸

34 სახელის წინა წაკითხვა („საბა“) აშკარად არაა მართებული. პ-ს თავის მარცხნივ გაზიდული რეალი, რომელიც საბეჭინიეროდ ორივე შემთხვევაში გადარჩენილია, გვაძლევს სახელის სწორად ამოკითხვის საშუალებას. უკვე ეს დეტალი, რომელიც ფოტოზე შესაძლოა მნელი შესამჩნევი იყო, შეუძლებელს ხდის აქ ს-სა და პ-ს ამოკითხვას.

35 დასანანია, რომ მაინცდამაინც გვარის ადგილია ისე დაზიანებული, რომ ერთი შეხედვით დასაწყისი გრაფემისა (b) და ბოლოს (d) გარდა არაფერი იკითხება. თუმცა სხვადასხვა დროს გადადებულ ფოტოებზე სანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, კვიქრობ, შევძლი გვარის სწორად ადგვენა: მორუ ასო ა როგორად, მაგრამ მაინც განირჩევა; მესამე გრაფემის მორკალული თავი და უაში ვერტიკალური გამყოფი ხაზის გვალი ზემოთაც და ქვემოთაც ფ-ს გარდა სხვა ასოს ამოკითხვის საშუალებას ადარ გვიტოვებს; ამის შემდეგ მკეთრად გაზიდული რეალი სხვა ვერაფერი იქნება, თუ არა ა - ისევე ზემო ხაზზე „აგდებული“, როგორც იქვე, „პაპას“ ორივე პ-ს შემთხვევაში გვაქეს (დამატებით იმის თქმაც შეიძლება, რომ გვარი, დაწყებული „საგ“ კომბინაციით, აშკარად ხმოვანს ითხოვს გაგრძელებისთვის); შემდგომ ვერტიკალური ხაზი და მის ქვემოთ და მარცხნივ უმცირესი დეტალი ჩანს, რაც მხოლოდ პ-სა და რ-ს წაკითხვის საშუალებას იძლევა, თუმცა „საფა“-ს მერე უფრო ლოგიკურია სწორედ რ ვიგულისხმოთ; ამის მერე ერთი მოზრდილი ან ორი მომცრო გრაფემის ადგილია, სადაც შელესილობის ჩამოცვენის გამო ადარაფერი იკითხება. საბოლოოდ გვარს „საფარიძე“ ფორმით ვკითხულობ (დამატებითი მსჯელობა იხ. ქვემოთ).

36 გადაშლილ ადგილებზე დაკვირვება, მოჩარჩოებული ადგილის ზომები, აგრეთვე III და V ნაწილების ტექსტები აჩვენებს, რომ IV ნაწილში 4 სტრიქონი უნდა ყოფილიყო და ტექსტიც „და“ კავშირით დაწყებულიყო.

37 წაკითხვა პირველი პუბლიკაციის მიხედვით: „1) და მისა 2) მეუძღვესა 3) ბაბიძესა 4) .. არ ..“ (ნ. გენგიური, დასახ. ნაშრ., გვ. 67). როგორც აღვნიშნეთ, ეს ნაწილი ვაქტობრივად ადარ არსებობს. დარჩენილია მხოლოდ ბოლო სტრიქონი და ბოლოსწინა სტრიქონის ქვედა კიდეები. ტექსტი ადდგენილია ირინე გიგაშემილის 2004 წლისა და სონერ ოზელიქის 2016 წლის ფოტოების მიხედვით.

38 აქ სრულიად გარკვევით იკითხება გვარი „ბაბიძე“ (ასეა წაკითხული წარწერის პირველ ჰუბლიკაციაშიც). ასეთი გვარი არ გვხდება არც ჩვენთვის ცნობილ ძველ წყაროებსა და არც გვარ-სახელთა ონამედროვე ცნობარში (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997). თუმცა ჩემი დაუჭვება უფრო იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ „ბაბიძე“, სხვა სტრიქონების მსგავსად, არ იწყებოდა მარცხენა კიდიდან. ფოტოს მიხედვით დასაწყისში შელესილობა ჩამოცვენილი ჩანს. შესაბამისად, გვარს თავში უნდა აკლდეს 1-2

4) Гэта гэла кіраягі³⁹

5) Іх(е)ндоўзі) б (міртм)а) б :-

პალეოგრაფიული დახასიათება

Ўаражжерা არ არის შესრულებული გამორჩეული კალიგრაფიით და არც დიდი სიფაქіზით, თუმცა ჩანს, რომ ოსტატი კარგად ფლობს წერის ხელოვნებას. მისი დამწერი სხვა ჩანს და მხატვრობის განმარტებითი წარწერებისა – სხვა (ამ უკანასკნელს მხატვარივე უნდა ასრულებდეს). ჩვენი ტექსტი მეტი „თავისუფლებითაა“ ნაწერი, განმარტებით წარწერებს კი უფრო „ოფიციალური“ სახე აქვს.

წარწერის ძირითადი ნაწილი სრულადაა ნაწერი, დაქარაგმებულია მხოლოდ შეწყალება-შენდობასთან დაკავშირებული სტანდარტული ფორმულები. სრულად წერია ისეთი სიტყვებიც კი, რომლებიც ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად ქარაგმით არის მოცემული.

წერის თავისუფალ სტილზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე გრაფემა ხშირად სხვადასხვა სიმაღლისაა – გააჩნია, სად რა ზომისა დაჭირდა დამწერს. საერთო ჯამში, ასოები საშუალო სიმაღლისაა და მათ წაგრძელებული პროპორციები აქვს.

გრაფემათა ნაწილი სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა:

- ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასომთავრული ჟ უმთავრესად ორგვარად იწერება:
 - 1) თ-ს მარჯვნიდან ერთვის ჰ; 2) გამოიყენება მხოლოდ თ და კონტექსტის მიხედვით იკითხება ჟ. ჩვენი წარწერის შემთხვევაში ოსტატი თავისებურად

ასო, ჩემი აზრით – გ და თ. მხოლოდ ამ კომბინაციით მივიღებთ რეალურად არსებულ გვარს. მართლაც, „კიბაბიძე“ დასავლეთ საქართველოში მეტადგვე გავრცელებული გვარია (პირთა ანოტირებული დექსიონი, II, თბ., 1993, გვ. 508). თანამედროვე მონაცემებით, კიბაბიძე მცირე გვარია (156 სული). ცხოვრობენ მეტწილად რაჭასა და ქ'უთაისში (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 111). არ არის გამორიცხული, რომ „კიბაბიძე“ და „კიკაბიძე“ ერთი და იგივე გვარის სხვადასხვაგვარად წარმოთქმის შედეგად მიღებული ფორმები იყოს. ზემორე არგუმენტების გამო ნაკლებ სავარაუდებელია, თუმცა თეორიულად დასაშვებია ის ვერსიაც, რომ აქ „ბაბიძე“ იკითხებოდეს და მხოლოდ ეს სტრიქონი იყოს შეწევული მარჯვნივ.

39 ფოტოებიდან ჩანს, რომ ბოლო სტრიქონში 7 გრაფემა ყოფილა. სახელის ბოლო ნაწილი – „არას“ 2004 წლის ფოტოზე უპევ დაზიანებული იყო, თუმცა მისი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს. პირველი ასოსგან მხოლოდ ქ'ედა შეცლის ნაწილია დარჩენილი. მეორე გრაფემის ადგილას ა-ს სილუეტი იკვეთება. სახელის გაშიფვრისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს მესამე ასოს ამოკითხვას. მოუხედავად იმისა, რომ მისი ადგილი ფოტოზე ბუნებობა ჩანს და თანაც, ჯვრის მკლავები მთლად თანაბარიც არაა, აშკარაა, რომ ეს გრაფემა ჸ უნდა იყოს. სამწუხაროდ, წარწერაში სხვა ჸ არ გეხვდება და არა გვაქს შედარების საშუალება. კიდევ ერთი ასო, რომელიც ამ ადგილას შეიძლებოდა ამოგვეითხა, არის ჸ (თუკი ჩავთვლით, რომ დაზიანების გამო გრაფემას მარცხენა შეცემი და ზედა განივი ხაზები აკლია). ასეთ შემთხვევაში არათანაბარი მკლავების საკითხი ისხნება, თუმცა თუ ჩვენ გრაფემას წარწერაში შემორჩენილ ერთადერთ ჸ-ს შევადარებო, ვნახავთ, რომ ამ უკანასკნელს მარჯვნივ გაზიდული ხაზი საერთოდ არა აქვს და წესით არც უნდა ჰქონდეს. გამოდის, რომ მესამე ასო მართლაც ჸ გახლავო, „აქარას“ წინა, შეცლიანი ასო კი ლოგიკურად ზ გამოდის. თეორიულად დასაშვებია, „ზაქარას“ ნაცვლად აქ „მაქარა“ ან „მაკარა“ იკითხებოდეს, თუმცა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ზაქარას“ ვერსია უფრო დასაშვებია. ის, რომ გვიანდელ წარწერაში სახელი „ხალხური“ ფორმით გვხვდება და არა ტრადიციულით („ზაქარია“), არ უნდა იყოს გასაკირი.

განასხვავებს ამ ორ ასოს. თ-ს ფეხს მარჯვენა მხრის ნაცვლად მარცხნიშვილი მიმართავს, უ-ს კი გ-ს გარეშე წერს და მას ფეხი მარჯვნივ აქვს გაზიდული (რაც თ-სთვის უფრო ლოგიკური იქნებოდა). დამასასიათებელია აგრეთვე, რომ ორივე შემთხვევაში ასოს მოყვანილობა არა წრიული, არამედ სიმაღლეში ნესვისებრ წაგრძელებულია, ფეხი კი გვერდის ნაცვლად უშუალოდ ქვედა წაწვეტებული ადგილიდან გამოდის. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ფეხი ძალზე გამოხატულია და თითქმის მუცლის ზომას უტოლდება;

- ნესვისებური ფორმა აქვს თ-ს მუცელსაც;
- დ-ს მუცელი ხან მკვეთრად წრიულია, ხანაც – მსხლის ფორმისა. ოსტატი ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, დ-ს მუცელში ა-ს ათავსებს, თუმცა მხოლოდ მაშინ არა, როდესაც „და“ კავშირს წერს, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა ეს ორი ასო სხვა სიტყვაში ხვდება ერთმანეთს. გრაფემა დაწერილია როგორც მაღალი ყელით, ისე თითქმის უყელოდ. ზედა ხაზიც ნაირგვარია: ხან პორიზონტული და ბოლოწერტილოვანი, ხანაც ტალღოვანი;
- ა-ს ზედა ხაზი უგამონაკლისოდ დაშორებულია ქვედა რკალს. ის ხან სწორია, ხანაც – რკალისებური (გვხვდება როგორც ამობურცული, ისე ჩაზნექილი ვარიანტები). როცა ასო დ-ს მუცელში იწერება, ადგილის უკმარისობის გამო ზედა ხაზი ხანდახან საერთოდ გამქრალია. ზედა თავის გარეშე ა გრაფემა ერთგან, I ნაწილის ბოლოს, დამოუკიდებლადაც გვხვდება. რკალის ბოლოები ხშირად განივი ხაზით ან დამსხვილებით არის გაფორმებული;
- ნ-ს თავი მკვეთრად მორკალულია, ხშირად – მარჯვნივ და ქვემოთ წამოხრილიც;
- გრაფემებს, რომლებსაც ზედა ნაწილში მარცხნივ გაზიდული ხაზები უნდა ჰქონდეს, ჩვენს წარწერაში ეს ნაწილები აპრეხილი (გ, გ, გ, ი, ლ, მ) ან მკვეთრად მორკალული (ი, პ) აქვს (ოსტატი ი-ს ორგვარად წერს – ფართოდ ან ეკონომიურად, იმის შესაბამისად, თუ რამდენი აქვს ადგილი);
- მსგავსი რამ ემართება გრაფემების – ბ, გ, ხ – ქვემოთ და მარჯვნივ გაზიდულ ხაზებსაც.
- გრძლად გაზიდული ხაზით ძალზე სპეციფიკურია ერთადერთ ადგილას დაფიქსირებული ც;
- ჯ-ც მხოლოდ ერთგანაა და ისიც სახასიათოდაა ნაწერი: გრძელ განივ თავს ფეხები ერთად, მარჯვენა კუთხეში უერთდება;
- უცნაურად, ასომთავრულიდან ნუსხურში გარდამავალ ვერსიად გამოიყურება ერთხელ დადასტურებული გ.

ამ ნიშანთა ერთობლიობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს წარწერის გვიანდელობას და ამაგრებს ზემოთ მოცემულ თარიღს – XVI საუბუნის პირველ ნახევარს.

დასკვნები

მდებარეობიდან, მოცულობიდან და ფრაგმენტული ტექსტების შინაარსიდან იკვეთება, რომ წარწერა ისტორიული მნიშვნელობისა, კერძოდ კი საქტიტორო ხასიათისა უნდა იყოს. ჩანს, ტაბარი აშენებისთანავე მოიხატა და წარწერაც ტაბრის მშენებლობას უკავშირდება.

ტაო-კლარჯეთში ერთ-ერთი უკანასკნელი საეკლესიო მშენებლობის ქმიტო-რებად ჩანან ვინმე აგდულმა⁴⁰ და მისი ცოლი გულმანა⁴¹. წარწერა უსახელოდ იხსენიებს მათ ძებსაც (არ არის გამორიცხული, რომ სრულ ტექსტში სადღაც სახელებიც ყოფილიყო). მოხსენიებულია აგრეთვე მოურავი პაპა საფარიძე,⁴² რომელიც საკუთრივ მშენებლობის პროცესის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო (ოშკის ცნობილი წარწერის ტერმინოლოგიით – „საქმესა ზედა მდგომი“).

ირკვევა, რომ წარწერის დღეისათვის განადგურებული V მონაკვეთი, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ ირინე გივიაშვილის მიერ გადადებული ერთადერთი ფოტოთი შემორჩა ისტორიას, ინახავდა ფრიად ფასეულ ინფორმაციას მამაწმინდის ეკლესიის ისტორიისათვის. უდავოდ ტაბრის ხუროთმოძღვარს უნდა გულისხმობდეს აქ ტერმინი „მეხელე“⁴³ მართალია, წარწერის ეს ადგილიც ნაკლულია, მაგრამ, ვფიქრობ, სახელი სწორად მაქვს ადდგენილი – ზაქარა კიბაბიძე⁴⁴.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის ძირითადი მნიშვნელობა

40 სახელის სწორი და თავდაპირველი ფორმა „აბდულმა“ უნდა ყოფილიყო. შდრ. სახელები: აბდულა, აბდულმესი, აბესალმა.

41 შდრ.: შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული, „გულ“-ით დაწყებული არაერთი ქალის სახელი – გულსურაბ, გულტაბილისა, გულტან, გულშარ...

42 წარწერის აშესაბამის ადგილას არსებული დაზიანების გამო რამდენიმე ვარიანტის აღდგენაა შესაძლებელი: „საფარაძე“, „საფარიძე“ (დიდი ზომის არც ა და არც ი არ არის უცხო ჩვენი წარწერისთვის), „საფარისძე“. თეორიულად სამივე ვარიანტია დასაშვები, თუმცა მოგვიანო ტექსტში „საფარისძე“ ფორმა, არქაული დაბოლოების გამო, ნაკლებად სავარაუდებელია (შდრ. წარწერაში მოხსენიებული კიდევ ერთი გვარის დათლოება: „კიბაბიძე“).

გვარი, ცხადია, ნაწარმოებია აღმოსავლეული წარმოშობის სახელისგან, რომელიც გვიან შუა საუკუნეების საქართველოში „საფარ“ და „საფარა“ ფორმებით ყოფილი გავრცელებული (პირთა ახორციებული ლექსიკონი, IV, ობ., 2007, გვ. 147-148).

გვარი „საფარაძე“ არ ვაჭვდება (ას ძალზე იშვიათია), თუმცა არსებობს ძველი გვარი „საფარაშვილი“, „საფარასშვილი“ (პალ, IV, გვ. 148-149), რომლის წარმომადგენლებიც გასული საუკუნის ბოლოსთვის 109-ის ყოფილან (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174).

წარწერის შესაბამისი ადგილის ჩემეულ წარითხებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ „საფარიძე“ გავრცელებული გვარია (710 წარმომადგენელი). ნიშანდობლივია ისიც, რომ დღეისათვის მათი უმეტესობა სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარაში სახლობს (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174). დიდი ალბათობით, გვარი მოსახლეობები კლარჯეთშიც იქნებოდა გავრცელებული და მოურავი პაპა საფარიძეც ადგილობრივი მკვიდრი იქნებოდა.

43 მეგელე – „ხელოსანი“ (პ. ფერისის, ზ. სარჯელაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, ობ., 2000, გვ. 712); შესაძლოა, ძველქართული „მეხელე“ გვიანი შუა საუკუნეებისთვის უკვე დიალექტური ფორმა იყო. მათ შორის, კლარჯეთში გავრცელებულიც (შდრ.: დასავლეთ საქართველოში დღესაც იქნებენ „მოხელეს“ – ოსტატის, ხელოსნის მნიშვნელობით). ამ ტერმინით ტაბრის არქიტექტორის მოხსენიებაც საინტერესო ფაქტია. შუა საუკუნეების წარწერებში ასეთი ფორმა სხვაგან არსად მახსენდება.

44 თუკი იმ დროისთვის კიბაბიძე არ იყო სამხრეთ საქართველოში გავრცელებული გვარი, უნდა ვიფიქროთ, რომ სუროთმოძღვარი დასავლეთ საქართველოდან (იმერეთიდან, რაჭიდან) მოუწვევიათ.

ნაკლებად სავარაუდებელია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, თეორიულად დასაშვებია გვარისა და სახელის შემდეგი წარითხებიც: ბაბიძე, მაქარა, მაგარა.

სხვაგვარია: „მოხელე, ხელისუფალი“.⁴⁵ ასეთი გაგების შემთხვევაში ხვენი ზაქარა ადგილობრივი მმართველი გამოდის („ხევისთავის“ მსგავსი), თუმცა ამ ინტერპრეტაციის საწინააღმდეგოდ შემდეგი არგუმენტები ჩნდება: 1) კიბაბიძე (მით უფრო, ბაბიძე) არ ყოფილა წარჩინებული გვარი, არადა ადგილობრივი, თუნდაც მცირე ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელობა, ვფიქრობ, გარკვეულ სოციალურ სტატუსს მაინც მოითხოვს; 2) წარწერის შესაბამისი ნაწილი ისე იწყება („და ამისა მეხელესა...“), რომ ძნელი წარმოსადგენია, ტაძრის ნაცვლად ადმინისტრაციულ ერთეულს მიემართებოდეს, ან თუნდაც, ქტიტორების – ავდულმასა და გულმანას ფეოდალური სახლის რომელიმე მოხელეს გულისხმობდეს.

მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვაქვს, როცა ცნობილია ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების ხუროთმოძღვართა სახელები (უმეტესობის ვინაობა, სამწუხაროდ, არ ვიციო).⁴⁶ ამ ფონზე, მამაწმინდის ეკლესიის არქიტექტორის სახელი მნიშვნელოვანი შენაძენია ტაო-კლარჯეთისა და ზოგადად, ქართული საეკლესიო კულტურის ისტორიისათვის. ეს ჩვენთვის ცნობილი მორიგი შემთხვევაა, როცა ტაო-კლარჯეთის ტაძრის არქიტექტორის სახელი ეკლესიისავე წარწერაში გვხვდება და პირველი პრეცედენტია, როცა ხუროთმოძღვრის ვინაობას არა ფასადზე, არამედ ინტერიერში, შელესილობაზე დატანილი წარწერა გვამცნობს.

საყურადღებო დეტალია, რომ წარწერაში ერთგან გვხვდება სიტყვა „უდაბნო“.⁴⁷ მართალია, ამ ადგილას სხვა ბევრი არაფერი იკითხება, მაგრამ საერთო კონტექსტი (აგრეთვე ის, რომ აქამდე ტექსტში მიმართვებია, ამის მერე კი მალევე იხსენიებიან ქტიტორები) აშკარად გვაფიქრებინებს, რომ მამაწმინდა თავდაპირველად სწორედ მონასტრად („უდაბნოდ“) აიგო. ესეც მორიგი საინტერესო სიახლე ტაო-კლარჯეთში სამონასტრო მშენებლობის მდიდარი ისტორიისათვის.⁴⁸ ტაძრის მასშტაბიდან გამომდინარე, მონასტერი მცირე უნდა ყოფილიყო – სავარაუდოდ, ადგილობრივი ფეოდალური სახლის სულის საოხად და საძვალედ აგებული.⁴⁹

საინტერესოა, ვისი სახელი ეწერა ძველ დროშივე სპეციალურად გადაშლილ IV ნაწილში? უკვე ვიციო, რომ წარწერა იხსენიებს ქტიტორთა ოჯახს,

45 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 237; me-qel-e “Beamter” Heinrich Fährich, Kartwälisches Etymologisches Wörterbuch, Leiden – Boston, 2007).

46 ოპიზა (ამონა, ანდრია, პეტრე, მაკარი), ხანცთა (ამონა), დოლისყანა (გაბრიელ დეკანზე – რეკონსტრუქციის აგზორი ვახტანგ ჯობაძის აზრით), იშხანი (იოვანე მორჩაისძე); ხანცთის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული „ოსტატი გალატოზი“ აბესალმა ქლდელიც სამრეკლოს ხუროთმოძღვარი უნდა ყოფილიყო. ამათგან პირველი თრი შემთხვევის შესახებ პაროგრაფიული თხზულებები გვამცნობს, დანარჩენის შესახებ კი კაიგრაფიული მასალებიდან ვიგებთ.

47 თურქი ხელოვნებათმცოდნის – ფაპრიე ბაირამის ზეპირი ინფორმაციით, მამაწმინდის მხატვრობის ერთ-ერთ ბერძნულ წარწერაშიც იხსენიება მსგავსი ტერმინი. სამომავლოდ აუცილებელია აღნიშნული წარწერის კვლევა და პეტლიკაცია. საინტერესო იქნება ზოგადად, ტაძრის ქართული და ბერძნული ეპიგრაფიული მასალების მონაცემების შეჯერებაც.

48 დღეისათვის ტერიტორიაზე ეკლესიის გარდა სხვა ნაგებობების კვალი არ ჩანს, თუმცა შემთხვევები, როცა ეკლესიები დარჩენილია, ხოლო სამონასტრო შენობები სრულადაა დანგრეული, სხვაც გვაქვს ტაო-კლარჯეთში (ბანა, პარხალი, იშხანი, დოლისყანა).

49 გვიანი პერიოდის ტაო-კლარჯეთში, როგორც წესი, აღარ შენდება მონასტრები. თუმცა, როგორც ჩანს, აქა-იქ ადგილობრივი ფეოდალები კვლავ იჩენენ ასეთ ინიციატივებს. მცირე მონასტრის დაარსების მსგავსი მაგალითი უნდა იყოს სოლომონისის ქვაბოვანი სავანე ტაოში, ბანასთან ახლოს, სოლომონისის ციხის (ჯალმახის?) მიდამოებში.

მშენებლობის პროცესის ხელმძღვანელს („მოურავს“) და ტაძრის არქიტექტორს. რჩება რამდენიმე ადამიანი, რომელთაც შესაძლოა ასევე პქონოდათ მსგავსი დამსახურება მშენებლობის პროცესში: 1) უზენაესი საერო ხელისუფალი – ვთქვათ, სამცხის ათაბაგი (თუმცა როული წარმოსადგენია, მისთვის ადგილი „მოურავის“ შემდგომ მიეჩინათ); 2) საეკლესიო პირი – ეპისკოპოსი, მდგრელი, ტაძრის / მონასტრის წინამდღვარი (ალბათ უფრო ეს უკანასკნელი); 3) ეკლესიის მხატვარი (თუმცა საეჭვოა, მისი სახელი არქიტექტორის წინ დაეწერათ. ისიც გაუგებარი იქნებოდა, რომ მისი სახელი ამოეშალათ).

სამწუხაროა, რომ პოლიტიკური, სოციალური თუ საეკლესიო კონიუნქტურის გამო დღეს ჩვენთვის უცნობია ტაძრის მშენებლობაში წვლილის შემტანი კიდევ ერთი პირის ვინაობა (როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ეს ნაწილი იმ დროს უნდა ამოეშალათ, როცა ჯერ კიდევ ესმოდათ ტექსტის შინაარსი და როცა იქ მოხსენიებული პიროვნება აქტუალური იყო ამ აქტის დამკვეთისთვის).⁵⁰

შეგვეძლო დაგვეშვა, რომ მოხსენიებული ოჯახი, რომლის გვარიც წარწერის გადარჩენილი ნაწილიდან სამწუხაროდ არ ჩანს, ტაძრის შენების კი არა, მისი მოხატვის ქტიტორია. თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდებელია, რადგან: 1) მშენებლობისა და მოხატვის დრო დიდად არ უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთს; 2) მართალია, წარწერა ძალზე ნაკლელია და მე-14 სტრიქონში სიტყვის „აღვაშენეთ“ აღდგენაც – ცოტა პირობითი, მაგრამ საერთო კონტექსტი, აგრეთვე ტექსტში ნახსენები ტერმინები (უდაბნო, მეხელუ), კვიქრობ, მეტყველებს, რომ წარწერა სწორედ სამშენებლო ხასიათისაა.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ წარწერაში მაცხოვრისა და დვოის-მშობლის შემდეგ წმ. მარინე იხენიება. ხელოვნებათმცოდნე ზაზა სხირტლაძის დაკვირვებით, რომელიც მან ზეპირად გამიზიარა, ტაძრის მხატვრობა წმ. მარინეს ცხოვრების სცენებს შეიცავს.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ეკლესია / მონასტერი სწორედ წმ. მარინეს („მარინას“) სახელობისა იყო?⁵¹ გავიხსენოთ, რომ სოფლის ქართველი მაცხოვრებლები უბანს, სადაც ეკლესია დგას, არა „მამაწმინდას“, არამედ „მარმაწმინდას“ უწოდებენ.⁵²

50 მახსენდება მსგავსი შემთხვევა: პარების მონასტრის სამლოცველოს წარწერიდან, ასევე ქველ დროში, საგანგებოდაა ამოშლილი ერთი სახელი (ბ. კუდავა, უცხობი ნუსხეური წარწერა პარების მონასტრიდან, საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მასალები, თბ., 2010, გვ. 258).

51 შეუ საუკუნეების საქართველოში წმ. დიდორწმამე მარინესადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩანს: არსებობდა მისი წამების ტექსტები, იგებოდა მისი სახელობის ტაძრები, ისატებოდა ფრესკები... დანისის ერთ-ერთი ეკლესია, მაგალითად, გვამცნობს: „... განვახლე დაქცეული საყდარი ესე წ(მიდ)ის მარინაისა ...“ (1702 წ.).

52 ინფორმაციი – ალი ქემალ ათამანი, 47 წლის, ქართველი, 5 წლის განმავლობაში იყო სოფ. ებრიელის გამგებელი. მან ეს ფორმა სრულიად გარკვევით წარმოთქვა (19 ნოემბერი, 2012 წ.).

ეთნოლოგ როზეტა გუჯეჯიანისგან მოწოდებული ცნობის თანახმად, სოფელში დასტურდება ფორმები: „მარმაწმინდა“, „მარმარწმინდა“, „მარამაწმინდა“... თუმცა უმრავლესობა ამბობს „მარმარწმინდას“ (2012 წლის აგვისტოსა და ოქტომბრის ექსპედიციების მასალებიდან).

სტატიაზე მუშაობის პერიოდში (2016 წლის ზაფხული) კიდევ ერთხელ დავინტერესდი, თუ როგორ წარმოთქვაშენ ადგილობრივები ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს. სოფ. ებრიელის უბნის – ნიგეას მკვდრმა, ეთნიკურად ქართველმა სონერ ოზჩელიქმა (დაბ. 1981), ჩემი თხოვნით, საგანგებოდ გამოკითხა სოფლის მოსახლეობა, მათ შორის ხანდაზმულები, და დამიდასტურა, რომ სოფელშიც და მის მიდამოებშიც ყველგან „მარმაწმინდას“ წარმოთქვაშენ, ქ. ართვინის

უოველივე აქედან გამომდინარე, ჩნდება ვარაუდი: ეგებ, სწორედ „მართაშვილის წმინდა“ იყო თავდაპირველად ეკლესიის სახელწოდება და ასე მივიღეთ აღგილობრივების „მარმაწმინდა“⁵³ ჩნდება კითხვა სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად დამკვიდრებული ფორმის – „მარმაწმინდის“ მიმართაც. ხომ არ არის ის მხოლოდ პირველი თაობის მეცნიერთა მიერ დამკვიდრებული ვერსია, რადგან მათ ასე გაიაზრეს არსებული ტოპონიმი?⁵⁴

ენობრივად დასაშვებია „მარმაწმინდას“ თავდაპირველი ფორმა „მარიამწმინდა“ ყოფილიყო⁵⁵ და გვეფიქრა, რომ ტაბარიც ლვთისმშობლის სახელზე აიგო, თუმცა წარწერაში წმ. მარინესადმი მიმართვა და მხატვრობაში მისი ცხოვრების სცენების გამოსახვა უფრო წინა ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს.

სამომავლო ამოცანები

1. შემდგომში აუცილებელია მომზადდეს ტაძრის ქართული და ბერძნული წარწერების სრული პუბლიკაცია. ეკლესიის მხატვრობა საკმაო რაოდენობის განმარტებით წარწერებს შეიცავს, რომელთა შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია კონკრეტულად ამ ტაძრის, ტაო-კლარჯეთის მონუმენტური ფერწერისა და ზოგადად, გვიანი პერიოდის ქართული მხატვრობის ისტორიისათვის. არ არის გამორიცხული, რომ განმარტებითი წარწერების გარდა სხვა სახის ეპიგრაფიკული მასალაც (საქტიტორო, მოსახსენიებელი) გამოვლინდეს.⁵⁶
2. რა თქმა უნდა, საჭიროა ჩატარდეს მამაწმინდის კედლის მხატვრობის საგანგებო კვლევა. გარდა იმისა, რომ ეს ბევრი თვალსაზრისითაა

მახლობლად არსებულ სოფელს კი „მამაწმინდას“ უწოდებენ. გამოდის, რომ მოსახლეობა განსხვავებულად წარმოოქამს ამ ორ ტოპონიმს, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

სტატია მზად იყო დასაბუქდად, როცა გაშეცანი ბათუმელი კოლეგების მიერ გამოცემულ კოლეგიურ ნაშრომს – კლარჯეთი, ბათ., 2016. მასში სოფ. ებრიკის უბნის სახელწოდება, ადგილობრივებზე დაყრდნობით, ასევე „მარმაწმინდა“ ფორმით არის დაფიქსირებული (მ. ფადავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, კლარჯეთის ტოპონიმია, გვ. 176სქ, 643სქ).

- 53 მარინაწმინდა > მარნაწმინდა > მარმაწმინდა. შდრ. ტოპონიმი იმავე კლარჯეთიდან, სოფ. მელოდან: გირგოწმინდა (< გიორგიწმინდა) (იქვე, გვ. 643).
- 54 მათ შესაძლოა ჩათვალეს, რომ სწორი ფორმა „მარმაწმინდა“ და შესაბამისადაც დააკორექტირეს ადგილობრივთა „მარმაწმინდა“. გარდა იმისა, რომ მარმაწმინდა და მისი მსგავსი ტოპონიმები (ნინოწმინდა, გიორგიწმინდა...) ზოგადად გაერცელებულია, იქვე, კლარჯეთში, ნიგალის მხარეშივე – ქ. ართვინიდან 5 კმ-ში არის ასეთი სახელის სოფელი (თანამედროვე სახელწოდება – შეპიოლიქი Shchitlik). დღეს მახლობლად ათათურის უზარმაზარი ქანდაკება დგას). გამოდის, რომ „მამაწმინდა“ არ არის უცხო არც ამ რეგიონისთვის და ებრიკელები მაინც „მარმაწმინდას“ ხმარობენ. ეს, კვირიობ, მორიგი არგუმენტია ამ უკანასკნელი ფორმის სასარგებლოდ.
- 55 ეთნოლოგ როზეტა გუჯგიანის აზრით, რომელიც მან ზეპირად გამიზიარა, ეკლესიის სახელწოდება სწორედ „მართამწმინდა“ იყო. იგივე დაშვება აქვთ ბათუმელ შეკლევრებისაც: „თუ «მარმაწმინდას» მივწნევთ ამოსაგლად, მაშინ შეძლება გიფიქროთ, რომ იგი «მარიამწმინდის» ფონეტიკური სახესხვაობაა, უფრო სწორედ ქართულის არმცოდნის მიერ წარმოოქმედი «მარიამწმინდა»“ (იქვე, გვ. 643სქ).
- 56 შედესილობაზე განირჩევა შავი და ლურჯი ფანქრით დატანილი გვიანდელი მოკლე მინაწერებიც (ძირითადად რუსული, გვხვდება აგრეოვე ბერძნული და სომხური). მაგალითად, 1906 წლის 16 ივლისის რუსული მინაწერი ვგამცნობს, რომ გრივორი გუდგოვი ყოფილა აქ ოჯახთან ერთად (ამ მასალების ფოტოებიც სონერ ოზელიქმა მომაწიდა). კვირიბ, მომავალში არც მსგავსი მინაწერები უნდა დარჩეს კურადღების მიღმა.

საინტერესო, მხატვრობის ფიქსაცია, ტაძრისა და მისი ფერწერის შემთხვეულებების გამო, გადაუდებელიცაა.⁵⁷ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტაო-კლარჯეთში შემორჩენილი მონუმენტური ფერწერის ძეგლების რაოდენობა დღეის მდგომარეობით საკმაოდ მცირება.⁵⁸

3. სტატიაში წარმოდგენილი ეპიგრაფიკული და ეთნოგრაფიული მასალების ფონზე, ვფიქრობ, საინტერესო იქნება გაგრძელდეს ტაძრის სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის მასალები საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა, საკითხი შემდგომ დამუშავებას მოითხოვს. შესაბამისად, ამ ეტაპისთვის ტაძარს სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული სახელწოდებით ვიხსენიებთ.⁵⁹

Buba Kudava

Donor Inscription from Mamatsminda Church (New Material from Klarjeti Epigraphy)

A domed church, known in the scholarly literature (1893 publication by A. Pavlinov) as „Mamatsminda”, and called „Marmatsminda” by the local community (this might be a transformed „Marinatsminda”) is located in the historic Klarjeti, village of Ibrikli, hist. Ebrica (Artvin İli, Borçka İlçesi, İbrikli Köyü).

This minor church is dated to the 15th-16th cc. based on the data of its architecture, mural painting paleography of its numerous explanatory inscriptions (N. Gengiuri, Z. Skhirtladze). Its mural decoration contains *asomtavruli* inscription divided into five parts (apart from the Georgian, Greek inscriptions are also found here).

This inscription formed a continuous donor text, which is severely damaged at present; however, extant fragments and photos taken some 10 years ago (Ir. Giviashvili, N. Bagrationi) make it possible to understand the general contents of the inscription. Namely, the word „desert” gives grounds to the supposition that the inscription tells about the construction of a monastery, initiated by a Avdulma, his wife Gulmana and their sons. Participants of the construction works were *mouravi* (high rank official) Papa Saparidze and „mekheli“ (lower rank official or craftsman) Zaqara Kibabidze – the latter might even be an architect. It seems most likely that the further in-depth study of other inscriptions, graphitti and of mural decoration will provide additional information regarding the construction and painting, as well as history of this church.

57 იმის გამო, რომ ტაძრის სახეურავს ფაქტობრივად აღარ შერჩა ძევლი საბურველი, კედლების ნაწილს კი გარედან მიწა ებჯინება, მხატვრობა დროდადრო ძალზე ინესტება. ამას განძისმაძიებელთა ოუ უბრალოდ ვანდალთა მიერ მხატვრობის განზრას დაზიანების ფაქტებიც ემატება.

58 კელესიების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს, მათგან კი დაახლოებით 20 ძეგლს თუ ექნება შერჩენილი მხატვრობის ნიმუშები – ცხადია, როგორც წესი, ძალზე ნაკლულად ან სულაც ფრაგმენტულად.

59 სტატიაში ზემოთ მოხსენიებული პირების გარდა, გაწეული დახმარებისა და კონსულტაციებისათვის მაღლობა მონდა ვუძღვნა ლია ახობაძეს, ზურაბ ბატიაშვილს, ირმა ბერიძეს, თამაზ გოგოლაძეს, სოფიო კანტურაშვილს, ლიკა როზომაშვილს, ვოლა ტულუშს, ნათია ფონიავას, ზაზა შაშიკაძეს, დალა ჩიტუნაშვილს, მალხაზ ჩოხარაძეს, რამაზ ხალვაშს, ნათია სიზანიშვილსა და დავით ხოშტარიას.



1. მამაწმინდა. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. პ. გუდაგას ფოტო. 2012



2. ეპლესის ინტერიერი.
სამხრეთ-აღმოსავლეთი შეერიდი და სამხრეთ
პედელი. ი. გივაშვილის ფოტო. 2004



3. წარწერის ზოგადი ფოტო. ი. გივიაშვილის ფოტო. 2007
(წარწერის V ნაწილი უკვე განადგურებულია)




4. წარწერის I-IV ნაწილები. ბ. კუდავას ფოტო. 2012




5. წარწერის II-IV ნაწილები.
ბ. კუდავას ფოტო. 2012

6. წარწერის გრაფიკული მონახაზი.
მომზადებულია ბეჭა ტურავას მიქრ გაღმოლებული
პალეორეგული პირის (2012) მიხედვით. დაზარებები
გაკრიტიკებულია ინიციე გიგაშეფლისა (2004) და
სონქრ რეჩელის (2016) ფოტოების დაფრინვით.
კომპარატიული დაცულება კოდა ტურავას






7. წარწერის I ნაწილი.
ბ. გუდავას ფოტო. 2012



8. წარწერის II ნაწილი. ძირითადი ტექსტი.
ი. გივიაშვილის ფოტო. 2004



9. წარწერის II ნაწილი. ქვედა ფრაგმენტი.
ბ. გუდავას ფოტო. 2012



10. წარწერის III ნაწილი (მარცხნივ – II ნაწილის ფრაგმენტი).
ბ. კუდავას ფოტო. 2012



11. წარწერის V ნაწილი (მარცხნივ –
გადაშლილი IV ნაწილი).
ი. გიგიაშვილის ფოტო. 2004



12. წარწერის IV-V ნაწილები (მარცხნივ – III
ნაწილის ფრაგმენტი).
ს. ოზჩელიქის ფოტო. 2016



13. წარწერის გადაშლილი IV ნაწილის
ფრაგმენტი.
ს. ოზჩელიქის ფოტო. 2016



14. წარწერის განადგურებული V ნაწილის
შემორჩენილი ქვედა ფრაგმენტი.
ს. ოზჩელიქის ფოტო. 2016

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

წმ. გიორგის სასწაულთა სცენები შუა საუკუნეების ქვის რელიეფურ ქანდაკებაში¹

წმიდა დიდმოწამე, ძლევაშემოსილი და საკვირველთმოქმედი გიორგი კაბადოკიელის ხატის იკონგრაფიული მრავალფეროვნება თუ წმინდანის ცხოვრების ამსახველ სცენათა ფართო გავრცელება, საზოგადოდ საქრისტიანოში (ფაქტობრივად IV საუკუნიდან დღემდე), მისი განსაკუთრებული პოპულარობითა და მისდამი აღმატებული თაყვანისცემითაა განპირობებული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგისადმი გამორჩეული დამოკიდებულება და სიყვარული საქართველოშიც საუკუნოვანი ტრადიციითაა შემტკიცებული, რაც არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული მრავალი ძეგლის წმ. გიორგისადმი მიძღვნით და სახვით ხელოვნებაში მისი ხშირი ასახვით, არამედ წმინდანის შესახებ ჩვენში გავრცელებული მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროებით, ლეგენდებით, „ცხორების“ სხვადასხვა რედაქციათა თარგმანებით, ზეპირსიტყვიერი გადმოცემებითა თუ პოეზიით, ხალხურ-მითოლოგიური წარმოდგენებით დასტურდება.

შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში წმ. გიორგის გამოსახულებანი ადრე შუა საუკუნეებიდანვე იქმნება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთელს ქრისტიანული აღმოსავლეთის რეგიონში, სწორედ შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში გაედევნება თვალი წმ.გიორგის ერთ-ერთ ყველაზე აღრეულ გამოსახულებებს, წმინდანის იკონგრაფიული ტიპის შემუშავების პროცესს და, ამავდროულად, მის ორიგინალურ ქართულ რედაქციებსაც. საქართველოში წმინდანის გამოსახულების პირველი ნიმუშები ქვის რელიეფურ სკულპტურაში მოიპოვება (მაგ., ხოლორის ქვასვეტი, VI ს.; ბრდაძორის დიდი ქვაჯვარა, VI ს.; მარტვილი, VII ს.; წებელდის კანკელი, VII-VIII სს.; ჯოისუბანი, XI ს.; ვალე, XI ს.; ნიკორწმინდა, XI ს. და სხვ.). შუა საუკუნეების ქართულ პლასტიკაში წმინდა გიორგი, უმეტესად, დიოკლეტიანეს ან გველეშაპის მღაცევრელი წმ. მხედრის სახით გამოისახება, თუმც ხშირად გვხვდება, აგრეთვე, შუბით ხელში ფეხზე ფრონტალურად მდგომი, ხოლო ჭედურ ხელოვნებასა და კედლის მხატვრობაში მისი სასწაულებისა და მარტვილობის ნარატიული ციკლებიც მრავალრიცხოვანია, სადაც ზოგჯერ „ყრმის ტყვეობიდან განთავისუფლების“ სიუჟეტიც არის ჩართული (ადიშის, XI ს.; ბოჭორმის, XI ს.; ნაკიფარის, XII ს.; ფავნისის, XII ს.; იკვის, XII ს.; აჭის, XIII ს.; უბისის XIV ს.; აღავერდის, XVI საუკუნის მაღალაანთ გვლესის, XVII ს., ერთაწმინდის XVII ს. მოხატულობები). ამ სცენას ვხედავთ XV საუკუნის

1 სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება“-ს ფარგლებში. წერილი მოხსენებად იქნა წაკითხული 2015 წლის დეკემბერში გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში ქართული ხელოვნებათმცოდნეობის 100 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.

მინანქრულ ხატზე და XVII საუკუნის წმ. გიორგის ცხოვრების ხელნაწერი მინიატურაშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კი წმ. გიორგის „ლასია ქალაქის სასწაულის“ კომპოზიციების ჭედური ხატებია (მაგ., გორისჯვრისა, XV ს. და სადგერის, XVI ს. საუკუნოს ევლისწინა ჯვრები, ხონის ჭედური ხატი (ლევან დადიანის დაკვთით), XVII ს., ნიკოლოზ მაღალაძის ეული (ნიაბის რელიეფის დამკვთი) ლაბარუმის ჭედური ხატი, XVII ს.)².

„ლასია ქალაქის მოქცევის“ სასწაულის ამსახველი რელიეფური კომპოზიცია კი შეა საუკუნეების ქართულ ქვის სკულპტურაში ძალზე იშვიათ სცენას განეკუთვნება და, ისიც, დღეისათვის მხოლოდ გვიანი შეა საუკუნეების სულ რამდენიმე მაგალითითაა ცნობილი.

ამ სცენის გენეზისის კვლევისას, ავტორთა მრავალრიცხოვან ნაშრომებში აზრთა სხვადასხვაობას ვხედავთ. ორგორც საყოველთაოდაა ცნობილი, წმ. გიორგის კულტი აღმოცენდა მცირე აზიაში – კაპადოკიაში, – და პალესტინაში IV-V საუკუნეებშივე (წმინდანი აღესრულა 303 წ. 23 ნოემბერს). იგი მაშინათვე გავრცელდა სირიაში, ეგვიპტეში, საქართველოში, სომხეთში, ოდნავ მოგვიანებით ბიზანტიაში, ბალკანეთში, მოგვიანებით რუსეთში და სხვ. საქართველოში წმინდანის „ცხორების“ უძველესი თარგმანები X საუკუნეს განეკუთვნება³. მაგრამ, ცნობილია უფრო ძველი ხელნაწერებიც⁴. რაც შეეხება წმინდანის სასწაულთა გადმომცემ ტექსტებს, კერძოდ კი, ჩვენთვის საინტერესო, „გველეშაპის სასწაულს“, იგი მოგვიანებით, XII საუკუნის ხელნაწერებში ჩნდება. ოუმც, ქრის. ვოლტერი წმ. გიორგის „ლასია ქალქის სასწაულის“ ქრისტიანული სახვითი ხელოვნების პირველ ნიმუშად XI საუკუნის ქართულ ხელნაწერს მიიჩნევს⁵ (იერუსალიმის საპატიორქოს ბიბლიოთეკა, cod.2). ამდენად, მკვლევართა წინაშე, სწორედ აქ იჩენს თავს დროითი წინააღმდეგობა გველეშაპის მლახვრელი წმ. გიორგის უკვე VI საუკუნიდან არსებულ გამოსახულებებსა და მოგვიანო ხანაში შექმნილ მის ლიტერატურულ, ჰაგიოგრაფიულ წყაროებს შორის. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებს თავისი ვარაუდები აქვთ. მაგ., ვიქტორ ლაზარევი გველეშაპის დამთრგუნველი წმ. გიორგის გამოსახულებას ქალაქ ლასიაში მომხდარი სასწაულის მოკლე რედაქციად თვლის, ხოლო „ლასიას სასწაულის“ პოპულარობას შეა საუკუნეების სახვით ხელოვნებაში შემორჩენილ ლიტერატურულ ფორმაზე

-
- 2 გ.Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959; Н.А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977; Е.И. Привалова, Павниси, Тб., 1977; о. ლოროჭიფანიძე, წმ. გიორგის ცხოვრების ციკლი უბისის ევლის მხატვრობაში. საქართველოს სიმებენი, 2004, წ. №4, გვ. 147-163; LCI, B. 6, Freiburg 1994, გვ. 366-390.
- 3 პ. კეპელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945; წმ. გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიონი და კომენტარები დაურთო ენტიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1991.
- 4 მაგ., IV-V საუკუნეების წმ. გიორგის უძველესი ჰაგიოგრაფიული თხზულების ფრაგმენტები, რომელიც ვენის პალიმფსესტურ ფრაგმენტებშია დაცული, იგი წმინდანის აპოკრიფულ ლიტერატურულ წყაროდ ითვლება. კ. გაბიძაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში წმ. გიორგის აღრეული, V საუკუნის აპოკრიფული რედაქციებიც იყო ცნობილი, კ. გაბიძაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 13.
- 5 Ch. Walter, The Warrior Saints in Byzantine Art and Tradition, Ashgate, 2003.

ადრეულ, VIII საუკუნის ზეპირსიტყვიერ წყაროებს მიაწერს. გ. ჩუბინაშვილის აზრით, რომელსაც ე. პრივალოვა და ო. დადიანიც⁷ ეთანხმებიან, გველეშაპის მლახერელი მხედარი წმინდა გიორგის გამოსახულება შეიძლება ლასიას სასწაულის ნარატივისგან სრულიად დამოუკიდებელ სცენად მოვიაზროთ, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობით განმსჭვალული, წმინდანის მიერ ბოროტ, წარმართულ ძალად პერსონიფიცირებული გველეშაპის დათრგუნვა. ამას გარდა, გ. ჩუბინაშვილი მიუთითებს წმ.გიორგის ცხორებაში კიდევ სხვა ადგილას მოსხენიებულ გველეშაპზეც („მოექცა მას დიოკლეტიანე ვეშაპი“), რაც, ვფიქრობთ, ამ აზრის შემამტკიცებელი, დამაჯერებელი არგუმენტია. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერები წმ.გიორგის იკონოგრაფიული ტიპის წარმოშობის სათავეების კვლევისას მის არქეტიპებს წინაქრისტიანულ, აღმოსავლურ (ირანულ, სასანურ, ანტიკურ და სხვ) ხელოვნებაშიც ხედავენ.⁸ მართლაც, წმ. გიორგის მიერ გველეშაპის განგმირვის აქტს, უპირველესად, ერთგვარი კოსმოგონიური მნიშვნელობაც ენიჭება და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების ტრანსცენდენტურ-სიმბოლურ, ქრისტიანულ-ტრიუმფალურ ხატს ქმნის.

კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე ნიაბის წმ. გიორგის სახელობის X საუკუნის დარბაზული ეკლესიის რესტავრაციის დროს (2003 წ., გ. გაგოშიძე, ო. გაბუნია) მიწაზე ჩამოცვენილ ქვებს შორის აღმოჩნდა რელიეფური კომპოზიცია, რომელიც წმ. გიორგის „ლასია ქალაქის მოქცევისა და ურმის განთავისუფლების სასწაულებს“ ლაკონიურად გადმოგვცემს. რესტავრაციისას რელიეფური ფილა ტაძრის დასავლეთ ფასადზე, ნიკოლოზ მაღალაძის თაოსნობით 1682 წელს აგურით აღდგენილი⁹ ტაძრის ზედა ნაწილში მოთავსდა.

სწორკუთხა ფილაზე მჭიდროდ შევსებული რელიეფური კომპოზიცია (სურ. 1) წარმოგვიდგენს ცხენზე ამხედრებულ, გველეშაპის შუბით მლახერელ წმ. გიორგის, ცხენის წინ მდგომ მეფის ქალიშვილს, რომელსაც ხელში სარტყელი უჭირავს, ხოლო უკან, სავარაუდოდ, ცხენზე მჯდომ (უხეიროდ გამოსახვის გამო, თითქოს, ცხენს უკან ამოფარებულ) ყრმა ბიჭს, რომელსაც ჩვენ წმ. გიორგის სხვა, „ურმის ტყვეობიდან განთავისუფლების“ სასწაულიდან ამოვიცნობთ. რელიეფიან ფილას გარშემოსდევს ფონიდან 1,5 სმ-დე სიბრტყობრივად ამოღებული ფიგურების დონეზე ამოჭრილი, ბრტყელი ჩარჩო. კომპოზიციაში თავისებურ რიტმულ აქცენტებს სვამის ფილის მარჯვენა, ზედა ნაწილში დეკორატიული, ზიგზაგისებური ელემენტით გაფორმება, რაც, საშუალებას იძლევა, ისედაც, ფიგურებით „გაჭედილ“ ფილაზე სამკუთხედისებრ რელიეფურად ამოჭრილ

6 В. Н. Лазарев, Новый памятник станковой живописи XII в. и образ Георгия-воина в византийском и древнерусском искусстве. Русская средневековая живопись, М., 1970.

7 ო. დადიანი, წმინდა მხედრების იკონოგრაფია ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებში (VI-VIII სს.), საქართველოს სიმღერები, №12, 2008, გვ. 316-341.

8 В. Н. Лазарев, დასახ. ნაშრ., გვ. 75; ო. დადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 319-320.

9 ამას მოწმობს ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე შემონახული მხედრული წარწერა: „ადამს აქეთ შეიდი ათას ას ოთხმოცდა ათსა: აღვაშენებ შეორედ საყდარი ესე ნიაბს წმიდის გიორგისა მე მაღალაძემ მღვდელ მონაზონან ნიკოლოზ შენდობა ბრძანეთ ჩემის სახლო ხუცის პაპუასთვეს და დედის ელენესა ქას ტო:“ (ტ ო = 1682 წ.). წარწერა წაიკითხა გიორგი გაგოშიძემ.

არებში წმ.გიორგისა და მეფის ასულის თავები მოხერხებულად განთავსდეს. კომპოზიცია ნაწილობრივ დაზიანებულია, რის გამოც საერთოდ აღარ იკითხება ცხენის უკან ბიჭის მხრებამდე ფიგურის სახე, ხოლო წმ. გიორგისა და ქალიშვილის სახის ნაკვთები არამკაფიოა, იმდენად, რომ ქალიშვილის სახეს უჩვეულო გამომეტყველებაც კი აქვს მიღებული. ერთგვარი „ხალხური“ ტიპაჟით და მომცრო ფიგურით წარმოდგენილი წმ. გიორგი საქმაოდ მოზრდილ ცხენზეა ამხედრებული. იგი კომპოზიციის მიმართ დიაგრამურად გავლებული გრძელი შუბით, ტრადიციისამებრ, ცხენის ფლოქვებქვეშ დამარცხებულ, განასკვით გადახლართულ გველებას განგმირავს. წმ. გიორგის ამ კონკრეტული სასწაულის თითქოს მეტად გასამახვილებლად, მეფის ასულის ფიგურა დისკროპორციულად დიდი ზომითაა გადმოცემული. ამ განზოგადებულ-სქემატური კომპოზიციისთვის თვალშისაცმია მეფის ასულის სამოსის „დეტალების“ წარმოჩენა: შიდა, ტრაპეციისებრი, მუხლქვემომდე, შედარებით გრძელი კაბის ზემოდან, მთელს სიგრძეზე წინ ჩასხილი, მოკლე მოსახამი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, რომელიც განზე დგომით ნაჩვენებ ფეხებზე მკაფიოდ იკითხება. დაზიანების გამო ზუსტად ვერ განირჩევა ქალიშვილის თავსაბურავი თუ გვირგვინი. დრმად ჩაჭრილი, თანაბარზომიერი სხივებით ასევე გულმოღინედად გამოვლენილი ცხენის ფაფარიც. რელიეფი გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი, უკვე ოსტატობანაკლული, ოდნავ მოუხეშავი, მოუქნელი, სიბრტყობრივ-გრაფიკული მანერით არის შესრულებული, თუმც, მასში მაინც მუდავნდება ცხენოსანი წმ. გიორგის მრავალგზის „აპრობირებული“, ტრადიციადქცეული კომპოზიციის ფორმათგრძნობა, თავისებური „სკულპტურული“ ფორმების გამოვლენის, ერთგვარი მოძრაობის შექმნის სურვილი. კომპოზიცია, თავისი აღნაგობით რამდენადმე მწყობრი და ტექტონიკურია. ვფიქრობ, რელიეფი ჩრდილოეთ ფასადზე მოთავსებული „შესაქმეს“ რელიეფური კომპოზიციის თანადროულია¹⁰ და, ამდენად, XVII საუკუნით უნდა დათარიღდეს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის მცირე „ლაფსუსი“, რომელიც, უთუოდ, გვიანი შეა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ „დაუდევრობას“ უნდა მივაწეროთ: ნიაბის კომპოზიციაში მეფის ასულს ხელში უჭირავს სარტყელი, რომელიც ცხენზეა გამობმული და არა გველებაზე, როგორც ეს ამ სცენის იკონოგრაფიაშია დამკვიდრებული და ილაუსტრირებს ხოლმე წმინდანის სასწაულების (წმინდანის პირველ სასწაულად მიჩნეულ) კანონიკურ ტექსტს. ამ ლიტერატურული წყაროს თანახმად, ქალაქ ლასიას¹¹ მახლობლად ტბას დაპატრონებული ყოფილა გველებაპი, რომელიც ქალაქის მაცხოვრებლებს ანადგურებდა. როდესაც ჯერი მეფის ასულზეც მიმდგარა, ქალიშვილს მხსნელად წმ. გიორგი მოევლინა. წმ. გიორგი ლოცვითა და ჯვრის ძალით იმორჩილებს გველებაპს, რომელიც ქალიშვილს საკუთარი სარტყლით ყელზემობმული შეჰვას

¹⁰ ე. კვაჭაბაძე, ნიაბის ეკლესიის 1682 წლის რელიეფი. საქართველოს სიმებულენი, 2005, №7-8, გვ. 306-31.

¹¹ წმინდანის ცხოვრების ზოგიერთ წყაროებში ქალაქი ლასია გამოგონილ ქალაქად სახელდება, სლავურ რედაქციებში ეს ქალაქი ბეირუთად ან სილენიად (ლიბიაში) მოიხსენიება: ინტერნეტ საიტი: ვიკიპედია, წმ.გიორგი და გველებაპი (ინგლისურ ენაზე).

წარმართულ ქალაქში, სადაც სულისშემგრელი სასწაულის შემყურე ქალაქში იმპერია მთელი მოსახლეობის ქრისტიანობაზე მოქცევა მოჰყვა (ეპისკოპოსმა „ნათელ-სცა მეფესა და დიდებულთა მისთა და ყოველსა სიმრავლესა ერისასა“). ნიაბის კომპოზიციაში შესანიშნია კიდევ ერთი დეტალიც, რომელიც, ვფიქრობ, სწორედ, ერთ დროს საზარელი ძალის მქონე გველეშაპის დაკნინებულ, დამორჩილებულ მდგომარეობას გამოხატავს: მეფის ასულს ფერხთით დანარცხებული გველეშაპის ხახაში სრულიად უვნებლად და უშიშრად აქეს ფეხი ჩადგმული.

ამგვარად, ნიაბის, წმ.გიორგის სახელზე აგებული ეკლესიის პატრონისადმი მიღვნილ ამ სკულპტურულ სცენაში, შეა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში საკმაოდ გავრცელებულ, წმ. გიორგის ორი სასწაულის („ლასია ქალაქის მოქცევა“ და „ყრმის ტყველიდან განთავისუფლება“) გამამთლიანებელ სინოქზურ, ე. წ. „შერეულ“ ვარიანტს ვხედავთ. ამ მხრივ, საინტერესო თანადროული ნიმუშია ნიკოლოზ მაღალაძის სული (ნიაბის „შესაქმის“ რელიეფის დამკვეთი) ლაბარუმის ჭედური ხატი (ხაქ. ეროვ. მუზ. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვ. მუზ. ოქროს ფონდი, XVII ს.), სადაც ეს კომპოზიცია, აგრეთვე, „ყრმის ტყველიდან განთავისუფლების“ სცენასთანაა გაერთიანებული. იგი, სტილური თვალსაზრისით, აგრეთვე ქართული რელიეფური სკულპტურის ტრადიციის უწყვეტ ხაზს აგრძელებს (სურ. 2).

ნიაბის წმ. გიორგის „ლასია ქალაქის მოქცევის“ სასწაულის ამსახველი რელიეფის გარდა შეა საუკუნეების ქართულ ქვის სკულპტურაში კიდევ ოთხ ნიმუშს ვიცნობთ. მერენის (ჯავახეთი, გვიანი შუა საუკუნეები, XVIII ს.?) წყაროს, დღეისათვის რამდენადმე დაზიანებული და გაჭვარტლული რელიეფი (სურ. 3) შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა, სიბრტყობრივი რელიეფის ზედაპირზე გრაფიკულად ჩაკვეთილი რაფინირებული შტრიხებით მხედრისა და ცხენის მდიდარი აღკაზმულობა ზედმიწევნით დეტალურადაა გამოვლენილი. დაბალრელიეფიან, განიერ ჩარჩოში მოქცეული, ვერტიკალურად წაგრძელებული კომპოზიცია ქვაში კვეთილ ხატს ქმნის. სცენას დინამიკურობას სძენს წმ. გიორგის ფართოდ დრაპირებული, გაფრიალებული მოსასხამი, პლასტიკურად, დრმად ჩაკვეთილი რელიეფური კონტურებით გამოსახული მოზრდილი, ფრთხოსანი გველეშაპი, რომლის გველისებრი ტანი მსხვილი თოკივით იგრიხება. ზემოთ, პარეზი ყალებზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი გველეშაპს უზარმაზარ გაღებულ ხახაში გრძელი შუბის დამგერებით განგმირავს. კომპოზიციის მჭიდროდ შევსებულ არეზე სულ მცირე ადგილი ეთმობა სცენის მარჯვენა მხარეს, კოშკის აივნიდან წმინდანისკენ მოზირალ, სადედოფლო სამოსითა და გვირგვინით (ზიგზაგისებური ფორმის) მოსილ მეფის ასულს. მთავარ სცენასთან მიმართებით მისი ასე მცირე მასშტაბით გამოსახვა, ადგილის სიმცირის გარდა, ვფიქრობთ, კომპოზიციის ერთ სიბრტყეში გადმოცემის პირობებში, წმინდა გიორგისგან არქიტექტურული ნაგებობის – კოშკისა და მასში გამოსახული მეფის ასულის ერთგვარ „პერსპექტიულ სიმორეს“ უნდა მიანიშნებდეს, რასაც გვერდითი ხედით წარმოდგენილი კოშკის კონტურების დამრეცი მიმართულებაც ეპასუხება. სიმბოლურია, ამ სცენის სწორედ წყაროს ქვაზე გამოკვეთა, ვინაიდან, წმინდანის „ცხორების“ მიხედვით, წმ. გიორგიმ,

ზუსტად, ამ სასწაულის დროს “აღმოაცენა წყალი კურნებათაი” ეკლესიის საკურთხევლში¹².

მრავალძალის (ონის მუნიც., XIX ს.) ეკლესიის სამხრეთი მკლავის დასავლეთ მხარეს, შედარებით უფრო ჯმუხი პროპორციებით, მაღალი რელიეფით, სკულპტურულად გამოკვეთილი „ლასია ქალაქის სასწაულის“ კომპოზიცია წმ. გიორგის აგრეთვე ორი სასწაულის სიუჟეტს ამონიანებს (სურ. 4). სცენა გავრცობილია და მეტი თხრობითობით გამოიჩინა. მასში დიდ ადგილს იკავებს ფილის თითქმის მთელს მარჯვენა ნახევარზე ვერტიკალურად შევსებული კომპოზიცია: ფრონტალურად, ორ რეგისტრად გადმოცემულ კოშკში ზემოთ – აივანზე ნაჩვენები, წმინდანისაკენ მზირალი მეფე-დედოფლისა და ქვემოთ – სვეტებს შორის, თაღში მდგომი ქალიშვილის გამოსახულებები; უშაალოდ კოშკის ქვეშ კი კვიპაროსის სამი მაღალი ხეა საგანგებოდ გადმოცემული, რასაც, უთუოდ, საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს: სამოთხის ბაღის, მარადიული სიცოცხლის, ხსნის, რაც წმ.გიორგის სასწაულთან კონტექსტუალურ კავშირს ამჟღავნებს. შესაძლოა, იგი, ბზობის კომპოზიციიდანაც იყოს „პერიფრაზირებული“. რელიეფი, როგორც შევნიშნეთ, XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი გამოსახვის დებალიზაციით ხასიათდება. ყურადღებას იქცევს მეფე-დედოფლისა და ქალიშვილის დიდგვაროვანთა შესამოსელი და მაღალი სამეფო გვირგვინები (ცილინდრული ფორმის ქუდებივით), ქალაქის გასაღები მეფის ხელში, როგორც იგი წმ.გიორგისაკენ მიმართავს. საკმარისად დაწვრილებითაა გადმოცემული წმინდა გიორგის, წმინდანის უკან ცხენზე კოკით ხელში შემომჯდარი ყრმა ბიჭისა და გრიფონისებრი გველეშაპის მაღალი რელიეფით, მომრგვალებული ფორმებით გამოკვეთილ ფიგურებზე სიბრტყეთა დაშრევებით გამოსახული სამოსი, აღჭურვილობა და ცხენის აღკაზმულობა, გველეშაპის დანაკვთული ფრთები. ექსპრესიული სიმკვეთრითაა ჩაკვეთილი წმინდანის ფიბულით დამაგრებული გაფრიალებული, დატალდული მოსახხამი.

ქ. ქუთაისის სახ. ისტ. მუზეუმში დაცულ (XVIII ს.) მცირე ზომის (73x39 სმ.), მორუხი ფერის ქვის ფილაზე დაბალი რელიეფით, პლასტიკურად კვეთილი, დიაგონალურად აგებული კომპოზიცია უფრო განზოგადებულად და ლაკონიურად წარმოგვიდგენს „ლასია ქალაქის სასწაულის“ სცენას.

კომპოზიციაში თავისებურ დინამიკას ქმნის ვერტიკალურად წაგრძელებული, სწორკუთხა ფილის ზედა და მარცხენა ნაწილების – ფონის თავისუფალი სიბრტყითი არეების მარჯვენა, ფიგურებით შედარებით დატვირთულ, მჭიდროდ შევსებულ ნაწილთან შეპირისპირება. ფილის ჩარჩოს მარჯვენა კიდესთან მიბჯენით იკვეთება სადედოფლო სამოსში გამოწყობილი მეფის ასული, როგორიც, გაწვდილი ხელებით, მიმართულია ყალყზე შემდგარ ცხენზე მჯდომ წმ. გიორგისკენ. შესანიშნია, წმ. გიორგი აქ მოხმობილი სხვა კომპოზიციებისგან განსხვავებით, გვერდითაა მოტრიალებული და არა ქალწულისკენ, არამედ მის

12 ქვის ეს წყარო, შიგ ჩაშენებული რელიეფით, ბოლო დრომდე სოფლის ცენტრში და ცის ქვეშ იდგა. 2015 წლის ზაფხულში რელიეფის გადასაღებად ექსპედიციაში ჩასულებს წყაროს რელიეფი ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიერ ახლადაშენებული მცირე სამლოცველოს ინტერიერის აღმოსავლეთ კედელში ჩაშენებული დაგვხვდა.

საწინააღმდეგო მხარეს იცქირება, რაც კომპოზიციაში კვლავაც ვიზუალური „მოძრაობის“ აღმძვრელია. ამავე, მარჯვენა ზედა კუთხეში გადმოცემული ცის სეგმენტზე გამოკვეთილი უფლის მაკურთხეველი მარჯვენაც. ასე მკვეთრად დიაგონალურად განვითარებულ კომპოზიციას აწონასწორებს გველისებრი ფრთხისანი ურჩხულის განმგმირავი წმინდანის ჯვრისთავიანი კვერთხი, რომელიც კომპოზიციაში მის საპირისპირო დიაგონალს გამოჰყოფს. ფიგურები რბილი რელიეფური გადასვლებით იკვეთება, თუმცა უფრო გლუვი ზედაპირებით, სამოსისა და აღკაზმულობის დეტალების გამოშხატველი ზოგადი, ძუნწი ხერხების მიმართვით.

სოფ. ქორეთის (საჩხერის მუნ.) საჯარო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ რელიეფიან ფილაზე წმ. გიორგის „ლასია ქალაქის სასწაულის“ ხატისებური კომპოზიცია (XIX ს.)¹³ საგრძნობლად მაღალი რელიეფით არის შესრულებული (სურ. 6). მსხვილი, ოდნავ ტლანქი ფორმებით გამოკვეთილი ფიგურები ჭიდროდ განთავსდებიან ვერტიკალურად წაგრძელებულ ფილაზე, სადაც გამოსახულებები ფონის ამოღებით ღრმადაა ამოჭრილი, ხოლო ფილის გარსშემომწერი მაღალი ზედაპირზე, ცენტრალურ ნაწილში ჩაკვეთილი, გველებაპის აღმნიშვნელი გრაფემები: „ვეშაპი დიდი“, სწორედ ასე მოიხსენიება იგი წმ. გიორგი აქაც ჯვრიანი შუბით განგმირავს ბოროტ ძალას. შესანიშია, გველებაპის გლუვად ამოჭრილი ფიგურის ზედაპირზე, ცენტრალურ ნაწილში ჩაკვეთილი, გველებაპის აღმნიშვნელი გრაფემები: „ვეშაპი დიდი“, სწორედ ასე მოიხსენიება იგი წმ. გიორგის ამ სასწაულის გადმომცემ წყაროებშიც. მოთვინიერებულ გველებაპის აქაც (ისევე როგორც ნიაბისა და ნიკოლოზ მაღალაძის ლაბარუმის რელიეფებზე) მეფის ასული, რომელიც გრძელი მოსახსამით, მაღალი გვირგვინითა და თავსაბურავით არის მოკაზმული (რუსული, ბულგარული და სხვ. ხატების მსგავსი კოსტიუმი), თავისი ქამრით იჭერს. ქორეთის რელიეფურ კომპოზიციაში, სხვათაგან განსხვავებით, მეფის ასულის ზევით, ფილის მარჯვენა კუთხეში, ანგელოზის ფიგურა გვხვდება. იგი ტიარასავით გვირგვინს (სავარაუდოდ, ეს მაღალი სამეფო გვირგვინია, რომლის მსგავსიც ქალიშვილსაც ამშვენებს) ორივე ხელით წმინდანისკენ იწვდის. ამგვარი მოტივი, უმთავრესად, გვიანი შუა საუკუნეების „ლასია ქალაქის სასწაულის“ ამსახველ ვერწერულ ხატებზეა გავრცელებული მაგ., ფსკოვისა და ხოვგოროდის XV, XVI საუკუნეების ხატები, რიაზანის ხელ. მუზეუმის XVIII საუკუნის ხატი და სხვ. (სურ. 7, 8). ქორეთის კომპოზიციაში ფიგურათა ზედაპირები უფრო გლუვად მუშავდება, ძირითადად, მხოლოდ, სამოსისა და ანგელოზის ფრთხებია რკალისებრი, რიგმული ხაზებით ჩაკვეთილი. დამახასიათებელია წმ.გიორგისა და ანგელოზის გრძელი, ფაფუკი, ხვეული თმის გამოსახვა.

ამგვარად, ოთხივე ეს სტულპტერული კომპოზიცია, განსხვავებით ნიაბის რელიეფისგან, აშკარად ასახავს საქართველოში თანადროული დასავლური, რუსული, ბულგარული, ბერძნული სახვითი ხელოვნების ნიმუშების ასე მომძლავრებულ გავრცელებას, პოპულარიზაციას და რამდენადმე მათ

13 რელიეფური ხატი ჯრუჭის მონასტრისადმი შეწირულობას წარმოდგენს, რასაც რელიეფის თანმხლები მხედრული წარწერა გვატყობინებს.

სტილურ-იკონოგრაფიულ გავლენებსაც. მაგ.: წმინდანის გაფრიალებული მოსახლეობი და, ზოგადად, სამოსისა და ატრიბუტების სტილი, მოძრაობათა დინამიკურობა, კომპოზიციათა მრავალპერსონაჟიანობა, სახეობა ტიპები და სხვა. ეს გამოსახულებები ერთგვარ ნიმუშისეულობაზე, სავარაუდოდ, რომელიმე დასავლური ძეგლის რეპლიკაზეც შეიძლება მიუთითობდეს. ამავდროულად, მათში გვიანი შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ეპოქისეული ტენდენციაც, სიუჟეტის ნარატიული თხრობის, მეტი დეტალიზაციის ჩვენების სიყვარულიცაა გამუდავნებული.

უნდა შევნიშნოთ, „ლასია ქალაქის სასწაულის“ სცენისთვის დამახასიათებელი ერთი იკონოგრაფიული დეტალიც, რომელიც უმეტეს კომპოზიციაში გვხვდება: უფლის მაკურთხეველი მარჯვენა, რომელიც კომპოზიციის ზედა კუთხეში, ცის ნახევარწრიული სეგმენტიდანაა ხოლმე გამოწვდილი. იგი „ტყვეთა განმათავისუფლებელი და მეფეთა უძლეველი წინამბრძოლი, დვაწლით შემოსილი“ დიდმოწამე წმ. გიორგის ღმრთის მსახურებასა და მოღვაწეობაში ღვთისგან კურთხევის ნიშნად უნდა ვიგულვოთ. აღსანიშნავია, რომ გვიან ხატებზე ამ კომპოზიციებში წმინდანის ანგელოზთა მიერ მოწამეობრივი გვირგვინით შემკობაც გვხვდება, როგორც ეს ქორეთის რელიეფურ ხატზეც აღიბეჭდა.

თავისთავად ნიშნეულია „ლასია ქალაქის სასწაულის“ სცენაში მეფისა და დედოფლის ან, ზოგჯერ, მთელი ამალის, ან მხოლოდ მეფის ასულის ქალაქის შესახვლელის კოშკისებურ კარიბჭეში გამოსახვა, რაც წარმართი ქალაქის მაცხოვრებელთა წმინდანის დახვედრა-შეგებებას გადმოსცემს. ვფიქრობთ, კომპოზიციის ამგვარი გადაწყვეტა, „ალაუზზიურად“, მოგვაგონებს იერუსალიმის „ოქროს კარიბჭეში“ უფლის დიდებით შესვლას, ხოლო მეფის მიერ წმინდა გიორგისადმი ქალაქის გასაღების გადაცემა, ქრისტიანობაზე მოქცეული კერპთავეგანისმცემლური ქალაქის ჩაბარება-დამორჩილებას უნდა განასახიერებდეს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ქნ ასმათ ოქროპირიძის წმინდა გიორგის ამ სასწაულის გააზრება: „წმ. გიორგის ერთ-ერთი მისიაც ეს არის – დაიცვას ქრისტეს ეკლესია (მეფის ასული) მიწაზე და ურჩხულისგან (წუთისოფლის ბოროტებისგან) გადარჩნით მიიყვანოს ზეციურ იერუსალიმამდე (ქალაქამდე). ქრისტეს ძალით წმ. გიორგი ათვინიერებს სოფლიურ ბოროტებას. მეფის ასული - იგივე „სძალი უფლისა“ - ეკლესია, მოსილი ძოწეულით. იგი ქამრით (ანუ სიწმინდით, უბიწოებით) მართავს ბოროტებას. ქალაქი, სადაც უნდა დაბრუნდეს მეფის ასული - ახალი იერუსალიმია, სადაც მერვე დღეს უვალი მართალი პპოვებს ცხონების სივრცეს“¹⁴.

წმ. გიორგი „ტყვეთა განმათავისუფლებლად“ გვევლინება „ქალაქი ლასიას სასწაულის“ სცენაში „ყრმის ტყვეობიდან განთავისუფლების“ სასწაულის ჩართვითა და მასთან შერწყმითაც („აქა მოიყვანა წმინდამან გიორგი ტყვედ წარყვანილი მნე ეკლესიისა თვისისა და განათავისუფლა“) და, ამდენად, ერთდროულად, კვლავაც, წმინდანის მიერ ეკლესის მფარველობისა და წარმართობაზე მისი სხის თემა მახვილდება (ამავდროულად, სასწაულით, უთუოდ, ყოვლისშემძლე უფალი იდიდება).

14 ა. ოქროპირიძე, წერილი წმ. გიორგის შესახებ, ხელნაწერი, 2015 წ.

ამგვარად, წმ. გიორგის სასწაულების ამსახველი რელიეფური ნიმუშები ჰქონია შესაბამის საუკუნეების სკულპტურის თემატიკის და იკონოგრაფიული რეპერტუარის შემთხვევის თავისებურ „სიცოცხლისუნარიანობას“ და, ამავე დროს, წმ. გიორგის იკონოგრაფიის შემოქმედებითი აქტივობის ტრადიციის უწყვეტობას ცხადყოფს.

Ekaterine Kvachadze

Composition of the Miracles of St. George in the Medieval Stone Reliefs

Images of St. George are found in Georgian art from Early Middle Ages (stone stelae, chancel-barriers), depicted in the relief sculpture as piercing the dragon or Diocletian or as a Warrior Saint standing frontally, while in the repoussé work and mural decorations scenes and cycles of his miracles and martyrdom are also widespread. Among these is the Miracle with the Dragon, which, except several Late Medieval examples, is not met with in the stone reliefs (it is noteworthy that this image appears earlier than the respective text). One of the examples is the plaque from Niabi (Inner Kartli, eastern Georgia, Kaspi municipality) church, ascribed to 1682, construction activity of Nikoloz Magaladze; here in quite a generalised and schematic way the Miracle with the Dragon and Miracle of the Rescuing the Youngster are “combined” (one strange detail – the belt with which the princess should drag the dragon, is fastened to the horse); the same composition is seen on the repoussé labarum commissioned by Nik. Magaladze.

Four more examples of the Miracle with the Dragon are known in Georgian reliefs. One is in the village Merenia (Javakheti, southern Georgia, Late Middle Ages, 18th c.), a work of high mastery; 18th c. plaque from Kutaisi Historical Museum is distinguished by its dynamism; relief from the village Koreti (Imereti, western Georgia, Sachkhere municipality), executed in high relief and somewhat rough forms, which seems likely to be datable to the 19th c.; and a relief from the Mravalzali (Racha, western Georgia, Oni municipality) church of St. George, distinguished by its narrativity. These four examples distinctly show the influence of the 15th-17th cc. Greek, Balkan and Russian icon painting, including iconographic details (headwear of the princess, Angel blessing the Saint in Koreti plaque).



სურ. 1. ნიაბი. წმ. გიორგი, XVII ს.



სურ. 2. ლაბარუმი. წმ. გიორგი,
(ნიառալ մագալածի), XVII ს.




სურ. 3. Թյերքնօս, წմ. გიორგი,
Զգօսնու Շնա Սաշաշնեցի (XVIII ს.?)



სურ. 4. Թրագալաձալո, წմ. გიოրგი, XIX ს.




სურ. 5. წმ. გიორგი. ქუთაისის სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმი, XVIII ს.



სურ. 6. წმ. გიორგი. ქორეთის საჯარო
სკოლის მუზეუმი, XVIII-XIX სს.



სურ. 7. წმ. გიორგი. ფსკოფი, XV ს.



სურ. 8. წმ. გიორგი. რიაზანის ხელ. მუზეუმი,
XVIII ს.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
 და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი¹

ქართველთათვის ერთ-ერთი უძინეშვნელოვანები სიწმინდე წმ. ნინოს ჯვარი 1802 წლიდან მოყოლებული თბილისის სიონის ტაძარშია დაცული. ჯვარი სპეციალურად მისთვის დამზადებულ ვერცხლის ჭედურ ჩასასვენებელშია მოთავსებული (სურ. 1).

ჩასასვენებლით მკვლევარები ჯერ კიდევ მეცნამეტე საუკუნეში დაინტერესდნენ. მის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან პლატონ იოსელიანი,² ანტონ ნატროშვილი³, მოსე ჯანაშვილი⁴, მარკოზ ტყემალაძე⁵. მათი დანატოვარი გარევეულწილად ზოგადია, თუმცა მრავალი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და ძვირფასი.

ჯვარს საქტიტორო წარწერა აქვს, საიდანაც ვიგებთ რომ ქტიტორი მეფე ვახტანგი ყოფილა: „ქ. დედაო ნინო, დედისა ღუთისა [მი]ნიჭებულსა ჯუარსა გიმობ მევე ვახტანგ, რომლითა განანთლე ქუშევანა ქართველისა, მეცა მ[...]-დ...“ (სურ. 2). მაგრამ, ვინაიდან წარწერა დაზიანების გამო სრული არაა, გასარკვევია თუ რომელ ვახტანგზეა საუბარი. პლატონ იოსელიანის აზრით, აქ მოხსენიებული ვახტანგი შესაძლოა იყოს ვახტანგ მეორე, დავით მეოთხის შვილი (1289-1292), ან ვახტანგ მესამე, დემეტრე მესამეს შვილი (1301) ან ვახტანგ მეოთხე, ალექსანდრე პირველის შვილი (1442-1445)⁶. ამ მოსაზრების მიხედვით ჯვრის ბუდე XIII, XIV ან სულ გვიან XV საუკუნეში უნდა შექმნილიყო, ჩასასვენებლის იერი კი უმაღლ გამორიცხავს ამ მოსაზრებას. ჯვრის ბუდის ჭედურობა რომ ბევრად უფრო გვიანდელი ნახელავია ამას მასზე გამოსახული მკვეთრად ევროპეურებული გამოსახულებანი უეჭველად ადასტურებს. დროის ამ მონაკვეთან კი, ორი ვახტანგია დაკავშირებული – ვახტანგ V – შაპნავაზი (მეფობდა 1658-1675 წლებში) და ვახტანგ VI (მეფობდა 1716-1724 წლებში). თუმცა, მეფე ვახტანგის ხსენებისას, ნებაუნებურად მაშინვე ვახტანგ მეექვსეზე გადადის უურადღება, რასაც რამდენიმე თბიექტური მიზეზი განაპირობებს. აღსანიშნავია ვახტანგ მეექვსის აქტიური კულტურული მოღვაწეობა, რომელიც მუდამ თან

1 წერილი მოხსენებად იქნა წართხული 2015 წლის დეკემბერში გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში ქართული ხელოვნებათმცოდნეობის 100 წლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.

2 П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тиф., 1866, გვ. 120-123; ქართული თარგმანი: პ. იოსელიანი, აღწერა თფილისის სიძველეთა, თბ., 2009, გვ. 102-110.

3 А. Натроев, Мцхета и его собор Свети-сховели, Тиф., 1900, გვ. 127-131.

4 პ. ჯანაშვილი, ნინოს ჯვარი, მწყემსი, 1884, №7, გვ. 5.

5 პ. ტყემალაძე, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი. ჯვარი ვაზისა, 1991, №1, გვ. 70-74.

6 П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, გვ. 120; ქართული თარგმანი: პ. იოსელიანი, აღწერა თფილისის სიძველეთა, გვ. 102.

გასდევს მის ასევე ძალზე აქტიურ პოლიტიკურ ქმედებებს – პირველი სტამბის დაარსება, „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება-შევსება, ქართველ წმინდანთა ცხოვრების მოძიება-შეგროვება დაიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობა და მრავალი სხვა⁷. თუმცა, ისტორიკოსი ე. ბუბულაშვილი ჯვრის ჩასასვენებელზე ნახსენებ მეფე ვახტანგს შაჰნავაზთან აიგივებს⁸. არგუმენტად კი ერთი საგულისხმო გარემოება მოჰყავს. საქმე ისაა, რომ უწინ, წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელს ტიპიური სტაგროლექტის მსგავსად თავისი საფარველი ხატი ჰქონია. „ჯვარი ასევნია კუბოში ნინოს ხატთან ერთად“ – წერს მ. ჯანაშვილი⁹, ხატის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან ზემოთ დასახელებული სხვა ავტორებიც. ჯვრის ჩასასვენებელს რომ კარი-ხატი ჰქონდა, ამას ეროვნულ არქივში დაცული დ. ერმაკოვის ფოტოც ადასტურებს¹⁰ (სურ. 3). ფოტოზე წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი გახსნილი სახითაა წარმოდგენილი, იქვე ფრაგმენტულად მოჩანს მასზე ანჯამებით მიმაგრებული კარი-ხატიც. ვინაიდან ბუდე გახსნილია, ბუნებრივია, ფოტოზე არ ჩანს თუ როგორია თავად ხატი, თუმცა არსებობს ა. ნატროშვილის აღწერილობა, რომელიც წერს, რომ ჯვრის ჩასასვენებლის კარგბზე მლოცველი წმ. ნინო გამოსახული, ხატის მარჯვენა კუთხეში კი, მაცხოვარი, რომელიც მოციქულთასწორს აკურთხებს¹¹. 1946 წელს გამოცემული სიონის ტაძრის მცირედი ცნობარიდან ვიგებთ, რომ 1937 წელს ხატი ჯვრის ბუდისგან განცალკევებით და მისთვის ადგილი კანკელზე მიუჩენიათ¹². საბეჭინიეროდ, ამ ხატმა დღევანდელ დღემდე მოაღწია და იგი კვლავაც სიონის ტაძრის კანკელზეა დაბრძანებული. ეს რომ სწორედ ის კარი-ხატია, რომელიც უწინ წმ. ნინოს ჯვარს ეფარა, ამას პირველ რიგში მისი ზუსტად ჯვრის ჩასასვენებლის იდენტური ზომა, ფორმა და მასზე მიმაგრებული ანჯამები გვიდასტურებს, ამასვე მოწმობს ა. ნატროშვილის აღწერილობაც. არსებობს მისი დ. ერმაკოვისეული ფოტოც¹³ (სურ. 4). ხატს წარწერა ჰქონია, რომლის ტექსტიც კვლავ პ. იოსელიანის და ა. ნატროშვილის ზემოხსენებულ ნაშრომებშია გამოქვეყნებული. „წმიდაო მოციქულო ნინა, მეოხ-გუშავ თრსავე შინა ცხოვრებასა მეფესა არჩილს, რომელმან შემოგწირე სულისა ჩემისა საოხად და მეფობისა ჩუმნისა წარსამართებლად შევამკე ხატი ესე.

ძელო ცხოვრებისაო, ცხოვრებისაგან ნუ ხუცბულ-მყოფ, ვითარცა პირუცილსა მამასა ჩუმნისა ადამსა, ყოველ-მცუცლ და მფარუცელ-მეყავ თრსავე ცხოვრებასა; ეგრეთუც თქუმნ სიმრავლენო მოწამეთანო, მიოხენით წინაშე ღუთისა მეფესა

7 მ. ქიქოძე, ვახტანგ VI-ის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოღვაწეობა: პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა, თბ., 1988, გვ. 151-173.

8 ე. ბუბულაშვილი, ქართველთა განმანათლებლის და მოციქულთასწორის წმინდა ნინოს მოღვაწეობა და მის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007, გვ. 217-219.

9 მ. ჯანაშვილი, ნინას ჯვარი, გვ. 5.

10 ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ალბომი №802, ფოტო №171.

11 А. Нагроев, Мцхета и его собор Свети-сховели, გვ. 131.

12 სიონის ტაძრისთვის მცირედი ცნობარი, 1946, გვ. 8.

13 ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ალბომი №802, ფოტო №83.

არჩილს. ქორონიკონს ტნე”¹⁴. ამრიგად, ზუსტად ვიგებთ საფარველი ხატის შექმნის თარიღს და ქტიტორის ვინაობას, ქტიტორი მეფე არჩილ II-ა, შაპნავაზის ვაჟი (მეფობდა 1661-1713 წლებში), ხატის შექმნის თარიღი კი 1677 წელია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა ეკუთვნოდეს ჯვრის ბუდე XVIII საუკუნის პირველ ნახევარს, თუკი მისი საფარველი ხატი რამდენიმე ათეული წლით ადრე შეიქმნა. სწორედ ეს შეუსაბამობა მოყვავს არგუმენტად ე. ბუბულაშვილს და უპირობო ქტიტორად ვახტანგ მეტეორ შაპნავაზს ასახელებს. თუმცა, მხოლოდ თარიღზე დაფუძნებულ ვარაუდს ვერ ვიგულვებო მყარ არგუმენტებად, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოებზე სამსჯელოდ მთავარ და ყველაზე მყარ არგუმენტად თითქმის ყოველთვის მისი მხატვრული იერი გვევლინება ხოლმე. სწორედ, ეს იერია რამაც მეცა და ზოგიერთ სხვა მკვლევარსაც შეხედვისთანავე ვახტანგ მეექვის დრო აფიქრებინა.

წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი მართუკუთხაა, შუაში ჯვრისსახა ჩადრმავებით. ჩასასვენებლის ზედაპირზე წმ. ნინოს ცხოვრების ციკლია გამოსახული. სულ ექვსი სცენაა, სამ-სამი ჯვრის ორსავ მხარეს. ისინი ისტორიული თანმიმდევრობით ჩვენგან მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ იკითხება. პირველი წმ. ნინოსადმი ღმრთისმშობლის გამოცხადება (სურ. 5), მის მოპირდაპირე მხარეს, სომხეთში წმ. ნინოს სახწაულებრივი ხსნა (სურ. 6), შემდგომი სურათი ფარავნის ტბასთან მიძინებული წმ. ნინოსადმი „ნათლისა კაცის“ გამოცხადებას და მისთვის წიგნის გადაცემას მოგვითხრობს (სურ. 7), მოპირდაპირე სცენა კი, არმაზის დღესაწაულზე წმ. ნინოს მიერ კერპების დამხობის ამბავს (სურ. 8), ქვედა, მესამე რეგისტრის ორივე გამოსახულება განკურნების ამბებს ეთმობა. პირველში წმ. ნანა დედოფლის განკურნებად ასახული (სურ. 9), მეორეში კი, უფლისწული რეგისა (სურ. 10). ყოველ სცენას იმავე ამბის მთხოვობელი წარწერა ახლავს თან.

თითოეული სიუჟეტი ხეებითა და მცენარეებით მოფენილი მთაგორიანი პეიზაჟის ფონზე ვითარდება. მცენარეული მოტივები ავსებს მთებს მიღმა არსებულ ნეიტრალურ სივრცესაც, სადაც მათ უკვე არა კონკრეტული ხის ან ყვავილის, არამედ დეკორატიული ფუნქცია ენიჭება. პეიზაჟის მცენარეთაგან ფონის ყლორტებს, ფოთლებსა და ყვავილებს უფრო დიდი ზომა, მოხაზულობა და დამუშავების ტექნიკა განასხვავებს. ზოგიერთ სცენაში, უკანა ხედზე, შორს მთაზე წვეტიანსახურავიანი ნაგებობებია აღმართული (ცხადია, ქალაქი მცხეთა!). განკურნების სცენებში მრგვალჩარდახიანი საწოლები დგას, პირველ გამოსახულებაში კი, სადაც წმ. ნინოს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ჯვარს გადასცემს – ორფერდა შეფიცრულსახურავიანი დია ფანჩატური. ზედა სცენებზე ხვეულა, ფუმფულა ღრუბლებია გამოსახული, მათგან წმ. ნინოზე გარდამომავალი სხივებით. აი, ასეთ მრავალფეროვან გარემოში ვითარდება ექვსივე საქმაოდ მრავალპერსონაჟიანი და დინამიკური სიუჟეტი.

წმ. ნინოს ჯვრის ჭედური ჩასავენებელი კომპოზიციურად საკმაოდ მსუბუქა და დატვირთული. ასეთი გადატვირთული კომპოზიციები უკვე XVI საუკუნეში

14 П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, гл. 121. А. Натроев, Мцхета и его собор Свети-ховели, гл. 130-131.

გვხვდება (მაგ., ჯუმათის, შემოქმედის, გელათის ხატები¹⁵), თუმცა, აქტიუროდ ეს მახასიათებელი ქართულ ჭედურობაში (სახვითი ხელოვნების სხვა დარგებშიც!) XVII საუკუნეში მკვიდრდება. ამ მხრივ ძალზე კარგი მაგალითი ცნობილი ანჩისხატის კარის XVII საუკუნეში შესრულებული გარე მოჭედილობაა¹⁶ მასზე ასახული ისედაც მრავალფიგურიანი ექვსი საუფლო დდესასწაული კიდევ მრავალი დამატებითი არქიტექტურული თუ მცენარეული მოტივითაა დატვირთული. აშკარად ინტერესი დეტალებისადმი, ოსტატი სულ პატარა თავისუფალ ადგილსაც კი არ ტოვებს დაუმუშავებელს და მას ან ორნამენტით ავსებს ან დიდი ზომის წარწერებით. ამ დატვირთულობის განცდას აძლიერებს გამოსასახ არესთან შედარებით მასშტაბურად დიდი ზომის ფიგურები, რომლებიც ზუსტად ავსებენ მოფარგლულ არეს (იხილეთ აგრეთვე ცაიშის, ტყვირის, კორცხელის, ვანის, ქვემო ჭალას ხატები¹⁷). მაგრამ, თუ XVII საუკუნის და XVIII საუკუნის ნიმუშებს ერთმანეთის გვერდიგვერდ დავდებო, ერთი შეხედვაც იპ-მარებს იმის მისახვედრად რომ XVIII საუკუნის გამოსახულებების კომპოზიციათა გადატვირთულობა სრულიად სხვა გვარისაა, ვიდრე XVII საუკუნისა. საქმე ისაა, რომ XVIII საუკუნის გამოსახულებებში კომპოზიციური სიმსუსის განცდას გამოსახულებათა ფონებზე არსებული მცენარეულ-ყვავილოვანი მოტივების სიჭარბე ქმნის (მაგ., ჯრუჭის, გელათის, ჩხარის, ალავერდის ხატები¹⁸). უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეებით უხვად დაფარული ფონები უკვე XVI საუკუნიდან ჩნდება. ამ პერიოდში გამოსახული მცენარეული მოტივები აშკარა აღმოსავლური გავლენების მატარებელია, პირობითი და სქემატური, გაკეთებულია დაბალი რელიეფით, როგორც მთავარ გამოსახულებას დაქვემდებარებული და არა წამყვანი მხატვრული მოტივი. ამ ყოველივეს ემატება ფონზე მიმოყრილი სხვადასხვაურის ძვირფასი ქვები – XVI საუკუნის განსაკუთრებულად სახასიათო ნიშანი. ფონებზე მცენარეების გამოსახვა XVII საუკუნეშიც ძალზე პოპულარულია. XVII საუკუნეში ეს მოტივები კვლავაც აღმოსავლური გავლენების მატარებელია, თუმცა სხვაობა ისაა, რომ ისინი უფრო განზოგადებული და სქემატური ხდება. ამ პერიოდში ოსტატობის დონის კლებაც შეინიშნება. XVIII საუკუნეში მცენარეული მოტივები წინა საუკუნეებთან შედარებით უფრო ნატურალისტური ხდება, მრავალფეროვანი, ყვავილებით, კოკრებით, ყლორტებითა და სხვადასხვა ხვეულებით გამდიდრებული, რადიკალურად იცვლება მათი დამუშავების ტექნიკაც – რელიეფი საქმაოდ მაღალია ხოლმე და მოცულობითი, ამიტომაც ვიზუალურად ძალზე აქტიური. თუკი კვლავ წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელს მივაპყრობთ ყურადღებას, ზემოთ ჩამოთვლილ მახასიათებელთა გათვალისწინებით, ვგონებ, ადვილად შევძლებთ ეს ქმნილება შესაბამის პერიოდს მივაკუთვნოთ. წმ. ნინოს ჯვრის ბუდის ჭედურობაზე, ექვსივე სცენაში კომპოზიცია გადატვირთულია, მაგრამ რის ხარჯზე? მიუხედავად იმისა, რომ თითქმის

15 Г.Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, иллюстрации, Тб, 1959, № 537, 538, 552.

16 იქვე, № 567.

17 იქვე, № 565, 570, 574, 575, 579.

18 იქვე, № 585, 586, 587, 588, 589.

ყველგან ბევრი პერსონაჟი მონაწილეობს, ისინი თავიანთი მასშტაბებით ძალზე ხალვათათ მიმოდიან გამოსასასა არეზე. აქ კომპოზიციური გადატვირთულობის განცდას მცენარეთა სიმრავლე ქმნის, რომელიც იმდანად მაღალი რელიეფით გამოუკვეთავს ოქრომჭედელს, რომ თითოეული ფოთოლი თუ კვირგი თავისი მოცულობით მთავარ პერსონაჟებსაც ეპაექრება. ეს ყოველივე კი, უპირობოდ XVIII საუკუნის მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ახლა კი, თარიღის უკეთ დასადგენად სხვა მნიშვნელოვან ნეუანსებზე გადავინაცვლოთ. წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელზე გამოსახული მოქმედი პირი, წმ. ნინო, მევე მირიანი და დედოფალი ნანა, მათი თანმხლები პირები ქრისტიანული იკონოგრაფიის ტრადიციისამებრ არიან შემოსილი. მხოლოდ წმ. ნინოსადმი ნათლისა კაცის გამოცხადების სცენაში ვხედავთ სრულიად განსხვავებული ჩასაცმელით მოსილ მწყემსებს. ისინი მოკლე ევროპულ ტუნიკებში გამოწყობილნი, სახასიათო ვარცხნილობებითა და ევროპული ყაიდის ფარფლებიანი ქუდებით თითქოს პირდაპირ ევროპული გრავიურებიდან გადმოუსვამთ. სცენებში ჩართული ჩარდახიანი საწოლები, შორს მდგარი ნაგებობები წვეტიანი სახურავებით, ბაროკოსებრ ჩახუჭუჭებული ღრუბლები ევროპული სტილის გავლენით არის შექმნილი. ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში XVI საუკუნიდან მრავლად ისტამბებოდა და ვრცელდებოდა დასურათებული ბიბლიები. სწორედ მათ იყენებდნენ ნიმუშებად სახვითი ხელოვნების ყველა დარგისთვის მოელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში. საქართველოში კი, ევროპული გრავირებული ფურცლები XVIII საუკუნიდან დასტურდება¹⁹. ეს რამდენიმე, ვფიქრობ მნიშვნელოვანი არგუმენტი გვაფიქრებინებს სწორედ ვახტანგ მეექვისი პერიოდს, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს. თუმცა, სწორედ აქ იჩენს თავს ჯვრის ჩასასვენებლისა და მისი საფარველი ხატის დროითი შეუსაბამობა. მართლაც, თუ ჯვრის ბუდე ვახტანგ VI-ის დროს მიეკუთვნება, მაშინ რა გამოდის, რომ საფარველი უფრო ადრე შეიქმნა ვიდრე ბუდე? ამ „გაუგებრობაში“ მხედველობაშია მისადები ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. საქმე ისაა, რომ წარწერაში მევე არჩილი არა მხოლოდ შემომწირვებულად, არამედ შემამკობელადაც არის მოხსენიებული: „...რომელმან შემოგწირე სულისა ჩემისა საოხად და მეფობისა ჩუმინსა წარსამართებლად შევამე ხატი ესე“-ო. სიტყვა „შემკობა“ კი, შესაძლოა არა ახლის შექმნას, არამედ უკვე ადრე არსებულის გამშვენებას გულისხმობდეს. და, მართლაც, შეუძლებელია ქართველთათვის ისეთი მნიშვნელოვანი სიწმინდე, როგორიც წმ. ნინოს ჯვარია და რომელიც მევე არჩილის დროს უკვე არსებობის ცამეტ საუკუნეს ითვლის, ამდენი ხნის მანძილზე ჩასასვენებლის გარეშე არსებულიყო. ვფიქრობ, არჩილისეული წარწერა წმ. ნინოს ჯვრის სპეციალურ ბუდეში შენახვის მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე მეტყველებს. ამიტომ, სავსებით ლოგიკურია, ჯერ არჩილ II-ის მიერ საფარველი ხატის განახლება მომხდარიყო, მოგვიანებით კი, ვახტანგ VI-ის ქტიტორობით ძველი ჯვრის ბუდის ჩანაცვლება ახლით, ან იქნებ არა ჩანაცვლება, არამედ განახლება-შემკობა. წარწერაში მოხსენიებულ მევე ვახტანგთან დაკავშირებით ძალზე საგულისხმო

19 პ. ჯანჯალია, წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი ბოდბის ტაძრის მოხატულობაში, დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის ეანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1994, გვ. 88.

კიდევ ერთი რამ არის. წერილობითი წყაროები გვიდასტურებს რომ ვახტანგი V-ის მიერ სიცოცხლეში მუდამ თავისი ისლამური სახელით, შაპნავაზად მოიხსენიებდნენ ხოლმე. მაგალითისთვის ანჩისხატის სამრეკლოს წარწერაც გამოდგება: „ჩვენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან კათალიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო ესე და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლსა შაპნავაზისსა (ხაზი ჩემია) ქორონიკონსა ტნიგ (1675 წელი)“ ამიტომ ჯვრის ჩასასვენებლის საქტიტორო წარწერაში ნახსენები წოდება „მევე ვახტანგი“ კიდევ უფრო აქარწყლებს მოსაზრებას შაპნავაზის ქტიტორობის თაობაზე და ქტიტორად მევე ვახტანგ VI-ს წარმომგვიჩნეს.

საფარველი ხატის წარწერის თარიღმა ერთ „შეუსაბამობაზე“ მეც დამაფიქრა, რადგანაც ხატის იერს საქტიტორო წარწერაში მითითებული 1677 წელი დიდად ვერ ესადაგება. ხატი ვერცხლისაა, მასზე წმ. ნინოა გამოსახული მთელი ტანით. ოდნავ მარჯვნივ შებრუნებულს მზერა ხატის ზედა კუთხეში გამოსახული ლრუბლებიდან მზირალი მაცხოვრისკენ აქვს მიპყრობილი. მაცხოვარს მარცხენა ხელით სახარება უჭირავს, მარჯვენათი კი წმინდანს აუკრთხებს. წმ. ნინოს ვედრებად აქვს აპყრობილი მარჯვენა, მეორე ხელში კი ჯვარი უჭირავს. მოციქულთასწორს ყვავილებით, კოკრებითა და ერთმანეთს გადახლართული ყლორტებით მოჩითული ფონი უმშვენებს ზურგს. მცენარეები საკმაოდ მაღალი რელიეფითაა ამოყვანილი, განხაკუთრებულად დათქვირულია ყვავილები და კოკრები, რომლებიც ერთმანეთს გადახლართულ ყლორტებსა და დეროებზე მიბმულები თითქოს სიბრტყიდან გათავისუფლებას ლამობენ. იქვე, ყვავილებს შორის, პატარა გორაკზე ქალაქი მცხეთა მოჩანს, ისეთივე, როგორიც ჯვრის ბუდის სცენებში. ასეთი დინამიკური, მოცულობითი, ბაროკულო დეკორი მაშინვე XVIII საუკუნეს გვაფიქრებინებს და თითქმის დაუჯერებელს ხდის, რომ ეს გამოსახულება შესაძლოა 1677 წელს შექმნილიყო. თუმცა, იქნებ, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ უკვე 1677 წელს (სხვათაშორის ეს შაპნავაზის გარდაცვალების წელიცა!) არჩილ II, საკმაოდ პროგრესული მოაზროვნე დიად დაუპირისპირდა ყოველივე აღმოსავლურს და ევროპისკენ მზირალმა ევროპულ სტილზე შეაჩერა არჩევანი ან იქნებ არჩილის საქტიტორო წარწერა ხატის თანადროული სულაც არა და ხატი მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება? ამ ვარაუდის საფუძველს პ. იოსელიანის წიგნში ამოკითხული ინფორმაცია იძლევა – წარწერა „ნაწილის ჩასადების ირგვლივ“ არის ამოტვიფრული²⁰. გამოდის რომ წარწერა თავად ხატზე კი არა, ხატთან არსებულ სანაწილებზე ყოფილა დატანილი. სამწუხაროდ, მოგვიწევს მხოლოდ პ. იოსელიანის ინფორმაციას დავჯერდეთ, რადგანაც წარწერის პირადად ნახვა ჯერჯერობით ვერ შევძელი. საქმე ისაა, რომ ხატს ზურგზე ხავერდის ქსოვილი აქვს გადაკრული, წარწერიანი სანაწილე კი, სავარაუდოდ სწორედ მის მიღმაა, ამაზე მიგვანიშნებს ხატის ზურგზე ამოზენექილი საკმაოდ დიდი მონაკვეთიც. სანაწილეში კი, ვფიქრობ, ძელი ცხოველის ნაწილი უნდა იყოს მოთავსებული, რადგან წარწერაში არჩილ მევე არა მხოლოდ წმ. ნინოს მიმართავს ლოცვით, არამედ ძელი ცხოველსაც

20 პ. იოსელიანი, აღწერა თვილისის სიძველეთა, გვ. 102-103; П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, გვ. 121.

შეავედრებს თავს: „ძელო ცხოვრებისათ, ცხოვრებისგან ნუ ხუმბულ-მყოფ, გვი-კოროცხება თარცა პირუშლება მამასა ჩუმნსა ადამსა, ყოველ-მცუშლ და მფარუშლ-მეყავ ორ-საგე ცხოვრებასა; ეგრეთვე თქუმნ სიმრავლენო მოწამეთანო, მიოხენით წინაშე ღუთისა მეფესა არჩილს”.

ზემოთქმული მოსაზრებანი მომავალში საფუძვლიან კვლევას საჭიროებს, რისთვისაც უპირველესად, ჯვრის ბუდისა და მისი საფარველი ხატის დეტალური დათვალიერება და შესწავლაა საჭირო. წმ. ნინოს ხატს რამდენიმე ადგილას შეკეთების და გადაკერების კვალი ეტყობა. მის ქვედა კუთხეებში კი, სადაც თავად ხატი დაზიანებულია, საერთოდაც სხვა პერიოდის და სტილის ორნამენტული არშიაა მიმაგრებული (სურ. 11). არშიის ნაწილი ხატის ფირფიტის ქვეშა მოქცეული, ნაწილი კი ზემოდან ეფარება მას. იქნებ ეს არშია წმ. ნინოს ჯვრის უფრო ადრეული საფარველი ხატის ნაწილადაც მიგვეჩნია, რომ არა ორნამენტზე გამოსახული ანტიკური პალმეტები. ანტიკური დეკორის ასე ზუსტი გამეორება უფრო XIX საუკუნეს გვაფიქრებინებს. მსგავსი მოტივი სიონის პირი ღმრთისას XIX საუკუნის ჭედური პერანგის მოჩარჩოებაზეც აღმოვაჩინე. იქნებ წმ. ნინოს დაზიანებულ ხატს XIX საუკუნეში რესტავრაცია გაუკეთდა და ეს ორნამენტიც მაშინ მოარგეს მორდვეული კუთხეების სანაცვლოდ. თუმცა, დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით – მხოლოდ პირი ღვთისას ორნამენტი ვერ გამოდგება დამათარიდებლად, სხვაგან კი, ასეთ დეკორს ვერსად მივაკვლიყ. ვიმედოვნებ, ეს ზოგადი მიმოხილვა იქნება დასაბამი ქართული ჭედური ხელოვნების იმ ნიმუშის შესწავლისა, რომელშიც საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდეა დავანებული და რომელიც ორი ქართველი მეფის მიერ წმ. ნინოს ჯვრისადმი გაწეულ ღვაწლს გვამცნობს.

და ბოლოს, ყურადღება წმ. ნინოს ჯვრის ბუდის ახლანდელ მდგომარეობაზე მინდა გავამახვილო. უწინ, როცა ჯვარს თავისი საფარველი ხატი ჰქონდა, მხოლოდ სპეციალურ დღეებში თუ იქნებოდა შესაძლებელი მისი ნახვა. დღეს ჯვარი დიად მნახველისთვის, თუმცა, ჯვრის სრულყოფილად აღქმას მის წინ აღმართული ლითონის ტლანქი ცხაური უმდის ხელს. იგი ციხის ზღუდესავითა აღმართულა ჯვარსა და მნახველს შორის და სრულიად კლავს იმ შთაბეჭდილებას, რომელითაც მასთან მიახლებული მლოცველი თუ უბრალო მნახველი უნდა დაიმუხტოს. ვფიქრობ, გასააზრებელია, მოსაფიქრებელი და შესაცვლელი ის გარემო, რომელშიც ესოდენ დიდი მნიშვნელობის საგანძურია დაცული.

ღრმად გარ დარწმუნებული, რომ ორი ერთმანეთისთვის შექმნილი, ოდესადაც ერთმანეთის კუთვნილი ნივთი კვლავ ერთმანეთს უნდა დაუბრუნდეს, მით უფრო, თუ მათ ერთად ყოფნას ფუნქციური დატვირთვა აქვს. ვფიქრობ, ამასვე მოითხოვს ისტორიული სამართლიანობაც! თუმცა, დირს კი, დიდი ხნის წინ ფუნქციაშეცვლილი ხატის კვლავ ძველ ადგილზე დაბრუნება და ჯვრის დამალვა? ეს საკითხიც საფუძვლიან გააზრებას ითხოვს. ერთი კია, ხშირად წარმოვიდგენ ხოლმე ძველ დროს, როცა წმ. ნინოს ხატთან მისული მლოცველი ხატთან ლოცულობდა, მის მიღმა კი სასწაულმოქმედი ვაზის ჯვარი ეგულებოდა და იმ საზეიმო დღეს ელოდა, როცა მას გაღებულს ნახავდა და მიაგებდა პატივს.

Tamar Khosroshvili

Kiot of St. Nino's Cross

Since 1802 onwards, Tbilisi Sion cathedral houses the greatest sacred object of the Orthodox Georgian Church – St. Nino's Cross. Its repoussé *kiot* was commissioned by King Vakhtang, who is identified as Vakhtang II (1209-1292), Vakhtang III (1301), Vakhtang IV (1442-1445) [Pl. Ioseliani] or rather Vakhtang V Shahnavaaz (1656-1675) [El. Bubalashvili] or Vakhtang VI (1716-1740s) [this is the viewpoint of the majority of scholars]. Up to 1937, the *kiot* had a kind of cover – icon of St. Nino commissioned by the King Archil (1661-1713) and, according to the inscription, made in 1667 (the work proper does not look to be that old).

Kiot of St. Nino's Cross bears 6 life-scenes of the Saint depicted against the vegetated mountainous setting. Certain traits of the compositions are typical of the entire Late Middle Ages (densely filled surface, abundance of vegetation), however, if in the 16th-17th cc., plant motifs are still a background for the figures and are rather Oriental in their appearance, in the 18th c., flowers and leaves rival the represented personages, being far more “naturalistic” and oriented towards European models (the same is evidenced by the vestments of some figures, buildings, etc.).

How the 17th c. “cover icon” was fit to the 18th c. *kiot*? St. Nino's Cross most probably should have a *kiot* earlier, approximately of the same dimensions; besides, according to the text of King Archil's inscription, as well as evidence of the 19th c. historian Pl. Ioseliani, this inscription should have belonged to the reliquary of the True Cross. Regretfully, at present it is covered over with velvet and without special unveiling and study it is impossible to clarify this, as well as figure out the history of the icon, borders of which definitely contain fragments overlapping each other.




სურ. 1. წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი



სურ. 2. მეზე გახტანგის საქტიტორო წარწერა



სურ. 3. წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი.
(დ. ერმაკოვის ფოტო)



სურ. 4. წმ. ნინოს ჯვრის ჩასასვენებელის საფარველი ხატი.
(დ. ერმაკოვის ფოტო)




Նյու. 5. Վմ. նօնու չշրու նասա սցեն եղել է. Վմ. նօնու սաժմո դմրտուս մթոծ ծագել է.



Նյու. 6. Առմենյան վմ. նօնու սաս պահապահ եղած են նա. Վմ. նօնու չշրու նասա սցեն եղել է



Նյու. 7. Վմ. նօնու սաժմո „նա տղուս գացու” գամու սագել ա և մուտքու վու նօնու գաճա ցըմա. Վմ. նօնու չշրու նասա սցեն եղել է



Նյու. 8. Վմ. նօնու մոյր կյրապե ծամեն ծագել է. Վմ. նօնու չշրու նասա սցեն եղել է



Տպ. 9. Ֆմ. նօնու չշըրու հասավենցիլո. Փմ. նանա դշեռուցու գանձնունքին.



Տպ. 10. Ֆմ. նօնու չշըրու հասավենցիլո. Շավլուսի շուլ ըշըու գանձնունքին.



Տպ. 11. Ֆմ. նօնու չշըրու հասավենցիլու սալարացիլո եացո

ელისო ჩუბინიძე, ირინე უგრეხელიძე, დავით სულაბერძეშვილი
ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმი

უბისის დაფარნის იკონგრაფიისა და ისტორიის საკითხისათვის¹

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში სასულიერო თუ საერო მოღვაწეების რამდენიმე თაობის ძალისსმევით, ხელოვნების სხვა ნიმუშებთან ერთად, როგორც ისტორიული სიძეელები, ქართველი ოსტატების ნაღვაწი მხატვრული ქსოვილებიცად დაცულია. ეს ექსპონატები არა მარტო ქრისტიანული ლვოსმსახურების კუთხითაა საინტერესო, არამედ მეტად მდიდარ და ძვირფას მასალას წარმოადგენს ქართული ქრისტიანული ხელოვნების შესასწავლად. თუმცა, მათი მნიშვნელობა არც ამით ამოიწურება – ჩვენამდე მოღწეული ბევრი ძეგლი შეიცავს წარწერებს, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდის კონკრეტული ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური წარსულიდან. წარწერებში ვხვდებით ცნობილი, ნაკლებად ცნობილი თუ სრულიად უცნობი ქტიორ-შემწირველების სახელებს, რომელთა განკარგულებითა და საფასით შეიქმნა ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები. აქ ხშირადაა მოთხოვობილი ისტორიული პირების – მეფეების, დედოფლების, ერისთავთ-ერისთავების, მთავრების, კათოლიკოს-პატრიარქების, ეპისკოპოსების ღვაწლის, დამსახურების, მათი საბრძოლო თუ პოლიტიკური წარმატებების შესახებ. არა ერთმა ძეგლმა ნაქარგობათა შემქმნელი ოსტატის სახელიც შემოგვინახა.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლთაგანია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული ნაქარგი დაფარნა (ქიმ. 66/93), რომელიც 1925 წელს, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტმა და მუზეუმის რწმუნებულმა ზემო იმერეთში – მიხეილ ჩიხჩალაძემ უბისის გაუქმებული მონასტრიდან ჩამოიტანა. დაფარნათა მდიდარ კოლექციაში ის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საინტერესო კომპოზიციითა და განსხვავებული იკონოგრაფიით (სურ. 1).

დაფარნის ზედაპირული დათვალიერებაც კი ნათელს ხდის, რომ ჩვენს წინაშეა გვიანი შუა საუკუნეების ქართული ქარგული ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში. კვადრატული ფორმის (30X30) დაფარნის მასალად გამოყენებულია აბრეშუმის ქსოვილი, ფერადი აბრეშუმით შეგრეხილი ზეზი, შინნაქსოვი ტილო, მარგალიტი, სარტულისათვის – ზოლიანი ბამბის ქსოვილი. აბრეშუმის მუქი ყავისფერი მიწარი საკმაოდ დაზიანებულია, თვით ნაქარგობა კარგადაა შემონახული.

უბისის დაფარნის დეტალურ გაანალიზებამდე მიზანშეწონილია საზოგადოდ

1 სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის – „ძეგლი ქართული ნაქარგობის სამეცნიერო-ისტორიული კვლევა და შესრულების ტექნიკის შესწავლა-დანერგვა“, ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. წერილი მოხსენებად იქნა წაკითხული 2015 წლის დეკემბერში გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში ქართული ხელოვნებათმცოდნების 100 წლისადმი მიღებით სამეცნიერო კონფერენციაზე.

დაფარნათა რაობის, წარმომავლობის, ხმარების წესის, ლიტურგიის დროს შიმინდება სიმბოლური არსისა და დანიშნულების სრულყოფილად განმარტება: დაფარნა წარმოადგენს საეკლესიო დანიშნულების ნივთს, რომელიც ბარძიმ-ფეშუმის საფარებლად იხმარება. სულხან-საბას მიხედვით, დაფარნა „სიწმინდის საფარებელია“²; ასეთივე დაგით ჩუბინაშვილის განმარტებაც³.

ბროკაუზ-ეფრონის ენციკლოპედიაში დაფარნის რაობა ასე განიმარტება: „Воздух – большой из трех покровов для покрытия св. даров приготовленных к освящению на дискосе и потире и покрываемых сперва порознь малыми покровами. Оба священных сосуда покрываются вместе воздухом, окружающим св. дары“⁴.

მსგავსი გამარტება აქვს მღვდელ რაჟდენ გიგაუროვს (გიგაურს): „წმინდა ძღვენთა შესამოსელებს პქვიან დაფარნები. ძირითადათ სამია: ორი პატარა და ერთი დიდი. ამათგან, ერთს აფარებენ ფეშუმს, მეორეს ბარძიმს და მესამეს, დიდს-ორივეს. ე. ი. ფეშუმსა და ბარძიმს. დიდი დაფარნა პერად (ცაი) იწოდება, იგი გვახსენებს იმ ლოდს, რომლითაც იყო დახშული კარები ქრისტეს საფლავისა, ასევე მაცხოვრის აღდგომის დროს მიწისძვრასაც და სულიწმიდის მაღლის ნიავებსაც. მიტომაც იწოდება იგი პერად. პატარა დაფარნები ნიშნავს იმ შესახვევებს, რითაც იყო შეხვეული იესო ქრისტე, როცა იწვა ბაგაში და იმ სუდარასაც, რითაც იყო შესუდრული უწმიდესი გვამი მისი დასაფლავების დროს“⁵.

ბარძიმისა და ფეშუმისათვის განკუთვნილი მცირე დაფარნები უმთავრესად კვადრატული ან ჯვრის ფორმისაა, ხოლო საერთო საფარებელი ზომით უფრო დიდია და მართკუდხედის ფორმა აქვს. მათი ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ბერძნულ ენაში დამკვიდრებულია ტერმინები: დიდი დაფარნისათვის – „ატე“ („აერ“), პატარებისათვის – „ხალსუმა“ („კალემმა“), უფრო კონკრეტულად „ნისხიჯალსუმა“ („დისკოკალემმა“) – ფეშუმის საბურველი, „ποτεροχάλσυμα“ („პოტეროკალემმა“) – ბარძიმის საბურველი. ასევეა რუსულშიც: დიდ დაფარნას „Воздух“, პატარას – „Судар“, „Покровец“ ეწოდება. ანალოგიურად, ქართულში ამ საგნის აღმნიშვნელ რამდენიმე სახელს ვხვდებით: „საბურველი“, „ცაი“, „პერექელი“ და „დაფარნა“. დიდი დაფარნებისთვის გამოიყენებოდა „ცაი“, ხოლო პატარასათვის სპეციალური ტერმინი – „პერექელი“. „პერექელი“ ბერძნული წარმოშობისაა („περιχάλσυμα“ „პერიკალომა“ – საბურველი, საფარებელი) და მისმა გადმოქართულებამ ზემოაღნიშნული სახე მოგვცა. ჩვენამდე მოღწეულ ქართულ დაფარნებზე დაცულ წარწერებში ტერმინი „პერექელი“ საკმაოდ ხშირად გვხვდება. ტერმინ „დაფარნა“-ს დამკვიდრება, ენათმეცნიერთა აზრით, უნდა გამოეწვია ამ ტიპის ნივთებზე ამოქარგული ლიტურგიკული წარწერების საწყისი სიტყვის ხშირ ხმარებას: „დაფარნა ცაი შევენიერებამან შენმან ქრისტე“

2 ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991, გვ. 92.

3 დ. ჩუბინიშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 430.

4 ფ.А. Брокрауз, И.А. Ефрон, Энциклопедический словарь, Т. VI, 1892, გვ. 102.

5 რ. გიგაუროვი (გიგაური), სწავლა შედგენილი რაჟდენ გიგაუროვის მიერ, ქუთაისი, 1875, აღმოსავლური ეპლესის ღვთისმსახურება. რელიგია, №1, 1993, გვ. 68.

და ქებითა შენითა აღივსო ქვეყანა“ (ამ სიტყვებს წარმოთქამს მღვდელი საბურველით ბარძიმის დაფარვისას). დროთა ვითარებაში ზმნური ფორმა (მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა) ამ ნივთის სახელად იქცა^{6,7}.

საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე დაფარნამ საკმაოდ დიდი ისტორიული გზა განვლო. იგი ლიტურგიული მსახურების დაკვიდრებამდეც გამოიყენებოდა და მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება პქონდა, უნდა დაეცვა ვეშეუმსა და ბარძიმში მოთავსებული წმინდა ნაწილები – პური და დვინო მტვრისა და მწერებისაგან. ამ დროს დაფარნა სადა, მოურთავ ქსოვილს წარმოადგენდა. ბერძენი მეცნიერის მ. თეოხარისის მოსაზრებით: „დაფარნა წარმოიშვა სამწერობელისაგან, რომლის დანიავებით მაცხოვრის სისხლსა და ხორცს იცავდნენ მწერებისაგან“⁸. ავტორი იქვე სრულიად განსხვავებულ ვერსიასაც განიხილავს, რაც დაფარნის სიმბოლური მნიშვნელობის განმარტებაცაა: „დაფარნა წარმოსდგება ტეტრაპილონად (ოთხკუთხა ქსოვილი) წოდებული საფარველისაგან, რომელიც გარს ეხვეოდა კიბორიუმს, რათა ევქარისტიის დროს ეკლესიის მღვდელმთავარი მორწმუნეთაგან დაეფარა“. მთავარეპისკოპოს გერმანე კონსტანტინოპოლიელის (VIII საუკუნე) აზრით დაფარნა წარმოადგენს იმ მესამე საფარებელს, რომლითაც ითარება ფეშეუმსა და ბარძიმში მოთავსებული წმინდა ნაწილები (დვინო და პური), მსგავსად ჰაერისა, რომლითაც გარემოცული იყო მთელი დედამიწა, მაცხოვრის გაცემისა და მიძინების დღეს. როგორც ჩანს ამ საბურველის სახელი „aer“ (ბერძნულად), „воздух“ (რუსულად) და „ცაი“ (ქართულად) აქვთანაა წარმომდგარი⁹.

მძიმე ისტორიული ფონისა და ნაქარგობათა სუსტი გამძლეობის შედეგად ჩვენამდე მოღწეული ქართული დაფარნები მათი წარმოშობისა და განვითარების უწყვეტი გზის სრულ სურათს ვერ იძლევა. ყველაზე ადრეული ნიმუშები XVII საუკუნის მეორე ნახევრით და შემდგომი პერიოდითად დათარიდებული.

ცნობილია, რომ ქართული ხელოვნება აღმოსავლურ-ქრისტიანული იკონოგრაფიით სარგებლობდა, რის გამოც რელიგიური თემების ძირითადი იკონოგრაფიული სცენები აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროდან ვრცელდებოდა. ფეშეუმისა და ბარძიმის საფარებლებზე წარმოდგენილ სიუკეტებში უმთავრესად ასახულია თვით ამ ძეგლთა კანონიკური დანიშნულება: ფეშეუმის დაფარნაზე გამოსახულია მსხვერპლი ფეშეუმზე – „ამნოსი“ (ჩვილი), ბარძიმის საფარებლზე – მსხვერპლი ბარძიმში, „ემანუელი“ ყრმა მაცხოვრის სახით.

უბისის დაფარნის შემქმნელი ოსტატი თავს არიდებს იკონოგრაფიული თემის ერთფეროვნებას და ტრადიციულ ბარძიმთან „მსხვერპლის“ არა-ტრადიციულ გამოსახულებას წარმოგვიდგენს. დაფარნაზე მაცხოვარი გამოსახულია ზრდასრულ ასაკში. სწორედ ამის გამო, დაფარნა გამორჩეულია ინდივიდუალობითა და კომპოზიციური განუმეორებლობით, საუკეთესო ნიმუშია

6 გ. გოცირიძე-ბარათაშვილი, დაფარნათა წარმოშობის ისტორიიდან. წყარო, №25, 1994, გვ. 30.

7 6. სახიაშვილი, ზმნური წარმომავლობის ზოგი ტერმინისათვის ქართულში (დაფარნა, გარდამოხსნა). იბერიულ-გავასიური ენათმეცნიერება, ტ. 40, 2012, გვ. 257-263.

8 მ. თეოხარისი, პატმოსის მონასტრის საგანძურო, თბ., 1988, გვ. 30.

9 დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975, გვ. 443.

ქართველი ოსტატის ორიგინალური აზროვნებისა. ყოველი დეტალის ლაკონიზმის გამოსახვა გარკვეული ღრმად სიმბოლური აზრითაა გამსჭვალული. როგორც ჩანს იგი შესანიშნავად ერკვევა თეოლოგიასა და ქრისტიანულ სიმბოლიკაში და ასევე კარგადაა დაუფლებული ქარგვის ტექნიკას. კომპოზიციის იკონოგრაფიით დადასტურებულია მიწიერისა და ზეციურის ერთარსობა და მარადიულობა. მუქ ყავისფერ აბრეშუმზე (ყავისფერი – მიწისა და მიწიერების სიმბოლო) ვერცხლმკედის ზეზით ნაქარგია „ზვარაკი“ ბარძიმში, „ზიარების“ და „მსხვერპლშეწივის“ კომპოზიციით. ორი სხვადასხვა მხრიდან ამოზრდილი ვაზი კომპოზიციის ცენტრში ერთდება და სამ რიგად განიტოტება. თითოეული ტოტი ბოლოვდება ყურძნის მტევნით. თავისუფალი არეები დიდი და პატარა ზომის, სხვადასხვა ფორმის ვაზის ფოთლებით მთლიანად როდია შევსებული. ცენტრალურ ნაწილში, სადაც ვაზის ორი დერო შეერწყმის ერთმანეთს, ფირუზისფერი ზეზით ნაქარგ ბარძიმში მოთავსებულია „ზვარაკი“ – მაცხოვარი, პიროვნების აღმნიშვნელი წარწერით $\Gamma\Gamma + \Gamma$ იქსუ ქრისტე. მაცხოვრის შარავანდის ჯვრის მკლავები გაწყობილია სხმული მარგალიტით, ხოლო „არსის“ გამომხატველი გრაფემები **OWN** მაუწყებელია წინასწარ განცხადებული მაცხოვრის დაუსაბამო მეუფებისა ძველ და ახალ აღთქმაში: „მე ვარ რომელი ვარ“¹⁰; დაფარნაზე „არსის“ აღმნიშვნელი გრაფემებით მაცხოვრის ლვთიური ბუნებაა ხაზგასმული. ბარძიმში მოთავსებული „მსხვერპლი“ – თვით უფალი იქსო ქრისტეა, ნახევრად შებრუნებული სხეულით და მშვიდი, აუდელვებელი გამომეტყველებით. ის თავისივე ხელით წურავს შუა მტევნას (ძე ღმრთისას სიმბოლურ გამოსახულებას) შედარებით პატარა ზომის ბარძიმში. ოსტატის მიერ ამ კომპოზიციით ხაზგასმულია, რომ უფალი თავისი დვთიური ნებით ადამის მოდგმის ხსნისათვის „დაიწურა“, ანუ აღესრულა ჯვარზე.

„ქება-ქებათაის“ განმარტებისას ნეტარი იპოლიტე ამბობს: როგორც ვაზის მტევნი დაჭყლეტის შემდეგ გამოსცემს სურნელებას, ასევე მაცხოვრის ჯვარზე ვნების შემდეგ მოგვეფინა ახალი მადლის, ახალი მოძღვრების კეთილსურნელება, „რამეთუ ცუარნი ნაყოფის გამომდებელი მადლით გარდამოხდა (ზეციდან), რათა ქუეყანისანი ესე ცხორებად აღიძეს დნენ... რაითა კაცი ცად აღსავლად შემძლებელ იყვნენ“¹¹, ე. ი. ამ ნაყოფის მხმელები, მისი კეთილსურნელების მიმღებნი დირსნი გახდებიან ცათა სასუფევლისა.

ქრისტიანულ ხელოვნებაში ყურძნის მტევნი, ვაზი უპირველეს ყოვლისა, სწორედ მგვდრეთით აღდგენის სიმბოლო იყო და მხოლოდ ამის შემდეგ სიუხვისა და სტუმარობოვარების. ძველ აღთქმაში ვაზმა განასახიერა „ხე ცხოვრებისა“. ის იყო პირველი მცენარე, რომელიც ნოემ წარდგნის შემდგომ დარგო, ხოლო გამოსვლათა წიგნში – პირველი ნიშანი იმისა, რომ ეგვიპტიდან გამოსულმა ებრაელებმა აღთქმულ მიწას მიაღწიეს. რადგან ვაზის სიმბოლიკა დვთის მადლს მოასწავებდა, ამიტომ სოდომის ცოდვილ მიწაზე ყურძენი საჭმელად უვარებისი ყოფილა. მოსეს რჯულდებით, კი ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ქამა ყურძენი სხვისი ვენახიდან, ოდონდ სახლში არ უნდა წაედო ნაყოფი,

10 ბიბლია, გამოსვლა 3-14, 2000.

11 ნეტარი იპოლიტე, „ქება ქებათა“, შატბერდის კრებული, თბ., 1979, გვ. 259.

მხოლოდ და მხოლოდ წერვილი უნდა მოეკლა. ბიბლიური გაგებით რთველი იმპერია – ურმის მოსავლის აღება, დღესასწაული ითვლებოდა. არ შეიძლებოდა ურმის უსიხარულოდ კრეფა, ხოლო უწმინდურებს ეკრძალებოდათ რთველში მონაწილეობის მიღება.

საქართველოში ვაზის ბიბლიურ სიმბოლიკას შეერწყა ჩვენი ეროვნული თავფანისცემა ვენახისადმი. „ამიტომაც ჩაწეს ქართულ ჩექურთმაში ვაზი, ამიტომაც არსებობს საოცარი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, ამიტომაც მისცა ჯვარს წმინდა ნინომ ქართული სახე და გაძევთა ვაზისაგან“¹².

ქართულ ხელოვნებაში ხშირია „სიმბოლური პარალელიზმი“, ანუ ძველი აღთქმის თემები გამოყენებულია სახარებისეული თემების უფრო სრულად წარმოჩენისათვის¹³. სწორედ ასეთი სიმბოლური პარალელიზმითაა გამორჩეული უბისის დაფარნა. ერთი შეხედვით მარტივ, სადა კომპოზიციაში სიმბოლური მნიშვნელობის დრმა თეოლოგიური შინაარსის მქონე რამდენიმე სიუჟეტია მოაზრებული, რაც მის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს და ქართველი შემოქმედის დირსებას წარმოაჩენს. მან გასაოცარი და ამავდროულად სისადავით გამორჩეული ოსტატობით მარტივი, სიმბოლური მნიშვნელობის დეკორითა და ფიგურის მხატვრულ-იკონოგრაფიული შერწყმით მიიღო რთული თეოლოგიური ცნებებით გაჯერებული ნაწარმოები: „იესეს ძირი“, „ლიტურგიული მსხვერპლი“, „ეგქარისტია“ – ყოველივე ერთდროულად იკითხება დაფარნაზე. მასზე ასახულია განკაცებული დმეტოის მიერ ჯვარზე აღსრულებული მსხვერპლის მეშვეობით, მასთან ზიარების გზით ადამის მოდგმის დვოთის წიაღში დაბრუნების იდეა.

როგორც აღვნიშნეთ, კომპოზიციაში „იესეს ძირის“ თემატიკაც¹⁴ იკვეთება, რომელიც ესაიას წინასწარმეტყველებას უკავშირდება: „და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესა და ყვავილი ძირისაგან აღმოხდეს“¹⁵. სწორედ ეს წინასწარმეტყველება უდევს საფუძვლად მაცხოვრის იკონოგრაფიულ გამოსახულებას, რომელიც ზეციურ და მიწიერ ბუნებათა ერთგვაროვნებას (საღვთოს და ადამიანურს) ასახავს. ორი ვაზი, ბარძიმის ზემოთ სამ მტევანში გამოლიანებული, ოსტატის მთავარი ჩანაფიქრია. ამ კოპოზიციით სიბოლურად გამოსახულია „ქრისტეში გვამოვნებით შეერთება დვთიურობისა და კაცობისა“, ე. ი. ორი ბუნების ერთ პიროვნებაში შერწყმა, რომელმაც თავისი მოწამეობრივი სიკვდილით იტვირთა ადამის მოდგმის ცოდვა და დაუმკვიდრა ცათა სასუფეველი.

12 ზ. აბზიანიძე, ქ. მელიქიშვილი, სიმბოლოთა იდუსტრიირებული ენციკლოპედია, ტ. 1-2, 2011-2012, გვ. 67.

13 კ. მაჩაბელი, საქართველო და ბიზანტიური სამყარო. ნარკვევები, №6, თბ., 2000, გვ. 197.

14 საქართველოში ძალიან ცოტაა ჩვენამდე მოღწეული „იესეველთა საგვარტომო ხის“ ამსახველი სიუჟეტი, მას ვხვდებით: ყინცვისის ეპლების ერთ-ერთ ფრესკაზე (XIII ს.); ოზანის ამაღლების ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნიშაზე (XIII-XIV საუკუნეები); საფარის ჩრდილოეთი სვეტის სამხრეთ მხარეს (XIV ს.); ანისხატის საკურთხევლის თავზე (XVII ს.); მარტვილის ხატზე (1644 წ.); უბისის ხატზე (XIV ს.); ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების განცოცილებაში დაცულ კრემსაბმელებზე სხმ/3701 და სხ/65054 [ზ. კეცხველი „კრემსაბმელი (აღსავლის კარის) ფარდა“, ნარკვევები, VII, 2001, გვ. 213].

15 ბიბლია, ესაია 11, 1. 2000.

გაზის მორკალური სამი ლერწისა და ყურძნის სამი მტევნის კომპოზიტის ავტორის მიერ წმიდა სამებაა სიმბოლურად გადმოცემული.

„მიწიდან“ ამოზრდილი ვაზის ორი ლერწი ყურძნის მტევნებითა და ფოთოლ-პრესალებით, მიემართება ზევით, იშლება სიბრტყის მხოლოდ ერთ მესამედზე, ხოლო დანარჩენი არე თავისუფალია. ღეროთა დინება ლადი, ცოცხალი და პლასტიკურია. ოსტატი მხოლოდ მაცხოვრის შარავანდედისთვის იყენებს მარგალიტს, მისი უპირატესობის ხაზგასასმელად და წარმოსაჩენად. დაფარნის კომპოზიციურ აგებულებას ორგანულად ერწემის მისი კოლორიტი. ნაქარგობის ფერადოვანი აქცენტების განაწილებაში გარკვეული მშვიდი რიტმი შეინიშნება – სულ სამი ძირითადი ფერი დომინირებს. ყავისფერ მიწარზე ფირუზისფერი, ჩალისფერი და ჟოლოსფერი განსაზღვრავს დაფარნის მთლიან კოლორიტს. „სამობის პრინციპით“ განაწილებული ეს ფერები სასიამოვნოდ აღიქმება და პქმნის დადგებით განწყობილებას. რამდენადაც ფერია ქართული მხატვრული ქარგულობის განმასხვავებელი და ეროვნული გემოვნების მაჩვენებელი, იმდენადვე ფერადოვანი ლაქის შექმნაში ძირითადად განმსაზღვრელია სითვის ჩამაგრების მეთოდი. ოსტატს გამოყენებული აქვს კილოური, ტეხური და ლიანდაგური სითვი.

ჩვენამდე მოღწეული ქართული დაფარნების ნაქარგობათა სქემებში ამგვარ კომპოზიციურ აგებულებას ანალოგი არ ეძებნება. ის თითქოსდა კავშირშია თავად უბისის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრული დაგეგმარების ასიმეტრიულობასა და დისკროპორციულობის თავისებურებებთან, ტაძრის მოძრავ, დეკორატიულ სისტემათან.

დაფარნას გარს შემოუყვება ჩარჩოდ შემოვლებული ჩალისფერი აბრეშუმის ძაფით შესრულებული ასომთავრული წარწერა:

რა შე ჭარბი მარტინი არა მარტინი მარტინი რა სახარა ცავარა რა შე ჭარბი მარტინი არა მარტინი რა სახარა ცავარა. [ა]...
შე ჭარბ რა სახარა ცავარა რა შე ჭარბი მარტინი რა სახარა ცავარა. [ა]...
შე ჭარბ რა სახარა ცავარა რა შე ჭარბი მარტინი რა სახარა ცავარა. [ა]...
შე ჭარბ რა სახარა ცავარა რა შე ჭარბი მარტინი რა სახარა ცავარა. [ა]...
შე ჭარბ რა სახარა ცავარა რა შე ჭარბი მარტინი რა სახარა ცავარა. [ა]...

„გვა შენ მეუფეო მაღალო რომელმან გვიწდი უკვდავ მყოფელი იგი სასმელი ცხოვრებისა შენ მეოს ეყავ საუკუნესა შინა ფადავა.[ლ]...ა...“¹⁶. ტექსტის ბოლო ასოები სრულებით არ იკითხება, „ფადავა“-ს მომდევნო [ლ] ასოს ზედა ნაწილიც დაზიანებულია და შესაძლოა იყოს არა „ლ“, არამედ „ზ“.

გვიანი შუა საუკუნეების ქარგულ ნაწარმოებთა შორის უბისის დაფარნა წარმოადგენს ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნაქარგობის არატიპურ ნიმუშს, სადაც ფიგურისა და ორნამენტის მხატვრულ-იკონოგრაფიული ურთიერთობის ახალი პრინციპია გამოსახული. ორნამენტი ტრადიციული მოჩარჩოებიდან გადასულია „თხრობით“ ნაწილში. მკაფიოდად გამოვლენილი XVII–XVIII საუკუნეების ნაქარგობისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებები: გამოსახულების განთავსების ზოგადი სქემა, განყენებული ფონი, ფიგურის პროპორცია, პოზა, ჟესტი, ტიპაჟი, სამოსისა და სახის შესრულების მანერა, ნახატი, კოლორიტი. მართალია დაფარნის წარწერაში დათარიღება არ ჩანს, მაგრამ ზოგადი სტილისმიერი შთაბეჭდილების საფუძველი გარკვევით მიგვანიშნებს მისი სწორედ ამ პერიოდში შექმნის შესახებ.

¹⁶ ქ. ჩუბინიძე, ძევლი ქართული ნაქარგობის ნიმუში უბისიდან. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კრებული, XXIII, 2012, გვ. 231.

ასეთი დათარიღების შესაძლებლობის მიუხედავად დაფარნის, როგორც ხელოვნების ნიმუშის სამეცნიერო კვლევა დასრულებულად არ ჩაითვლება, თუკი არ იქნება გამორკვეული მისი შექმნის უფრო მიახლოებული თარიღი და ქმიტორის ვინაობა, ანუ არ ჩატარდება ისტორიული კვლევა.

გვარი „ფალავა“ წარწერაში გარკვევით იკითხება, აქედან გამომდინარე დაფარნის შემწირავი ოდიშის ამ თავაღური გვარის წარმომადგენელი უნდა იყოს, მაგრამ, გაურკვეველია – კონკრეტულად ვინ არის ქტიტორი და არის თუ არა ის ისტორიულად ცნობილი პიროვნება. ვინაობის დადგენას ართულებს ის გარემოებაც, რომ გაურკვეველია „ფალავა“-ს მომდევნო ასო „ლ“ არის თუ „ზ“. თუკი აქ ასო „ზ“ წერია, მივიღებთ მარცვალს „ზა“ (შემდეგი ასო „ა“ მკაფიოდ ჩანს), რომლის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს, რომ აქ გვაქვს მამაკაცის სახელი „ზაალ“¹⁷. ზაალ ფალავა კი ისტორიაში ცნობილი პირია, იგი ხუცუ ფალავას შვილია და XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, გრიგოლ დადიანის მთავრობის დროს მოღვაწეობს. 1785-1804 წლებში შედგენილ საბუთებში იგი ხშირად იხსენიება დადიანის კარის დიდებულთა შორის, ასე მაგალითად:

- ზაალ ფალავა ლეჩხუმის მოურავ ქაიხოსრო გელოვანთან, სახლოუცეს გიორგი ჩიქვანთან და სხვა წარჩინებულებთან ერთად „მოწამედაა“ დასახელებული¹⁸ გრიგოლ დადიანის წყალობის წიგნში, რაც საკუთარი ბიძის გიორგისათვის ინჩხურის სასახლის, აზნაურებისა და ყმა-გლეხების ბოძებას ადასტურებს;
- ამავე პირებთან ერთადაა დასახელებული ზაალი გრიგოლ დადიანის და ნინა დედოფლის მიერ 1792 წელს მანუჩარ დადიანისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში¹⁹;
- ზაალ ფალავა სახლოუცეს გიორგი ჩიქვანთან ერთად „მთავრის მამულის მომკითხველად“ არის დასახელებული სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის 1792 წელს დადებულ ხელშეკრულებაში²⁰.

ჩვენთვის უცნობია, ჰყავდა თუ არა ზაალს ასული, რომელიც შესაძლებელია უბისის დაფარნის მომქარგველი და შემწირველი ყოფილიყო. იმდროინდელი საბუთების მიხედვით ზაალ ფალავას ოთხი ვაჟი ჰყავდა: მანუჩარი, გიორგი, ტატი და ივანე²¹. ჯერჯერობით, ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით მტკიცება, რომ უბისის დაფარნის წარწერაში სწორედ ზაალ ფალავა იგულისხმება. არც რაიმე ისტორიული ფაქტები მოგვეპოვება ფალავების უბისის მონასტერთან კავშირის ასახსნელად. თუმცა, გამორიცხული არაა, ეს ნივთი თავიდან სამეგრელოს რომელიმე ეკლესიისა ყოფილიყო (რაც უფრო ლოგიკური ჩანს) და ჩვენთვის უცნობი მიზეზით მოგვიანებით აღმოჩნდა უბისის მონასტერში.

17 თანაავტორის დავით სულაბერიძის მოსაზრება.

18 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი № 1143.

19 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი №759.

20 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი №1286.

21 ე. თაფაიშვილი, არსეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, 1914, გვ. 157.

ზაალ ფადაგას ქმიტორობის შესახებ დასკვნის გაკეთებას კიდევ ჰრთმულობის გარემოება უშლის ხელს: საქმე იმაშია, რომ უბისის დაფარნა პალეოგრაფიული მასალით ძალზე წააგავს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ დაფარნას (**სხმ/790**) შორაპნის მაზრიდან (სურ. 2). ამ ნივთის აბრეშუმის ქოლოსფერ მიწარზე გამოსახულია „ტუბოთდების“ კომპოზიცია – ქრისტეს, მარიამის, იოანესა და მთავარანგელოზების გამოსახულებებით. ყველა მათგანს აქვს პიროვნების აღმნიშვნელი წარწერა. ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „ქ. გვა შენ ი(ეს)უ ქ(რისტ)ე ღ(მერ)თო რ(მელმა)ნ ჯ(უარს)ა ზ(ედ)ა ივნე ჩვენთ(ვი)ს შენ მეოს ეყავ საუკუნესა შინა ფალაგას ასულს როდამს ა(მი)ნ“. როგორც ვხედავთ, დაფარნებს შორის გარკვეული მსგავსებები შეინიშნება, კერძოდ:

- მაცხოვრის შარავანდის კონტური უბისის დაფარნაზე და მაცხოვარისა და წმიდა მარიამის შარავანდის კონტურები შორაპნის დაფარნაზე მარგალიტებითაა შემკული;
- ორთავე დაფარნაზე ასომთავრულ წარწერაში უფლისადმი მიმართვა იწყება სიტყვებით – „**ქვა შენ**“;
- ორივე დაფარნაზე წარწერის ბოლოს შემწირველია დასახელებული, იმ განსხვავებით, რომ შორაპნის დაფარნაზე სრულად არის წარმოდგენილი მისი სახელი – **როდამ ფალაგა**;

აღნიშნულ მსგავსებებზე დაყრდნობით მკვლევარი გ. ბარათაშვილი²² მიიჩნევს, რომ უბისის დაფარნისა და შორაპნის დაფარნის ავტორი ერთი და იგივე პირი – როდამ ფალაგაა. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ორივე დაფარნა ერთი და იმავე გეოგრაფიული არეალიდან – შორაპნის მაზრიდანაა მუზეუმებში მოხვედრილი. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ორივე დაფარნა ქმიტორს ქორწინებამდე აქვს შესრულებული.

ცხადია, დღეისათვის საკმაოდ რთულია დადგენა, რომელი ფალაგაა – ზაალი თუ როდამი, ქმიტორი უბისის დაფარნისა. საკითხის გარკვევისათვის საფარაუდოდ, შორაპნის დაფარნის ქმიტორის – როდამ ფალაგას ვინაობა უნდა იქნას დადგენილი.

როდამ ფალაგას სახელი XVII-XVIII საუკუნეებში რამდენჯერმე გვხვდება:

- ქართული მწერლობის ძეგლის „რუსუდანის“ ხელნაწერის ზოგ მინაწერსა და სათაურებში დაცულია ცნობა ვინმე ელენე დედოფალსა და როდამ ფალაგას ქალზე²³;
- როდამ ფალაგა ნახსენებია XVII საუკუნის ხელნაწერის წმ. იოანე ოქროპირის „სწავლანის“ ბოლოში, არეზე გაკეთებულ გვიანდელ მინაწერში: „მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისი, ჩიჩუას გიორგის და ფალაგას ასულის

22 ქ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის კურატორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

23 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, ინტ. რესურსი <http://webcache.googleusercontent.com>.

როდამის, და საუკუნომცა არს ცხორება მათი²⁴. სამწუხაროდ, „უცნობისა მინაწერის შესრულების ზუსტი თარიღი;

- როდამ ფადაგა მოხსენიებულია სუჯუნას წმ. გიორგის ეკლესიის მარგალიტებით შემცულ, მაცხოვრისა და ქერუბიმების გამოსახულებით მოქარგული დაფარნის²⁵ (სხმ/3739) (სურ. 3) ვრცელ ასომთავრულ წარწერაში: „ქ. დაფარნა ცანი შევნიერებამან მისმან. ხ[ოლო] ს[ი]წმილითა მისითა აღიგხო ყ[ოველ] ქვე[ქა]ნა!“ „ქ. გვა შ[ე]ნ, შვიდ წილ უძლ[ე]ბ[ე]ლო და ყ[ოველ]თა მ[ო]წ[ა]მეთა უზეშთა[ე]სო, უმწვერვალესო, ახ[ო]ვანო მხედარო, დიდო მ[ო]წ[ა]მეო გიორგი, წ[მიდა]თ სუჯ[უ]ნისაო! მე, ფ[რია]დ ც[ო]დ[ვ] ილმ[ა]ნ, მოსავმ[ა]ნ პ[ა]ტ[ი]ოს[ა]ნისა ტ[აძ]რისა შ[ე]ნისამ[ა]ნ, ფ[ა]ლ[ა]გას ქ[ა]ლმ[ა]ნ როდამ, ვინებე, ვიგ[უ]ლ[ი]სმოდგ[ი]ნ[ე]თ, გადადრ[ე]თ, კნინი ესე შესაწირავი, ესე დაფარნა და პერექელი²⁶, შემგ[ო]ბილი თვ[ა]ლითა და მ[ა]რგ[ა]ლ[ი]ტითა, ჩვენდა ცოდვათა შესანდ[ო]ბლად და მეუღლისა. ჩემისა პ[ა]ტ[რონისა] ჩიკოა[ნის] გიორგისდა ამ სოფელს წარსამართებლად, სადღ[ე]გრძ[ე]ლოდ, და ც[ოდვილ]ისა ს[უ]ლიისა ჩუენისათვის საცხ[ო]ვნ[ე]ბლ[ა]დ, ძეთა და ას[უ]ლთა ჩ[უ]ენთა ალსაზრებელად. და მიუძღვანეთ მამასა და მოძღვარსა ჩ[ვე]ნსა ჭყ[ო]ნდ[ი]დ[ე]ლ მ[ი]ტრ[ო]პ[ო]ლ[ი]ტს მმასა ჩ[ვე]ნსა ღო[ღო]ბერიძესა ევდემონს, რ[ა]თა შ[ე]ნგ[ა]ნ მოვილ[ო]თ დიდი წყ[ა]ლ[ო]ბა დ[ა] შ[ე]ნდ[ო]ბა ცოდვათა. ხოლო მ[ი]მოხხევენო და აღმომღებნო სიწმინდისანო ლ[ვ]თის[ა] თვის შ[ე]ნდობასა ყ[ო]ფდეთ. ჩ[ვე]ნ ც[ო]დვ[ი]ლთ[ათ]ვის ქ[რისტე]ს აქ[ე]თ ჩდკბ“ (1722წ).

შორაპნის დაფარნის ქტიტორის ფადაგას ასულ როდამის გაიაგვება ხემოდასახელებული სამი პიროვნებიდან ნებისმიერთან შეიძლება, მაგრამ ლოგიკური ანალიზისა და გამორიცხვის გზით შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება:

- ყველაზე მართებული იქნება ვივარაუდოთ, რომ შორაპნის დაფარნის ქტიტორი და სუჯუნას დაფარნის წარწერაში მოხსენიებული როდამ ფადაგა ერთიდა იგივე პიროვნებაა. ამ მოსაზრებას ამყარებს ლვითისადმი მიმართვის ერთი და იგივე ფორმა – „ქ. გვა შენ“;
- თეორიულად დასაშვებია, შორაპნისა და სუჯუნას ქტიტორის XVII საუკუნის ხელნაწერის წმ. იოანე ოქროპირის „სწავლანის“ გვიანდელ მინაწერში დასახელებული ფადაგას ასულ როდამთან გაიგივება. ამ უკანასკნელის გვერდით სხვა მამაკაცის – გიორგი ჩიჩუას (მეუღლე, ან შვილი) არსებობა პირველი ქორწინებით შეიძლება აიხსნას. სამწუხაროდ, გიორგი ჩიჩუას

24 ე. თაფაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

25 დაფარნას სუჯუნას წმ. გიორგის ეკლესიაში მიაკვლია ე. თაფაიშვილმა და მანვე ამოიკითხა წარწერა.

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობის ფონდის კურატორს ქალბატონ გ. ბარათაშვილს გაწყვლი დახმარებისა და მოწოდებული ფოტომასალისათვის.

26 აღნიშნული პერექელის შესახებ ე. თაფაიშვილი მიუთითებს, რომ ის სუჯუნას ეკლესიაშია დაცული [ე. თაფაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 30].

სახელს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ 1810 წელზე ადრეულ ისტორიულ საბუთებში²⁷, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნება ამ სახელითა და გვარით არ არსებობდა XVII საუკუნის ბოლოს.

- სუჯუნას ქტიტორთან შეუძლებელია გავაიგივოთ „რუსულანიანის“ ხელნაწერის ზოგ მინაწერსა და სათაურებში ნახსენები როდამ ფალავა. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ მინაწერში მოხსენიებული როდამი ვამეყ III დადიანის მეუღლესთან – ელენე დედოფალთან (სვიმონ მეფის ასული) დაახლოებული პირია. მინაწერი მათი შეუღლების შემდგომ პერიოდში, ანუ 1658 წელზე უფრო გვიან არის შესრულებული. დროის საკმაოდ დიდი დიაპაზონის (დაახლოებით 64 წელი) გამო, მას ვერ გავაიგივებთ სუჯუნას დაფარნის ქტიტორთან, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ის იყოს შოროპნის დაფარნის შემწირველი.

დასახელებული მოსაზრებებიდან ყველაზე უპრიანია შორაპნის დაფარნის ქტიტორისა და სუჯუნას დაფარნის ქტიტორის როდამ ფალავას ასულის გაიგივება.

ოდიშის სამთავროს კარზე ფალავების გვარის დაწინაურება XVII საუკუნის ბოლოს, ჩიქვანების აქ გაბატონებას ემთხვევა. ხუხუ ფალავა, რომელიც ფალავათა შორის პირველად იხსენიება საბუთებში, გიორგი I ლიპარტიანის თანამედროვეა²⁸. გამორიცხული არაა ხუხუსა და სუჯუნის დაფარნის ქტიტორ როდამ ფალავებს შორის ნათესაური კავშირი არსებობდეს, რაღაც დროის მიხედვით ეს ორი პირი შესაბამისობაშია და შესაძლოა მამა-შვილიც კი ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ, დამამტკიცებული საბუთების გარეშე რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

სუჯუნის დაფარნის წარწერაში როდამის მიერ მეუღლედ მოხსენებული გიორგი ჩიქუანის პიროვნების იდენტიფიცირება ნაწილობრივ ნათელს მოჰყენდა ნივთის წარმომავლობის ისტორიას. ამ სახელით XVIII საუკუნეში რამდენიმე პიროვნებაა ცნობილი. დაფარნის დათარიღება გარკვეულწილად ხელს უწყობს გიორგი ჩიქუანის იდენტიფიცირებას. მაგრამ საქმეს ართულებს ოდიშის მმართველი დინასტიის ცვლილება – როდესაც მოისპო დადიანთა ძირძველი გვარი და სამეგრელოს მთავრის ტიტული 1691 წლიდან სალიპარტიანოს (დადიანთა სამთავრო სახლის გვერდითი შტოს საუფლისწულო) მფლობელმა, გორდელი აზნაურის კაცია ჩიქუანის ძემ – ოვითმარქებია გიორგი ლიპარტიანმა²⁹ ჩაიგდო ხელთ. ამიტომ, ამ პერიოდში ლიპარტიანი, ჩიქონი (საისტორიო წყაროებში გვარის რამდენიმე გარიანტი ჩანს: ჩიქონი, ჩიქუანი, ჩიქუანი, ჩიქოვანი)³⁰ და დადიანი ხშირად ერთი და იმავე გვარის აღმნიშვნელიც იყო³¹. ეს ფაქტი დამატებით ართულებს პიროვნების იდენტიფიცირებას.

27 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი №1057.

28 ი. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, 1973, გვ. 188.

29 მან გვარი ჩიქვანად გადაიკეთა, რათა მეგრული კლერიკობა მიენიჭებინა.

30 ი. ახუაშვილი ქართული გვარ-სახელები. თბ., 2005.

31 ლიპარტიანი – როგორც სალიპარტიანოს მფლობელის აღმნიშვნელი, ჩიქუანი, როგორც გვარი და დადიანი – როგორც ოდიშის მმართველის ტიტული.

სუჯუნის დაფარნის შემწირველის როდამ ფადაგას ცხოვრების პერიოდში (XVII-XVIII საუკუნეები) რამდენიმე პიროვნებაა ცხობილი გიორგი ლიპარტიანის, გიორგი დადიანისა და გიორგი ჩიქოანის სახელით, ესენი არიან:

- „ბატონი გიორგი”, როგორც ქტიტორი მოხსენებულია სუჯუნის იმავე წელი გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი ვერცხლის ხატის (XVII-XVIII საუკუნეების) წარწერაში³²;
- გიორგი ლიპარტიანი დასახელებულია მოწმედ ალექსანდრე V-სა და დედოფალ თამარის მიერ გაცემულ სიგელში³³, რომლის თანახმად ისინი იაშვილებს ხუთასი მარჩილის ფასზი აძლევენ ყმა-გლეხებსა და მამულს. ალექსანდრესა და თამარის ქორწინებას ვახუშტი 1732 წით ათარიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საბუთი 1732 წლის შემდეგაა შედგენილი.
- ლიპარტიანი გიორგი კაციას შვილი, დასახელებულია მოწმედ სოლომონ I-ის მეუღლის თინათინ შერვაშიძეს მიერ გაცემულ ღოკუმენზე, რომელიც ვახტანგ იაშვილისათვის ერთგულების სანაცვლოდ გეგუთის დაბრუნების ფაქტს ასახავს³⁴. სოლომონი 1752 წელს გამეფდა, ანუ ეს საბუთი ამ ფაქტის შემდეგაა შედგენილი.
- კაცო, იგივე გიორგი, ოდიშის მთავრის ბეჭან დადიანის ძე³⁵ – გიორგი ლიპარტიანის შვილიშვილი;
- გიორგი ჩიქვანი იხსენიება 1736-1737 წლების საბუთში და სავარაუდოდდ მიჩნეულია კაცია ჩიქვანის (გიორგი ლიპარტიანის შვილის) ძმად, ანუ არის გიორგი ლიპარტიანის შვილი³⁶.
- გიორგი ჩიქვანი, ოდიშის მთავრის გიორგი ლიპარტიანის ძმის იესეს³⁷ შვილი, რომლისგანაც მოდიან თავადი ჩიქვანები³⁸. გიორგი იხსენიება 1771 წლით დათარიღებულ თავდებობის წიგნში, რომელსაც გოგიტა ღოღობერიძე აძლევს ხონელ დეკანოზს მიქელს. ამით იგი თავდებში უდგება იესე ჩიქვანის შვილს გიორგის და მის ძმებს, რომ მათ ყოვილ ყმებს უკან დაბრუნების შემთხვევაში ჩიქვანები არ გაასხვისებდნენ³⁹.
- გიორგი ჩიქეანი, ერთ-ერთი ფიცის მიმცემი, 1759 წლის პირობის წიგნში, სადაც დასავლეთ საქარველოს თავად-აზნაურნი ფიცს დებენ ტყველბით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ: „ერთობით იმერელნი, ოდიშარ-ლეჩეუმელნი

32 ე. თავაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

33 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი № 854.

34 ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი № 864.

35 ინფორმაცია აღებულია საიტიდან <http://www.nplg.gov.ge/dadiani/Images/tabula-1-15.jpg>.

36 შ. ბურჯანაძე, ღოკუმენტები იმერეთის სამფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების, I, 1953, გვ. 112.

37 მცირეწლოვანი იესე მარტვილის ტაძრის ჩრდ. მკლავში მშობლებს შორისაა გამოსახული.

38 ინფორმაცია აღებულია საიტიდან <http://www.nplg.gov.ge/dadiani/Images/tabula-1-15.jpg>.

39 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, 1921, გვ. 45

და გურულნი.. ერთობით წერეთელმა, აბაშიძემ, ნიქარაძემ, მიქელაძემ, აგიაშვილმან, ლორთქიფანიძემ, მხეიძემ, მაჭავარიანმა, მესხმა, ავალიანიოსელიანმა და გიორგი ჩიქუანმან... სანამდის სული გვიღგას ამისთანა საშინელი ცოდვა ჩვენგან არ იქნეს.. ასე პირბა და სიტყვა მოგვირთმევია ღვთისა და კაცისათვის“⁴⁰;

- გიორგი ჩიქვანი, 1766 წლის საბუთში ჭყვიშის მოურავად წოდებული⁴¹;
- გიორგი ჩიქოანი, სახლთუხუცესი – ერთ-ერთ მოწმედ დასახელებული კაცია დადიანის მიერ 1777 წელს გაცემულ სიგელში⁴², რომელიც ეხება მიზოპოლობი გრიგოლის ცაიშის ეკლესიის „განმგედ“ დადგენასა და ეკლესიის გადასახადებისაგან გათავისუფლებას: „ესოდენი თავისუფლება დაუწერეთ შენის ეკლესიის ყმას ყოველსავე რომლისა ჯერმჩინებელი და მოწამე არს ... სახლთუხუცესი ჩიქოანი გიორგი ქრისტეს აქეთ ჩდოზ“ (1777 წ).

სუჯუნის დაფარნის წარწერაში მოხსენებული „გიორგი ჩიკოანის“ იდენტიფიკაციისათვის გამორიცხვის მეთოდით განვიხილოთ თითოეული ზემოდასახელებული პირი:

სუჯუნის წმ. გიორგის ხატის წარწერაში დასახელებული ქტიტორის „ბატონი გიორგი“-ს სუჯუნის დაფარნის წარწერაში მოხსენიებულ „პატრონ გიორგი ჩიკოანთან“ გაიგივება არასწორი იქნება, რადგან ე. თაყაიშვილის ვარაუდით ქტიტორი ამ ხატისა „ან გიორგი ლიპარტიანი უნდა იყოს⁴³, კაციას ძე, (XVIII) ან გიორგი ოტია დადიანის ძე, რომელიც სჩანს 1788 წ-ში. უფრო ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს“⁴⁴-ო. ამ ორ პიროვნებას შორის პირველი – ოდიშის მთავარი გიორგი ლიპარტიანი 1714-15 წელს გარდაიცვალა (მას შემდეგ, რაც 1714 წელს თავისივე შეილმა – ბეჟანმა შეიპყრო და ციხეში ჩასვა, საიდანაც იგი ცოცხალი არ გამოსულა), ხოლო დაფარნის წარწერაში 1722 წელს „პატრონი გიორგი ჩიქოანი“, როგორც ცოცხალი ისეა მოხსენიებული. ე. თაყაიშვილის მიერ დასახელებული მეორე გიორგი, რომელიც მისივე სიტყვებით „სჩანს 1788 წ-ში“, ასევე ვერ იქნება წარწერაში მოხსენიებული გიორგი ჩიკოანი.

ალექსანდრე V-სა და დედოფლალ თამარის სიგელში (1732 წლის შემდგომ პერიოდში შედგენილი) დასახელებული გიორგი ლიპარტიანი და სოლომონ I-ის მეუღლის თინათინ შერვაშიძეს საბუთში (1772 წლის შემდგომ პერიოდში შედგენილი) მოხსენიებული გიორგი ლიპარტიანი შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნება იყოს, ის სავარაუდოდ 1710 წელს გარდაიცვალილი ოდიშის მთავრის კაცია ჩიქვან-დადიანის შვილია (გიორგი ლიპარტიანის შვილიშვილი). მისი როდამის მეუღლედ მიჩნევა არასწორი იქნება, რადგან ვახუშტის ცნობებით

40 ქრონიკები II, გვ. 263.

41 ქართული სამართლის ქვედები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 432.

42 კაცია დადიანის სიგელი – გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები: ცაიში, ბეჭია, მოქვი, ხობი, თბ., 2004, გვ. 344.

43 ოდიშის მთავარი 1691-1715 წლებში.

44 ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

ვიცით, რომ კაცია სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა 1710 წელს „ხუნაგის სენიორა“, ამიტომ მისი შვილი გიორგი მაშინ მცირეწლოვანი იქნებოდა და არც 1722 წელს იქნებოდა ისეთი ასაკის, რომ „ძეთა და ასულთა“ მამა ყოფილიყო (როგორც როდამი ამბობს).

კაცო, იგივე გიორგი ჩიქვან-დადიანი (ოდიშის მთავრის ბეჭან დადიანის ძე, გარდაცვლილი 1738 წელს) შეუძლებელია იყოს როდამ ფაღავას მეუღლე, რადგან მას მხოლოდ ერთი ასული – 1734 წ. დაბადებული დარეჯანი (მეფე ერეკლე II-ის მეუღლე) ჰყავდა.

1736-1737 წლების საბუთში მოხსენიებული გიორგი ჩიქვანი არასწორადაა მიჩნეული გიორგი ლიპარტიანის შვილად. ის უნდა იყოს მისი ძმის იქევს შვილი. სწორედ ეს პიროვნება შეიძლება იყოს როდამ ფაღავას მეუღლე.

1759 წლის პირობის წიგნში მოხსენიებული გიორგი ჩიქვანი, ო. სოსელიას აზრით, ის პირი უნდა იყოს, ვინც გვიან დადიანის სახლოუხუცესი გახდა⁴⁵ და რომელიც მოწმედ ფიგურირებს 1777 წლის კაცია II-ის სიგელში. ეს პიროვნება სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილეა XIX საუკუნის დამდეგს და საბუთების მიხედვით ცოცხალი ჩანს 1810 წლის II ნახევრამდე^{46,47}. აქედან გამომდინარე, 1759 წლის პირობის წიგნში ფიცის მიმცემად დასახელებულ გიორგი ჩიქვანს სუჯუნის დაფარნის წარწერაში მოხსენებულ პიროვნებასთან ვერ გავაიგივებთ, რადგან საკმაოდ დიდი დროის დიაპაზონი აშორებს ნივთზე მითითებულ თარიღთან.

ნაკლებად საგარაუდოა როდამის მეუღლე ყოფილიყო 1766 წლის საბუთში ჰყვიშის მოურავად წოდებული გიორგი ჩიქოანი. ჯერ ერთი, ის ამ დროს საკმაოდ ხანდაზმული იქნებოდა (1722 წელს 4 შვილი მაინც ჰყავს და არცოუ მთლად ახალგაზრდაა); მეორეც, საბუთში საუბარია რაჭის ჰყვიშზე, რის გამოც მცირეა ამ სიწმინდის სამეგრელოს ეკლესიაში მოხვედრის ალბათობა. თუმცადა გამორიცხული არაფერია.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველაზე უფრო საგარაუდოა სუჯუნის დაფარნის ქტიორის – როდამ ფაღავას მეუღლე იყოს ოდიშის მთავრის გიორგი ლიპარტიანის ძმის იესეს შვილი გიორგი ჩიქოანი, რომლისგანაც მოდიან თავადი ჩიქოვანები. რა თქმა უნდა, შეუძლებელია დაბეჯითებით მტკიცება, რომ აღნიშნული საგარაუდო მოსაზრება რეალობას შეესაბამება. ფაქტის დოკუმენტური მტკიცება ხელოვნების ისტორიკოსთა შემდგომი კვლევის საგანია.

ზემოაღნიშნული მასალების ლოგიკური ანალიზის შედეგად თავისთავად წარმოიშვება განსხვავებული ვარაუდები და მოსაზრებები უბისის დაფარნის ქტიორის, დათარიღებისა და წარმომავლობისა შესახებ:

– რამდენადაც სამივე დაფარნის წარწერის პალეოგრაფიული სტილი

⁴⁵ ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, 1973 გვ. 320.

⁴⁶ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 184-185.

⁴⁷ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საბუთი №1490.

გარეკვეული ურთიერთმსგავსებით ხასიათდება, ამდენად შესაძლებელი იყო მათ ავტორად ერთი და იგივე პიროვნება – როდამ ფალავა ჩავთვალოთ.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ საკვლევი უბისის დაფარნა შექმნილია XVIII საუკუნის დასაწყისში – 1722 წლამდე (როდესაც როდამი ჯერ კიდევ არაა გათხოვილი), სავარაუდოდ ოდიში. არ არის გამორიცხული, რომ ქტიოტორი XVII საუკუნის დასასრულის ოდიშის გავლენიანი თავადის ხუსუ ფალავას ასულია და ოდიშის მთავართა ახალი დინასტიის ფუძემდაბლის გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის ძმის იესეს ვაჟის, გიორგის მეუღლეა.

- გამორიცხული არაა სამივე დაფარნათა ქტიოტორი და XVII საუკუნის ხელნაწერის წმ. იოანე ოქროპირის „სწავლანის“ გვიანდელ მინაწერში დასახელებული როდამ ფალავა ერთიდაიგივე პიროვნებაა და იგი პირველი ქორწინებით ოდიშის თავად ჩიჩუასთან იყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში უბისის დაფარნის დათარიღება XVII საუკუნის ბოლო მეოთხედს (როდამისა და ჩიჩუას დაქორწინებამდე) უნდა მივაკუთვნოთ.
- ასევე ვერ გამოვრიცხავთ უბისის დაფარნის ქტიოტორისა და „რუსულანიანის“ ხელნაწერის ზოგ მინაწერსა და სათაურებში ნახსენები როდამ ფალავას იგივეობას. რაც დაფარნის შექმნის პერიოდს XVII საუკუნის 60-იანი წლებისათვის გადაწევს;
- ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ სრულიად გამორიცხული არაა, რომ უბისის დაფარნის ქტიოტორი იყოს ზაალ ფალავა, ოდიშის თავადი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. შესაბამისად უბისის დაფარნის შექმნის თარიღი ამ პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ.

როგორია ამ მოსაზრებებიდან რომელიმეს ჭეშმარიტებაზე დაბეჭიოთებით საუბარი. უდავოა მხოლოდ ის, რომ ქტიოტორი ოდიშის გავლენიანი გვარის წარმომადგენელია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ უბისის დაფარნა სამეგრელოში უნდა იყოს შექმნილი, ოდონდ გაურკვეველია – რა მიზეზით და როგორ აღმოჩნდა საკვლევი ნივთი ოდიშიდან საკმაოდ დაშორებულ უბისის მონასტერში. ყოველივე ეს შემდგომ კვლევასა და დოკუმენტურ მტკიცებას საჭიროებს.

როგორც გხედავთ, მყარი და ძველი ტრადიციების მქონე ქართულ შემოქმედებით წრეში შექმნილი უბისის ბარძიმის დაფარნა ღრმად გააზრებული იკონორაფიული თემით, მაღალმხატვრული შესრულებითა და განუმეორებლობით გამორჩეული ნაქარგი ძეგლია. მასში ნათლად ჩანს შექმნელი ოსტატის დახვეწილი გემოვნება და მხატვრული გამომსახველობის მაღალი კულტურა, რითაც ცხოველ ინტერესს იწვევს მნახველში. სწორედ ეს ინტერესი ამოძრავებდა ჩვენს მოკრძალებულ მცდელობას – გაგებრკვია დაფარნის ქტიოტორის გინაობა და მისი შექმნის თარიღი.

Eliso Chubinidze, Irine Ugreshelidze, Davit Sulaberidze

Concerning Iconography and History of the Ubisi Aer

Aer (KIM. 66/93), kept at the N. Berdzenishvili State Historic Museum in Kutaisi, was brought from Ubisi monastery in 1925. The Aer, a veil covering Chalice and Paten, from the beginning was a plain cloth, later on gradually embellished with the embroidery; Georgian examples are preserved from the 17th c. On the Ubisi Aer, the Saviour, whose half-figure is seen within the Chalice emerging flower-like from the vine stalks, squeezes out the bunch of grapes into a smaller chalice, which indicates His Redeeming Sacrifice for the mankind, while the vine symbolises Resurrection of the dead, which was enriched by the special respect towards this plant, traditional in Georgia. Besides, this image might also bear connotations of the Tree of Jesse, of the Liturgical Sacrifice and of the Eucharist.


Inscription on the Aer mentions a Pagava. If the two letters [Za. . .], following the surname are those of his first name, it might be that the inscription refers to Zaal Pagava, who, in 1785-1804, was active at the court of Grigol Dadiani. Due to its palaeography, as well as certain linguistic formations and artistic modes, this inscription shows affinity with the Shorapani Aer kept at Sh. Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia of the Georgian National Museum; donor of the latter is a Rodam Pagava, to whom Ubisi Aer is also attributed by Mrs. Gulnaz Baratashvili.

However, several persons with name of Rodam Pagava are seen in diverse 17th-18th cc. sources: colophons of the 17th c. manuscripts of “Rusudaniani” and of “Teachings” by St. John Chrysostom, in the inscription of the 1772 Sujuna Aer.

It is possible that: 1. all three Aeri were donated by Rodam Chicua (first half of the 18th c.), presumably, daughter of Khukhu Pagava, spouse of George, nephew of George Liparit-Chikvani (son of his brother, Iese); 2. donor of Ubisi and Shorapani Aer and Rodam, mentioned in the colophon of “Teachings” is one and the same person, spouse of George Chichua (early 19th c.); 3. donor of Ubisi Aer and Rodam mentioned in the manuscripts of “Rusudaniani” is the same person (second half of the 17th c.); 4. donor of Ubisi Aer is Zaal Pagava.



ସ୍ତ୍ରୀ. 1. ଡାଙ୍ଗାରନା. ଜୁଦିସିଲେ ମନାସର୍ଗେରି



სურ. 2. დაფარნა შორაპნის მაზრიდან



სურ. 3. დაფარნა. სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესია

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ოქრომქანდაკებელი იოანე ჩიქვილაძის მიერ შექმნილი ხატები¹

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულია რამდენიმე ხატი, რომლებიც შექმნილია მხატვარ, ოქრომჭედელ და მოქანდაკე იოანე ჩიქვილაძის მიერ, კერძოდ: ჯრუჭის წმ. გიორგის მონასტრისათვის შეწირული მაცხოვრის ხატი და ვერცხლის სანაწილე; სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის წმ. გიორგისა და წერილის წმ. გიორგის ხატები, ქაშვის წმ. გიორგის ეკლესიის ბარძიმი. განმარტებითი წარწერა და თარიღი ახლავს მხოლოდ ერთს – სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის წმ. გიორგის ხატს. ჯრუჭის მონასტრის საგანძურზე მუშაობის პროცესში, დ. ერმაკოვის ფოტოს მიხედვით, ვედრების დაზისმშობლის ჭედური ხატი ასევე ივანე ჩიქვილაძის ნამუშევართა რიცხვს მივაკუთვნეთ.

სამივე ხატი შექმნილია XIX საუკუნის პირველ მესამედში. მათი შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ასახავენ გვიანი ხანის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიას, მხატვრულ სტილსა და იკონოგრაფიას. აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი ქართული ჭედური ხელოვნების დაღმაგალ ეტაპად არის მიწნეული, რადგან ქართული საეკლესიო ხელოვნება ექცევა რუსული და ევროპული სამხატვრო ტრადიციების გავლენის ქვეშ, დაბალია შესრულების საერთო დონეც. უცხოურ გავლენებს ვერც ოსტატი იოანე ჩიქვილაძე გაექცა. აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი ნაკლებად არის შესწავლილი, ამდენად, აღნიშნული ძეგლები ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების გარკვეული ისტორიული ეტაპის სურათს წარმოგვიდგენს.

ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ჭედური ხატების კვლევისას გამოიკვეთა XIX საუკუნის პირველ ხახევარში მოღვაწე რაჭველი ოქრომქანდაკებელისა და ხატმწერის იოანე (ივანე) ჩიქვილაძის ნამუშევრები, დაზუსტდა ხატების ჯრუჭის მონასტერში შეწირვის თარიღი და გაირკვა შემწირველთა ვინაობა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანე ჩიქვილაძე (იგივე ჩიკვილაძე) თავისი დროის ნიჭიერი და გამოცდილი მხატვარ-მომჭედელია, რომელიც ასრულებდა როგორც იმერეთის მეფის, ასევე თავად წერეთელთა დაკვეთებს და სხვადასხვა ეკლესიებისთვის თავადაც მრავალი ნივთი თუ ხატი შეუწირავს.

ჯრუჭის წმ. გიორგის ეკლესიის მაცხოვრის ხატი (სურ. 1) /3200 გ. 390/, /41x35.5x1/ ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დასაცავად 1924 წლის 19 აპრილს ტრიფონ ჯაფარიძემ ჩამოიტანა. ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ჩამონათვალში არის „მაცხოვრის

1 სტატია მომზადდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიმდინარე პროექტის – „ჯრუჭის მონასტრის ისტორიის ფუნდამენტური კვლევა და მისი საგანძუროს სამეცნიერო კატალოგიზაცია“- ფარგლებში, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო უნივერსიტეტი მოპოვებული გრანტის (FR/286/1-10/14) მეშვეობით. ამ გამოკვლევაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეუთვის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ხატი, რომლის შარავანდიც პატიოსანი თვლებით ყოფილა მოოჭვილი², ვფიქრობთ, აქ სწორედ ქუთაისის მუზეუმში დაცული ხატის აღწერილობაა მოცემული.

1919 წელს ხატი აღუწერია ექვთიმე თაყაიშვილს, ნაშრომს ახლავს დ. ერმაკოვის ფოტო: „9. ხატი დიდი მაცხოვრისა, ვერცხლით შეჭედილი. მაცხოვარი გამოსახულია გამობერვით, ... მარცხენა ხელში და მაკურთხეველის მარჯვენით; აწერია ხუცურად: ი~ო ქ~ე, აშია მოჩუქურთმებულია ვენახის ფოთლების მსგავსად. სახე მაცხოვრისა წამლით არის დახატული. შარავანდედი შემკობილია ექვსი დიდი ციმბირის წითელი ქვით, სამი დიდი აყიყით; ერთ მათგანზე, შეუაში, თავში წარწერა არის; ამას გარდა, ორი აყიყი უზის ზემოთ კუთხეში და რვა პატარა თეთრი ქვა შარავანდედში აქვს კიდევ. წარწერა არა აქვს.“³

ქუთაისის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის მ. ქებულაძის სტატიაში „ჯრუჭის მონასტრის ნივთ-სამკაულის ისტორიისათვის“⁴ გამოქვეყნებულია ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივის ვრცელი დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია ჯრუჭის მონასტრის ის საეკლესიო-სადვითისმსახურო დანიშნულების ნივთები, რომლებიც ზურაბ სახლოუხეცესის შვილმა დავით (წერეთელი) მიტროპოლიტმა ჩაიბარა 1804 წელს და მისი მოდვაწეობის შემდგომ 23 წლიან პერიოდში ჯრუჭის მონასტერში შემატებული საგანძურო. დოკუმენტში არსებულმა მონაცემებმა საშუალება მოგვცა მოგვეხდინა მაცხოვრის ხატის იდენტიფიკაცია და დაგვედგინა მისი ჯრუჭის მონასტერში შეწირვის ზუსტი თარიღი – 1818 წელი: „დაასვენა გრიგოლ წერეთელმან, ჩემმა მმამ, ხატი მაცხოვრისა სრულიად ვერცხლით მოჭედილი, პირი დახატული, სიმაღლით არის ორი ჩარექი და სიგანე ჩარექი და სამი თითის დადება, უზის თვლები: ექვსი ამათისტო და ხუთი ძველი თვლები“.

მაცხოვრის ხატის ფოტო პირველად დაიბეჭდა ალბომში „ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები ქუთაისის მუზეუმის საგანძურიდან“.⁵

ჯრუჭის მაცხოვრის ხატი „პანტოკრატორი“ იგივე „ყოვლისმპირობელი“ წარმოადგენს კომბინირებულ ხატს: სახე შესრულებულია ფერწერით, დანარჩენი ნაწილი კი გამოჭედილია ვერცხლის ერთიან ფირფიტაზე. ორნამენტული მოჩარჩოებისათვის განკუთხნილი ვერცხლის ოთხი ფურცელი, ირიბად ჩაჭრილი კუთხებით, დამაგრებულია ზემოდან. ჭედური ხატების ამ წესით მოჩარჩოება, გვიანი პერიოდის რუსული ჭედური ხელოვნების გავლენით⁶ ვრცელდება საქართველოში. ამგვარად არის შესრულებული აჭის წმ. გიორგის ხატი 1763წ,⁷ ქუთაი-

2. Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись Памятников Древностей в Некоторых Храмах и Монастырях Грузии, Тиф., 1890, გვ. 153.

3. ექვთიმე თავაიშვილი, ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძეველები, თბ., 2010, გვ. 55, სურ. 20.

4. მ. ქებულაძე, ჯრუჭის მონასტრის ნივთ-სამკაულის ისტორიისათვის, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, ქრ. XXIII, ქუთ., 2013, გვ. 90, 93

5. დ. სულაბერიძე, ქართული ოქრომჭედლობის ძეგლები ქუთაისის მუზეუმის საგანძურიდან, ქუთ., 2014, გვ. 66

6. ერთ სიბრტყეში მოქცეული ჭედური ფონი და ჩართო, რომლის ოთხი ცალკეული ფურცელი ერთმანეთთან გადაბმულია ირიბად შეკვირი კუთხებით, რუსულ ხელოვნებაში ფართოდ გრცელდება XVII საუკუნის ბოლოდან. Сергиево-Посадский государственный историко-художественный музей-заповедник, Иконы XVIII – XIX вв. (стр.1), http://www.musobl.divo.ru/coll_iconN.html

7. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, т. 2, გაბ. 596.

სის მუზეუმში დაცული წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატი, 1778წ., ოქრომჭვდელ მერაბ ვერულაშვილის ხატები (XIX საუკუნის პირველი მესამედი)⁸.

ჯრუჭის ხატები მაცხოვარი გამოსახულია წელს ზევით, ფრონტალურად. მარცხენა ხელში მას სვერო უჭირავს, ხოლო მარჯვენით აკურთხებს, შუაზე გადაყოფილი თმა მხრებამდე ეშვება. შარავანდი დაბალი რელიეფით გამოიყოფა ფონიდან, მასზე შემორჩენილია ოთხი დიდი და ერთი პატარა თვალი. ახლავს ასომთავრული განმარტებითი წარწერის აბრივიატურა. მაცხოვრის სახე, დასავლეთ ევროპული სახვითი ხელოვნების მსგავსად რეალისტურად არის გადმოცემული - ყავისფერი, სქელი კონტურით შემოწერილი მრგვალი სახე, თვალები, ცხვირი, ვარდისფერი ტუჩები, წარბები, თმა-წვერი მოცულობითად არის დამუშავებული. დია ჩალისფერ სახეზე დაწვები შეფაკლულია ვარდისფერი ყირმიზით. ჯრუჭის მაცხოვარი მეტ მსგავსებას ამჟღავნებს თბილისის ხელოვნების მუზეუმში დაცულ XIX საუკუნის მაცხოვრის ხატთან. წინა საუბუნეებში შემუშავებული ხატწერის კანონიკის საპირისპიროდ, სახეზე დია ფერის, მოთეთრო-მოვითალო სანკირის დადება და მუქი ყავისფერი ჩრდილებით დამუშავება, თვალის რქოვანას თეთრი ფერი, ქუთუთოების, უპეების, ტუჩების მოცულობით, ფერწერულად გადმოცემა ერთიან მხატვრულ მიმართულებაზე მიუთითებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯრუჭის მაცხოვრის ფერწერული სახის შესრულების დონე ჩამოუვარდება ხელოვნების მუზეუმში დაცული ხატის შედარებით კლასიკურ შესრულებას.⁹

ჯრუჭის ხატის მოჩარჩოებაზე, ვაზის ორნამენტული მოტივის გადმოცემისას ოსტატი ცდილობს შეინარჩუნოს ქართული ჭედური ხელოვნების ტრადიცია. კერძოდ, ვაზის წნულის მოტივი, რომლის ხვეულებშიც ჩაწერილია სამყურა, ოთხურა და ხუთფურცლა ფოთლები, იმეორებს წინა საუბუნეების ძეგლთა შემკულობისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ფორმას, მაგრამ ვედარ იმეორებს მათ სინატიფეს, დახვეწილობას, ფორმათა მკაფიოებას.¹⁰ ვაზის წნული დაბალი რელიეფით გამოიყოფა პუნქტურული ფონიდან, დეროები და ფოთლები ფართო მოხაზულობის მქონე გლუვზედაპირიან ორნამენტს წარმოადგენს, რომელიც ზემოდან მოკლე, ჩაჭრილი შტრიხებითაა დამუშავებული.

ქუთაისის ცენტრალური არქივის დოკუმენტიდან ჩანს, რომ მაცხოვრის ვერცხლის ხატი ჯრუჭის მოხასტრისათვის შეუწირავს დავით მიტროპოლიტის ძმას გრიგორ წერეთელს. ხატის ზედაპირის დეტალური დათვალიერებისას, მაცხოვრის შარავანდის მარჯვნივ, აღმოჩნდა ოსტატის მიერ დასმული წრიული ფორმის დამდა, რომელშიც ჩაწერილია მხედრული ასოები და მკაფიოდ იკითხება „ივანე“ (სურ. 2). ამგვარად, მაცხოვრის ხატის მომჭედელი არის ივანე. ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებასაც, რომ ხატი ჯრუჭის მოხასტერს შეწირა გრიგორ წერეთელმა. ოსტატის ხელნაწერთა ინსტიტუტის ორ დოკუმენტზე (ხელნაწ. ინსტ. ფონდი SD №1447, 1461) დაყრდნობით ამბობს, რომ „გრიგორ წერეთელს ჰყავდა შესანიშნავი ოქრომჭედელი თავის კაცი ი ვანე ეჩიკვილაძე, რომლის ტოლი ამ ხელობის ოსტატი

8 დ. სულაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60, 61, 65.

9 თ. საფვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980, გან. 58.

10 მაგ., XVI საუკუნის წმ. ბასილის ხატის მოჩარჩოება, მათხოვნიდან; ჯუმათის წმ. გიორგის ხატის ფონის მოჭედილობა, XVI ს. გ. ცუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გან. 548, 537.

სხვაგან იშვიათად მოიძებნებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ გრიგოლ წერეთელს მისმა მამიდაშვილმა მამია V გურიელმა ერთხელ ცოტა ხნის ვადით ეს ოქრომჭედელი თხოვა¹¹. ხატმწერისა და ოქრომქანდაკებლის იოანე (ივანე) ჩიკვილაძის მიერ შესრულებული ხატი დაცულია ქუთაისის ისტ. მუზეუმის ფერწერული ხატებისა და საეკლესიო ნივთების ფონდში¹². მას ახლავს ასომთავრული წარწერა, რომელიც სრულად ამოკითხული აქვს გ. ბოჭორიძეს¹³: „ქ. წმიდა გიორგი, პე სომიწისაო, ვოსურვე და გიძღუენ ხატი ესე წმინდის გიორგის. შეიწირე ჩემი ესე მსახურება და მიოხე მონასა შენსა იოანე ჩიქვილაძეს და თანამეცხედრესა ჩემსა ჯაფარიძეს ქალის თუთას და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად წელთა უფლისათ ჩყილ ან ჩყიზ“. ავტორის შენიშვნით, წელთაღრიცხვის აღნიშვნა შეცდომით არის მოცემული, „ლ“-ს ნაცვლად უნდა იყოს „ზ“ და ამ შემთხვევაში ვდებულობთ – 1817 წელს, ან შესაძლოა შემწირველს სურდა დაეწერა „ლი“ – 1840წ. ჩვენი აზრით, მართებულია 1817 წელი, რადგან ივანეს მეუღლე თუთა, როგორც მისი საფლავის ეპიტაფია გვამცნობს, გარდაცვლილა 1830 წელს,¹⁴ ხატის წარწერიდან კი ცხადია, რომ ის ხატის შექმნის დროისათვის ცოცხალია.

გ. ბოჭორიძემ ასევე ამოიკითხა სოფ. სომიწოს ეკლესიასთან მდგბარე საფლავის ქვის მხედრული წარწერაც, რომელიც მხატვრის შესახებ მეტად საყურადღებო ბიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს: „ქ. აპა საფლავსა ამას შინა მდგბარე სახელმწიფო აზნაური იოანე ჩიკვილაძე შობილგან ვიყავ მქონე ღ (60) სა წლისა ვიყავ გონება მახვილი და ვისწვევ წერა სამხედროთი და ჭედა ოქროისა და ვეცხლისა და გამოვხატავდი – ხატსასა ქრისტეს მაცხოვრისასა და დისა მის კ დ უხრწნელისა ლვთის მშობელისას: და თომეტო მოციქულთა და ეკლესიათა სახმართა შევასრულებდი ვიყავ მქანდაკებელ და სხვათაცა ვასწავებდი, სამოქანდაკოთა საქმეთა ვიქმოდი და თვით ძეთა ჩემთაცა ვასწავებდ ვითარცა ძალ ედვათ დღსა რომელსა არა მოველოდი (მოწ) წარმყვანებელნი ჩემი და განმაშორეს მყესთა და ნაგოთა ჩემთა და არა უწყი სად წარვალ ანუ რა ვიქმნები აღმომკითხველნო შენდობას გეგედრები რათა თქვენცა შეგინდვნეს შეცოდებანი თქვენი რომელმან ქმნა ცანი და ქვეყანა ს კ მ ა¹⁵ წელსა (=1841წ.) თებერვლის ი (=10) რიცხვსა“.¹⁶ როგორც ირკვევა, სახელმწიფო აზნაური იოანე ჩიკვილაძე მრავალმხრივ ნიჭიერი თსტატი ყოფილა, ის არა მარტო ხატავდა, არამედ ჭედავდა, აქანდაკებდა და შეგირდებსაც გადასცემდა თავის ცოდნას. გ. ბერიშვილისა და დ. ჯაფარიძის ვარაუდით, იოანემ ხელობა

11 თ. სოსელია, ნარკევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1981, გვ. 146.

12 6. ხარაგა, სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის ხატზე ასახული წმ. დიდმოწამე გიორგის ორი სასწაული. ქ. მწვანეულებისათვის, №5, ქუთ., 2014, გვ. 52-56.

13 გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხეუმის ისტორიული ძერგლები და სიძველეები, თბ., 1994, გვ. 240.

14 გ. ბერიშვილი, დ. ჯაფარიძე, ხატმწერი და ოქრომქანდაკებელი იოანე ჩიკვილაძე (ჩიკვილაძე). გაზ. „რაეო“, 12 (107), 2003, გვ. 5.

15 მითოებული თარიღიდან და ასაკიდან გამომდინარე, იოანე ჩიკვილაძე დაბადებულა 1781 წელს.

16 იქვე, გვ. 239.

წინაპართაგან ისწავლა¹⁷, აქედან გამომდინარე ის ძველი ქართული ტრადიციები გამგრძელებელია. ავტორებს აქვე მოყავთ ცნობა იმის შესახებ, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1769 წელს დასაჯა რაჭის ერისთავი და მისი ყმა-მამულები გადასცა წერეთლებს. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროიდან რაჭველი აზნაური ჩიქვილაძეები ემსახურებიან იმერეთის სამეფო სახლსა და წერეთლებს. ხოლო სოლომონ II -ის კარზე სხვა წარჩინებულ თავად-აზნაურთა შორის ჩანს იმანე ჩიქვილაძეც¹⁸.

სომიწოს წმ. გიორგის ხატი ფერწერულია (სურ. 3). მასზე წარმოდგენილია ორი სასწაული – „ქ. ლასიას გათავისუფლება გველეშაპისაგან“ და „ყრმა გიორგის დახსნა ბულგართა ტყვეობიდან“. ხატის ზედა მარცხენა კუთხეში დამაგრებულია წრიული ვერცხლის ჭედური მედალიონი მავედრებელი დათისმშობლის ხახვარფიგურული გამოსახულებით.

ჯრუჭის მაცხოვრის ჭედური ხატისაგან განსხვავებით, სომიწოს ხატზე, დაფის სიღრმეშივე არის ამოჭრილი არე სასურათე სიბრტყისათვის. მოჩარჩოებაზე ყვითელ ფონზე შავად ნაწერი ასომთავრული წარწერა მოთავსებული, ნაწერი ლამაზი კალიგრაფიით. წმ. გიორგის ხატს ჩამუქებული კოლორიტი გააჩნია, რომელსაც „აცოცხლებს“ წმ. გიორგის მოსახსამის, მეფის ასულის კაბისა და გველეშაპის ფრთების ინტენსიური წითელი ფერი. კომპოზიცია იშლება სამ ნაწილად გაყოფილ ფონზე – მუქი ყავისფერი მიწა, თეთრი შუა ნაწილი და მუქი მწვანე ცა. ხატმწერი ფონისათვის „ყრუ“, მკვრივ ტონალობას იყენებს, რომელსაც უპირისპირდება შუა ზოლისა და ცხენის ფიგურის თეთრი „ამონათება“.¹⁹ წმ. გიორგის მონუმენტური ფიგურის გვერდით დანარჩენ პერსონაჟთა ფიგურები მინიატურულები ჩანან. მათში მეტად არის გამოვლენილი ქართული „ხალხური“ ნაკადის მხატვრობის ნიშნები: მეფის ასულისა და ბიჭუნას (სურ. 4) ფიგურები სქემატურია, ფართო მოხაზულობის სხეულებით. დია ჩალისფერ სახეებზე ყირმიზი მრგვალ ლაქად არის დადგებული, ხაზობრივი გადმოცემით ხასიათდება ცხვირი, თვალები, წარბები, რის გამოც ისინი უნებლიერ ბუგეულის (XVIIს.), გელათის წმ. ელიასა (XVIIს.) და სხვა „ხალხურ“ მოხატულობათა პერსონაჟებს, განსაკუთრებით ქეიტორთა ფიგურებს მოგვაგონებენ. წმ. გიორგის სახის მრგვალი ოვალი და ნაკვთები ჯრუჭის მაცხოვრის მსგავსად მსხვილი ყავისფერი კონტურით არის შემოწერილი. მოცულობის შესაქმნელად ყავისფერი ჩრდილებია გამოყენებული, ტუჩები და თვალის უპეები კი წითელი ჩრდილებით არის მოდელირებული. აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის სახე უფრო „პორტრეტულია“ და შედარებით „გულმოღვინებ“ დამუშავებული, ვიდრე წმ. გიორგისა.

მავედრებელი დმრთისმშობლის (სურ. 5) „ფართო“ მოხაზულობის ქვეშ ნახვარფიგურა დამუშავებულია უხეში, მსხვილი ხაზებით. მას დიდი ნუშის ფორმის ოვალები, მსხვილი ცხვირი და ერთი ჩაკაწრული ხაზით აღნიშნული ტუჩები აქვს. ახალოგების ძიებისას ყურადღება მივაქციეთ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ წედისის წმ. გიორგის ვერცხლის ჭედურ ხატს

17 გ. ბერიშვილი, დ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

18 იქვე, გვ. 4.

(სურ. 6) ¹⁹, რომელზეც ასევე ქ. ლასიას სასწაულია გამოსახული. შესრულებული თვალსაზრისით ის ზუსტი ანალოგია როგორც სომიწოს წმ. გიორგის ხატის მედალიონისა, ასევე ჯრუჭის მაცხოვრის ხატისა. იდენტურია სახეთა შესრულების მანერა – სახასიათო დიდი ნუშის ფორმის თვალის ჭრილი, მრგვალი, შუაში წერტილით აღნიშნული კაკლით, წარბებთან გადაბმული მსხვილი ცხვირი რკალისებური ნესტოებით. სახეთა ამგვარად გადმოცემა ქართული ხალხური მხატვრობისათვის არის ნიშანდობლივი; ერთი ხაზით გადმოცემული პირის მოხაზულობა რაჭის აღრე შუა საუკუნეების ქვაზე პლასტიკის ნიმუშებზე, კერძოდ, ჯოისუბნის რელიეფებზე გვხვდება. ჩიქვილაძის ფიგურათა დიდი თვალები, წარბებთან გადაბმული მსხვილ ნესტოებიანი ცხვირი, ერთი კლაკნილი ხაზით აღნიშნული პირი გარკვეულ მიამიტურობას, ექსპრესიულ გამომეტყველებას ანიჭებს მათ. ამგვარ გადმოცემას სწორედ ქართული ხალხური ნაკადის ოსტატთა შემოქმედებაში ვხვდებით. რელიეფური სხეულები, სახის ნაკვთების იდენტურად გადმოცემა, სამოსის დრაპირება უჩვეულოდ მსხვილი, უხეში ჩაჭრილი ხაზები ივანეს ჭედური ხატების ფიგურათა საერთო სახასიათო ნიშანია. გარდა ამისა, ჯრუჭის მაცხოვრისა და წედისის წმ. გიორგის ხატებზე ოსტატი ერთსა და იმავე ორნამენტულ მოტივს იყენებს. წმ. გიორგის ვაზის წნულის ზედაპირის დამუშავების ხასიათიც ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ წედისის ხატზე პერსონაჟები არღვევენ ორნამენტის ერთიანობას; ერთიანი ორნამენტული ჩარჩო ხატს მხოლოდ მარცხენა არეზე გააჩნია, ზედა ნაწილში ის „ჩაჭრილია“ ანგელოზის ფიგურით, ხოლო ქვედა ველზე ვაზის ხვეული მარჯვენა კუთხეს იკავებს, რომლის ზემოთ, მარჯვენა არეზე, მოთავსებულია ნაგებობის ფონზე მდგომი მეფის ასულის ფიგურა. ორივე ხატზე ფიგურები წარმოდგენილია გლუვ ფონზე, ასოთა კალიგრაფიული მსგავსებაც ერთი ოსტატის ხელზე მიუთითებს. იოანე ჩიქვილაძის ჭედურ ფიგურებს ახასიათებს პირობითობა, დამჯდარი სხეულები; მსხვილი კისერი მოუხერხებლად არის გადაბმული თავთან, თითქოს ზემოდანაა დადებული, თავის მოხაზულობა შედარებით პატარა და მრგვალია. ოსტატი დინამიკურობის მიღწევას ცდილობს ხშირი, მსხვილი ხაზების სამოსზე სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის მეშვეობით.

ამგვარად, მხატვრულ-სტილისტური და ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით სამივე ძეგლი ერთი და იმავე ოქრომჭედლის ნამუშევარია. გარდა ამისა, წედისის წმ. გიორგის ხატზე გველეშაპის ხვეული კუდის ცენტრში, გლუვ ზედაპირზე აღბეჭდილია იგივე დამდა, რაც ჯრუჭის მაცხოვრის ხატზეა – „ივანე“ (სურ. 7)²⁰.

ჯრუჭის მონასტრის ვერცხლის სანაწილე /32x18.8x2.2/ /3173,გ.522/ (სურ. 8) ქუთაისის მუზეუმში წარმოადგინა გ. ბოჭორიძემ 1926წლის 30 სექტემბერს. ის ჯრუჭის ეკლესიის სხვა ნივთებთან ერთად ინახებოდა საჩხერის ოქმადმასკომის საწყობში: „5. ნაწილებიანი ხატი დაბალ ვერცხლის ბუდეში, დაზიანებული“²¹.

დავით მიტრობოლიტის სიაში მოხსენიებულია საოჯახო სანაწილე ხატი,

19 დ. სულაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

20 დამდები იმდენად მცირე ზომისაა, რომ ახლოდან დაკვირვების გარეშე როგორი შესამჩნევია.

21 გ. ბოჭორიძე, იმერეთი, თბ., 1995, გვ. 232.

რომლის აღწერილობაც, დათარიღებული 1829 წლით, შექსაბამება მუზეუმში მოქმედი დაცულ გერცხლის სანაწილების: „ერთი ხატი ასვენია აქ მონასტერში, თავად წერეთლების – ჩემის ძმებისა და ჩემის ბიძაშვილებისა, საოჯახო მიძინებას ეძახიან, რომელშიდაც ასვენია წმინდანი ნაწილი, სახელები არ ვიცით, თუ რომლის არის. ეს ხატი ხის კუბოში იჯდა და მე ვერცხლის ბუდე გავაპეტებინე. სამი თუმანი მოუნდა და იმაში ასვენია, რომელიცა სრულებით ნაწილი არიან თერთმეტი. პირველი არის ერთი მტკაველი და მეორე ხელის დადება ცერიანათ. ორნი ნაწილი თითო გოჯა და სხვა შვიდი უმცროსნი არიან.“²² ჩანაწერის მიხედვით, სანაწილებში იყო ან წმ. ნაწილებს ფარავდა ხატი „მიძინებისა“, რომელიც თავდაპირველად იჯდა ხის ბუდეში, ხოლო 1829 წელს დავით მიტროპოლიტმა მას ვერცხლის კიდობანი გაუქეთა. ბოჭორიძის აღწერით ეს არის „ნაწილებიანი ხატი“, ქუთაისის მუზეუმის შემოსულობათა წიგნშიც იგივე სახელწოდება აქვს „ნაწილებიანი ხატი ვერცხლის ბუდეში“, თუმცა ამჟამად სანაწილე ხატის გარეშეა და ღია ხუფის შიგნით ჩანს წმ. ნაწილები. გაურკვეველია, თუ როდის დაიკარგა მიძინების ხატი.

ვერცხლის ბუდე სწორკუთხაა, თაღოვანი ზედა ნაწილით. კარს გვერდზე გააჩნია საკეტი, ხოლო ჩარჩო დაბალ რელიეფიანი მცენარეულ-ყვავილოვანი მოტივით არის შემკული. როგორც ვთქვით ხუფი ღია და ჩანს ათი ვერცხლის უჯრა, სამწუხაროდ, შეუძლებელია თაღოვანი ნაწილის ქვეშ მდებარე სივრცის დათვალიერება. ყუთის ზურგი და კედლები ერთიანი სქელი ვერცხლის ფირფიტისაგანაა შექმნილი, კარი და რელიეფური ორნამენტებით შემკული თაღოვანი ნაწილი კი ზემოდან არის დამაგრებული. სანაწილე უჯრები ლურსმნებით არის ჩამაგრებული და ზედა ნაპირებზე წნული ორნამენტითაა გარშემოწერილი. თაღის ცენტრალურ არეზე გამოსახულია სხივებიან წრეში ჩაწერილი ქვემოთ დაშვებული მტრედის რელიეფური ფიგურა. წრის გარეთ ქვედა მარცხენა და მარჯვენა კუთხებში ასევე ქვემოთ დაშვებული თითო პატარა ზომის მტრედია გამოსახული, რომელთა გვერდით ფოთლიანი ყვავილია მოცემული. მტრედების სახეები პროფილშია ნაჩვენები, ხოლო სხეულები – ზედხედით. მსხვილი ჩაჭრილი ხაზებითა და მოკლე პარალელური შტრიხებით აღნიშნულია ფრინველთა ფრთები და ბუმბული. ასეთივე წვრილი, მოკლე პარალელური ხაზებით არის დამუშავებული მცენარეული ორნამენტი – მოგრძო ფოთლების ცენტრში ჩასმული ოთხფურცლა ყვავილები შეაში წრიული გულით. ფონი მთლიანად პუნქტორებულია. ანალოგიური ტექნიკითა და სტილით არის დამუშავებული ჯრუქის მაცხოვრისა და წედისის წმ. გიორგის ხატები, ვფიქრობთ სანაწილეც დავით მიტროპოლიტის დაკვეთით შეასრულა ოქრომჭედელმა იოანე ჩიქვილაძემ.

გ. ბოჭორიძე ასესენებს ასევე ბრაქნის (ტყვიის) ბარძიმს, რომელიც სომიწოს ეკლესიაში უნახავს და ამოუკითხავს მხედრული წარწერა: „წმიდის გიორგის ქაშკვის ბარძიმსა ვაკეთებ მე ივანე ჩიქვლაძე მსახენებელად მეუღლით ძით და ასულით“. აღნიშნული ბარძიმი აღმოჩნდა ქუთაისის მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდში (სურ. 9). მხედრული წარწერა ერთ სტრიქონად არის ამოკაწრული ფეხსადგამზე. ოსტატი აქ იხსენიებს მხოლოდ ერთ ძესა და ასულს, აქედან გამომდინარე, ის სომიწოს ხატზე ადრე უნდა იყოს შექმნილი, 1817 წლამდე.

22 ქ. ქებულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

ბარძიმზე არ არის ორნამენტული დეკორი.

ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში „ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები”, დაბეჭდილია დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოები.²³ ვედრების ტიპის ღმრთისმშობლის ხატზე დაკვირვებისას, ცხადი გახდა ოქრომჭედელი ითანე ჩიქვილაძის შესრულების სტილი და მანერა. ხატი არ გამოირჩევა დიდი ზომებით – 25X17.5. ამჟამად, ის დაცულია თბილისის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში²⁴ (სურ. 10-11).

ცენტრში ჩასმულია ვერცხლის ფირფიტა, რომელზეც წარმოდგენილია ფეხზე მდგომი ღმრთისმშობელი, რომელსაც ხელები ვედრების ნიშნად მარჯვნივ აქვს მიყვრობილი. სხეული ფრონტალურადაა გამოსახული, სახე – ოდნავ მიბრუნებული მარჯვნივ. არ ჩანს ფიგურის ფეხები, რადგან ფირფიტის ქვედა ნაწილი დაფარულია ჭედური აშით. ღმრთისმშობლის მარჯვნივ და მარცხნივ, მხრების დონემდე ფონს ფარავს იგივე ორნამენტული მოტივი, ანალოგიური დამუშავებით, როგორიც მოცემულია წედისის წმ. გიორგისა და ჯრუჭის მაცხოვრის ხატებზე. ოსტატი არ ცდილობს ორნამენტული რეპერტუარის გამრავალფეროვნებას და რამდენიმე ნიმუშზე, ცვლილების გარეშე იმეორებს ერთი და იმავე მოტივს. ღმრთისმშობლის ოლარზე მხოლოდ პუნქტით გამოჰყავს რომბებისაგან შემდგარი თრნამენტი, რომელთა შუაში ასევე პუნქტით ჯვრებია გამოსახული. აღსანიშნავია, რომ რომბების სპირალისებურად დახვეული ბოლოების გადმოცემისას მხატვარი არ იცავს სიმეტრიას და მოხაზულობის სიზუსტეს. ღმრთისმშობლის მხრებს ზემოთ გლუვი ფონია, რომელზეც ასომთავრული განმარტებითი წარწერებია დანარჩენი ნამუშევრების ანალოგიური კალიგრაფიით შესრულებული. ღმრთისმშობლის სახისა და ხელების მოხაზულობა, ესტიკულაცია იმეორებს სომიწოს წმ. გიორგის ხატზე არსებული ვედრების დვთისმშობლის გამოსახულებას. ჯრუჭის ვედრების ღმრთისმშობლის სტატიკურ ფიგურას ფართო, მოუხეშავი სილუეტი აქვს, ისევე, როგორც ჯრუჭის მაცხოვრის ნახევარფიგურას. სამოსის ნაკეცებიც ოსტატისათვის დამახასიათებელი მსხვილი ჩაჭრილი ხაზებით გადმოიცემა. საინტერესოა ფიგურისა და ორნამენტის ურთიერთმიმართება. ჩუქურთმა არ წარმოადგენს მხოლოდ ფონს ფიგურისათვის, მას ფიგურასთან ერთად თითქოს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ღმრთისმშობლის სხეულიც დეკორის შემადგენელ ნაწილად იქცევა, რასაც გარკვეულწილად განაპირობებს სხეულისა და ორნამენტის თითქოს ერთ სიმაღლეზე ამოწვევა, გლუვზედაპირიანი წნულის მსხვილი დეროები და ფოთლები. ფიგურა „გაჭედილია“ ორ ორნამენტულ ზოლს შორის. ამგვარად, ერთი შეხედვითაც კი აშკარაა ხატის დანარჩენ ნიმუშებთან დიდი მსგავსება, მისი კუთვნილება ითანე ჩიქვილაძისადმი ეჭვს არ ტოვებს. სამწუხაროდ, არ მოგვეცა ხატის ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობა, რათა გაგვერკვია არის თუ არა მასზე ოსტატის დამდა.

ღმრთისმშობლის ვერცხლის ფირფიტა და ხატის ფართო ორნამენტული

23 ექვთიმე თაყაიშვილი, ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები, თბ., 2010, გვ. 48-50, სურ. 15-16.

24 ხატის ადგილსამყოფელი დავადგინეთ ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონის კურატორის ქ-ნ. ელენე ქავლელაშვილის მიერ მოწოდებული ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ნივთების სიის მიხედვით.

ჩარჩო სხვადასხვა პერიოდისაა. მოოქრული მოჩარჩოება გამოირჩევა ნატიფი, უხვი მცენარეული მოტივებით, რომელთა შორის ჩასმულია შვიდი ვარდული, ხოლო ქვედა ველზე სამი დიდი ზომის თვალბუდე. ხატის ზურგზე ლამაზი კალიგრაფით ასომთავრული წარწერაა, რომელიც ამოუკითხავს ექვთიმეს: „ქ. ვედრებისა: ღოთისა: მშობელ მეოხ: დ მფრველ: მექმეხ: მე : ქველსა: დ ნათელის:“ ქველისა და ნათელის დროინდელი ხატი როგორც ჩანს, დაზიანდა და წერვ-თლების დაკვეთით ის განაახლა იოანე ჩიქვილაძემ. დოკუმენტებში არ მოიპოვება ცნობა ვედრების ხატის შეწირულობის შესახებ, რაც დააზუსტებდა შექმნის დროს. 6. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ვარაუდით, ნათელი შესაძლებელია იყოს ხობისა და მარტვილის XIII საუკუნის ხატებზე მოხსენიებული შერგილის მეუღლე,²⁵ თუმცა ასეთ ვარაუდს ვერ დავეთანხმებით.

იოანე ჩიქვილაძის საფლავის ქვის ეპიტაფითან ცხადი ხდება, რომ ოქრომჭედელს მრავალი საეკლესიო ნივთი და ხატი შეუქმნია, ამ ეტაპზე შესაძლებელი გახდა ექვსი ნივთის იდენტიფიკაცია.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის ოსტატ იოანე ჩიქვილაძის შემოქმედებას ეკლექტურობა ახასიათებს, რაც უცხო არ არის ამ პერიოდის ქართული საეკლესიო ხელოვნებისათვის. მის ნამუშევრებში თავს იჩენს ევროპული, რუსული და ქართული ხალხური სამხატვრო და საოქრომჭედლო ტრადიციები, თუმცა ამ გავლენათა ფონზე ოსტატი არ კარგავს ინდივიდუალობას და მისთვის დამახასიათებელ ხელწერას.

Nino Sarava

Icons by the Silversmith Ioane Chikviladze Kept at the Kutaisi Historical Museum

Among the icons and ecclesiastical objects kept at the depositories of N. Berdzenishvili State Historical Museum in Kutaisi, four objects of the first third of the 19th c. are kept, all of them belonging to the hand of one master silversmith – Ioane Chikviladze. Comparison of some historic documents and the epitaph of a grave preserved on the cemetery of a church in the village Somitso, makes it possible to ascertain that, deceased in 1841, he, skilled in icon painting and repoussé work, a descendant of a noble family from Racha, since 1769, in service of the Imereti princes Tsereteli and quite highly valued. It was the Tseretelis, who commissioned the icon of the Saviour (1818, painted image in the silver revetment), owned by the Jruchi monastery, and a silver reliquary (1829); Ioane Chikviladze and his wife, Tuta Japaridze had donated the icon of St. George (Miracle with the Dragon and Miracle of Rescuing the Youngster, painted with repoussé framing, 1817) to Somitso church and a leaden chalice to Zhashkva church; one more, repoussé icon of St. George's Miracle with the Dragon was kept at Tsedisi church; the icon of

25 Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, Тиф., 1890, გვ. 152.

the Virgin of Supplication (its frame and back, bearing the inscription of a Kveli and Nateli, ^{ქველი, ნათელი} belong to other, older icon), once owned by the Jruchi monastery is at present kept in Tbilisi, in Sh. Amiranashvili State Museum of Fine Art of the Georgian National Museum.

As could be expected in his epoch, Ioane Chikviladze is quite familiar with the traditions of the 18th c. Georgian metalwork, he shares certain elements of the artistic “language” of the 16th c. mural decoration of the so called “vernacular trend” (Somitsso icon), makes efforts to adopt stylistics of the Russian-European art introduced in Georgia (painting of the icon of the Saviour) and the achievements of the Russian metalwork (composition of the frame of the same icon). At the same time, alongside all this eclecticism, his works are marked with his own, individual manner.



Նյու. 1. Հարություն մացեղքուն եպիսկոպոս Կայո



Նյու. 2. Հարություն մացեղքուն եպիսկոպոս Կայո. դամբա



Նյու. 3. Տօմուֆոս վիճակ գուղքուն եպիսկոպոս Կայո




სურ. 4. სომიწოს წმ. გიორგის ხატი.
დეტალი



სურ. 5. სომიწოს წმ. გიორგის ხატი. მედალიონი



სურ. 6. წედისის წმ. გიორგის ხატი



სურ. 7. წედისის წმ. გიორგის ხატი. დამდა



Ֆոր. 8. ՀՀ շրջկության մասնակիցներին
սանավորության սանավորության մասնակիցներին



Ֆոր. 9. Սռմովության գլուխացնության մասնակիցներին



Ֆոր. 10. ՀՀ շրջկության մասնակիցներին
դմրտության մասնակիցներին



Ֆոր. 11. ՀՀ շրջկության մասնակիցներին
դմրտության մասնակիցներին



გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

თბილისის პირველი საქულტო ნაგებობა რკინაბეტონის გუმბათით – აშკენაზების სინაგოგა

სტატია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამშენებლო ტექნოლოგიის განვითარებით გამოწვეულ ცელილებებს ეხება, რაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად არა გადამწყვეტ, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არქიტექტურის ესთეტიკაზე. ამ ფაქტორთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო რკინაბეტონის გამოგონება, რამაც შესაძლებელი გახდა ნაგებობათა კონსტრუქციების გართულება და მათი სტრუქტურის გამრავალფეროვნება.

ამგვარი ტექნოლოგიური განვითარება ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო პროგრესმა განაპირობა. XIX საუკუნის ბოლოს ჩასახულმა ამ პროცესმა მოიცვა სატაძრო ნაგებობებიც. შესაძლებელი გახდა თითქმის ნებისმიერი არქიტექტურული ჩანაფიქრის განხორციელება ნაგებობათა მდგრადობის გარანტით. ეს სიახლე სრულად აისახა შენობათა სტრუქტურაზე და მხატვრულ სახეზე. არქიტექტორებს მიეცა მეტი თავისუფლება. ამ სიახლემ საქართველოშიც სწრაფად დაიწყო დამკვიდრება. რკინაბეტონის გამოყენებით აშენდა კათოლიკური ეკლესია ბათუმში (1902 წ.)¹, მართლმადიდებელთა ეკლესიები ფოთსა (1907 წ.)² და თბილისში (1910 წ.) და სინაგოგა ასევე თბილისში³.

სამშენებლო ტექნოლოგიის განვითარების შედეგები თვალსაჩინო გახდა და სამეცნიერო პროგრესის სხვა მიღწვებთან ერთად დააჩქარა საქართველოსა და თბილისის შემობრუნება ევროპული ცივილიზაციისაკენ. ეს პროცესი გარკვეულწილად გავლენას ახდენდა კონცესიურ და ეთნიკურ იდენტობაზეც.

აქ მოყვედ შევეხები რკინა-ბეტონის გამოგონებისა და განვითარების ისტორიას და ამ კონსტრუქციებით აგებულ პირველ ტამრებს საქართველოში. ძირითად უურადღებას კი დაგუთმობ რკინაბეტონის კონსტრუქციებით აგებულ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობას, ყოფილ ე. წ. აშკენაზების სინაგოგას თბილისში. ეს ნაგებობა რამდენჯერმე იქნა გადაკეთებული და ფუნქცია-შეცვლილი. ამჟამად იგი რესტავრირებული და რეაბილიტირებულია⁴.

1 ბათუმის ნეოგოთიკური სტილის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა 1902 წელს დასრულდა ადგილობრივი კათოლიკური მრევლისა და სტეფანე ზუბალაშვილის დაფინანსებით.

2 ა. მიქაელი, ფოთი, თბ., 1963, გვ. 41; გ. ჩიტაია, ფოთს დფოსმშემცველი იცავს, ფოთი, 2002, გვ. 46.

3 შ. ბოსტანაშვილი, სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში, თბ., 1998, გვ. 62; შ. ბოსტანაშვილი, დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სივრცის პოეტიკა – სინაგოგებისა და ებრაული სასაფლაოების, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2008, გვ. 138.

4 1992 წელს შენობა კვლავ მუზეუმს დაუბრუნდა და მოგვიანებით გადაწყდა, რომ ადდგენილიყო

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განსახილველი ნაგებობის გუმბათზე და საბჯენი კონსტრუქციები რკინა-ბეტონისაა, რაც ამ ახალი ტექნოლოგიის გამოყენების, განსაკუთრებით კი გუმბათის სხმული რკინაბეტონით აგების, ერთ-ერთი აღრეული მაგალითია, არა მხოლოდ თბილისში, არამედ იმ პერიოდის რუსეთის იმპერიაშიც და ევროპაშიც.

რკინაბეტონის მასობრივ გამოყენებას მშენებლობაში მხოლოდ ერთი საუკუნეზე ცოტა მეტი წელი ისტორია აქვს. მას შემდეგ რაც ინგლისელმა მდვრელმა ჯეიმს პარკერმა 1796 წელს მიიღო პატენტი ე. წ. რომანცემენტის გამოგონებაზე და 1824 წელს ასევე ინგლისელმა ჯოზეფ ასპიდინმა ე. წ. პორტლანდცემენტის მჭიდა ნივთიერება შეიმუშავა, მიმდინარეობდა გამალებული მეცნიერული კალება ამ ახალი სამშენებლო მასალის სიმზადის გაუმჯობესებისათვის.

1850-85 წლები ითვლება რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოგონების ხანად, ხოლო 1885-1917 წლები ამ კონსტრუქციათა ათვისების პერიოდად. 1848 წელს განხორციელდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციის შექმნის იდეა. ფრანგმა კონსტრუქტორმა ჯოზეფ ლუის ლამბომ ააგო რკინის არმატურიანი ცემენტის ნავი; 1861 წელს კი, ფრანგმა მებადე უოზეფ მონიემ დააპროექტა რკინის კარკასიანი, დაცემენტებული საფავილე კასრები; 1867 წელს ჟ. მონიეს სახელზე გაიცა პირველი პატენტი რკინა-ბეტონის გამოყენებაზე; 1861 წელს ასევე ფრანგმა ფრანსუა კუნიემ შეიმუშავა დაარმატურებული ბეტონით მშენებლობის I დებულება; 1886 წელს დამუშავდა რკინა-ბეტონის გაანგარიშების I მეთოდი და იმავე წელსვე ჩამოყალიბდა რკინა-ბეტონის წინასწარი დაძაბვის იდეა (პ. ჯექსონი - აშშ)⁶; 1886 წელს არის დაფიქსირებული რკინაბეტონის გამოყენების პირველი შემთხვევა რუსეთში, მაგრამ იმ დროს ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტები მიმდინარეობდა. რკინაბეტონის საწარმოო გამოყენება უფრო მოგვიანებით დაიწყო⁷.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იწყება რეინა-ბეტონის კონსტრუქციის ტექნოლოგიის სწრაფი ათვისება. ამ ახალმა ტექნოლოგიამ გაუმჯობესდა საფუძველი მოდერნის სტილს არქიტექტურაში. შექმნა ფართო სამშენებლო შესაძლებლობები და, საერთოდ, თანამედროვე არქიტექტურას დაუზიანდი.

რეინაბეტონის ადრულ გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს მოდერნის სტილის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ავსტრიელი არქიტექტორის ოტო ვაგნერის მიერ დაპროექტებული სადგურის შენობა ვენის შენბრუნის პარკში – 1897 წელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შენობაზე ორი ერთმანეთის თავზე აღმართული გუმბათია – მოზრდილი და მცირებად, მსგავსად ჩვენი განსახილებელი ნაგებობისა.

მისი ოკეანის და გეოგრაფიული სახე. მუხუჭის რესტავრაციის პროექტი დამტკავდა 2003 წელს, ძეგლებისა და დირშესანიშნავი აღგილების საერთო შორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ. ოუმცა, დავით ბააზოვის სახელმისი საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია მოხდა მთლიან 2014 წელს, განახლებული საადაპტაციო პროექტით (არქიტექტორ-რესტავრორი მერაბ ბოჭოვიძე).

⁵ A. P. Thurston, Parker's "Roman" Cement, Transactions of the Newcomen Society 1939 (Newcomen Society).

⁶ Major A. J. Francis, *The Cement Industry 1796-1914. A History*, 1977, Devon UK, North Pomfret Vermont US, North Vancouver Canada.

7 В. Баиков, Железобетонные конструкции, М., 1976.

ნიშანდობლივია, რომ საქართველო არ ჩამორჩებოდა ეპროპის განხლი იმპერიას სამშენებლო ტექნოლოგიებს და თითქმის იმავდროულად, რუსეთის დიდ ქალაქებთან ერთად, ეს ტექნოლოგიური სიახლე საქართველოს ქალაქებშიც გადიოდა აპრობაციას.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციები ბათუმის კათოლიკურ (1902 წ.) და ფოთის (1907 წ.)⁸ ეკლესიების შემდეგ გამოყენებულ იქნა თბილისის ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. ის სამთავისის ტაძრის რემინისცენციით დაპროექტდა (არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი, ინჟინერი ანჯელო ანდრეოლეტი). საძირკველში მოეწყო რკინა-ბეტონის ფილა და მთელი ნაგებობა მას დაეფუძნა. I სართულის ჭერის გადახურვა შეიკრა ლითონის კარგასით⁹.

რკინა-ბეტონი იქნა გამოყენებული თბილისის აშენაზების სინაგოგის ასაგებადაც. საგულისხმოა, რომ რკინა-ბეტონის გამოყენებამ სინაგოგის ამშენებელს შესაძლებლობა მისცა თავისუფლად ემოქმედა და მისთვის სასურველი სტრუქტურა დაეპროექტებია.

აქ საგულისხმოა ერთი გარემოება. რუსეთის იმპერიაში ზოგადად და საქართველოში კერძოდ, მართლმადიდებელთა ეკლესიების მშენებლობის ან გადაკეთების დროს ცენტრალური საეკლესიო მმართველობა რეგულაციას აწესებდა და მოითხოვდა, რომ ეკლესიები რუსულ-ბიზანტიური სტილით აშენებულიყო. სხვა შემთხვევებში კი, მაგალითად კათოლიკური ან გრიგორიანული ეკლესიების მშენებლობისას დამპროექტებლებს მეტი თავისუფლება ეძლეოდათ. იგივე დამოკიდებულება იყო სინაგოგების მიმართაც და მათ გარეგნულ სახეს თანადროული სამშენებლო ტექნოლოგიები და არსებული სტილისტიკა განსაზღვრავდა. აშენაზების სინაგოგის შემთხვევაშიც ახალმა ტექნოლოგიამ ახალი და საინტერესო სტრუქტურა განაპირობა და ჩვენთვისაც ეს ნაგებობა ამ კუთხით არის მნიშვნილოვანი – ტაძრის სტრუქტურის საინტერესო და ორიგინალური გადაწყვეტით. ამასთან, სინაგოგა აგებულია ადგილობრივი სამშენებლო ხელოვნებითა და ეკროპული სტილის ნაზავით და მისი შესწავლის დროს საინტერესო საარქივო-ისტორიული დეტალები გამოვლინდა, რისი წარმოჩენაც ვფიქრობ, საინტერესო იქნება ამ პერიოდის თბილისის არქიტექტურის ისტორიისთვის. ნაგებობის შესწავლა მოხდა მისი რესტავრაციისა და ადაპტაციის პროცესში¹⁰.

8 ფოთის ეკლესია რკინა-ბეტონით აგებული ამ მასშტაბის ერთ-ერთი პირველი ნაგებობა იყო იმდროინდელ რუსეთის იმპერიაში და რკინა-ბეტონით გუმბათის გადახურვის პირველი შემთხვევა საქართველოში. ბიზანტიური სტილის ეს გუმბათიანი ტაძარი აშენდა 1907 წელს ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით. იგი წარმოადგინდა კონსტანტინოპოლის პაგია სოფიის შემცირებულ ასლებს. პროექტი დამტკიცდა 20.12.1905 (არქიტექტორები ა. ზელენკო, რ. მარცელდა, ინჟინერები მ. კურილენკო და პ. დიმიტრივი). მშენებლობა ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბჭოთა პერიოდში ეკლესია ოფტრად გადაკეთდა (არქიტ. ა. კალგინი). ამჟამად ეკლესია აღდგენილია თავდაპირველი სახით. არქიტექტორ-რესტავრატორი მ. გელაშვილი.

9 კ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 2, თბ., 1963, გვ. 87; თ. გერსამია, თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის ახალი ეკლესია, საქართველოს სიძევდები, 17, თბ., 2014, გვ. 312; ქ. ცინცაძე, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994, გვ. 37.

10 მუზეუმი, ყოფ. სინაგოგა, მდებარეობს ანტონ კათალიკოსის ქ. №3, თავისუფლების მოედნის მახლობლად, კოტე აფხაზის ქუჩის ზედა უბანში, აბესაძის ქუჩის (სამეფო თეატრის) უბან.

სინაგოგის მოპლე აღწერა

გარეთა აბრისი მრავალკუთხაა, ინტერიერის ცენტრალური სივრცე კი წრიული. წრიული სივრცის პერიმეტრზე, 8 წყვილ თავისუფლად მდგომ სვეტზე დაფუძნებულია გუმბათი. ამგვარად, შექმნილია მართკუთხა კორპუსი (აგურის წყობით), უკანა მხრიდან ტეხილი სამკუთხა შვერილით და სიმაღლეში შეწყვილებული რკინაბეტონის ორი გუმბათით ცენტრში. ნაგებობა 20მ-ის სიგრძე-სიგანისაა. გუმბათის წვერამდე კი 21მ-ია. შენობა ქუჩის პირზე დგას, მჭიდრო განაშენიანებაში. ამჟამად სამხრეთით მდებარე საცხოვრებელი სახლები დანგრეულია (ნახანძრალია). ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კი შემორჩენილია აქ მანამდე მდგომი სინაგოგის აგურის კედელი თაღების ნაშთებით.

ისტორიული ცნობები

დიმიტრი ბაქრაძე თბილისში 1870 წლისთვის 2 სინაგოგას მიუთითებს¹¹. ორი სინაგოგაა აღნიშნული XIX-XX საუკუნეების მიჯნის თბილისის გეგმებზეც¹². აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის ბოლოს ებრაელთა ჩიხის მახლობლად 2 სინაგოგა არსებობდა, ძველი – ამ ჩიხისა და აკიმოვის (დღეს ანგონ კათალიკოსის, ყოვ. ივანიძის) ქუჩის კუთხეში და ახალი – აკიმოვის და ზაქარიას (დღეს ვახტანგ ბერიძის, ყოვ. ხოდაშენის) ქუჩების გასაყარზე. ახალი სინაგოგა აკიმოვის ქუჩაზე 1887 წელს გახსნილა¹³.

XX საუკუნის დასაწყისში ძველი სინაგოგა უკვე ადარ მოიხსენიება და აღნიშნავენ მხოლოდ ახალს – დღევანდელი მუზეუმის ადგილას. ეს ნაგებობა ჩანს თბილისის XIX-XX საუკუნეების მიჯნის საარქივო ფოტოებზეც. იგი მოზრდილი წაგრძელებული შენობაა ორქანობიანი გადახურვით და მიმართულია

სინაგოგა 1941 წლამდე მოქმედი იყო. შემდეგ დაიხურა და შენობა გადაეცა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. 1952 წელს გადაკეთდა საერთო საცხოვრებლად. შენობაში ჩააშენეს 3 სართული, გადახურული შველერებით და რკინაბეტონის კონებით. მათ საყრდენად გამოიყენებოდა სარდაფის შუა ხაწილიდან აღმართული ოთხი მართკუთხა ბეტონის ბოძი. I სართული 4.60 მ-ის სიმაღლისა იყო და აღწევდა მრგვალი გალერეის დონემდე. II სართული 3დ. იყო და აღიოდა შენობის საერთო სახურავამდე III სართული კი მოწყობილი იყო გუმბათში და მისი კოჭებიანი გადახურვა აკეთდა გუმბათის შელს მრგვალი სარკმლების შუა ნიშნულამდე. III სართულზე ასასვლელი კიბე კი მეორე სართულზე იყო მოწყობილი სამხრეთ აფსიდთან.

11 დ. ბაკრაძე, ნ. ბერძენის, თიფლის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმის კუთხით, 1870, გვ. 130.

12 თბილისის 1884წ. გეგმაზე რომელიც შესწორებულია 1898 წ., აღნიშნულია ახალი და ძველი სინაგოგობა. ახალი, ანგონ კათალიკოსის (იმდოროინდელ აკიმოვის) ქუჩაზე დღევანდელი მუზეუმის ადგილასაა მონიშნული №68-ით, ძველი კი, ქუჩის მოინდობაპირე მხარეს, თღნავ მომორებით – №69. 1902 წ. თბილისის გეგმის ექსპლიკაციიც ორთავე აღნიშნული, №61 – ახალი და №62 – ძველი, მაგრამ გეგმაზე მხოლოდ ახალი ჩანს 61-ე ნომრით, ძველი კი არა. 1903/4 წწ.-ის თბილისის გეგმაზე, რომელიც შესწორებულია 1906 წ., ძველი სინაგოგა უკვე აღარც ექსპლიკაციაშია მოხსენიებული და მონიშნულია მხოლოდ ერთი სინაგოგა ანუ ახალი №133-ით. ანალოგიურია 1924 წ. თბილისის გეგმა. აქაც მხოლოდ ერთი სინაგოგაა აღნიშნული, იმავე ადგილას აკიმოვის ქუჩაზე. იმავე გეგმაზე ებრაელთა ჩიხის სახელწოდებითაა მოხსენიებული ის ჩიხი, რომლის კუთხეშიც ადრინდელ გეგმებზე ძველი სინაგოგა იყო მონიშნული.

13 გახ. „კავკაზ”, 03.09.1887. გაზეთში აღნიშნულია, რომ აკიმოვის ქუჩაზე გაიხსნა ახალი სინაგოგა, ორი განეოფილებით – ქალოა და მამაკაცოა, რომელშიც 500 კაცზე მეტი ეტერდა.

სამხრეთ-ჩრდილოეთის დერძე. ჩვენს ხელთ არსებული ქრონოლოგზერად უკანასკნელი საარქივო ფოტო 1911 წელსაა გადაღებული ს. პროკუდინ-გორსკის მიერ. ამ ფოტოზე ახალი სინაგოგა ორქანობიანია და გუმბათიანი სინაგოგა ჯერ კიდევ არ არის აშენებული. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ეს ახალი სამლოცველოც დაზიანებულა და გადაუწყვიტავთ მისი გადაკეთება. თუმცა, საბოლოოდ მის ნაცვლად ახალი გუმბათიანი სინაგოგა აუგიათ. ეს ცნობები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში.

საარქივო მასალები

საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი №204. საქმე №1315. О построике в г. Тифлисъ 2-ой еврейской молельни – бывшему синагоге в г. Тифлисе. Составлено в 1913 году архитектором А. Г. Календариани.

საქმეში აღნიშნულია, რომ 09.04.1901წ. თბილისის II სინაგოგის მესვეურებს საგუბერნიო მმართველობისთვის გადაუციათ სინაგოგის გადაკეთების ინიციერ ანტონვისეული პროექტი. იგი არ დაუმტკიცებიათ და II სინაგოგის მამასახლის შ. ხადორსკის ეს პროექტი 17. 02. 1903წ. ხელმეორედ გადაუგზავნია საამშენებლო კომისიისათვის. 20 თებერვალს მიუციათ ახალი სამლოცველოს აგების უფლება ძველი, იმჟამად აღებული სამლოცველო სახლის მაგივრად, ოდონდ იმ პირობით, რომ ნაგებობისთვის ადარ ეწოდებინათ სინაგოგა. შ. ხადორსკი დათანხმებულა ყოფილ II სინაგოგისთვის ამიერიდან I სამლოცველო დაერქმია. საქმეში არც პროექტია თანდართული და არც ის – განხორციელდა თუ არა ეს პროექტი. ამ საქმიდან შეგვიძლია მხოლოდ ის დავასკვნათ, რომ 1903 წლისთვის თბილისელი ებრაელებისთვის ე.წ. „ახალი სინაგოგის“ გადაკეთების უფლება მიუციათ.

შემდეგი საქმე დათარიღებულია 1913 წლით. ფონდი №204, საქმე №1834. მიუციათ ამიერიდან I სამლოცველო დაერქმია. საქმეში არც პროექტია თანდართული და არც ის – განხორციელდა თუ არა ეს პროექტი. ამ საქმიდან შეგვიძლია მხოლოდ ის დავასკვნათ, რომ 1903 წლისთვის თბილისელი ებრაელებისთვის ე.წ. „ახალი სინაგოგის“ გადაკეთების უფლება მიუციათ.

საქმეში აღნიშნულია, რომ საგუბერნიო მმართველობის საამშენებლო განყოფილებაში შესულა აკიმოვის ქუჩაზე მდებარე სინაგოგაზე მიშენების პროექტი. იქვე ნათქვამია, რომ სინაგოგის ძველი შენობა იმდენად დაძველებული ყოფილა, რომ მასზე ახალის მიშენება აღბათ ვერც მოხერხდებოდა.

ამავე საქმეში დაცულია პროექტის ნახაზები:

- სინაგოგას სიტუაციური გეგმა; ფასადი აკიმოვის ქუჩიდან; ფასადი ზაქარიას შესახვევიდან; განივი ჭრილი; I სართულის გეგმა; II სართულის გეგმა.

სიტუაციურ გეგმაზე ნაგებობა დატანილია ზაქარიას (ვახტანგ ბერიძის) და აკიმოვის (ანტონ კათალიკოსის) ქუჩების კუთხის სიღრმეში. იგი წარმოადგენს ცენტრში კარვისებური გუმბათით დასრულებულ წაგრძელებულ მართკუთხედს, რომელსაც აკიმოვის ქუჩისკენ აქვს ოდნავ დაბალი, ასევე მართკუთხა მინაშენი.

ნაგებობა ორსართულიანია. I სართული მართკუთხა დარბაზია. II სართულის ფლანგებზე ღრმა შიდა აივნებია. აივანზე ასასვლელი კიბის უჯრედი შენობის უკანა, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშია დატანილი¹⁴. საპარადო შესასვლელი

¹⁴ დღეს სწორედ ამ კიბის უჯრედის აგურის კედელია შემორჩენილი სინაგოგის კუთხესთან.

მოწყობილია მინაშენში, აკიმოვის ქუჩის მხრიდან. მინაშენიც ორსართულიანია სართული (საქალებო) აქ მთლიანად გახსნილია დარბაზის კენ. ასასვლელი კიბის უჯრედები დატანილია მინაშენის გვერდებზე.

შენობის სტილი ნეომავრული არქიტექტურის ელემენტებს შეიცავს (კარვისებური გუმბათი, დაკბილული ლავგარდნები, შეისრულებიმანიანი ცენტრალური შესასვლელი, კედლის კუთხების ვიწრო სვეტები ისრის ებური მცირე გუმბათებით). ორნამენტაციაში ებრაული სიმბოლიკაც არის ჩართული – ექვსქიმიანი ვარსკვლავის ფორმის ლიობები. ეს პროექტი, როგორც ჩანს, არ განხორციელებულა, რის შესახებაც ვგებულობთ მომდევნობა საქმიდან.

ფონდი №204, საქმე №1889, Постройка Тифлисской первой синагоги в г. Тифлисе на углу Акимовской ул. и Захаревского переулка – 1914 – ტფილისის პირველი სინაგოგის მშენებლობა ტფილისში აკიმოვის ქუჩისა და ზაქარიას შესახევის კუთხეში.

ამ საქმეში აღნიშნულია, რომ თბილისის I სინაგოგის სამეურნეო მმართველობას გაძნელებია 1913 წლის პროექტის განხორციელება, რადგან იგი „არ მოდიოდა შესაბამისობაში საამშენებლო ადგილთან“. ამიტომ სინაგოგის საამშენებლო კომისიას დაუმუშავებია ადგილზე უფრო მოხერხებულად მორგებული და უფრო დიდი მოცულობის სინაგოგის პროექტი. სინაგოგის მმართველობის თავმჯდომარე მარკ მაიდილსონს პროექტის განხილვა დაუვალებია ინჟინერ კალგინისთვის. მას პროექტი მოსწონებია და საგუბერნიო მმართველობას თბილისის I სინაგოგის ეს ახალი პროექტი დაუმტკიცებია 1914 წლის 20 ივნისს.

საქმეში თანდართულია განმარტებითი ბარათი, სადაც აღნიშნულია თუ როგორ და რა მასალით აპირებდნენ სინაგოგის მშენებლობას: „საპროექტო სინაგოგის აშენება განსაზღვრულია აგურით კირის ხსნარზე. საძირკველი სარდაფის ქვემოთ დაფუძნდება ბოძებზე 6.3 პ.ს. სიღრმეზე მყარ გრუნტამდე. ორმოს კვეთის ზომები 0.6X0.6 პ.ს. დაბჯენის წნევა 1ქპ. კვ. სანტიმეტრზე. სინაგოგის I სართული დაიტევს 280, II სართული კი 250 ადამიანს. მთავარი გასასვლელი იქნება 3 არშინი და ორი გვერდითი გასასვლელი ხანძრის შემთხვევაში, თითოეული 0.7 პ.ს. სართულშუა გადახურვები, გუმბათი და სარდაფის გადახურვა რკინაბეტონის კონსტრუქციის, რომელთა გათვლები ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი. სინაგოგის მშენებლობა იქნება ჩემი გულისყრიანი მეთვალყურეობითა და პასუხისმგებლობით“ (ხელმოწერა გაურკვეველია).

იქვე მოცემულია ხელწერილი: ქვემოთ ხელმომწერი, საგუბერნიო სამმართველოს სამშენებლო განყოფილების წინაშე ვდებ ხელწერილს, რომ დროულად ჩავაბარებ კამარის, სვეტების და გალერეა-აივნის გაანგარიშებას, ებრაელთა სინაგოგის პროექტისათვის.

როგორც ვხედავთ, ამ ჩანაწერებში ლაპარაკია აგურის ნაგებობაზე, რომლის შიდა გადახურვების მოწყობა რკინაბეტონის კონსტრუქციებით იყო განსაზღვრული. საქმეში არ არის აღნიშნული, თუ რეალურად როდის დაიწყო და დამთავრდა ამ სინაგოგის მშენებლობა¹⁵. თუმცა საგარაულოა, რომ მშენებლობა მაღევე დასრულდებოდა, რადგან 1914 წლის შემოდგომაზე დაიწყო

¹⁵ გან. „Кавказ“, 24.06.1914. გაზეთში აღნიშნულია, რომ აკიმოვის ქუჩაზე სინაგოგის საძირკვლის ჩაფრას 22 ივნისს მრავალი ადამიანი დაესწრო და შეგროვდა შემოწირულობა 32 000 განეთამდე.

I მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა რევოლუციები და ეკონომიკური კრიზისის მოვალეობის შემთხვევაში, ეს ცნობები საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ აქ მოცემულია ჩვენს მიერ განსახილველი, ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დღევანდელი შენობის თავდაპირველი პროექტი, რომელიც უნდა განხორციელებულიყო XX საუკუნის ათიან წლებში.

სინაგოგების მშენებლობის მოპლე ისტორია

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სამლოცველო სახლის ანუ საკრებულოს (სინაგოგა) აგების ტრადიცია მკვიდრდება ებრაელების ბაბილონის ტყველიდან დაბრუნების შემდეგ – ძვ. წ. 538 წელს. ამ დროიდან ტაბარში ლოცვის და თორას კითხვის უფლება ეძლევოდა ნებისმიერ სრულწლოვან მორწმუნე მამაკაცს, მაშინ როცა ადრინდელ ტაბარში ამის უფლება მხოლოდ მღვდელმთავრებს ჰქონდათ.

ამ პერიოდის სამლოცველოები მრავლად ყოფილა აგებული ისრაელში, კილიკიასა და ეგვიპტეში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ შემორჩენილა. ცნობილია მხოლოდ, რომ ტაბარი სხვა შენობებზე მაღალი უნდა ყოფილიყო და მთავარი ფასადით მიმართული იერუსალიმისკენ, ვინაიდან წინასწარმეტყველი დანიელი ლოცვის დროს პირით იერუსალიმისაკენ დგებოდა. ას. წ. 70 წელს რომაელებმა სელმეორედ დაანგრიეს იერუსალიმის აღდგენილი ტაბარი და დაიწყო ებრაელთა დევნის მრავალსაუკუნოვანი პერიოდი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სინაგოგათა არქიტექტურაზე. ამ დროიდან სინაგოგა სამლოცველოც არის და საზოგადოებრივი თავშეეყრის აღგლიც, სადაც თორას კითხვის გარდა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეებსაც არჩევდნენ.

V საუკუნიდან ებრაელებს დიდი ხელი განმავლობაში საერთოდ აეკრძალათ სინაგოგების მშენებლობა და ძველი შენობების აღდგენაც კი. ამიტომ მათ დაკარგეს ადრეული დიდებულება. ებრაული საზოგადოება კმაყოფილდებოდა უბრალო, მცირე შენობებით, სადაც საშუალება ექნებოდათ განემტკიცებინათ თვითმყოფადობა და არ დაეკარგათ სულიერი კავშირი ეროვნულ ტრადიციებთან. გარეგნულად ეს შენობები არ გამოირჩეოდა სხვა ნაგებობებისგან, თუმცა სტრუქტურულად მაინც ინარჩუნებდნენ ძველ ტრადიციას.

შეა საუკუნეების მანძილზე თანდათან ჩამოყალიბდა სინაგოგის სტრუქტურა და მისი საფასადო სახე. გარეგან სახეზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ ებრაელები გაფანტული იყვნენ მსოფლის სხვადასხვა სახელმწიფოში და სინაგოგათა ფასადებში ნათლად აისახა ამა თუ იმ ქვეების აღგილობრივი არქიტექტურული ტრადიცია. ამიტომ სინაგოგათა გარეგანი სახე ეკლექტურია. მათ ხეროთმოძღვრულ სხეულში შეზავებულია რომანული, გოთური, ნეოკლასიცისტური, ნეომაგრული, ჩრდილოევროპული, რუსული, და იაპონური ხეროთმოძღვრების სტილთა ნაზავიც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სინაგოგათა ზოგადი სახე მეტ-ნაკლებად ერთნაირია, გამომდინარე გეგმარებითი სტრუქტურიდან. ამასთან, სხვადასხვა ოდენობით გამოყენებულია ებრაული სიმბოლიკაც – ექვსქიმიანი ვარსკვლავები, იუდას ლომი და სხვა¹⁶.

16 C. Krinsky, Synagogues of Europe. New York, 1996.

სინაგოგათა გეგმა ძირითადად მართვულია, ხშირად ირეგულარული და მართვულია. რადგან მორგებულია ადგილმდებარეობას. მათი უმეტესობა ორქანობიანია, თუმცა გვხვდება გუმბათიანი მაგალითებიც – რომი, ფლორენცია, სოფია, ბუდაპეშტი, სარაევო (გამორიცხულია ჯვარგუმბათიანი ფორმა). მთავარ შესასვლელს ხშირად ფრონტონი და სვეტნარი აქვს. შესასვლელიდან ვხვდებით ვესტიბულში, რომლის გვერდებზე კიბის უჯრედებია II სართულზე ასასვლელად, სადაც საქალებო გალერეა – აზარა, ე. წ. „ყეზრათ ნაშიმ“. ვესტიბულიდან შევდივართ მთავარ დარბაზში. გვერდებზე ანტრესოლურად, ზემოთ ნახსენები ხის მოაჯირიანი, ან რკინის ცხაურიანი საქალებო გალერეა შემოუყვება. გალერეაში ასასვლელი კიბის უჯრედი ზოგჯერ უკანა კედელშია დატანილი. შესასვლელის მოპირდაპირე კედელთან, ღრმა ნიშაში ან ნახევარწრიულ აფსიდში მოთავსებულია წმინდა კიდობანი – *Aron ha-kodesh*-ი. კიდობნის წინ უძველეს სამლოცველოებში მუდმივად ენთო შვიდსანთლიანი ლამპარი – *Menora*, მოგვიანებით კი იგი შეცვალა ხანუკას დღესასწაულზე ასანთებმა ცხრასასანთლიანმა ლამპარმა – *Menoram Hanuka*. ხანდახან ეს ნიშა ან აფსიდა დაფარულია მორთული კრეტსაბმელით (ფარდა). ინტერიერის ეს ნაწილი, როგორც წესი, მთავარი არქიტექტურული ელემენტია და სხვადასხვა ქვეყნების სინაგოგებში მიმართული უნდა ყოფილიყო იერუსალიმისკენ (საქართველოში სამხრეთისკენ). ზოგჯერ კიდობნის წინ აღმართულია ხით და ძვირფასი მასალით ინკრუსტირებული თეჯირი. კიდობანთან იდგა ამბიონი ქადაგებისათვის და იქვე ორი ტაბლა. ადრეულ სამლოცველოებში დარბაზის ცენტრში იდგა, მოხარატებულ ხის მოაჯირიანი, საფეხურებიანი, ოვალური პლატფორმა – *Almemar*-ი ანუ თება (არაბული *al-mimbar* – სკამი), საიდანაც იკითხებოდა თორა და რომლის ირგვლივაც ჩამოსასხდომებზე განხლაგდებოდა მორწმუნე საზოგადოება. მოგვიანებით ალმიმარმა კიდობნისკენ გადაიწია, დარბაზის მთელი სივრცე კი მლოცველთა მერხების რიგებმა დაიკავა (განივად, როგორც კათოლიკურ ეკლესიებში). სინაგოგასთან ეზოში გამოყოფილი იყო სხვადასხვა სათავსი: მღვდლის ოთახი, კანტორის ოთახი, სარიტუალო განბანვის ოთახი, სამურნეო კუთხე, ფრინველისა და საქონლის გასაპუტი ოთახი, მაცის საცხობი, გუნდის ოთახი, საკლასო ოთახები, საპირფარეშოები და სხვ. ამგვარი ფუნქციური გეგმარება აუცილებელი იყო სინაგოგებისათვის, თუმცა ხშირად გვხვდება სხვადასხვა გარემოებებით გამოწვეული არქიტექტურულ-გეგმარებითი მოდიფიკაციები.

საქართველოში სინაგოგები უძველესი დროიდანაა დადასტურებული. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში თავშეფარებულ ებრაელებს სალოცავები ჰქონდათ ურბნისესა და მცხეთაში. „მოქცევად ქართლისათ“ გვამცნობს, რომ წმინდა ნინოს ერთი თვე დაუყვია ურბნისელ ებრაელებთან: „მოგვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისათვს ებრაელებრისა“ – გვაუწეუბს ნეტარი ქალწული¹⁷. სალოცავი ჰქონდათ ებრაელებს მცხეთაშიც. წმ. ნინოს მიერ ნათელდებული ებრაელი აბიათარი: „იყო პირველ მდგდელი ბაგინსა შინა

17 შატბერდის კრებული, მოქცევად ქართლისათ, თბ., 1979, გვ. 234.

ჰურიათასა მცხეთას“¹⁸. სინაგოგები დღესაც მრავლადაა საქართველოში – ზოგი, ქუთაისში, ახალციხეში, ცხინვალში, ვანში, კულაშში, ბანძაში და სხვ¹⁹.

მუზეუმის შენობის სტრუქტურა

ნაგებობა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ არის მიმართული და გარკვეულწილად აკმაყოფილებს სინაგოგათა ტრადიციულ დამხრობას იერუსალიმისაკენ ანუ საქართველოს შემთხვევაში სამხრეთისკენ. სინაგოგის არქიტექტურული სტრუქტურა თითქოს ტრადიციულია – მართკუთხა ნაგებობა (უკანა მხრიდან ტეხილი სამკუთხა შევრილით), სვეტებიანი შესასვლელით მოკლე ფასადზე; იქვე განიერი ვესტიბული, მის მარცხნივ ოვალური ჭიბის უჯრედი ვესტიბულის მეორე სართულზე ასასვლელად. ვესტიბულს პირდაპირ ემიჯნება დიდი სალოცავი დარბაზი. თუმცა, ამ დარბაზის სივრცე არატრადიციულია. შენობის მრავალკუთხა გარე მასაში ჩახაზულია წრიული ინტერიერი. შიდა სივრცის ამგარი გადაწყვეტა სხვა სინაგოგებში იშვიათია²⁰.

საგულისხმოა, რომ სივრცის ამგვარი მოწყობის საშუალება სინაგოგის მშენებელს მისცა ტექნოლოგიურმა სიახლემ – რკინა-ბეტონის კონსტრუქციებმა. შენობას ინტერიერის მთელ პერიოდზე, დაახლოებით 4 მ. სიმაღლის წრიული სარდაფი აქვს. გუმბათის საყრდენი 8 შეწყვილებული რკინა-ბეტონის სვეტის წერტილოვანი საძირკვლები სარდაფშია მოწყობილი. სარდაფის სართული გადახურულია რკინაბეტონისვე 15 სმ. სისქის წრიული ფილით, რომელიც ცენტრში ასევე რკინაბეტონის წახნაგებიან დედაბომს ეყრდნობა. სარდაფშივე იწყება და შენობას მთელ სიმაღლეზე (გუმბათამდე) აპყვება სამი ნახევარწრიული, კონქებით დასრულებული აფსიდა, რომლებიც ზრდიან დარბაზის სივრცეს. ორი მათგანი პროპრციულადაა დატანილი წრიული ინტერიერის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში და ესაზღვრება ვესტიბულის გვერდით ოთახებს, მესამე კი, მრგვალი დარბაზის სამხრეთ ცენტრალურ ნაწილში, ვესტიბულის მოპირდაპირე კედლის სისქეშია მოქცეული. ეს აფსიდა სამხრეთი ფასადის სამკუთხა შვერილი კედლის ცენტრშია მოთავსებული. იქვე, ამ სამკუთხა მონაკვეთის მარჯვნა ფერდში დატანილია მეორე სართულზე ასასვლელი, წაგრძელებული ფორმის კიბის უჯრედი. ამგვარად, აგურის ფასადებიანი მრავალკუთხა კედლები ერთგვარ კარგასულ ჩარჩოდ არის შეკრული და ორგანულად არ ებმის ცენტრალურ სისტემას – რვა შეწყვილებულ სვეტზე დაფუძნებულ სიმრგვალეს. ანუ გუმბათი მხოლოდ ამ სვეტებს ეყრდნობა და მისი სიმძიმის დატვირთვა გარეთა კედლებზე არ ნაწილდება. ეს ორი კონსტრუქცია ერთმანეთს უკავშირდება რამდენიმე სიბრტყეში:

18 იქვე, 346.

19 თბილისში აშქამად ორი მოქმედი სინაგოგაა. შ. ბოსტანაშვილი, სინაგოგებისა და..., თბ. 1998, გვ. 62.

20 მრავალწახნაგაა ო. ვაგნერის მიერ 1872 წელს დაპროექტებული ბედაპეტის კ. წ. რამბაშის ქუჩის სინაგოგის ინტერიერი. ასევე სოფიის სინაგოგა (არქიტ. ფრიდრიხ გრიუნბერი, 1909წ).

1. სარდაფის გადამხურავი ფილის გარეთა წრის მომრგვალება ჩამონტაჟებული შადრევებისა და ჩამოდებულია შიგნიდან მომრგვალებულ საფასადო კედელში;
2. იმავე კედელშია ჩამონტაჟებული მეორე სართულის წრიული გალერეის (საქალებო) სიმრგვალე;
3. ასეთივე პოზიციაშია რგოლი ერთი სართულით მაღლა, სახურავის დონეზე. ეს წრიული ფილა უაქტობრივად წარმოადგენს მრგვალი ინტერიერის თარაზულ გადახურვას. იგი გუმბათის ორი მეტრი სიმაღლის ყელის ქვედა ნიშნულზეა შემოსალტული. ინტერიერის კი ეს ორთავე წრიული ფილა და სარდაფის გადახურვა უყრდნობა სინაგოგის წრიული სივრცის შიდა პერიმეტრზე დატანილ 8 შეწყვილებულ სვეტს. ეს სვეტები ამ საყრდენ წერტილებში, სამ სასიმაღლო დონეზე, რთულპროფილიანი კაპიტელებით არის დასრულებული.

მეორე სართულზე ავდივართ, ვესტიბულის გვერდითა კიბით და ასევე კიბის უჯრედით, რომელიც დატანებულია სამხრეთ კედელში.

ამგვარად, ჩვენ თვალწინაა გარემოში ოსტატურად ჩაწერილი აგულესავი წყობის ნაგებობა, მოდერნის ესთეტიკის ინტერიერით, და დასრულებული ორმაგი გუმბათით. სინაგოგის პროექტის ავტორი არ არის ცნობილი. თუმცა, სავარაუდოა, რომ იგი კარგად უნდა ყოფილიყო გათვითცნობიერებული თანადროული ევროპული არქიტექტურის სამშენებლო ტექნილოგიებსა და სტილისტიკაში. ამასთან, სინაგოგის არქიტექტორი ადგილობრივ საეციფიკას და ირგვლივ არსებულ განაშენიანებასაც ითვალისწინებდა. ნაგებობა ზუსტად არის მორგებული არსებული ნაკვეთის კონფიგურაციაზე. შენობის აგურის წყობის შეულესავი ფასადები კი, სტილისტურად შეერწყმულია ირგვლივ არსებულ განაშენიანებას. იმ დროს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს უკვე არსებობდა აგურის წყობის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები და იქვე ჩიხის დასაწყისში ებრაელთა საზოგადოებრივი შენობა აგურისავე ფასადებით (დღეს „სამეფო უბნის თეატრი“).

ამგვარად, არქიტექტორმა რამდენიმე გარემოება გაითვალისწინა:

სინაგოგის ფუნქციისთვის სათანადო ფასადებისა და ინტერიერის სტრუქტურა;

ადგილობრივი გარემო და XIX-XX საუკუნეების დასაწყისის თბილისის საზოგადოებრივი შენობების დამახასიათებელი სტილი – აგურის შეულესავი წყობის მკაცრი ფასადები;

სამშენებლო ტექნილოგიის სიახლე – რკინაბეტონი;

მოდერნის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა ინტერიერში რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით.

უმველივე ეს სამუალებას გვაძლევს ითქვს, რომ არქიტექტორი ოსტატურად ხსნის დასახულ ამოცანას. ქმნის ნოვატორული არქიტექტურული ესთეტიკის ქვეყნების ნაგებობას, თანადროული ეპოქის ნოვატორული ტექნილოგიის გამოყენებით. ამასთან, ნაგებობას აქვს სათანადო ფუნქციური გეგმარება და გათვალისწინებულია ირგვლივ არსებული განაშენიანების მასშტაბი და არქიტექტურული სტილი.

შესაძლებელია, რომ არქიტექტორი იცნობდა ოტტო ვაგნერის შემოქმედებას. სტრუქტურული და სტილისტური გადაწყვეტით „ჩვენი“ ნაგებობა ძალიან ახლოსაა ვაგნერის მიერ ვენაში აგებულ, ზემოთ ნახსენებ რკინიგზის

სადგურთან და ასევე 1907 წელს აშენებულ შტეინპოფის, წმ. ლეოპოლდის სახელობის მოდერნის სტილის ეკლესიასთან, მისი საფასადო და ინტერიერის სტრუქტურის კონტრასტით²¹. ასევე აღსანიშნავია, რომ ვაგნერს ჯერ კიდევ 1872 წელს აგებული ჰქონდა ნეომავრული სტილის, ასევე ზემოთ ნახსენები, რამბაშის ქუჩის სინაგოგა ბუდაპეშტში, ინტერიერის ახლებური გადაწყვეტით²².

ამგვარად, თბილისის აშკენაზების სინაგოგა XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი საინტერესო სატაძრო ნაგებობაა. აქ ნათლად ჩანს XX საუკუნის თბილისის არქიტექტურის სული, რაც მედავნდებოდა ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციების განგრძობადობაში და სიახლის ძიებაში, რაც აახლოებდა მას ევროპულ არქიტექტურულ ესთეტიკასა და იდენტობასთან.

Giorgi Chanishvili


First Religious Structure in Tbilisi with the Ferro-Concrete Dome – the Synagogue of Ashkenazim

Introduction and wide spreading of the ferro-concrete is one of the significant among the novelties of the construction technology on the turn of the 19th-20th cc., which had preconditioned changes in architecture. In Georgia it was practised quite early, namely in the ecclesiastical architecture (Roman Catholics church in Batumi, 1907; Orthodox cathedral in Poti, 1907; Kashueti church of St. George in Tbilisi, 1910). Among the earliest examples is also a synagogue (present A. Baasov Historical-ethnographic Museum of the Georgian Jews), located on the junction of the present Anton Catholicos and Vakhtang Beridze streets, in historic Kala Quarter. In 1887, the so called “new” synagogue (second synagogue in Tbilisi) was opened here (the old one was situated on this place, but by the early 20th c. it was already vanished). The “new” synagogue was damaged and the project of its alteration, drafted by the engineer Antonov, was submitted to the Province administration on 2.IV.1901, being approved on 17.II.1903. In 1913, a project of its extension was made, but it turned out that the building was so old that no extension was possible and on 20.IV.1914, the project of the present building was approved.

Similar to many synagogues, this is a rectangular building with a triangular projection on one side. It contained all necessary components of a synagogue (columned entrance, a hall, subsidiary structures), the major being a technological novelty – a platform supported by the 8 paired ferro-concrete pillars and central supporting pier, all raising from the foundation; on the platform a circular domed hall is built with its adjoining three apses (raising from the foundation); this inner structure is, actually, independent from the outer brick walls and is fixed to them on several places only. At the same time, if the non-plastered brick facades are in harmony with the surrounding urban fabric, certain traits find affinity with the works of the Vienna architect O. Wagner.


21 F. Czeike: Penzing, Wiener Bezirkskulturführer, 1979.

22 C. Krinsky, დასახ. ნაშრ., გვ. 108.




სურ. 1. აშქენაზების სინაგოგა. განუხორციელებელი პროექტი. სართულის გეგმები. 1913

სიტუაციური გეგმა



სურ. 2. აშქენაზების სინაგოგა. განუხორციელებელი პროექტი. სიტუაციური გეგმა. 1913



სურ. 3. აშქენაზების სინაგოგა.
განუხორციელებელი პროექტი.
ფასადი. 1913




სურ. 4. აშქენაზების სინაგოგა. გუმბათის ფენი. 2005

სურ. 5. ვენა.
სადგური შერბრუნი.
არქიტექტორი ოტო ვაგნერი.
1897



სურ. 6. ვენა.
სადგური შერბრუნი.
არქიტექტორი ოტო ვაგნერი.
1897

სურ. 7. ვენა.
შტეინბერგის ეპლესია.
არქიტექტორი ოტო ვაგნერი.
1907





სურ. 8. სინაგოგა. დარბაზი.
ინტერიერი. 2015



სურ. 9. სინაგოგა. სარდაფი.
ინტერიერი. 2015



სურ. 10. სინაგოგა.
ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 2005



სურ. 11. სინაგოგა. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 2015



სურ. 12. ქაშუეთი. ქვედა სართული. 2015

აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ახალი მასალები ქართული მხატვრული თანამედროვე გერამიკის ჩამოყალიბების ისტორიიდან¹

ქართული თანამედროვე პროფესიული კერამიკის ისტორიასთან დაკავშირებულ ახალი მასალების მოძიებას საფუძვლად დაედო ბ-ნ დიმიტრი თუმანიშვილის ოჯახში შემორჩენილი სავარაუდო, 1920-1930-იან წლებში შესრულებული თიხის რამდენიმე მოჭიქული ლარნაკი (სურ. 1-4). ოჯახის გადმოცემით, ეს ნაკეთობები გასული საუკუნის 30-იან წლებში თუმანიშვილების წინაპრებმა – უფროსმა დიმიტრიმ (1889-1950) და მისმა მეუღლემ ნინო ჯაფარიძემ (1899-1993) სამხატვრო აკადემიის თაოსნობით გამართულ საქველმოქმედო აუქციონზე შეიძინეს. ერთ-ერთ ლარნაკს მართლაც შერჩენილი აქვს ფუძეზე დაკრული ბლანკის ფრაგმენტი, რომელიც შევრონების მოტივის ორნამენტით მოჩარჩოებულ საინკრებარო ფურცელს უნდა წარმოადგენდეს.

საქველმოქმედო გამოფენასთან დაკავშირებული მოჭიქული თიხის ადრეული ნიმუშების გამოჩენამ არაერთი კითხვა წარმოშვა: ვისი ხელშემწყობი გამოფენა-გაყიდვა მოაწყო იმ დროს უმაღლესმა სამხატვრო სასწავლებელმა? ვინ და როდის შეასრულა ეს ნაკეთობები? სახელდახელოდ, აუქციონისთვის დამზადდა ისინი თუ სასწავლო პროცესში, როგორც მოცემულობები? ზეპირსიტყვიერი გადმოცემის გარდა, მოაღწია კი ჩვენამდე ამ ფაქტის დამაადასტურებელმა რაიმე საბუთმა?

დასმული საკითხების კვლევამ არა მარტო თანადროული, არამედ იმ ისტორიული მოვლენების წარმოჩენაც მოითხოვა, რაც ქართული პროფესიული კერამიკის ჩამოყალიბების წინ უძლოდა. საქართველოს გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების მუზეუმში დაცული კავკასიის კუსტარული კომიტეტის² წერილობითი და ფოტო-ალბომის სახით შემონახული მემკვიდრეობისა და სამხატვრო აკადემიის საარქივო დოკუმენტაციის ერთმანეთთან შეჯერებამ გვიჩვენა, რომ ორივე პერიოდი ურთიერთგამომდინარე შემოქმედებითი ძიებებით დაკავშირებულ ერთ მთლიან პროცესს ასახავს. ორივეგან, წამოჭრილი პრობლემების ამოსავალ წყაროს ამ დარგის მაღალმხატვრული ტრადიციების მქონე ქართული ხალხური კერამიკა წარმოადგენს. მისი ევროპულ ყაიდაზე გადასვლის ტენდენცია სწორედ კავკასიის კუსტარული კომიტეტის დაარსების ხანიდან, XIX საუკუნის ბოლოდან იწყება³.

1 მოხსენება წაეთხეულია ბ-ნ დიმიტრი თუმანიშვილის საიუბილეო კონფერენციაზე.

2 კავკასიის კუსტარული კომიტეტი ტფილისში 1899 წლიდან დაფუძნდა. მას რესეთის იმპერიისთვის შემოსავლის მოსაპოვებლად, მხატვრულად ფასეული ხელნაკეთი ნივთები კუსტარული ხელოვნების მსოფლიო საერთაშორისო ბაზრობების გამოფენებზე კავკასიიდან გასაყიდად გაქმონდა.

3 დ. ციციშვილი, ხაბუთა ხანის ქართული ხალხური ხელოვნების ისტორიისათვის. საქართველოს სიმგელენი, №18, 2016, გვ. 1.

ამიტომ გარკვეულწილად შევეხებით ქართული პროფესიული კერამიკის დადგომის წინარეხანის მოვლენებსაც.

კომიტეტის კომერციული მიზნების მიუხედავად, მის სათავეში მდგომი, მოხელეთა შორის წარმომავლობით ერთადერთი ქართველი და თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი აღექსანდრე ფირალოვი ანალიტიკურად უდგება კავკასიის კუსტარული დარგების აღორძინებისა და განვითარების ამოცანას. ა. ფირალოვის კონცეფციით, კუსტარული ხელოვნების საერთაშორისო გამოფენებზე კომიტეტს წარმატებას მოუტანდა ამ დარგების ტრადიციების მრავალმხრივად შესწავლისა და იმპროვიზების გზით შექმნილი ეროვნული მხატვრული სახის თანამედროვე ნიმუშები, რომლებიც იმავდროულად ტექნიკურად სრულფასოვნად იქნებოდა შესრულებული⁴. ამ კონცეფციის საფუძველზე შემუშავდა კომიტეტის სამოქმედო პროგრამა. სადაზერვო და ეთნოგრაფიული ექსპლორაციების საშუალებით მან პირველრიგში გამოავლინა საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი სამეთუნეო წარმოების კერძი: იმერეთში – შროშა, შორაპნის მაზრიდან - თეთრიმთა, მარელისი, ქუთაისის გუბერნიიდან - კურსები, ანაგა, ტფილისის და დუშეთის გუბერნიაში – მცხეთა, გორი, თელავი, სიღნაღის მაზრაში – არტოზა⁵.

მიუხედავად მათი ფუნქციონირებისა, ამ კერძიდან გამოსული ნაწარმის ტექნიკური შესრულების დონე მოუხეშავ, ტლანქ ხასიათს ატარებდა. მაღალი ხარისხით არ გამოირჩეოდა არც ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების მიერ დამზადებული ლურჯი და მუქი მოყავისფრო ჭიქურით დაფარული ნაკეთობანიც⁶.

ტრადიციული ფორმებისა და ორნამენტის ორიგინალური სახეების შესასწავლად კომიტეტმა შეაგროვა ძველი კერამიკის რამდენადმე ტიპიური მაღალმხატვრული ნაკეთობების დიდადლი კოლექცია. კომიტეტის მუზეუმის ფონდების ეს ნაწილი I მსოფლიო ომის დროს (1914-1918 წ.წ.) ეკატერინბურგში (დღევანდელი კრასნოდარი) ევაკუაციის შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა⁷. კოლექცია ალბათ უფრო, კერამიკის სათუთად გადმოტანის პროცესში გამო დაყოვნდა და სავარაუდოა, ამ დღემდე კრასნოდარის სამხარეო მუზეუმში ინახება. ამ ფონდის ექსპონატებზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ხალხური და გამოყენებითი მუზეუმის არქივში დაცული კუსტარული კომიტეტის სამხატვრო სახელოსნოს ხელმძღვანელის ი. სტრაუმეს მიერ შედგენილი პეტერბურგში დაბეჭდილი მეთუენობისადმი მიძღვნილი მოზრდილი ალბომი⁸. მასში შესულია ი. სტრაუმესა და დ. ერმაკოვის გადაღებული სამთავროს, სამთავისის, მანგლისის, ურბნისის, თბილისის, აგრეთვე გელათის, წალკის,

4 А. С. Фиралов, Краткий очеркъ кустарных промысловъ Кавказа, из-дво второе, совершенно переработанное и значительно дополненное по новейшимъ даннымъ, с 75 рисунками въ текстѣ, С-Петербургъ – 1918, გვ. 114-116.

5 А. С. Фиралов, დასახ. ნაშრომი, გვ. 111; Д. Цицишвили, Обзор деятельности Кавказского кустарного комитета и отдела кустарной промышленности И. К. З. ГрюССР., материалы к истории музея, ხელნაბეჭდი, გვ. 1.

6 А. С. Фиралов, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

7 Д. Цицишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

8 Кавказский кустарный комитет, Художественная мастерская, фотографии и зарисовки гончарныхъ изделий, Собранныя и зарисоеванные Ю. К. Струме, 1913.

ემიაძინისა და ანისის გათხრებისას მოპოვებული და შემთხვევით აღმოჩენილი თიხის ფორმების ფოტოები. აღბომი ასევე მოიცავს დადესტანში, ტემირ-ხან-შურაში (1912წ.) გამართული და პეტროგრადის რიგით მეორე (1913წ.) კუსტარული ხელოვნების გამოფენების ექსპოზიციაში წარმოდგენილ პერამიკული ნაკეთობების ფოტოებს. საგანგებო ყურადღებას იყორბს ი. სტრაუმეს ფუნჯით შესრულებული ყოფითი ფორმების აკვარელის ჩანახატები. ერთ-ერთი მათგანის მოჩარჩოების ზედა არეზე დატანილი რუსულენოვანი წარწერით ირკვევა, რომ ისინი კავკასიის სასწავლო ოლქის მცხეთის სამეთუნეო სახელოსნოს კოლექციისთვის განკუთვნილ ჭურჭლის ასლებს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ჩანახატები კომიტეტის სამხატვრო განყოფილებაში გაკეთდა და ამიტომაც შევიდა ი. სტრაუმეს მიერ შედგენილ აღბომში. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მთელი განყოფილების აქტიური მოღვაწეობა კომიტეტის მიერ დაარსებულ კუსტარული დარგების - მეთუნეობის (მცხეთა), ქსოვილებისა (ოზურგეთი, ქარელი) და ხალიჩების (თბილისი, მუშტაიდი) სასწავლო სახელოსნოების საქმიანობაში.⁹ ცნობილია, რომ ამ სკოლების ნაწარმის გამოსაშვებად სწორედ კომიტეტიდან იგზავნებოდა ხალხური რეწვის ტრადიციებით შექმნილი ესკიზები და ტექნიკური ნახატები.¹⁰

ი. სტრაუმეს აკვარელის ჩანახატებზე აღბეჭდილი მოჭიქული თიხის ნაკეთობები, ერთი შეხედვით, ხალხურ კერამიკაში გავრცელებული ტიპიური ფორმებია. თუმცა, იმავდროულად, ცალკეული ნიმუშის სილუეტისა და ყელის თუ პირის ელემენტების ერთგვარად ბაროკალური სტილიზება ევროპულ ელფერს სძენს მათ (სურ. 5). კოლექციაში შესულია სიმაღლეში აზიდული, ან სიგანეში გასული ცილინდრული მუცლის ფორმის დოქები, ფეხიანი, ან უფეხო სფერული ან ელიფსური მოყვანილობის ჩაიდნები, რომელთა მხატვრულ გამომსახველობას ხშირად აძლიერებს თავზე კომწიდ დადგმული ხუფები. კოლექცია ასევე მოიცავს ყურიან და უყურო წელში გამოყვანილ ან სწორი სხეულის მქონე, ერთმანეთისგან განსხვავებული პროპორციების ქოთხებს, ადგილობრივ ტრადიციებზე გადამუშავებულ ყელმოღერებულ სურებს, არქეოლოგიურად ცნობილი მათარის ტიპის ჭურჭლის, მაღალფეხიან სასმისსა და პირ-ფართო ლარნაკებს. მათი შემკობის ერთადერთი ელემენტი საგნის კონსტრუქციულ ნაწილებზე შემოყოლებული სრულიად სადა ლილვებია. ნაკეთობათა დეკორატიულ მეტყველებას ძირითადად იწვევს მათი ერთგვარად სქემატიზებული სილუეტი, მუქი მომწვანო-მოყავისფრო ჭიქურის სინათლის ათინათებით აელვარებული პრიალა ფაქტურა, რომლის ეფექტები ოსტატურადაა გადმოცემული აკვარელის ტექნიკით. ამგვარად, ეს სადა, მარტივად გადაწყვეტილი თიხის ჭურჭლის ესკიზები ვიზუალურად წარმოაჩენს უტილიტარულად მოხერხებული და ტექნიკურად უზადოდ შესრულებული მასობრივი მოხმარების თანამედროვე საგნების შექმნის მიზანს. აღბომში განთავსებული აკვარელის ჩანახატების მეორე ჯგუფი (სურ. 6-9) მცხეთის სასწავლო-სამეთუნეო სკოლის მათლიკით

9 დ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

10 ლ. ქლავინა, იულიუს სტრაუმე, გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი, ლატვიის სახელმწიფო არქივი, ზინატნე, 2005, გვ. 33.

მოხატულ ფაიანსის ჭურჭლის ასლებს წარმოგვიდგენს. ამ კოლექციაში შემთხვევაში ჩატარდება მკაფიოდ ჩანს ევროპულ ტრადიციებთან დაახლოების ტენდენცია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ს-პეტერბუგის ბარონ ალექსანდრე შტიგლიცის ტექნიკური ხატვისა და გამოყენებითი ხელოვნების სკოლაში ი. სტრაუმეს მიერ კერამიკის ერთწლიან კლასში მაიოლიკის განხრით გავლილ გაპევთილებს¹¹. ფაიანსის დოქისა და ლარნაკების საზოგადოდ გავრცელებული მოყვანილობის სადა, სავსე ფორმებსა და მაიოლიკის ჭიქურების ხალისიან ნათელ ფერადოვნებას ქართული ხალხური კერამიკის კლასიკურად მკაცრ აღნაგობასთან და მუქი ტონალობის ფერთა შეხამებებთან საერთო არაფერი აქვს. განსხვავებულია ჭურჭლის ქალაზე დეკორის ელემენტების კომპოზიციური განაწილების პრინციპიც. თუ ქართულ ეთნოგრაფიულ და ორქეოლოგიურ ნიმუშებში ორნამენტის ზომიერი სარტყელი ფორმას მხრებზე, ან ყელზე უწყვეტად შემოსდევს, ფაიანსის ნაკეთობებში ორნამენტული ზოლი ხშირად იმდენად განიერია, რომ ჭურჭლის კორპუსის შებერილ ნაწილს, ან ყელს მთლიანად იკავებს. გრაფიკული ელემენტების მკევთრი ფერადოვანი დაპირისპირებებით შექმნილი ორნამენტი საგნის ზედაპირის ნათელ ფონზე მის ერთგვარ „სიჭრელეს“ იწვევს. დეკორის მცენარეული მოტივებით აგებული „ჩაკეტილი“ კომპოზიციები ჭურჭლის მუცელზე უმეტესწილად, ერთმანეთისგან განცალკევებით განლაგდებიან და უხვეულო სადღესასწაულო ელფერს აღწევენ. ორნამენტში ყვავილის ელემენტების მოჭარბებაც შტიგლიცის სკოლის სწავლებებს უნდა მივაწეროთ. ქართული ხელოვნების ტრადიციების გამოყენების ცდას მხოლოდ გრაფიკულად გამახვილებული ორნამენტული სახეები გვიჩვენებს და ისიც დეტალური დათვალიერების შემდეგ აღიქმება. კომიტეტის ჩანაფიქრით, ამ ექსპერიმენტის შედეგად, თიხის ექსპონატების გარკვეულ ნაწილს „ევროპული“ იერი უნდა მიეღო და თავისი მრავალფეროვნებით უფრო მიმზიდველი გაეხადა საერთაშორისო გამოფენებზე გასატანი კოლექცია.

აბდომში მოცემული ტექნიკური ნახატების განხილვის საფუძველზე შეიძლება დაგასცენაო, რომ კომიტეტმა სხვადასხვა კერამიკული მასალების, ტექნიკებისა და ტექნოლოგიების ათვისების ურთულესი ამოცანა წამოჭრა, რომლის განხორციელება და წარმოებაში დანერგვა ამ დარგის პროფესიონალი მხატვრის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამიტომაც გადაწყდა, რომ ტექსტილისა და ხალიჩების ქსოვის სასწავლო-ექსპერიმენტული სახელოსნოების ხელმძღვანელებად მოწვეული ხალხური რეწვის ოსტატებისგან განსხვავებით, მეთუნეობის მიმართულებით პროფესიონალი კერამიკოსის კადრი შეერჩიათ. ამ საკითხის გარდა, დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლებოდა თიხის ნაკეთობების წარმოებისთვის აუცილებელი, საკმაოდ ძვირადირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაც.

კუსტარული კომიტეტი გამოსავალს მაინც პოულობს და 1911 წელს, კავკასიის სასწავლო ოლქის შუამდგომლობით მოსკოვის სტროგანოვის სახ. სამხატვრო-საწარმოო სასწავლებლის კერამიკულ სახელოსნოში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ორი თვით აგზავნის ამავე სასწავლებლის კურსდამთავრებულს, პროფესიონალურ მოქანდაკე ბორის შებუევს. მისი წარმოებასთან შეხება ადრე მხოლოდ

11 ლ. კლავინა, დასახ. ნაშრ., გვ. 17, 20.

მხატვრული მოდელებისა და ტექნიკური ნახატების შექმნით ამოიწურებოდა. კავკასიის სასწავლო ოლქისთვის ხატვის სწავლული ოსტატის ბ. შებუევის პოვნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან იგი იმუამად თბილისის გიმნაზიებსა და სახვითი ხელოვნების კერძო სკოლებში ხატვას ასწავლიდა.¹² კომიტეტი სწორედ იმ დროს ცნობილი ქართველი ფერმწერისგან, ალექსანდრე მრევლიშვილისგან საბუთარ მაჟულში, მცხეთაში, ძველ სამეთუნეო ცენტრში, კერამიკული სკოლა-სახელოსნოს უსასყიდლოდ გახსნის შემოთავაზებას დებულობს. სოციალური თემებით გატაცებულ ა. მრევლიშვილს ერთადერთი პირობა ჰქონდა. მისი მოთხოვნით, კერამიკულ სახელოსნოში ადგილობრივები, მცხეთის სოფლების გლეხები უნდა დასაქმებულიყვნენ.¹³

1912 წლიდან ამგარად იწყებს ფუნქციონირებას მცხეთის სასწავლო-სამე-
ოუნი სკოლა, რომლის გამგედ პ. შებუევი ინიშნება. სკოლას თავისი ინტერ-
ნატიც გააჩნდა, ვინაიდან სასწავლებელში ღებულობდნენ არა მარტო მცხეთის
რაიონიდან, არამედ იმ რეგიონებიდანაც, რომლებიც ადრე საქართველოს სამეთუ-
ნეო კერებს წარმოადგენდა. აკადემიის საარქივო დოკუმენტაციაში შემონახული
პ. შებუევის მოგონებების წერილი¹⁴ და ადრეგენელი ჭიქურის ექსპერიმენტებსა და
გამოყენებასთან დაკავშირებული მისივე ნაშრომი¹⁵ უფრო ახლოს გვაცნობს მცხ-
ეთის სკოლის სტრუქტურას. მოყვანილი ცნობებით, სწავლის მსურველებს დამ-
თავრებული უნდა ჰქონოდათ სოფლის სკოლა. სასწავლო კურსი გრძელდებოდა
3 წელი. ხაზის, ძერვის, აკვარელის და კერამიკის ტექნოლოგიის შესწავლა
პირველივე საფეხურიდან იწყებოდა. უკლებლივ ყველას პ. შებუევი უძღვებოდა.
სკოლის მოწავეები აგრეთვე უფლებოდნენ ოსტატობას – ფორმის სამეთუნეო
დაზგაზე ამოგვანასა და თაბაშირის ყალიბით ჩამოსხმას, რომელსაც პრაქტიკუ-
ლად სასწავლო სწავლების სახით გადიოდნენ სახელოსნოში. სრული კურსის
დამთავრების შემდეგ ისინი კურამიკოსი-ოსტატის წოდებას დებულობდნენ.

o. სტრაუმეს მიერ შედგენილი კომიტეტის აღბომის მიხედვით, სახელოსნო მათ მიერ მოწოდებულ ტექნიკურ ნახატებს ასრულებდა. ამასთანავე ბ. შებუევის ცნობით, მოდელებს იგი თავადაც ქმნიდა სამუზეუმო ნიმუშების „ნაციონალურ სტილში“ გადამუშავების გზით. სახელოსნო დიდ წარმატებას აღწევს აღმდგენელი ჭიქურებით წითელი თიხის მოხატვისას. ამას ადასტურებს 1914 წელს მოწყობილ პატივორსკის კუსტარული ხელოვნების გამოფენაზე გაგზავნილი ექსპონატების ირგვლივ პრესის დიდი გამოხმაურება. სტატიებში საგანგებოდ

12 ბორის შებუევის პირადი საქმე, ავტოპილოგია, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის დოკუმენტებისა და ხელლოვნების განყოფილება, ფ. 87, ანაწერი 3, საქმე №413, გვ. 3-4.

13. а. მრევლი შვილის მიერ მცხეთელი გლეხების დასაქმების პირობით სამეცნიერო სკოლისთვის საკუთარი მატელის უსასყიდლოდ გადაცემის ცნობა მომაწოდა მისმა ჟამამაზედმა გ. იაშვილმა. ა. მრევლი შვილმა სოციალური ოემატიკა თიხის ნამუშევრებშიც ასახა. ამას მოწმობს ხელოვნების მუნიციპალიტეტის თანამდებობაში განყოფილების ფონდი №215-ში დაცული გქეობის მისამართზე.

14 ბორის შებუევის პირადი საქმე, Моя воспоминания, Заседание кафедры рисования, протокол №8, 30.12.1953. ვ. 87, ანგარი 1 ფაზ., საქმა №67, მანქანაზე ნატურაზე 3 აკ-წევა, ა. 24.

15 Б.Шебуев, Практическое пособие по керамике; Восстановительные глазури, 1953, т.вса ხელოვნების ისტორიის კათედრა, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის დოკუმენტურისა და ხელოვნების განყოფილება, ვ. 87, ახალწერი 1 დამ., საქმე №67, მანქანზე ნაბრჭვი 26 ავ-ზე, გვ. 2.

აღინიშნებოდა ნაკეთობათა ჭიქურის საოცარი სილამაზე. პრესა აგრეთვე წერდა, რომ საყოფაცხოვრებო საგნების სიძვირის მიუხედავად, ნამუშევრები გასაკვირი სისწრაფით იყიდებოდა¹⁶. ამ გამოფენის შემდეგ მცხეთის სკოლაში ჭურჭლის დასამზადებლად უამრავი შეკვეთა მიიღო, რასაც სასწავლებლის მუზეუმისა და მასთან არსებული საგაჭრო ცენტრის დაარსება მოჰყვა. მცხეთის სახელოსნო იმდენად პოპულარული ხდება, რომ 1916 წელს ტფილისის დიდების ტაძარში გამართულ ქართველ მხატვართა საზოგადოების გამოფენაზე იწვევენ, რომლის მიმდინარეობის პირველივე სამ დღეში მოჭიქული თიხის 300-მდე ექსპონატი გაიყიდა. ბ. შებუევის მონაცემებით, დიდების ტაძრის ექსპოზიციაში დაზგური და მცირე პლასტიკის ტერაკოტისა და მოჭიქული თიხის ნიმუშებიც იყო წარმოდგენილი.¹⁷ ასეთი წარმატების მიუხედავად, ალბომის ფორმ-მასალა გვიჩვენებს, რომ კერამიკული ჭურჭლის მხატვრული გადაწყვეტა ისევ რჩებოდა ხელოსნობისა და ხალხური რეწვის ტრადიციების ფარგლებში. ამასთანავე, 1914 წლიდან გაჩადებული 1 მსოფლიო ომის გამო, სახელოსნომ ბოლომდე დაწყებული ექსპერიმენტები. ვერ მიიყვანა მათოლიკით მოხატვის ფარგლების ნაკეთობათა გამოსაშვებად

ეკონომიკური კრიზისი და ა. ფირალოვის პოსტიდან გადადგომა კომიტეტის საქმიანობას ჩვეულ რიტმს უკარგავს. მცხეთის კერამიკული სკოლა დაფინანსების გარეშე რჩება და თავის გადასარჩენად წარმოების სფეროში გადადის. ბ. შებუევს ხელმძღვანელად ტოვებენ მაშინაც, როდესაც 1922 წელს მრეწველობის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარების ქვეშ მოქცეული მცხეთის სკოლა როგორც კერამიკული ქარხანა, ისე აგრძელებს ფუნქციონირებას.¹⁸ ამავე წელს, ბ. შებუევი ახლადშექმნილი სამხატვრო აკადემიიდან მოწვევას ღებულობს ქანდაკების ფაკულტეტისთვის კერამიკული სახელოსნოს გასამართად.¹⁹ მისი ბაზა შენობაში ადრე მოქმედი უმაღლესი სამხატვრო ტექნიკური სახელოსნოების საქმაოდ შელახული ადჭურვილობა²⁰ და მცხეთის დახურული სკოლიდან გადმოცემული სასწავლო ინვენტარის გარკვეული ნაწილი იყო²¹.

კერამიკული სახელოსნოს აკადემიაში დაარსების ინიციატორი ქანდაკების ფაკულტეტის სათავეში მდგომი იაკობ ნიკოლაძეა. იგი თიხისა და მისი შემცველავების მხატვრული თვისებების ფართო სპექტრს მოსკოვის სტროგანოვის სახ. სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში ყოფნისას (1892-1894წ.წ.) ეცნობა, სადაც მოქანდაკებს საწარმოოპრაქტიკისგასავლელად კერამიკულ სახელოსნოში ანაწილებდნენ.²² ი. ნიკოლაძისთვის, როგორც მოქანდაკისთვის თიხა არის ის

16 ბ. შებუევ, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

17 ბორის შებუევის პირადი საქმე, დასახ. ნაშრ., გვ. 6-9.

18 ბორის შებუევის პირადი საქმე, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

19 ბორის შებუევის პირადი საქმე, დასახ. ნაშრ., გვ. 32, 69.

20 ვ. ბერიძე, თბილისის სამხატვრო აკადემიის 25 წელი, ისტორიული ნარკვევი, რედ. უ. ჯაფარიძე, 1947. 02, მანქანაზე ნაბეჭდი, გვ. 9.

21 ბ. შებუევ, დასახ. ნაშრ., იქვე.

22 XIX ს-ის 90-იანი წლების რუსეთში სახვითი ხელოვნების მხატვრების კერამიკულ სახელოსნოში მუშაობის პრაქტიკა არა მარტო სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელში, არამედ აბრამცევოს მხატვრული წრის კერამიკულ სახელოსნოშიც არსებობდა.

იაფი მასალა, რომელიც ხეს, ქვასა და ლითონს პლასტიკური თვისებებით იმუშავა. აღემატება. იგი ადგილად ექვემდებარება ფორმისა და რელიეფის ამოცანას. თუმცა ამ ტექნიკური შესაძლებლობების გარდა, თავის ერთ-ერთ წერილში ი. ნიკოლაძე თიხის სხვა უპირატესობასაც აღნიშნავს: „თიხაში გადიდებულია შემოქმედებითი მუშაობა. იგი ავტორის შთაბეჭდილებებს და მის ტემპერამენტს ემორჩილება.”²³ მოქანდაკე ამიტომაც თვლიდა, რომ სამხატვრო აკადემიაში შექმნილ კერამიკულ ნამუშევრებს წინამორბედი ტექნიკური სახელოსნოსგან განსხვავებით შემოქმედებითი ხასიათი უნდა ჰქონოდათ. ი. ნიკოლაძე მომხრეა, რომ ამ მასალით ძერწვა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებმაც შეძლებისდაგვარად აითვისონ. მით უფრო, რომ 1929 წლის სექტემბრამდე სამხატვრო აკადემიაში ნებადართული იყო ხელოვნების ორ დარგზე ერთდროულად სწავლა.²⁴ მას შემდეგ, რაც 1925 წელს კერამიკული სახელოსნოს მოწყობა დასრულდა და ი. ნიკოლაძე მისი მხატვრული ხელმძღვანელი გახდა (გამგედ ბ. შებუევი, ხოლო ოსტატად მცხეთის სკოლის კურსდამთავრებული ა. იორდანაშვილი მოიწვიეს) თიხის ფორმის ძერწვას არა მარტო ქანდაკების, არამედ ფერწერისა და მოგვიანებით, გრაფიკის ფაკულტეტების სტუდენტებიც ეუფლებიან. 1926 წლიდან კი თავისი ნახელავებით ყოველწლიურ საანგარიშო გამოფენებში მონაწილეობენ და როგორც პრესა იუწყება, დადებით შეფასებასაც ღებულობენ. სტატიებში გამოქვეყნებული მოსაზრებებით, თანამედროვე სტილის ძიებისას თითოეულ სახელოსნოს „საკუთარი შემოქმედება და მეობა“ ჰქონდა.²⁵

ეს მოვლენები წინ უძლოდა 1927 წელს ქანდაკების ფაკულტეტთან კერამიკის განყოფილების დაარსებას,²⁶ რითაც ამ დარგმა ერთგვარი დამოუკიდებლობა შეიძინა. ამავე წელს, განათლების კომისარიატის განკარგულებით კერამიკის განხრით ათწლედიც ისხნება,²⁷ რაც კიდევ უფრო ცხადად მოწმობს ამ დარგისადმი გადვივებულ ინტერესს. იაკობ ნიკოლაძე, როგორც კერამიკის განყოფილების სახელოსნოს მხატვრული ხელმძღვანელი მასალების ადგილობრივი რესურსებით დამზადებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისთვის ცნობილი იყო მცხეთის სამეთუნეო სკოლაში ბ. შებუევის მიერ წარმატებულად ჩატარებული აღმდგენებით თიხის მოხატვის ცდები და საომარი ვითარებით შეწყვეტილი მაიოლიკის გამოყენების ტექნოლოგიური ძიებები, რომლის გაგრძელებასაც საშუალება სქმედ მიიჩნევდა. ამ მხრივ, იგი დიდ იმედებს ამჟარებდა გერმანიდან ახლადჩამოსული ინჟინერ-ტექნოლოგის, კერამიკის განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული ალექსანდრე ფიცხელაურის ცოდნასა

23 ი. ნიკოლაძე, წერილი მაგარ მახალებზე რეგულარული მუშაობისა და საპრაქტიკო ქლასის აუცილებლობის შესახებ, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე-189 გვ. 14.

24 გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

25 გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16-19.

26 გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

27 ნ. შენიერ, დასახ. ნაშრ., გვ. 5. ათწლედში ხატვა-ხაზვას, აკვარელსა და ტექნოლოგია-ქიმიას ბ. შებუევი ასწავლიდა. სასწავლებელს კერამიკოსი-ტექნიკოსის წოდებით ამთავრებდნენ.

და გამოცდილებაზე.²⁸ თუმცა ექსპერიმენტული ქიმიური ლაბორატორიები გარეშე ეს პრობლემა ვერ გადაწყდებოდა. მისი მოწყობა მხოლოდ 1928 წლს მოხერხდა. გამგედ კი გერმანიდან ჩამოსული ტექნოლოგი მიხეილ ხანანაშვილი დაინიშნა.²⁹ ევროპული განათლების მქონე კადრების შერჩევისას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდნენ თანამედროვე კერამიკის სამეცნიერო ენის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ხერხების ცოდნას. მისი ათვისებისა და გათავისების პროცესი განმსაზღვრელი უნდა გამხდარიყო ამ დარგის პროფესიული სკოლისა და შემოქმედებითი ნამუშევრების შესაქმნელად. ამიტომ საგანგებო ყურადღება ეთმობოდა სახვითი ხერხების აკადემიურად ფლობასაც.

ამგვარი მიდგომის შედეგი იყო 1928 წლის ივნისში, ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ გამართულ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენაზე კერამიკის განყოფილების სტუდენტთა მონაწილეობა.³⁰ როგორც ჩანს, გამოფენამ დიდი რეზონანსი მოახდინა. ამაზე მეტყველებს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული მისი ექსპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი,³¹ რომელიც უპირატესად, უცნობი ავტორების მიერ შესრულებულ მოჭიქულ ჭურჭელს და შედარებით მცირე რაოდენობის თიხის პლასტიკას მოიცავს. ავტორებიდან ცნობილია მხოლოდ ბ. შებუევის, ი. ნიკოლაძის, გ. სესიაშვილისა და ლ. გრიგოლიას ვინაობა (სურ. 10, 11). ამასთანავე ნაკეთობათა უმრავლესობის შექმნის დრო დაზუსტებული არ არის. ამიტომ ეს ფონდი ზოგადად დათარიღებულია 1920-იანი წლებით. მასში უნდა შედიოდეს სამხატვრო აკადემიის საანგარიშო გამოფენებზე. წარმოდგენილი მისივე (აკადემიის) მუზეუმის კუთვნილი ექსპონატებიც. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, 1930-1933 წლებში სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ სამხატვრო აკადემიის შენობის დაკავება³², რაც აუცილებელს გახდიდა ახლადდაარსებულ (1932 წ.) ხელოვნების მუზეუმისთვის აკადემიის სამუზეუმო ექსპონატების გადაცემასაც. ბ. შებუევის ცნობით, საანგარიშო გამოფენების ექსპოზიციაში სტუდენტთან ერთად იფინებოდა კერამიკულ სახელოსნოში შესრულებული პროფესორების ნახელავიც, რომელიც ძირითადად თიხის სკულპტურებით იყვნენ წარმოდგენილნი. მისი ოქმით, გამოფენებს უამრავი დამთვალიერებებით ჰყავდა. კერამიკული ნამუშევრები იმდენად აქტიურად იყიდებოდა, რომ აკადემიის მუზეუმს მხოლოდ მცირედიდა რჩებოდა.³³ ხელოვნების მუზეუმში დაცული თიხის ჭურჭლის კოლექციის (სურ. 12-15) დათვალიერება გვარწმუნებს, რომ 1920-იანი წლებიდან უკვე დაწყებულია ქართული კერამიკის ტრადიციული

28 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

29 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

30 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

31 შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების განყოფილების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფონდი №№21, 215.

32 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

33 ნ. შებუევ, დასახ. ნაშრ., გვ. 4., ჩამოთვლილია გამოფენებში მონაწილე მხატვრების კერამიკული ნამუშევრები: ი. ნიკოლაძისა და გ. სესიაშვილის ბიუსტები, ლ. გუდიაშვილის კამერული ზოომორფული პლასტიკა შ. მიქაელის ფიგურები და სხვა.

ფორმების (დოქი, სასმისი, ლარნაკი და სხვა) გათანამედროვების განვითარების მიმართული სტილისტური ძიებები. ჭურჭლის გამარტივებული გამოსახულების მკაფიო სილუეტის სქემაზე ხასიათში გარკვეულწილად თავს იჩენს იმ პერიოდისთვის პოპულარული კონსტრუქტივისტული მიდგომაც. თავისი მყარი, გაწონასწორებული აღნაგობით იგი ხუროთმოძღვრულ ფორმასაც ემსგავსება, რასაც სახელურის ერთგვარი გეომეტრიზებაც ამახვილებს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ჭურჭლის კონსტრუქტივულად მნიშვნელოვანი ნაწილების ლილვისა და წიბოს ელემენტებით გაფორმება. ცალკეულ შემთხვევაში საგანი იმდენად უახლოვდება არქიტექტურულ კონსტრუქციას, რომ თავადაც ქვისგან გამოკვეთილს ჰგავს. ნაკეთობების ოსტატურად მომინანქრებული ზედაპირის ნაირგარი ფერადოვნება და საოცრად პრიალა ფაქტურა ამ სტილისტურ თვისებებს ფერწერულ გამომსახველობას სძენს. მხატვრული ეფექტების მისაღებად შემფერავების მრავალსახოვნებაა გამოყენებული. ეს არის ფერადი, აღმდგენელი, გამჭვირვალე ჭიქურები, მაიოლიკით მოხატვა, ამ საღებავების შერეული ტექნიკა და კრაკლები³⁴.

ალბათ, ამ წარმატებამ წახალისა ი. ნიკოლაძე, როდესაც 1928 წელს სამხატვრო აკადემიის გამგეობის წინაშე კერამიკული სახელოსნოს სრული ადჭურვისათვის ადგილზე შესრულებული ნაკეთობების გაყიდვის საკითხი დასვა.³⁵ მის აზრს იზიარებდნენ ქანდაკება-კერამიკის ფაქულტეტზე მოღვაწე ლ. გულიაშვილი და ნ. კანდელაკიც, რომელიც სამულორო სახელოსნოს ხელმძღვანელობდა. ი. ნიკოლაძე გონებითა და ალლოთი ჭვრებდა, რომ განათლების სისტემის პრიორიტეტი - „ცხოვრებასთან დაახლოებისკენ სწრაფვა“ სამხატვრო აკადემიას კარგს არაფერს უქადდა. იგი ცხადად ხედავდა, ამ ლოზუნგის გავლენით როგორ ენიჭებოდა უპირატესობა აკადემიაში სწავლების წარმოებით მხარეს და როგორ გადადიოდა უკანა პლანზე ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი. მას უნდა სცოდნოდა, რომ კერამიკის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განათლების სისტემაში მომხდარი ცვლილებები უპირველესად ამ განყოფილებას შეეხებოდა. მართლაც, 1929 წლის სექტემბრიდან კერამიკის მიმართულებაზე ხატვის, ძერწვის და ფერწერის საათები საგრძნობლად შემცირდა. სამაგიეროდ გაიზარდა ტექნიკური საგნების რიცხვი. ამასთანავე კერამიკულ სახელოსნოში მუშაობა ძეგრძალათ ფერწერა-გრაფიკის ფაქულტეტების სტუდენტებს. ამიერიდან მთელი აკადემიის მასშტაბით, ორ ფაქულტეტზე სწავლის ნებას აღარ რთავდნენ. ამას ემატება კურსის ხაგრძლივობის 3 წლამდე შემცირება და ლექციების სემინარებით ჩანაცვლება.³⁶ ამგვარ გადაწვევებილებას კერამიკის განყოფილება თითქმის დახურვამდე მიჰყავს. მის გადასარჩენად ი. ნიკოლაძე ყოველ დონეს ხმარობს, რადგან, როგორც ჩანს, კერამიკის განყოფილების შენარჩუნება

34 კრაკლე მაღალდნობადი ჭიქურია, რომელიც გამოწვისას იბჟალება და გრაფიკულად დაღარულ მინანქრის ზედაპირს ქმნის.

35 ქანდაკების ფაქულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №2, 24.04.1928, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოფნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე №12, გვ. 2.

36 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28-30.

ქანდაკების ფაკულტეტის გადარჩენის საპირონედაც ესახებოდა. იგი დაჟინების ალბათ ამიტომაც ითხოვდა კერამიკის განყოფილებაზე საჩვენებელი მოღელების ექსპონირებისთვის ვიტრინების დადგმას.³⁷ ი. ნიკოლაძის საჯარო მოხსენების თემაც ამ პერიოდში ძირითადად, კერამიკული ნამუშევრის ეროვნული მხატვრული ფორმისა და ჯეროვნად შესრულების პრობლემას ეხებოდა.³⁸

1930 წლის იანვრიდან, მეორე სემესტრიდან სიტუაცია საპირისპიროდ იცვლება. უმაღლეს ტექნიკურ-მხატვრულ ინსტიტუტად (უსტექინი) გადაკეთებულ აკადემიაში წამყვანიროლი წარმოებითობას ენიჭება. ამის საფუძველზე ქანდაკების ფაკულტეტს კერამიკული ეწოდება,³⁹ ხოლო პროფესიონალ სასწავლო დარგში ა. ფიცხელაური ინიშნება.⁴⁰ აქედან გამომდინარე სამხატვრო სასწავლებლისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ხდება არსებული სახელოსნოების ტექნიკური ბაზის სრულ წესრიგში მოყვანა. ეს ნიშნავდა, რომ გამოფენა-აუქციონის იდეის განხორციელებას მეტი პერსპექტივი ჰქონდა. აქედან გამომდინარე ი. ნიკოლაძე, 1930 წლის 10 იანვარს კვლავ უბრუნდება ამ თემას. თუმცა ამჯერად, არა მარტო კერამიკული, არამედ სამულორო სახელოსნოების ნამუშევართა გაყიდვის ორგანიზების საკითხესაც აყენებს⁴¹. აშკარაა, რომ ადგილი ჰქონდა ინტერესთა თანხვედრას. კერამიკის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი ა. ფიცხელაური, რომელიც უკვე პროფესიონალი გამოფენა-აუქციონის მოწყობას მხარს დაუჭერდა. მისი ჩატარების მომხრე იქნებოდა სასწავლებლის იმუამინდელი დირექტორი, მემარცხენე სოციალისტი ალექსანდრე დუდუჩავაც, რომელსაც ამ ტიპის ღონისძიებაში ფინანსური სარგებლის გარდა, სწავლების წარმოებითობის მომგებიანად წარმოჩენაც უნდოდა. ი. ნიკოლაძისთვის კი გამოფენა-აუქციონის მოწყობა ერთგვარი სტრატეგია იყო უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის თუნდაც ამ სახით შენარჩუნებაში.

ამგვარად, კერამიკულ და სამულორო სახელოსნოებში დამზადებული პროფესორ-სტუდენტების ნამუშევრების გაყიდვა 1930 წლის ზაფხულამდე უნდა შემდგარიყო, რადგან შემდეგ უსტექინი უქმდება და ღონისძიების ჩატარების უფლებამოსილება დაწესებულებას უწყდება. გამოფენაზე გამოტანილი კერამიკული ნამუშევრების შექმნის თარიღი ალბათ უფრო 1925-1930 წლების მონაკვეთით შეიძლება განისაზღვროს, რადგან 1922 წლიდან 1925 წლამდე კერამიკული სახელოსნოს მოწყობა მიმდინარეობდა. როგორც ჩას, საქველმოქმედო აუქციონის ფორმა საგანგებოდ იყო შერჩეული, რათა გამოფენაზე მოხულ გულშემატკიფართა საზოგადოებაში საჯაროობის განცდა

37 ქანდაკების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №8 4. 02.1929 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე №43, გვ. 9.

38 ქანდაკება-კერამიკის ფაკულტეტის ხელმძღვანელობისა და სტუდენტების გაერთიანებული კრების ოქმი №2, 19.10.1929, გვ. 9, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე №29.

39 ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

40 ალექსანდრე ფიცხელაურის პირადი საქმე, ფ. 86. ანაწერი 6. საქმე №486.

41 ქანდაკების ფაკულტეტის დეკანატის სხდომის ოქმი №5 10.01.1930, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე №43, გვ. 6.

გაემძაფრებინათ და ნამუშევრების შესრულების პროფესიული (პროფესორებზე) ურთისესობა თუ ნაკლებ პროფესიული (სტუდენტების) დონის მიუხედავად, უკლებლივ ყველა გაეყიდათ. ბ-ნ დიმიტრი თუმანიშვილის ოჯახის მიერ ქველმოქმედების მიზნით შეძენილი დეკორატიული ლარნაკების განსხვავებული შესრულების ხარისხი. სწორედ ამის მაუწყებელია.

ნაწილობრივ დაზიანებული სახით მოღწეული თიხის მოჭიქული ლარნაკების ფორმები ამ სახეობის ჭურჭლის კლასიკური ნიმუშების იმპროვიზებითაა ჩამოყალიბებული. ისინი ზომითა და ფერადოვნებითაც არაერთგვაროვანი არიან, მაგრამ ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სტილისტური შესრულებით ზედმიწვნით უახლოვდებიან ერთმანეთს (სურ. 1-4). უკლებლივ ყველა ამოყვანილია წითელი თიხით და მოხატულია ფერადი და აღმდგენელი ჭიქურებით, რომელთა ზედაპირსაც კიდევ უფრო აპრიალებს ზედ გადავლებული გამჭვირვალე მინანქარი. ზოგან მისი ფენა მაიოლიკის საღებავის რელიეფური ნადვენთებით ცოცხლდება და ალაგ-ალაგ გადასხმული ვერცხლის ნიტრატით აღწევს ლითონისფერ ელვარებას. ეს საკმაოდ რთული შერეული ტექნიკა აკადემიის კერამიკული სახელოსნოსა და ქიმიური ლაბორატორიის ერთობლივი ექსპერიმენტების მნიშვნელოვან შედეგებზე მიგვითოებს, რაც მცხეთის სკოლაში მიღებულ პ. შებუევის გამოცდილებასა და ა. ფიცხელაურისა და მ. ხანანაშვილის ტექნოლოგიურ ცოდნას ემყარებოდა. პირგადაშლილი ლარნაკების ცილინდრული, სფერული, წელშეზნექილი და უქხევ შემდგარი ფორმების პლასტიკა ხელოვნების მუზეუმის 1920-იანი წლების ექსპონატების მსგავსად, მყარი კონსტრუქციული აღნაგობით ხასიათდება აქაც წამყვანია ნაკეთობის სისადავე და მისი ნაწილების გლუვი ლილგით გაფორმება, რასაც მხოლოდ ერთხელ არღვევს ფენიანი ფორმის ყელის ირგვლივ შემოვლებული წნულისა და ფოთლოვანი მოტივის ბარელიეფური ორნამენტული სარტყლები. თუმცა თავისუფლად მოხატული აღმდგენელი ჭიქურის მეწამული წითლის გრადაციების და მწვანე მაიოლიკის ფართო ლაქების კონტრასტებით ამეტყველებულ თიხის ქალაზე ისინი მხედველობის არეში ნაკლებად ხვდება. აღმდგენელი ჭიქურის მოწითალო ტონებით დაფარულ ცილინდრული ფორმისგან განსხვავებით, სფერული მოყვანილობის ლარნაკზე ამ ტექნოლოგიის მანიპულირებას, ნახევრად აღდგენის ტექნიკით მიღებულ მეწამული წითლის ნდუანსირებას ვხედავთ. წელშეზნექილი ფორმა ძალზე თავისუფალი შესრულებითა და ხატოვანი ფერწერული ეფექტებით გამოირჩევა. მაიოლიკის მოყვითალო კონტურით შემოსაზღვრული მომწვანო-ფირუზისფერი ფართო ლაქები და სპილოსძვლისფერი-ყვითელი ხმოვანების ამავე საღებავის რელიეფური ნადვენთები გამომსახველობას აღწევს მუქ ფონზე. მის ფერწერულობას რუხი-მოწითალო და დია მოყვისფრო ჭიქურების ლოკალური და კრაკლეს მსუბუქი ბადის ფაქტურით დაფარული ლაქების შეხამებები და ნიტრატის ვერცხლისფერი ელვარება იწვევს. აქედან გამომდინარე, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ლარნაკების დეკორატიულ გამომსახველობას ძირითადად შერეული ტექნიკით მიღებული ეფექტური ფერწერული ხმოვანება და პრიალა ზედაპირზე არეკლილი სინათლის ათინათები განსაზღვრავს. ისინი ამ თვისებებითაც უახლოვდება ხელოვნების მუზეუმის 1920-იანი წლების

ექსპონატებს და ერთგვარად აგრძელებს მცხეთის კერამიკული სკოლის 1912-1929 წლებში ჩამოყალიბებულ ტრადიციას. ამასთანავე, საერთო სტილისტური ნიშნების მიღმა სხვადასხვა ავტორის გემოვნებასაც ავლენენ.

ეს გასაკვირიც არ არის, რადგან როგორც შევნიშნეთ, 1925-1929 წლებში, კერამიკულ სახელოსნოში საწარმოო პრაქტიკაზე ჯერ მოქანდაკებებსა და ფერმწერებს, 1927 წლიდან კერამიკოსებს და შემდეგ გრაფიკოსებსაც ანაწილებდნენ. ბ. შებუევის მონაცემებით, სახელოსნოსთან უშუალოდ დაკავშირებული პირების (ი. ნიკოლაძის, ბ. შებუევის, ოსტატი ა. იორდანაშვილის) გარდა, ქანდაკება-კერამიკის ფაპულტების პროფესიონელებს შორის ლ. გუდიაშვილი⁴² ერთ-ერთი პირველია, ვინც აკადემიის საანგარიშო გამოფენებზე კერამიკულ სახელოსნოში ნაძერწი თიხის მცირე ზომის სტილიზებული ზოომორფული ფიგურებით იფინებოდა⁴³. ქანდაკების ფაპულტების სტუდენტებსაც, რომლებიც იმ პერიოდში ი. ნიკოლაძესთან მხატვრულ ქანდაკებას გადიოდნენ⁴⁴, მცირე და დაზური პლასტიკის სხვადასხვა მასალაში შესასრულებლად ტერაკოტის, ან ჭიქურით დაფარული თიხის გამოყენებაც ევალებოდათ⁴⁵. თუმცა სამივე ფაპულტებზე საწარმოო პრაქტიკის ძირითადი მოცემულობა ყოფითი ფორმების ძერწვა და მომინანქრება იყო. ნამუშევრებში ამიტომაც უნდა იჩენდეს თავს სხვადასხვა მიმართულების ავტორთა მხატვრული ხედვა. თუ წელშეზნექილი ლარნაკის მოხატულობას ამ მიმართებით განვიხილავთ, მაშინ იგი ალბათ, უფრო ფერწერის ნახელავი შეიძლება იყოს. აღქმისთანავე ჩანს, რომ მთელი უურადდება გადატანილია საგნის ვიზუალურ მხარეზე. ჭიქურის გარეშე დატოვებული ნაკეთობის სარჩელი სითხის გამოურნვის საშიშროებას ქმნის. თიხის შიშველი ზედაპირი, ამავე დროს, გვიჩვენებს, რომ ფორმა ამოყვანილია სწრაფმბრუნავ ჩარხზე. გადაშლილი პირის კიდეებიდან შიდა მხრისკენ ტლანქად, უხეშად დადებული ჭიქური კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ საგნის ფუნქცია გათვალისწინებული არ არის, რაც სახვითი ხელოვნების მხატვრის მიღგომაზე უნდა მიგვითოთებდეს.

კონტრასტული ფერწერის ელემენტებით მოხატული ფეხიანი ლარნაკის ავტორი ნაკეთობის ფუძეზე რუხი საღებავით დატანილ საკუთარ ინიციალებსაც „გ“ და „ჩ“. გვიტოვებს. ამ შემთხვევაში ლარნაკის მხატვრულად ეფექტური ფორმა მისი ფუნქციის გათვალისწინებით, ყველა ტექნიკური ნორმის დაცვით სრულდება. ასე რომ, ლარნაკის შემქმნელი როგორც სახვით ხერხებს, ასევე

42 ლ. გუდიაშვილი პარიზიდან 1926 წელს ბრუნდება და ი. ნიკოლაძის თხოვნით ქანდაკება-კერამიკის ფაპულტებზე მხატვრულ კომპოზიციას ასწავლის. 1934 წლიდან კი სამხატვრო აკადემიიდან მიდის. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

43 ნ. შებუევ, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

44 1930 წლის კურსდამთავრებულთა სიების მიხედვით, 1922-1929 წლებში მხატვრულ ქანდაკებას სწავლობდნენ: გ. სესიაშვილი, ნ. წერეთელი, ი. პატარიძე, ვ. მარქარიანი, მ. დადეშქელიანი, რ. თავაძე, თ. აბაკელია, კ. მერაბიშვილი, ვ. გრიგოლია, რ. ამირივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ვ. №87, ანაწერი-5, საქმე №2.

45 ი. ნიკოლაძის საგანი მხატვრული ქანდაკება 1930-1931 წ., უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ვ. №87, ანაწერი-1, საქმე №44, გვ. 6.

უტილიტარული ფორმის დამზადების ტექნიკასაც ზედმიწევნით ფლობდნენ შემცირებული პრესის ცნობით, ამ მონაცემებით გამოიჩინებოდნენ 1928 წლის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენაზე წარმოდგენილი კერამიკის განყოფილების სტუდენტური ნამუშევრები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლარნაკის ავტორი ქანდაკება-კერამიკის ფაქულტეტის კურსდამთავრებულთა შორის უნდა ვეძოთ. მით უფრო, რომ სხვებისგან განსხვავებით ლარნაკის ყელის შესამკობად იგი ნაძერწორნამენტსაც იყენებს. მისი ინიციალების მსხვილად გამოყვანილი მაღალი ასოები შემოწერილობის სიმარტივითა და მკაფიო კონტურის კუთხოვანებით ბეჭდურ შრიფტთან გარკვეულ სიახლოებებს ამჟღავნებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ლარნაკის ავტორს გრაფიკასთანაც ჰქონდა კავშირი. ამგვარ ვარაუდს დასაშვებს ხდის სამხატვრო აკადემიაში 1929 წლამდე მოქმედი კანონი, რომელიც სტუდენტს უფლებას აძლევდა ორ ფაქულტეტზე ესწავლა (ალბათ ძირითადისა და მეორადის პრინციპით).

ავტორის იდენტიფიკაციის მიზნით მოპოვებულმა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა სიებმა გვიჩვენა, რომ. უკლებლივ ყველა სტუდენტი, რომელიც სასწავლო კურსებს 1922-1930 წლის მონაკვეთში გადიოდა, დიპლომებს მხოლოდ 1930 წელს და ისიც სხვადასხვა პერიოდში⁴⁶ იღებს. წვენთვის საინტერესო ფაქულტეტებიდან ამ ინიციალებით მივაკვლიერ ვინმე ვარ. (ვარდამი?) ჩარგეიშვილს, რომელიც 1930 წლის ივნისში, კერამიკის განყოფილების სამწლიანი კურსის გავლის შემდეგ საქართველოს უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებს⁴⁷. ამ ხუთკაციანი კურსიდან წვენთვის ცნობილია მხოლოდ 6. ცხვირავაშვილის სახელი, რომლის მოღვაწეობაც სამხატვრო აკადემიის აღდგენის შემდეგ პერამიკის სახელოსნოს უკავშირდება.

ამგვარად, „გ“ და „ჩ“ ინიციალები ქანდაკების ფაქულტეტის კერამიკის განყოფილების კურსდამთავრებულს ვ. ჩარგეიშვილს ეკუთვნის. ჯერჯერობით ამ პირის შესახებ არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება. იგი შესაძლოა იმ უცნობ ავტორთაგანია, რომლის ნამუშევარიც 1928 წლის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენიდან ხელოვნების მუზეუმის 1920-იანი წლების ფონდებში მოხვდა. სამხატვრო აკადემიის საქველმოქმედო გამოფენაზე გამოტანილი ლარნაკების მოხატულობა ამ ფონდების ექსპონატებული, ხშირად მუქი ტონალობის მინანქრისგან განსხვავებით, ჭიქურის ფერების ინტენსივობითა და თამამი შეხამებებით ხასიათდება. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ნაკეთობები განსაზღვრული მოცემულობის ფარგლებში შესრულდა, რაც დაპავშირებული იქნებოდა აღდგენითი ჭიქურისა და მაიოლიკის ხატვანი

46 სამხატვრო აკადემიის 1927-1928 წლების პირველი გამოშვების დიპლომები მხოლოდ 1930 წლის 14 იანვარს გაიცა. 1929 წლის შემოდგომაზე დაწებული არეულობის გამო სასწავლო კურსები 3 და 4 წლამდე შემცირდა. შემდეგი ნაკადის გამოშვება 1930 წლის ივნისში საქართველოს უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკური ინსტიტუტის დროს მოხდა. მომდევნო დიპლომების გაცემა 1930 წლის 14 ოქტომბერსა და 14 ნოემბერს დასრულდა. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე №547, ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

47 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფ. №87, ანაწერი-1, საქმე №44.

ფერწერული თვისებებისა და შესრულების მეტი თავისუფლების (საღებავის სამუშაოების, მონასტების) გამოვლენის ცდებთან. ტექნოლოგიურად როგორიც უნდა ყოფილიყო კრაკლეს გრაფიკული ფაქტურისა და ნიტრატის ვერცხლისფერის ამ შემადგენლობის შერეული ტექნიკის დეკორატიულ ეფექტებთან შეთანხმებაც. ამგარად, ეს ლარნაკები აღმართ, იმ სტუდენტური ნამუშევრების ნაწილია, რომლებიც სამხატვრო აკადემიის საანგარიშო გამოფენებში 1928-1929 წლებში მონაწილეობდნენ.

საქველმოქმედო გამოფენის ლარნაკებთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას იმ ახალ მასალებთან მიგვიწვდა ხელი, რომლის შესწავლამაც შესაძლებელი გახადა ისტორიულ მოვლენებთან კონტექსტში უფრო სრულყოფილად წარმოგვედგინა ქართული მხატვრული კერამიკის პროფესიული სკოლის აღგენის პროცესი, 1910-იანი წლებიდან 1930 წლის ჩათვლით. საქველმოქმედო გამოფენის ლარნაკებისა და ხელოვნების მუზეუმის 1920-იანი წლების კერამიკის⁴⁸ ანალიზმა ცხადჰყო, რომ ამ დარგის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე დაყრდნობით უკვე დაწყებულია მისი გათანამედროვებისკენ მიმართული მხატვრულ-ტექნოლოგიური ძიებები, რომელიც ფორმის კონსტრუქციულობისა და მინანქრის ფერწერულობის გაძლიერების ამოცანას ისახავდა მიზნად.

1931-1933 წლები, როგორც სამხატვრო აკადემიისთვის, ასევე კერამიკის განყოფილებისთვისაც დაშლისა და ხელმეორედ აღორძინების წლებია, რის შემდეგაც დარგის წინაშე სულ სხვა პრობლემები და ამოცანები დგება.

Maia Izoria

New Materials on the History of the Modern Georgian Ceramics

The origins of the modern Georgian ceramics go back to the activities of the Caucasian Handicraft Committee, its founder Alexander Piralov (Piralishvili) and painter Julius Straume, which was aimed at the creation of the objects of the traditional earthenware using modern technologies. Significant, in this respect, was the activity of the Mtskheta training-production school (with the 3-year course), established by the initiative of the painter Alexander Mrevlishvili and of the school principal, sculptor and ceramist Boris Shubuev. In this school, objects of the “national style” were made based on the sketches provided by the Committee or drafted by B. Shebuev, painting of the red clay applying restorative tiles was also practised, which

⁴⁸ დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების განყოფილების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფონდის მცველს მზად გაცადეს.

soon enough turned the school into a successful enterprise, alongside preservation of the folk handicraft traditions. From 1922, the school was transformed into a ceramic factory and its head, B. Shebuev was invited to the Academy of Art of Georgia (present, Tbilisi State Academy of Art) for the establishment of a ceramic workshop, which started operation in 1925, under the artistic supervision of its initiator, sculptor Iakob Nikoladze (headed by B. Shebuev). In 1927, at the Faculty of Sculpture, Department of Ceramics was established headed by the engineer-technologist Alexander Pitskhelauri and in 1928, experimental chemical laboratory was added (headed by Mikheil Khananashvili). In 1928 already, students successfully participated in the exhibition of the Minor Arts (part of these works is kept at Sh. Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia of the Georgian National Museum); these objects – including clay statuettes – were still well sold.

Preserved works evidence the tendency towards stylistic “modernisation” of the traditional crockery, even the influence of Constructivism, which is also discernible in the painterly expressiveness of multi-coloured, diverse, masterly tiles. Majority of the preserved objects are anonymous, identified are statuettes by B. Shebuev, Iak. Nikoladze, Giorgi Sesiašvili, Vladimer Grigolia, while a signature on a vase kept in the private collection is identified with that of Var[lam] Chargeishvili (as yet, nothing else is known about him).

1931-1933 had marked the period of the hardest crisis for the Academy of Art and further on, Academy, as well as Georgian ceramics had to face absolutely different tasks.



სურ. 1. ლარნაკი, წითელი თიხა,
31X9X12, D=15X10




სურ. 2. ლარნაკი, წითელი თიხა,
ჭიქური, 16X5X5, D=13X9




სურ. 3. ლარნაკი, წითელი თიხა, ჭიქური,
22X6X7, D=11X9




სურ. 4. ლარნაკი, წითელი თიხა,
ჭიქური, 21X6X5, D=9X7



სურ. 5. o. სტრაუმე, დოქი, მცხეთის
სახელოსნოს კოლექციიდან. აკვარელი, 1913



სურ. 6. o. სტრაუმე, კერამიკული ნაკეთობის
ჩანახატი, 1913



სურ. 7. o. სტრაუმე, კერამიკული ნაკეთობის
ჩანახატი, 1913



სურ. 8. o. სტრაუმე, კერამიკული ნაკეთობის
ჩანახატი, 1913



სურ. 9. ი. სტრაუმე, ქერამიკული ნაკეთობის ჩანახატი, 1913



სურ. 10. ლ. გრიგოლია, დაფით გურამიშვილის პორტრეტი, 1929წ., თიხა, 15X10სმ., სელოფანების მუზეუმი




სურ. 11. ი. ნიკოლაძე, „უძილობა“, თიხა,
29X23X15სმ
სელოფანების მუზეუმი



სურ. 12. უცნობი ავტორი. ტოლჩა, თიხა,
14,5X16X3სმ სელოფანების მუზეუმი,



სურ. 13. ბ. შებუევი, 1920-იანი წწ., ტოლ-
ჩა, თიხა, 14X16სმ სელოფანების მუზეუმი



სურ. 14. ბ. შებუევი, 1920-იანი
წწ., დოქი, თიხა, 19,5X14სმ
სელოფანების მუზეუმი



სურ. 15. უცნობი ავტორი.
XXს., სურ., თიხა,
d=93სმ; h=23,5სმ სელოფანების
მუზეუმი,

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ქართული ხელოვნებათმეცნიერების წარსულიდან

წინამდებარე სტატია პროფ. კიტი მაჩაბელის „საქართველოს სიძველენი“-ს წინა კრებულში განთავსებული „ოქმის“ დანართად, ან გავრცობადაც შეიძლება ჩათვალოს მკითხველმა და მართალიც იქნება. „ოქმი“ ერთ კონკრეტულ პროცესს ათვალისაზინოებს, მე კი შევცდები ამ უადრესად მნიშვნელოვან ფაქტს ფონი შევუქმნა. ვისაუბრებ იმაზე, რაზეც ბევრჯერ თქმულა და დაწერილა და, რაც ქართული ხელოვნებათმცოდნეობის აწ უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მეტად რთულ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მსურს ცნობილი ფაქტები და მოვლენები კიდევ ერთხელ, მაგრამ ჩემს მიერ განცდილ-დანახული აღიქვას, უწინარესად, ახალგაზრდობამ. მინდა გავიხსენო და გავახსენო საზოგადეობას, რა მძიმე ცხოვრების გზა გაიარეს ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა – აკადემიკოს-მა გიორგი ჩუბინაშვილმა და მისმა სკოლამ, რათა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი, დიდებული წარსულის, ეროვნული სულიერების უკელაზე და უკელაფერზე თვალისაზინო გამოხატულება – ქართული ხელოვნება – სრულად და სრულყოფილად წარმოგვედგინა ჩვენ თუ სხვას, უცხოს თუ შინაურს. სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ ბოლო ხანს ამ ისტორიის მიმართ ყურადღება მინელებულია. ქართული ხელოვნებათმცოდნეობის 100 წლისათვის დაგეგმილ დღესასწაულზე, დღესდღეობით საგრძნობლად წარმატებული ჩვენი სავანის – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის („ცენტრის“) კედლებში, უთუოდ, ავხმაურდებით, მაგრამ ერთჯერადობა ნამდვილად არ იკმარებს, რაკი ვიცით – დღევანდელი თუ ხვალინდელი ქმედება გუშინდელის გარეშე სიღრმეს, ქმოციას, ხშირად აზრსაც კარგავს.

ორიოდ სიტყვა ძვირფასი მეგობრის, ამჯერად ინსპირატორის შესახებ: ქნ კიტი მაჩაბელის უშრეტი ენერგია, ინტერესებისა და შესაძლებლობების ფართო დიაპაზონი, ურიცხვი მონოგრაფია თუ სტატია, განსაკუთრებული წვლილი ქართული პლასტიკური ხელოვნების შესწავლის საქმეში კარგად არის ცნობილი. ამას ემატება მისი ხასიათის კიდევ ერთი თავისებურება, აუცილებელი ნებისმიერი, მით უფრო ასეთი გამორჩეული მკვლევარისათვის – მტკიცე დისციპლინა – მოწესრიგებულობა, რამაც შემოგვინახა უადრესად საჭირო, მრავლისმეტყველი დოკუმენტი („ოქმი“), რომლის გამომზეურებამ მეც გამახსენა ჩემი, არც თუ ისე შორეული წარსულის მცირე ნაფიქრალ-ნამოქმედარიც.

გასული საუკუნის მიწურულს, ცნობილმა არმენისტმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ბონდო არველაძემ მომიტანა აკად. გ. ჩუბინაშვილისა და აკად. ს. ჯანაშიას არქივებში მის მიერ მოძიებული, კომუნისტური ეპოქისათვის მეტად ნიშანდობლივი მასალები. მოვინდომეთ და გაკეთდა მასალების რედაქტირება, დაერთო მათი მომპოვებლის წინასიტყვაობა, რედაქტორის (ჩემი) ბოლოთქმა და ბროშურის სახით გამოქვეყნდა (2000 წელს) სათაურით: „ერთი

ეპიზოდი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიიდან, ანუ როგორ გაწირა აკად. გ. ჩუბინაშვილი რამდენიმე საბჭოთა მეცნიერმა“ (სათაური ბ.არველაძის მონაფიქრია). პუბლიკაციის მეტად მკვეთრ სახელწოდებაში, სრული სიცხადით იკვეთება მისი არსი და აზრი და მას ქვემოთ უფრო კონკრეტულად შევეხები. ბროშურა განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. ამიტომ მასზე მორგებული ჩემი ტექსტის („რედაქტორისგან“) გადასხვავერება მომიხდება.

ბევრი რამ მსმენია აკად. გიორგი ჩუბინაშვილის შრომების გამოცემასთან დაკავშირებული საკმაოდ უჩვეულო პრობლემების შესახებ. მსმენია მათი ავტორის, დიდი მეცნიერისა და თავდადებული მამულიშვილისგან, რომელიც იშვიათად და უთუოდ რადაც აუცილებლობის გამო, გაიხსენებდა ხოლმე ამა თუ იმ ფაქტს, ისიც ზოგადად და უხალისოდ. საუბარი მტკივნეულ თემებზეც ჩვეული სიღინჯით იცოდა. თუმცა ზოგჯერ ემოციასა და გაღიზიანებას მაინც ვერ ფარავდა. ბუნებრივიცაა. მას ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა ცხოვრებაში, ბევრი უსიამოვნებაც იწვნია, მაგრამ ყოველთვის იყო პრინციპული, შეუპოვარი, არდამომობი ჰეშმარიტებისათვის ბრძოლაში (ეს იყო ნამდვილი ბრძოლა, ფუნდამენტური მეცნიერული მიზნების განხორციელებისთვის და ზოგჯერ სიცოცხლისთვისაც).

ამ ბრძოლის დეტალების შესახებ უფრო მეტი გამიგონია მისი მოწაფეების, მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის პირველი თაობის თანამშრომლებისგან, რომლებიც ათეული წლების მანძილზე გასაოცარი გაბედულებითა და ერთსულოვნებით იცავდნენ საკუთარ ეროვნულ-მოქალაქეობრივ თუ მეცნიერულ პრინციპებს. მათ შორის გამორჩეული ადგილი იმთავითვე დაიკავა აკად. ვახტანგ ბერიძემ, რომელსაც ეს პროცესები შესანიშნავად აქვს გადმოცემული თავის მოგონებებსა და ცალკეულ ნაშრომებში. უკვე გვიან, 60-იან წლებში, ერთ ანალოგიურ სიტუაციას მეც შევესწარი და მისი მწვავე დრამატიზმი არასოდეს დამავიწყდება.

მნელად და მძიმედ ყალიბდებოდა ქართული ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერული დისციპლინა, უფრო მნელად, ვიდრე ქართველოლოგიის რომელიმე სხვა დარგი.

გასული საუკუნის მეორე ათწლეულში, როდესაც გიორგი ჩუბინაშვილს მოდგაწეობის დაწყება მოუხდა, ახალგაზრდა მკვლევრის წინაშე ორი ურთულეჭსი ამოცანა იდგა. ჯერ ერთი – საჭირო იყო წინა თაობების მიერ დაგროვილი ზღვა მასალის კლასიფიკაცია, ურთიერთშეჯერება, ფაქტებისა და მოვლენების ღრმა ანალიზი, ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც მთლიანი, უწყვეტი ფენომენოლოგიური პროცესის გააზრება-ჩამოყალიბება, მისი ცალკეული დარგების როლისა და მნიშვნელობის დადგენა ერის ცხოვრებაში ეპოქათა მიხედვით, ქართული მხატვრული აზროვნების განუმეორებელ თავისებურებათა წარმოჩნება მსოფლიოს სხვა, ძველი ხალხების სულიერი მემკვიდრეობის ფონზე. და მეორეც - სრული უარყოფა ქართული ხელოვნების შესახებ უცხოელ მეცნიერთა არასწორი, პირდაპირ შეიძლება ითქვას - ყალბი, მაგრამ სამწუხაროდ, საკმაოდ ფეხმოკიდებული მოსაზრებებისა, ამ უარყოფის მრავალმხრივი დასაბუთება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - სწორი თვალსაზრისის გატანა ფართო, სამეცნიერო ასპარეზზე.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე ეს ამოცანა გიორგი წევზეულების ნაშვილმა და მისმა მიმდევრებმა ბრწყინვალედ შესახულეს. შედეგად შეიქმნა ქართული ხელოვნების მწყობრი და დიდად შთამბეჭდავი მეცნიერული ისტორია. მყარად დამკვიდრდა აზრი შესახებ იმისა, რომ უძველესი და უმდიდრესი ქართული ხელოვნება წარმოადგენს ეკრანული კულტურის ორგანულ, განუყოფელ ნაწილს, უთუოდ გასათვალისწინებელს საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში.

აქვე დავძენ, რომ ის, რაც გიორგი ჩუბინაშვილმა შეძლო გაეკეთებინა, არ იყო მხოლოდ მისი ღვთით ბოძებული ნიჭიერების, დიდი ცოდნის, დაუდალავი შრომის შედეგი. ყველაფერს საფუძვლად ედო გულანთებული სიყვარული საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი, გენეტიკით მომდინარე მისი ღვაწლმოსილი წინაპრებისგან.

ქართული ხელოვნების დამაკნინებელი პუბლიკაციებიდან – სომხურთან და ბიზანტიურთან მიმართებით – უმთავრესი – ვენეციი პროფესორის ი. სტრიგოვსკის ვრცელი ნაშრომი, სწორედ იმ წლებში გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე, რომლის მიხედვითაც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა არის სომხურის ასლი-მინაბაძი. გიორგი ჩუბინაშვილმა გამანადგურებელი რეცენზიით უპასუხა აღნიშნულ ნაშრომს და გამოაქვეყნა იგი, რა თქმა უნდა, გერმანულადვე, რაც მას, ლაიფციგის სკოლის წარმომადგენელს, ადვილად ხელეწიფებოდა. მაგრამ მკვლევარს კარგად ესმოდა, რომ რეცენზია, თუნდაც ვრცელი, დეტალური და უკამპრომისო, მაინც ვერ დამკვიდრებდა სად აზრს მეცნიერებაში. ეს მისია შეეძლო შეესრულებინა მხოლოდ ფუნდამენტურ გამოკვლევებს, თანაც არა ხელოვნების ნებისმიერ სფეროში, არამედ აუცილებლად არქიტექტურისა, რადგანაც არქიტექტურა იყო შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების წამდლოლი დარგი და უცხოელთა ყურადღების საგანს, უწინარესად, სწორედ არქიტექტურა წარმოადგენდა.

ჩანს, გიორგი ჩუბინაშვილს ჩაფიქრებული ჰქონდა გერმანულ ენაზე გამოეცა მონოგრაფიების სერია ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. 20-იან წლებში მოამზადა კიდევ ორი ტომი და მოხდა მოუღლოდნელი რამ - დაიბეჭდა მეორე ტომი – „წრომი და მისი მოზაიკა“, ხოლო პირველს, რომელიც მცხეთის ჯვარს ეხებოდა, ათეული წლების მანძილზე დღის სინათლე ვერ ეღირსა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უცნაურობის ძირითად მიზეზს თვით ნაშრომების შინაარსი განსაზღვრავდა. თუ წრომის ტაძართან დაკავშირებული პრობლემატიკა მაგანთათვის შედარებით ნაკლებად „მტკიცნეული“ იყო, ჯვარი გიორგი ჩუბინაშვილის მიხედვით, ძირულად ცვლიდა დამკვიდრებულ შეხედულებებს არა მარტო ქართული, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ქრისტიანული არქიტექტურის, ზოგადად კი მთელი ისტორიის საკითხებზე.

მცხეთის წმ. ჯვრის ტაძარი, ნაგებობის მრავალმხრივი მხატვრულ-სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე, წარწერებისა და წერილობითი წყაროების მონაცემთა მოშველიერი ბურსა და დაათარიღა 586/87-604/05 წლებით და ამით იგი სათავეში ჩაუყენა მისი ტიპის ქართული და სომხური ძეგლების საკმაოდ დიდ ჯგუფს. ამასთანავე, მან საბოლოოდ უკუაგდო თითქმის საუკუნის წინ

შვეიცარიელი მეცნიერ-მოგზაურის დიუბუა და მონპერეს მიერ ჩამოყალიბების ბული და მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი მოსაზრება მთელი ქართული ხუროთმოძღვრების სომხერზე დამოკიდებულების შესახებ, რომელიც მის მიერ ატენის სიონის აშკარად მცდარ დათარიდებაზე იყო დამყარებული. გიორგი ჩუბინაშვილმა სრულიად ურყევი მეცნიერული საბუთიანობით დაადგინა, რომ ქართული – ატენის სიონის, მარტვილის, ძველი შუამთისა და სომხერი – ავანის, არამუსის, რიფსიმეს, თარგმანჩაცის, ადიამანის ტაძრების პირველწყაროს სწორედ მცხეთის ჯვარი წარმოადგენდა. მკვლევარმა ნათლად გამოკვეთა ამ ძეგლების ხუროთმოძღვრული ღირსებები, ქრონოლოგია და ორგანულად ჩასვა ისინი ისტორიულ კონტექსტში. ნაშრომმა კიდევ ერთხელ განამტკიცა ავტორის დებულება, რომ „ამ შორეული ხანის ქართული ხელოვნება, რომელსაც სრულიად გარკვეული, ინდივიდუალურად გამოკვეთილი სახე აქვს, არის წარმომადგენელი აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისა, სხვა ხალხების ხელოვნებათა გვერდით და მათთან თანაბრად.“

გიორგი ჩუბინაშვილის მოსაზრებები იმთავითვე მტკიცედ დამკვიდრდა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო მეცნიერებაში. მხოლოდ ზოგიერთი ვერ შეეგუნ მას, რაშიაც მკითხველს ნაშრომის „თავგადასავალი“ დაარწმუნებს.

1922 წელს ქართულად და გერმანულად დაიბეჭდა გამოკვლევის პირველი ნაწილი, რომელიც მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარს ეხება. 1928 წელს კი გერმანიაში დაიწყო თვით მონოგრაფიის ბეჭდვა. აიწყო მთელი ტექსტი: ზოგიერთი მონაკვეთი გამზადდა კიდევ ტირაჟირებისათვის, მაგრამ ამასობაში გამომცემლობა დაიხურა და საქმე ამას იქით აღარ წასულა. მალე ცნობილ მიზეზთა გამო გერმანიასა და სსრკ-ს შორის ურთიერთობა ისე აირია, რომ გერმანიაში წიგნის გამოცემა კი არა, საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ყველა ის საბჭოთა მოქალაქე, ვისაც ოდესმე რაიმე კავშირი ჰქონდა ამ ქვეყანასთან.

გიორგი ჩუბინაშვილი იძულებული შეიქნა რუსულ ენაზე გაემზადებინა მონოგრაფია ორ ტომად და იგი მოსკოვის გამომცემლობისთვის წარედგინა. აქ კი მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო – მას „ხმალამოღებული“ დახვდნენ საბჭოთა მეცნიერები. გამომცემლობამ ნაშრომი სარეცენზიონ გადასცა ცნობილ არმენისტებს. სწორედ ამ რეცენზიებს და გ. ჩუბინაშვილის მიერ მათზე გაცემულ პასუხს მიაკვლია ბ. არველაძემ და გამოვეცით (რუსულადვე) კიდევ ზემოთ ნახსნები „ბროშურის“ სახით. რეცენზიების ავტორები არიან აკად. ი. ორბელი, პროფ. ა. იაკობსონი და პროფ. ნ. ტოკარსკი. ამათგან ი. ორბელი იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი, სანქტ-პეტერბურგის (ლენინგრადის) სახელგანთქმული ერმიტაჟის დირექტორი, ურყევი ავტორიტეტის ქართველი, როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე, და განსაკუთრებით, სამთავრობო დონეზე.

მათი რეცენზიები არ არის მხოლოდ, ან სულაც არ არის მეცნიერული ჰემარიტების დადგენის მცდელობა, რასაც ნათელყოფს გიორგი ჩუბინაშვილის დინჯი, არგუმენტირებული, აკადემიური პასუხები მათ ბრალდება-შენიშვნებზე. ჩანს, ჰემარიტება არც მათ დამკვეთებს აინტერესებდათ, თორემ რეცენზენტებად ნაშრომისა, რომელშიაც მირითადად ქართული მასალაა განხილული,

ერთი ქართველობრივი მაინც ხომ უნდა მოეწვიათ?! აშკარაა, რომ ყველას ჟრტვის გადასაცემა მიზანი ამოძრავებდათ - ჩაგდება, არდაბეჭდვა წიგნისა. მათი ესოდენი გახელების ძირითადი მიზეზ-საბაბი კი იყო მცხეოს წმ. ჯვრის პირველობის დასაბუთება მისი ტიპის სომხურ ძეგლებთან მიმართებით. მაგრამ ცხადად ჩანს ისიც, რომ რეცენზენტებმა შესანიშნავად იციან თუ რა „ჩაუვარდათ“ ხელში, გაცნობიერებული აქვთ ნაშრომის მეცნიერული დირსებები, ავტორის საბუთიანობის ძალა და განსწავლულობის დიაპაზონი. იციან, რომ მასთან შეუძლებელია ნორმალური დავა-კამათი და უტიფარ, არაეთიკურ ფრაზებსაც არ თაკილობენ. გრძნობენ საკუთარი პოზიციების სისუსტეს და ამიტომ... უჩივიან ამ „სსრკ ხალხთა შორის შედლის ჩამომგდებეს“, „ანტისაბჭოთა ელემენტებს“. ბოლმისა და საკუთარი უძლურებისგან გონიაკარგულებს, მეცნიერება განზე რჩებათ. უჩივიან „ცეკაში“, უჩივიან იმ დროის უზენაეს ინსტანციაში.

ახლა გავიხსენოთ რა დროა ეს! არათუ ხელმოწერილი საჩივარი, არამედ ერთი უბრალო „ანონიმქაც“ კი საქმარისია კაცის გასაქრობად, მით უფრო ისეთი ბიოგრაფიის მქონე და თანაც უპარტიო კაცისა, როგორიც გიორგი ჩუბინაშვილი ბრძანდებოდა. მას კი ასმენს არა რიგითი მოკვდავი, არამედ პარტიისა და მთავრობისაგან აღზევებული აკადემიკოსი, უჩივის მაშინ, როცა ფაშისტური გერმანია სსრკ-ის კარზეა მომდგარი.

გიორგი ჩუბინაშვილი მაინც გადარჩა. ამბობენ, ცნობილმა მეცნიერმა, გამორჩეულმა ერისკაცმა და დიდად გავლენიანმა პიროვნებამ გადაარჩინაო. გადაარჩინა ისიც და მისი ერთი უნიკიერესი, ასევე მძიმე ბიოგრაფიისა და უცხო გვარის მქონე მოწავე, რომელმაც შემდეგ ოვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ხელოვნების კვლევის საქმეში. გადაარჩინა ბევრი სხვა ლირსეული მოღვაწეც.

1941 წლის დასაწყისში კი ახლადშექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთი პირველი იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელსაც გიორგი ჩუბინაშვილი ჩაუდგა საოცენები და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მას. მალე ინსტიტუტი გახდა ეროვნული კულტურული მექანიზრების შესწავლის უთვალსაჩინოები ცენტრი, გამორჩეული მკაფიოდ ჩამოყალიბებული მეცნიერული პრინციპებით, საქმიანობის ფართო არეალით და კიდევ ერთი დირსებით, რომლის გახსენება დღეს განსაკუთრებით დასაუსებელია - თანამშრომელთა გასაოცარი ერთსულოვნებითა და თანადგომით. იმთავითვე კალაპოტში მოექცა და მოწესრიგდა ინსტიტუტის საქმიანობის ყველა არსებითი მიმართულება. დაიწყო სამეცნიერო შრომების პერიოდული კრებულების (რს ეორგიცა) გამოცემა. დაიბეჭდა გიორგი ჩუბინაშვილისა და მისი მოწავეების არაერთი საინტერესო ნაშრომი, მათ შორის ასე ნაწვალები „ჯვრის ტიპის ძეგლებიც“. დაწერიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1948 წელს, რუსულად (ახლავს ვრცელი ფარნგული რეზიუმე), მაგრამ არა მოსკოვში, არამედ თბილისში, აკად. ს. ჯანაშიას რედაქტორობით.

ამეტყველდნენ ჩვენი კულტურის ძეგლები. საბოლოოდ გაირკვა ქართული ხელოვნების არსი და რაობა; მისი გამორჩეული მახასიათებლები, მრავალფეროვნება, ხანგრძლივი, უმდიდრესი, მწყობრი ისტორია საცნაური გახდა მტერ-

მოყვარისათვის. ჰეშმარიტი მეცნიერული თვალსაზრისი ქართული მხატვრული აზროვნების შესახებ, სრულიად თავისუფალი კონიუნქტურული თუ ტენდენციური გადახრებისაგან, გაუჯდა დაინტერესებულ ადამიანთა გონიერას, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიან საბჭოთა რეალობაში ეროვნული სულიერების მინავლებული ნაკვერცხალის გაღვივებისთვის.

ყოველივე ეს, ანუ მძლავრი ეროვნული ფესვების გაცნობიერების ნები და სიდრმისეული პროცესი, ბუნებრივია, მაინც გამჟღავნდა, რამაც იმუამინდელი ხელისუფლების უმწვავესი რეაქცია გამოიწვია.

კომუნისტებს უტყუარი ალდო ჰქონდათ. ადვილად გრძნობდნენ, საიდან ქროდა მათვების არასასურველი ნიავი. ამჯერად გიორგი ჩუბინაშვილს იდეოლოგია დაუწუნეს. გაზეთში გაჩნდა ვრცელი სტატია სათაურით – „ველულინიზმის ტფვებაში“. „დაასაბუთებ“, რომ გ. ჩუბინაშვილი ფორმალისტია, რაც საბოლოო განაჩენად ჩანდა პიროვნებისთვისაც და მთელი დარგისთვისაც. ამას მოჰყვა დისკუსია (1952 წ.), რომელზედაც ცეკ-ას დავალებით მოლაპარაკე „სპეციალისტებს“ მიწასთან უნდა გაესწორებინათ გიორგი ჩუბინაშვილი და მისი ინსტიტუტი. სცადეს. აბრუცეს და ატრიალეს მათი სიტყვა და საქმე. რა არ უწოდეს, რა არ დააბრალეს. ბ-ნი გიორგი დუმდა, უთუოდ დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში. ინსტიტუტის თანამშრომლები, ამჯერად მეორე ლიდერის – აკად. ვახტანგ ბერიძის თავისუფლივი, სრულიად უწვეულო და მოულოდნელი გაბეჭულებით ადუდგნენ წინ ცილისმწამებლებს.

მე ამ დისკუსიის მხოლოდ მასალები მაქვს წაკითხული. არსებობდა მისი მსვლელობის სტენოგრაფიული ჩანაწერები, მანქანაზე გადაბეჭდილი და მოზრდილ ტომად აკინძული. ეს იყო ჩვენი საზოგადოების იმდროინდელი ყოფის ამაზრზენი და ერთობ დამახასიათებელი დოკუმენტი. იგი დაიწვა ინსტიტუტის შენობასთან და იქ დაცულ ძვირფასეულობასთან ერთად 1991-92 წლების თბილისში დატრიალებული ტრაგედიისას. შესაძლოა, კიდევ არსებობს სადმე ამ ჩანაწერების ეგზემპლარი. უნდა დაიძებნოს უსათუოდ.

ის, რომ ინსტიტუტებმა, გულშემატკივართაგან გადაჭედილი დარბაზის (ინსტიტუტის „დიდი ოთახის“) ერთსულოვანი მხარდაჭერით, უკიდურესად დაბაბულ ვითარებაში, აშკარად ნათელყვეს ოპონენტების სრული უსუსურობა, თოთქმის გარდაუგალი სამთავრობო კერძილებისთვის არაფერს ნიშნავდა, მაგრამ სანთელ-საქმეველმა მაინც იმდლავრა. ხსნა სულ სხვა გზით მოვიდა - კვალდაკვალ მოჰყვა გლობალურ მოვლენებს, რომლებმაც ძალაუნებურად ბიძგი მისცეს სასიკეთო ცვლილებებს, უწინარესად კულტურის სფეროში და საგრძნობლად მოარყიეს კიდევ ის არაადამიანური სისტემა.

მალე კვლავ გამოცოცხლდა ინსტიტუტი. მომრავლდა ახალგაზრდობა. ბედმა მეც გამილიმა და აღმოვჩნდი მის საკრალურ სივრცეში, სადაც მეორედ დავიბადე მთელი ჩემი ხანგრძლივი არსებობის ოპტიმალური პერსპექტივით. ამ არაჩვეულებრივად მიმზიდველ სივიწროვე-სიმჭიდროვეში ჩქევდა წრფელი მამულიშვილური სულისკვეთებით განსმენვალული ცხოვრება-საქმიანობა. იკითხებოდა მოხსენებები, ტარდებოდა მეცადინებები, კრებები, ექსპედიციები, სესიები, კონფერენციები, უფრო გვიან ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთა-

შორისო სიმპოზიუმები. ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად იღვწოდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. გამოიცა უამრავი მონოგრაფია, კრებული, სტატია. დაიბუჭდა გიორგი ჩუბინაშვილის რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ გიორგის უკელა ეს ნაშრომი დაისტამბა ინსტიტუტის უფროსი თაობის წარმომადგენლის, ცნობილი ხელოვნებათმცოდნეარქიტექტორის, საგამომცემლო საქმის ბრწყინვალე სპეციალისტის - ბ-ნ ვახტანგ ცინცაძის დიდი ძალის მეცნიერებით და მოწადინებით. მკითხველის ურადღებას შევაჩერებ ერთ-ერთზე, რომელიც ბევრად უფრო „მძიმე“ დაიბადა, ვიდრე სხვა რომელიმე.

წიგნის სათაურია „სომხური არქიტექტურის ნარკვევები“. გამოვიდა 1967 წელს რუსულ ენაზე. მისი დიდი ნაწილი უჭირავს მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებს. უფრო განვრცობილია და გადრომავებული მათ შესახებ ავტორის აღრე გამოოქმული მოსაზრებები. გარდა ამისა, საფუძვლიანად არის გამოკვლეული და ახლებურად დათარიღებული სომხური ხუროთმოძღვრების არაერთი ცნობილი ნიმუში, რომელთა უმეტესობა სხვა ქვეყნებისათვის ნაშრომებში, სათანადო არგუმენტაციის გარეშე, ერთად – მაინცადამაინც VII საუკუნეშია თავმოყრილი. გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ამ მიზანდასახულად ტენდენციური მოსაზრებების კრიტიკა გახდა კიდევ ერთი მიზეზი მისი ოპონენტების გალიზიანებისთვის.

აქ ადგილი არ არის გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერულ კონცეფციებზე მსჯელობისთვის. ვიტვი მხოლოდ, რომ იგი მთელი ცხოვრების მანძილზე იყვ-ლევდა სომხურ ხელოვნებას, იკვლევდა მასთან იმ პირველი კონტაქტების (1915 წ.) განწყობითა და შთაბეჭდილებით, რომლებიც მისთვის, მისივე სიტყვებით „სრულიად დაუკიდები“ შეიძნა.

სიამოვნებით ვიხსენებ დღეებს, როდესაც ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად, ბ-ნ გიორგის ხელმძღვანელობით, საშუალება მომეცა მემორზაურა სომხეთში; კიდევ ერთხელ მეგრძნო ხიბლი სომები ხალხის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობისა და ამასთანავე, განმეცადა ის განსაკუთრებული სიობო და სიკვარული, რომელსაც ასხივებდა ოთხმოც წელს მიტანებული მოხუცის მზერა და სიტყვა თითოეული ძეგლის მოხილვისას და, რაც ნათლად იკითხება მეცნიერის ამ საკითხებზე დაწერილ ნებისმიერ ტექსტში, უწინარესად, სწორედ ნახსენებ წიგნში, მაგრამ იკითხება მყარი ობიექტური ისტორიული არგუმენტების ფონზე. არ (ვერ) დაუვასრეს, უკალმა წაიკითხეს, უმდიდლესი უმაღლერობით მოვკიდნენ.

დელავდა ქართული საზოგადოებაც, ერის წინაშე გიორგი ჩუბინაშვილის უდიდესი ღვაწლის დამფასებელი; დელავდა მისი საქმიანობის ნეგატიური, უსამართლო, დაუსრულებელი განტიქებით შეშფოთებული. და ასე კვლავ მივადექით ამ ჩემი სტატიის იმპულსს – პროფ. კირი მახაბელის მიერ შედგენილ კრების ოქმს, რომელზიაც მოკლედ და ზუსტად არის დაფიქსირებული კრებაზე გამომსვლელთა სიტყვების შინაარსი, ზოგიერთისა – დამახასიათებელი ფრაზებით, ტერმინებითაც კი. შეკრებილნი იყვნენ აკადემიკოსები, ბრძენკაცნი, როგორებიც საქართველოს არასოდეს ყოლია და ქართულ საზოგადოებას, აწ უკვე სამარადეამოდ ფულზე („ხელის ჭუჭყს“ რომ ვეძახდით) გადართულს – აღარასოდეს ეყოლება; იმ დროისანი, რომელმაც ეს დიდებული კოპორტა მოგვივლინა და, რომელზედაც თუნდაც მხოლოდ ამ ერთი ფაქტით, დამის, კეთილი სიტყვა ათქმევინოს კომუნისტებზე ადამიანს (წარსულის ერთიანად გმობა მცდარი მგონია. ეს წარსული, ხომ შენია და მას კარსად გაძირავი).

კრებაზე გამომსვლელებმა, თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად დაგ-
მეს გიორგი ჩებინაშვილის მიმართ მათვის სრულიად მიუღებელი დამოკიდებ-
ულებია და მოითხოვს „ნარგვების“ უსათუოდ დაბძლდება.

ამასობაში ნაშრომის აწყობა-ტირაჟირება მაღულად უკვე მიმდინარეობდა „იატაკქვეშეთში“. ბ-ნ ვახტანგ ცინცაძეს სადღაც გადაკარგულზი, მოსკოვის მახლობლად აღმოუჩენია პატარა ქალაქი ლიუბერცი, იქ არსებული ერთაღერთი სტამბა და ოურმე უკვე „ტემპში“ მუშაობდა. ახალგაზრდებმა არაფერი ვიცოდით. გავიგეთ მაშინ, როცა ერთ „მშვენიერ“ დღეს ინსტიტუტს მოადგა სამი უცნობი (ჩვენთვის), უცხო გარეგნობის პიროვნება მეზობელ-მეგობარი რესპუბლიკიდან. სად ლიუბერცი და სად ერევანი, მაგრამ მაინც შეუტყვიათ. (იქნებ არც არის მთლად დასაწუნი, მით უფრო მცირე ერისთვის, ის ჭარბი პატრიოტიზმი, რომელიც მათ ოდიოგანვე მოსდგამდათ და, რომელსაც ჩვენ ხშირად ვერ ვიტოშობ ხოლმე). ბ-ნი გიორგი თავაზიანად შესვება სტუმრებს, შეუძლება თოახში

და რამდენიმე საათის განმავლობაში ესაუბრებოდა. სტუმრებს ხან ხვეწნით, ხან მუქარით უცდიათ დაესაბუთებინათ მისთვის, არ გამოეცა წიგნი. არადა აზრი არ ჰქონდა არაფერს. ნაშრომის ძირითადი დებულებები, როგორც ვნახეთ, უკვე კარგად იყო ცნობილი. მაშასადამე, სტუმართა უცნაური და უტაქტო ძალისხმევა მიმართული იყო მათვის არარსასურველ მეცნიერულ ჭეშმარიტებათა მხოლოდ გამორების წინააღმდეგ. მაგრამ მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა. ბ-ნი გიორგი სახეგამეხებული გამოვიდა ოთახიდან. წიგნი გამოიცა. შორეთიდან ჩამოგანილ ტექსტს დაერთო თბილისში გამზადებული ილუსტრაციები და მივიღეთ სოლიდური, ფართოფორმატიანი გამოცემა.

აკად. გ. ჩუბინაშვილმა შემდეგაც გამოაქვეყნა რამდენიმე გამოკვლევა. მის არქივშიაც დარჩა საინტერესო მასალები, მაგრამ აღნიშნული წიგნი, ვფიქრობ, მისთვის მთელი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთგვარ ნიშანსვეტად იქცა. ამით მან დაამთავრა საქუთარ ნააზრევთა პუბლიკაცია იმ პრობლემატიკაზე, რომელზედაც ფიქრი და გარჯა არასოდეს შეუწყვეტია.

ყველაფერი მოასწრო, ყველაფერი განასრულა, მაგრამ არა მხოლოდ წელთა სიმრავლით, არამედ უფრო იმით, რომ ჰქონდა მტკიცე ნებისყოფა და სრული რწმენა იმისა, რომ ერთგულად ემსახურა ქვეყანას; იმავდროულად იყო გასაოცრად მიზანდასახული, მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, მომთმენი და მიმტევებელიც. დიდად სულგრძელი ბრძანდებოდა საფუძვლიანი კრიტიკისადმი (ამის მაგალითები მეც მასსოვს), მაგრამ ისეთ უსამართლო და არაკეთილსინდისიერ ბრალდებებს, როგორზედაც ზემოთ ვისაუბრე, არ აპატიებდა არავის.

არ მინდა გამოვტოვო უფრო გვიანდელი, შედარებით წვრილმანი და ნაკლებად შემაწუხებელი ეპიზოდებიც.

1950-იან წლებში ერთი ქართველი არქიტექტორი თითქოს შეედაგა გიორგი ჩუბინაშვილს და მცხეთის ჯვრის შესახებ გამოსცა მცირე ნაშრომი, რომელშიაც ამ მხატვრულ-სტრუქტურული სრულყოფილებით გამორჩეულ ნაგებობას კუთხის ოთახები (პასტოფორიები) ჩამოაშორა. თუ ჯვარია, ბარემ გარედანაც ჯვარი იყოსო. მაგრამ მის უსუსურ მტკიცებებს, ფაქტობრივად, არავინ გამოხმაურებია.

პრობლემატურად მეჩვენება სხვა შემთხვევა. სულ ახლო წარსულში ჩემმა კოლეგამ – პედაგოგიურ ასპარეზზე, საქმაოდ ხანდაზმულმა და გამოცდილმა, განიზრახა არქიტექტურის დოქტორი გამხდარიყო და გამოსცა წიგნი – „მცხეთის ჯვარი“. მომართვა. წავიკითხე და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ავტორი გიორგი ჩუბინაშვილის ორტომეულს მცხეთის ჯვარზე სათანადოდ (რბილად ვამბობ) არ გასცნობია. განსაკუთრებით თვალშისაცემი აღმოჩნდა ძეგლის „გაახალგაზრდავება“ – მისი თარიღის გადმოწევა VI საუკუნის 20-30-იან წლებში (სხვა ხარვებზებზე არაფერს ვიტყვი). ბევრჯერ ვისაუბრეთ. თითქოს გააცნობიერა კიდეც ფრთხილად (დელიკატურად) ნათქვამი შენიშვნები და გამოაქვეყნა მეორე „მცხეთის ჯვარი“, რომელშიც ზოგი რამ ჩასწორებულად მომეჩვენა. „დაწეულია“ ნაგებობის თარიღიც. მაგრამ რამდენიმე წლით მაინც არის აცდენილი მყარად დასაბუთებულ და აღიარებულ თარიღს (დისერტაციაზე ისეთ „ტაშის გრიალში“ ჩაიარა, რომ ხმის ამოღებას აზრი აღარ ჰქონდა). რა

თქმა უნდა, ისტორიული ძეგლის გადათარიღება პრობლემას არ წარმოადგენს იმის განვითარებას (მაგ., მასში ინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოხსენება წაიკითხა ბ-ნ გიორგის მიერ გამოკვლეული ცნობილი ძეგლის შესახებ და მისი განსხვავებული თარიღი შემოგვთავაზა, მტკიცედ არგუმენტირებული. ბ-ნი გიორგი სიამოგნებით დაეთანხმა; შეაქო კიდევ). მაგრამ მცხეთის ჯვართან მიმართებით განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. მისი თარიღის მცირედად „ამომრავებაც“ კი „ჩასაფრებულთა“ სწრაფ რეაქციას იწვევს. ნახსენები დისერტაციის დაცვაზე, იქვე, დარბაზში, „უცხოელმა“ მეგობარმა მითხვა კიდევ – ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე თქვენ თვითონ ვერ შეთანხმებულებართ და ჩვენ რას გვადავებითო. დარწმუნებული ვარ - ჩვენს ამგვარ დაუდევრობას უფრო ფართოდაც გამოიყენებს ის ან სხვა. მათში ეს მუხტი ხომ ისედაც მუდმივმოქმედია, თანაც საერთაშორისო მასშტაბით.

დაბოლოს – ყველას გვახსოვს, ერთმა მხატვარმა, რომელიც ინსტიტუტის მოქალა და ჩვენი თანამოაზრე გვეგონა, რა უკადრისი კამპანია წამოიწყო გიორგი ჩუბინაშვილის წინააღმდეგ. მოიმხრო რამდენიმე თანამზრაახველი და დაიწყეს გიორგი ჩუბინაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის რევიზია, უწინარესად, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში მისგან მყარად ადგილმიჩნილი ძეგლების გადათარიღება-დაძველება. წერეს და წერეს. (ერთგან მეც გამკრეს კბილი). სათანადოდ დასაბუთებული პასუხებიც ბევრისგან მიიღეს, მაგრამ პროცესი მაინც კარგა ხანს გაგრძელდა. ამასობაში მხატვარი გარდაიცვალა და მისი მეგობრებიც თანდათან ჩაწყნარდნენ.

დღეს ინსტიტუტი („ცენტრი“) აშკარად ადმაგლობის გზაზეა შემდგარი და მინდა მჯეროდეს, რომ ამ სტატიაში აღწერილი, ესოდეს უსიამოგნო სიტუაციების მსგავსი, მომავალში არასოდეს ადარაფერი გამეორდება.

P.S. ეს მოკლე, ფრაგმენტული, შერჩეული ფაქტებით აწყობილი ისტორია ბევრად ვრცელია, უფრო დრამატული, მრავალმხრივი, მრავლსიმეტყველი, სავსე წვენი უფროსი თაობის ფიქრებით, განცდებით, ტრაგმა-ტკიფილებით... მიღწევა-გამარჯვებების სიხარულით. და ეს ყოველივე მათს სულებში განეფინანსდა, მათს ყოვასა და ქმედებებში ვლინდებოდა. ეს არის თემა, მგონი, ძალიანაც აქტუალური. დიდი ხნის წინანდელი დელვა, შიში, სიფათი ადამიანთა მერე და მერე ხომ ერთიანად გასააზრებელი ხდება. იქნებ „ჩაუჯდეს“ ვინმე, გამოჩერიკოს, ჩაუდრმავდეს, დაწეროს, შეავსოს პერსონალიებით, დოკუმენტებით, ილუსტრაციებით. მოტივაცია ნამდვილად არსებობს. საჭიროა, სასარგებლოც იქნება.

Tamaz Sanikidze

From the Past of the Georgian Art History

The article refers to the material published by K. Machabeli in the previous issue of the Antiquities of Georgia. It tells of the difficulties, which accompanied work of the Georgian art historians, especially of Giorgi Chubinashvili, in 1930-1950s – how for more than 20 years, publication of his monograph “Monuments of the Mtskheta Holy Cross Church Group” was hindered, apart from other circumstances, thanks to politically coloured reviews by the scholars from Moscow and Leningrad (J. Orbeli, N. Tokarski, Al. Yakobson), commissioned by the publishing house in 1940; how he was accused in “formalism” in 1952; how publication of his monograph “Studies in Armenian Architecture” was hindered (and was never fully published) in 1967, what extreme measures (criticising as yet unpublished work, actual shatter of the scholarly discussion, launching a campaign in the scholarly periodicals . . .) were taken to prevent its academic publication. The author expresses his concern with certain unjustified criticism regarding viewpoints of Georgian art historians.



ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

სოფელ შროშის ქართული ხალხური კერამიკა

მდებარეობს ეს სოფელი – კარგად რომ არის ძალიან ბევრისთვის ცნობილი – ზემო იმერეთის ერთერთ ულამაზეს კუთხეში; ზესტაფონამდე არ მისული 18 კმ, ორი მთის ფერდობზე, რომელთა შუა ძირულა ჩამოუდის. აქვე გაიარა შემდეგ ავტომაგისტრალმაც, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთს რომ უკავშირებს ახლა ერთმანეთს.

მაგრამ შროშა არ განთქმულა მარტოდენ დამაზი ადგილმდებარეობითა თუ სტუმართმოყვარეობით. მეთუნეობის ხელოვნებაა მისი უპირველესი სახელი და სიმდიდრე.

იგი ხალხური კერამიკული წარმოების მთავარი თუ არა, ერთერთი უმთავრესი ცენტრია დღესაც საქართველოში.

უძველესი დროიდან იქმნებოდა აქ ის სილამაზე, დამსახურებული სიყვარულით რომ სარგებლობს ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში.

ორმა, ერთმანეთის საპირისპირო ბუნებრივმა გარემოებამ განაპირობა ამ დარგის ესოდენი წარმატება. ერთის მხრივ, სოფლის მიღამოებში თიხისა და ხევების მდიდარი მარაგის არსებობამ, ხოლო მეორეს მხრივ, ვარგისი სახოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმწირემ.

ამიტომაც არის, რომ იმთავითვე შროშელი ოსტატები, ძირითადად, ჩართულნი იყვნენ ჭურჭლისა და ჭურების შექმნის ხელოსნობაში.

აქაური ჭურჭელი უმეტეს შემთხვევაში წითელთიხოვანია, ანგობით დაფარული (რასაც „მოინგლისებას“ ეძახიან). არის აგრეთვე მოხატულიც – მოწითალო-მიწაჟანგის (oxristaia), ან შავი ფერისა (მარგანეცის ჩანართით). გვხვდება როგორც რელიეფური, ასევე კონტრარელიეფური მოხატულობაც.

დანიშნულების მიხედვით იგი მეტად მრავალფეროვანია: ღვინისთვის, წყლისთვის, რძის პროდუქტებისთვის, სადღესასწაულო, სამზარეულო, ასარწყავი და ა.შ.

ჩვენში ასეთი ჭურჭელი სადღეისოდაც ხომ ისევ ხმარებაშია. კერამიკული ნაკეთობების უმეტესობა დაკავშირებულია მევენახეობა-მედვინეობასთან. სუფრაზე, ხმირად საზეიმო შემთხვევებშიც, თიხის ჭურჭელს ძვირი ლითონის ჭურჭლის თანაბრად ხმარობენ, როგორც სადღესასწაულოს.

წყლის ჭურჭელი საგმაოდ მრავალფეროვანია – მოსატანად, შესანახად, გადასასხმელ-გადმოსასხმელად და დასალევად. რძის ჭურჭელს შეადგენს მოცულობები. განკუთვნილი რძისა და გადამუშავებული რძის პროდუქტების (ყველის, კარაქის, არაჟანის) შესანახად. სამზარეულო ჭურჭელი წარმოდგენილია საკვები პროდუქტების მოსამზადებელი ნაირნაირი ნაკეთობებით – ქოთხებით, კუცებით, ჯამებით და სხ.

სითხისა და მარცვლეულის ასარწყავი ჭურჭელი, ზოგადად, იყოფა დიდ – „ჩაფი“, საშუალო – „დოქი“ და წვრილ – „ლიტრა“, „ჩარექი“ სარწყულებად. 20

ლიტერატურის მოცულობების იზომება შროშაში „ჩარექით“. „ლიტერატურული ნაკრები“ და „ბოთლი“ იტექს 1000 გრ.

უფრო დიდი მოცულობების ასარწყავად იხმარება: „ხელადა“ (3 ლიტერატური), „ხარა“ (8 ლიტერატური) და „ჩაფი“ (16 ლიტერატური).

საქართველოში – ტრადიციული მედვინეობის ქვეყანაში, კერამიკული ნაკეთობების უმეტესობა, ცხადია, ემსახურება სოფლის მეურნეობის ამ დარგის ინტერესებს.

ყველდღიურობაში ყველაზე დიდი ტევადობის მქონე საღვინე ჭურჭელს, ჩვეულებრივ, ეწოდება „ქვევრი“. მაგრამ, თუ დავაზუსტებთ, ეს ტერმინი ამ გაგებით უფრო აღმოსავლეთ საქართველოშია ხმარებული. დასავლეთში ამ უზარმაზარ, ღვინის შესანახ კოკებს, მარნებში რომ იფლობა მიწაში, ეწოდება „ჭური“.

ის კვერცხისებური ფორმისაა, კონუსური ძირით, რომელსაც „კუნჭულოს“ ეძახიან. ზედა, ოდნავ შევიწროებული ნაწილი თავდება ყელით, რომელსაც გარს ევლება წრიული ზოლი.

„ჭური“ არის ხანდახან ძალიან დიდი ზომის, ზოგჯერ 3 მეტრამდე სიმაღლის და 1,5-2 მ. დიამეტრის. მის გასარეცხად შიგ თავისუფლად ჩადის ადამიანი. ასეთმა „ჭურმა“ შეიძლება რამდენიმე ტონა ღვინო დაიტიოს.

საშუალო ზომის ტევადობებს აქ ეწოდება „ქვევრი“, პატარას – „კოწო“. აქვე ამზადებენ აგრეთვე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ღვინის კოკებს – „ჩარექი“, „ხელადა“, „ხარა“, და ყველაზე დიდი – „ჩაფი“, რომლითაც მარნიდან მოაქვთ ღვინო.

სუფრაზე მოსახმარად, ასევე მზადდება ნაირნაირი სასმისები: „ჭინჭილი“ – წვრილყელიანი სასმისი, „კულა“ – მომრგვალებულირიანი სასმისი, სხვადასხვა სახის „ფიალები“ და ჯამები. აქვე ამზადებენ „მარანს“ – მეტად თავისებურ სასმისს; იგი შედგება ფეხის, გვირგვინისა და მათ გარშემო განლაგებული, ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე პატარა „ქვევრისაგან“. ერთეულთ მათგანს ამშვენებს ირმისა ან ჯიხვის თავი. სწორედ აქვდან ისმევა ღვინო.

შროშის კერამიკა იმითაა უნიკალური, რომ იგი მზადდება უძველესი – „ამოშენების“ ტექნიკით. ჭურჭელი კეთდება ეტაპობრივად, ხელით; სრულ ზომამდე მიყვანისთვის მას თანმიმდევრობით ადებენ „ფთილებს“ – თიხის სპირალურ ლივლივებს. ოსტატი ცალი ხელით ძერწავს კერამიკას „მორგვზე“ – ხის მომცრო ბზრიალაზე („ტურნეთკა“), მეორეთი კი ატრიალებს ამ ბზრიალას. ხის სხვადასხვა სპეციალური ინსტრუმენტების დახმარებით იგი აძლევს ნაკეთობას მომრგვალებულ ფორმას, ცვლის კედლების სისქეს, თანდათან ზრდის სიმაღლეს.

ასეთი ხერხი საშუალებას იძლევა დამზადდეს ნებისმიერი ფორმისა და ზომის კერამიკა. ამნაირათვე კეთდება „ჭური“. მისი ქვედა ნაწილი, „კუნჭულო“, გამოჰყავთ ბზრიალაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი სრულდება ხელით; სიმაღლის ნამატია არაუმეტეს 15-20 სმ დღეში.

შროშაში დღეს მხოლოდ ერთი ოსტატი, ასეთი დიდი ზომის მოცულობებს რომ ამზადებს, სახელად პავლე ლაბაძე. თავის დროზე მამამისიც ცნობილი ოსტატი ყოფილა. უფრო მომცრო „ვევრებს“ სხვა ოსტატებიც აკეთებენ.

„ამოშენების“ ხერხი არ იძლევა კერამიკის ტირაჟირების საშუალებას. უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ დაყალიბებისა ანდა თაბაშირის ფორმებში ჩამოსხმისას.

პირიქით, გარკვეული ასიმეტრიულობა, განსხვავება ნაკეთობის სხეულისა და ყელის ზომა-პროპორციებში, სახელურების ყოველთვის სხვადასხვა პროფილები – ყველაფერი ეს ანიჭებს შროშის კერამიკას განუმეორებელ ინდივიდუალობას. ამიტომ აქ ყოველი ნამუშევარი სააგტოროა, და ამიტომაც არის წვენთვის ეს კერამიკა ესოდებ საინტერესო და ღირებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ შროშა ერთადერთი ცენტრია, სადაც ჭურჭელი, გამოწვამდე იფარება გარედან „ინგლისით“ (მუსკოვიტის მინარევებით მდიდარი თიხა). ეს ხელს უწყობს როგორც მოკაზმულობას (მოვარდისფრო-წითელი ფერი, ქარსის ბრჭყვიალებით), ისე ჭურჭლის წყალგაუმტარობას.

შროშაში მზადდება აგრეთვე პურის საცხობი „თონე“. მას ცილინდრული ფორმა აქვს და ზემოთ ოდნავ შევიწროებულია. იგი უძიროა და ამიტომ იდგმება აგურის ან მიწის საფუძველზე. კედლებიდან 10-15 სმ დაშორებით, მთელს შემოწერილობაზე, ეწყობა ფიცრული ან წნული შემოღობვა. სივრცე მათ შორის, სითბოს შესანახად, ივსება მიწით. „თონეში“ უწყობებ შეშას და სწვავებ ნაღვერდალის გახენამდე, რომელიც თანაბრად ახურებს კედლებს. მათზე აკრავენ თხელ ცომეულს და შებრაწვის თანავეს აცილებენ. როგორც ვიცით, ამნაირად გამომცხვარი პური ძალიან არომატული და გემრიელია.

სოფელში ამზადებენ ასევე ლობიოს ქოთნებს, ხაჭაპურისა და მჭადის გამოსაცხობს, ჭურჭელს რძის პროდუქტებისათვის. კერძოდ, ეს უკანასკნელია „დერგი“, რომელიც ზემო ნაწილში ოდნავ ფართოვდება, თიხისავე სახურავით. აქ სპეციალურ წათხში ინახება ყველი.

ხშირად ასეთ მოცულობებში ინახავენ ასევე მარცვლეულსა და ლობიოს. და ბოლოს, აქვე აკეთებენ „სადღვებელს“ – ჭურჭელს კარაქის მოსადღვებად.

კარიერი, საიდანაც ეზიდებიან თიხას, მთებშია, სოფლიდან 5-8 კმ დაშორებით. მისასვლელია მხოლოდ ურმით ან ცხენით. ამავე ტრანსპორტით მოაქვთ თიხაც. იგი ორნაირია – პლასტიური (ე.წ. „აყალო“), და მჭლე (ე.წ. „თირი“). ოსტატი, ამ თიხების აღრევით, თავად ადგენს პროპორციას. ჭურჭელი თხოულობს ნაკლებ „თირს“, „ჭური“ და „თონე“ – მეტს.

თიხა იწმინდება წვრილი ქვების, ფეხსვების, ტოტებისა და ფოთლებისაგან, ჯერდება წყლით და აიზილება ხორცსაკეპის მსგავსი მოწყობილობის საშუალებით.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს 40-60 სმ დიამეტრისა და 100-150 სმ სიმაღლის, ზემოდან თავდაუხურავ ხის ან ბეტონის ცილინდრს, დაუენებულს მიწაზე ან ბეტონის საძირკველზე. ცილინდრის ცენტრში ბრუნავს ვერტიკალური ლითონის ღერძი, რომელზედაც სხვადასხვა კუთხით მიმაგრებულია ლითონის ფრთები. ღერძის ბრუნვისას სველი თიხა აიზილება, გადაადგილდება ძირში და გამოდის გარეთ იქ არსებული ნასვრეტით. ღერძს ჩვეულებრივ აბრუნებს ხოლმე ვირი, ცხენი ან ხარი.

ამჟამად ბევრი ოსტატი ხმარობს უკვე თიხის ელექტროშემრევს. მაგრამ თუ

ხდება, რომ სოფელს დენი არ მიეწოდება, ისინი ისევ მიმართავენ ხოლმე თბილის დამუშავების მამაპაპურ ხერხებს.

რაც შეეხება ნაწარმის გამოწვას.

ამისთვის შროშაში იხმარება სამი ტიპის ღუმელი (ქურა): 1) ჭურჭლისთვის; 2) „ჭურისთვის“; 3) მოჭიქული ჭურჭლისთვის.

პირველი ორი ტიპი თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისგან. წითელ-თიხოვანი ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა გეგმაში წარმოადგენს კვადრატს ან ოდნავ გაჭირულ სწორგუთხედს. ზემოდან იგი სრულდება კამაროვანი თაღით. ქურის სიმაღლის მეხუთედი უჭირავს საცეცხლურს, გამოყოფილს მის ზედა – მუშა ნაწილისაგან 3-4 კამარით. ამათზე იწყობა გამოსაწვავად დიდი კოკები ან „დერგი“. მანძილი კამარებს შორის 10-15 სმ. ამ დიობებით აღწევს ცეცხლი მუშა ნაწილს.

გამოწვა ხდება შეშით, ჩვეულებრივ ცაცხით, რომელიც სწრაფად აღწარ-მოვდება და, ამდენად, არ იწვევს ტყის გამოხშირვას. ქურის მუშა ნაწილი შეს-დგება ცეცხლგამძლე აგურის სამი კედლისაგან. უკანა კედელში ღიობია, ორთქ-ლის გამოსაშვებად გამოწვის პირველ ეტაპზე. ფასადი იწყობა აგურისაგან და ჩატვირთვისას ილექტება თიხით, ხოლო გამოწვის შემდეგ იშლება.

„ჭურის“ გამოსაწვავი ღუმელი განსხვავდება მხოლოდ ზომით – იგი უფრო დიდია და არა აქვს საცეცხლური, რომელიც იწყობა ფასადის კედელთან ერთად.

წითელ-თიხოვანი ჭურჭლის გამოწვისათვის საჭიროა ერთი დღე-დამე, დიდი „ჭურისთვის“ – სამიდან ექვს დღედამედე.

მესამე ტიპის ღუმელი მკვეთრად განსხვავდება პირველი ორისაგან. მოწყობილი ორ დონეზე, იგი თითქმის გუმბათამდე ჩადრმავებულია მიწაში. გუმბათის ზედა ნაწილში არის ღიობი შუქისათვის – „სასინათლე“ და საკვამური „დუოქა-ში“. შიგნიდან ღუმელი დაფარულია უჯრედებით („სასოლე“). მათში მაგრდება კერამიკული სოლები, რომლებზედაც თავსდება გამოსაწვავი ჭურჭლი. სოლები ეწყობა 5-6, ზოგჯერ 8-10 რიგად.

ასაკოვან მკვიდრთა მონათხრობით, სოფელში მხოლოდ მოდებაძეთა გვარი ამზადებდა მოჭიქულ კერამიკას. ეს ჭიქური იყო თეთრი, მონაცრისფრო, ყავის-ფერი, შავი და ფირუზის ფერი. განთქმული იყო მათი შავად მოჭიქული „ჭინ-ჭილები“. უკანასკნელი მოდებაძე, რომელიც მოჭიქულს აკეთებდა, იყო ლავრენტი. ხანშიშესულებს იგი კარგად ახსოვთ. ამზადებდა ძალიან ლამაზ ჭურჭელს და 1961 წლის სახალხო ოსტატთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში პირველი ხარისხის დიპლომიც კი მიიღო. მისი ვაჟი, გრიგოლიც, ამჟამად უკვე გარდაცვლილი, ამზადებდა ჭურჭელს, მაგრამ მოჭიქვას უკვე აღარ ხმარობდა. ამდენად, ლავრენტი მოდებაძის შემდეგ მოჭიქული კერამიკა შროშაში აღარ მზადდება.

შროშულ თიხის ჭურჭელს ახასიათებს დახვეწილი ფორმები, უბრალო, მაგრამ ლამაზი მოხატულობა, მოვარდისფრო-წითელი ფერი.

ამჟამად აქ აწარმოებენ მხოლოდ ანგობის მოხატულობით დაფარულ წითელ-თიხოვან ჭურჭელს. ესაა მუქი წითელი ან შავი ფერის, ჰორიზონტალური, ანდა დაკლაკნილი ხაზები („ოტვოდკა“).


საამოა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბიუროკრატიული წინაღობების, დეპნო-იურიდიკული სა და სხვადასხვა ჯურის აკრძალვებისა, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში, შროშული სახალხო კერამიკა დღესაც ცოცხლობს და ვითარდება.

აქ, ხანშიშესული ოსტატების გვერდით მუშაობებს ახალგაზრდა კერამიკოსები, რომლებიც მამა-პაპათა ტრადიციებს მიჰყვებიან. გვინდა გვჯეროდეს, რომ ღუმელები შროშაში არასოდეს ჩაჰქრება და მათგან ამოღებული შროშული ჭურჭლის წერიალი ხმა შორს გასწვდება სოფლის ფარგლებს, ყველა ჩვენგანის სასიხარულოდ.

Roman Tsukhishvili

Georgian Folk Ceramics from the Village Shrosha

The article gives characteristics of the technology (provision of clay, its transportation, technique of “building” the vessels, firing/baking) and typology (water vessels, milk vessels, kitchen crockery, wine containers – especially *kvevri* and *churi* – wine vessels, clay device for baking bread) of the traditional ceramics from the village Shrosha in Imereti (western Georgia). It is noted that glazed ceramics is no more produced in Shrosha (it was manufactured by the Modebadze family only), while in all other respects, folk ceramics is still existing and developing here.





შროშული თიხის ჭურჭელი



შროშული თიხის ჭურჭელი



შროშული თიხის ჭურჭელი



შროშული თიხის ჭურჭელი



თიხის ჭურჭლის დამზადება



თიხის ჭურჭლის დამზადება



შროშული თიხის ჭურჭელი

„საიდუმლო სერობის“ სცენა უბისის კედლის მხატვრობაში¹

ამ ბოლო ხანებში კედლავ შეიმჩნევა გაცხოველებული ინტერესი სამონასტრო ხელოვნების მიმართ და ამ ინტერესს სრულიად კანონზომიერი ახსნა აქვს. თუ რაიმე გვაძლევს წარმოდგენას ჩვენ წინაპართა შესახებ, სხვა მომენტებთან ერთად, უთუოდ, ის საქმიანობაც იყო, რასაც ბერები ეწეოდნენ მათ მიერ ნავსაყუდელად არჩეულ, ყოველდღიურ ცხოვრებას მოშორებულ მყუდრო სამონასტრო ცენტრებში.

სხვა მონასტრებთან ერთად, მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა უბისის მონასტერი, რომლის სახელიც კი „უბე“ თითქოსდა მიგვანიშნებს იმას, რომ ეს განკერძოებული, მყუდრო ადგილია, განშორებული ყოველსაგე ყოფილს, ყოველდღიურს.

მართალია, დღეისათვის უბისის მონასტერი არ არის ისე სახელგანთქმული როგორც სხვა დიდი სამონასტრო ცენტრები (გელათის, დავითგარეჯისა, ძველი და ახალი შუამთის, წალენჯიხის, მარტვილისა თუ სხვა), მაგრამ თაგის დროზე იგიც გამორჩეული უნდა ყოფილიყო. აქ მრავალი საუკუნის მანძილზე შეიძლება თვალი გავადევნოთ სამონასტრო ცხოვრებას. აქ იჭედებოდა და იხატებოდა ხატები, მხატვრობით ამკობდნენ ეკლესიისა და მისი მინაშენების კედლებს, უნდა ვიფიქროთ გადაინუსხებოდა ხელნაწერები.

მარტო ის რად დირს, რომ ეს მონასტერი დაარსებულია დიდი სასულიერო მოდგაწის გრიგოლ ხანძთელის მიერ. „მაშინ მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაგრ, აღაშენა მონასტერი და უწოდა მას სახელი უბე და ილარიონ ვინმე, იერუსალემით მოსული, სარწმუნო მოსუცებული, დაადგინა მამასახლისად... და... თვისნი წიგნი, რომელ აქნდეს და-ვე-უ-ტევნა მონასტერსა მას“.

ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რა წესი დაუდო უბისის მონასტრის ბერებს გრიგოლ ხანძთელმა, მაგრამ აქ მცხოვრები ძმობის საქმიანობის შესახებ აღბათ გარკვეულ წარმოდგენას შეგვიძლის „წესი თვისისა ეკლესიისა და მონასტრისად“, მის მიერ ხანძთის მონასტერში განწესებული.

როგორი იყო ბერების ცხოვრების წესი: „სიმართლესა შინა..., სიყვარულისა ძირი მტკიცე, მოთმინება სიმდაბლით და სიმშევილით, მარხვა ლოცვითა შეზღუდვილი..., სიწმიდე გულისა და ჭეშმარიტება ენისა და უბიწოებით კრძალვა ყოველსა ზედა...“

ხანძთას და, აღბათ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უბისშიაც წესად

1 ნაშრომი წარმოადგენს საბოლოო რედაქციას გამოკვლევისა უბისის მოხატულობის ამ გამოსახულების შესახებ, ოცი წლის წინ მოხსენებად წაკითხულს. დასაბეჭდად მომზადება ეს შრომა ქმა ქეთევან მიქელაქემ იტვირთა - მცირედი ჩასწორებებით შემოიფარგლა, ერთი გამონაკლისით: თავს უყდება მივეცით აქ სქოლით ჩაგვერთო უბისის მხატვრობაზე ოდნავ მოგვიანო, დაუმთავრებელი ნაშრომიდან ამონარიდი მსჯელობა აქაური ცნობილი ფრესკული წარწერების შესახებ (გამომც.).

ჰქონდათ „ყოველთა ღამის თევათა შემწუხებითგან განთენებამდე ლოცვაზე დამისწირვა ჟამსა ცხრა ჟამისასა და კვერექსთა შემატება“. ნოქმბრის თვის დამდგინარი „ყოველთა შაბათთა ცისკრად ვიდრე პირმარხვამდე – კანონი ოთხი, და დიდთა მარხვათა ვიდრე ბზობამდე ყოველსა ცისკარსა – კანონი ოთხი, ეგრეთვე წიგნის კითხვა თოხი და ვნებისა კვირიაკისა ფრიად განგება იყო... და სერობასა „ხადილსა ჩემსა“ წართქვიან და ადგომისა წარდგომანი და ცისკრად დაწესებული და თითო კანონი – ახალ კვირიაკემდე... უგრეთ ჰყოფდიან ყოველსა მამანი ჟამთა შინა ჩემთა“.

უბისის მონასტერი დღესაც საქმაოდ მყუდროდ დგას, თუმცა ადმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი მაგისტრალი მას საქმაოდ ახლოს ჩაუვლის. გზად მიმავალი, ხარაგოულთან ახლოს, მდინარე ძირულას ნაპირას, გზიდან მარცხნივ დაინახავს მონასტერის მწავნეში ჩაფლულ გალავანს, მის ეკლესია, სვეტს, ეკლესის უკან აღმართულს, სხვა ნაგებობების ნაშთებს.

ეს მონასტერი პირველად გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერილობაში გვხვდება, რომლის ავტორი მეორე გამოჩენილი მოღვაწე გიორგი მერჩულე იყო. გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ მონასტერთა შორის უბისის მონასტერსაც ასახელებს. ამდენად, თარიღს ტაძრის აგებისა განსაზღვრავს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების წლები (IX საუკუნის შუა ხანები). ამ თარიღს შენობის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზიც ასაბუთებს. სვეტის აგების თარიღს – XII საუკუნეს მასზე შემორჩენილი წარწერა განსაზღვრავს; უბისის მონასტერში შეიქმნა ქტიოტო ბაბლაკ ლაშხის შვილის სახელთან დაკავშირებული ფერწერული ხატები და, აგრეთვე, უფრო გვიანდელი ჭედური ხატები, რომლებზეც ქტიოტორების – აბაშიძეთა ოჯახის წარმომადგენლენი არიან გამოსახულინი.

მაგრამ არ იქნებოდა გადაჭარბებული იმის თქმა, რომ ამ სამონასტრო ანსამბლში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოხატულობა, რომელიც თვით ეკლესიას ამჟობს. ყოველივე ზემოთ მოკლედ თქმული ცხადყოფს რაოდენ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო თავის დროზე უბისის მონასტერი არამარტო თავისი საეკლესიო ფუნქციებით, არამედ საბოლოოდ თავისი წვლილით ზოგადად ქართული კულტურის განვითარებაში. ყოველივე ამის უკეთ გასააზრებლად, ალბათ, სასურველი იქნებოდა კომპლექსური დიდი ნაშრომის შექმნა, რომელიც წარმოაჩენდა ამ მონასტრის სულიერად მდიდარი ცხოვრების ყოველ წახნაგს. საძირკველი ამისათვის შეიქმნა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის წიაღში მაშინ, როცა აწ განსვენებულმა რენე შმერლინგმა და ვახტანგ ცინცაძემ გამოაქვეყნეს გამოკვლევები, მიღდვნილი მონასტრის ეკლესიისა და სვეტის ხუროთმოძღვრებისადმი. შემდგომში ფერწერული ხატები გამოიკვლია გ. ალიბეგაშვილმა, ხოლო საგანგებო ნაშრომი უძღვნა 6. ბურჭულაძემ, ჭედური ხატები გამოკვლეულია დ. ხუსკივაძის მიერ.

უბისის მოხატულობა სამეცნიერო ლიტარატურაში პირველად შემოიტანა შალვა ამირანაშვილმა, რომელმაც 1931 წელს გამოსცა ალბომი, და შემდგომ არაერთხელ დაუბრუნდა უბისის თემას. უბისის მოხატულობა სხვა მკვლევართა ინტერესების სფეროშიც მოექცა (როგორც ჩვენის, ასევე უცხოელების), მაგრამ

მონოგრაფიულად, გამოწვლილვით იგი ჯერ არ არის შესწავლილი. ასე რომ, უბისის მონასტრისადმი მიძღვნილი ერთიანი, კომპლექსური გამოცემა, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, თანაბრად უნდა აინტერესებდეს როგორც საერო, ასევე სასულიერო წრეებს. ზემოთქმულს გამოცემაში შეიძლება დამატოს სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილი საეკლესიო ნივთები, უბისის მონასტრები რომ იყო დაცული.

უბისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მამკობ მოხატულობაში (XIV საუკუნის მეორე ნახევარი), უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთება პალეოლითური ხანის ბიზანტიური მსოფლგაგების დიდი სიღრმეების წვდომა. ამავე დროს, ამ მოხატულობის შემსწავლელი უთუოდ აღმოაჩენს აქ გარკვეული ადგილობრივი ტრადიციების მდგრადობას, რაც საშუალებას იძლევა გამოითქვას ვარაუდი, რომ უბისაში ქართველი ოსტატები მუშაობდნენ, თუმცა მხატვრის ეროვნული წარმომავლობა აქ, ისევე როგორც პალეოლითური ხანის სხვა ძეგლებში, არაა უმთავრესი ნიშნების მატარებელი.

უბისის ტაძარში მოხატულობა, საბედნიეროდ, კარგადაა შემორჩენილი. ამიტომ მისი პროგრამა, იდეა ამ მოხატულობისა, ისევე როგორც ცალკეულ სცენათა თუ გამოსახულებათა ხასიათი, ჩვენთვის ნათელია და ხელმისაწვდომი. ჩრდილოეთ კედლის დასავლეთი მონაკვეთის ქვედა რეგისტრში ქმიტორთა გამოსახულებები უთუოდ წარმოდგენილი იქნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ დღეს აქ მოხატულობა აღარ შემორჩა; არც რომელსამე ისტორიულ წყაროშია დაცული რაიმე ცნობა ტაძრის მოხატვის შესახებ. სატრიუმფო თაღის შუბლსა და „საიდუმლო სერობის“ სცენაში შემორჩენილი წარწერების ინტერპრეტაცია (აქ მოხსენიებულია ორი პიროვნება – დამიანე და გერასიმე) დღესაც კამათს იწვევს². ამიტომ უბისის მოხატულობა მხოლოდ და მხოლოდ მხატვრულ-

2 ასომთავრულით შესრულებული წარწერები ქარაგმების გახსნის შემდეგ ასე იკითხება: საიდუმლო სერობის სცენის თანმხელები წარწერა - მამანი: წმინდანნი: და მდვდელნი: ყავთ წყალობა: ვითარცა ქრისტემან: დედაჯაცსა წიდოვანის: ზედან: და იოხევეთ: შენდობა: დამიანესთვის: რათა: ოქენეცა: სასუფაველი: (წინადაღება თოთქოს დაუქმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, აკლია ზმა – „რათა თქვენცა [დაიმკვიდროთ] სასუფაველი“. ახსნა ამ ფაქტისა ძნელია. უმარტივესია იფიქრო, რომ მხატვარს არ ჟერ ადგილი, გერ გათვალა სწორად. შესაძლოა ისიც ვივარაუდოთ, რომ წარწერას ქართულის არმცოდნე წერდა და ეს ერთი სიტყვა უბრალოდ გამორჩა. დაბეჯითებით რაიმეს მტკაცება კვლევის ამ ეტაპზე ძნელია).

სატრიუმფო თაღის წარწერა: სახელითა: დათისათა: მოიხატა: მონასტერი: ესე: ხელითა: ცოდვილისა: დამიანეს: გაზრდილისა: გერასიმესითა.

შ. ამირანაშვილი მიიჩნევს, რომ წარწერებში ნახსენები დამიანე და გერასიმე თრივე მხატვრები არიან. მათგან მთავარ მხატვარი (ის, ვისაც ეკუთვნის საიდუმლო სერობის სცენა და მსგავს მანერაში შესრულებული სხვა გამოსახულებები) ის დამიანეს მიიჩნევს, ხოლო სხვა დანარჩენი, განსხვავებული ხელით შესრულებული გამოსახულებები თუ სცენები მან მეორე მხატვრს – გერასიმეს მიაკუთვნა (შ. ამირანაშვილი, ქართველი მხატვრი დამიანე, თ., 1974, გვ. 12-13). ვახტანგ ბერიძე, სატრიუმფო თაღის წარწერის სხვაგარ ინტერპრეტაციას იძლევა და მთავარ მხატვრად გერასმეს მიიჩნევს (ვ. ბერიძე, გერასიმე და არა დამიანე, ლიტერატურული საქართველო, 1979, 14. 09). უნდა აღინიშნოს, რომ წარწერათა შინაარსის ამოცნობისას მკვლევარი უთუოდ გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდება. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში პუნქტუაციის ნიშნებს არ იყენებდნენ. სატრიუმფო თაღის წარწერაში ყოველი სიტყვის შემდეგ სამი წერტილია, რომელიც აზრობრივი დატვირთვის მატარებელი იყ არ არიან, არამედ ვიზუალურად გამოსყოფენ სიტყვებს ერთმანეთისგან. თუ დღევანდები პრიზიკიდან მივუდგენიოდ და წინადაღებაში დაგსვამთ „მძიმეს“ (,), მივიღებთ წარწერის სრულიად განსხვავებულ შინაარსს, იმისდა მიხედვით, თუ სად იქნება ეს

სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე თარიღდება.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ეკლესია დიდი ზომის არაა (იგი დარბაზულ ტიპს განეკუთვნება), თემატიკა მისი მოხატულობისა უხვია და მდიდარი. წმინდა გიორგის სახელზე ნაკურთხი ტაძარი მოიცავს წმინდა გიორგის ცხოვრების ვრცელ ციკლს, ქრისტეს ათორმეტ დდესასწაულთა რიგს, სხვადასხვა წმინდანთა გამოსახულებებს. ვინაიდან ტაძარი სამონასტროა, ამიტომ, ცხადია, მის პროგრამაში აირეკლა სამონასტრო ცხოვრების იდეალებიც, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მესვეტეთა, მეუდაბნეთა და ასკეტური ცხოვრების სხვა მიმდევართა გამოსახულებების სიმრავლით. ამ გამოსახულებათა რიგში საგანგებო ყურადღებას იქცევს წმ. ილარიონ ქართველის – სამონასტრო ცხოვრებისა და აღმშენებლობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენლის აქ შემორჩენილი გამოსახულება. ის, რომ იგი გამოსახულია მთავარი შესახვლელის ტიმანის ქვაზე, ადგილას, რომელიც წესის თანახმად მონასტრის წინამდგრისათვის იყო განსაზღვრული, და აგრეთვე ისიც, რომ გიორგი მერჩულე უბისის მონატრის პირველ წინამდგრად „ვინმე ილარიონს“ ასახელებს, პბადებდა ცდუნებას, რომ ეს ილარიონი წმ. ილარიონ ქართველთან გაგვეიგივებინა. მით უმეტეს, რომ წვენ შევძელით მოგვეძებნა ამ ვარაუდისთვის საბუთები pro და contra. შემდეგმა კვლევამ (ნ. ბურჭულაძე) ნათელი გახადა, რომ წმ. ილარიონ ქართველი არ ჟეიძლებოდა ყოფილიყო ამ მონასტრის პირველი მამასახლისი, ხოლო რაც შეეხება მაინცდამაინც ილარიონის გამოსახვას შესასვლელის თავზე, ამ ფაქტს სხვადასხვა ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს.

უბისის მოხატულობის შესახებ მსჯელობისთვის წვენ შევარჩიეთ ერთი სცენა – „საიდუმლო სერობა“, რომელიც მნიშვნელოვანია ლიტურგიკულ-თეოლოგიური თვალსაზრისითაც და გამოირჩევა შესრულების არტისტიზმით და მხატვრული მნიშვნელოვანებით ასევე ბრწყინვალე შესრულებულ სხვა სცენათა შორის (ნახ. 1, სურ. 1).

ამ სცენის თავისთავადი, თეოლოგიური მნიშვნელოვანება გაძლიერებულია იმითაც, რომ მასში ჩართულია ზემოსენებულ წარწერათაგან ერთ-ერთი.

ეკლესიების მოხატვისას „საიდუმლო სერობას“ ან დარბაზში, ან საკურთხეველში

„მძიმე“ დასმული. ან სხენაირადაც შეიძლება ითქვას – შინაარსობრივ სხვაობას მივიღებთ იმის მიხედვით თუ რომელ პიროვნებას მივწნევთ ქვემდებარებდა დამიანებს თუ გერასიმებს. ერთი ვარიანტი ამ წარწერის წაკითხვისა ასეთია – მოიხატა ეს მოხატეზე ხელითა ცოდვილისა გერასიმესითა (ხელითა გერასიმესითა), რომელიც დამიანებს გაზრდილია. მეორე ვერსიით – ეს ეკლესია („მონასტრებს“ ამბობს მხატვარი) მოიხატა ცოდვილი დამიანებს ხელით, რომელიც გერასიმეს გაზრდილი იყო. ჩემი ვარაუდით, რადგან ერთ-ერთ წარწერაში საუბარია წილივან დედაგაცთან დაკავშირებულ სასწაულზე, უნდა ვიყიქროთ, რომ აქ ხაზგასმულია რწმენის ჩასახვა, ან გაძლიერება იქოს, როგორც ძე ლვიოსას მიმართ. კ. ი. თავისთავად იგულისხმება, რომ დამიანება, ამ წარწერის პერსონაჟი ჰქონდა არა მომარიტად რწმენაში მოექცა, ანუ მისი რწმენა განმტკიცდა ქრისტეს მიმართ, რადაც მოვლენასონ დაკავშირებით, რომელიც წვენ არ ვიციოთ. მაგრამ მეორე წარწერაში ნახსენებ ეპითეტს – „ცოდვილს“ თუ დამიანებს მივუყენებთ, მაშინ ასეთი სქემა შეიძლება აიგოს, რომ დამიანე ცოდვილი იყო და რადაც ძვრამ მის ცხოვრებაში იგი მოაბრუნა ჰქონდა რწმენისკენ. სატრიუმფო თაღის წარწერის ინტერპრეტაციის ზემოთ ნახსენებ თრივე ვარიანტს აქვს არსებობის უყლება, მაგრამ მე უპირატესობას მივანიჭებ ვახტანგ ბერიძის შეულ ინტერპრეტაციას და დაგუმატებდი, რომ თუ გერასიმეს გავიასრებო მხატვრად, მაშინ შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ დამიანე, გამზრდელი გერასიმესი, შესაძლოა დონატორი ყოფილიყო. ეს მხოლოდ ყრთხილი ვარაუდია.

ათავსებდნენ იმისდა მიხედვით, თუ სცენის რომელ ასპექტს ენიჭება უპირატესობისა – ისტორიულსა თუ ლიტერატურგიკულს. პირველ შემთხვევაში მას გამოსახავდნენ ტაძრის ძირითად სივცრეში (დარბაზულ ეკლესიებში), ძირითად მკლავებსა ან მკლავთა შორის არებში (ჯვარგუმბათიან ტაძრებში), ხოლო მეორე შემთხვევაში მას ათავსებენ საკურთხეველში, სადაც ლიტერატური მღვდელთმსახურება მიმდინარეობს.

საქართველოში, თუ შემორჩენილი ძეგლების მიხედვით ვიმსჯელებთ, უფრო პირველ ვერსიას მისდევდნენ; მას ათავსებდნენ სხვა სცენებს შორის ისტორიული რიგის მიხედვით – ატენში იგი ჩდილოეთ მკლავშია, წინ უსწრებს „ჯვარცმის“ სცენას, ვარძიაში – ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ყინცვისში – სამხრეთი მკლავის დასავლეთ კედელზე, ტიმოთესუბანში – ჩრდილოეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელზე, „ლაზარს აღდგინებასა“ და „იერუსალიმს შესვლის“ შემდეგ. გაიხსენეთ ვნების კვირის დღეების ტრადიკული და ოანაც საბოლოო ხსნის იმედის მომცემი დღეების თანმიმდევრობა. წალენჯიხისაში ამ სცენას ისევე ისტორიული თხრობის რიტმში წარმოდგენილ ვხედავთ, თუმცა იგი უშუალოდ კი არ ემეზობლება ქრისტეს სადღესასწაულო სცენებს ტიმოთესუბნის მოხატულობის დარად, არამედ ჩართულია ცალკე გამოსახულ ვნებებათა სცენების ციკლში, რაც ასე პოპულარული იყო პალეოლითოსთა ხანაში. მის გვერდით „ფერხთა ბანაა“, მისი ადგილი გამორჩეულია – იგი პირველი სცენაა მკლავისა, უახლოესი საკურთხევლისკენ. მის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთ კედელზე „გარდამოხსნა“ და „დატირებაა“. „ჯვარცმის“ სცენა კი, რომელიც, ერთი მხრივ, „ფერხთა ბანასა“ და „საიდუმლო სერობას“, მეორე მხრივ, „გარდამოხსნასა“ და „დატირებას“ შორის უნდა იყოს, მხატვარმა ჩრდილოეთ მკლავში გადაიტანა და მოათვას რა ერთ სივრცეში (ერთ მკლავში) ისეთ სცენებთან როგორიცაა „მენელსაცხებლე დედანი ქსრიტეს საფლავთან“, „ჯოჯოხეთით წარტყმევნა“, „თომას ურწმუნოება“ – ხაზი გაუსვა ქრისტეს მიერ ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ გაღებული მსხვერპლის და მისი ბრწყინვალე აღდგომის იდეას.

ნაბახტევში, უბისის დარად, „საიდუმლო სერობა“ უკვე საკურთხევლის არეალშია მოხვედრილი; აქაური „საიდუმლო სერობა“, ისევე როგორც „ჯვარცმა“, ფრაგმენტების ასლების სახით შემოგვრჩა მხოლოდ, მაგრამ კოპიისტის გიორგი ერისთავის თქმით, ორივე ეს სცენა მოთავსებული იყო საკურთხევლის გამყოფი კედლის დასავლეთ მხარეს და ამ კედლის აღმოსავლეთ მხარეს გამოსახულ „აბრაამის სტუმართმოყვარეობასთან“ ერთად ქრისტეს ევქარისტულ მსხვერპლზე მითითებას წარმოადგენს.

გარდა ეკლესიებისა, „საიდუმლო სერობის“ გამოსახულებები უთუოდ იქმნებოდა მონასტერთა სატრაპეზოებში, თავისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. სამწუხაროდ, დღესდღეობით მხოლოდ ორი ასეთი მაგალითი ვიციოთ: ბერთუბანსა და უდაბნოს (დავითგარეჯი) სატრაპეზოებში წარმოდგენილი ეს სცენა მთელს მოხატულობაშია გამოყოფილი როგორც შინაარსობრივი აქცენტი. რაც შეეხება ბიზანტიასა და ბიზანტიურ სამყაროში შემავალ ქვექნებს, აქაც, ისევე როგორც საქართველოში, ამ სცენის განთავსების ორივე ვარიანტს გხვდებით.

„საიდუმლო სერობა“, წარმოდგენილი უბისის ეპლესის საკურთხევებლის შემთხვევაში კონტაქტის დეისუსის კომპოზიციის ქვემოთ და ზაირების ორ სცენას შორის, არამარტო თავისი შინაარსით, არამედ ამ სცენებთან მეზობლობითაც ხაზს უსვამს მსხვერპლისა და ხსნის იდეას, რაც ძირითადია უბისის კედლის მხატვრობაში და, სხვათა შორის, ამავე იდეის გახსნას გარკვეულწილად ემსახურება აյ წარმოდგენილი წმინდა გიორგის ცხოვრების ციკლის სცენებიც, ციკლისა, რომელიც გამორჩეულია სცენათა სიმრავლითა და მნიშვნელოვანებით საქართველოში შემორჩენილ ნიმუშთა შორის.

ცნობილია, რომ საიდუმლო სერობის ანუ ქრისტეს მიერ მოწაფეებთან ხუთშაბათ საღამოს ბოლო შეხვედრის შესახებ ნაამბობი აქვს ოთხივე მახარებელს; ხოლო ევქარისტიის საიდუმლოს დამკვიდრების ფაქტი კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის მიერ წარგზავნილ ეპისტოლეშიც შემორჩა.

როდესაც ამ სცენას მახარებელთა ნაამბობს ვადარებო, რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი უფრო ლუკასა და ოთხეს თხრობასთანაა ახლოს. პირველთან – ქრისტეს მიერ წარმოთქმული სიტყვებით „ხოლო აპა ხელი განმცემლისა ჩემისავ ჩემ თანა ტაბლასა ზედა“ (ლუკა, 22, 21), ხოლო მეორესთან – „და იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იქსოვსთა, რომელ-იგი უყუარდა იქსოვს“ (იოანე, 13, 23).

სცენის აგებისას მხატვარმა უპირატესობა მიანიჭა პალეოლითოსთა ხანაში მეტად პოპულარულ სქემას – ჩვენ ვხედავთ ქრისტეს მჯდომარეს არა კომპოზიციის მარცხენა კიდეში (როგორც ეს ძველთაგანვე იყო მიღებული), არამედ კომპოზიციის ცენტრში, სიგმას მსგავსი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ მოწაფეთა გვერდით.

ქრისტე შემობრუნებულია მის მკერდს მიყრდნობილ იოანესა და მის უკან გამოსახულ პეტრე მოციქულისაკენ. თავი და მზერა ქრისტეს იოანესკენ აქვს მიმართელი. საუბარი მაცხოვარსა და პეტრეს შორის იოანესა და ლუკას თხრობით ტრაპეზის დროს გაიმართა (ლუკა, 22, 31-34, იოანე, 13, 38); ხოლო მარკოზის მიხედვით – „მთასა მას ზეთის ხილთასა“ განსვლის შემდეგ (მარკოზი, 14, 26). ამავე ვერსიას ვკითხულობთ მათესთანაც (მათე, 26, 30-35).

მაცხოვრის მარჯვენა ხელი საყვარელი მოწაფის ზურგზეა დაშვებული, მარცხენაში კი დახვეული გრაგნილი უპყრია. ეს საკმაოდ იშვიათი იკონოგრაფიული დეტალია. უმეტეს შემთხვევაში ხელები მას თავისუფალი აქვს; მარჯვენა ხელით ან აკურთხევს, ან გაწვდილი აქვს მიმათითებელი ჟესტით იუდასაკენ.

საქართველოში, როგორც შემორჩენილი ძეგლებით ჩანს, უფრო ერთგულნი იყვნენ ამ სცენის უმველესი ვერსიისა, ანუ ქრისტეს გამოსახავდნენ არა ცენტრში, არამედ მაგიდის მარცხენა მხარეს. უდაბნოში, ბერთუბანში, ყინცვისში და ვარძიაში იგი მარცხენა მხარესაა წარმოდგენილი, ტიმოთესუბანში ქრისტეს ადგილის ლოკალიზაცია ვერ მოხერხდა სცენის ცუდი დაცულობის გამო; გელათის ოთხთავის, ჯრუჭი II სახარების მინიატურებში ქრისტე ასევე მარცხენივაა წარმოდგენილი. უფრო იშვიათად მას სურათის მარჯვენა მხარეს გამოსახავდნენ, როგორც ეს მოქვის სახარების ორივე მინიატურაზეა. ერთ-ერთი ამ მინიატურათაგან გამოირჩევა კიდევ ერთი ასევე იშვიათი იკონოგრაფიული

დეტალით – მოწაფეები მაგიდასთან რომ სხედან, არა თორმეტია, როგორც მოწეულებრივ, არამედ თერმეტი, იუდას გარეშე.

ძოწისფერი ქიტონითა და ლურჯი პიმატიონით მოსილი ქრისტეს სახეს განცდისა და ტანჯვის დაღი აზის. ასეთი ემოციური გადაწყვეტა ქრისტეს სახისა ეხმიანება მის სახეს კამარაში გამოსახულ მედალიონში, სადაც იგი ასევე დროის გემოვნების თანახმად, წარმოგვიდგება არა როგორც მეორედ მოსვლის მიუკერძოებელი მსაჯული, ყოვლისმპურობელი, არამედ როგორც ისტორიული პიროვნება, რომლის სახე აირეკლავს მიწიერი ცხოვრების დროს მის მიერ განცდილ ტანჯვისა და მსხვერპლის კვალს. ესეც პალეოლითოსთა ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სიახლეა ქრისტეს სახის წარმოდგენის დროს.

ქრისტეს სახე ჯვრული შარავანდის ფონზე, მზერით, რომელიც უსასრულობაშია წასული, ბაგეთა ქვემოთ დაშვებული კიდეები, ჭმუნვის მიმანიშნებელი პორიზონტალური დარები შუბლზე, მოწაფის ზურგზე რბილად დაშვებული ხელის ჟესტი, ყველაფერი ერთად წარმოგვიდგენს არა მოდალატის მახილებელ პიროვნებას, არა მკაცრ მსაჯულს, არამედ განკაცებულ ქეს ღმრთისას, რომელმაც ვიდრე მოვლენების აღსრულებამდე ყოველივე წინდაწინ უწყის, წინასწარ განჭვრებს ტრაგიკულ ფინალს, წითელ პარასკევს რომ უნდა დადგეს.

ცის ლურჯ ფონზე იკითხება ასომთავრული წარწერა – სააღავთ სერობა. ხოლო ქრისტეს თავთან ქარაგმებით შესრულებული ბერძნული წარწერაა. უბისში უველა წარწერა, ისევე როგორც მრავალ სხვა ჩვენს მოხატულობაში, ასომთავრულითაა შესრულებული, ხოლო ქრისტესა და ღმრთისმშობლის თავთან ბერძნული წარწერების მოთავსება მრავალსაუკუნოვან ქართულ ტრადიციას ეხმიანება და თავისი არსით, ალბათ ერთ-ერთი გამოხატვა უნდა იყოს იმისა, რასაც ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ატარებდა გულით ყოველივე ბერძნულის, საბოლოო ჯამში – ბიზანტიის მიმართ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პალეოლითოსთა ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ ძეგლებში ძილიან ხშირად გვხვდება ბერძნული წარწერებიც, (წინასწარმეტყველთა და წმინდა მამების გრავილებზე, წმინდანთა სახელები), მაგრამ სცენათა სახელდება ამ ეპოქაშიც უპირატესად ქართული ამოსთავრულით სრულდება. უნდა ითქვას ისიც, რომ ბერძნული ან ქართული წარწერები ამ ეპოქაში არამც და არამც არ გვევლინება გადამწყვეტ ფაქტორად მხარვნების დადგენის დროს.

მაგიდის მარცხენა მხარეს (ჩვენგან) ვხედავთ იოანეს ქრისტეს გვერდით, შედეგ პეტრე, ბართლომე, ლუკა, სიმონ და მაგიდის წინ ფილიპე მოციქულებს; ქრისტეს მარჯვენივ – იუდასთან ერთად გამოსახული არიან იაკობი (ქრისტეს გვერდით), შემდეგ მათე, მარკოზი, ანდრია და თომა. ლუკა მახარებელი არ ირიცხებოდა თორმეტ მოციქულს შორის, მაგრამ იგი მოხსენიებულია მაცხოვარის იმ მოწაფეთა რიცხვში, რომელიც ცნობილი არიან როგორც „სხუანი სამეოცდა-ათნი“, რომელიც წარავლინა უფალმა „ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულვებოდა მას მისლვად“ (ლუკა, 10, 1). ლუკა ნახსენებია აგრეთვე იმ ასოც მოწაფეთა რიცხვში, რომელბიც სულიწმინდის გარდამოსვლას ესწრებოდნენ.

რატომ შევაჩერეთ ყურადღება ამ ფაქტზე? დღეს უბისში მოციქულთა სახელების წარწერათა ქვალიც კი არ ჩანს. ეს სახელები პირველად გამოაქვეყნა შალვა ამირანაშვილმა უბისისადმი მიძღვნილ, 1931 წლს გამოცემულ ალბომში (სხვათა შორის, ეს ნაშრომი პირველი სახელოვნებათმცოდნეო გამოკვლევაა, მიძღვნილი ქართული მონუმენტური ფერწერის ძეგლისადმი). რესტავრატორ კარლო ბაკურაძის ვარაუდით (იგი უბისის მხატვრობის რესტავრაციას აწარმოებდა წლების განმავლობაში) „საიდუმლო სერობაში“ გამოსახული მოციქულების სახელები მეცნიერმა შესაძლოა „სულიწმინდის მოფენის“ კომპოზიციის მიხედვით დაადგინა. ამ სცენაში დღესაც გაირჩევა მოციქულთა სახელები. თუკი კარლო ბაკურაძის ეს ვარაუდი მართებულია, მაშინ გასაგებია თუ საიდან მოხვდნენ სერობის სცენაში მარკოზ და ლუკა მახარებლები.

თუმცა სხვა ანალოგიებიც შეიძლება გაგვახსენდეს. „სულიწმინდის მოფენაში“ ცენტრალურ ადგილას პეტრე მოციქულის vis à vis წარმოდგენილია ხოლმე პავლე მოციქული, რომელიც რეალურად ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული და ჯერ კიდევ სავლედ იწოდებოდა. მსგავსი სურათია „ამაღლებასთან“ დაკავშირებითაც. თუმცა ქრისტეს ამაღლებას ღმრთისმშობელი არ ესწრებოდა, „ამაღლების“ სცენაში იგი ხშირადაა გამოსახული მოციქულებთან ერთად და სცენის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. მაგრამ, ეს საკითხი დღეს ჩვენი მსჯელობის საგანი არაა და მომავლისთვის მას საგანგებო ჩაღრმავება დაჭირდება.

მოციქულთა ნაწილი – იოანე, ფილიპე, თომა და ოუდა – უწვერულვაშო ახალგაზრდები არიან, პეტრე და ანდრია – ხანში შესულები, დანარჩენები კი შეუნისანი. სამ ასაკობრივ ჯგუფად მოციქულთა წარმოდგენა გარკვეულ სიმბოლურ ქვეტექსტებზე მიგვანიშნებს, თუნდაც ისეთზე, როგორიცაა სამი მოგვის ასაკით დიფერენცირება, ან მათი წარმოდგენა თეორკანიანად, ყვითელკანიანად და შავკანიანად „შობის“ სცენაში თუ სხვა.

მოციქულთა სახეების განხილვისას ნათლად ჩანს, რომ ისინი დაკანონებულ იკონოგრაფიულ ტიპს მისდევენ: მჭვრეტელი ადვილად გამოიცნობს იოანე, პეტრე, ანდრია მოციქულებს...

მოციქულები უშარავანდებოდ არიან წარმოდგენილნი და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ისინი წმინდანებად, ჯერ კიდევ არ არიან გასხივოსნებულნი სული წმიდის მადლით. წმინდანებად ისინი მხოლოდ მას შემდეგ იქცნენ, რაც მათზე სულიწმინდა გარდავიდა. შარავანდების არსებობა ხაზს უსვამს აგრეთვე სცენის ლიტურგიკულ აზრს, ვინაიდან არიან რა ფაქტიურად პირველი ევქარისტიული საიდუმლოს მონაწილენი, შარავანდების არარსებობის შემთხვევაში ისინი ჩვენ უბრალო მორწმუნეთა სახით წარმოგვიდგებიან.

ფიგურათა განთავსება მაგიდის ირგვლივ, მათი ურთიერთკავშირი და მიმართება მასწავლებელთან განსაზღვრული ჟესტით, ფიგურის შემობრუნებით თუ თავის მოძრაობით, თვით ფიგურათა აგება, მათი ემოციური განწყობა, სცენის სივრცობრივი აგება თუ მაგიდის დეტალების ხასიათი – ყველაფერი მოწმობს, რომ აქ უმაღლესი ოსტატობის მხატვარი მუშაობდა.

თითქოს გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს მაცხოვარისა და იოანე

მოციქულის სახეთა გამომეტყველებაში, მაგრამ ეს წინააღმდეგობა, თითქმის მსოფლგაბებისათვის საერთოდ – არაერთხელ შეგვხვდება ამ სცენაში.

მასწავლებელი, რომლის ფიგურა მსუბუქადაა შებრუნებული, ფაქტიურად ზურგშექცეული ადმონიდა მის მარცხნივ მჯდომი ექვსი მოციქულის მიმართ (ეს მეტად იშვიათი ვარიანტი ამ სცენისა). მაგრამ კომპოზიციის ოსტატური აგების წყალობით კავშირი მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის არ ირდევა. მათეს, მარკოზის და თომას ათზა, მათი შემობრუნება ქრისტესკენ, მათი ჟესტები, მზერა ამთლიანებენ მათ. ფაქტიურად ქტისტესთან კავშირის გარეშე რჩება იუდა, რომელიც თითქმის გაროხებული მაგიდაზე, ხელით იწევს თასისაკენ, მაგრამ ვერ სწვდება მას. ამ ორი მომენტით – რომ ქრისტე იუდასკენ ზურგშექცევით ზის და იუდა თასს ვერ სწვდება, ხაზი ესმევა, რომ გამცემს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ევქარისტულ საიდუმლოებაში. ან, მეორე მხრივ, შესაძლოა ეს მინიშნებაც იყოს იმისა, რომ იუდა არ იყო მონაწილე იმ ევქარისტული წესისა, რომელიც მაცხოვარმა მოწაფეებთან საიდუმლო სერობის დროს დააფუძნა.

მონაწილეობდა თუ არა იუდა ევქარისტის დაწესების პროცესში – ეს საკითხი დიდი კამათის საგანი იყო მუდამ. მარკოზის მიხედვით („და სუეს მისგან ყოველთა“, მარკოზი, 14, 23) იუდა არ იყო მოკლებული უფლის სისხლის მიღების უფლებას; ლუკა ამბობს, რომ იუდას მხილება მოხდა ევქარისტის საიდუმლის დადგენის შემდეგ (ლუკა, 22, 19-24); მათესთან არავითარი მითითება არაა ამ ფაქტის შესახებ, იოანე კი ერთადერთია მახარებელთა შორის, რომელიც არაფერს ამბობს ევქარისტის საიდუმლოს დადგენის შესახებ. ტექსტების სკრუპულოზურად შესწავლის შემდეგ თეოლოგებმა დაადგინეს, რომ ევქარისტის წესის დადგენის დროს იუდა ოთახში აღარ იმყოფებოდა (მათე, 26, 26), მაგრამ ესწრებოდა თუ არა იუდა ევქარისტის საიდუმლოს დაწესებას, „საიდუმლო სერობის“ სცენებში მას გამოსახავენ ხოლმე იმიტომ, რომ იგი არის აქ დატრიალებული დრამის ერთ-ერთი მონაწილე ქრისტეს შემდეგ. თუმცა არსებობს გამონაკლისიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მოქვის სახარებაში, „საიდუმლო სერობის“ ორი გამოსახულებაა, მათაგნ ერთში მხოლოდ თერთმეტი მოციქულია წარმოდგენილი და ამის პარალელები საკმაოდ არსებობს, როგორც თანადოროულ, ისე უფრო აღრეულ ბიზანტიურ ძეგლებში.

სერობის სუფრა ერთი შეხედვით, მდიდარია, მაგრამ აქ სინამდვილეში წარმოდგენილია ის, რაც ამ სუფრაზე უნდა იყოს. თევზი, პური, მწვანილი, დვინო. „საიდუმლო სერობის“ სუფრის იკონოგრაფია გარკვეულწილად ჩამოყალიბდა არა პირველწყაროს მიხედვით (მახარებლები გვიამბობენ, რომ მოწაფეებმა სუფრა გაშალეს ებრაული პასექის კანონების თანახმად), არამედ ამ სცენაში წინა პლანზე გამოდის მისი სიმბოლურ-ევქარისტული მნიშვნელობა. ამიტომ, როგორც წესი, ბატქანს ცვლის თევზი – ქრისტეს ევქარისტული სიმბოლო. სუფრის გაწყობაში შეიმჩნევა გარკვეული რიტმი – დვინიანი ჭურჭელი, თასები თევზით, პური და მწვანილი მათ შორის, ერთ რიგადაა განლაგებული მაგიდის კიდესთან, კედლის სიბრტყის პარალელურად, ხოლო უკანა მხარეს მოთავსებული

საკვები და სასმელი მაგიდის შიდა მხარის ნახევარწრიულ აბრისს მიუყვება პირობები

სცენა ახედვის წერტილიდანაა შესრულებული შესრულებული, მაგრამ დვინის ჭურჭელი თითქოს ზემოდანაა დანახული, ისევე როგორც ზოგი სხვა დეტალი – ესეც პალეოლითური ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანია. ისევე როგორც მისთვის დამახასიათებელია გარკვეული ინტერესი გარესამყაროს, რეალური სინამდვილის მიმართ, მაგრამ ამ ინტერესის რეალიზება, რა თქმა უნდა, შეა საუკუნეებიში მიღებული პირობითი სახვითი აზროვნების მეშვეობით ხდება.

„საიდუმლო სერობის“ კომპოზიცია პალეოლითური ხელოვნებაში დიდად გავრცელებული არქიტექტურული ნაგებობების ფონზე იშლება. მოციქულთა ზურგს უკან ჩანს მსუბუქი ნიშებით ჩაჭრილი კედელი, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ ეკვრის დიაგონალურად დაყენებული შენობები, შესრულებული ხედვის სხვადასხვა წერტილებიდან. ამ შენობებიდან კედელზე გადაგდებულია ველუმები, მარცხნივ – მომწვანო-ზურმუხტისფერი, მარჯვნივ – ძოწისფერი. ნიშებით შემკული კედელი, კაპიტელებიანი სვეტები, მსუბუქი გრაფიკული ორნამენტი, რომელიც ამკობს კიდურა შენობების ფასადებსა და მათ შორის კედელს, ტიპიურია ამ ეპოქისათვის; ამ ელემენტებს ვხვდებით აქვე, ამავე მოხატულობაში, სხვა კომპოზიციებშიც, „ხარება“ იქნება ეს, „მირქმა“ თუ „ჯვარცმა“.

კედელი მოციქულთა ზურგს უკან მაღალი ჩანს, რადგან მის ზემოთ ცის მეტად ვიწრო ზოლია, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ მოციქულები სხედან, ხოლო ქრისტეს შარავანდი კედელს კვეთს, შეიძლება ვივარაუდოთ რომ იგი არც ისე მაღალი ყოფილა. უფრო მეტიც ძნელია იმის გარჩევა, კონკრეტულად სად ხდება მოქმედება – ინტერიერში თუ დია ცის ქვეშ. შეა საუკუნეების მხატვარი ჭერს არ გამოსახავს, მაგრამ მსგავსი მოქნებები, რაც გამოსახულებათა რეალურ ასპექტებთანაა დაკავშირებული, არ აღელვებს არც მხატვარს, არც მლოცველს, რომლებიც აღზრდილი არიან მოხატულობის მთლიანი პროგრამის ან ცალკეული სცენის ინტერპრეტაციაში პირობითობის პრინციპის დომინირებაზე.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, სცენა ახედვის წერტილიდანაა შესრულებული და ეს პრინციპი მიესადაგება მის რეალურ მდგრადებას. მიუხედავად კომპოზიციის სირთულისა, მოქმედება არსად არღვევს სივრცეს სიღრმეში. მოქმედება ვითარდება პარალელურ პლანებად, რომლებიც, თავის მხრივ, კედლის სიბრტყის პარალელურია. გამოსახულებები წინა პლანზეა გამოტანილი, კომპოზიციის კიდისკენ, ხოლო მოქმედ პირთა უკან აღმართული კედელი ზღვდავს მოქმედების სიღრმეში განვითარებას. ორი კიდურა მოციქულიდან გამოირჩევა ფილიპე, მარცხენა მხარეს, ზურგით მჯდომი (სხვათა შორის, ზურგით მჯდომი კიდურა მოციქულები პალეოლითური ხელოვნებისაა იკონოგრაფიისთვისაა დამახასიათებელი). მისი პოზა, სახის ტიპი – შეზნექილი და წინ გამოწეული ნიკაპით, შესიქბული წარბებსზედა მორგვებით, წარბებსშუა ჩაღრმავებით, რბილი ტუჩებით – პალეოლითური ხელოვნებისაა დამახასიათებელი. ამავე ტიპისაა თომა მოციქულის, გარკვეულწილად იუდას სახეც.

მხატვარი ოსტატურად აგებს კომპოზიციას. იმისათვის, რომ მოციქულთა

ასეთი რიცხვი განალაგოს მაგიდასთან, იგი ტრადიციულ ხერხთან ერთად ჰუდო, იმუდობილი გართხმული მაგიდაზე და ორანე მიყრდნობილი ქრისტეს მკერდს) ორ მოციქულს ათავსებს წინა პლანზე და ამგვარად საქმაო სივრცეს იტოვებს დარჩენილი მოციქულების მაგიდასთან განსაღაგებლად. წინ გამოტანილი მოციქულთა ფიგურები (ამის ანალოგიები სხვა ძეგლებშიც გვხვდება) თითქოს აგრძელებენ წრისებურ მოძრაობას, რომელიც მაგიდის აპრისში ჩაისახება და ამას ხაზი ესმევა თვით მოციქულთა პოზის და ჟესტის მეშვეობით. ამ კიდურა მოციქულთა ფუნქცია როგორება იმით, რომ, ერთი მხრივ, ისინი თითქოს კომპოზიციის ჩამკეტი ფიგურები არიან, მაგრამ ტოვებს რა სივრცობრივ ინტერვალს მათ შორის, მხატვარი თითქოს შლის ზღვარს სურათსა და მაყურებელს შორის და მლოცველს ამ დიდი და ტრაგიკული საიდუმლოს თანამონაწილედ ხდის.

მარცხნივ მიბრუნებული ანდრია მოციქულის ფიგურა კი თითქოს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს „საიდუმლო სერობისა“ და მისი მეზობელი სცენის – „ზიარების“ შინაარსობრივ ერთიანობაზე.

მოციქულთა სახეთა ტიპი ძლიერი, ვაჟკაცურია. ღრმად ჩაჭრილი სამოსი ღიად ტოვებს ძლიერ, თითქოსდა პლასტიკურად ნაძერწ ქედს მოციქულებისას; თავის დახრაში, ჟესტში ჩანს დირსება, შიანგანი ძალა თვითოვეულისა. სახეები ფუნჯის ძლიერი, მსუე მონასმებითაა დამუშავეული. განსაკუთრებით გამოირჩევა პეტრე მოციქულის სახის და თმის წერის მანერა, რომლის დეკორატიული ეფექტის ნათლად აღიქვამს მნახველი.

ფიგურათა პროპორციები, მათი აბრისი, სამოსის დამუშავება დამატებითი ფერებით, ფერადოვანი ლაქის მრავალსაფეხურიანი გრადაცია, ყველა ფერს ზემოთ უხვად დადებული თეთრას მეშვეობით გადიადფერება – ყველაფერი ეს, პალეოლითოსთა ხელოვნების ცნობილი ხერხები, უბისში, ისევე როგორც ზოგ სხვა ამ დროის ძეგლში, ოსტატობის უმაღლეს დონეზეა აყვანილი.

ამგვარად, უბისის მოხატულობაში დაცული „საიდუმლო სერობის“ სცენის განხილვა გვარწმუნებს, რომ მიუხედავად ჩვენში არსებული გარკვეული ტრადიციებისა, ამ სცენის გამოსახვისას უბისის ოსტატი არ დარჩა გულგრილი იმ სიახლეების მიმართ, რაც მისმა დრომ მოიტანა, და შექმნა სცენა, რომელიც პალეოლითოსთა ხელოვნების ერთი უმნიშვნელოვანესი ქმნილებაა, ხოლო მთლიანად მოხატულობა აქ შექმნილ ხატებთან ერთად დადასტურებაა იმისა, რომ XIV საუკუნეში, აქ, უბისის მონასტრის წიაღში, ინტენსიური მხატვრული ცხოვრება მიედინებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი ადთქმა.
2. შ. ამირანაშვილი, უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის, ტფ., 1931.
3. შ. ამირანაშვილი, ქართველი მხატვარი დამიანე, თბ., 1974.
4. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
5. გ. ბერიძე, გერასიმე და არა დამიანე, ლიტერატურული საქართველო, 1979.14.09.
6. 6. ბურჯულაძე, უბისის მონასტრის დაარსების თარიღისა და ისტორიის შესახებ, ლიტერატურა და ხელოვნება, 1996, 1-6.
7. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, თბ., 1987.
8. მ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974.
9. თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბ., 1984.
10. ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973.
11. ე. მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერები, თბ., 1970.
12. თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, ქართული ჭედური და ფერწერული ხატები, თბ., 1980.
13. თ. ფირალიშვილი, ყინცვისი, თბ., 1979.
14. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1954.
15. გ. ცინცაძე, უბისის სვეტი, ძეგლის მეგობარი, 18, 1969.
16. ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974.
17. M. Brosset, Voyage archeologique en Transcaucasie, rapp. XII, St.-Pétersbourg, 1851.
18. J. Lafontaine-Dosogne, Monumental Painting, წიგნზე: Art and Architecture in Medieval Georgia, Louvain-la-Neuve, 1980.
19. J. Millet, Recherches sur l'iconographie de l'évangile aux XIV^e, XV^e et XVI^e siècles, Paris, 1960.
20. N. Thierry, A Propos des peinture d'Ayvali Köy (Cappadoce). Les programmes absidiaux à trois registres avec Déisis en Cappadoce et en Géorgie, Zograf, V, Beograd, 1974.
21. T. Velmans, L'image de la Déisis dans les églises de Géorgie et dans celles l'autres régions du monde byzantin, CahArch, 29, Paris, 1980-1981.
22. Т. Б. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1977.
23. А Волская, Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974.
24. В. Джурич, Рецензия на книгу Ш. Амиранашвили «Грузинский художник Дамиане», Zograf, VI, Beograd, 1975.
25. Н. Кондаков, Д. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и

минастырях Грузии, СПБ, 1890.

26. В. Н. Лазарев, История византийской живописи, т. I, М., 1986.
27. Л.И. Лифшиц, Некоторые особенности системы росписи ц. Георгия в Убиси, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ.
28. И. Лордкипанидзе, О некоторых художественных особенностях росписи в Убиси, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983
29. И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, Тб., 1992.
30. И. Лордкипанидзе, Житийный цикл св. Георгия в Убиси, Decani et l'art byzantin au milieu du XIV^e siècle, Beograd, 1989.
31. Е. Привалова, Роспись Тимотесубани, Тб., 1980.
32. Б. Такаишвили, Археологические путешествия, разыскания и заметки, Известия Кавказского археологического общества, Тб., 1915.
33. Н. Толмачевская, Фрески древней Грузии, Тб., 1931.
34. Толковая Библия 3, С-Петербург I, 1911, 1913, М., 1987.
35. Р. Шмерлинг, К вопросу датировки храма в Убиси, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XV, თბ., 1955.
36. Р. Шмерлинг, Образцы декоративного убранства грузинской рукописи, Тбилиси Тб., 1940.
37. Г. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тб., 1948.

From the Archive

Inga Lortkipanidze


Last Supper in Ubisi Mural Decoration

Ubisi monastery (Imereti, western Georgia) is one of the well-known Georgian monasteries – it was founded in mid 9th c. by the prominent Holy Monk, Grigol Khantsteli and over the centuries, remarkable structures were built here (a church, 9th c., a tower of the stylite, 12th c.), in its due course, during the 14th-17th cc., significant painted and repoussé icons were also collected here (donations of the patrons of the church – first, the Lashkhishvilis and later, the Abashidzes). Most remarkable is the mural decoration of 1360s.

It comprises the Feast cycle scenes and life cycle of St. George, as well as images of Holy Monks, while the distinguished is the Last Supper depicted in the second tier of the apse, in-

between two parts of the Communion of the Apostles. Its representation on this particular place is not unparalleled, although this is the only known example in Georgia (a somewhat exceptional is the depiction of the Last Supper in early 15th c. Nabakhtevi murals, where it occupies a wall separating a chancel from the naos) and its location contributes to the accentuation of the idea of the Holy Sacrifice and Salvation, penetrating entire mural decoration.


The Saviour is depicted seated in the middle of the sigma-shaped table (characteristic of non-Georgian tradition), somewhat turned aside, although due to the interrelation of the figures, His connection with the Apostles is retained – only Judas is alone in this composition based on the narration of Stt. Luke and John, indicating the fact that he had taken no part in the Eucharistic rite established here; depiction of the Apostles without hallos implies that, on the one hand, the Holy Ghost has not descended on them and, on the other hand, that here they act as believers receiving Communion. Many traits of the murals point to the Palaeologan art – spatial environment represented to a certain extent, architectural background, facial type, certain proportions, modelling – it seems likely that the painter of Ubisi, displaying Georgian artistic traditions of the preceding epoch, is, at the same time, applying the novelties of his days, as a result, creating one of the finest works of the Palaeologan art.



Տպ. 1. Հեթուա. Տաօջամլու Տյառնեա




Տպ. 2. Հեթուա. Տաօջամլու Տյառնեա. Պատճենի գործընթիւն



Տպ. 3. Հեթուա. Տաօջամլու Տյառնեա. Պատճենի գործընթիւն



სურ. 4. უბისა. საიდუმლო სერობა. ფრაგმენტი სურ. 5. უბისა. საიდუმლო სერობა. ფრაგმენტი




ნახ. 1. უბისა. საიდუმლო სერობა. სქემა

თეიმურაზ საყვარელიძის ხსოვნას

თეიმურაზ საყვარელიძე – ვისთვის ბატონი, ვისთვის ძია, ვისთვისაც უბრალოდ თემური, – დღევანდელ საქართველოში „ცნობად სახედ“ უთუოდ ვერ ჩაითვლება, თუმცა ქართველ ჰუმანიტარებს შორის მისი სახელი ათწლეულებია უკვე პატივისცემით მოიხსენიება. თავად მას მეტი არცა სდომებია რა – ან რად უნდოდა „ცნობადობა“ დარბაისელი სანათესაოსაახლობლოს, ჩინებული ოჯახის, ერთგული მეგობრების პატრონს, დაბადებიდან ნიჭიერი, სახელოვანი ადამიანებით გარემოცულს.

საუნივერსიტეტო განათლებით ისტორიკოსი, ბატონი თემური უპირველეს მასწავლებლად გიორგი ჩუბინაშვილს მიიჩნევდა და მის დაარსებულსა და შემდეგ მისივე სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (ახლა – ეროვნული ცენტრი) დაჰყო მთელი სტუდენტობის შემდგომი სიცოცხლე. აქ გაიარა მან ასპირანტურა, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელიც იყო და უფროსიც, დირექტორის მოადგილეცა და დირექტორიც და არასდროს შეუცვლია ქცევის წესი: ყოველთვის ერთნაირად კეთილგანწყობილ-ზრდილი, მშვიდ-თავშეკავებული გახლდათ და კიდევ – ჩუმი, განრიდებული, თან კი მაინც თვალსაჩინოდ მნიშვნელოვანი. ერთი თვალის შევლებით ხვდებოდა მზერას სრული სისადავე და რაიმე საგანგებო შნოიანობის გარეშე, პეტი და დახვეწილობა – მიხერა-მოხერის, თავის დაჭერის, მეტყველების, ნათელი ღიმილის და კეთილი შეხუმრების; იერის სინატიფე სიტყვა „ჯიშიანობასაც“ გათქმევინებდა – ასეთ ხმელ-ხმელ, ტანწვრილ „კოლხეს“ ახლა ძველ ფოტოებზე უფრო ნახავთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მთა-ბარ-დაბა-ქალაქებში.

არცოუ იშვიათად მოგვსურვებია ბატონ თემურს საზოგადოებისთვის უფრო ხშირად მიემართა, უფრო მეტი ეწერა და ექვენებინა, თავი უფრო მეტად წარმოეჩინა. ისიც კი ვიცოდით, საბედნიეროდ: მთავარი ეს კი არაა, არამედ ის გაუბზარავი ღიორსება, რომლის მეოხებით მისი იმედი და ნდობა მარტოოდენ იმიტომაც გექნებოდა, სწორედ ასეთი რომაა. თეიმურაზ საყვარელიძე ხომ, ამასთანავე, ჩვენი ხუროთმოძღვრების, მეტადრე კი ლითონმქანდაკებლობის ერთი საუკეთესო მკვლევართაგანიცაა, არა მხოლოდ უტყუარად სარწმუნო ხედვა-გააზრების სიმახვილით გამორჩეული



სწავლული, საკუთარი, პირდაპირი აზრით, მწერლური ხელწერის მქონეც, ვიზუალული გამჭვირვალე ქართულის მოხდენილობა „უბრალო“ საცნობარო წერილსაც მხატვრულ პროზად აქცევს.

ბატონი თემური ამ ქვეყანას 2016 წლის 27 ოქტომბერს გაეცალა – ასევე თითქმის უჩუმრად და გაჩქარებით, თითქოსდა ეცადაო, რაც შეიძლება ნაკლები რაც შეიძლება ნაკლებად შეეწუხებინა. აი, წასული კი მას არ ეთქმის – რადგან ჰეშმარიტად ღირებული და ღირებულნი ჩვენი დაუდევრობით თუ გვეკარგება, ხოლო მან არა მარტო თხზულებები და ნაფიქრი დაგვიტოვა, კეთილ შობილების მუხტიც, რომელიც, თუ კი სწორად ვიცხოვრებოთ, კიდევ მრავალთა და მრავალთ გაამხევებს და გაამდიდრებს.

დიმიტრი თუმანიშვილი

